

114/3
370



დავით აღმაშენებელი

3

1970

გნეოტოკი



საქართველოს ლიტერატურულ-მხატვრული
და საზოგადოებრივ-კოლტიკური შურონალი

წელიწადი 46-ე

№ 3

მარტი, 1970 წ.

საქართველოს საბავშვო მწერლების კავშირის ორგანო

809/11

შინაარსი

კონსტანტინე გამსახურდია — თამარ, რომანი, ვაგრძელუბა	3
რევაზ ჯაფარიძე — ვნების კვირა, რომანი, წიგნი პირველი, ვაგრძელუბა	14
ოთარ კუპაკვა — მდინდირების დიდო ტაძარო! ლექსი.	34
გიორგი ბელაშვილი — მოთხრობები	36
დავით კვიციანი — მშვიდობით, უსიბრუ ტყეებო! რომანი, ვაგრძელუბა	47
კლიმენტი მოგვიანა — ილიაობა, ბიოგრაფიული რომანი, ვაგრძელუბა	83
გურამ კახრიანი — ლექსები	100

100 3. 0. ლენინი 100

ა. უთუკაული — ვ. ი. ლენინი ინტელიგენციის შესახებ	102
ნ. ლომსაძე — გუნდის დაცვის ლენინური ღონისძიებები	110
დავით ფანელიძე — ლენინი ფრანგული ლიტერატურის შესახებ	121

კრიტიკა და ლიტერატურისმცოდნეობა

გიორგი ჯიბლაძე — მოაზროვნე და ხელოვანი	128
აკაკი გუფალია — კეტე ივანიშვილის ბიოგრაფიის საკითხები	134
ალ. ბარბაქაძე, ე. მებრძული, ხ. ცაიშვილი — იმუღბითი პასუხი	170
თინოკა მთხვარი — სვანეთის მოჭირნახულე	179
დიონისე აბოშაძე — საიღუმლო ღმერთისმეტყველებისათვის	181



საქართველოს კვებისკლური კომიტეტის გამომცემლობა



ალ. ბარამიძე — ნაწროში ჭართულ-საარსულ ლიტერატურულ ურთიერთობათა საკითხებზე 185

ნ. რუხაძე — „გერმანული ზღაპრები“ 188

მურთაზ ბაკურიანი — დიალექტიკის ისტორიის მეცნიერული გააზრისათვის 190



მთავარი რედაქტორი ელგუჯა მალაქაძე

სარედაქციო კოლეგია:

ირ. აბაშიძე, დ. ბენაშვილი, დ. გიგინეაშვილი, მ. ლეგინძე, გ. შლენგი, ა. სულაბერი, ა. ქუთათელი, ე. უიფიანი (პ/მგ. მდიანი), ს. შანშიაშვილი, დ. შენგელაია, ვ. ყულუაიძე, ო. შილაძე, რ. ჯაფარიძე, გ. ჯიბლაძე.

ტექნიკური რ. ნაპეტიძე

რედაქციის მისამართი: თბილისი, რუსთაველის ქროსბექტი № 12.

ბეჭდვითი: რედაქტორის — 98-55-11-
პ/მგ. მდიანის — 98-55-12, განყოფილებების — 98-55-15, 98-55-17, 98-55-20.

გადაეცა ასაწყობად 30/1-70 წ., ხელმოწერა ლია დასაბეჭდად 24/111-70 წ., ასაწყობის ზომა 7 1/4 X 12, ქაღალდის ფორმატი 70 X 108 1/16, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 12, პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 16,8.
№ 02002. ტირაჟი 12.500. შეცვ. № 353.

საქ. კვ ცე-ის გამოცემლობის სტამბა. თბილისი, ლენინის ქ. № 14.



მ ა მ ა რ

კ ო მ ა ნ ი

მეციხოვნენი ამოდ უშენდნენ საგორავებს ღვინის ციხეზე იერიშით მიმავალ სელაჯუკიანებსა და თურქმენებს. ბოლოს მზეერავებმა შენიშნეს ქართული ლაშქარი, შუაში გააპეს მოიერიშეთა და პირისპირ მოადგნენ პირველ გოდოლს ციხისას. რამდენიმე წუთში ახალი რამ აუწყეს მეფესა და ამირსპასალარს;

ღვინის ციხეს ოთხივე კიდეზე ალყა აქვსო შემორტყმული.

მსტოვრების ნაუწყარში ფრიად საყურადღებო ამბავი იყო ერთი: როცა გიორგი მეფემ ღვინის ციხე აიღო, ციხის ხერელიდან გაპარულან შაპ-არმენ, სულტან არსლან შაპ იბნ ტოღრულ ბეგ, შამსედდინ დოქუზ და არზანის შბრქანებელი ფასრ ედდინ.

ისინი ღვინის ციხის შემოგარენში ყოფილან და თურმე იქიდან უტევდნენ მტერს. თუ თურქმენებმა ღვინის ციხე ვერ აიღეს, ჩვენ სპიანად მოვალთ და მიწასთან გავასწორებთო ციხეს.

მთლად განსაცვიფრებელი და შემადრწუნებელი ამბავი მოიტანეს მსტოვრებმა: ღვინის ციხის შემოგარენში მიზგითაა, უზარმაზარი მეჩეთი, რომელიც აუგია თურმე კურთი იშხალ აბ-დაბი

კუზიანს. ამ დღეებში ამ მეჩეთის კურთხევა შემდგარა და ამადაც ჩამოსულანო მსტოვრები.

ეს მიზგითა ყოფილა ქართველ მეომართა თავისქალებისაგან აგებული.

გიორგი მეფე ახლა მიხვდა თუ რას გულისხმობდა სომეხი ეპისკოპოსი ოვბანეზ, როცა საქრისტიანოში ჭერაც გაუგონარ ამბავს ახსენებდა.

გიორგი მეფე გულფიცხი იყო, მაგრამ დიდ ამბავთა ხელალებით გადაწყვეტას გაურბოდა. ამირსპასალარი ყუბასარი უშიშო ვაჟაკი იყო, იგი მუდამ ცდილობდა ამჭერად ჭაბუკი გიორგი მეფე დაეოკებინა როგორმე.

გიორგი მეფე მოითხოვდა ციხეში მცირეოდენი მეციხოვნენი დაეტოვოთ, ორივე გოდოლიდან გაეიყვანოთ სპანი და დაუყოვნებლივ ეკვეთოთო მტერს.

ამირსპასალარი არ ეთანხმებოდა ამ შემთხვევაში მეფეს, მაგრამ შაინც უხმოდ დაექვემდებარა პატრონის ნაბრძანს. ხმალშემართული და შუბებშემართული მეომრები გამოვიდნენ ოთხივე გოდოლის კარიბჭეებიდან და ეკვეთნენ მოიერიშე სელაჯუკებსა და თურქმენებს.

ქართველებმა უკუაქციეს მტერი და ახლა მოედანზე გაიმართა სისხლისმღვრელი ბრძოლები. სელაჯუკები ყვიროდნენ „ალაპ აკბარ“, ხოლო ქართველი

მეომრები იძახოდნენ: „მზეგრძელი იყოს მეფე გიორგი“.

სელჯუკიანები და თურქმენები შეერთნენ და უკუქცევას დაადგნენ, სწორედ ამ დროს მახლობელ ტყიდან გამოვიდნენ შაპ არმენ და სამი ამირა, ისინი ველური ყიყიით წინ მიუძღოდნენ ხმალამოწვდილ სელჯუკებსა და თურქმენებს.

მტრის მოზღვავებულმა სიმრავლემ დვინის ციხისაკენ უკუაქცია ქართული ლაშქარი. ხმალამოწვდილი შაპ არმენი დაწინაურდა: ომახიანად დაიბუხუნა: „ალაპ აქბარ“¹ და ეკვეთა იმ რაზმეულს, რომელსაც ამირსპასალარი ყუბასარ წინ მიუძღოდა, ქართულ რაზმეულს გამოეყო თოროსანი ხევსური, ცხენი გამოუკლა შაპ არმენს, მხედარმა იყვირა „ალაპ“ და მიწაზე დაენარცხა. ახალი ცხენი მიართვეს შაპ არმენს, ერთბაშად ახალი ცხენის წინა ფეხებიდან გამოჰყვრა მუზარადიანი ქონდრის კაცი და თემოს თავზე აძგერა შაპ არმენს შუბი.

კონსტანტინე ლმერთი

სელჯუკიანთა ამირებმა არსლან შაპ იბნ ტოლრულ ბეგ შაპს ედღინ დოქუზ და ფასრ ედღინმა ერთობლივად შეუტყეს გიორგი მეფის ლაშქრის გულს, ბოლოს უკუქცენ და ციხის მისადგომებთან გამაგრდნენ. ცხენოსნები წინ იდგნენ, მათ უკან ქვეითნი, ხოლო სულ ბოლოს მშვილდოსნები.

ისინი მარცხენა მუხლზე დაყრდნობილი მზად იყვნენ მტრის დასახვედრად, მაგრამ აქ მოხდა უცნაური ამბავი. ქართულმა ლაშქარმა მათ არ შეუტია წინიდან, სამაგიეროდ ერისთავი კოლონელიძე მოადგა უკანოდან მშვილდოსნებს, მათ მშვილდების მობრუნება ვერ მოასწრეს, ქართველი ცხენოსნები დაერიენ მიწაზე დაჩოქილებს, სელჯუკებმა და თურქმენებმა დანდობილად იყვირეს „ალაპ“ და უკუქცენ.

ჩია კაცი შუბზე წამოაგვს თურქმენებმა, ხოლო შაპ არმენს უკან მოუქდა

მისივე ეჭიბი და დაუყოვნებლივ გააქროლეს სადღაც.

ციხის მისადგომებთან გაცხარებული ბრძოლები მიდიოდა, ქართველი შუბოსნები ციხის ქონგურებზე იდგნენ და აღუღებელ ფისს ასხამდნენ ციხის გარშემო მოჭარულ სელჯუკებსა და თურქმენებს, ხანაც ლოდებს ესროდნენ ლოსატყორცნებს მტრისას.

შესალამოვდა, მაგრამ არაეინ ამირებდა ხმლის დასვენებას. მთვარემ ერთხელ გამოიჭვრიტა ღრუბლის ბლონიდან, მერმე კვლავ მიიმალა და ირგვლივ დამყარდა გაუძლისი სიმრუმე.

მხოლოდ ციხის ეზოში ანთებული კოცონები ანათებდნენ გარემოს.

განათებული იყო მეფის დიდი კარავი ციხის ეზოში დადგმული, ამირსპასალარი ყუბასარ და სპასპეტები მიმოდიოდნენ, წარამარა მოახსენებდნენ მეფეს ბრძოლების ვითარებათათვის.

მისჭირდა ბრძოლა, რადგან მებრძოლნი ვერ არჩევდნენ ურთიერთისაგან მტერსა და თვისტომს.

თურქმენებმა კვარები გამოსჩხრიკეს, მაგრამ ისინი უკმარნი აღმოჩნდნენ. ნაშუალამევს მთვარემ გაღმობედა ანაზღად ბრძოლის ველს, ახლა ზუჩების მიხედვით ამჩნევდნენ მეომრები მტერს, რადგან ქართველებს კერტიანი ზუჩები ჰქონდათ, ხოლო სელჯუკებსა და თურქმენებს გლუ მუზარადები ეხურათ.

მეფე გიორგის დიდ კარავში ეახლა ეპისკოპოზი ოვსანეზ და მოახსენა, არმენ შაპის დაქრამ იმედები გაუცრუა მტრებს, განძის ამირა აბდულაპ მცირე ხანს ეკენწლავა ქართველ შუბოსნებს, ბოლოს დანდობილად დასტოვა ბრძოლის ველი სპიანად.

„არმენ შაპ სად წაიყვანეს?“ იკითხა მეფემ.

„მე აქ მყავს სომეხი ნათლიმამა მარტიროზ და იმან მომიტანა ამბავი, დაქრილი არმენ შაპ ხანაგაში წაუყვანიათ თურმე. მარტიროზი ხანაგაში შეპარულა და ამირებიც იქ დაუღანდაეს.

მეფემ უბრძანა ამირსპასალარს ყუბასარს, დაუყოვნებლივ გარემოეცვა ის

¹ ზენთანაა ლმერთი.

ხანავა. ყუბასარმა აიყოლია შუბოსანთა ერთი კოპორტი და ხანავისაკენ გაემართა.

თურქმენები ეკვეთნენ ბრძოლაში ახლად შემოსულებს.

ბოლოს მიადგინა ყუბასარმა ხანავადის და აქ შენიშნა, მტერი თითქმის არაერთარ წინააღმდეგობას არ უწყევდა ამირსპასალარსა და მის კოპორტას.

ამირსპასალარს ხანავაში დაუხვდა ოთხი დაერდომილი მოხუცი. ეს ბედშავეები კერაზე მოგვიგონებენ ცეცხლს ეფიცებოდნენ ამ შუაგულ ზაფხულში.

ამირსპასალარის ეჭიბი დაწინაურდა და სომხურად შეეხატა მათ:

ვინა ხართა და რანიო?

მხოლოდ ერთმა, მთლად ქალარა ბერიკაცმა ასწია თავი და სომხურადვე მიუგო:

„ეჰ, ვინ ვიქნებით? უბედურები. ჯერ ეს გვიბრძანეთ თქვენ ვინა ხართ და რას დაეძებთ ამ ბეულ ღამეში?“

„ჩვენ ქართველი მეომრები ვართ, სომეხთა მეგობრები“.

ახლა ყუბასარ მიეახლა ბერიკაცს და სომხურადვე ჰკითხა:

„შენ ეს მარტვი ძია კაცო, ჩვენს აქ მოსვლამდის ვინა გყავდა ამ ხანავაში სტუმრად?“

ბერიკაცმა მწარედ გაიღიმა და სთქვა:

„სტუმრად? ხვალი მგლები იყვნენ მათი მასპინძლები. ჩვენ აქ გვეძინა და ის იყო დავმანული კარები შემოღწეეს, თურქმენმა შუბოსნებმა და ის ღვთისგან შეჩვენებული შაჰ არმენ შემოათრის მძიმედ დაკოდილი. მერმე სამი ამირა შემოვიდა.“

შე თურქული კარგად ვიცი და მათ ლაპარაკს ყური მიეუგდე, ის სამნიც ვაგლახად შემკრთალნი სჩანდნენ“.

„ახლა ეს გვამცნე ძია კაცო, რა იქმნენ მერმე არმენ შაჰ და ის ამირები?“ კვლავ შეეკითხა ყუბასარი ბერიკაცს.

„რა ვიცი უფალო სად წავიდნენ, მოუსვლელში“. ერთი მთლად ახალგაზრდა ამირა დანარჩენებზე მეტად მხნეც იყო. იგი აგრე არწმუნებდა შაჰ არმენს: ეჩმიაძინს ერთი სპასპეტი წარეგზავნოთ.

იქ თურქმენების ათასეული დგას ერთი და სასწრაფოდ ვიხმოთო. შაჰ არმენ და ამირები გამხნევდნენ, გადაწყვედა დილით კვლავ განეახლებინათ ბრძოლა.

სწორედ ამ დროს კარი გაიღო და ახლად მოსულმა სპასპეტმა თურქთაგანმა ამცნო თანადამსწრეთ: განძის ამირამ ბრძოლის ველი დასტოვა და სპიანად გაუჩინარდაო. მცირე ხანს ლანძღა შაჰ არმენმა ის ძალღოთაპირი ამირა განძისა აბდულაჰ, მერმე საწოლიდან ზეწამოიწია და სთქვა:

„ჩვენ იმდენი დანაკლისი გექონდა უკანასკნელ ღამეს, საეჭვოა გავუძლოთ გჯურჯების ახალსა და ახალ შემოტევას. ისა სჯობს, ბრძოლა შევეწყვიტოთ და ახალი ომისათვის შევიწარმოთ სპანი“.

ამირსპასალარმა ახლოს მისწია მოუბარისაკენ თავისი ჯირკვი და აღერსიანად შეეკითხა მოხუცს:

„შენ სომეხი ხარ ძია კაცო არა?“

„სომეხი? რად უნდა ვიყვე სომეხი, მე ქურთი ვახლავარ უფალო, რა ვუყოთ რომ სომხურად ვლაპარაკობ, შე თათრულიც ვიცი და სპარსულიცა“.

„მაშ ვინა ხარ ძია კაცო?“

„ქურთი ვახლავარ უფალო“.

ამირსპასალარმა დანარჩენ მოხუცებს გადახედა და ჰკითხა იმ ქურთს: „ესენი ვინ არიან ძია კაცო?“.

„ესენი ყრუ-მუნჯებია, ამ ხანავაში დამიხვნენ და ვერაგინ მითხრა თუ ვინ არიან ეს ღვთისა და კაცისაგან დავიწყებული ხეობრები. ჩემი უბედურება არ მყოფინდა, მე წარამარა თავბრუ მესხმის. ამ უბედურებს მუხლების სიღამბლეს აქვთ. მუდამ სცივათ. ე იმ გორგოლაქზე შევსვამ ხოლმე და მოვათრევ კერამდის. დაეძინებთ, ისევ უნდა დავაწვინო. ახლა სასმელ-საჭმელი დღენში სომხური მონასტერი იყო ბარე სამი, ბერები გვაჭმევდნენ. წყეულმა თურქებმა ეს მონასტრები დანგრეეს, ბერები დახოცეს. ჩვენ ოთხნი დავრჩით ღვთისანაბარად ბეულ ხანავაში.“

ახლა ასეთი რამე ჰკითხა ყუბასარმა

ქურთს: როგორ გეპყრობიანო თურქები?

ქურთმა მწარედ გაიღიმა და მიუგო: „გააჩნია უფალო როდის და სანამდის. როცა გაურჯები მაგრად მირეჯგავენ მათ, ყარდაშს! გვიწოდებენ, როცა თავათ გაიმარჯვებენ, მერმე ქეფოლლის² გვეტყვიან ხოლმე“.

ყუბასარმა განგებინად ჰკითხა ბერიკაცს:

„შენ თუ გიყვარს ძია კაცო მაგ თურქები და თურქმენები?“

ქურთმა კვლავ გაიღიმა და მიუგო მკითხავს:

„მიყვარს, როგორ არა, მიყვარს, მათ გაუუტეს მთელი ჩემი სათესავები, ხუთივე ვაჟი და ძმები მათ დამიხოცეს. მიყვარს, მამ, ისე მიყვარს ის ღორის დასმულები, როგორც პატიმარს სატანჯველა. წილან მე ვაუწყებ სომეხ ეპისკოპოსს, ამირები ამ ხანაგაში რომ იმალებოდნენ“.

ყუბასარმა ათი ოქრო აჩქა მოხუცს და თავაზიანად დაემშვიდობა მას.

მესამე დღეს კვლავ ეწვია ეპისკოპოსი ოვპანეზ მეფეს და ცინე-ქალაქში გავიაროთო, სთხოვა. უზარმაზარ მიზგითას მიაღგნენ ერთს, ეს მეჩეთიც ქართველ მეომართა თავისქალებისაგან აუგიათ თურმე იმ ზაფხულს.

მეფემ ბრძანა და ლოდსატყორცები მოატანინეს. ბარე ორ დღეს გრძელდებოდა მისი დაწერევა.

ბოლოს სამი მეჩეთიც დააქციეს ოთხი მზგეფისის მანძილზე. გალაღებული მონასპანი დაებატრონენ მეჩეთში დაცულ ოქრო-ვერცხლს, აურაცხელ ოქროს ფიალებსა და სურებს.

ღამ-ღამობით კარვებიდან გაიპარებოდნენ ხოლმე მეომრები, უმოწყალოდ ელეტდნენ მოლებს, ხოჯებსა და მათ ჯალაბებს. უმოწყალოდ ძარცვავდნენ მათ.

ორი მზგეფსიც მიიწურა, მეფე გი-

ორგი და ამირსპასალარი განძას გაემართნენ სპიანად. სამიოდე¹ ათესი-მდი-სარი ჩამორჩა ლაშქარს² მათ³ მოჰყავდათ ცხრა ათასი ტყვე, აქედან ათასზე მეტი დიაცი. სპასეტები კოპორტას წინ მიუძღოდნენ, უკან ჩამორჩენილმა მონასპებმა იანგლეს და ამ ბედშავ დიაცებს ტანზე შემოამარცხვეს სამოსი.

შემზარავი იყო ამ ძუძუებჩამობერტყილი, გაბანჯგელული დედაკაცების კორტევის მზერა. გზადშემოყრილი სომხები და ქურთები აფურთხებდნენ მათ და ხარხარებდნენ.

ღამღამობით, როცა საღიაცო კარვებს დადგამდნენ, მეომრები შეუვარდებოდნენ კარვებში მათ, დიაცების წივილ-კივილი წესიერ მეომრებსაც უფრთხობდა ძილს.

როცა მეფე და ამირსპასალარი განძას ჩავიდნენ, ამირას აბდულაჰ ბენ მაჰმუდს ბრძოლის თავი არა ჰქონდა, მან უშვერად ლანძლა შაჰ არმენ.

ეს მან გამაბრძოყვა, თორემ გურჯებთან რა მქონდაო საბრძოლო. ამიერიდან გეყმები, ოლონდ ცინებს ნუ დამიქცევო მეფევე ბატონო.

ტფილისში გამარჯვებული მეფის ჩასვლას დიდი ზეიმი მოჰყვა. ოლონდ ეს იყო, ტფილელი მანდილოსნები ფრიად აღაშფოთა მუსლიმი დიაცების გაშიშვლებამ. ისინი დედოფალს ეახლნენ და მას მოახსენეს თავიანთი გულისწყრომა.

ბურდუხან დედოფალმა სამ დღეს დააყოვნა და შემდგომ ამისა ამცნო მეფეს ეს სამარცხვინო ამბავი.

გიორგიმ ყუბასარი იხმო დაუყოვნებლივ. არც ამირსპასალარს სცოდნოდა ეს ყოველივე. მეფე გიორგი დამნაშავეთა დასჯას აპირებდა, მაგრამ ვინ გაარკვევდა ათასი დიაცის გატიტვლებისა და ნამუსის აყრის საქმეს.

კიდევ ერთი მზგეფსი დაჰყო გიორგი მეფემ ტფილისში, აიყოლია დედოფალი და ნაქარმაგვევის სათამაშო სასახლეში გაემართნენ ამალიანად.

საერისთავოებში მშვიდობა სუფევდა. ახალი წლისათვის დიდძალი ძღვენი და ხარჯი გამოგზავნა განძის ამირამ აბ-

¹ ყარდაშ — თურქულად ამხანაგი.

² ჰეფოლი — ძალღისშვილი.

დულაპ ბენ მაჰმუდმა ისინის სასახლეში.

მშვიდობამ ამ ჯერად მხოლოდ ერთ წელს გასტანა. მთელი წლის მანძილზე ემზადებოდა გიორგი მეფე საომრად. ხელახლა შეაკეთებინა მგელიციხე, ჭანდას ციხე, ციხე თმოგვისა და ბულბულის ციხე. ზუსტად ერთი წლის შემდეგ ერშიაძინიდან აუწყა მეფეს ეპისკოპოსმა ოვქანეზმა.

„ღვთისაგან შეჩვენებული შაპ არმენ სულტან არსლან შაპ იზნ ტოდრულ ბეგ, ამირები შაშს—ედლინ დოქუზ და არზნის მბრძანებელი ფასრედლინ საქართველოსკენ გამოლაშქრებას აპირებენ. უფალი იქნეს შემწე თქვენი, მეფეე ბატონო“.

მეფემ წვევის წიგანი დაავაზინა ჭავჭავთს, ტაოკლარჯეთს, ეგრისს და აფხაზეთს.

ტაო-კლარჯეთიდან უსიამო ცნობა მოვიდა, თურქების რაზმეულები შემოიჭრნენ ჩვენს საზღვრებში, ჯერ მათ გავრეკავთ და მერმე გეახლებითო.

მეფე გიორგის არ ესიამოვნა ეს ამბავი: მაშასადამე ორ მხრიდან გვიტყვენო თურქები?...

ისიც აწუხებდა მეფეს: ტაო-კლარჯეთი მეომრების უყოლობა დიხახაც დაემჩნეოდა მოსალოდნელ ომს.

არც ის იყო შეუძლებელი, თურქები სამცხეში შემოიჭრილიყვნენ და საქართველოს დასავლეთი დაეპყროთ. ამირსპასალარმა ყუბასარმა რატომღაც შეუძლებლად მიიჩნია ასეთი რამ. იგი დაბეჯითებით ურჩევდა მეფეს: დაუყოვნებლივ ავიყაროთ სპიანად და დმანისის ციხის მისადგომებში დაეუხვდეთო მტერს.

საერისთავოებიდან ჩამოსული კოპორტების დაფდაფმა უთენია გამოადვიდა ქალაქი. მეფემ აიყოლია თავისი მოძღვარი მამია ანთიმოზ, სიონში შევიდა და გულმხურვალედ შესთხოვა უფალს ქართველთა ლაშქრის ამ ჯერადაც გამარჯვება.

დარბაზის ერის ბეობა გვიან ღამემდე გაგრძელდა. გადაწყდა ლაშქრის ნა-

ხევარი და სამი სპასპეტი ტფილისში დაეტოვებინათ. უკეთუ თურქნი ტაოკლარჯეთში შემოიჭრებოდნენ დაუყოვნებლივ ტაო-კლარჯეთის საერისთავოში წარეგზავნათ სპანი.

ბარე სამ დღეს იცადა ქართულმა ლაშქარმა დმანისის მისადგომებში, ბოლოს გამოჩნდნენ თურქი ლაშქრის მეწინაეენი, ისინი პირველსავე ხმლის მოკიდებისას უკუაქციეს ქართველმა შუბოსნებმა, კიდევ ერთმა დღემ განვლო და სამი მხრიდან შემოესივნენ ველზე დაბანაკებულ ქართულ ლაშქარს სელჯუკიანები და თურქმენები.

ორიოდე მზგეფსის მანძილზე გასტანა ბრძოლამ. გიორგი მეფე უკვე მიხვდა: შეცთომა იყო ლაშქრის ერთი ნახევრის ტფილისში დატოვება. მუსლიმანთა კოალიციას მოესხა აურაცხელი ლაშქარი, ქართველები ისე ხშირად იხევდნენ უკან, აწ მალემსრბოლის გაგზავნა უკვე გვიან იყო. მეორე დღეს უთენია მოვიდა მალემსრბოლი ტფილისიდან და ამცნო მეფეს ლაშქრის ნახევარი ტაო-კლარჯეთს წაიყვანესო სპასპეტებმა.

ამირსპასალარმა ყუბასარმა ტყვეთა დაკითხვიდან გამოარკვია: სელჯუკებს ანისიდან ტაო-კლარჯეთს გაუგზავნიათ რამდენიმე ათასი მონასპა.

ნაშუალამევეს დიდ კარავში მოიხმო მეფემ ამირსპასალარი ყუბასარი და სპასპეტნი. ხანგრძლივი თათბირის შემდეგ გადაწყდა: უთენია უკუაქციულიყვნენ და ტფილისის ციხეთა მისადგომებთან დახვედროდნენ მტერს.

მთელი თვე გრძელდებოდა სისხლიანი ბრძოლები.

ბოლოს ახალი, მძიმედ შექურვილთა ლაშქარი შემოიყვანა ბრძოლაში კუზიანმა ამირამ ქურთი იშხალ აბ დაბიძ. ქართული ლაშქრის გული უკუაქცი, ისინი, ნარიკალას და შურის ციხეთა შემოგარენში გამაგრდა. მარცხენა და მარჯვენა ფრთენი ლაშქრისა თავგანწირულად ებრძოდნენ მტერს.

ტაო-კლარჯეთიდან შემოთვალეს სპასპეტებმა: სამგზის უკუაქციეთო სელჯუკიანთა მარბიელი ლაშქარი.

როგორც ყუბასარ ამირსპასალარი, ისე დარბაზის ერნი დაჟინებით მოითხოვდნენ, მეფე და დედოფალი ოჯახიანად და ამალიანად ლიხს გადაღმა წასულიყვნენ. გიორგი მეფემ მცირე სპა იახლა, დედოფალი გურანდუხტ და სეფეწყული თამარი და მათი ამაღა გეგუთის ციხეში წარგზავნა, ხოლო თავათ ტაოკლარჯეთს წავიდა.

სელჯუკიანთა და თურქმენთა ლაშქარი ტფილის-ქალაქში შემოიჭრა, ისნის ციხე ბრძოლით აიღო, სასახლე გაძარცვეს. აურაცხელი ოქროსა და ვერცხლის ინვენტარი გაზიდეს ეკლესიებიდან და მონასტრებიდან. აქლემთა სამი შვიდეული დატვირთეს ამ ნადავლით. ისნის სასახლიდან წაიღეს ვერცხლის მარანი (შარაბხანა), ვერცხლისავე თავლა. თითო ურემზე ვერცხლის ორ-ორი ჭური იღო, ამ ნადავლიდან ერთი სულტანს მიართვეს, ერთიც თურქმენებმა მიიტაცეს, დაამსხვრიეს და გაიწაწილეს.

ერთი თვეც არ დაყოვნებულან სელჯუკები და თურქმენები ტფილისში, მათ კილიკიიდან ამცნეს სომხები აჯანყდნენ და ბაღდადის აღებას იქადნიანო. დანდობილად აიყარნენ და კილიკიისაკენ გაემართვნენ.

მეფე გიორგი ტფილისს დაბრუნდა და შეუდგა დაქცეულ სასახლეთა, ციხეთა და მონასტრთა კვლავ შეკეთებას.

როცა ეს საქმენი მოათავეს, მეფე შეუდგა სპათა წერთანს. ისნის ციხის შემოგარენში დღენიადაგ აჯირითებდნენ ნასუქალ ულაცებს, ხანაც ციხე-გოდოლთა აღებასა და ლოდსატყორცნების მოხმარას ასწავლიდნენ მხედრებს მეფე და ამირსპასალარი.

გიორგი მეფე დღენიადაგ ეუბნებოდა ამირსპასალარსა და სპასპეტებს:

„ჩვენ ერთხელ დაგვამარცხეს მტრებმა, მაგრამ გული არ უნდა გავიტეხოთ. ბრძენკაცთა ნათქვამია ასეთი: დამარცხებიდან უნდა ისწავლოთო გამარჯვების გზები.“

ჩვენ უნდა გავიმარჯვოთ, თორემ ჩვენი მტრები თავს დაგვესხმიან და მიწისპირიდან აღგვიან ჩვენს ქვეყანას“.

ახალი წლის კვირადღეში ისნის სასახლეში ეახლნენ გიორგი მეფეს ლაშქარის თავკაცი, მუხლი მოიდრიკეს მის წინაშე და შესთხოვეს:

„არა არს ღონე დარჩომისა ჩუენისა თვინიერ ლაშქრობისა და რბევისა“. მეფემ საწადელი აუსრულა მათ. უბრძანა ტაოელთა და შავშთა მორბევეა ოლთისისა, მესხთა და თორელთა კარისა და აშორნისა. სომხითარებს მტკვარს აქეთ ვიდრე განძამდის, პერეთი და კახეთი— ალაზნის შესართავით ვიდრე შარვანამდის.

მერმე ის იყო ქართული ლაშქარი შეესია რანს და განძას უწია. გზა და გზა მრავალი ათასი მუსულმანი დახოცეს, ზოგნიც ტყვედ წამოასხეს.

ახლა შარვანს გალაშქრება მოუხდა მეფე გიორგის. იმჟამად შარვანს განაგებდა გიორგის. დისწული, რომელსაც არაბი შემამტაიანენი უწოდებდნენ აბულ-მუზაფარ მანუჩარ ახისტან ბენ კესრანს. იგი ფრიად შეავიწროვეს დარუბანდელმა რაზმებმა.

ამ ხანებში გიორგი მეფეს ესტუმრა ძმა ბერძენთა მეფისა, ანდრონიკე. გიორგიმ თან წაიყვანა სტუმარი უფლისწული, მეფემ ლაშქარი გაუსია ქალაქს შაბურნს, აიღო იგი და თავის დისწულს აღსართანს მიუბოძა.

სულ ორიოდე მზგვესიცი არ გასულა, ანისელმა სომხებმა კვლავ შეველა სთხოვეს მეფეს, რადგან შაპ არმენი და ამირები არ ასვენებდნენ მათ.

გიორგი მეფე სპიანად შევიდა ანისში, ქალაქი აიღო, ქალაქის ამირა თან წამოიყვანა ტფილისს და დაატყვევა.

ანისიდან მობრუნებული მეფე შინაურ მტერთა და დიდგვაროვან აზნაურთა წურთენას შეუდგა.

საქართველოში ოდითგანვე ტახტი მიეკუთვნებოდა პირშშოს. დემეტრე პირველმა, დავით აღმაშენებლის ვაჟმა კონონი დაარღვია. ჯერ კიდევ თავის სიცოცხლეში ტახტზე აიყვანა გიორგი, არც ამ უკანასკნელის ძმას დავითს, არც დავითის ვაჟს, დემნას თანამეფობაც არ არგუნა.

დემნას ცოლად ჰყავდა ამირსპასალარის ივანე ორბელიანის ასული. ცხადია, ეს თავაწყვეტილი დიდებული შეუდგებოდა მეფე გიორგის წინააღმდეგ ხვანჭების მოწყობას.

შეთქმულებაში წილი დაიდევს ივანე ვარდანის ძემ, შოთა ართავანოს ძემ, შინათგამცემლებს მიერთუნენ ქართლის ერისთავი სუმბატის ძე ლიპარიტ, მეჭინბეთ-უხუცესი ქავთარ და ანანია დვინელი.

ბოლო ეამს შეთქმულებს შეუერთდნენ სარგის მხარგრძელი, შვილითა და ძმისწულთურთ, ჯავახელი კახა შვილებიანად, იგი გამრეკელი, ჯაყელი, და გრიგოლ აპირატის ძე ანელი.

როგორც სიუნიის ისტორიის ავტორი სტეფანოზ ორბელიანი გვარწმუნებს, შეთქმულთა ლაშქარი ოცდაათ ათას მეომარს აღემატებოდა თურმე.

გიორგი არხეიანად მდგარა მცირე სპიანად სახატეს, მაგრამ შეთქმულთა ოინები რა მოახსენეს დაუყოვნებლივ ჩავიდა ტფილისს და ამირსპასალარნი იხმო. უწინარეს ყოვლისა მეფეს ეახლა ნაყვიჩლარი ამირსპასალარი ყუბასარ სპიანად.

მეამბოხებმა რა ისმინეს მეფემ ისინი დედაციხე გაამაგრა და მათ წინააღმდეგ სალაშქროდ ემზადებო, ვაგლახად შეკრთნენ. უწინარესად დიდი გამრეკელი ჩამოეცალა შინათგამცემელთა და გიორგი მეფეს მიეჭრა. ახლა გიორგი ანელიც მიუბრუნდა მეფისადმი ერთგულებას.

დემნას მემხრეთ აღარ იცოდნენ რა მოემოქმედნათ.

გიორგი მეფემ გააქცია შეთქმულთა ლაშქარი. მეამბოხენი ლორეს ციხეს შეეხიზნენ.

ამასობაში ივანე ამირსპასალარს სპარსეთს გაუგზავნია ქართლის ერისთავი სუმბატის ძე ლიპარიტ, მეჭინბეთ უხუცესი ქავთარ ივანეს ძე. ზოგი მათგანი შაჰ არმენს ეახლა, ზოგნიც ელდიგუზის ძეთა და მეფის წინააღმდეგ სულტანს შესთხოვეს დახმარება.

როცა გიორგი მეფემ მეამბოხეებს

„მოუხუნა ყოველი სიმაგრენი“ და დემნას მემხრენი ნელნელა ჩამოსცილდნენ მას და შეურიგდნენ მეფეს. გიორგიმ დასაჯა განდგომილნი, პირიქით „წყალობა უყო“.

მეფე და ამირსპასალარი ყუბასარი სპიანად წავიდნენ ტფილისიდან და დაიბანაკეს ტაბისისად ლორეს კართან.

მეფემ ლორეს ციხეს წარგზავნა თავისი ლაშქრის ერთი ნაწილი, „ომებისა და კვეთების“ დროს. ორი თავკაცი შეთქმულთა ივანე ვარდანისძე და შოთა ართავანოს ძისა ორბელინი შეიპყრეს.

ახლა თავათ მეფე მიადგა ლორეს ციხეს. დემნა და მისნი თანამდგომნი შეძრწმუნდნენ. დემნამ ყელზე საბელი შეიბა, ციხიდან გამოვიდა, მეფის წინაშე დაიჩოქა და შესთხოვა ბიძას:

სიცოცხლე შემანარჩუნეო.

მეფემ ეს წადილი აღსრულა თავის ძმისწულს, იგი გამოასაქურისეს, ორივე თვალები დაუბნელეს და კლდეკარის ციხეში გამოამწყვდიეს. ამ ამბავმა ფრთად შეარყია გიორგი მეფის ჯანმრთელობა.

შერმე ის იყო, მან იხმო ასული თვისი, თამარ და თანადგომითა ყოველთა პატრიარქთა და ეპისკოპოსთა იმერთა და ამერთა, ეპიტოთა, სპასალართა და სპასპეტთა „დაადგა გვირგვინი ოქროსითა ვისა“.

* * *

გიორგი მეფე უცნაურად წაეტანა მარტოობას. ამადაც აირჩია სამყოფელად მივარდნილი, უკაცრიელი სტაგირი. ათასწლოვანი მუხეები გარს ერტყნენ პატარა, ორგოდლოლიან ციხესა და ზანილიკას. ესენი მოყვარულ და-ძმასავით მიხუტებოდნენ ურთიერთს.

მალაღი, ქონგურებიანი გაღავანი სურთითი დაბარდნილი იყო სრულიად.

ციხის უკან, ოდნავ მოშორებით იდგა ცალთვალა წისქვილი, აგრეთვე ქვითკირისა. მასაც ქონგურები ჰქონდა და სამზარები. დროული კაცები აგრე იტყოდნენ: ბაგრატ კუროპალატს აუგიაო ეგ ციხე, ეკლესია და წისქვილიცა.

გიორგიმ მცირე ამაღაც არ იახლა სტაგირის გამგზავრებისას. თან წაიყვანა თავისი სიყრმის მეგობარი ქვეთარ არიშინი, ბენედიქტე მესაწოლე ბერი, მზარეულთუხუცესი, სამი მეაბჯრე და ორი მეჯინიბე.

ერთ საღამოს მესაწოლე ბერმა მოახსენა მეფეს: მეწისქვილემ ღვთისაგარმა დაბალი საღამი შემოგითვალაო.

გიორგი გაცოცდა:

„როგორ, ღვთისაგარ ცოცხალი ყოფილა?!“ „ცოცხალიაო? დევივით დაბაჯბაჯებს ი დალოცვილი სამბათშინიან ტომრებს ისე ატრიალებს, თითქოს ოცდახუთი წლის ვეჯაკი იყვეს“.

მეორე საღამოს გიორგიმ აიყოლია ქვეთარ არიშინი და წისქვილისაკენ გაემართნენ. წისქვილის კარი დაგმანული დაუხვდათ. ღარის კარებიც დაკეტონი.

წისქვილიდან მოისმოდა ფანდურის ჩხაკუნი და ომბზიანი ბუხუნი მამაკაცისა.

„ზინდისფრია სოფელი,
უფრო და უფრო ბინდდება,
რალა ჩვენი სიცოცხლე;
ჩიტვით ვაგვოფრინდება“..

მეფემ კარი შეაღო და საღამო მშვიდობისა უსურვა ფანდურის დამკვრელს. მსცითმოსილი, მხარბეჭიანი ბერაკაცი შეწამოიჭრა, აკლობით წამოვიდა, დიჩოქა და მუხლზე საამბოროდ წაეპოტირა პატრონს.

გიორგიმ წამოაყენა იგი და ეუბნება:

„სიბერემ ხომ არ დაგიჯაბნა ღვთისაგარ, პა“..

„შორს ჩვენგან სიბერე ჩვენო პატრონო, მე ანგრე ვლილინებ დღენიადაგ: „შაუტახუნა ბერაკცმა, სიკვდილიმც შააშინაო“.

ღვთისაგარ დაფაცურდა, სკამლოვინზე დასვა სტუმრები, სამფეხიანი ტაბაკი ვერცხლისა დაუდგა წინ. ღვინო, შაშხი და ოსპის გბოლვილი გამოიტანა.

იმ ეამად უმადობა სჭირდა გიორგის, შოზერის ყანწი გამოსცალა, შაშხი მი-

იტვა. ქვეთარ და ღვთისაგარ გახარებულნი შესცქეროდნენ მასკანდელს.

მეფემ მეწისქვილის მძაღლგერძელო დალია და ეკითხება:

„ეს შაშხი ვინ მოგიტანა ღვთისაგარ?“

ღვთისაგარმა ორი კვარი ზეასწია და ეუბნება მეფეს:

„ე მანდ კახეზზე ჰკილია ათიოდე უკანა ფეხი ტახისა. ხუთი ტახი დაეზოცე წრეულს. დიდძალი ღორები მოინადირეს მეციხოვნეთა, შობის კვირამალში დიდი თოვლი მოვიდა, აურაცხელი გარეული ღორები შეესივნენ ჩვენს მუხრანს. დაუცხრომლად ჩიჩქინდნენ ნიადაგს, მადიანად ახრამუნებდნენ რკოს. გაღავანზე გასული მეციხოვნენი ისარს ესროდნენ მათ.“

განა მარტო ღორი, იმ მთის ფერდობზე უამრავი მშველი და ხოხობია. ეს გაღავანი სუროთია დაბარდნილი, აურაცხელი შაშვი ბინადრობს მანდ.

სიყრმის ეამს ჩვენს პატრონსაც უყვარდა შაშვზე ნადირობა“.

გიორგიმ გაიღიმა, ღვინო მოსვა .

ახლა წამოდგა ღვთისაგარ ორი ხობისა და ათიოდე შაშვის შაშხი მოიტანა; შამფურზე წამოაგო.

ხოხობზე მეტად შაშვის ხორცი იამა გიორგის. თავისი სიყრმე მოაგონა ამ კერძმა.

ქვეთარ არიშინი შიშობდა: ღვინოს რომ ეძალეზობდა გიორგი, იდაყვზე ხელი მოუცაცუნა პატრონს და უთხრა:

„ამდენი ღვინის მირთმევა არ გარგებს მეფეე პატრონო“.

„არაფერია ქვეთარ, ღამღამობით ძილი გამირბის, ეგებ ღვინომ მიშველოს რაიმე“.

„ხელახლა მოსვა გიორგიმ ღვინო და სთქვა:

„შენ ალბათ გახსოვს ხშირად მოვუყვანივარ აქ, ღვთისაგარ, მზრდელს ჩემსას ოტიას, შენს მუხლზე ვეჭდარკვარ მრავალგზის. წისქვილის რუში ვბანაობდი, კალმახების კერას მასწაველიდა ღვთისაგარ“.

კიდევ ერთი შაშვი გადმოიღო ვიორკიმ და ეს უთხრა მასპინძელს:

„ეს ვერცხლის ტაბაკი ვინ გისახსოვრა ღვთისაგან?“

„ბაბამ შენმან, ჩვენო პატრონო, მეფეთა მეფემ დავითმა. ნათელი დაადგეს მის სულს.“

ესა სთქვა ღვთისაგანმა და პურის ნამუსრევი ჩააწო ღვინოში.

„დავით მეფე არა ერთხელ მობრძანებულა აქ, როცა ლაშქრობიდან მობრუნებულა.“

„შენ რამდენი წლისა ხარ ღვთისაგან ამქამად?“ შეეკითხა ვიორკი.

„მამიჩემისაგან ენგრე გამიგია ას ოცი წლისა უნდა ვიყუე.“

„მამაშენი ცოცხალია?“

„შარშან მიიღო იგი უფალმა ასორმოცი წლისა.“

„დიდგორის ომში მებაჭრედ ვახლდით მეფეთა მეფეს დავითს მე, მამაი და თერთმეტი ძმა ჩემი. მამაი მძიმედ დასჭრეს, მე თქმის თავი გამიტებეს შუბითა, ექვსი ძმა მამიკლეს უშჯულოთა.“

მამას შენსას, მეფეთა მეფეს დემეტრეს სამგზის ვახლდით ანისის ომებში, სამი ძმა იქ მომიკლეს, მამა ჩემი მარჯვენა მოაქალეს. იგი ამის შემდეგ მარცხენა ხელით მართავდა გუთანს.

ვიორკიმ შენიშნა თურაშაულივით წითელი ლოყები ჰქონდა ბერკაცს. თეთრი, კრიალა კბილები გამოკრთოდნენ დაფანჩვეულ უღვაშებიდან.

ახლა ქავთარ არიშიანი ეუბნება მასპინძელს:

„შენ ხმაც კაი გქონია ღვთისაგან, მოდი, დაამლერე ფანდურზე.“

ღვთისაგანმა ფანდური მოიტანა და ხელ დაამლერა:

„წამოგვეწვა სიკვდილი, ერთ წუთში აგვეყრის საჭურველს, ვეფლას დავტოვებთ ამ ქვეყნად მისანდობარს და სასურველს.“

ნეფემ ოქროს მონეტი აჩუქა მეწისქვილეს. ღვთისაგან მუხლზე ემთხვია მეფეს, მერმე მონეტს დააშტერდა.

არიშიანმა გამოართვა და უთხრა: ხოუხედავ ღვთისაგან, ვიორკი მეფემ წინასწარ გამოწვდილ მარჯვენაზე მამიჩემს უთხის. ამ ფლურაზე აწერია: „უფალო აღიდე მეფეთა მეფე ვიორკი, მესსიის მახვილი.“

გვიან მობრუნდნენ ციხეში ვიორკი და ქავთარ. ტახტზე წამოწვა ვიორკი, იგონებდა სიყრმესა და სიკბაბუკეს, თავის ბუზღუნა მზრდელს ოტიას, რომელმაც ასწავლა ყრმას ნადირობა და ცხენოსნობა.

„განსვენებულ მამა ჩემს არაფერს ეკითხებოდა, ცხრა წლის ყრმას უბელო ცხენზე შემადგებდა, გააქნეო დამჩხავლებდა. ბოლოს როგორც იქნა მაღირსა უნაგირი. ეს ჩემთვის უარესი აღმოჩნდა, გაქანებული ცხენიდან უნდა გადმოვმხვტარიყავ და ზედმოვქცეოდი კვლავ, ხანაც გაქანებულ ულაყს მუცლის ქვეშ უნდა მოვქცეოდი, კვლავ მოვეკიდებოდი ტახტს.“

დღე-დღეზე რთულდებოდა ჩემი წუერთვნა. ახლა თხრილებსა და ჯებირებზე უნდა გადამხტუნებინა ცხენი, არა ერთგზის დამემსხვრა ნეკნის ძვლები.

სდუმდა მამაი, განსვენებული დედაჩემი არას იტყოდა, მხოლოდ ღამღამობით ილოცვიდა და წმიდა ვიორგის ავედრებდა ჩემს თავს.

მამაი აგრე უბნბოდა: უფლისწული აკვნიდან უნდა ემზადოსო ომებისათვის. აგრეც მოხდა, ჩემო ქავთარ, ომებში გავქალარავდი, როცა მავ მეწისქვილე ღვთისაგარის სიმღერას ვუსმენდი, ჩემს გუნებაში ვამბობდი:

„თვით უღარიბესი მეწისქვილე უფრო ბედნიერია, ვიდრე ყველაზე მეტად სვიანი მეფე“. მეფე მცირე ხანს სდუმდა, ბოლოს ქავთარს შემოესმა ბალიშებზე მიყრდნობილის ღიღინი.

„წამოგვეწვა სიკვდილი, ერთ წამში აგვეყრის საჭურველს“,

არიშიანი ვაოცდა, მას არასოდეს სმენია ვიორგის სიმღერა. გაიხარა, ალბათ გამომჯობინდაო ავადმყოფი.

მეორე დღეს ქავთარ არიშიანმა შეგულიანა მეფე: მშველზე წაინადიროთო ცოტა. მეითარნი და მარეკნი იხმო. კარგა ხანს ინადირეს. და ამ უბაღლო მონადირემ და მოისარმა გიორგიმ თავის სიცოცხლეში მხოლოდ ერთხელ დააციდინა მარეკების მიერ სულ ახლოს მორეკილ მშველს.

გიორგიმ თავისი მშვილდი დაამსხვრია და ეს უთხრა თავის სიყრმის მეგობარს:

„შენ ხომ იცი, ქავთარ, ჩემს სიცოცხლეში მხოლოდ ერთხელ დავმარცხდი ომში და ნადირსაც ერთხელ დავაციდინე ისარი. როგორც სჩანს მოწეულია ქაში ჩემი აღსასრულისა. პაპაჩემი დავითი არასოდეს დამარცხებულა ომებში, მე კი, რადგან დავსაჯე ძმისწული ჩემი დემნა, ალბათ იმიტომაც დავმარცხდი ომში. იცოდე ქავთარ, კაცთაგანი არავინ დარჩება უფლის მიერ განაითხვის კიდევან“.

გიორგი ტახტზე წამოჯდა და განაგრძო:

„მე ხშირად თავს ვინუგეშებდი, რაბრალი იყო ჩემი, აწ განსვენებულმა მამაჩემმა წაართვა დემნასა და მამა მისს დავითს თუნდაც ტახტისმტის უფლება. ახლა ისე ახლოსა ვარ სიკვდილთან, ქავთარ, შენთან მაინც უნდა ვალვიარო. სიმართლე.

მე არ ვიყავი მართალი ამ შემთხვევაში.

დემნამ ერთადერთი რამ მთხოვა, დაჩოქილმა და ყელზე საბელშებმულმან: სიცოცხლე შემანარჩუნეო. ოპ, დღესაც თვალწინ მიდვას მისი მშვენიერი, საფირონისფერი თვალები და დაწვებზე ლაპალუბით მოწანწკარე ცრემლები.

მე აქაც ვიმუხთლე მაარსებლის წინაშე. მერმე ის იყო ჩემის ბრძანებისამებრ ორივე თვალი დაუბნელეს დემნას და გამოასაჟურისეს“.

ქავთარს შეებრაღა ვაგლახად წელში მოდრეკილი მეფე და გულის გარედ უთხრა:

„არა, გიორგი, შენ ცდები ამ ჭერად.

მაშინ რომ ეგზომ სასტიკად არ მოქცეოდი დემნას, იგი ვახდებოდა ვაშუღმებული ამბოხის სათავე. ამასთანავე ხომ ბრძანებს მაცხოვარი ჩვენი: „არა მოვედ წოდებად მართალთა, არამედ ცოდვილთა სინანულად“.

მეორე დღეს მოვიდნენ აქიმნი და მაჯისშემტყობნი. ავადმყოფი უგუნებოდ შეხვდა მათ. კითხვებზე პასუხიც არ გასცა, კედლისკენ მიბრუნდა და თვლემა დაიწყო.

აქიმებმა სანუგეშო ვერაფერი უთხრეს ქავთარს, რადგან თავითაც არ უწყობდნენ რა სენი შეჰყოღა მეფეს. საღამომდის ხმაგაკმედილი იწვა თავქვე გიორგი.

ნაშუალამევაშდის ძილფხიზლობდნენ არიშიანი და მესაწოლე ბერი. ბოლოს ისინი შეესწრნენ მეფისა და სიკვდილის ორთაბრძოლას.

ერთბაშად წამოიწია ავადმყოფმა, ბალიშებს ზურგით მიეყრდნო და ბრძანა: მაცხოვრის ჯვარცმა მომიტანეთო.

კედლიდან ჩამოიღეს კაცის სიმაღლე ჯვარცმა, გიორგიმ მკერდზე მიიხუტა ჯვარი, სტიროდა, მკერდზე მჯიღს იცემდა და ევედრებოდა მაცხოვარს:

„მომიტევე უფალო შეცოდებანი ჩემნი ნებსითნი და უნებლიეთნი“. როცა ჯვარცმა ისევე კედელზე დაჰკიდა მესაწოლე ბერმა, ფეხშიშველა მეფე ფერხით დაუვარდა ჯვარცმულს და დაღაძკყო:

„მიწყალე მე ღმერთო, მიწყალე დიდითა წყალობითა შენითა, და პრავლითა მოწყალებითა შენითა, ალხოცე უსჯულოებანი ჩემნი...“

„რამეთუ უშჯულოებაჲ ჩემი მე ვუწყო და ცოდვა ჩემი წინაშე ჩემსა არს მარადის“.

დაჩოქილი მეფე ბალღივით ჭვითინებდა და სამსჰვალიან ფეხებს უკოცნიდა მაცხოვარს.

გათენებისას სტაგირის ციხის შემოგარენში აყივლდნენ მამალი ხობბები.

ლოგინზე პირადმა მწოლარემ თვალი გაახილა და იკითხა:

ნაჭარმაგევის სასახლეში ხომ არა ვართო?

„არა, სტაგირში ვართ მეფეე ბატონო“, მიუგო მესაწოლე ბერმა ბენედიკტემ.

ბნელ კუთხეში პირქვე დამხობილი ქვეთარ არიშიანი გულამოსკვნილი ზღუქუნებდა და ყურს მიუგდებდა მომაკვდავი მეფის ხროტინს.

ბოლოს ოცდარვა წლის მანძილზე გამუდმებული ომების გადამტანი გიორგი მეფე მიიცივალა ათას ას ოთხმოცდაოთხ წელს სტაგირის ციხეში.

ეს ამბავი თამარს მოხსენდა, „ქალაქსა შინა ტფილისს, საჯდომსა მათსა ციხესა იხანს“.

ოთხი მზგეფსის განმავლობაში ბნელში იჯდა მგლოვიარე თამარ.

გიორგის ცხედარი ჯერ მცხეთაში დაფლეს, შემდგომ ამისა წაასვენეს გელათს „ბაგრატიონთა საძულესი“.

როცა მცხეთიდან გელათს მიასვენებდნენ მეფის ცხედარს შავოსანნი, დიდებულთა, ამირსპასალარის და სპასპეტთა ცხენებს უკან მიჰყვებოდა ლაშქარი, ხოლო ამ უკანასკნელს ათასზე მეტი ფეხშიშველი ბერი, მონაზონი და უპოვარი.

რეკავდნენ, ეღარუნებდნენ ეკლესიებისა და მონასტრების ზარები. შემწარავი ქარიშხალი ჰქროდა, ეტლებს სახურავები გადააცალა.

ახლა ცხენებზე შესვეს დედოფლები და მათი ასაბია.

თამარის ბრძანებისამებრ ასეთი ეპიტაფია წააწერეს სამარხის ლოდს:

„მაარსებლო, მიუტევე მეფეთა მეფეს გიორგის შეცოდებანი მისნი ნებსითნი და უნებლიეთნი“.

წიგლის კვირა

რ მ ა ნ ი

წიგნი პირველი

კარი პირველი

თ ა ვ ი X

ევგენი არტემიძე რომ ინჯიას ბინიდან გარეთ გამოვიდა და უკვე ჩაბნელებულ ბაზრის მოედანზე მიიხედ-მოიხედა, თერთმეტს კარგა ხნის გადაცილებული იყო. მას ჯიბეში თვით ობერლეიტენანტის მიერ ხელმოწერილი და შტაბის ბეჭედდასმული საშვი ედო, რომელიც უფლებას აძლევდა, მიუხედავად ბრატნერის მიერ დამყარებული შკაცრი სადღეღამისო რეჟიმისა, ზანდფორტის ქუჩებში თუნდაც ღამის პირველ საათამდე ესეირნა. ეს იყო პირველი გამარჯვება, რომელიც ევგენი არტემიძემ ვასო ინჯიასთან პირისპირ შეხვედრით მოიპოვა. დღეის ამას იქით ინჯია მას თავის კაცად თვლიდა და სავსებით თუმცა არ ენდობოდა, ევგენის მიმართ იმდენად კეთილად იყო განწყობილი, რამდენადაც შეეძლო. შეხვედრის დროს ევგენის სულსწრაფობა ან ზედმეტი ცნობისმოყვარეობა არ გამოუჩენია. თვით შამ-შე მღვდელაძის ამბავიც კი არ უკით-

ხავს. კატასავით ფრთხილი ინჯია უმალ იეჭვებდა, აქ რაღაც იმალებო.

მას შემდეგ, რაც პირველად გაიგონა, ვასო ინჯიას ნალაპარაკევი ბატალიონის მწყობრის წინ, ევგენის თავიდან არ გამოსდიოდა. ნუთუ აქ, ისევე როგორც პოლონეთსა და საფრანგეთში, მართლაც არის რაღაც წინააღმდეგობის ორგანიზაციის მსგავსი? ძნელი დასაჯერებელია. პოლანდიის მოტიტვლებული ვაკეები და ძველებური დაბა-ქალაქები ყველაზე ნაკლებად გამოდგება პარტიზანული ომის გასაჩაღებლად, ყოველგვარი იუტაკქვეშა წინააღმდეგობა კი ბოლოს მაინც პარტიზანულ ომად გადაიზრდება ზოლმე. პოლანდიაში, მის იმ ნაწილში მაინც, რომელიც ევგენიმ და მისმა ამხანაგებმა ნახეს, არ არის არც ხშირი და გაუვალი ტყეები, სადაც ხელისუფლებისაგან დევნილმა კაცმა შეიძლება კვირები და თვეები გაატარო, არც მიუდგომელი სალი კლდეები და მიყრუებულ სოფლები და ხუტორებია, სადაც წლიდან წლამდე პოლიციის მაძებრე-

ბიცი არ შეიხედავენ. სხვა იყო პოლონეთი ან საფრანგეთი. იქ არამცთუ ბუნება, ხალხიც სხვანაირია!

მაშ, რა ძალა ადგა ვასო ინჯიას, როცა საქვეყნოდ გამოაცხადა, ყველგან, სადაც კი ბატალიონის ქვეგანაყოფები დგანან, ანტიგერმანული ძალები მოქმედებენ და „ჩვენი მოკავშირე გერმანიის“ ძლიერებას ძირს უთხრიანო-სამხედრო უფროსებს აქაც და სხვაგანაც სჩვევიათ. მოსალოდნელი საშიშროება ჯარის წინაშე მუქი ფერებით დახატონ. ამას ისინი სიფხიზლის გასამახვილებლად სჩადიან. სიფხიზლე ყოველთვის საჭიროა. არაფერი ისე საშიში არ არის, როგორც სიფხიზლის მოდუნება. ინჯიას სიტყვები ამჯერად გაზვიადებულს არ ჰგავდა...

ყველა ქვეყანას შემოსეულ მტერთან ბრძოლის თავისებური პირობები აქვს. უთუოდ ასევე თავისებური პირობები ექნება პოლანდიასაც. ეგვენი არტემიძეს ჯერ კიდევ საშუალო სკოლიდან ახსოვდა სისხლისმსმელ ჰერცოგ ალბას სახელი. ალბამ ხომ უწყალოდ ააოხრა ეს მხარე ადრეულ შუა საუკუნეებში, რელიგიური ომების დროს, ყოველ გზაჯვარედინზე სასრჩობელების ტყე აღმართა და მოედნებზე კოცონები გააჩაღა პაპისა და ლეთისაგან კურთხეულ ფილიპე მეფის მოწინააღმდეგეთა დასაწყვავად. ხალხი მაინც იბრძოდა, იბრძოდა მთელი ოთხმოცი წელიწადი, ვიდრე არ გაიმარჯვა და შემოსეული ესპანელები თავისი მიწა-წყლიდან სამუდამოდ არ განდევნა.

ეგვენიმ დაწვრილებით არ იცოდა ამ უმაგალითო ომის მისახვევ-მოსახვევები, მაგრამ თვით ის ამბავი, რომ მომხედურ მტერთან ხმალამოლებული ბრძოლა მთელ ოთხმოცი წელიწადს გაგრძელდა და ბოლოს მაინც ქვეყნის მკვიდრი მოსახლეობის — პოლანდიელების გამარჯვებით დამთავრდა, ბევრ რამეს ამბობდა. მაშასადამე, არის რაღაც საშუალება, რაღაც გზა...

მას უცებ გაახსენდა ყველაფრისადმი გულგრილი და მხოლოდ საკუთარი პაწია საზრუნავით შეპყრობილი მგზავრე-

ბი, რომლებიც ანტეგერმანიდან მომავალ მატარებელში ისხდნენ, გაახსენდა: რაღაც გორ გამოცოცხლდნენ და თავებში რაღაც გორ წამოჰყვეს, როცა მათთვის გაუგებარ უცხო ენაზე მოლაპარაკე ჯარისკაცებმა თვით გერმანელებს თვალები დაუბრიალეს და კინაღამ ქვეშაც ამოიღეს.

„დასწყევლოს ჩემმა გამჩენმა! — გაიფიქრა ეგვენიმ და სიამოვნებისაგან ღიმილი მოერია, — ამ ხალხისას ვერაფერს გაიგებ. თვით ფრანგები არ ამბობენ ამათზე, ბაყაყისისხლიანები არიანო? რაღა თქმა უნდა, აჭარბებენ. კაცს თავისი კაცობა ყოველთვის შუბლზე კი არ აწერია-ჰერცოგ ალბას და გათამამებულ ესპანელ რაინდებს, მთელი დასავლეთი ევროპა რომ დაიპყრეს, ბაყაყისისხლიანი ადამიანი შებმას გაუბედავს? რაკი ბრძოლის გული და გაბედვა აქვთ, უთუოდ საშუალებაც ექნებათ. ისე როგორ გასძლებდნენ მთელ ოთხმოცი წელიწადს!..“

მაგრამ ვინ არიან ეს უჩინარი შეამბოხებები? სად არიან? ვისი ხელმძღვანელობით მუშაობენ და რას აპირებენ? ვის შეუძლია ამ კითხვებზე სარწმუნო და ამომწურავი პასუხის გაცემა? „არავის!“ — თითქოს საღდაც ზემოდან მოესმა ეგვენის და ტანში გასცრა. მართლაცდა არავის. „ანტიგერმანულ ძალებს“, როგორც ინჯია ამბობდა, კარი მაგრად აქვთ ჩაგმანული და შიგ ვაგლახად არავის შეუშვებენ.

„ვინმე გოგოს გავიჩენ და ყველაფერს ვათქმევინებ!“ — უცებ იპოვნა გამოსავალი ეგვენიმ, მაგრამ უმაღლე მიხვდა, რომ ამ გზით რისამე გაგებდნელი და თითქმის შეუძლებელი იყო. თანაც საშიშიც. ჯერ ერთი, ზანდფორტის მოსახლეობას ველური კავკასიელი ტომებისაგან შემდგარი სამხედრო ნაწილის ჯარისკაცთან ლაპარაკი არ სურდა, არამცთუ არ სურდა, თითოეული მათგანის დანახვაზე სარდაფში იმალებოდა. მეორეც, ვისიმე დაახლოება კიდევაც რომ მოეხერხებინა, ვინ იყო თავდები, რომ მისი რჩეული ღრმა იატაკქვეშეთში მყოფი წინააღმდეგობის

ორგანიზაციასთან დაკავშირებული პიროვნება აღმოჩნდებოდა. ერთი სიტყვით, საქმე სათუო იყო. წინააღმდეგობის ორგანიზაცია, ალბათ, თვითონვე ეძებდა სანდო პირებთან დაკავშირების გზებს გერმანელ სამხედრო მოსამსახურეთა შორის, მაგრამ ამას, როგორც პოლონეთსა და საფრანგეთში, ძალიან ფრთხილად და შემოვლით აკეთებდა. მოეცადა იმ დრომდე, ვიდრე თვით ისინი იპოვნინდნენ? გულში ხომ არაყინ უჯდა! ამგვარი უმოქმედო ლოდინი, შესაძლოა, ას წელიწადს გაგრძელებულიყო. ევგენის შუბლი გაუცივდა, თვალებზე ცრემლები მოაწვა და უხმოდ ატირდა...

მაგრამ არა, არ შეიძლება არ იყოს რაიმე საშველი! საჭიროა ლოდინი... ეცადა ყველაზე უფრო სახიფათო გზა? ეს გზა თვით ინჯიას გამოყენება იყო. არა, არა და არა! ინჯიასთან ამ მიზნით ლაპარაკი პირღია ლომის ხახაში საკუთარი ნებით შეძრამას უდრიდა. ესეც რომ არა, ინჯიას უნებლიე დახმარებით მაინც შეუძლებელი იყო რისამე გაგება, რადგან წინააღმდეგობის ორგანიზაციის ადგილსამყოფელი და მიზნები ინჯიას არამცდარამც არ ეცოდინებოდა. ის ხომ ამ ორგანიზაციის პირველი მოწინააღმდეგე და მტერი იყო!

დარჩა ისევ ერთადერთი გზა: ადგილობრივ მოსახლეობასთან ურთიერთობის დამყარება და მისი საშუალებით სასურველი ძაფის პოვნა...

ევგენიმ ამ ფიქრებით განვლო ვიწრო ქუჩა, ამ დილას რომ ბიჭებთან ერთად გამოიარა, და თუმცა მთლად დარწმუნებული არ იყო, ღამის გასათევ ბინას მივაგენიო, თითბრის მრგვალი სახელური გადაატრიალა და სადარბაზო კარი შეაღო. იმწამსვე ეცა დიდი ხნის დაკეტილი სახლისათვის დამახასიათებელი ნესტისა და კიდევ რაღაც სხვა მკვეთრი სუნის და სუნთქვა შეიგუბა. ციკაბო კიბემ დაარწმუნა, რომ გზა არ შეშლოდა. სიბნელეში კიბისთავს ააღწია და რამდენიმე კაცის გაბმული ხვრინვაც შემოესმა. ოთახში ფეხაკრეფით შევიდა. ნუ-თუ ყველას ეძინა? ევგენის უზომოდ

სწყუროდა ვისთანმე გამოლაპარაკება, რისამე თქმა, რაც არ უნდა ყუფილიყო. ჩაახველა, იქნებ ვინმემ თაჯი წამარპყოს და გამომეხმპუროსო. ფეხიც არავის გაუხმრეცია. მთელი დღის ნაჯაფი ბიჭები მოსხლეტილი ეყარნენ იატაკზე და მკედრებივით ეძინათ.

ევგენი კარგა ხანს იწვა გულაღმა და უკუნეთ სიბნელეში ჭერს მიმტრებოდა. სხეულის ყველა სახსარი სტკიოდა და სწორ ფიცრებზე გულაღმა წოლა შეებას ჰგვრიდა.

„ახლა საჭიროა ძილი! — უბრძანა თავს და ნამტირალევი თვალები დახუჭა, — ჭერ გათენდეს. ვნახოთ, სხვები რა გუნებაზე არიან!“

მაგრამ ეთქვა რამე? ვისთვისმე გაემხილა თავისი გუჰანი და ზრახვები?

„ჭერ ბავშვი არ დაბადებულოყო და უკვე აბრამს არქმევდნენო, — მოიგონა მან ძველებური ანდაზა და ისევ გაეღიმა, რადგან უკვებ წარმოიდგინა, როგორ ისხდნენ გრძელწვერა ებრაელები და ჭერ კიდევ დედის მუცელში მყოფ ბალღს სახელს როგორ არქმევდნენ, — ვის რა უნდა გაუჰმხილო, როცა თვითონაც არაფერი ვიცი!“

ეს უკვე ფანდი იყო და ევგენის არ უნდოდა ეს თავის თავისათვის გაემხილა. გულს უსაშველოდ ღრღინდა იმის აღიარება, რომ ამხანაგებს ვერ ენდობოდა, ზუსტად ისევე, როგორც ისინი ვერ ენდობოდნენ მას. საწყალი ქარცხია სწორედ ზედმეტი სითამამისა და უანგარიშო ნდობის მსხვერპლი გახდა. მას არ ეგონა: თუ ქართველი კაცი, მისივე სისხლი და ზორცი, სასიკვდილოდ გაიმეტებდა და გასცემდა. მოტყუვდა გასცეს და ისიც როგორ!.. გერმანელებიცის ჩამოქცევას იფიქრებდნენ და იმას კი ვერავინ წარმოიდგენდა, თუ ის სულითა და გულით ისევ სამშობლოს ეკუთვნოდა. თავისიანებს ძალღივით ეკიდებოდა. ტყავს აძრობდა. დედიშენის შვილი იყავი და რაიმე შეგშლოდა ან წესრიგის წვრილმან დარღვევაში ვინმეს შემეჩნე! ტაქტიკური შეცადინებობთან ხალხი დახოცილი მოჰყავდა. რა

შემზარავი ხმით სცემდა კომანდებს: «Hinlegen!»¹ «Auf!»² «Hinlegen!» «Auf!», «Vormarsch!»³, «Zurück!»⁴.

მტარვალმა დანაშაულის კვალი დაფარა. რა იყო, იქნებ გვერდში გიწვევს, შენთან ერთად ერთი კარდალიდან ხერკეს ბალანდას და მხოლოდ მომგებიან წუთს უცდის, რომ ოცდაათი ვეცხლის ფასად მტერს მიგცეს...

ევგენის ჩასთვლიმა და ვერც კი გაიგო, როგორ გადაიქცა ცხადი სიზმრად. გულგახეთქილი სადღაც მირბოდა. უნდოდა უფრო ჩქარა ერბინა, სხვებისათვის გაესწრო, მაგრამ მეტი ძალა უკვე აღარ შესწევდა. წვივის არეში აუტანელ ტკივილს გრძნობდა. თითქოს შიგ ტყვია ჩაუსხამთო, მთელი ტანი ისე ჰქონდა დამძიმებული. ირგვლივ თოფისწამლის კვამლით შებოლილი ყვავილების კვლები იყო და აქა-იქ, პატარ-პატარა ბორცვებზე, ქარის წისქვილები დინჯად ატრიალებდნენ თავიანთ ვეება ფრთებს, ეს ხომ ჰოლანდიაა, კაცო, ზანდფორტის მიდამოები! ქარის წისქვილების უკან დიუნების ზოლია, გადაღმა კიდევ ზღვა. ევგენი კარგად სცნობდა აქაურობას და ვერც სცნობდა მაგრამ ეს რაღაა? ათიოდე წუთის სარბენზე დიუნებისა და ქვიშაწყარილი გებირების მაგიერ ტყე მოჩანს. ტყის პირას ნასოფლარია. სადღაც უნახავს ეს ნასოფლარი. ნეტა სად? თავის მტერევედ არ ღიროს, ნასოფლარი ნასოფლარს ჰგავს. იმ ადგილებზე სადაც ოდესღაც ისლით გადახურული მშვიდობიანი ქოხები მდგარა, ბუხრის შავი მილები აწოწილა. მხოლოდ შიგადაშიგ გადარჩენილა ათიოდე სახლი და ნაშვრალი. ნუთუ სოფლები აქაც დასწევს? აქი მარტო როტერდამი დაზარალდაო? უცებ ათასი ტყვიამფრქვევის სულმოუთქმელმა კაცანმა შესძრა მიდამო. ევგენი პირქვე დაეცა მიწაზე და თავზე ხელები წაიფარა. აღარც ფეხი სტკიოდა, არც სხვა რაიმეს გრძნობდა,

გარდა აუხსნელი, მთელი არსების დამბეჩავებელი შიშისა. „Немцы!“ — სულ ახლოს ვიღაც რუსულად ყვიროდა. Нас окружили.. Спасайся, ребята...ა...!

სიმწრის ოფლში აცურებული ევგენი ამ ცხოველურმა ყვირილმა გამოაღვიძა. უმალ წამოხდა და თვალები მოიფშვინიტა. ოთახში ისევ უკუნი სიბნელე იყო. მარჯვენა კუთხეში ბიჭები ხერინავენენ. ევგენის გულზე მოეშვა.

„მადლობა ღმერთს, ის ჯოჯოხეთი გავლილია. — გაიფიქრა და თითქოსდა თორნიდან ამოღებულმა ცხელმა ხელმა მტკივანი წვივი მოქებნა, — ინჯიას თქმისა არ იყოს, მართლა რამ ვაღამარჩინა!“

კამენეც-პოდოლსკის აღმოსავლეთით უკანდახეული პოლკის ნაშთები ტყისპირა ნასოფლარში გადააწყუნენ ჩასაფრებულ გერმანელებს. ორასიოდე არაქათგამოლეული მებრძოლი ნაპურალში ჩაწვა ზედ სოფლის მისადგომთან და მთელი ნახევარი საათი თავი ზემოთ არ აუწვეია. ტყვიამფრქვევებსა და ნაღმსატყორცნებს ტყიდან ისროდნენ. ბედად, ტყვია ან ნაღმის ნამსხვრევი არავის მოხვედრია. ნაღმი არც კი აფეთქებულა ახლომახლო. სწორედ უჩვეულო და გასაკვირი ამბავი იყო. მოგვიანებით შეიტყეს, რომ წინ სოლივით გაჭრილ მტერს მთავარი ძალების მოსვლამდე ნასოფლარი სამოციოდე კაციით დაეკავებინა და ნამდვილი ტყვიამფრქვევებისა და ნაღმსატყორცნების ნაცვლად, რაკი მათი წინ წამოწევა ვერ მოესწრო, ტყეში რადიორეპროდუქტორები დაედგა, საიდანაც გრივალისებური სროლის ხმას გადმოსცემდნენ. თვით გერმანელები ამ დროს უფნებლად გადარჩენილ სახლებში ისხდნენ და ნაპურალში ჩაწოლილი უზადრუკი მტრის შემხედვარე სიცილით იჭაჭებოდნენ. ელოდნენ, აგერ-აგერ ხელებს ასწვენ და ტყვედ დაგვენებდებიანო, გონზე მოსული მებრძოლები იმნაირი გააფთ-

1 დაწვი!
2 ადამი!
3 წინ გაიქეცი
4 უკან გამოიქეცი (გერმ.).
2. „მეათობი“ № 3.

1 გერმანელები! ალყა შემოგვარტყეს!.. თავს უშველეთ, ბიჭებო...“

რებით შეიჭრნენ ნასოფლარში, მათი შეჩერება ვერაგინ და ველარაფერმა შესძლო. რაკი უმრავლესობას იარაღი უკვე აღარა ჰქონდა, მტერს ხელდახელ ეკვეთნენ. ამბის წამლებიც აღარავინ დაუტოვებიათ. დანებით, ფრჩხილებით, კბილებით დაფლითეს ყველა. სისხლი ღვარად დაღვა შეუქებსა და ეზოებში...

„ეს რა ცოდვისკითხვა იყო, — გაიფიქრა ევგენიმ და გიმნასტურის სახელოთი შუბლიდან ოფლი მოიწმინდა, — სიზმარშიაც ნულარ მანახოს ღმერთმა!“

მან სცადა, როგორც ისევ წაეთვლინა ან ფიქრი სხვა საგანზე გადაეტანა, მაგრამ ნასოფლარში დატრიალებული უწყალო ზოცვა-ჟღერა გუშინდელ ნანახებით დაუღვა თვალწინ და ვერ იქნა და ველარ მოიშორა. საღდაც ზრინწიანად და გაბმულად იყილა მამალმა. „თენდება! — წაიჭურჩულა და გვერდი იცვალა, — ახლა კი ნამდვილად უნდა მოვატყუო თვალი“. ახალი ჩამინებული იყო, ფეხისხმამ და ხმამალმა ლაპარაკმა რომ გამოადვილა. ბიჭები უკვე წამოშლილიყვნენ და უპატრონოდ მიტოვებულ ბინაში წყლის ონკანს ეძებდნენ პირის დასაბანად. ევგენი წამოჯდა და ძილნაკულობისაგან გაბრუნებული ერთხანს ამხანაგების უთავბოლო ზორიას თვალს ადევნებდა.

— ეი, ონოფრე! — დაუძახა შემდეგ მიტო გიგაშვილს, რომელიც ტალანიდან პირველი გამოვიდა და თავმოსხნილ აბჯაში სველი პირსახოცი ჩაეუჭა. — უჩემოდ მიდიოდით, თქვე ვირისთავებო?

— შენც მოდიხარ თუ? — თავი არ მოუბრუნებია, ისე ჰკითხა მიტომ.

— აბა, აქ ვინ დამტოვებს, შე პირძალლო, დასასვენებლად კი არავის ჩამოვუყვანივარ!

— გამარჯობა, ევგენი! — ვიწრო ტალანიდან მხარზე პირსახოცადადებულ შურა და გივი ანთიძე გამოვიდნენ და მამინვე თავთავიანთ ბარგს მიაშურეს.

— გაგიმარჯოთ! — ნახევრად ზუმრობის კილოზე მიუგო ევგენიმ, გულში კი გაიფიქრა: „ნეტავი რას იბღვირებიან?

ესენი, მგონია, მართლა უჩემოდ აპირებდნენ წასვლას!“ — სინდ მინგერჩქარებათ ასე? — უმისამართოდ ჩქარხა-მან, რათა უდროო დროს ჩამოვარდნილი უხერხული დუმილი დაერღვია და სიტყვის უთქმელად თავისი უწყალოფილებაც გამოეთქვა, — როდის იყო, ამნაირ გულმოდგინებას იჩენდით!

— ახლა დაეჭვიანდით! — ყველას მაგიერ მიუგო გივი და აბჯა ზურგზე მოიგდო, — გეზარება ადგამა? იწყე მერე, ვინ გაძალებს, ადექიო?

ევგენიმ ნაძალადევად გაიციანა და მოეჩვენა, რომ ამ პატროსანი, გულითადი ბიჭების წინაშე, ერთმანეთისათვის სულიც რომ არ ენანებოდათ, რადაცით დამნაშავე იყო. „მაგრამ მაქვს უფლება, ყველაფერი წინასწარ გავამყდენო? — თავს ჰკითხა მან და უმალ გამოფხიზლდა. — იქნებ არაფერიც არ გამოდის და ესენი რაღად გვერით შარში? წუხანდელი ეჭვი სისულელეა: აბა, რომელს შეუძლია სული ეშმაკს მიჰყიდოს და გამცემად იქცეს? არა, მოთმინება ჯობს. ჯერ ადრეა!“

ამასობაში, ვიდრე ევგენი ხმაგამენდილი იჯდა და ყოყმანობდა, გივი თავისი ბარგიბარხანა აიკიდა და ტალანში უხმოდ გვიდა. მალე შურა და მიტოც მის კვალს მიჰყვნენ. ევგენის სულ წაუხდა საქციელი. სიტყვაც ველარ მოძებნა თავისი გასამართლებლად. ახლა ის დარწმუნებული იყო, რომ წუხელ, როცა ოთახში შემოვიდა, ბიჭებს ეღვიძათ და მის მოსვლას უტყვიდნენ. მოელოდნენ, ალბათ, რომ ევგენი ინჯიასთან სტუმრობის ამბავს მოუყვებოდათ, რადგან არც ახლა და არც ოდესმე მათ შორის დაფარული არაფერი არ უნდა ყოფილიყო, მაგრამ ასე არ მოხდა. ევგენიმ თავი აარიდა ამხანაგებთან გულახდილ საუბარს. მამსადაამე? მამსადაამე, ან ამხანაგებს არ ენდობოდა, ანდა ინჯიას შეეკრა. აქ მესამე ვარაუდი შეუძლებელი იყო. არა. ამგვარი უწმინდური ეჭვის დაბადებასა და გაღვივებას ევგენის ყველაფერი ერჩივნა. ოღონდ ამას ნუ იფიქრებდნენ და...



— მიტო! გივი! — ეგვენი არტემიძე ზეზე წამოხტა და ფეხშიშველი ტალანში გაგარდა. უკვე გვიანი იყო. ბიჭებს

კიბე ჩაეგლოთ და სადარბაზო კარიც გაეხურათ.

თ ა ვ ი X I

მინდიაშვილის ასეულის ის ოცეული, რომელშიაც ეგვენი არტემიძე ჩაერიცხა, ბაზრის მოედნის უკან, პატარა შესახვევში იდგა. ამ შესახვევის მხრიდან მოედანზე მდგომ პროტესტანტულ ეკლესიას უკანა შესასვლელი ჰქონდა და ოცეულსაც სწორედ ეკლესიის შესასვლელის წინ ეკავა მიტოვებული ორსართულიანი სახლის მთელი მეორე სართული, რომელსაც აქ, ფრანგული ჩვეულების თანახმად, პირველ სართულს ეძახდნენ.

ეგვენის გაუჭირდა სახლის მიგნება, რადგან ქუჩაში ვერაფერს დაინახა, რომ რაიმე ეკითხა, ქუჩის წარწერები კი მართოდენ ფლამანდიურ ენაზე იყო გაკეთებული. ბოლოს, სწორედ საყდრის ჭიშკართან მოჰკრა თვალი შავ ანაფორაში გახვეულ გამხდარ მღვდელს და გულდაგულ იმას მიაშურა.

მღვდელი სხვა ზანდფორტელებივით არ დამფრთხალა „ველური ტომის ჩამომავალი“ სამხედრო პირის დანახვაზე. ჭიშკარი კატის უხმაურო ნაბიჯით გამოიარა და თვითონვე გამოეშურა ეგვენისაკენ, რადგან გზა აქეთ ედო.

— Ich bitte um Verzeihung, Vater,¹ — მიმართა მას ეგვენიმ და გზაზე გადაუდგა, — Hier müssen irgendwo die Soldaten wohnen!²

ეს რომ უთხრა, უნტეროფიცრის სამხრეებს და მარჯვენა სახელოზე დაკერებულ „გეორგიანულ“ ნიშანს გადაჰკრა თვალი.

— Können Sie mir den Weg zagen?³ სანთლის ნამწვივით გალუულმა, საშინლად გამხდარმა ახალგაზრდა მღვდელმა, ანთებული თვალეები მუგუშობები-

ვით რომ უელავდა, ხელისგულეები ერთმანეთს მიატყუპა, ნიკაბთან მიიტანა და პირზე ღიმმორეულმა თავი რამდენჯერმე გადააქნია, ვერაფერი გაევიგე, რას მეუბნებოთ.

— სამხედროები... ნუთუ არ იცით. აი, აქ ცხოვრობენ, — ეგვენიმ ხელი ქუჩას მოატარა და უცებ ხმა გაემიწა. მან ერთბაშად იცნო მღვდელი. ეს ხომ ის იყო, ბელგიის ქალაქ ესენში ვაგონში რომ ამოვიდა და მთელი გზა ფანჯარასთან იჯდა. შავი სათვალე ეკეთა. ორი მონახონიც ახლდა... სახეზე დააკვირდა. არა, როგორ შეიძლება მესსიერებამ ასე მოგატყუოს. ის იყო, ის! მაგრამ თვით მღვდელს კი აღარ უნდა ხსომებოდა მატარებელში ნანახი სამხედროები და იქ ატეხილი ამბავი? ეგვენიმ დააპირა ამ კაცისათვის თავი ორიოდ სიტყვით შეეხსენებინა. მაგრამ საქირო სიტყვების გერმანული შესატყვისის სახელდახელოდ ვერ მოძებნა. შემდეგ ისიც გაახსენდა, რომ სულ ერთია, მღვდელი მის ნათქვამს მაინც ვერ გაიგებდა და მხოლოდ ეს უთხრა:

— Essen, Essen... Rotterdam...

— Essen. Rotterdam? — მღვდელი თითქოს გამოცოცხლდა, ეგვენის თავდაც მიაჩერდა, ეტყობოდა, თვითონაც რაღაც გაიხსენა და განცვიფრებულმა სქელი შავი წარბები ზემოთ აზიდა.

— Nein, nein...

„ნუთუ მართლა სხვას მივამგვანე“ — გაიფიქრა ეგვენიმ და საკუთარი თავის გასამტყუნებლად კიდევ უნდოდა რაღაც ეკითხა. სწორედ ამ დროს ორივეს ყურადღება სულ სხვა რამემ მიიქცია. საიდანღაც, მგონი, ფანჯრებჩაგმანული,

¹ შაბათით, მამო.

² აქ სადღაც სამხედროები უნდა იდგნენ.

³ ვერ მიმასწავლით?

¹ ესენი... როტერდამი...

წოწოლასახურავიანი სახლების გადაღმიდან ხმაშეწყობილი სიმღერა შემოესმათ. ბიჭოს! ევგენიმ სული განაბა. სმენა ატყუებდა თუ მართლა მღეროდა ვინმე? იქნებ რადიომიმღები ჩართეს? სიმღერა თანდათან ახლოვდებოდა და მთელ ქალაქს თითქოს პირამდე აესებდა. ევგენის სუნთქვა შეუგუბდა. გულმა ბაგაბუგი დაუწყო. მან ვერც კი შეამჩნია, როგორ წამოუყვია ცხელი კურცხალი და წამწამზე როგორ დაეკიდა. ყოველივე ამის შემხედვარე მღვდელი განცვიფრებული იდგა და იმ მხარეს იყურებოდა, საიდანაც დილის ნოტიონიავს უცხო სიმღერა მოჰქონდა. მალე ქუჩის ბოლოში ჯარისკაცების მწყობრი გამოჩნდა. მწყობრს წინ შუატანის მხარბეჭკაყირული ფელდფებელი მოუძლოდა. ჯარისკაცებს ხუთრიგად შეეცსოთ კოლონა და ვიწრო ქუჩაში გაბედული, მწყობრი ნაბიჯით მოდიოდნენ. ევგენი ღიმილად დადნა. ცრემლის წინწკალი წამწამიდან ჩამოუვარდა და დაწვეზე დაგორდა.

მალეიდან ვადმომდგარიყო
თვალუყუენ თეთრი ქალიო,
უყრიალებდა საუფრე,
ყურში უვლიდა ქარიო... —

გულში ჩამწვდომი რბილი მოძახილით იწყებდა ერთი და სხვები ასეთსავე დაბალ, თითქოსდა ასკოკიან ქვევრში ჩავუბებულ ბანს ეუბნებოდნენ. სიმღერა არ იყო სამწყობრო. ის უფრო დინჯსა და ცამდე ამალეებულ საგალობელს მოგავგონებდა, მაგრამ ჯარისკაცური მწყობრის სიმკაცრე, დადუმებული, მგლოვიარე ქუჩა და მოზომილი, მძიმე ნაბიჯების ხმა ამ წუთში რომ ათრთოლებული გულის ძვერას მიაგავდა, მას რაღაცნაირ მხედრულ იერს აძლევდა.

ევგენიმ შორიდანვე შენიშნა: მწყობრში უმრავლესობა გერმანელები იყვნენ. სიმღერას ათი თუ თორმეტი ჭართველი ბიჭი ამბობდა, მაგრამ ის ისე მძლავრად და ყოვლისმომცველად გაისმოდა, თითქოს მარად პირქუში და ნისლიანი ჩრდილოეთის ზღვის ნაპირზე

ათასი კაცისაგან შემდგარი გუნდი გამოუყვანიათ და ზღვისთვეს დაუჭიბრებიათო.

გ. ბ. ჯ. ჯ. ჯ. ჯ.

პირველმა ხმამ კიდევ მეტი გზნებით მოუკიდა:

ხელს მიქნეს: აქეთ წამოდი,
შინ არ ა ჩემი ქმარიო,
ციხის სანგრეველ გავგზავნე,
თავსამც სწოლია ქვანიო,
მისგან გულჯულუსა მიშველე,
მირჩიე გზა და მხაროო...

გარინდებული ევგენი გონზე ფანჯრებისა და დარაბების ტყაცატყუცმა მოიყვანა. ქუჩის ორთავე მხარეს ჩამწკრივებულ მანსარდიან სახლებში, რომლებიც მას აქამდე უკაცური ეგონა, ფანჯრები გაეღოთ და საკუთარ ბინაში დიდი ხნის დამალული ხალხი ძირს იყურებოდა. სხვები ეზოებიდან და სადარბაზო კარებიდან გამოსულიყვნენ და გულხელდაჯდომილი უყურებდნენ ქუჩაში სიმღერით მიმავალ ოცეულს. ბევრს თვალეზი გაბრწყინებოდა და სიამოვნებისაგან სახეგაბადრული ხარბად იჭერდა სიმღერის ყოველ ბგერას. მწყობრს მოშორებით ნახევრად ტიტლიკანა და ფეხშიშველი ბავშვების ბრბო მოსდევდა. ეს სანახაობა ისე უჩვეულო და თითქმის წარმოუდგენელი იყო, უამისოდაც დიდრონი თვალეზი ევგენის საცარისოდენა გაუხდა. მუშტით იწმენდა ღვარად წამოსულ ცრემლებს, რათა ის სხვებს არ შეემჩნიათ, მაგრამ ეს ისევე ძნელი და შეუძლებელი იყო, როგორც აღიდებული მდინარის ძალისძალად ჩაგდება კალაპოტში.

სიმღერალი ჯარისკაცები თავისი თვალით ხელწვდნენ, რაც ქუჩაში ხდებოდა და სიმღერას, თითქოს მსმენელ-მჭკრეტელთა გულის საბოლოო მონადირება განუზრახავთო. უფრო მეტი და მეტი შთაგონებით აგუგუნებდნენ.

ევგენის გულიდან გადავარდა ის ამბავი, რომ აქ მარტო არ იყო. ოცეულს შორიახლო აედევნა და უნებლიეთ ონავარი ბიჭუნების გუნდში მოხდა. „ოჰ, მართლა, მღვდელი?“ — უცებ გაიფიქრა და მოიხედა. ანაფორიანსაც აყვრა

გულა-ნაბადი და თვალს მიფარებოდა. „რამ გააქცია ის წვერცამეტა, ჩემი შევინდა თუ?“ უკანასკნელმა კითხვამ ახალი აზრი დაჰბადა და ევგენის გონება გაუნათა ვინ იყო ეს მღვდელი? რატომ აჩქარდა ასე? რისთვის იცრუა?

„აქ რალაც არის! — გაიფიქრა ევგენიმ და იგრძნო, გული როგორ სწრაფად აუძგერდა, — ნამდვილად რალაც არის, ნამდვილად!..“

ოცეულმა მთელი შესახვევი ბოლომდე გაიარა. უკანასკნელი სახლის წინ, ეკლესიის კიშკართან გაჩერდა და მაშინვე დაიშალა. რამდენიმე კაცმა კარდლები და კოვზები მოაგროვა და ზევით წაიღო. სხვები ტროტუარზე ჩამოსხდნენ, ჯობები მოიქექეს და წეკო გაახვიეს. არტემიძისათვის ყურადღება არავის მიუტყვევია, არავინ გამოცნაურებია, არც არავის არაფერი უკითხავს. თვით ასმეთაურის მოადგილე ფელდფებელი მინდიაშვილი, რომელიც მესამე დღე იყო, რაც მათორ ბრაიტნერის დავალებით ოცეულთან იმყოფებოდა, ევგენის გულგრილად შეხვდა და ხელი მხოლოდ შტაბიდან გამოტანებული მოწერილობის ჩამოსართმევად გამოუწოდა.

ექვი არ იყო, ოცეულში უკვე იცოდნენ მისი წუხანდელი სტუმრობის ამბავი, მაგრამ ასე უცებ როგორ შეიტყვეს? შურა, მიტო და გივი ამ დილას თავთავიანთ ასეულებში წაივინდნენ. მაშ, ამბავი ვინდა მოიტანა?

„დედა მომიკვდეს, თუ ვიდაცას კბილები არ ჩავალწო! — გულის მოსაოხებლად ჩაილაპარაკა ევგენიმ და ხალხს ბრაზიანი მზერა მოაელო, — ვითომ რა ჰგონიათ ამ დებილებს. მე სხვებზე ნაკლები ვინმე ვარ?“ — მან ნაძალადევად, ნიშნისმოგებით გაიღიმა და ეს ღიმილიც დამალა.

— უკმელი ხარ, ბიჭო? — ჰკითხა მინდიაშვილმა.

— ცდტა რალაცა გქკონდა ამ დილას... — იცრუა უცხვირბირო დახვედრით აშკარად ნაწყენმა ევგენიმ და მე-

თაურს თვალი მოარიდა. — ბიჭებმა ერთად ვისაუზმეთ...

— სამუშაოდ მივდივართ ზღვის პირზე. — დუქნის ქრელ ვიტრინასთან ატუხული ჩასუქებული უნტროფიცერი მინდიაშვილმა თავის ოდნავი დაქნევით მოიხშო და ბრძანების ამონაწერი გადასცა თან თვალით ანიშნა, ზემოთ აიტანეო. — წამოხვალ, თუ აქ დაგტოვო?

— თქვენ გგონიათ, მე რაიმე პრივილეგია მაქვს სხვებთან შედარებით? — ეკვიანად ჩაეძია ევგენი.

— არაფერიც არა მგონია, — მინდიაშვილმა ცივად მოუჭრა და უკანასკნელი სიტყვა ძლივს შესამჩნევი დაცინვით წარმოთქვა, — მე მაქვს პრივილეგია: შემიძლია, როგორც ახალმოსული, პირველ დღეს ყაზარმაში დაგტოვო და შემიძლია თან წაგიყვანო. ესე იგი მოდიხარ!

— აქ მარტო რა უნდა გავაკეთო! თქვენ გივი ხომ ხარო, მინდიაშვილი? — ევგენიმ უცებ ველარ მოითმინა და გადაწყვიტა, ამ კაცისათვის ყველაფერი ეთქვა, რის გამქლავებაც კი შესაძლებელი იყო.

— მერე? — ხანშიშესულმა, ევგენიზე თითქმის მთელი ოცი წლით უფროსმა ფელდფებელმა მშვიდი ცისფერი თვალები მოაპყრო და ამით თითქოს ცივი წყალი გადაასხა.

— მე ვერ მიცანი? — ევგენის ხმა გაეზხარა. როგორ უნდოდა, მინდიაშვილს ეგრძნო, თუ რაოდენ მნიშვნელოვანი იყო მისთვის ეს წუთი.

— ვერ გიცანი? — მინდიაშვილის ხმაში ისევ ცუდად შენიღბული დაცინვა გაისმა. — არტემიძე არა ხარ, ევგენი? საბუთშიაც ხომ ასე სწერია...

მინდიაშვილის გამომწვევი ტონით კიდევ უფრო ადუღებულმა არტემიძემ ფეხისწვერით ფილაქანი მოჩიჩქნა და ქვედა ტუჩზე ისე ღონივრად იკბინა, პირში სისხლის გემო იგრძნო.

— ჰოო... თუ ავრეა...

ზღვის მიქცევა ნაშუალამევის სამ საათზე იწყებოდა და დილის ექვსი საათისათვის ნაპირი უკვე მოშიშვლებული იყო. შიშვლდებოდა დიუნებს გადაღმა გაწოლილი ზღვის თვალისმომკრელად თეთრი ფსკერი და ხან ლურჯი, ხან რძისფერი და ხანაც ნაშქერისაგან გასქელებული მუქი ყავისფერი წყალი მთელი ექვსასი-შვიდასი მეტრის მანძილზე იხვედა უკან ფსკერი ერთხანს ბრწყინავდა, ალაგ-ალაგ პატარა გუბეები რჩებოდა, მაგრამ გამტკიცული ფქვილივით წმინდა ქვეშა სულ მალე იწყებდა გაშრობას, სინესტეს ნიადაგი იწოვდა და უბირი მნახველი ვერც კი წარმოიდგენდა, თუ ამ ადგილზე ვერ კიდევ დილით ზღვა იდგა.

სიმაგრეებს იმ ანგარიშით აგებდნენ, რომ მოქცევის დროს, რასაც სადესანტო ობერაციების ჩატარებისას ჯარისა და ტექნიკის გადმოსასხმელად არჩევენ ხოლმე, მის არსებობაზე ეჭვი არავის აქვს. მედესანტე ჯარებს, თუკი საზღვაო დაბრკოლებებს რალაც მანქანებით გადმოლაზავდნენ და აქამდე უცნებლად მოვიდოდნენ, უკანასკნელი მომავლინებელი საფრთხე სწორედ ნაპირზე უნდა დახვედროდათ.

რკინაბეტონის მაღალ ხიშინჯებს, რომელთაც ტანკებითა და ზარბაზნებით დატვირთული ბარეებისათვის ნაპირთან მისასვლელი გზა უნა მოეჭრათ, ზღვის ფსკერზე ღრმად და საიშედოდ ასობდნენ. თავთხელი, წყლის უკიდურესი ხაზიდან ვიდრე 20-30 მეტრამდე, სადაც კი აქამდე ნავეებითა და ბრტყელიძირიანი ბარეებით მოსული დესანტის მიწაზე გადმოსვლა იყო მოსალოდნელი, ტანკებისა და ქვეითი ჯარის საწინააღმდეგო ნაღვებით იფარებოდა. სარდლობას ისე ჰქონდა გაანგარიშებული, რომ საფორტიფიკაციო საშუალებების დამთავრების შემდეგ გერმანელების ნებასურვილის გარეშე ჩრდილოეთის ზღვის სანაპიროზე არამცთუ მტრის დესანტს,

უწყინარ ლიფსიტასაც კი ვერ უნდა გამოეღწია.

ყველა სამუშაოს გერმანელი მესანგრე ინსტრუქტორები უდგნენ. სათავეში. ქართველ ოფიცრებსა და უნტერ-ოფიცრებს მხოლოდ მეორეხარისხოვან შავ სამუშაოზე ევალეობდათ ხალხის ხელმძღვანელობა. ყველასა და ყველფრის მიმართ მკაცრი მეთვალყურეობა იყო დაწესებული.

მას შემდეგ, რაც ნაპირი დანადმებოდა და დანადმული ველის თავსა და ბოლოში, როგორც წესია, გამაფრთხილებელ ნიშნებს დადგამდნენ. ნაღვებში შესვლა / კაცს-სულიერს უკვე აღარ შეეძლო. ამიტომაც დანადმული ველის საბოლოო შემოფარგვლის წინ თითქმის ყველა ნაღმსა და ნაღვების მთელ სისტემას გულდასმით სინჯავდნენ გერმანელი მესანგრეები, ამოწმებდნენ ფალიებს, დეტონაციის გამართულობას და მხოლოდ ამის შემდეგ სთვლიდნენ საქმეს დამთავრებულად.

მაგრამ სანაპირო, რომელზედაც მტერს დესანტის გადმოსხმას ელოდნენ, დიდი იყო და მისი პირწმინდად დანადმევა აურაცხელ საბრძოლო საშუალებებსა და დიდძალ მუშახელს მოითხოვდა. ამ ძნელი და საფრთხილო თანაც სასწრაფო საქმის გაკეთება, ვინაიდან მოკავშირეების გამოსვლა დღე-დღეზე იყო მოსალოდნელი, მარტო „ეროვნულ ბეტალიონებს“ არ შეეძლოთ.

ამიტომაც სანაპიროზე, გერმანულ სიზუსტითა და თანმიმდევრობით განლაგებული სამხედრო ქვეგანაყოფების გვერდით, ყოველდღე დანახავდით ადგილობრივი მოსახლეობის დიდ-დიდ ჯგუფებს, რომლებიც თვით ზანდფორტიდან, ზაანდამიდან, ბლუმენდალიდან და მათი ახლომახლო სოფლებიდან ნაპირისაკენ დილაადრიან მიემართებოდნენ და იქიდან მხოლოდ მაშინ ბრუნდებოდნენ, როცა მოქცევა დაიწყებოდა

და მთელი დღის ნამუშევარს ზღვა დაჰფარავდა.

გერმანელი ინსტრუქტორები ამათაც თავზე აღგნენ და თვალი ფხიზლად ეჭირათ, მუშაობის დროს მოქალაქეებმა და სამხედროებმა საუბარი და ერთმანეთს შორის მისვლა-მოსვლა არ გამართნო.

გასაუბრებას და მისვლა-მოსვლას მაინცდამაინც არცერთი მხარე არ ესწრაფვოდა. საქმე თავზე საყრელი იყო და მეზობელთან სამასლაათოდ არავის ეცალა. მაგრამ სამუშაო უბნები დღითიდღე იზრდებოდა და, გინდოდა თუ არა, ერთმანეთს თავისთავად უახლოვდებოდა. ამ დროს მეზობლად მომუშავე სამხედროები და მოქალაქეები ერთმანეთს კარგად ხედავდნენ. ლაპარაკიც კი ესმოდათ ერთმანეთისა. ხედავდნენ, ვინ რას ქამდა, ვინ რას სვამდა, ვინ როდის და რას ეწეოდა..

გერმანელების აზრით, ვისაც მეთვალყურეობა ჰქონდა მინდობილი, ეს უკვე მეტისმეტი იყო. მომდევნო დილას მოქალაქეები, ანდა კიდევ სამხედროები ჩვეულებისამებრ გაიხედავდნენ იმ მხარეს, სადაც წინა საღამოს მეზობელი ბრიგადის ძალაყინების წკრიალი ისმოდა და, თავისდა გასაკვირად, მხოლოდ უკაცურ ნაპირს და ზღვის სიღრმიდან გამოჩეკილ მღვრიე ქაფს დაინახავდნენ.

რა უნდა მომხდარიყო? მეზობელი ჩგუფი, ეტყობა, სანაპიროს ამ უბანს მოაშორეს და სხვაგან გადაიყვანეს, დარჩენილი სამუშაო კი — ველის ველზე გადაბმა — ორიდან ერთ ჩგუფს უნდა დაესრულებინა.

ნაპირის ერთ პატარა უბანზე, ზანდფორტის ჩრდილოეთით, ორი ასეთი ჩგუფი მუშაობდა. ერთ-ერთი მათგანი შიგ ზანდფორტში მდგომი მეხუთე ასეულის ოცეული იყო, მეორე კი ბლუმენდალელი გლეხებისაგან შეედგინათ. გლეხები ამ უჩვეულო სამუშაოზე სამი თუ ოთხი დღის წინათ გამოერეკათ და წყლის ნადგომ სილაში ორმოებს ათხრევინებდნენ ნაღმების ჩასაწყობად.

გლეხები, თითქმის ყველა, ხანშიშესული ხალხი იყო, აუჩქარებელი და დღეგრემილი და თავის ბედს შერბილებულად ისინი უხალისოდ, მაგრამ კეთილსინდისიერად აკეთებდნენ მინდობილ საქმეს, რადგან თავისი დღე და მოსწრება მხოლოდ კეთილსინდისიერ მუშაობას შესჩვეოდნენ და დროდადრო იმ მხარეს გაეჭკვოდათ ზოლმე თვალი, სადაც ნაპირთან მოფუსფუსე სამხედროები მძიმე სატვირთო მანქანებით მოზიდულ ბეტონის ბოძებსა და რალაც ბრტყვიანლა ლითონის ყუთებს უკანდახეულ ზღვისაკენ ყიფინითა და ხალისიანი დავიღარაბით მოათრევდნენ.

თაკარა მზეზე შეხანზლული ახალგაზრდა ჯარისკაცები, დილაადრიან რომ სიმღერ-სიმღერით გამოივლიდნენ ზანდფორტის ქუჩებს, აქედან ტანად პატარა და საოცრად მოძრავნი ჩანდნენ.

საქმეში ჩახედული გლეხების ყურადღებას უკვე კარგა ხანია იტყევდა მათი მკვირცხლი მიმოხრა, ხალისიანობა და თავის შეყოლიების ათასი ხერხი, რასაც ისინი ყოველი დიდი და მცირე შესვენების დროს მიმართავდნენ.

ეს გულღია და ალალი ბიჭები სულ არ ჰგავდნენ იმ კაციპაშია ველურ ტომს, ვისი ხსენებითაც გერმანელებმა ჩრდილოეთის ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროს მშვიდობიანი მოსახლეობა დააშინეს და დღესაც აშინებდნენ. მათი ჩამოსვლის შემდეგ, თვენახევრით აღრე გაფრთხილებული მოსახლეობა რომ ასეთი ძრწოლოვით მოელოდა, უკვე რამდენიმე კვირა იყო გასული და მთელ სანაპიროზე ერთი შემთხვევაც კი არ მომხდარა, რომელიც გერმანელების მიერ წინასწარ დაყრილი ხმების სიმართლეს დაადასტურებდა. ისიც, რასაკვირველია, ანგარიშში ჩასაგდება, რომ მოსახლეობა თვითონვე ფრთხილობდა. ერიდებოდა ამ მართლაცდა უცხო მოდგმის მეტროლოებს, ტანთ რომ გერმანების სამხედრო ფორმა ეცვათ, მაგრამ, თავის მხრივ, არც ახალმოსულები ეძებდნენ ვისმე, სახლში არავის უხტებოდნენ და კარს არავის უმტვრევდნენ. თა-

ვი ყველას ისე ეჭირა, თითქოს ვერც კი ამჩნევდნენ თავიანთ უცნაურ და არაბუნებრივ განმარტობებს. ამგვარი რამ მათ ცხოვრებაში, ალბათ, პირველად როდი ხდებოდა.

მართლაცდა ვინ იყვნენ? საიდან მოვიდნენ? ცის რომელი კუნძულიდან მოიტანეს თავიანთი ჯადოსნური სიმღერები და ხმები, რომელთა სიღრმე, სიყისკასე და ხავერდოვნება თვით პირველხარისხოვან საეკლესიო კაპელასაც კი შეშურდებოდა? მათი სიმღერა შორეულ სამშობლოზე ოცნებას ჰკავდა, ხოლო ეს ოცნება ისე ნაზი, სათუთი და ხელშესახები იყო, თუკი ორ-სამ წუთს ყურს მიუგდებდი. ვეღარ მოწყდებოდი. შენი გული სულ სხვაგვარად იწყებდა ძვერას. მთელ არსებას გამოუთქმელ სიხარულთან შერწყმული სევდა ავითრთოლებდა.

აბა, ვინღა დღეს ასე გულუბრყვილო, ვინღა დაგიჭერებს. რომ შეიძლება ველური და კაციქამია იყოს ეს მგალობელი ტომი, ვისი სიმღერის ყოველ მუხლში სულის გასაოცარი დახვეწილობა, უზენაესის რწმენა და სამყაროს განუმეორებელი მშვენიერება იგრძნობა! მერე რა მოხდენილი შესახედავები არიან, ლაღნი, გულგამოიღნი და დღენი-დაგ პირმლიმარენი!..

საფორტეფიკაციო ნაგებობის მშენებლობაზე მომუშავე გლეხების ეჭვი, ყველაფერი, რასაც მოსახლეობის გასაფრთხილებლად ავრცელებდნენ, ფაშისტი პროპაგანდისტების უსინდისო მონაქორიყო, მაშინ უფრო საფუძვლიანი გახდა, როცა მეზობლად მომუშავე სამხედროებმა წინა დღეს ორი კაცი მოციქულად გამოგზავნეს და მთელი ბრიგადა სამხარზე მიიპატივეს. დაპატიეება იმდენად მოულოდნელი და გაუგებარი იყო, რომ უქმელობითა და მთელი დღის შეუსვენებელი მუშაობით მობოშებული გლეხები დაიბნენ და აღარ იცოდნენ, მოპატიევედ გამოგზავნილი კაცები უკან რა პასუხით გაესტუმრებინათ. ეს ამბავი მათზე ნაკლებ არც გერმანელ მეთვალყურე ინსტრუქტორებს

გაჰკვირვებიათ. ვის გუგუა, ჯარისკაცს თავისი ულუფა ეფენეფენის, თუნდაც მშობელი დედისა და მამისაგან! მაგრამ რაკი ქართველები ადგილობრივ მცხოვრებთაგან შემდგარ მთელ ბრიგადას ეპატიეებოდნენ, მაშასადამე, გამასპინძლების სახსარიც ჰქონდათ.

საიდან? როგორ?

ამ საიდუმლოების შეტყობის სურვილმა ინსტრუქტორებს უკან დაახვეინა. ვნახოთ ერთი, რა გამოიჩქევაო.

გლეხებმა თავიანთ დამპატიეებლებს გულითადი მადლობა შეუთვალეს და ნახევარი საათის შემდეგ ხის ფესვსაგანლით კოჭებდახრული სამი ბერიკაცი გაგზავნეს შემოთავაზებული პურმარილის მისაღებად.

განსაკუთრებული არაფერი მომხდარა. წარგზავნილები ორმოციოდ წუთის შემდეგ მობრუნდნენ და მთელი ბრიგადის ყველა მეყალიონეს თითო გახვევა წეკო მოუტანეს. წეკოც რაღა თქმა უნდა, ქართველებს გამოეგზავნათ. სამივე მოფერიანებული და შეზარხოშებული იყო, არა იმდენად საქმლითა და ორიოდე ყლუბი სასმელით, რამდენადაც მიღებული სიამოვნებით.

ქართველებს ანუ კავკასიელებს, როგორც ისინი ამბობდნენ, „რაიმე ისეთი“ არაფერი ჰქონდათ. თერმოსებით მოტანილი ცხელი ბალანდა და მწვანე მუხუდოს შეჭამანდი, რომელიც 42 კაციისთვის იყო მომზადებული, ავრთვე ჰვავის პური, 45 ულუფად გაჰყვეს და სტუმრებს ისე გაგვიმასპინძლდნენო. აბა, როგორ დაეწოთ ხელი ულუფაზე, რომელიც ღვთისა და კაცის წესითა და რიგით მათ არ ეკუთვნოდა? ბოლოს, ბიჭები ვეღარ გაეწილებინათ და გაესინჯათ ცხელი კერძი...

უკანასკნელ ორ-სამ წელიწადს ოდესდაც მდიდარი და ფუფუნებას ჩვეული პოლანდია, შეიძლება ითქვას. შიმშილობდა. საოკუპაციო ხელისუფლებმა იმთავითვე იზრუნეს, რომ „ხელმეტი რესურსები“ მოსახლეობიდან „ამოეტუმბათ“ და საზღვარგარეთ გაეტანათ. ბევრმა ოჯახმა, მიუხედავად დახვრეტის

შიშისა, მაინც შესძლო სანოვაგის გარკვეული ნაწილის გადაძალა, მაგრამ გაკვირებულმა ომმა თავისი გრძელი ხელი ყველაზე უფრო ღრმა სამალავ-შიაც ჩაჰყო და ხალხს ადამიანური ცხოვრების უკანასკნელი სახსარი წაართვა. სასურსათო წიგნაკზე გაცემული სანოვაგით, რომლის მიღების უფლება მართლ ქალაქ ადგილას მცხოვრებთ ჰქონდათ, სულის შენარჩუნება თუ შეიძლებოდა.

საჭარისო საწყობები, ბუნკერები და პაკეტულები ამ დროს სურსათით სავსე იყო. სურსათის ბელახელებელი მარაგი მხოლოდ ჯარს ეკუთვნოდა და ჩრდილოეთის ზღვის სანაპიროზე მოზიდული იყო მხოლოდ იმ შემთხვევისათვის, თუ ღმერთი გაწყობდა და მტერი სწორედ აქ მოინდომებდა თავისი დესანტის გადმოსხმას.

იმისდა მიუხედავად, რომ მარაგი მართლაც ხელშეუხებელი იყო, ჯარისკაცის უღუფა ადგილობრივ მოქალაქეთათვის განკუთვნილ უღუფას მაინც საგრძნობლად სჭარბობდა. ბრმა უნდა ყოფილიყავი, ეს რომ ვერ შეგეშინია.

ნაპირის გამაგრებაზე გამოყვანილი გლეხები და ზანდფორტის მოქალაქენი სანაპიროზე აჩრდილებივით დაღასლა-სებდნენ და დილიდან საღამომდე ერთ მკვლევარზე გადადიოდნენ.

ეს ამბავი ქართველებს, რასაკვირველია, არ გამოჰპარვიათ, მაგრამ როცა თავადაც ხელმოკლედ ხარ, არცთუ ისე ადვილია სხვის კეთილდღეობაზე იზრუნო, თუნდაც ის სხვა შენზე უფრო გაკვირებული იყოს. კიდევ რომ რაიმე ჰქონოდათ სხვისთვის გასაყოფი, პოლანდიელები თვითონვე გაუბოდნენ მათ და რისავე მიღებაზე, თუკი ეს მოსახერხებელი იყო, თავს იკავებდნენ, რადგან ამ მოსული ხალხის გულითაღობაში რაღაც გამოუცნობ ანგარებას მაინც ხედავდნენ. მაშ, რით და როგორ უნდა აეხსნათ უცხოტომელთა საქციელი? ურთიერთგაცნობას დრო სჭირდებოდა, დრო კი მსგავს ვითარებაში ისე ნელა

მიიზღახნება, ყოველი საათი წელიწადს უდრის.

მეორე და მესამე დღეს ქართველებს აქეთ აღარ გამოუხედავთ. პოლანდიელები კმაყოფილიც კი იყვნენ. ისინი უფრო მადლიერი იქნებოდნენ, თუ ეს ახირებული ჯარისკაცები მათ ერთხელ და სამუდამოდ დაეხსნებოდნენ და ათასგვარი ეპვისალმძვრელი სტუმართმოყვარეობით ახალ საფიქრალსა და საკოჭმანოს არავის გაუჩენდნენ.

ნაშუადღევს, სწორედ მოჭიცივის დაწყების წინ, ქართველებმა წრე შექარეს მწვანე მინდორში, დიუნების ძირას, რაღაც სახელდახელოდ დამზადებულ მუსიკალურ საკრავებში ჩაჰბერეს და ჰიდაობა თუ კრივი გააჩაღეს. შორიდან ძნელი გასარჩევი იყო. წრეში მხოლოდ ერთი წყვილი იბრძოდა, მაგრამ გავრძელებული ჰყვიტინა მუსიკა, რასაც სახელდახელოდ გამოჩორკნილი ლერწმის საღამურები გამოსცემდნენ, და მაყურებელთა გამამხნევებელი ყიყინა ორა მკლავმაგარი ვაჟკაცის შერკინებას ნამდვილ სახალხო სანახაობად ხდიდა.

ეს ასეც იყო. ისინი, ვინც მხოლოდ მაყურებლის როლით კმაყოფილდებოდა და თავად არ იბრძოდა, რაღაცით მაინც მონაწილეობდა ჰიდაობაში.

ჯერ თვით გერმანელებს წასძლია სულმა. მით უფრო მაშინ, როცა დაინახეს, ქართველებთან ერთად მომუშავე გერმანელებიც მაყურებელთა შორის არიანო. სამუშაო მიატოვეს და მოჭიდავეების ირგვლივ შეკრულ წრეს ფეხაკრეფით მიუახლოვდნენ.

წრე რეზინის რგოლივით იწვლებოდა ხან წალმა, ხან უკულმა. ეს იმისდა მიხედვით, თუ რომელ მხარეს მიაწყდებოდნენ წელზემთ შიშველი და გაბარჯული კუნძებივით მიწაზე მკვიდრად ფეხგადგმული მოჭიდავეები.

მუშაობას გლეხებმაც მიანებეს თავი. თოხები, წერაქვები, ძალაყინები დასტოვეს და ჯერ შორიხლო დადგნენ, მერე კი უფრო მიუახლოვდნენ მოჭიდავეებს, გულხელი დაიჭდეს და გაღიმებული მიაჩერდნენ წრესაც და

იმასაც, რაც წრის შუაგულში ხდებოდა.

ადგილი მისახედრი იყო, რომ ჭიდაობა გერმანელი მეთაურების თანხმობით გაიმართა. თვით ისინი, მეთაურები, ერთად შეჯგუფდნენ იდგნენ შემადგენელ ადგილას და სხვებზე არანაკლებ დაინტერესებული უყურებდნენ ორთაბრძოლას.

ჰოლანდიელებისათვის სიტყვაც არავის უთქვამს, არ უკითხავს, ვინ მოგვით აქ მოსვლის უფლებაო. ამ უწყინარ ჭიდაობას და საერთო აღტაცებას მოჭიდავეთა სილამაზითა და მოხერხებულობით ორ მტრულ ბანაკად გაყოფილ ადამიანებს შორის თითქოს დროებითი ზავი ჩამოეგდო.

წრე ბორგავდა, ვერ ისვენებდა, წაღმა-უტყუღმა იწელებოდა. ისინი, ვინც წინ იდგნენ, ძლივს აკავებდნენ უკანათა მოწოლას. ორი შეატუხა, თითქოს ერთი დედის შობილი ტანმორჩილი ბიჭი უკვე დაღლილი იყო. თვალები ერთმანეთს დატაკებული მოხერხებით უელავდათ, სახეზე აღმური ასდიოდით და მარჯვე წამს ეძებდნენ მოწინააღმდეგის წამოსაჩოქებლად.

წრეში მსაჯი არ ჩანდა. მსაჯის მოვალეობას თვით მყურებლები ასრულებდნენ და როგორც კი რომელიმე მოჭიდავე განზრახ ან უნებლიეთ წესს დაარღვევდა, წრეში მაშინვე უკმაყოფილო გუგუნი ატყდებოდა და მოჭიდავეებიც იძულებული ხდებოდნენ უკან დაეხიათ და ჭიდაობა თავიდან დაეწყათ.

სანახაობა მოულოდნელად შეწყდა. განმარტობით მდგომ გერმანელ მეთაურთაგან ვიღაცას გაახსენდა მუშაობის ადგილზე დატოვებული იარაღები, რომ-

ლებსაც უკვე წყალი ჰფარავდა და/ყვირილი ასტეხა.

ერეკნული

იარაღების დაკარგვის, რაც უკითხელ და ორჯერ როდი მომხდარა, შეიძლება დიდი აყალმაყალი მოჰყოლოდა. ჭიდაობის ეშხში შესულმა ბიჭებმა უხალისოდ მიატოვეს წრე და ზღვას მიაშურეს. შეწყდა ლერწმის სალამურების ზუზუნიც. ოფლში გაწურული მოჭიდავეები, რომელთაც მთელი ყურადღება ერთმანეთზე ჰქონდათ მიპყრობილი და მოწინააღმდეგის წინ წამოხრილი ბეჭებისა და დაძარღვული ღონიერი ხელების გარდა ვერაფერს ხედავდნენ. ერთბაშად ვერც კი მიხვდნენ, რა მოხდა. მათ უნდობლად მოავლეს თვალი მიდამოს, ისე, რომ მოწინააღმდეგის არცერთი მოძრაობა მხედველობიდან არ გამოჰპარვოდათ და მხოლოდ ამის შემდეგ გაბედეს ტანში გამართვა.

ჰოლანდიელები ერთხანს ისევ მათ უყურებდნენ და წელანდებურად იღიმებოდნენ. ორივე მოჭიდავე ახალგაზრდა იყო, მთლად ბავშვი. ადამიანის ფერი არცერთს აღარ ეღო სახეზე. ეტყობოდა, ორივეს დიდი შიში ეჭამა. გულკეთილი გლეხები ღმერთს მადლობას სწირავდნენ, რომ არცერთი არ წაიქცა. აბა, რა ბედენა იყო რომელიმეს წაქცევა!

მათ საშურო არაფერი ჰქონდათ. რადგან იარაღები წინასწარვე დაეწყოთ წყლისათვის მიუდგომელ ადგილზე იდგნენ, ვიდრე ვიღაცამ არ დაიძახა, რაღას ველოდებით, უკვე შინ წასვლის დრო არისო. დასხდნენ, ხის ფეხსაცმელებიდან სველი ქვიშა გამოყარეს, ისევ ჩაიცივეს და ამ უცნაური ხალხის მიმართ რაღაც ახალი გრძნობით აღვისილი მიიმე ნაბიჯით გაჰყვენენ ნაპირს.

თ ა ვ ი XIII

უკვე მეხუთე დღე იყო, რაც ეგვიპტე არტემიძე ამოად ეძებდა თავის ძველ ნაცნობს, პროტესტანტული ეკლესიის ახალგაზრდა მღვდელს, რომელსაც ასე

შემთხვევით გადააწყდა ზანდფორტის ქუჩაში. საყდარში, სადაც მისი აზრით მღვდელი სწირავდა, ერთა ათჯერ შეიხედა, მაგრამ ყოველთვის გაწმინდებული

რჩებოდა ხოლმე. ამან რატომღაც უფრო განუმტკიცა აზრი, რომ მღვდელი სწორედ ის იყო, ვინც ასე ძალიან სჭირდებოდა, ვისაც მისთვის და მისი თანამოაზრეებისთვის მეგობრული ხელის გამოწვდა შეეძლო.

მაგრამ სად იყო მღვდელი? როგორ ეპოვნა? როგორ მოეპოვებინა მისი ნდობა და თვითონაც როგორ ნდობოდა უცხო ქვეყნის შვილს ამ უცხო ქვეყნის მიწაზე? რით დაწმენებულ იყო, რომ თავის არჩევანში არა სცდებოდა?

ამ ფიქრებით ევგენიმ შეთევზეთა და მოაგარაკეთა პატარა ჭალაქი ნაბიჯ-ნაბიჯ შემოიარა. ჯიბეში ინჯიას ხელმოწერილი საშვი ედო და იმედი ჰქონდა, რომ გზაში ვაგლახად ვერაფერს გააჩერებდა. ამჯერად ის საყდრისაკენ აღარ წასულა. ალაღბედზე გაჰყვა ვიწრო ქუჩას. ოთახიდან გამოსვლის წინ, სადაც ოცეულის ბიჭებთან ერთად ღამეს ათევდა, არავის უკითხავს ასე მარტოდმარტო სად მიდიხარო. არც დაბრუნებისას ეკითხებოდნენ, სად იყავიო. არავინ წუხდა ვაითუ რაიმე ხიფათს გადაეყაროსო. ნეტავი კი გადააყროდა რაიმე ხიფათს ევგენი სწორედ ხიფათს ეძებდა, იმას ეძებდა, ვინც საძულველი მწვენი გიმნასტურისა და პატარა თეთრი სამხრეების დანახვაზე ზიზღს ვერ შეიკავებდა და რაიმე საწყენს ეტყოდა. ოღონდ კი ენახა ვინმე ასეთი...

კუთხეში, სადაც საყდრის ვიწრო შესახვევი ტროტუარებიან სავაჭრო ქუჩას უერთდებოდა, ის შეჩერდა და ერთხელ კიდევ თავიდან ბოლომდე წარმოადგინა მოქმედების გეგმა, რომელიც უკვე მოფიქრებული ჰქონდა და განხორციელება კი ჯერაც ვერ გადაწყვიტა. გეგმა ვაბედულ და ამავე დროს დიდ საფრთხესთან დაკავშირებულ მოქმედებას მოითხოვდა. საჭირო იყო მოენახა ისეთი კაცი ან ოჯახი, ვისი მტრული დამოკიდებულება გერმანელების მიმართ არავითარ ეჭვს არ გამოიწვევდა და ამის შემდეგ ყოველნაირად ეცადა მისთან დაახლოება. მთავარი დაბრკოლება აქ ადგილობრივი მოსახლეობის

ენის — ფლამანდიურის უცოდინარობა იყო, მაგრამ, ევგენის აზრით, ყველაზე გერმანულსაც თუ მარჯვედ გამოიყენებდა, დაუფასებელი სამსახურის გაწევა შეეძლო. „ცოტ-ცოტა გერმანული აქ ყველამ იცის, — თავს ირწმუნებდა ის და არცთუ უსაფუძვლოდ, — თუ არ ლაპარაკობენ, მხოლოდ იმიტომ, რომ არ უნდათ ამ ენაზე ილაპარაკონ. მტრის ენაა, მოყვრისა ხომ არა?“

ერთი ვაფიქრება კიდევ გაიფიქრა, მოდი, დავბრუნდები, საყდარს დავათვალიერებ, ცოტა ხანსაც დავაყურადებ, იქნებ ის ქრისტეს ფეხის მკამელი მღვდელი სადმე გამოჩნდესო, მაგრამ ამ განზრახვაზე უმაღლესი უარი თქვა. საყდარში ყურყუტი ამ საღამოსაც წაართმევდა და ერთი დღით კიდევ გადაადებიანებდა გულში ამოჭრილი განზრახვის შესრულებას.

ახლა, რაკი საქმე აქამდე მივიდა, შამშე მღვდელადეს ბევრი რამის გაკეთება შეეძლო. ევგენიმ სწორედ წინა დღეს შეიტყო თავისი ოცეულის ბიჭებისაგან: გერმანელი პატრულების დაპატიმრების დღეს, ღრეობის ყველა მონაწილეს შიშისაგან მუცლის გვრემა რომ ჰქონდა ატეხილი, შამშე ვასო ინჯიას ბლუმენდალში გაეგზავნა. სისჯელი იყო ეს თუ ბრიატნერის რისხვისაგან დახსნა? უთუოდ ერთიც და მეორეც. შამშე იქ სამრეცხაოში მუშაობდა და ადგილობრივი უფროსების ნებართვის გარეშე ადგილიდან ფეხის მოცვლის უფლება არა ჰქონდა.

ევგენის შეეძლო ველოსიპედი ეშოვნა და თვით ჩასულიყო ბლუმენდალში. რომელიც აქედან შორს არ იყო და პარლემს სამხრეთ-აღმოსავლეთით ებმოდა, მაგრამ ეს განზრახვაც უმაღლესი უარყო, რადგან შერისხული მეგობრის მოსანახულებლად საგანგებოდ წასვლას არ შეიძლებოდა დაინტერესებულ პირთა ეჭვი არ გამოეწვია. ინჯიას უთუოდ ჰყავდა თავისი მსტორები თვით ქართველ ბიჭებს შორის, რომლებიც თავისიანებს თვალს ფხიზლად ადევნებდნენ

და მერე ინჯიას ყველაფერს უკაცლად-
ნენ.

„ბიჭი არ ვიყო, თქვენ თუ სააშკარო-
ზე არ გამოგიყვანათ. — ფიქრობდა ევ-
გენი და ბოლმისა და მოუთმენლო-
ბისაგან ტუჩებს იჭამდა, — მაცალთ
ჯერ, მეგონია, ისე ვაგინდეთ საქმე, სულ
იმას იძახდეთ, დედაჩემო, რად გამა-
ჩინეო.“

შაშშეს გარდა სანდო ბიჭები სხვებიც
იყვნენ. „თუნდაც გივი, მიტო და შურა.
რა ვუყოთ. თუ ცხვირი აბზუეს. ეს, მე
თუ მკითხავ, უკეთესიცაა!“

ნიკო მიქიაშვილი და შალიკო ნოზა-
ძე?

შალიკო ნოზაძეს, ისევე, როგორც
მიქიაშვილს, ევგენი ჯერ კიდევ კრუში-
ნაში იცნობდა. შალიკო იქაც სურსათ-
სანოვაციის საწყობში მუშაობდა და ევ-
გენის დანამდვილებით ჰქონდა ვაგებუ-
ლი, რომ, მაიორ ქარციხიას მითითების
თანახმად, მან უამრავი სურსათი ვაზი-
და საწყობიდან და პოლონელი შუამავ-
ლების მეშვეობით ტყის გზას გაუყენა
პარტიზანების მოსამარაგებლად.

ეს ამბავი კრუშინაში ბევრი ვინმეს
ყურამდე იყო მისული, უფრო ბევრის,
ვიდრე ნოზაძეს ეგონა, მაგრამ ციხე ში-
გნიდან არ გატეხილა.

ევგენის ახლავე შეეძლო შალიკო
მოენახა და თავის განზრახვა გაეხდო.
ნოზაძე ასაკითაც უფროსი კაცი იყო,
საქმეში გამოცდილიც, ამასთანავე სავ-
სებით სანდო და თავის სამშობლოს
უყოყმანოდ ერთგული.

„ვაითუ თავად არ მენდოს. — გაიფი-
ქრა ევგენიმ და გული აუფრიალდა. —
ვინა ვარ მე — ცინგლიანი! მაშ, რა
ვქნა? — სასოწარკვეთით ჰკითხა მან
თავს, — როდემდე ვიყო ასე გულზელ-
დაკრეფილი? როდემდე ველოდო?“

მტანჯველი ფიქრებიდან ხალისიანმა
შემახილმა გამოიყვანა. ევგენი შეკრთა
და დაფეთებული მიაჩერდა მის წინ
გაჩერებულ შუატანის, შავგვრემან
უნტეროფიცერს, რომელსაც ველოსიპე-
დი ჭუჩის პირას მიეყენებინა, მარჯვენა
ფეხი ტროტუარზე შემოედგა და მარც-

ხენათი კი ისევ ველოსიპედის პედალს
ეყრდნობოდა.

ეს იყო პირმრგვალი, ოცი-ოცდობრი
წლის ლამაზ-ლამაზი ჰაბუკი. ტანთ კობ-
ტად მორგებული მწვანე გიმნასტურა
ეცვა, ფეხზე — აწკიალა ჩექმა, გრუზა-
შავ თმას კი ძლივს უფარავდა დარდი-
მანდულად გვერდზე მოგდებული პი-
ლოტურა. ჰაბუკი ევგენის თვალეზაბ-
რწყინებული უყურებდა, ოდნავ მომს-
ხრო, ქათქათა კბილებს აჩენდა და თავის
სიხარულს აშკარად გამოხატავდა.

ევგენიმ იცნო გოგი გარსევანიშვილი.
თავდაც გააჩარა მისმა ნახვამ. ერთმა-
ნეთს გადაეხვივნენ. გოგი კიდევ ერთი
„კრუშინელი“ ქართველი იყო. ევგე-
ნი რომ მოზდოკიდან დაბრუნდა, გოგი
იქ ტელეფონისტად თუ ტელეფონისტე-
ბის ათმეთაურად მუშაობდა და ვისმე
რომ თვალში ჩავარდნოდა, ხელსაც არ
ამოისვამდა.

— აღარ მეგონა, თუ კიდევ გნახავ-
დი, — იკრიჭებოდა გოგი და თვალებს
ჰუტავდა. — გივი ანთიძე და გიგაშვი-
ლიც აქ არიან? სად გაქრით, თქვე
ღმერთბაღლებო! რა ჰქვია გიგაშვილს?
სახელი დამავიწყდა.

— მიტო.

— ერთად ხართ ყველა?

— მიტო მეხუთე ასეულშია, შალვა
ლოლაძესთან. გივი ნოე გონგლაძის ასე-
ულში მოხვდა. შენ? შენ სადღა ხარ?

— პირველ ასეულში. აკაკი მაჩაიძეს-
თან.

— ისევ ტელეფონზე? — ევგენიმ
მარჯვენა ხელი ყურთან მიიტანა და
გაიღიმა.

— აბა, რა გგონია!

— მთავრობა კაცი ხარ! ჩემს ამბავს
რატომ აღარ მეკითხები?

— თქვი, რაღა კითხვა გინდა!

— გივი მინდიაშვილს იცნობ?

— როგორ არა. მაგისი პირველი ოცე-
ული აქ დგას. ზანდფორტში.

— ჰოდა, იმ ოცეულში ვარ მეც.

— მოგწყობია საქმე და ეგ არის.

— რით ვითომ?

— მე მეკითხება! — გოგი იმევე გაიყ-

რიკა და თვალეები ეშმაკურად მოწყურა.

— რით ჯობია ჩემი ოცეული სხვას?

— იმით, რომ ზანდფორტში დგას.

— მერე?

— იცი, რა გოგოებია? თითებს ჩაიკე-ნეტ!

— იპ, ერთი შენც! — ევგენი გაწით-ლდა და ამხანაგს თვალი მოარიდა.

— იპ, თუ არა, დამიწუნებ, შენმა მზემი!

— იცნობ ვინმეს? — არტემიძემ ქვეშ-ქვეშ გამოჰხედა.

— რა შენი საქმეა! — გოგიმ პილოტურაზე აიკრა ხელი, ისედაც დარდი-მანდულად გვერდზე მოქცეული კი-დევე უფრო გვერდზე მოიქცია და ვე-ლოსიპედის საჭეს მკერდით დააწვა. ვე-ლოსიპედმა ჭრიალი დაიწყო. — აკი არავის არ ვუყუარებო?

— ვერ გაიგონე, რა თქვა იმ დღეს ინჯიამ?

— რაო?

— ნურავის გაეყარებითო, ასეო, ისეო...

— მაგას თუ უგდე ყური... თვითონ? თვითონ რატომ დაძვრება სხვებზე მეტად?

— რა დროს მაგისი გოგოებია, ბიჭო, ცალი ფეხი სამარეში უდგას.

— აგრე ჰკითხე! მივდივარ ახლა მე, ევგენი. რომელი საათია, საათი არა გაქვს?

— სად მიგეჩქარება? — ევგენიმ სა-ხელო გადაიწვია და საათზე დაიხედა. — რომელი გინდა, რომ იყოს? ცხრა სრუ-ლდება. შორსა ხართ აქედან?

— ორმოცი წუთი უნდა. დაღამდება თუ არა, გზაში პატრულები დგანან. კვირას კიდევ ჩამოვალ. კაკო დამპირდა, ვაგიშვებო. მართლა, შამშესი რა იცი?

— ბლუმენდალშია.

— ვადარჩენილა და ეგ არის.

— ინჯიას უნდა უმადლოდეს.

გოგი ისევ მკერდით მიაწვა საჭესკ ფე-ხი ტროტუარის ფილას წაჰკრა და ვე-ლოსიპედი წინ წააგორა. როცა ზედ გაიმართა, ერთხელ კიდევ მოიხედა და

გამომშვიდობების ნიშნად ევგენის ხე-ლი დაუქნია.

ევგენიმ აღარ დაუცადა. გველოსიპედის და თვალს როდის მიეფარებოდა, მა-შინვე გამობრუნდა და ჩქარი ნაბიჯით ოცეულის სადგომს მიაშურა. ათიოდე წუთის შემდეგ ის ისევ ჩამოვიდა, შესა-ხვევი სწრაფად განვლო და ტროტუარე-ბიან სავაქრო ქუჩას გაუყვა. გზადაგზა მოუსვენრად დახედავდა ხოლმე ილლია-ში ამოჩრილ შეკვრას, რომელშიაც ერ-თი ხელი სუფთა საცვალი ჰქონდა შე-ფუთული. თალიან ჰინჯარს გაუარა და მდიდრულად მოხარატებული სადარ-ბაზო კარის წინ შეჩერდა. თვალებით ელექტროზარის ღილაკს ეძებდა. „არა, აქ ნუ დარეკავ!“ — თითქოს მოესმა მას შინაგანი ხმა და ზარის დასარეკად აწე-ული ხელი უკან წამოიღო, მაგრამ ბო-ლო წამს ხელი ისევ მიუახლოვდა კარის ეარდისფრად შეღებილ ჩარჩოს და შუათითი მთელი ძალით დააწვა ზარის ღილაკს.

შეგნიდან ბაიბური არ ისმოდა. ზარი ან დაზიანებული იყო ან გამოთიშული.

„იქნებ სადმე სხვაგან ირეკება და ხმა აქამდე ვერ აღწევს?“ — გაიფიქრა ევ-გენიმ და ზარის ღილაკს უფრო ხანგრ-ძლივად დააწვა. ახლა არავითარი ეპვი აღარ იყო, რომ ზარი არ მუშაობდა. მაშინ ორივე ხელი მოავლო თითბრისა-გან ჩამოსხმულ ლომის თავს, რომელიც კარს სახელურად ჰქონდა და შეანჯღრია. კარი თითქმის უძრავად იყო ჩასმული ჩარჩოში. ძვრაც ვერ უყო. „არავინ არ არის!“ — გაიფიქრა იმით კმაყოფილმა, რომ ამდენი გაბედა, ტროტუარზე გზა განაგრძო, სამი სადარბაზო კარი გამოს-ტოვა, მეოთხესთან გაჩერდა და ვიდრე ზარის ზონარს ჩამოსწევდა, ორსართუ-ლიან, მანსარდწამოდგმულ აგურის სახლს აჰხედა. ჯერ თუმცა დაღამებული არ იყო, მეორე სართულის ვიწრო ფან-ჯრების დარაბებში მოწითალო ღინათ-ლის მკრთალი ზოლები ატანდა.

„თუ გინდა, სანაძლეოს ჩამოვალ, აქ სახლში ქეიფია!“ — ვიდაც უჩინარს შე-ედავა ევგენი და უმაღ ყოყმანმა შეიპ-

ყრო, დაერეკა თუ არა. ვის შეეძლო ექითი და დრო ეტარებინა იმ დროს, როცა ირგვლივ ადამიანები შიმშილობენ და ქალაქში მტრის ჯარი დგას? ამას კითხვაც აღარ უნდოდა. ევგენიმ გზის განგრძობა დააპირა, რათა ორი-სამი კაცი კიდევ გამოეტოვებინა და მხოლოდ მეოთხესთან ან მეხუთესთან დაერეკა, რომ მის ზურგს უკან საკეტებმა გაიჩხაკუნა, საღდაც გასაღები გაფაქრილდა და კარი მძიმედ გაღვო. ევგენიმ გაცულაც ვერ მოასწრო. რაკი ქუჩაში მის მეტი არავინ იყო, სხვა გზა აღარ ჰქონდა — მოიხედა და სახტად დარჩა.

ღია კარში თეთრფილტვიანი, სახეგაყინული ორმოციოდე წლის თავგადაპარსული კაცი იდგა და ძველი მეგობარივით შინ ეპატიჟებოდა. შიგნით, საიდანაც კაცი გამოვიდა, სიცილი, ყაყანი და მოთენთილი მუსიკის ხმები ისმოდა.

ევგენიმ წარმოიდგინა ლამაზმანებში ჩამჭდარი ვალადებული ბრაიტერი, ოქროს სამხრეების ბრწყვიალი, მუც-

ლამდე გახსნილი მუნდირები, მუსხლს ზემოთ წამოხდილი კაბის კაღვლევა...

— მობრძანდით, შეგნათ... მთქმარქნდით, თქვენნი სტუმრობა დიდი პატივია! — დამტვრეული გერმანულით მიმართა კაცმა მას და ეჩინებოდა, მსუქანი სახისათვის საესებით შეუფერებელი, ცერცვივით წვრილი თვალები ალერსიანად მიავყრო.

„როგორ გაიგეს თუ აქ ვინმე იყო? მე ხომ არ დამიკავუნებია! — ფიქრობდა ევგენი. — ალბათ, თვალი უჭირავთ კარზე, ზემოდან დამინახეს!“

— Bitte, bitte kommen Sie rein! — მუდარით გაიმეორა კაცმა, როცა შეატყო გერმანული ყოყმანობსო და ორივე კოტიტა ხელი წინ გამოიწვდინა.

— Nein, nein! — თავისთვისაც მოულოდნელი გაწიწმატებით წამოიძახა ევგენიმ. — Ich hab mich geirrt!

ამ სიტყვების ნაჩქარევი წარმოქმის შემდეგ მას უკან აღარ მიუხედია და აღარც იმისთვის მოუცდია, სტუმართმოყვარე მასპინძელი პასუხად რას ეტყოდა, თავისი შეკერა გულზე მიიხუტა და ქუჩა სწრაფად გადასჭრა.

თ ა ვ ი X IV

მეორე კარი მაღალ-მაღალმა, პირხმელმა, სამხრეთელივით შევეგრემანმა მამაკაცმა გააღო და ხელში რომ გერმანელი უნტეროფიცერი შერჩა, თავისდაუნებურად შუბლი შეიკრა და დაუპატიჟებელ სტუმარს ხმაამოუღებლივ მიაჩერდა.

— Guten Abend! — ევგენიმ მთელი გამხედლობა მოიკრიბა და თუმცა ატყობდა, რომ სტუმრის დანახვა კაცს არაფრად ეკაშნიკა, ღიმილით მიესალმა.

— Wen möchten Sie?! — საღამუზე პასუხის გაუცემლად ჰკითხა კაცმა და შუა კარში დადგა, რადგან ამ დროს ევ-

გენი ადგილიდან დაიძრა და, როგორც გერმანელებმა იცოდნენ ხოლმე, შეუპატიჟებლად შიგნით შესვლა დააპირა.

— Darf ich herein? — თანაც ღიმილით ჰკითხა კაცს, რაკი შეიტყო სახლში შეშვება არ უნდოდა.

— Hier sind die Wäsche... Ist hier eine Wirtin? —

პირქულში მასპინძელმა რალაც წაიბუტბუტა თავის ენაზე, გაბრუნდა და ვიწრო ტალანი ამაყად თავაწეულმა გაიარა. ევგენის თავმოყვარეობა და ადამიანური ღირსება შეღაბული იყო. მას-

1 გზხოთ, გზხოთ, შემობრძანდით.

2 არა, არა.

3 კარი შემეშალა.

4 თქვენთან არ შეიძლება?

5 აი საცულები... ღისახლია ხომ არის!

პინძლის მოქმედება სტუმრის გაღაზვას უდრიდა.

„ასე მხოლოდ ჩრდილოეთში შეიძლება, — ფიქრობდა ევგენი და გულში უხაროდა, რომ საქმე იმაზე უკეთ მოეწყო, ვიდრე წარმოდგენა შეიძლებოდა. — ჩვენებური კაცი ამას ვერ იზამს, გინდ მოჰკალი!“

სიფრთხილეს თავი არ სტკიოდა. ამ უცნაურ კაცს შეეძლო მარტო უცხვირპირობით არ დაკმაყოფილებულიყო და სტუმრისათვის კიდევ უფრო სამახსოვრო სიტუპირიზი მოემზადებინა. მოწმე ეყოლებოდა ვინმე თუ ხელისშემშლელი! სანამ შენ მიბრუნ-მობრუნებას და რისამე თქმას მოასწრებდე, გაგიხარია, უკვე საიქიოს იქნები. მაგრამ ახლა უკან დახევა, სხვა რომ არა, სირცხვილი იყო.

ტალანში შესვლისა და კარის მოხურვის წინ მან ფრთხილად მოისინჯა შარვლის უკანა ჯიბე, სადაც თავისი განუყრელი ბელგიური პისტოლეტი ედო და როცა დარწმუნდა, ყველაფერი რიგზეაო, ტალანში გაბედულად შეაბიჯა.

ნათურით განათებულ ტალანს რომელშიაც დღის სინათლე არსაიდან შემოდიოდა, სადარბაზო კარის გარდა კიდევ სამი კარი ჰქონდა. იქვე იყო ზედა სართულში თუ მანსარდში ასასვლელი კიბე. ევგენიმ გვერდი აუარა სამზარეულოსა და სააბაზანოში შემავალ კარებს და იმ კარს მიადგა, რომელშიაც მასპინძელი შევიდა.

ის უბრალო ავეჯით გაწყობილ, მოზრდილ, დაბალჭერიან ოთახში, რომლის სილამაზესა და მშვენიერს მწვანე კაფელით მოპირკეთებული ბუხარი შეადგენდა, თავი მოეყარა ოჯახის ყველა წევრს.

ოჯახის უფროსი, აი, ის ახმახი კაცი, ვინც ევგენის კარი გაუღო, ჭურჭლის კარადასთან იდგა, პურის საჭრელი ფიცარს გამოეწია და აღმასივით მახვილი დანით თუთუნს ჰკრიდა.

შუა ოთახში, იატაკზე, შვიდი-რვა წლის, ბანტებით თმაგაქაჩულ, სათვალეზიან გოგონას მოეკეცა და აქა-იქ საღებავადაშორებულ, ქერა დედოფალს ხატვას ასწავლიდა. მის მახლობლად საეარძელი იოეჩოჩენბენი ფალასავით ქერა, თითქმის თეთრისმკანეს, ცისფერთვალეზა ქალიშვილს, ალბათ პატარას უფროს დას, და ქარგვაში გართული თვალს ადევნებდა პაწაწინა დაიკოს პედაგოგიურ საქმიანობას.

ფარდამოთვარებული ბუხრის წინ, ღრმა სელის სკამზე სათნო გამომეტყველების, ავადმყოფურად მსუქანი, შუახნის დედაკაცი იჯდა, კოტიტა ფეხები დაბალ ტაბურეტზე შემოეწყო და წიგნს კითხულობდა.

ევგენის გამოჩენა ამ ქალისა და ბავშვებისათვის საფხვებით მოულოდნელი აღმოჩნდა. სიტყვაძვირ ოჯახის უფროსს, რომელიც კარის ვასალეზად წამოსვლის წინაც, ალბათ, თუთუნს ჰკრიდა, უთუოდ არ გაუფრთხილებია შინაურები, სახლში უცხო მამაკაცი შემოვიდაო და ამიტომ ისინიც განცვიფრებული მიჩერდნენ თითქოსდა სიზმრად გამოცხადებულ გერმანელ უნტეროფიცერს.

ქალმა წიგნი მუხლებზე დაუშვა და გაიმართა. პატარამ თავი გაანება მასწავლებლობას, დედოფალა გულზე მიიხუტა და სატირლად მომზადებულმა ოთახში თვალეზით მამა მოქებნა. მხოლოდ ქალიშვილი არ განძრეულა. ის ისევ მშვიდად იჯდა საეარძელში, ფეხი ფეხზე გადაედო და ვარდისფერ თითებს შუა მოციმციმე წინდისჩხირებს ჩაჰკირკიტებდა.

— Guten Abend, gnädige Frau! — რამდენადაც შეეძლო თავაზიანად მიმართა ევგენიმ დიასახლისს, გაიღიმა და ორი თითი შუბლთან მიიტანა. — გთხოვთ მაპატიოთ, თუ უდროო დროს შემოვიჭერი და ოჯახური მყუდროება დაგირღვიეთ.

„ესეც ასე! — ფიქრობდა ის გულში, — პირველი ვასაჭირი უკვე გადატანილია. ახლა მთავარი ის არის, სიღარბისლე შევინარჩუნო და ამ მეტიწარა გოგოს, ზედაც რომ არ მიყურებს და“

1 საღამო მშვიდობისა, ღირსეულო ქალბატონო!

თითქოს ვერცა მხედავს, ყურადღება არ მივაქციო“.

— დაბრძანდით, ბატონო, როგორ გეკადრებათ, — დიასახლისი თანდათან მოეგო გონს, რადგან ქმრის უმოქმედობამ დაარწმუნა, რომ საშიში არაფერი იყო და საკმაოდ გამართული გერმანულითვე უპასუხა. — კოორ, რაღას უდგებარ, შე კაცო, მთართვი სტუმარს სკამი!

ეს უკანასკნელი წინადადება მან თავის მშობლიურ ფლამანდიურ ენაზე წარმოთქვა, მაგრამ ევგენიმ გუმანიით იგრძნო, ქალი რასაც ამბობდა, ბუნებრივად თავისუფალ სკამს მოჰკრა თვალი. თვითონვე მივიდა იქ, დაჭდა და შეკვრა მუხლებზე დაიდო.

სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა. დროდადრო მხოლოდ დანის ღრკინი და ფხაკუნი ისმოდა. კაცი ოსტატურად ჰქრიდა თამბაქოს, აბულულებდა და დანის პირითვე ფიცრის მეორე კუთხეში აგროვებდა.

ევგენის უნდოდა ხმა ამოეღო, რაღაც ეთქვა და თითქოს განზრახ ენაჩავარდნილი კაცის ჯიბრზე ეს უხერხული დუმილი დაერღვია, მაგრამ ლაპარაკის უნარი როგორღაც წაერთვა და სიტყვა რომ სიტყვაა, ისიც აღარ აგონდებოდა. ქართული რომ სცოდნოდათ ამ ოჯახებურებს, კიდევ ვო, რაღაცას მოაჯახიბებდა კაცი...

— ცხელი რძე გვაქვს, ხომ არ ინებებთ? — სიჩუმე კვლავ დიასახლისმა დაარღვია, მერე უცებ მიხვდა, რომ ისევ იჭდა. აფუსფუსდა, წიგნი გვერდზე გადასდო და ფაფხურ-ფაფხურით ტაბურეტიდან ჩამოვიდა.

— არა, არა, დედი, — ქართულად წამოსცდა ევგენის, თავის შეცდომას უმალ მიხვდა და გერმანულად დაუმატა: — ახლა ვივახშმე, ღმერთმანი! რძე მაწყინარია, მუცელს მტყენს...

— რას ამბობთ, ეგ ამჟამად პირველად მესმის. როგორ შეიძლება, რძე გწყენდეთ... — დიასახლისის მზერა ქმრის პირქუშ გამოხედვას წააწყდა. პირქვე დადებულ გაშლილ წიგნს მან ბუხრის

ფიტონზე ადგილი მოუნაცვლა და ისევ დაეშვა თავის სკამზე. *ერეკენული*

— წარმოიდგინეთ, *მამა* — წუხებულები სახე მიიღო. მან ვერც კი შენიშნა, ვითომდა თავის ხელსაჭეში გართულ ქალიშვილს თვალები როგორ აუწყლიანდა და ერთ გემრიელ გადაკისკისებას ცოტალა აკლდა. — როგორც კი დაველეე, მაშინვე მუცელში გამხსნის და... ბოდიში...

— ძალიან სამწუხაროა, — დიასახლისმა გულწრფელად უთანაგრძნო, — უნდა იმკურნალოთ. ახალგაზრდა კაცი ხართ, ჯერ რა დროს ეგებება.

ევგენი სირცხვილით იწვოდა. ორჯერ ზედიზედ მოიწმინდა სიმწრის ოფლი და კოპლებიანი ცხვირსახოცი ღრმად ჩაიკეჭა ჯიბეში. „ახლა ადექი და წადი! — თითქოს ცხადლივ ჩაესმა შინაგანი ხმა, — წადი, სანამ ახალ სისულელეს წამოროშავდე. შენ ხომ სახელში შეშვების და წესიერ ხალხში გარეგის ღირსი არა ხარ! სხვა სალაპარაკო თემა ვერაფერი გამონახე? გამხსნის და გამატილებს... შტერი!“

ის უცებ წამოხტა, თითქოს ხელი გავარვარებულ კეცზე მოაკიდებინესო და გამომშვიდობება დაიწყო. თავი რამდენჯერმე მდამლად დაუკრა სტუმრის უეცარი წამოვარდნით განცვიფრებულ და ცოტათი შეშინებულ დიასახლისს, უფროსი დის ნიდაყვს ამოფარებულ პატარას ღიმილით თითი დაუქნია; ქალიშვილსაც ვითომ გამოემშვიდობა, თავისი შეკვრა იმავე სკამზე დადო, რომელზედაც იჭდა და დიასახლისს ზედ ანიშნა.

— თუ შეიძლება... ერთი ხელი საცვალაა. ხვალ ამ დროს გეახლებით. მშვიდობით ბრძანდებოდეთ...!

მან ერთხელ კიდევ დაუკრა ქალს თავი და კარს მიავშტრა. ქალიშვილი არც ახლა განძრეულა. მთელი გულსიყუერი წინდისჩხიბებისათვის მიეპყრო. არც ოჯახის უფროსს შეუწყვეტია თუთუნის დაჭრა. თავი მხოლოდ მაშინ აიღო, როცა სტუმარმა ტალანი გაიარა, დანისპირი სახელოზე აისე-დაისეა და

გაურკვეველი ბუზღუნით კარის ჩასაკეტად წავიდა.

მთელი ის დამე და მომდევნო დღე ვეგენიმ მოუსვენრად გაატარა. ის დარწმუნებული იყო, რომ სწორ გზაზე იდგა და ბედს უმადლოდა. ყველაფრიდან ჩანდა, რომ მისი ნაცნობი ოჯახი, თუ შეიძლებოდა მისთვის მართლაც ნაცნობი გეწოდებინა, ერთი იმ მშრომელი და პატიოსანი ოჯახთაგანი იყო, რომლის მსგავსი ყოველ ქვეყანაში ასობითა და ათასობით მოიძებნება. ამგვარი ოჯახები თავიანთი მყუდრო ცხოვრებით ცხოვრობენ, უფრო ხშირად თავი პოლიტიკისაგან შორს უჭირავთ, რადგან იგი მაღალი სფეროების კუთვნილებად მიაჩნიათ და თავიანთი ყოველდღიური არსებობით ქვეყნის დულაბსა და სიმტკიცეს შეადგენენ.

ოჯახის უფროსი კოორი, ეს სანაპი-

როს ქარებისაგან გამომშრალი, ანძასავით მაღალი, მკაცრი კაცი, თბუნის ნიშნით შვიდითა და გულში ჩახვეული ბოლოთითიქოს მტრის ჩეჭმის ქვეშ მოქცეული ქვეყნის დაუმორჩილებლობასა და შეურიგებლობას განასახიერებდა, რომელიც ყოველ წამს მზადაა ნაპირებიდან გადმოვიდეს, ნიაღვრისაგან აღიდებულ მდინარესავით მოვარდეს და გზაზე ყველაფერი, რაც კი წინააღმდეგობას გაუწევს, წალეკოს და გააცამტვეროს. ოჯახის დიასახლისი ქმრის მამაკაცურ სიმკაცრესა და შეუპოვრობას ადამიანურ სითბოს სძენდა და თითქოს თვით ამ კაცის გულში ღრმად ჩამარხულ კაცთმოყვარეობას და სათნოებას ააშკარავებდა. მათი ამაყი ქალიშვილი ხალხის დაუმორჩილებლობის და იმედის სიმბოლო იყო, რომელსაც ვერც მოჰკლავ და ვერც სისხლს დაადენ...

□ გაგრძელება იქნება □

მთარ კუპრავა

გეზნიერების დიღო ტაქარო...

დიღო ტაქარო, დიდება შენდა,
თბილისის გულში გულად მფეთქავო,
ვარდიან გზაზე მლოცველო დედავ,
საკაფავ გზაზე — აბჯარ-ბექთარო.

დიდი სიმღერის ცეცხლი ავარდა,
მინდა ეს ცეცხლი ქქონდეს შუქურად
მერცხალს, რომელმაც შენს თეთრ
ლავეგარდანს
პირველი ბუდე მიაჩუქურთმა,

იმ პირველ სტუდენტს, იმ დიღას სისხამს,
ღელღით რომ აპყვა მაღალ კიბეებს...
შენი სიკეთე მისხალ და მისხალ
გაზიდულია კიდით კიდემდე.

გარს გეხვევიან კმაყოფილებით,
გულს გიკოცნიან კვლავ დაჟინებით —
ჭაბუკნი, შენი გამოსრდილები,
შენი ჭალარა, სიყრმის შვილები.

ცხოვრების მქუხარ ფონს რომ გავიდნენ,
ყველა შენია, შენი ღვიძლია...
და საქართველოს მზიან ამინდებს
შენს ჩუქურთმებში გაულვიძნია.

ბევრი ტკივილიც მიეიკრავს გულთან,
ჭირთა მომთმენო, სიცოცხლის კერავ,
ვაჟა-ფშაველას უკვდავი სუნთქვა.
შენს კედლებს შერჩა უხილავ ფერად.

შენ დაგვანათლე სახელად: კაცნი!
გვთვალე ასობით და ათასობით
და თთარაანთ ქვერივის სიმკაცრით
ჩამოგვირიგე პური არსობის.

და გული ახლაც იმ შუქით გიცემს,
პირველი დღიდან რომ იფერებდი.
გადასწვდენია მსოფლიო სივრცეს
სახელი შენი კორიფეების.

ყინვაში თითქო ფეხვებით შევლი,
მზიან ამინდში გრილ ჩრდილს აფარებ —
მელიქიშვილის, ჯავახიშვილის
და კეკელიძის წმინდა საფლავებს.

გზათა გამგრძობნი დამდგარან ერთად,
მათი სული აქეთ, მათი სისხლი აქეთ...
სიკვდილის ლანდი შენს ბუქესთან შეკრთა
და ცელი მუხლზე გადაიმსხვრია...

შენ უკვდავების სტრიქონებს წერდი,
როცა გრიგალი მოაწყდა მუხებს,
მსწრაფლ მოიგლიჯე შვილები მკერდით,
საკაცობრიო ბრძოლისკენ უხმე.

მაშინ მახსოვხარ გულაკოდილი,
თითქო ბათქაში ჩამოვიშვავდა,
ცხრა შვილის დედის წვით და ლოდინით
დიდ საქართველოს იდექ ქიშკართან.



უტვედნენ გმირნი ქარსა და ხორშაკს,
შენი სახელი სწამდათ ფიცადაც...
და რაიხსტაგზე აზიდულ დროშას
შენი გაზრდილის მკერდიც იცავდა.

ბევრმა ვერ ნახა კვლავ ამ ცის ეშხი,
შენს შეძახილს რომ შორით უსმენდა...
და ახლა, ღამით, ცისფერ სიზმრებში,
გაწვალებს დარდიც შინმოუსვლელთა.

დიდო ტაძარო, დიდება შენდა,
ქართველთა გულში გულად მფეთქავო,
ვარდიან გზაზე მლოცველო დედავ.
საკაფავ გზაზე — ამჟარ-ბექთარო.

შენმა შეილებმა, შენმა მკეიდრებმა —
რომ გყვანან მძღაერნი და ჯანშაგარნი —


შორს გაიტანეს შენი დიდება,
შენი ვენახის თითო ჯაგანი.

ჩვენთვის იზრუნე, ჩვენთვის იწვალე,
კვლავ არ გღალატობს ძალა უღვევი,
ფესვებს უღბობენ ქვეყნის სიმწვანეს
შენგან წასული ნაკადულები.

დიდო ტაძარო, დიდება შენდა,
გული ბევრს ამზობს, გული ბევრს იტვეს,
უთვალავ სიმთა გაცოცხლებს ფეთქვა
სიბრძნის, სინათლის უნივერსიტეტს.

დიდება შენს ზვრებს, ვაჟსა და ხარდანს,
შიწას — შადლიანს, ცას — გაუქურდველს,
მერცხლს, რომელიც შენს თეთრ

ლაგარდანს
კვლავ მრავალ ბუდეს მიაჩუქურთმებს.



გიორგი ბელაშვილი

მ მ თ ს რ მ ბ ე ბ ი

ნ 0 ს 0 ბ

სოფლის მაღაზიის გამგე-გამყიდველი დასაფასებელი, ანგარიშგასაწევი პიროვნებაა სოფელში. მით უფრო, თუ სოფელი პატარაა და კოლმეურნეებს ყოველდღე სხვადასხვა აუცილებელი წვრილმანის ყიდვა სჭირდებათ, ხოლო გამგე-გამყიდველი ერთადერთი კაცია მაღაზიაში. ერთადერთი კია, მაგრამ ალალია, სოფლის ავ-კარგი, მოთხოვნილება უაეგება და ისე ფხიზლად ზრუნავს საქონლის შემოზიდვაზე, როგორც კოლმეურნე მოსავლის მოყვანაზე. ამავე დროს მას ცოდვად არ მიაჩნია მცირეოდენის ნისიად გაცემაზე ხალისით დაყაბულება.

მაგრამ არიან ჯიბიდან გავარდნილებიც.

ერთ-ერთ ამისთანასთან, გაწრუბულ და ცხვირდაწითლებულ ცბიერ კაცთან, რომელიც დახლის მიღმა სოროში შესაძრომად განაბულ თავგს ჰგავდა, ხალვათად შემოალაჯა ტანმოსულმა ახალგაზრდა ტრაქტორისტმა.

— შენი ჭირიმე, ჯიბეზე ფული არ გამოწყოლია და ორი წითელი კოლოფი ძველებური უფილტრო სიგარეტი მენდე საღამომდე.

გამგე-გამყიდველი გაცვეთილი კაცი

იყო და პასუხიც გაცვეთილი აღმოაჩნდა.

— ფული ძალი არ არის რომ თავისით გამოგყოლოდა. ბევრსაც ეწევი.

— შენ ვადმოალაგე, — დაუბღვირა ტრაქტორისტმა და დამფრთხალმა გამგე-გამყიდველმაც საჩქაროდ მიართვა რასაც მოითხოვდნენ, თან ორი კოლოფი ასანთი და ოცკაპიკიანიც დაამატა.

— ეს რალაა? — გაიოცა ტრაქტორისტმა და აბაზიანი ჰაერში შეაბზრიალა, რომელიც შემდეგ დახლზე სიბრტყით დაეცა და წამოდუღებული ქვაბის სახურავივით თახთახებდა.

— მრგვალად იყოს.

— რას მიმრგვალებ, კაცო?

— ორი კოლოფი სიგარეტი — ოცდარვა კაპიკი. ორიც ასანთი — ორი კაპიკი. სულ ოცდაათი. ზედაც აბაზი და მრგვალად ათი შაური გემართება.

ტრაქტორისტმა — სწორედ ქართული ზღაპრის გაცოცხლებული კეთილშობილი რაინდი იყო გოლიათი ვაჟკაცი — ქლესა გამგე-გამყიდველს საკადრისი უცებ არ მიუზღა. დინჯად ჩააელო მას ქეჩოში თავისი მარგილისოდენა თათი და ჰაერში ისე ასწია და შეათვალღიერა როგორც ლაყუჩებში წყელ-

ამოყრილი, თვალეზამობრუნებული თევზი შემდეგ ნელა ისევ დაბლა დაუშვა, მეორე ხელი კი ერთდროულად მოტვლებილ თავში ჩააფარა და ქაღალდის პარკივით ჩაეცვა.

ტრაქტორისტი ხელცარიელი წავიდა. გამგე-გამყიდველს შიშით არ უჩივებოდა. რომ ეჩივლა კი, ექნებოდა მისი მართლებდნენ.

შედეგი

კაცმა კაცს მოკრძალებით შეახსენა, მისგან ძველი ვალის დაბრუნება რომ ეკუთვნოდა და თვითონვე ისე დაირცხინა, თვალის ვერ გაესწორებინა. შემთხვევით ქუჩაში შეეყარა მას, თან კიდევ სახლში ავადმყოფი ჰყავდა, ხელმოკლედ იყო და ამ გარემოებამ გააბედვინა რაც გაბედა — თავისი კუთვნილი რომ მოითხოვა.

მოვალემ კი სახეზე დამცინავი დიმილი და ზიზღი გამოლმიჭა.

— ვალსა მთხოვთ? — შეურაცხყოფილი კაცის კვლობაზე, რაღა თქმა უნდა, „თქვენობით“ დაუბრუნა მან სიტყვა თავხედ მოკეთეს, ანუ მრავალი წლის ნაცნობობის მანძილზე პირველად მიმართა ასე, — მოგართმევთ. აქამდეც მოგართმევდით, მაგრამ, ვფიქრობდი ერთგვარად გესახებებოდათ კიდევ, რომ ჩემისთანა დაფასებულ კაცს კიდევ ერთხანს თქვენი მოვალე მერქმეოდა.

გულზვიადი კი იყო მოვალე, მაგრამ

მის გულში ცოტაოდენი სიკეთეც ღვიოდა. რომ მიხვდა, რომ მკვახე პასუხი გამოუვიდა და ზედ ახლა სულგრძელობა დააკმია, როცა გულის ჯიბიდან ბრტყელი, წიგნაკივით საფულე ამოიღო და საცოდავად მოკუნტულ ყოფილ მოკეთეს ფული შეწყალებით კაპიკ-კაპიკ გადაუთვალა.

— ფული ისეთი რამ არის, გამსესხებელსა და ვალის ამღებს შორის უსიამოვნების ჩამოგდება იცის. შენც ერთდ მაგ ზედმეტი კაცთმოყვარეობის გამოჩენას და მომღურებულებს აღარ გეყოლება.

ავადმყოფის პატრონის ხელსა და ჯიბეში კუთვნილი ფულის გარდა კაპიკსაც არასდროს გაეგლო, მაგრამ როცა ყოფილი მოვალე, რაღა თქმა უნდა, დაუმშვიდობებელიც გაშორდა მას, დაბეჩავებული და დამცირებული დარჩა ადგილზე და ეგონა მიწა ფეხქვეშ უსკდებოდა, თითქოს ნაპარავი ან გამოძალული რგებოდა.

მ ბ რ ი

რაიონიდან დედაქალაქში ჩამოსულ ინჟინერს სამმართველოში გამოჩენისთანავე თანამშრომლები შემოეხვივნენ და ყველამ ერთხმად თანაუგრძნო.

— კულტურის სახლს თუ მაღაზიას რომ აშენებ, ჩამოგნგრევიაო.

ინჟინერი საბტად დარჩა და ხმა ვერ ამოიღო. ყველგან ყველაფერს საგულდაგულად მკვიდრად აშენებდა და არც ადრე, ახალბედა რომ იყო და ახლა კიდევ მით უმეტეს, არა ჩამოგნგრევია რა. სამმართველოს თანამშრომლებმა კი

ინჟინერის გაოგნება თავისებურად ახსენეს — ამას ცეცხლი ისედაც უკიდია და ჩვენ რაღა ვუმატებთო, და ანუ გეშეს:

— რა ვუყოთ, შენც ხომ არ გნდომებია, რომ ჩამოგნგრეოდაო, არა უშავს, ცოტა თუ მეტი მარცხი ყველა მშენებელს ემართებაო.

ინჟინერმა მათ ძლივს შთააგონა სინამდვილე, ხოლო, როცა უკანვე, რაიონისკენ მიჰქროდა სატვირთო მანქანით, თავისთვის ჩაიცინა.

— აბა, თუ იცის ვინმემ ნადირთა ისეთი მომთვინიერებელი, გნებავთ ყველა თაობის რომელიმე დღუროვი, გლადიშჩიკოვი, ედერი, ბუგრიშოვა, ნაზაროვა... რომელზეც არ გავრცელე-

ბულიყოს ჭორი, თავისივე ვეფხვმა თუ ლომმა დაფლითაო. ერთგვარი კავშირი უნდა მშენებელს ამ ჭორებსა და მის მოსაქმეობასთან მიკერებულ არმომხდარ მარცხს შორის და იმიტომ ჩაეცინა.

ორი საქმეული

დაცემულის წამომყენებელი ფაცაფუცში თვითონაც წაიქცა და მას ქუჩაში გამეღვლეზმა დასცინეს. ისინი ერთურთის ხელის წაშველებით თვითონ წამოდგნენ. ერთმანეთი ჩამობერტყეს. ნაცნობები არ იყვნენ, მაგრამ ერთმანეთით მაღლივ ერთიდაიგივე სინანულის გრძნობა აღეძრათ მათ მიმართ, ვინც ორი ხნოვანი მამაკაცის ფათერაკი სეირად ჩათვალა.

— სირცხვილი ვკამე, — თქვა მან, ვინც პირველი წაიქცა, მეორემ კი ხელი ჩაიჭინა.

— სირცხვილი ორივემ ვიწვნიეთ.

— შენ — ჩემი გულისთვის.

— კიდევ კარგი, ორივეს სხვაც არ წამოგვეშველა, თორემ ისიც ვერ ასცდებოდა ხიფათს, ისეა მოლიპული ეს ვერანა ტროტუარი.

— კარგია კიდევ ისე კვიმატად არ დავენარცხეთ, რომ ვიტრინის შუშები არ შევამსხვრიეთ.

— ხალხი კი ვაციანეთ.

— რა ხალხი? სულ ორი-სამი ყმაწვილი კაცი იყო. მერედა, იქნებ უგუნებოდ იყვნენ და ჩვენ კი გავამხიარულეთ. უნებლიეთ მცირე სიკეთე მაინც დაგვითვისია.

— რომ ვაციანეთ?

— რომ გავამხიარულეთ.

— ჩაიარეს და ალბათ სიცილმაც გადაუარათ.

— რა იცი? იქნებ იმიტომ იჩქარეს, რომ ამხანაგებს უამბონ და ისინიც აციწონ.

— მაშ მთლად დიდი სიკეთე დაგვითვისია თუ ჩვენი ფათერაკი დიდძალ საზოგადოებასაც გაამხიარულებს.

— მერე კი მაინც დაინალვლებუნ.

— რომ ვაციინეს?

— რომ ვაციინეს და არ წამოგვაყენეს. ჩაუკვირდებიან. შერცხვებათ. სულში სინანული ჩაუძვრებათ — ტყვილი. მეც ეგ მტკივა, რომ ვითომც კი გავამხიარულეთ, მაგრამ ტყვილსაც ჩვენვე მოვეგვრით.

— ეგ რა მოიფიქრე, მოკეთე! მე იმათი გამხიარულება ჩვენს სანუგეშოდ მოვჩნახე. შენ კი ზედ მათივე დადარდება წააბი. მართლა ეგრე იქნება, ხომ იცი!

— მართლა, მართლა.

დანარჩენი გზა, ვიდრე დაშორდებოდნენ, მათ საგანგებოდ ფრთხილად იარეს მოლიპულზე, რომ კიდევ ვინმეთ უსურველი სიცილი, შემდეგ კი წრფელი სინანული არ მორეოდათ, რაზეც თვით ნაფათერაკალნი მეტად ინალვლებდნენ.

ანოქანება

ბავშვობაში ჯავრიც მოსდიოდა, ახალდადებულ თოვლს მეეზოვეები ჰაიპარად რომ შეესეოდნენ და ნაცარსა და ხრეშს წააყრიდნენ ხოლმე ქუჩაში მავალთა უსაფრთხოებისათვის. ბავშ-

ვებს სასრილო და საგუნდაო უფუჭდებოდათ და სხვა თანატოლებთან ერთად იმიტომ ალაშქოთებდა მეეზოვეთა ეს თავგამოდება მასაც.

ახლა უკვე შუახანს მიტანებულ იგი-

ვე მოქალაქეს სრულიად კანონზომიერად მიაჩნდა იგივე უსაფრთხოების უზრუნველყოფ საშუალებათა გამოყენება, რაკი მუხლში სისუსტე ჩასდგომოდა და შეულახავ თოვლზე ფეხს გაუბედავად, შიშით ადგამდა, ხოლო მეეზოვენი თავიანთი ნაცრიობა და ხრეშით არ ჩანდნენ.

ეს სიბერის ნიშანია, რომ ადრე რაც მახარებდა, ახლა დაბრკოლებად მიმაჩნიაო, გულში მწარედ აღნიშნა მან. სწორედ იმ წუთს კი ბეჭზე რაღაც მძიმე და რბილი შეეხო და უმალ ახალმა აზრმაც გაუელვა: ჩანს არც სულ უძიმედოდ ყოფილა ჩემი საქმე, რაკი აი, სად-

ღაც ჩასაფრებულმა ბავშვებმა უკნიდან გუნდა დამადევნესო, თორემ დაჩინა-ნაკებული რომ ვჩანდე, არ გამოიშეტებდნენო.

ამ სათავისო ვარაუდმა, თითქოს მაწუხარა დუდყო გამოსწურაო, ისე საამო ჟრუანტელში გააცალა ეჭვიანი ფიქრი და მუხლშიც გაახლებული ძალა იგრძნო, როცა გუნდის მტყორცენლისკენ მიუხედლივ გზა უკვე თამამად განაგრძო.

ზურგს უკან კი არავინ ყოფილა, მხოლოდ თოვლის ტვირთისგან ალალბედზე განთავისუფლებული ჰადრის ტოტი ნებიერად ქანაობდა.

ახალსახლობაჲ

მოსახლეებს წინადადება მიეცათ, დროებით, რაც ხანი მათი ქოხმახებების ნაადგილარზე დიდი საცხოვრებელი სახლის მშენებლობას დასჭირდებოდა, ვისაც სად შეეძლო ვახიზნულიყო, თუ ძველსავე მიდამოზე, ოღონდ ახალ შენობაში დაბრუნება ერჩიათ. არადა, თვითეულს ახლავე მიუჩენდნენ მუდმივ საცხოვრებელს, მაგრამ სხვადასხვაგან კი.

მეზობლებმა — ისინი წლების მანძილზე ერთი ოჯახის წევრებივით შეხმატებილებულიყვნენ — ერთსულოვნად კვლავ ძველ ადგილას, ერთსავე სახლში დაბრუნება და ამიტომ დროებით ვახიზვნა ირჩიეს.

ეზო და მთელი მოკლე ქუჩაც დასანგრევად განწირული ქოხმახების ბარგითა და ავეჯით აიჩონჩხლა. ოღონდ იქაურობა არ ჰგავდა წლების წინ რუსეთსა თუ უკრაინაში, ბელორუსიასა თუ ბალტიისპირეთში დაარბევით გააპრტახებულ სახლებთან ფრონტელის თვალით ნანახ არა ერთ შემზარავ სურათს. მაგრამ მოზინადრეთა შორის ერთი და ორი არ იყო ფრონტელი და თავისი თუ მეზობლის გაშანშლული ავლადიდების შემხედვართ, უნებლიეთ მაინც წარსულის ის მძიმე სურათები აგონდებო-

დათ. თუმცაღა მალევე შვებით უბრუნდებოდნენ სინამდვილეს, ვარეთ გამოტანილ ბარგს ახლა მანქანებზე ტვირთავდნენ და ისევ ერთ სახლში დაბრუნების რწმენით დაარბეინებულნი ვულგაშლით შეკედლებას შეპირებულ მოკეთებისკენ მიჰქროდნენ.

ბარგის ერთ გროვავზე, რომელსაც ვერ მანქანა არ გამოსჩენოდა, მოხუცი აღამიანი, მთელ სახლში ყველაზე უბუცესი და მთელი ეზოს პაპა ჩაკუნტულიყო. უილაჯობის გამო ხელსაც ვერ ახმარდა თავისი ოჯახის წევრებს ნივთების ჩამოზიდვაში და საეჭვოდ შენამულ თვალებს სხვათა ფუსფუსს დაშინაშევესავით ადევნებდა.

ამ სახლში არ დამადებულა პაპა, მაგრამ მრავალი წელი გაატარა ამ კედლებს შორის და, ხომ ვერაფერი შეილია შენობა, მანც ვულჩათხრობილი განიცდიდა დასანგრევად მის განწირვას. ქალაქში ბევრი ძველი ინგრეოდა და უმჯობესი შენდებოდა. პაპასაც ახარებდა ეს განახლება, მაგრამ გულის კუნტულში ჩუმი ტკივილიც უჩნდებოდა, იქნებ თავის ახლო მომავალსაც ხედავდა სნეული მოხუცი, როცა მის თვალწინ პირისაგან მიწისა რაიმე ადრინდელი ნიშანწყალი იშლებოდა.

ზიარი კიჰანი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ქუჩაზე გაკიდული რკინის აივანი მეზობლებს შუაზე გაეყოთ. ორივე ოჯახს კარგი ურთიერთობა ჰქონდა, მაგრამ საკუთრობის ცდუნებას უაზრო გამიჯნვამდე მიეყვანა. მიჯნა აივნის მოაჯირის სიმაღლის ძვიდღე იყო, რომელიც ორ კარს შორის გახიზულიყო. აივანი კი მთლიანიც ვერ აივნობდა მცირე ფართის გამო და გაყოფილი მით უმეტეს.

მეზობლები თავთავის ნაწილს მაინც იყენებდნენ, ოღონდ გაჭირვებით. თვითულ ოჯახს თავის მხარეს გომში თუ ქოთანში ყვავილებიც ეხარებინა. ყვავილები ერთნაირი ერგათ, მაგრამ ისინი ხშირად სხვადასხვა იერზე იყვნენ,

იმის მიხედვით, რომელი როდის ირწყვებოდა.

ზაფხულში ორივე ოჯახი დედაბუდიანად დასასვენებლად გაემგზავრა. ზიარ აივანზე დარჩა მხოლოდ ყმაწვილი, რომელიც უმაღლეს სასწავლებელში შესასვლელად ემზადებოდა. მას მეცადინეობაში თავის მადლს აწევდნენ ჩრდილი და სურნელი ხვიარა ყვავილებისა, რომელთაც იგი წყალს არ აკლებდა. აივნის მეორე მხარეს კი სადამდეც ყმაწვილს ტოლჩიანი ხელი ვერ უწვდებოდა, უღროოდ სიკოცხლეს ესალმებოდნენ ბედის ანაბარა მიტოვებული მათი სისხლი სისხლთაგანი, ხორცი ხორცთაგანი.

მუშტართმოდნე

ის დიდი ხანი არ იყო იმ ჭიხურში იძენდა ვაზეთებს, მაგრამ რაკი მხოლოდ იქ ყიდულობდა ხოლმე, გამყიდველ ქალს დახსომებოდა.

კაცი დილით ჩვეულებრივ მიუახლოვდა ჭიხურს. რიგი მოთავებულიყო და ქალი მეზობლურად ებაასებოდა ქუჩაში გვერდით დასაკუბული მეორე ჭიხურის მფლობელს — კუპრით შავ ფეხსაკმელების მწმენდავ კაცს. ქალს სწორედ მის წინაშე მუშტართმოდნობით თავის გამოჩენის ცდუნებამ წაუღიტინა. — თქვენ ეს, ეს და ეს, არა? — ბლუჯად ვაზეთები მიაგება მან მყიდველს.

მყიდველმა კი უხერხულად გაიღიმა. მას სწორედ ის, ის და ის არ სჭირდებოდა, რადგან საბელდობრ ამას, ამას და ამას იგი სახლში ღებულობდა.

გამყიდველი უმალ მიხვდა შეცდომას, მაგრამ მყიდველმა არ გააწბილა. მან ისინიც მიიღო, რომლებიც არ სჭირდებოდა და, თითქოს სხვათა შორის, დაიმატა ისინიც, რომლებიც სჭირდებოდა.

შემსწრე მეზობელი ჭიხურის მფლობელი კი ქალის უტყუარი მახსოვრობით გაოცებას იყო და თავის აღტაცებას ვერ მალავდა.

ქნელი მახსოველი

სამივე უკვე სათვალეებიანი იყო და იგონებდნენ თავიანთ ახალგაზრდობას.

— მაინც ყველაზე კარგი გოგო მთელ ჩვენ კურსზე მარინე იყო, — ერთსულოვნად შეთანხმდნენ.

ადრე კი, როდესაც სტუდენტები

იყვნენ და მარინეც ჰყვოდა, სამივე ტუჩებს ბრეცავდა, თითქოსდა — დიდი ვერაფერიო. მაგრამ სინამდვილეში თვითულის ხატი მარინე იყო და დანარჩენთა წინაშე კობტა და გონიერი, გულითადი ქალიშვილის ღირსებას იმიტომ აქარწყლებდა, რომ იგი მას დარ-

ჩენოდა. ისინი სიმართლეს ევემალულ-
ნენ და მარინეს კი, ვნახოთ და, სხვა
სტუდენტი დაეპატრონა. ბიჭი ბიჭად
ვარგოდა, გულდია იყო და გულჩახვე-
ულთაგანაც კი არაფრით დაიწუნებოდა-
ახლა, მათი არ იყოს, მარინეც გახუ-
ნებულა, მაგრამ სათვალეებიანი ხნიე-

რი მამაკაცები ახლა მაინც ვაჭყაცუ-
რად აღიარებენ მის ნამდველ ღირსებას.
მარინესი არ იყოს, ისინიც ანაქთაჟის
ოჯახებში ბედნიერები არიან, მაგრამ
მის მიმართ სამთა ძველი გულწრფელი
სიყვარული მაინც არ ჩაფერფლია.

უფულობა

ახალგაზრდა ცოლ-ქმარი სკამებზე
მუხლიჩოქა შემდგარიყვნენ და თავისი
მყუდრო ოთახის სარკმლიდან, რომე-
ლიც პირველ სართულს ეკუთვნოდა,
ეზოში დაფიქრებული იყურებოდნენ.
წუხელ მათ სტუმრები ჰყავდათ და ჯიბე
თუ საფულე უკანასკნელ კაპიკამდე
ამოებრუნებინათ. დღეს კი თვითონ
იყვნენ დაპატიყებულნი მეგობართან.
მაგრამ მეგობარი ქალაქის შუაგულში
ცხოვრობდა. თვით კი მის განაპირა
შალონზე ცალკე, პატარა ქალაქივით,
გაშენებული უბნის მცხოვრებნი იყვნენ
და მათთვის საკმაოდ გრძელი გზის
გავლა, რომელიც წინ ედოთ, ჭკვითად,
სასიამოვნოდ არ ესახებოდათ. არადა,
ავტობუსის ბილეთის შესაძენი გროშიც
არ გაანხდათ, რომ აღარაფერი ითქვას
ტაქსის სამყოფზე, რითაც სტუმრობას
შეტი ელფერი ექნებოდა. მერე უკან
წამოსვლაც ხომ უნდოდათ. ბინაში კი
სულ ახალი გადმოსული იყვნენ და
მეზობლებთან მეზობლობის პირველად-
ვე ფულის სესხებით დაწყება ეჩოთი-
რებოდათ.

ეზოში მოსახლეობისგან ბოთლების
შემსყიდველი, ვეება, მოწნული, თეთრი
კალათითა და ცარიელი ტომრით აღ-
ჭურვილი ძია კაცი შემოვიდა, სიმღერის
ომახიანი შეძახილისებრი მაუწყებლო-
ბით. ცოლ-ქმარს უმაღ წუხელ გაცლი-
ლი რამდენიმე ბოთლი გაახსენდათ და
სახე გაუნათდათ. მაგრამ ძია კაცი ბოთ-
ლების საზღაურს მხოლოდ ბატი-ბუტით
იხდიდა და ცოლ-ქმარს კეთილად ნა-
ნიშნევი იმედი არ გაუმართლდა.

ახალგაზრდა კაცი გაგულისდა.

— რა ჯანდაბად მინდა ბატი-ბუტი?
ბავშვები ჯერ არ გვყავს.

ძია კაცმა კი მას დაუყვავა.

— ბავშვები იმდენი დაგზვიოთ
ღმერთმა, რომ დღეში ასეთი ათი კალა-
თა ბატი-ბუტი არ გყოფნიდეთ. ჯერ კი
თქვენ ჩაიგემრიელეთ პირი, ბატი-
ბუტს დიდებიც შეექცევით. სახლში
ბავშვებს შეაქვთ, მაგრამ მათ დიდები
უქამენ.

ყასიდად შესთავაზა, თორემ მიხვდა,
ბატი-ბუტის მუშტრები არ იყვნენ
ახალგაზრდები. არც სხვა გამოუჩნდა
ბოთლებზე გადამცვლელი ან უბრა-
ლოდ მყიდველი — შუა ზაფხული იყო
და ეზოში მისი მთავარი მომხმარებელი
— წვრილფეხობა არ ირეოდა — და ძია
კაციც იქ აღარ დაყოვნებულა.

დაახლოებით ნახევარი საათის შემდეგ
იგი თავისი ბარგი-ბარბანით ისევ გა-
მოჩნდა და სარკმელთან ისევ ნაღ-
ვიანი გვრიტებივით გამოჩეხურე ახალ-
გაზრდა წყვილს თვითონ მიუახლოვდა.

— ისევ უკაპიკოდ სხედხართ?

ახალგაზრდა კაცი ერთი კი წამოი-
ქორრა, მაგრამ მაინც თავი შეიკავა,
რომ უფროსი ადამიანისთვის ურიგო
სიტყვა არ ეკადრებინა.

— ისევე, როგორც ბავშვები, ღმერთს
ჯერ კაპიკებიც არ უბოძებია.

— მე კი, ცოტაოდენი ბატი-ბუტი
ფულზე გავყიდე.

— ჩვენ რა მერე?

— როგორ თუ რა? მოიტათ თქვენი
ბოთლები.

ძია კაცმა ცარიელი ტომარა და ზედ

კი სამმანეთიანიც წინასწარ ააწოდა ახალგაზრდებს, თუმცა წინასწარვე გულიც ეუბნებოდა, ოცდაათი ბოთლი,

რასაც სამი მანეთი ბოთლს ორშაურობაზე ისტუმრებდა, მათნარი დაუფრთხვებოდათ.

ანგარიშგასაწავი გულგაიფრება

ფათერაკიდან მრავალი წლის შემდეგ შემთხვევით ქუჩაში შეხვდნენ ერთმანეთს ნათათერაკალი და მისი მხსნელი. ქარხნის მუშა და ქალაქის საავადმყოფოს ქირურგი. გამომცნაურება მადლიერს ეკუთვნოდა და იგი ასეც მოიქცა. მაგრამ ჭარმაგმა ქირურგმა ამოდ იფხანა ნიკაბი და ისრისა შუბლი. კაცი, რომლისთვისაც მას ოდესღაც შეენარჩუნებინა ლამის ბეწვზედა დაკიდებული მკლავი, ვერ გაიხსენა. თვითონვე შეწუხდა ამის გამო. გული დასწყვიტა იმავე ამბავმა ყოფილ ავადმყოფსაც, რადგან მკლავის შერჩენას ექიმის ხელოვნებასთან ერთად პირად გმირულ ამტანობასაც მიაწერდა და თავის გადახდენილს ყოვლად დაუფიწყარ შემთხვევად შიიხნევდა.

— მაჩვენე ერთი შენი მკლავი, გეთაყვა, — ნაზიანევზე დახედვა მოუვიდა აზრად დასტაქარს ვასახსენებლის აღსაღვენად და როცა ახირებულმა მო-

ქალაქემ მარჯვენა სწრაფად ჩიშიშგლა, ბუნდოვნად ეცნაურა თავისი ნახელავი.

მოქალაქემ რომ ექიმის ხელით სასწავლებრივ შემართებული მკლავი მასვე სიამაყით უჩვენა. ეს მის მიმართ მადლობის თქმაც იყო. ოღონდ დაგვიანებული მადლობისა. ხოლო თუ მადლობის სათქმელად იგი თავის მკურნალს საავადმყოფოდან გაწერის შემდეგ საგანგებოდ მოინახულებდა, ექიმს იქნებ მისი ცნობა არ გასძნელებოდა. სიკეთისათვის მადლობის გადახდა კეთილშობილური ვალდებულებაა. შემთხვევით ვითარებაში გამოცხადებული მადლობა კი კინია.

ისე კი, ვინმე რომ ვერ შეგიცნობს, ნამდვილად საწყენია. მაგრამ თუ ვერ შემცნობი ექიმია, მას ამისთვის არ უნდა დაემდურო. ეტყობა მას ბევრისთვის, ძალიან ბევრისთვის უშველია და ყველა არ ახსოვს.

ნადვლიანი მუსიკოსი

მუსიკოსი ფარღალა აივნის ბოლოში მარტოხელად ცხოვრობდა. ორმოცი წლისაც არ იყო, მაგრამ ბევრად მეტი ზნისად გამოიყურებოდა სახელადარული და ჩამომხმარი, აჭურდნულად ჩაცმული. თმას იგი ლამის წლობით არ ისწორებდა და კიკინები ჩამოგრძელებოდა, თითქოს მეცხვარის ქუდი ეფხატა. პირგაპარსული კი მუდამ იყო, ამას, ალბათ ორკესტრში მკაცრად სთხოვდნენ.

ჩუმი და ნადვლიანი, იგი მეტად აღერსიანი და სულგრძელი იყო მეზობლების ბავშვებისადმი. ამიტომ ის

ძლიერ უყვარდათ პატარებსაც და ისინი კიდევ შესთამამებოდნენ მას.

მუსიკოსი შინ გვიან საღამოს ბრუნდებოდა, თავისი გვარიანად აჭერკლილი განუყრელი გრძელი ჩანთით, რომელშიც ვიოლინო ესვენა, და ჩაბნელებულ აივანზე ფეხს ხან შეშის ნაჭერს წამოსდებდა, ხან ტაშტს თუ ვედროს. არ იქცეოდა, ხელიდან საკრავი არ უვარდებოდა, მაგრამ საბედისწეროდ კი ბარგანებდა, კედელს ან მოაჯირს ეხებებოდა.

ყოველ ხელფასის დღეს მას იგივე ონაფრებისთვის, რომლებიც ამ იონებს

უწყობდნენ, საჩუქრები მოჰქონდა. ეს არა იმიტომ, რომ იგი ცელქების შეუგნებელ, უბოროტო გამოხდომებს აღმზრდელობითი თვალსაზრისით სიკეთის დაპირისპირებით პასუხობდა. მას ვერც წარმოედგინა, რომ დაბრკოლებანი, რომლებიც სიბნელეში აივანზე ზღებოდა, ბავშვების ოინი იყო.

ერთხელ ბავშვებმა საჩუქრები ზღუქუნით მიიღეს. გამოერკვნენ და უკანაც

დაუბრუნეს. ან მშობლებს შეეჩვენებინათ უფროსი ადამიანისადმი კანტაჭრებისათვის ან თვითონ ჩასწვდომობისათვის თავიანთ შეცდომას და სინდისს გაექნნათ.

გულშეძრულმა მუსიკოსმა გულამოძქარი ბავშვები იმითლა დააწყნარა, რომ ყველა ისინი თავის პატარა ოთახში შეყუჟა და ვიოლინო დიდხანს გულმოდგინედ „ხერხა“.

შეუმჩნეველი სიკეთე

შემოდგომის კვალობაზე პლაეს ხალხი შესამჩნევად მოაკლდა, მაგრამ მზე კიდევ თავისას ცოდვილობდა და ზღვის პირსაც ასე თუ ისე შერჩენოდნენ მემუდმივეები, ძირითადად დაგვიანებული დამსვენებლები.

ერთი მათგანი, ალბათ ოცდათხუთმეტ წელს გადაცილებული, მუდამ კარგად ჩაცმული და თავმოვლილი, მაგრამ ფიჭრიანი და გაუცინარი კაცი მაინც მეტად ეხარბებოდა ზღვასა და მზეს. იგი დილითვე გაზეთებითა და სხვა საკითხავით დატვირთული ერთ-ერთი პირველი მოველინებოდა აჩემებულ ადგილს, ხოლო სტოვებდა იქაურობას, როგორც წესი, უკანასკნელი. თითქმის არავის უბამდა საუბარს, თუ ვინმე წასაკითხს დაესესხებოდა, თავაზიანად მიართმევდა. რამდენჯერმე ხანგრძლივად კარგა მანძილზე მარტოდ შესტურავდა, შუალედებში კი იწვა სილაზე და თავაუღებლივ კითხულობდა.

ერთ შესალამოებულს, როცა პლაეი თითქმის გაცარიელებულიყო, ორი ერთნაირად შავხმელი მაშველი, ხნიერი კაცი და მისი ყმაწვილი თანაშემწე, დიდხანს ამოდ ეჯაჯტურობოდნენ ნაპირზე ამოსათრევ ნავს. თან ვილაციების მისამართით ბუზღუნებდნენ, მთელ დღეს თავიანთ გუნებაზე ატარეს ნავი, ახლა კი, როცა დახმარება გვეკირია, სადღაც ჩაიყლაპნენო. პლაეის მარტოხელა მემუდმივემ მათ თავისი ღონიერი მკლავები წაახმარა და ნავი ნაპირიდან

მოშორებით დარჭობილ რკინის პალოსთან მიათრევინა. ის იყო მათი მადლობა საპასუხო გაღიმების გარეშე მოისმინა, რომ ახლა სხვას დასჭირდა მისი თავი.

შორი გაცურვიდან ნაპირზე გვიან გამოსულ აჭოშინებულ ახალგაზრდა კაცს მხრებზე მაზუთი წასცხებოდა და ვერაფრით იცილებდა. კითხვას გადაყოლილი დამსვენებელი მასაც მიუხმობლივ მიეახლა, პირსახოცით ბეჭები მაგრად გაუხეხა და მაზუთის ნატამალიც არ დაუტოვა. ესაც რომ მორჩა, შენიშნა მასავით პლაეის მემუდმივე დარბაისელი მანდილოსანი, რომელიც მთელი დღეები გაუხდელად იჯდა ასაკეც სკამზე და მეოცნებესავით ვასკეტროდა ზღვის სივრცეს, ახლა შესანახი ფარდულისკენ წვალებით მიათრევდა წასაღებად მოუხერხებელ იმ ასაკეც სკამს, და მასაც დაუზარლად მიემსახურა.

მეტეც აღარავინ იყო პლაეზე და აღარც ვინმეს დასჭირდებოდა კიდევ მისი თავი. მაგრამ მან ახლა აქა-იქ მიტოვებული „ბორჯომის“ გაცილილი ბოთლები აკრიფა, კიოსკის გამყიდველს ყველას მაგიერ დაუბრუნა, იმისგანაც უდიდესი მადლობა დაიმსახურა, და დიმილითა და დიღინით ბულვარზე გავიდა.

ბულვარზე, ხეივნებში განლაგებულ ფერადოვან შერხებს დამსვენებლები

დაპატრონებოდნენ და მათ ახალგაი-
ფებული ლამპიონები დანათობდათ.

პირველ მერზე, რომელსაც მან ჩაუ-
რა, ახალგაზრდა ქალები დაბინავებუ-
ლიყვნენ და მათ უმალ შეიცნეს იგი,
ხოლო მისი ღიმილი და ღიღინი სასწაუ-
ლად მიჩინეს. თან — ეს რა მომხდარა,
რომ გაუცინარს სიცილი უსწავლიაო, —
ყური მოაკვრევენეს.

მთხრობელი

ამბისა და წანაკითხის სასიამოვნოდ,
თავისეული შეღამაზეებით მოყოლა
იციოდა ენაწყლიანმა ყმაწვილმა და სა-
დამო ხანს ეზოზე საყუთარი ხელით გა-
მართულ ფანჩატურში თავშეყრილ ჭა-
ბუქებსა და ქალიშვილებს ყველას ერ-
თობლივ ხიბლავდა.

ამიტომ ყოველ თავშეყრაზე თვითეუ-
ლი მის ამეტყველებას მოუთმენლად
მოელოდა, ხოლო, როცა ისიც ხალისით
დაიწყებდა ხატოვან თბრობას, არავინ
არაფერში ესიტყვებოდა.

ერთხელ კი ერთი ამხანაგთაგანი, ნა-
კითხობაზე თავდადებული ყმაწვილი
აუხირდა მოულოდნელად.

— ყველაფერს შენს ნებაზე აკომ-
წიავენ, — შენიშნა მან, — იმისი არ
იყოს, აბა თუ იცი თ მხატვრული, თუნ-
დაც ისტორიულ მასალაზე აგებული
ნაწარმოები, რომელშიც მწერალს თა-

იმას კი რა უნდა ეთქვა? ხომ არ
მოუბრუნდებოდა და არ ჩხუტუნავდა,
ესა და ეს მცირე სამსახური გავუწიე,
სულ პატარა სიკეთე მივაბედნიერე
უცნობ ადამიანებს, და ის მახარებსო.

ახალგაზრდა ქალები ხომ ისედაც
ქირქილებდნენ მისი მისამართით და ეს
ვიდევ სიცილადაც არ ეყოფოდათ

ვისი გმირისთვის კრილობა მიეყენე-
ბინოს არა მაინც და მაინც შუბლზე,
არამედ უფრო უხერხულ, შეუფერე-
ბელ, სახის ერთგვარად საჩოთირო ნა-
წილზე, ვთქვათ ცხვირზე.

აღიარებულ მთხრობელს ენა ვეღარ
მოუბრუნდა, ხოლო შემდეგ თავშეყრა-
ზე თავის მუდმივ მსმენელს უჩვეუ-
ლოდ შემზარავი ამბავი შესთავაზა და
ყველას ტანში უსიამო ქრუანტელმა
დაუთარა.

— აი, ახლა ერთ-ერთ აქ მყოფთა-
განს მოუხდებმა იმ საჩოთირო ცხვირის
რიგიანად დაზელა, — თქვა მაშინ ერთ-
ერთმა გულდაწყვეტილმა მსმენელმა.

— დედის რძესავით შეერგება კი-
დეც! — ერთსულოვანი აღშფოთებით
დაუკრეს კვერი მას დანარჩენებმა. ის,
ნაკითხობაზე თავდადებული ყმაწვილი
კი გაპარულიყო.

გარეშე მოკითხ

მატარებლიდან გამოსულმა ორმო-
ცამდე წლის ნაღვლიანმა კაცმა სადგუ-
რის მოედანზე პირველივე შემოხვედ-
რილი თავის ხნის მხიარული კაცი შეა-
ჩერა. იგი თავისთვის უდარდელად ღი-
ღინებდა და მხრებს კი თითქოს ცეკ-
ვავსო, ისე ატოკებდა.

— სად არის აქ ქირურგიული საა-
ვადმყოფო?

— არ ვიცი? — გაიოცა მხიარულმა
კაცმა და წვრილი, დაჭრელებული ჯო-

ხით, რომელსაც ხელში ათამაშებდა,
საფეთქელი მოიფხანა, — არადა უნდა
ვიცოდე. მოდი ერთად ვიპოვოთ. რა
გიჭირს? — უკვე გზად ჰკითხა მან ჩა-
მოსულს.

ნაღვლიანმა კაცმა შეუყოვნებლივ
მარჯვენა ფეხზე შარკლის ტოტი ოდნავ
აიწია და სქლად დაბორბლილი დოლ-
ბანდი დაანახვა. დოლბანდს მოყვითა-
ლო ფერი დაჰკრავდა და, ეტყობოდა,
შეუხორციებელ კრილობას ფარავდა.



— ფათერაკი? — თანაგრძობით ჰკითხა შეწუხებულმა მხიარულმა კაცმა.

— ძველი ამბავია, — შარვლის ტოტი ჩაუშვა და ხელი ჩაიქნია ჩამოსულმა, — ბარე ათი წლისა. ტყეში შეშის ქრაზე დაეშავდი. თავიდანვე რიგიანად ვერ მივხედე და მასაქეთია დროგამოშვებით მიარჯლდება.

— ფეხით არ უნდა მივდიოდეთ მაშ.

— ფეხით დღე ერთია და სამჯერ მინც შემოვუვლი ჩვენს ზვრებს, მევენახე ვახლავარ. ასფალტი მით უმეტეს ვერ ჩამაჩოქებს.

— კარგი ვიქნია, რომ გვიან მინც გადაგიწყვეტია რიგიანად მიხედვა.

— დამაძალეს. შინ ცოლი და ბაღლები შემიჩნდნენ და გარეთ კიდევ კოლმეურნეობის თავმჯდომარე, მეზობლები, მოკეთებები.

კითხვითა და კითხვით ახალ პროსპექტზე ბაღნარში ჩამქდარ ქორუგვიულ საავადმყოფოს ორსართულიან შენობას მიაკვლიეს.

ჩამოსულმა კაცმა საავადმყოფოს სადარბაზო კართან ღრმად ამოიხენეშა, რაკი მის კედლებს შორის ერთხანს გულისგამაწვრილებელი გამომწყდევია ელოდა, და სევდიანი ღიმილით მიმყოლს მადლიერად ხელი გაუწოდა.

— შენც არ მომიკვდე, — გაწვდილი ხელი ჩააშვებინა მას მხიარულმა კაცმა და თვითონ შეუძღვა შენობაში, — ბარემ დავაბინავებ კიდევ.

ექიმებმა ახალი ავადმყოფი ოთხსაწოლიან ნათელ პალატაში მოათავსეს. გამცილებელმა კი იგი უმალ დანარჩენ სამ ავადმყოფს შეახმატებოდა, თითქოს თვითონ მათი ძველი ნაცნობი ყოფილიყოს, თან ყველას შეეხუმრა, მალე გამოჯანსაღდება უსურვა და არხეინად დაემშვიდობა.

— შენ გაიხარე, — გულმადლიერად სიტყვა დაადევნეს მას თვით ახალმა ავადმყოფმა და უცხო კაცის ენაწყოლიანობით მოხასიათებულმა დანარჩენმა სამმა ხნიერმა მამაკაცმა, ვისთვისაც ბრმა შემთხვევას თუ დაუდევრობას

სხვადასხვა ზიანი მიეყენებინა სხეულზე.

— თქვენც გაიხარეთ, — მათი დასაწყის პირველსავე ნახვის დღეს აახლა პასუხი მხიარულმა კაცმა და ყველას ხილი და ახალი გახეთები ჩამოურიგა.

სამივე ძველ ავადმყოფს ხნოვანი მანდილოსნები ჩაჰკუნტოდნენ თავითი, მათზე ბევრად ახალგაზრდა მევენახე კი მარტო იყო. მას გარეშე მოკეთე ჩამოუჭდა საწოლთან. მოკითხვით კი ყველა სათითაოდ მოიკითხა, ხოლო შემდეგ ქვეყნის ამბები ხალისიანად ამოალაგა. სულ რაღაც ნახევარ საათში, რაც ხანი მათთან დაჰყო, ავადმყოფებიც გულიანად აცინა და მნახველებიც; ეჭიმებსა და მედიცინის დებს კი, რომელთაც პალატაში უჩვეულო მოლხენის გამო შემოიხედეს, თავიც გააცნო და გულიც მოუნადირა.

— შენ აშენდი და იხარე, — ლამის ცრემლი მოერიო ნაღვლიან მევენახეს, როცა მისი კეთილმყოფელი წასასვლელად წამოდგა, — ირაო არა ვარ, მაგრამ მნახველი არ მყავს და ვერც ჩამომივა. ბაღლები სულ თითისტოლანი მყვანან, ერთი რომ წაიქცეს — მეორე ვერც წამოაყენებს და ქალს აბა როგორ დაეტოვებინა. ეგრეც შევაჭერე მეზობლები თუ მოყვარენი კიდევ ხომ დედაბუდიანად ზვრებში არიან გაკრეფილი და ვაზის დალატი ამ რთვლობის პირზე მინც როგორ იქნება. შენ კი ვილაცა ხარ, უცხო კაცმა ამოდენა ამავი დამდე.

— დიდი არაფერი გამოკეთებია, — ხელის ჩაქნევით ჩაუქარწყლა მას მადლიერება მხიარულმა კაცმა და განუყრელი ჭრელი ჯოხი შეათამაშა.

— ჩემთვის დიდი ამბავია, — ფიქრიანად განსაჯა მევენახემ, — მაგრამ პატარა იყოს, კაცს პატარაც ჰყოფნის.

— გაიხარეთ და მოკეთდით, — გამოუტოვებლივ ყველა მომდევნო ნახვის დღეს აჩემებული მცირე საერთო ნობათით კვლავ და კვლავ ესტუმრა პალატას მხიარული კაცი და ერთხელაც სრულად გამოჯანმრთელებული, პირგა-

პარსული და მოხალისებული ფეხზე დაბედა თავისი მევენახე, რომელიც დანატრებული სოფლისკენ გასაფრენად მზად იყო.

ავადმყოფი ავადმყოფის მეგობარი და გაჯანსაღების მსურველია, მაგრამ შეჩვეული თანამოპალატის გაწერისას დამრჩომს გულის კუნჭულში მანიც ტკივილი უჩნდება, სინანულის ტკივილი. ამავე დროს, ეს თვითონ რომ ჯერაც ვერაა საღსალამათი, იმის გაახლებული მწველი შეგრძნებაც არის.

სამმა ხნიერმა მამაკაცმა, რომელთაც ასაკის გამო ნაზიანევის შემრთლება და მოშუშება გაუხანგრძლივდათ, ალალ მევენახეს სატკივარის გაცლა მიულოცეს, მაგრამ ყურებიც ჩამოყარეს. თან კიდევ, მისი წასვლით ენაწყულიან მნახველსაც ჰკარგავდნენ და ესაც აღონებდათ.

მხიარულმა კაცმა კი ნაცნობ პალატაში შემდეგსავე ნახვის დღეს, როგორც პირველად გამოჩენისას, მოულოდნელად სიხარულივით შემოიჭრო-

ლა და თან განსხვავებული ნობათი — დამკრახული მტევნებით დასუნძოლული ჩხა და ფუჩეჩით დაცობილი დოჭი მოიყოლია.

მაგრამ განკურნებულ მევენახეს იგივე ძღვენი თანაპალატელებისთვისაც ეახლებინა — თვითფულის საწოლთან იყო მსგავსი ჩხაც და დოჭიც, და მხიარულმა კაცმა თავისი გულით ერთობლივ ყველასთვის განკუთვნილი მოსაკითხი — ქარვა ყურძენი და ტყბილი მაჭარი მიართვა საკუთრივ ახალ ავადმყოფს, რომელსაც შეოთხე, წინა კვირას გათავისუფლებული საწოლი რგებოდა და აგრეთვე ხნიერი კაცი იყო.

ახალმა, საავადმყოფოში ახლახან მოხვედრილის კვლობაზე დანარჩენებზე მეტად დარდიანმა ავადმყოფმა, სახე მადლიერად გაინათა და მას ძველი ნაცნობივით შინაურულად გაუღიმა. რადგან ძველი ავადმყოფების გაუთავებელი სიყვარულიანი მოხსენიებით ინიშნა, ვინც იყო მათი მხიარული მნახველი.



ეჭვილობით, უსიარო ტყაპაო!

რომანი

ექიმს იგნატი არ გაუცილებია. თვალი გააყოლა მხოლოდ.

— გაწუხებს კრილობა? — მომიბრუნდა მაიორი.

— არც ისე, იქ, სოფელში იგნატ პლატონიჩის მეუღლემ მალამო დამადო, შემიხვია.

— კარგია, დილამდე მოითმინე. ამ სინათლეზე მაინც რა უნდა გავაკეთო, ახლა დასვენება სჯობია. შენ აქ დარჩი, აგერ ტახტზე მოეწყვე, კი ვერ დაეტევი, მაგრამ რას იზამ, — უთხრა კორპუშევს.

— თქვენ, ექიმო?

— მე უკვე შეძინა.

— არა, მე იატაკზე დაეწვეები, ან იქ, საბძელში ჩამიყვანეთ დაჭრილებთან. — თქვა ვალოდიამ.

— იქ არ შეიძლება, ლაპარაკს დაიწყებთ, დაჭრილებს გააღვიძებთ, — წავიდეთ, — ლამფა აიღო, გვერდის კარი გამოაღო, მომანათა.

— სამსაფეხურიანი კიბეა, ნელა ჩადი და კარებთან დაწევი.

ნაჩვენებ ადგილას მივედი და მიწაზე გაფენილ თივაზე დავეწეი. ექიმმა კარი გაიხურა.

— ვილაც შეინძრა, ვილაცამ დაიკვნესა,

დაილაპარაკა, მაგრამ ჩემთვის არავის არაფერი უკითხავს. რევოლვერი თავქვეშ ამოვიდე და თვალები დავხუკე.

კარგახნის გათენებული იყო, თვალი რომ გავახილე. თავზე მიშა ლიზუნოვი მადგა.

— საშა, მეთაურო, მართლა შენა ხარ?

— მიშა, — შევეყვირე, წამოდგომაც დავაპირე, მაგრამ ვინდა გაცალა, ლიზუნოვი პირდაპირ მკერდზე დამემხო. ისეთი ვანცდა დამეუფლა, თითქოს დიდი, ძალიან დიდი ხნის დაკარგული ძმა მეპოვოს, დაჭრილები წამომჯდარიყვნენ, ყველა ჩვენ გვიცქეროდა. მიშა ძლივს ავიგლიჯე მკერდიდან. კოკლობდა.

— ვასოც აქ არის. — თქვა მიშამ.

— ვასო. — შევეყვირე ქართულად, ხმა არავინ გამცა, დაჭრილებს შევეყურებ, თვითუფს ცალ-ცალკე, მერე ყველას ერთად. აქ არც ისე ბნელა. საბძელს ერთ მხარეზე კარგა მოზრდილი ფანჯარა თუ რაღაც ამის მსგავსი აქვს დატანებული. ყოველ შემთხვევაში მე ამ ბუკების სახეებს ვარჩევ. სულ დავიბენი. მიშაც აღარ იღებს ხმას. იქვე, ჩემს ახლო მიყუდებია ბოძს და მიყურებს.

— მომატყუილე, მიშა?

მიშამ ახლაც არაფერი თქვა, ხელი

მომკიდა და წამიყვანა. დაჭრილები ერთმანეთის გვერდით წვანან, ისე როგორც პლაჟზე მინახავს. ზოგი ზის, ზოგი იდევებს დაყრდნობია და ინტერესით მიცქერის.

საბძელში ნამდვილი საავადმყოფოს სუნს დგას. არ ვიცი რა აყენებს ამ სუნს, თვითონ ჭრილობა თუ წამალი. ალბათ უფრო წამალი, მაგრამ არ მგონია ეს „საავადმყოფო“ წამლებით მდიდარი იყოს.

მიშას ჩემი მარცხენა ხელი უჭირავს, კოჭლობით მიდის, თან ბიჭებს მაცნობს. მე ვესალმები მათ. ხელს ვუწვდები. ზოგი თვითონ მასწრებს, ფეხზეც დგება, ხელს მართმევს, სახელსაც მეუბნება და მერე საბძლის ერთ-ერთ მივარდნილ კუთხისაკენ იცქირება.

იქ ვილაც წევს გაუხმრევლად. ნუთუ ვასოა?

მივუახლოვდი, დავიხარე, მერე ჩავიჩოქე, დავხედე. ვასო ისეა მარლაში შეხვეული, თვალები ძლივს უჩანს.

— ვასო, ვასო. მე ვარ, ბიჭო, მე! — ლიზუნოვს ავხედე. დგას ხელუბდამჭყედეული, ჭირისუფალივით დასცქერის ვასოს.

რალაცა უნდა ვკითხო, მდგომარეობა უთქმელადაც ნათელია, მაგრამ ვასომ ოდნავ, სულ ოდნავ გახსნა ტუჩი, ჭუჭუს მოწყურებულ ჩეილივით ააცმაცუნა, თითქოს რალაც უნდა თქვას. უფრო დავიხარე, ყური ზედ ტუჩებთან მივიტანე.

— ვკვდები. — თქვა და შეინძრა.

— ვკვდებით, ვკვდებით. არიქა მიშველეთ, ბიჭებო. ექიმო... ექიმო... ამხანაგო მაიორო. — ავეყირდი და იმ პატარა კარებისაკენ გავიქეცი, რომლითაც წუხელ ჩამომგზავნა საბძელში ექიმმა, მაგრამ კარებთან მისჭლა აღარ დამპირებია. კარებში სულერთიანად გაფითრებული მაიორი გამოჩნდა. შეცვლილა, სახე რალაცნაირად დაგრძელებია, მხრებზე უთრთის. იგი სწრაფად დაეშვა კიბეზე და პირდაპირ ვასოს მიაშურა. მუჯაში ხელი სტაცა და გაიჩინდა. მე და მიშა ექიმს თვალებში შევეცქერიით, შინ-

და ამ თვალებში მითხრას, გამაგებინოს რა უბედურებაა ვასოს თანხვეწილობად შემოგვეყურებს დალილი დაქანცული, უძილობით ჩაწითლებული თვალები. რას გაიგებ?

ექიმმა ვასოს მაჯა ფრთხილად დადო თვაზე, ჯიბიდან რალაც აბი ამოიღო და ძალით გადააყლაპა დაჭრილს. მერე ადგა, თქვენ როგორ ხართო, ჰკითხა და ნარჩენებს. ძალიან კარგადო, უპასუხეს, ახლა შევნიშნე ყველა ფეხზე იდგა. დაწყეთ, დაისვენეთ, ჯერ ადრეა, ნუ აიშლებითო, თქვა ექიმმა და მე მომიბრუნდა. წავიდეთ, ვნახოთ შენი ჭრილობაო.

მივეყვი. ოთახში რომ ავედი, მეგონა ვალოდიას იქ ვნახავდი ტახტზე ან იატაკზე გაშობილს. ექიმმა დამასწრო. შენი მეგობარი იგნატ პლატონიჩმა ორი საათის წინ წაიყვანაო, მერე მორყეულ ტახტურეტზე დამსვა, ჭრილობა გამიხსნა, გულდაგულ გაისინჯა და მითხრა: იოლად გადარჩენილხარო. პატარა მაგიდაზე ჩანთა იდო, იქედან მგონი სტრეპტოციდის აბები ამოიღო, დაფშენა, ჭრილობაზე დამაყარა და ისევ შემიხვია.

— ვასოს საქმე ცუდადაა, ექიმო, ხომ? — ვკითხე.

— კარგად არ არის, მაგრამ უნდა ეადარჩეს. თუ რაიმე საგანგებო შემთხვევაში ხელი არ შეგვიშალა, მაგარი ბიჭია ოპერაცია რომ გავუკეთე, ერთხელაც არ დაუტყვენსია. ასეთ ოპერაციას, ისიც ჩვენს პირობებში, ჯოჯოხეთური ტყვივლები ახლავს. მეგონა ტახტზე ვერ დავამგრებდი არც განძრეულა. რა ვქნა, ჩემო ძმაო, მე აქ რა გამაჩნია. — ჩანთაში ჩაიხედა, იქიდან რალაც-რალაცები ამოალაგა და მიჩვენა — ესაა მთელი ჩვენი მარაგო. პატარა შუშის ფსკერზე მუჭი სითხე შევნიშნე. ალბათ იოლი იყო. მან ფრთხილად, რალაცნაირის მოწიწებით ჩაალაგა წამლები ჩანთაში, შეინახა და ჩამოჭდა.

— საგანგებო შემთხვევაში რას გულისხმობთ ექიმო?

ფანჯარასთან მივიდა და ალბათ სოფლის მიმართულებით გაიხედა. ფანჯარა ფანერის ნაჭრებით იყო ამოკედლილი, ერთადერთი მინალა შერჩენილია.

— გესმის მანქანების გუგუნის?

მის უკან დავედქი, ვცდილობდი ფანჯარაში გამეხედა, მივიწიე, გახედვით კი გავიხედე, მაგრამ ვერაფერი ვერ დავინახე. მხარზე ხელი გადამხვია და ამჭერად რალაც ნაღვლიანად თქვა:

— მიდიან და მიდიან შეუჩერებლივ, ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე, ერთხელაც იქნება ვილაც დაგვასმენს, აქაც ამოვლენ და...

ახლა ღმერთმა ნუ ჰქნას. ეს ერთი თვე, ერთადერთი თვე მაინც მჭირდება, რომ ბიჭები ფეხზე დავაყენო.

— აქ ასე საშიშია?

— ძალიან. — ისევ ჩამოვკეჩით, მე ტაბურეტზე, ის ტაბტზე მოეწყო, შემომხედა გამილიმა.

— ასეა ჩვენი საქმე. აბა ახლა მიაამბე ვინა ხარ, საიდან მოხვდი იგნატთან, სად ყოფილხარ, სად გიბრძოლია?

ვუსმენდი ამ სიკეთით სავსე კაცს და ღმერთს მადლობას ვწირავდი, რომ ვანსაცდელის ქაშს, თითქმის უმწეო მდგომარეობაში ჩაეყვინო დაპრილებს, ამ მივარდნილ ხუტორში ასეთი ადამიანი მიუჩინა განგებამ. მერე დავიწყე, ძალიან შორიდან დავიწყე ჩემი ამბის თხრობა. ვცდილობდი ყოველი წვრილმანიც კი გამეხსენებინა, არაფერი გამომჩენოდა. დიდი ყურადღებით მომისმინა, ერთხელაც არ შეუჩერებია. რომ დავამთავრე, მადლიერის თვალთ შემომხედა, ისევ გამილიმა და კმაყოფილების ნიშნად თავი დამიქნია. ახლა ჩემი ჯერიაო, თქვა და დაიწყო:

მედიცინის სამსახურის მაიორს პეტრე ივანეს ძე ტიზონოვს დიდი ვაჭირვებით გაურღვევია ალყა, ტყვეობას გადაჩენილა, დიდხანს უხეტიალია ტყეტყე, სოფელ-სოფელ სადღაც ტანაყმელი გამოუცვლია, წვერიც მოუშვია და აქამდე მოუღწევია. ხუტორში ამოსვლამდე ქვევით სოფელში ლეონ ცურა-

ნის სახლში გაუთევია დამე და იქ დაწყვეტილა მისი ხუტორში, მოუხვანაკურანი ამ რაიონში დიდად მოღებულესკაცი ყოფილა. რაიკომის მდივანთან, ადამ სტელმახთან ერთად იატაკქვეშა ორგანიზაციაც შეუქმნია. დაპრილი წითელარმიელები სოფლებში ჰყოლიათ მოსახლეებს შეკედლებული. უვლიდნენ და შეძლებისდაგვარად მკურნალობდნენ თურმე, მაგრამ ერთ დღეს პოლიცია დასხმით თავს, ოთხი დაპრილი ჯარისკაცი დაუხვრეტით და მოსახლეობაც სასტიკად გაუფრთხილებათ. ვინც დაპრილ მებრძოლს შეიფარებს, მასთან ერთად დაიხვრეტებაო. პეტრეს, ცურანს და სუზოდოლსკის გადარჩენილი დაპრილები ხუტორში აუყვანიათ. დანგრეული საბძელი სახელდახელოდ მოუწყვიათ და ექიმიც დაპრილებთან დარჩენილა.

ჯერჯერობით ცოცხლები ვართო, დაასრულა მან. სოფელი არ გვივიწყებსო, მოხუცი იგნატი ღვთისნიერი კაციაო, სული ამ კაცის წყალობით გვიდგიაო.

მეც ყურადღებით მოვუსმინე ექიმს, არც ერთი კითხვა არ მიმიცია. ისეთი ტყბილი, გულში ჩამწვდომი ხმა აქვს, ვინდა, სულ ილაპარაკოს, მაგრამ ადამ სტელმახი რომ ახსენა, მაშინ ძლივს შევიკავე თავი. ამ გვარის გაგონებაზე წამსვე ანტონ სუზოდოლსკი გამახსენდა.

...ანტონმა ერთხელ თქვა, რაიკომის მდივანი ადამ სტელმახი გავიცანიო. ადამ სტელმახიო, სწორედ ასე თქვა და ახლა ექიმმაც ახსენა ეს გვარი. მაიორის ნაამბობმა მხნეობა შემმატა. სოფელს არ სძინავს, ხალხი დაშინებულია, მაგრამ არ ნებდება, ემზადება, მტერთან საბრძოლველად გზას თუ ბილიკს ეძებს. საპიროს სიჩქარე. რაც შეიძლება ჩქარი განკურნება, რა დავილად ითქმის? განკურნებას ვინ დაეძებს. ან აქ, ამ პირობებში ვანა განკურნებაზე ფიქრი შეიძლება? მე კიდევ პო, სიარული შემიძლია, ერთი ორი დღე რომ დავრჩე აქ, ალბათ უფრო მოვლონიერდები და მერე უკან აღარაფერზე დავიხევე. არც მიშა უნდა იყოს მძიმედ დაპრილი.

აი, ვასოს საქმე კი ვერ არის კარგად. ვასოს ფეხზე წამოყენებას დრო უნდა.

— სხვები?

— მე წავალ, მინდა ამხანაგებს უფრო ახლო გავეცნო, — ვთქვი და ავდექი. მან თავი დამიქნია.

საბძელში ჩავედი, დაჭრილებში გავე-
რიე. ის დღე ერთმანეთის გაცნობაში
დავალამეთ. ყველას ყურადღება მაინც
ვასოსკენ იყო მოქცეული.

შელამებულში კორპუსშევი გამოცხად-
და, მოზრდილი კალათით კარტოფლი
და რძე ამოიტანა. კარტოფილი მოვხა-
რშეთ და დავინაწილეთ. თვითოეულს
სამი კარტოფილი შეგვხვდა. რძე შედა-
რებით მძიმედ დაჭრილებს დავალევი-
ნეთ.

...დღე-დღეს მისდევდა. ჩემი ჭრილ-
ბა თანდათან შუშდებოდა, ტკივილს
თითქმის ვეღარ ვგრძნობდი, მიშაც ისე
აღარ კოქლობდა. ლიზუნოვი ყოველ
დღე-საღამოს ვარჯიშობდა, სიცილის
ვერ ვიკაევბდით, როცა იგი დაჭრილ
ფეხზე დადგებოდა და ითვლიდა, აბა
რამდენ ხანს გავძლებო.

ვასოს საქმე კი ჯერ კიდევ სათუო იყო.
მართალია ცოტა მოიხედა, ხელიც
ამოძრავა, რძეს ჩვენს დაუხმარებლად
სვამდა, წამოდგომაც სცადა ერთი-ორ-
ჯერ, მაგრამ ეტყობა თავბრუ დაესხა და
რომ მიშა არა, ალბათ იატაკზე გაიშ-
ლართებოდა. ასე თუ ისე, ცოტა უკე-
თესობა მასაც ემჩინეოდა.

საბძელი ერთ ძმურ ოჯახად იქცა.
თითოეულის ბიოგრაფია ისე დაწვრი-
ლებით ვიცოდით, რომ მოსაყოლრ თით-
ქმის აღარაფერი დაგვრჩა. ჩვენდა უნე-
ბურად, ყოველგვარი წინასწარი შეთანხ-
მების გარეშე წესად დადგინდა, რო-
გორც კი რომელიმე დაჭრილი დაიკენე-
სებდა, უმალ ყველა ერთად წამოვეყოფ-
დით თავს. დაჭრილ ამხანაგს შემოვეხ-
ვეოდით და თუ ჩვენ არ შეგვეძლო
შველა, ექიმს დაუძახებდით.

ყოველ დილით მორიგეობით ვიწყებ-
დით სიის ზეპირ ამოკითხვას. არავითარ
განრიგი ჩვენ არ შეგვემუშავებია,
ყოველივე თავისთავად დადგინდა, გა-

თენდებოდა თუ არა, რომელიმე ჩვენთა-
განი წამოდგებოდა, ან წამოდგებოდა
და დაიწყებდა:

— ვასო!

— ვარ!

— მიშა!

— ვარ!

— გენადი!

— ვარ! და ასე ბოლომდე, მაგრამ
პირველად ყოველი ჩვენთაგანი აუცი-
ლებლად ვასოს დაუძახებდა.

ერთხელ, დილით ჩვეულებრივ გავი-
დვიძეთ. „სიის ამოკითხვა“ რიგით ლი-
ზუნოვს უწყევდა. მიშა ადგა და სანამ
ვარჯიშს შეუდგებოდა დაიწყო:

— ვასო!

პასუხი დაგვიანდა. შიშისაგან სისხლი
გამეყინა. მეგონა მიწას დავაკედი-შეთ-
ქი, ვერაფრით თავი ვერ წამოვწიე. მა-
გრამ აი, მიშამ მეორედ, უფრო ხმამაღ-
ლა, იყვირა — ვასო! და პასუხიც გაის-
მა.

— ვარ!

„ასე, შე კაცო, მე კი გამათავე და“

— გაეფიქრე.

— სტეფანი

— არის!

— საშა!

— არის!

— გენადი!

— აქ ვარ! — წამოდგა გენადი.

— ვიტია! ვიტალი. ვიტია. — შესა-
მედ იყვირა ლიზუნოვმა, მაგრამ ვიტა-
ლი ზახარჩუკს პასუხი არ გაუცია.

მე წამოვდექი, ზოგი წამოჯდა, ზოგი
ადგა, ჯერ ერთმანეთს შევაჩერდით. მე-
რე გაფიქრებულ ლიზუნოვთან ერთად
ყველამ შიშით მივიჩნდეთ ვიტალი ზა-
ხარჩუკისკენ.

ჩვენ ველით ვიტიას ხმას, ამ სი-
ცოცხლით სავსე ბიჭის პასუხს, რომე-
ლიც წუხელ ანეგდოტს გვიყვებოდა,
ბიჭის, რომელსაც ყველაზე გვიან ჩაე-
ძინა.

— ვიტალი! — ვყვირი მე.

— ზახარჩუკ! — ამყვა სტეფანე.

— ვიტა! — ბლავის გენადი.

მერე ყველა ერთად მივრბივართ მის-
კენ.

ვასოც მიფორთხავს, რალაცას ბურღ-
ლუნებს და მიფორთხავს.

ვიტალი, ვიტია, ვიტა!

ზახარჩუი გულდმა წევს, თვალები
ლიად დარჩენია, ტუჩებზე ბავშვური ლი-
მილი დაკვდომია.

— ექიმო, პიოტრ ივანიჩ! გვიშველ.

— ყვირის ლიზუნოვი.

ექიმის გამოჩენაზე აყვავანდით. ზო-
გი ხელს იშვერს, ზოგი ჯოხს, ყავარ-
ჯნის მაგივრობას რომ უწევს დაჭირის.
ზოგი ისეა გამოლენჩებული, პირი დაუ-
ღია მხოლოდ და გაშეშებულია.

— რა მოხდა? — ხმა უკანკალებს
ექიმს და პირველად ვასოსკენ იხედება,
კიბეზე ჩამორბის, ზახარჩუის ცხედარ-
თან იხრება და მის მაჯას იღებს.

...საბძელს ფიცრები ავაგლიჯეთ, კუ-
ბო შევეჭედეთ და იმავ საღამოს საბძ-
ლიდან ოციოდე მეტრზე, გამხმარი ალ-
უბლის ძირას გენადიმ და მიშამ სამარე
გათხარეს. კუბო მხარზე შევიდგით. წინ
მიშა და გენადი დადგნენ, უკან ექიმი და
მე.

უჩვეულო პროცესია დაიძრა.

არა, აქამდე ყველას არ შეეძლო სია-
რული, ზოგს წამოდგომაც კი უჭირდა,
მაგრამ ამ პროცესიას არავინ დაკლებია.
ვასოც ვერაფრით საბძელში ვერ დაე-
მაგრეთ, მას მხრებში შეუღდგნენ ბიჭე-
ბი და ვიტიას სამარემდე, კვნესით, წვა-
ლებით, ოხერით და ცრემლით ისიც მო-
ვიდა.

კუბო სამარეში ჩაუშვით და მიწა
მივაყარეთ. ყველანი ექიმს შევეცქერით,
გვინდა რალაც თქვას, ან მიცვალბულს
უთხრას სიტყვა, ან ჩვენ. იგი კი დგას,
ქალარა თმები გაწეწია და დუმს. ჩვენც
ვდუმვართ. დუმლით ვეთხოვებით მე-
გობარს. მერე ექიმი დაიხარა, მუჭით მი-
წა აიღო, საფლავს მიაყარა და თქვა:

— მაპატიე ძმობილო.

საბძელში დავბრუნდით და თივაზე
მივეყარენით.

ნაშუადღევს ექიმმა დამიძახა. მის პა-
ტარა ოთახში რომ ავედი, იქ ვილაც კა-

ცი დამხვდა, შემომეგება, ხელი ჩამო-
მართვა, გამეცნო:

— ლეონ ცურანი. — თქვენი მეგობარია
ბარი ანტონ სუხოდოლსკი ცოცხალია,
ხვალ გინახულებთ.

ყველა დარდი და წუხილი ერთბაშად
გადამაიწყდა.

მაშ ანტონი ცოცხალია, გადარჩა,
ხვალ მინახულებს..

ხვალ..

მაგრამ მეორე დღეს თურმე უფრო
დიდი გამოცდა გველოდა.

ღილით „სიის ამოკითხვა“ აღარაეის
გახსენებია, ისიც კი მიგვეიწყებოდა თუ
ვინ უნდა ყოფილიყო მორიგე.

გავიღვიძეთ, შიშით მოვაველეთ თვალი
საბძელს, ერთმანეთს შევხედეთ და დაე-
მშვიდდით. მე გულმა მაინც არ მომი-
მინა და ვასოს დაეფძახე.

ცოცხალი ვარო, მიპასუხა. ექიმი ჩა-
მოვიდა დაგვხვდა, ვასოს წამალი მის-
ცა და მშვიდად გვითხრა:

— ქვემოთ სოფელში გერმანელებია,
ვისაც იარაღი გაქვთ, მზად იყავით. მხო-
ლოდ მშვიდად, უბანიკოდ, — თქვა და
გავიდა.

იარაღი მხოლოდ მე აღმომაჩნდა, ის-
იც რევოლვერი. ამოვიღე და ქამარში
გავიჭკვე. მარჯვენა ხელის გამართვა უკ-
ვე აღარ მიჭირდა, მაგრამ რევოლვერი
ახლა ვერაფერი იმეღია.

ბიჭები დადუმდნენ და რატომღაც
მხოლოდ მე შემომცქერია.

ეზოში გამავალი საბძლის კარებთან
მივედი, გავიჭკვირე. შორს მანქანების
ხმაური ისმის, ეს ხმაური თითქოს ახ-
ლოვდება, თითქოს ჩვენკენ მოიწევს.
იქნებ მეჩვენება, იქნებ სულაც სხვა მი-
მართულებით მიდიან მანქანები. შიშს
ზომ დიდი თვალები აქვს. მოვიხედე ბი-
ჭები ფეხზე დგანან. ვასო ზის. მის გვერ-
დით გენადი და მიშაა.

მანქანების გუგუნი კი ახლოვდება,
ცხადია ხუტორისკენ მოდიან. რა ვქნა?
როგორ მოვიქცე? გავიყვანო დაჭრილე-
ბი? საით წავიდე? ნეტა რას აპირებს
ექიმი?

ორი მანქანა გამოჩნდა. ერთი მსუბუ-

ქი, უსაშველოდ გრძელი, შავი მანქანა, მეორე სატვირთო. სატვირთო მანქანის ძარაზე გერმანელები სხედან. მანქანები ცოტა მოშორებით დადგნენ. პატარა ოთახის კარები გაიღო, გამოჩნდა ექიმი.

— ექიმო!

— ექიმო!

— პიოტრ ივანიჩ! — ყვირილით მიუცვივდით მასთან.

— აბა თქვენ იცით, რაც უნდა მოხდეს, თავი ღირსეულად გეკვირთ. — თქვა და კარები გაიხურა.

შვირბინე, კარებს ყურით ავეწებე, მერე პატარა ქუჭრუტანაც ვიპოვე და ექიმის ოთახში იმ დროს შევიხედე, როცა მასთან რევოლვერმომარჯვებული ოფიცერი და სამი ჯარისკაცი შემოვიდა.

— თქვენა ხართ ექიმი? — შეეკითხა გერმანელი ოფიცერი რუსულად.

— გახლავართ. — მიუგო პეტრემ.

— ძალიან კარგი, ძალიან კარგი. მე შტურმფიურერი შულცი ვარ!

— კეთილი!

— თქვენი დახმარება გვჭირდება, ექიმო. — შულცმა რევოლვერი ბუდეში ჩასდო. — ჩვენ დაჭრილი გყავს, თვით გრუპენფიურერი, ჩვენი გენერალია დაჭრილი, გესმით?

— მესმის.

— ცენტრამდე შორსაა, თქვენ უნდა აღმოუჩინოთ პირველი დახმარება, უნდა გადაარჩინოთ, აუცილებლად უნდა გადაარჩინოთ, ესეც გესმით?

— მოიყვანეთ დაჭრილი!

შტურმფიურერმა ჯარისკაცებს რაღაც უთხრა. ისინი ოთახიდან გაცვივდნენ. ექიმმა ჩანთიდან საექიმო იარაღები ამოაღა, ლუმელში მუდამ ედგა კარდალით თბილი წყალი, ისიც გამოიღო. კვამლისაგან გაშავებული კარდალის დანახვაზე შულცი აიპრიზა. იგი თვალს არ აშორებდა ექიმს, რომელიც ძალზე მშვიდად ემზადებოდა საოპერაციოდ.

ოთახში ხუთმა გერმანელმა დაჭრილი გენერალი შემოიტანა. იგი ხმამაღლა კვნესოდა.

— აქ დააწვინეთ! — ტახტზე მიუთითა ექიმმა.

გენერალი

გენერალი ტახტზე დააწვინეს. გენერალი იყო, ფეხები ტახტს იქეთ დაეკიდა. ერთერთი ჯარისკაცი დაიხარა, გენერლის ფეხებს სწვდა, გულზე მიიხუტა და ასე ჩაცუქული დარჩა.

— გახადეთ ტანსაცმელი!

შულცმა ჯარისკაცებს ანიშნა, გენერალს ფრთხილად გახადეს კიტელი, პერანგიც. ექიმმა ჭრილობას დახედა. ჯარისკაცები მგლის თვალებით შესცქერიან მას, ხან შტურმფიურერს. ერთი მისი თავის დაქნევა და ჩვენს ექიმს ცოცხლად შესჰამენ.

— უნდა გადაარჩინოთ, აუცილებლად უნდა გადაარჩინოთ. — ამბობს შტურმფიურერი.

— დაიხიეთ უკან. — ხმას უშეუბნა ექიმი.

— ცურიკ. — უყვირის ჯარისკაცებს შულცი. თავად კი იქვე რჩება ფეხმოუცვლელად.

ექიმმა კარლიდან რაღაც იარაღს ამოიღო, მოიმარჯვა, მერე დაჭრილზე დაიხარა და...

— ხალტ! ხალტ! ხალტ! პენდე ჰობ!

— მომესმა ზურგს უკან.

საბძელში გერმანელები შემოცვივდნენ. ერთ კუთხეში მიგვაშწყვიდის. ვასო ვერ წამოდგა, მასთან გერმანელი ჯარისკაცი მივიდა, ფეხი წაჰკრა და ავტომატი მიუღირა, მაგრამ სანამ გაისროდა, ვასოს მიშა ლიზუნოვი დასწვდა, წამოაყენა და ჩვენამდე მოათრია.

საბძლიდან გამოგვრეკეს და სწორედ ალუბლის ახლო, ვიტალი ზახარჩუკის საფლავთან ჩავგვაშყრივეს. ვასო მე და ლიზუნოვმა შუაში მოვიქციეთ. ვამაგრებთ, ჯერჯერობით დგას, ამღვრეული თვალებით უცქერის გერმანელებს. მარლა სისხლით შეღებია. სისხლი მოკონავს შუბლზე და ნელა მოიწვეს დაბლა. ჩვენს წინ შვიდი გერმანელია, შვიდივეს ხელში ავტომატები უჭირავს, იღრავებიან, ლაზღანდარობენ, ჩვენკენ ავტომატებს იშვერენ, დაგვიცინიან.

— რუს სალდატ კაპუტ! — იძახის ერთი და იცინის.

— სტალინ კაპუტ. — ჰყვება მეორე.

— მოსკვა კაპუტ. — იკრიჭება მესამე და ყვითელ კბილებს აჩენს.

მერე ყველანი ერთად იცინიან, ხარხარებენ, სტვენენ.

მე რევოლვერი მაქვს, მე რალაც უნდა მოვიმოქმედო. ასე სიკვდილი უგუნურებაა. აი, ახლა ეს დაბალი ფაშისტი პირდაპირ თვალეშში რომ მომჩერებია, სასხლეტს ხელს დააჭერს და მორჩია, რომ დავასწრო! ქამრიდან რევოლვერის ამოღებას რა უნდა. ეს ოხერი, ალბათ, წამით მაინც მიიხედავს და მეც სწორედ ის წამი უნდა შევარჩიო. ორს მოვკლავ, ორს აუცილებლად გავიძლოვებ წინ. ცივი ოფლი მასხამს, შუბლიდან წურწურით ჩამოდის, საყელოსკენ მიძვრება. ხელები მიკანკალებს. ჯარისკაცი თვალს არ მაშორებს, თითქოს ჩემს ფიჭის ხედება

— კაპუტ, კაპუტ, კაპუტ. — მთელის ხმით ყვირის იგი და ჩვენს მწყრივს ჰაბუხით უვლის თავზე ავტომატის ჯერი. გული ძალუმად შეტყდა, შევეკრთი, ბიჭებს გადავხედე, ხომ არავინ დაეცა, ხომ არავინ წახდა?

არა, დგანან და მძულვარებით აღსავსე თვალებით რალაც უტიფრად შეჰყურებენ მკვლელებს. ერთმანეთს მხრებით მიყვრიან, უფრო გასწორებულან.

თავი ღირსეულად გეჭიროთო, გვიბრძანა ექიმი. ვგრძნობ ვასო მეკერის მხარით, მეც ვეკერი, იდაყვით ვაწვეები, ერთმანეთს ვამხნევებთ.

ექიმის ოთახიდან შულცი ყვირალი ისმის.

სდექ, სდექ, ექიმო, სდექ!

ბოძბივით გამოვარდა ეს ხმა იმ პატარა ოთახიდან. ჯარისკაცები იქეთ მარუნდნენ, ავტომატები შემართეს. კარებში პეტრე ტიხონოვი გამოჩნდა.

— მშვიდობით, ბიჭებო, ვამბობ რუსულად. არ გაფუჭდეთ, ექიმი არ შეარცხვინოთ. მშვიდობით ვასო. — ვიშვორებ ქართულად და ხელი ცახცახით მიმაქვს ქამრისაკენ. ექიმი ნელა მოდის,

მას შულცი მოსდევს ყვირილით. ახლ: ესერის, აუცილებლად ესერის! და შეუნდა შევძლო, როგორმე შევძლო ამ შტურმფიურერის მოკლა. ხელი რევოლვერს მისწვდა. მთელი ძალა, მთელი ჩემი გონება ამ ხელშია ახლა მოქცეული, მე სხვა არაფერი შემიძლია. მე ეს შულცი უნდა მოვკლა და თვითონაც ღირსეულად უნდა მოვკვდე.

— სდექ, ღორო, სდექ! — ყვირის, ბღავის შულცი და ისერის. პეტრე კი მოდის, დინჯად ჩამოვიდა კიბეზე, ჭაღარა თმა აწეწია, ხელები სისხლში ამოსურია და მოდის, თითქოს ოფიცერის ხმა არ ესმის. ვერც ამ გაცობისაგან პირდაღებულ ჯარისკაცებს ამჩნევს, პირდაპირ ჩვენკენ მოდის.

რა მოხდა? ნუთუ ის ოჯახდაქცეული გენერალი შემოაკვდა ხელში, ან იქნებ არ ინდომა მისი გადარჩენა, საკუთარი სიცოცხლეც გასწირა და ჩვენც... ვდუმვართ, ვიტალი ზახარჩუკის საფლავივით ვდუმვართ და ველით.

— სდექ, წყევლო, სდექ, — ბრახით სახე დამანძვია ოფიცერს, კიბეზე ჩამობის, ექიმს ეწევა და ზურგზე რევოლვერს აბჯენს.

— სდექ-მეთქი, ძაღლო!

პეტრე ტიხონოვს არ ესმის ეს ხმა. მას ახლა არაფერი არ ესმის, ხელებზე გენერლის სისხლი აცხია, თმა გაწეწია და მოდის, გვიახლოვდება. მწყრივის თავში დგება და შტურმფიურერს მშვილად ეუბნება:

— მე ამათთან ერთად მოვკვდები, გრუპენფიურერი თქვენ გადაარჩინეთ! შულცი ისერის, ერთხელ, ორჯერ, სამჯერ. წუიან ტყვიები, ტყვიების წუილს არაფრად აგდებს ექიმი. ოდნავდაც არ შემკრთალა. მეც შულცს შევყურებ, იგი ახლოა, სულ ახლო, კბილების ღრქიალით უახლოვდება ექიმს.

— ღორო, მერედა იცი ვინ მოვკვდება? იცი?

— ვიცი!

შულცმა ზედ მყერდზე მიაბჯინა რევოლვერი და იბღავლა:

— მარშ. მარშ!

— თქვენ აგვიანებთ, შტურმფიურერ, კიდევ ორიოდე წუთიც და თქვენს გენერალს ველარაინს გადაარჩენს.

— წყეულო, ძაღლო. — პირიდან ჰყრის შულცი, ფეხის წვერებზე იწევა და ჯარისკაცებს უყვირის. ჯარისკაცები თავქუდმოგლეჯილი გარბიან მანქანისაკენ.

ექიმი ოთახისაკენ დაიძრა.

— ჩქარა, ჩქარა! — ზურგში რევოლვერს სცემს შულცი. ექიმმა ისევ დინჯად აიარა კიბე და ოთახში შევიდა.

ახლა შეგვეძლოს გაქცევა. იქნებ რომელიმე ჩვენგანს გაესწრო, თავისთვის ეშველა. ამ ფიქრმა ალბათ ყოველ ჩვენთაგანს გაუარა გულში წამით, მაგრამ გაქცევა არავის უცდია. ერთმანეთს ხელები ჩავეკიდეთ და გავქვევდით.

რა ხდება იქ? იმ პატარა ოთახში? გადარჩება თუ არა გენერალი?

გადაარჩენს თუ არა ექიმი ესესელთა გრუპენფიურერს?

გადაარჩენს თუ არა?

რომ შემოაკედეს, მართლა რომ შემოაკედეს ხელში?

კარებში შტურმფიურერი გამოჩნდა.

გენერალი მოჰყავთ, ექიმიც უკან მოყვება. გენერალი ფრთხილად ჩამოიყვანეს კიბეზე, ასე ფრთხილად მიიყვანეს მსუბუქ მანქანასთან და შიგ შეიყვანეს.

სატყირთო მანქანაზე ესესელები სხედან, შულცის ბრძანებას ელიან.

ექიმი დგას, ჭაღარა თმები გაწეწია, ხელებზე გენერლის სისხლი აცხია. დგას და ისიც ელის. შულცი ნელა შემობრუნდა. რევოლვერი ამოიღო, ტყვიას სამარაგო გამოუცვალა და ექიმს ახედა. უცქერის, დამცინავი ღიმილი არ შორდება მის სახეს, უცქერის, თან ხელში რევოლვერს ათამაშებს. სული ამოძრობაზეა. აქედან ვერ მიეწვდები, აქედან მანქანამდე შორსაა, უძლური ვარ. არადა მოკლავს, უთუოდ მოკლავს... ისე ატრიალებს რევოლვერს, ისე მზაკვრულად იღიმება, მოკლავს.

— თქვენ მამაცი ხართ, ექიმო, ძალიან მამაცი ხართ. თქვენ... — ცალი თვა-

ლი მოჭუტა, წამით რევოლვერის ტრიალი შეწყვიტა, ხელი გამართმდა მტერთო.

— თქვენ უნდა იცოცხლოთ, თქვენ მამაცი ხართ, ექიმო, და უნდა იცოცხლოთ. ესენი კი, — შულცმა ჩვენკენ მიიხედა. — ესენი ისედაც მკვდრები არიან.

აუფედიურხევენ. — მანქანაში ჩაქდა. მანქანები იმ წამსვე დაიძრნენ.

„ესენი ისედაც მკვდრები არიან.“

— თქვა ესესის შტურმფიურერმა შულცმა, მაგრამ რა იცოდა მან, რომ მე და ის ერთხელ კიდევ შევხვდებოდით ერთმანეთს.

...ლეონ თედორეს ძე ცურანი მეუღლითა და ოთხი შვილით სოფელ ლედნევიჩში ცხოვრობდა. ომამდე ლეონი სოფლის საბჭოს თავმჯდომარე იყო. შვილებში ყველაზე უფროსს, ლიდას სწორედ იმ ხანებში შეუსრულდა თექვსმეტი წელი, მისი მომდევნო ვალოდია ცამეტი წლისა იყო, ნიკალა ხუთის, სულ უმცროსი ვალია — წლინახევრისა.

ომის დაწყების პირველ დღესვე მიიღო ცურანმა რაიკომის მდივნის ადამ კონსტანტინეს ძე სტელმახის დავალება. სასწრაფოდ ჩაატარა მობილიზაცია, ახალგაზრდობას თავი მოუყარა და თავად გაუძღვა რაიონის სამხედრო კომისარიატისაკენ.

ირგვლივ პურის ყანები ბიბინებდა, მტერი კი წინ მოიწევედა. გადაწყდა ყანების გადაწვა, მაგრამ ლეონმა კარგახანს ვერც ერთი გლეხი ვერ დაიყოლია. ის ხელი უნდა გახმეს, საკუთარ ნაოფლარს რომ ცეცხლს წაუეკიდებო, ეუბნებოდნენ პასუხად თავმჯდომარეს და თავთავიანთ ჭოხებში იმალებოდნენ, მათზე არც მუდარა სჭრიდა, არც მუქარა. გამოუვალი მდგომარეობა შეიქმნა, მტერი ახლოვდებოდა. ყოველ დღე მოსალოდნელი იყო მისი გამოჩენა.

ერთ დღით ლეონ ცურანმა გვერდში ვალოდია ამოიყენა. ასანთს გაჰკრა, პურის ყანა ცეცხლს მისცა. ცეცხლი უმაღლოდ უკვე ჩაყვითლებულ, თავთავებდამძიმებულ პურს. კვამლში გაეხვია სოფელი. ჭალები თავში ხელს იცე-



მდნენ, ბავშვები ტიროდნენ. ცეცხლი მძლავრობდა, ხალხის თვალწინ იწვოდა და ნადგურდებოდა პური, სელი, ხეხილი, ყველაფერი, რაც სოფელს ამდიდრებდა და აცოცხლებდა. გლეხები ქოხებიდან გამოვიდნენ, ოხვრით და ვაივიშით ამოუდგნენ ცურანს გვერდში.

ხანდახან სოფელს გერმანელთა თვითმფრინავები ვადაუფრენდნენ, თითო-ოროლა ბომბს ჩამოავდებდნენ და მიიმალებოდნენ. ცურანმა ახლა სოფლის თავკაცების დახმარებით საქონელი რაიონის ცენტრისაკენ გარეკა. მერე ხალხი ნიჩბებითა და წერაქვებით შეიპარა და ტანკსაწინააღმდეგო თხრილის გაჭრაზე დააყენა. დღესა და ღამეს ასწორებდნენ, იქვე ეძინათ, იქვე ხარშავდნენ კარტოფილს, სახელდახელოდ წაიხეშებდნენ და ისევ მიწის თხრას განაგრძობდნენ. ქალებს ხანდახან სოფლებიდან რძე ამოჰქონდათ. კაცები დაღუმებულნიყვნენ. ოფლად იღვრებოდნენ. წერაქვს რაღაც გაბრაზებით, ეინით ურტყამდნენ მიწას, თხრიდნენ და მიწაში მიძვრებოდნენ. მძიმე დღეები იდგა.

იანოვოს სპირტის ქარხნიდან სოფელ ობიულამდე გაიყვანეს ტანკსაწინააღმდეგო თხრილი. ივლისში სოფელ ლედენჩივთან გერმანელებმა დესანტი ჩამოსხეს. იმავე ღამეს ლეონ ცურანმა ამხანაგების დახმარებით დესანტი გაანადგურა. მტერი მაინც მოიწვედა წინ. წითელმა არმიამ დასტოვა მინსკი, ბარისოვო... ჯერი იანოვოს სპირტის ქარხნის აფეთქებაზე მიდგა. ცურანის უახლოესმა მეგობარმა კლიმოვეცემა, რომელიც ამ ქარხნის დირექტორად მუშაობდა ქვაფავდო და თაეი შეუშვია. ქარხნის აფეთქების უფლება არავის მისცა. სიტყვითა და მუქარით რომ ვერაფერი გააწყო, ქარხნის საამქროში ჩაიკეტა, მეც ამასთან ერთად ამაფეთქეთო. ორი დღე იჯდა საამქროში, მერე გამოვიდა.

ქარხანა ააფეთქეს.

ამასობაში მტერი მოახლოვდა. ხალხმა სოფლები მიატოვა და ბოგუშევსკისაკენ დაიძრა. ბოგუშევსკი რკინიგზის

მოზრდილი საკვანძო ცენტრი იყო, ხალხი იმედოვნებდა, იქიდან თავს ცუდშევსკიში გააქვნიან.

ზოგი ფეხით მიდიოდა, ზოგი ურიკათი, ზოგი ცხენით. თან მიჰქონდათ ყველაფერი, რისი წაღებაც კი შეეძლოთ.

ორშავიტებსკის გზატკეცილით მიდიოდნენ. ლეონ ცურანიც მათთან იყო ოჯახთან ერთად. უნდოდა თანასოფლელებს არ ჩამორჩენოდა, როგორც ჩაეღწია ბოგუშევსკამდე.

ნელა, მაგრამ დაეინებით მიიწვედნენ წინ.

სოფელ ზაბროვიეს რომ დაუახლოვდნენ, თავს გერმანელების თვითმფრინავები დაესხნენ. ბევრი გაწყვიტეს, გადარჩენილები ტყეში გაიფანტნენ.

ვერც ცურანმა მიაღწია ბოგუშევსკამდე, ლედენევიში დაბრუნება უაზრობა იყო და ოჯახი სოფელ კურევიშინოში ჩაიყვანა. ამ სოფელში ლეონის დედა და დები ცხოვრობდნენ.

ცოლ-შვილი რომ შედარებით საიმედო ადგილას დაიგულა, თავად სოფელ-სოფელ დაიწყო სიარული, სანდო ადამიანების ძებნა, შეკრება და დარაზმვა გახდა მისი ერთადერთი საზრუნავი.

ღამეს ხან ერთ სოფელში ათევდა, ხან მეორეში. მისი ადგილ-სამყოფელი ბევრმა იცოდა, მაგრამ ხალხისათვის თავდადებულ ადამიანს ყველა სიამოვნებით უღებდა კარს.

იატაკევეშა ორგანიზაცია, რომელიც პირველ ხანებში შვიდი კაცისაგან შედგებოდა, იარაღს აგროვებდა, საგულდაგულოდ ინახავდა.

ოკუპირებულ სოფლებში პირველ ხანებში გერმანელები იდგნენ, მერე და მერე სოფლები დასტოვეს და რაიონის ცენტრში, ბოგუშევსკში მოკალათდნენ. ამან შედარებით უფრო გაადვილა მუშაობა.

ერთ საღამოს ცურანს რაიკომის მდივანი ადამ სტელმახი ეწვია. მისმა გამოჩენამ იატაკევეშელებს ძალღონე შემატა. ტყეში იკრიბებოდნენ, ბჭობდნენ, ემზადებოდნენ. პირველ რიგში ოკუპა-

ციაში დარჩენილი მამაკაცები აღწერეს, ამათგან სრულიად საიმედონი თავიანთ ორგანიზაციაში გააერთიანეს.

სოფლებში გამოჩნდნენ წითელი არმიის ნაწილებს ჩამორჩენილი ჯარისკაცები, მეთაურებიც. სტელმახის დავალებით ცურანი მათ ტანსაცმელს უცვლიდა, სოფლებში არიგებდა, ზოგიერთს დავალებასაც აძლევდა.

გერმანელებმა სოფელ ბუდის ბურგომისტრად დანიშნეს პავლე შოროპი, არასრული საშუალო სკოლის ყოფილი დირექტორი, უპარტიო. შოროპი მაშინვე დაუკავშირდა იატაკქვეშელებს და თავისი სამსახური შესთავაზა.

საიდანაც გააჩინეს რადიომიმღები, იშოვეს აქუმულატორი და კურეიშინოში, ცურანის დედის ოჯახში დამალეს. რადიომიმღებს რიგრიგობით უსხდნენ ცურანის ოჯახის წევრები. ლიდა და ვალოდია ცნობებს იწერდნენ, ამრავლებდნენ და ხალხში ავრცელებდნენ.

ერთხელ ბუდის ბურგომისტრს პავლე შოროპს ბოგუშევსკის კომენდანტთან დაუძახეს. კომენდანტს იგი უცებ მოეწონა, თავად დაუდგა სკამი და არაუციკ მიაწოდა.

კომენდანტმა მაგიდის უჯრიდან რვეული ამოიღო, გადაფურცლა, ჩახედა, ჩაიღიმა და შოროპს წინ დაუდო. გერმანელი კომენდანტი რუსულად თავისუფლად ლაპარაკობდა.

— გაეცანით ამ სიას, ბატონო ბურგომისტრო. ესენი გერმანიაში უნდა გავგზავნოთ. ეს დიდი, ძალზე დიდი პატივია. ამიტომ გავალუბთ, საეჭვონი ამოშალოთ და სია ფიურერის ერთგული ადამიანებით შეავსოთ.

შოროპმა სია ჩაიკითხა. მას არც კომენდანტის თვალების პარპალი გამოპარვია და არც ღიმილი. რომელიც დროდადრო გადაურბოდა სახეზე. სია ჩაიკითხა, მაგრამ ვერაფრით ვერ მიხვდა თუ ვის უნდა შეედგინა იგი. სიაში კი მართლაც ერთგული და სანდო ადამიანთა გვარები ეწერა, მაგრამ არა ფიურერისა და გერმანიის ერთგული ადამიანებისა.

კომენდანტი ოთახში ბოლთას სცემდა, ხანდახან შედგებოდა და შოროპს გამომცდელად შეხედებდა. შოროპი წამოდგა და მშვიდად მიმართა კომენდანტს:

— ბატონო კომენდანტო, პირველად ყოვლისა მე მადლობა უნდა მოგახსენოთ იმ დიდი ნდობისათვის, რომელიც გამომიცხადეთ. ამოდენა სოფელი ჩამაბარეთ. ვცდილობ კიდევ უფრო მეტად გავაღრმავო და განვამტკიცო თქვენი ნდობა. ამ სიის შედგენა მეც შემეძლო.. — თვალელებში შეხედა. შეამოწმა, ხომ არ გავანაწყენო და განაგრძო: — აქ ყველაფერი რიგზე არ არის. მწამს, გერმანიაში გავზავნა დიდი პატივია. ამ პატივს ყველა ვერ იმსახურებს. აქ ბევრი საეჭვო გვარია.

— საეჭვო? — მოიღუშა გერმანელი.

— თუ ნებას მომცემთ, ბატონო კომენდანტო... — მაგრამ კომენდანტმა ბურგომისტრს სიტყვა არ დაამთავრებინა, მხარზე ხელი მოუთათუნა და მეგობრულად უთხრა:

— წაიღეთ, დააბუსტეთ და ორ დღეში უკანვე მომიტანეთ. სიაში ოცი კაცი უნდა იყოს. კაცი და ქალი... გენდობით და გავალუბთ შეარჩიოთ შესაფერნი, ოღონდ ეს სია სხვამ არ უნდა წაიკითხოხოს, მესამე პირმა ეს სია არ უნდა ნახოს. — დამარცვლა მან.

— მესამე პირმა ეს სია უკვე იცის, ბატონო კომენდანტო.

— როგორ თუ იცის? — უცებ ვერ მიუხედა გერმანელი.

— იცის მან, ვინც ეს სია შეადგინა. კომენდანტმა გაიციინა, მოწონების ნიშნად თავი დააქნია და შოროპს აგრძნობინა, საუბარი დამთავრებულიაო. პავლემ კომენდანტს თავი დაუკრა და გავიდა. იმავ დამეს შოროპმა სტელმახი და ცურანი ინახულა, ეთათბირა. გადაწყდა სია შეეცვალათ და შიგ ისეთები ჩაეწერათ, ვინც მათი აზრით მართლაც საეჭვონი იყვნენ.

ორი დღის შემდეგ შოროპმა ახალი სია მიართვა კომენდანტს, ხოლო ერთ

კვირისი სიოში შესულნი შორეულ გზას გაუყენეს.

ახლა იანოვოს სპირტის ქარხნის გაშვება დაავალეს შოროსს. ქარხანაში ერთადერთი ქვაბი დაუზიანებლად გადარჩენილიყო და რა თქმა უნდა მისი გამოყენება შეიძლებოდა. შოროპმა თითქოს ყველა ზომა იხმარა, ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რომ კომენდანტის დავალება შეესრულებინა, მაგრამ სწორედ ქარხნის გაშვების წინა დამეს ის ერთადერთი ქვაბიც აფეთქდა...

ქარხნის გაშვება ხანგრძლივი დროით გადაიდო. ამის საბასუხოდ კომენდანტმა სოფელ ტურიევოში პოლიციელთა რაზმი შექმნა. ტურიევო იანოვოს ზედკერა.

თვით იანოვოში საპოლიციო კადრი არ აღმოჩნდა და იძულებული გახდნენ ტურიევოს პოლიციისათვის დავეალებინათ იანოვოს სპირტის ქარხნის ამფეთქებლის პოვნა და დახვრეტა.

პოლიციის უფროსად დანიშნეს ყოფილი კულაკის შვილი, ნაციხარი, ვინმე ივანე სუშინსკი. სუშინსკის ქირის დღესავით სძულდა ყოველგვარი საბჭოური, სძულდა ყოველი კომუნისტი, კომკავშირელი, კოლმეურნეც კი და, რა თქმა უნდა, პირველ რიგში სძულდა საბჭოს თავმჯდომარე ლეონ ცურანი.

სუშინსკიმ კარგად იცოდა, რომ სპირტის ქარხნის აფეთქება მხოლოდ ცურანს შეეძლო. ისიც გაიგო, რომ ცურანი სოფელ-სოფელ დადიოდა, რაღაც ორგანიზაციას ჰქმნიდა ხალხს რაზმავდა და ყოველ მხრივ ცდილობდა მის ხელში ჩაგდებას.

თავის მხრივ ლეონიც ფხიზლობდა. შინ იშვიათად მიდიოდა. სოფელში თვალში არავის ეჩრებოდა, მაგრამ ერთხელ, ცოლ-შვილის სანახავად მოვიდა, უსაშველოდ დაღლილ-დაქანცულს ჩაეძინა და სწორედ ამ დროს თავს პოლიცია დაესხა.

ლეონი თოკით შეკრეს, იმდენი სცემა სუშინსკიმ, რომ ცხვირ-პირიდან სულ სისხლი აღინა, ცოცხალ-მკვდარი

ლეონი ფორანზე დააგდეს და თან წაიყვანეს.

პოლიციელებმა გზად ბუღაში გაიარეს, ბურგომისტრი პავლე შოროპი ინახულეს. პავლემ პოლიციელები შინ შეიპატიჟა, არყით გაუმასპინძლდა, სამივე დაათრო და ცურანს გაქცევაში უშველა, თან უთხრა, სუშინსკის წამოცდა, ხვალ-ზეგ ყველა იატაკქვეშელს გაგებწრავთო. იმავე დამეს ცურანმა ამხანაგები ტყეში სამდღისოდ გათხრილ მიწურში გაგზავნა. თავად სტელმახთან ერთად ისევ სოფელში დარჩენა არჩია.

მეორე დღეს კურეიშინოში პოლიციელებთან ერთად გერმანელებიც მივიდნენ. ცურანის დედის სახლი ორი ოთახისაგან შედგებოდა. იგი სოფლის განაპირას იდგა. მეორე ოთახში, რომელიც უფრო საკუჭნაოს წააგავდა, ცურანის ცოლი და შვილები იმალებოდნენ. გერმანელები სახლში შეცვივდნენ, წინა ოთახში ცურანის დედა დახვდათ. მოხუცს თარჯიმანის საშუალებით დაუწყეს დაკითხვა:

— სად არის შენი შვილი, ცურანი?

მოხუცმა უცებ სხვა ვერაფერი მოიფიქრა და უპასუხა, ჩემი შვილი, ლეონი სოფლის მეორე თავშიაო. გერმანელები სოფლის ბოლოსკენ გაიქცნენ, მაგრამ მალე ისევ დაბრუნდნენ, გაბრაზებულნი და გაცოფებულნი. მოხუცი წამოაქციეს, დაუზოგავად სცემეს და მეორე ოთახში შევიდნენ. ცურანის ცოლი ავად იყო, გულზე პატარა ვალია და ნიკალა მიეკრა. გერმანელმა რევოლვერი მიუღირა. ლიდა და ვალოდია ფეხზე წამოვარდნენ და გერმანელს წინ დაუდგნენ. გერმანელს გაეღიმა. ჯერ ლიდას ჩაველო ხელი და კედელთან დააყენა, მერე ვალოდიასაც მისწვდა, მაგრამ ბიჭი თავად დადგა დის გვერდით.

გერმანელმა იქვე მდგომ ჯარისკაცს რაღაც უთხრა. ჯარისკაცმა ხიშტიანი თოფი ასწია, დაძმისაყენ გააქანა, თითქოს უნდოდა ორივე ხიშტზე წამოეგო, მაგრამ ხიშტი კედელში შეარჭო და გადაიხარხარა. დედამ შეპკივლა. ან

დროს ოთახში გერმანელი ოფიცერი შემოვიდა. მის გამოჩენაზე ოთახში მყოფი გერმანელები გასწორდნენ. ოფიცერი ფერდაკარგულ ლიდასთან მივიდა, ლოყაზე ხელი მიუთათუნა და ჰკითხა:

— ლამაზო გოგონა, დედა რით არის ავად?

— ტიფით! — დაუფიქრებლად მიუგო ლიდა.

გერმანელები ტყვიანაკრავივით გაცვივდნენ სახლიდან. შუგბით ამოისუნთქეს, მაგრამ სიხარული ნაადრევი გამოდგა. ოთახში პოლიციელი შემოვიდა და ლიდა და ვალოდია თან წაიყვანა. ქუჩაში ფორანი იდგა. ფორანზე ხელფეხშეკრული ერთ-ერთი იატაკქვეშელი ალექსი ბორსუკოვი ეგდო. მის დაკითხვას პირადად გერმანელი ოფიცერი აწარმოებდა. ბორსუკოვი დუმდა, გერმანელის შეკითხვაზე პასუხს არ იძლეოდა.

იატაკქვეშელს გერმანელი ჯარისკაცი დროგამოშვებით ხიშტით ჩხვლუტდა. ბორსუკოვი არ კენესოდა, მხოლოდ კბილებს აღრქვილებდა.

წამება მთელი საათი გაგრძელდა. ბორსუკოვს ვერაფერი ვერ ათქმევინეს, ოფიცერმა ხელი ჩაიქნია და რევოლვერი იძრო. ბორსუკოვი წამოიწია, მუხლებზე დადგა და ფაშისტს შიგ სახეში შეაფურთხა. გერმანელმა მას ტყვიები დააყარა. ამ არეულობით ისარგებლეს ლიდა და ვალოდია და მიიმალნენ.

ლეონ ცურანს ეძებდნენ ყველგან. ჩხრეკდნენ ოთახებს, საბძელებს. ყველაფერი გადააქოთეს, მაგრამ ვერსად აღმოაჩინეს. ამ დროს ლეონი ტყის პირას ყველაზე მაღალ ნაძვზე იყო ასული და სოფელს უთვალთვალებდა.

იმ დღეს კურეიშინოში თერამეტაკაცი და ქალი დახვრიტეს. ისინი ოდნე შემალლებულ ადგილას დააყენეს, ორმო საკუთარი ხელით გაათხრევენეს, ტყვიები დაუშინეს და მერე მათი ცხედრები ორმოში ჩაყარეს. ლეონი ამ სურათს ხედავდა, იგი დარწმუნებული იყო, რომ დახვრეტილთა შორის მისი დედა, ცო-

ლი და შვილებიც იქნებოდნენ. შველამბულში შემოძვრა სახლში, ცანკალით გაალო კარი და იმავ წამს ცხლის ცხელი გაიგონა.

ცურანის მეუღლე შესლილივით შესცქეროდა ქმარს, რომელიც სულერთიანად გათეთრებულიყო.

ლეონმა პატარა ვალია და ნიკალა დედასთან დატოვა, ცოლი, ლიდა და ვალოდია კი ტყეში წაიყვანა.

მომდევნო დღეებში ცურანი და მისი ამხანაგები სისხლისმსმელ სუშინსკის დაეძებდნენ. გზაში უსაფრდებოდნენ, რიგრიგობით ათევენდნენ ღამეს, რომ როგორმე ხელში ჩაეგდოთ, ან ჩაეძაღლებინათ, მაგრამ სუშინსკი ყოველთვის უვნებელი რჩებოდა. იგი გაცოფებული დაძრწოდა, თან პოლიციელები დაჰყავდა და სოფლებს აწიოკებდა. ერთხელ ცურანის დედასთანაც შევიდა. უნდოდა მოხუცი მისავე ეზოში დაეხვრიტა, მაგრამ იბღბადა იგი შინ არ დახვდათ. სამაგიეროდ პოლიციელმა ბავშვებზე მოიტანა იერიში. ნიკალას ყურში სწვდა.

— საღ არის, ბებია?

ნიკალამ ხმა არ გასცა. პოლიციელმა ბიჭი კუთხეში მიაგდო და დასაშინებლად ესროლა. პატარა ვალია ატირდა და ძმისაკენ გახოხდა. სუშინსკიმ მას თავში დაუმიზნა, მაგრამ ტყვია ბავშვს მხარში მოხვდა. ბავშვი აღრიალდა, სახეზე ხელები აიფარა, კარისაკენ გასწია. სუშინსკიმ ახლა უფრო გულდაგულ დაუმიზნა რევოლვერი და გოგონას ტყვია შიგ თავში მოარტყა. მხეცმა ბიჭს ხელი ჩაავლო, სახლიდან გაათრია და ფორანზე დაავდო, თან გააფრთხილა, თავი არ ასწიო, თორემ შენც მოგვლავო.

ბიჭი ფორანზე დაემხო. პოლიციელი მეორე სახლისაკენ წავიდა, იქნებ ცურანის დედა იქ აღმოვაჩინოო. მას იმედი ჰქონდა, თუ ლეონის დედასა და ბიჭს დაატყვევებდა, ცურანი დანებდებოდა. როგორც კი სუშინსკი თვალს მიეფარა, ფორანთან ვიღაც ქალმა მიიბინა და ნიკალას უყვირა:

— გაიქეცი, შვილო, თავს უშველე, მოგვლავენ!

ნიკალა წამოხტა, ფორანიდან გადამოეშვა და ტყისაკენ მოქუსლა. ღამით პატარა კუბო შეჭედეს კეთილმა ადამიანებმა. ნიკალაც შემოიპარა სახლში. ბე-

ზიამ და შვილიშვილმა პატარა ვალია საბძლის ახლო დამარხეს.

...ეს ამბავი ანტონ სუხოლოლსკიმ მომიყვა. გერმანელები რომ წავიდნენ ჩვენ ისევ ისე, მიწაზე დაკრულბივით ვიდექით. ვიტებსკისკენ მიწავალ მანქანებს ვუკეპროდით და ვფიქრობდით.

„ღმერთო შენ მიაღწევიან იმ ოჯახდაქცეულ გრუპენფიურერს ვიტებსკამდე და მერე სულიც გაძრობიაო“

ექიმი იღვა ხელებდამკვდევული, ისიც იმ მიმართულებით იცქირებოდა, სახეზე არც სიმკაცრე ეხატა, არც აღელვება.

მე მინდოდა მასთან მიმერბინა, მოეხვეოდი და ყველას მაგიერ ჩამეკონა, ან რაღაც მეტყვა, მომემოქმედნა. იქნებ იმასვე ფიქრობდნენ ჩემი მეგობრებიც.

ექიმი შემობრუნდა, ნელა გამოემართა ჩვენსკენ. მოგვიახლოვდა, ერთხანს გვიცქირა და კეთილად გავვილიმა.

ვიღაც მუხლზე დაეცა, ვიღაცამ მაღლობთო, თქვა. მე კი ახლაც ვერაფერი მოვახერხე. ვიდექი გაშეშებული, შევყურებდი მის ახოვან მხრებს, სიკეთით სავეთ თვალებს და გული სიამაყით მეკვებოდა.

იგი ვასოსთან მოვიდა, მხარზე ხელი მოხვია. ვასოს თვალბში ცრემლი ბრწყინავდა.

ნელი ქარი ჰქროდა, მერე ქარს წვიმაც მოჰყვა. ქვევით აღარაფერი აღარ ჩანდა. ექიმმა ტყისკენ გაიხედა. შესაძლო იყო ისე შეუმჩნეველად დაგვსხმოდნენ თავს გერმანელები, ან პოლიციელები, რომ მათი მოახლოებაც ვერ შეგვენიშნა.

საჭირო იყო აჩქარება, რაღაც უნდა გველოდა, რომელიღაც გზას უნდა დავდგომოდით. ყოველ შემთხვევაში აქ დარჩენა აღარ შეიძლებოდა, მაგრამ ამას მე ვერ ვიტყვოდი. აქ უფროსი და განმკარგულებელი ექიმი იყო.

— უნდა დავტოვოთ აქაურობა, შეგობრებო. — მწკრივის თვალი მოავლო ექიმმა, ჯერ მე დამიძახა, მერე ლიზუნოვს, მერე სტეფანეს.

ჩვენ მწკრივიდან გამოვდით. ვასო იქვე დარჩა. არც კი შერხეულა.

— საბძელში თუ რაიმე დაგჩრჩათ, თან წაშოიღეთ, დაჭრილებს თქვენ წაშოიყვანთ, აბა, რაც შეიძლება სწრაფად. — თქვა და თავის ოთახს მიაშურა.

საბძლიდან ჩვენ-ჩვენი ხარა-ხურა გამოვიტანეთ, დაინაწილეთ და წასასმელულად მოვემზადეთ. ექიმიც გამტანდა და, მას შინელი ჩაეცვა, მხარზე თავისი განუყრელი ჩანთა ეკიდა.

ჩვენ ერთხელ კიდევ გავიხედეთ სოფლისაკენ, ერთხელ კიდევ შევაველეთ თვალი ჩვენს „საავადმყოფოს“ და დავიძარი. ექიმი წინ გავვიძვლა.

ვასო მე და მიშას მიგვყავდა. იგი ერთ ხანს ჩვენს მხრებზე დაყრდნობილი მოაბიჯებდა, მაგრამ ეტყობა, ძალიან გაუჭირდა. ამას ჩემზე უმაღლესი ლიზუნოვი მიხვდა. ჩვენ ხელები გადავაჯვარედინეთ და ვასო ხელებზე დავისევით. დანარჩენები მოდიან, უჭირთ, მაგრამ მაინც მოდიან.

ნაპურალი მინდორი გადავიარეთ და ტყეც გამოჩნდა.

— ცოტა კიდევ, სულ ცოტა და დავისევინებთ. — ვუბნებენი ვასოს ქართულად.

— გაუძელი, ძმობილო, გაუძელი. — ამხნევებს ვასოს მიშა. ვასო ღუმს. არ კენისის, მაგრამ ხანდახან ისე საწყლად წამოსკდება „ვაი ღედაო“. — გული მეკუმშება.

აბა, ტყეც.

დადვარჩით.

ტყეში შევდით, ცოტა გავიარეთ და შევისვენეთ.

ვასო სველ ბალახზე დაეწვინეთ. ექიმი იმ წამსვე მასთან გაჩნდა. დაელაპარაკა, დაამშვიდა, მერე სხვებსაც დაილაპარაკა, გაიხუმრა კიდევ.

მაინც რა ძალა აქვს ექიმის სიტყვას. ნეტავი ყველა ექიმის სიტყვა ასე სჭრის თუ მხოლოდ ეს მადლიანი კაცი დააჯილდოვა განგებამ ყველა სიკეთით.

დავიძარი, ტყეში უფრო ღრმად შევედით. დაღამდა. აქ აღარ უბერავს ქარი. ნაძვების გაჩაჩხულ ტოტებში ველარც წვიმა ატანს. ორი დიდი ნაძვის ძირას მოვეწყვეთ. ნაძვებქვეშ მიწა მშრალია, თითქოს არასოდეს არ ეწვიომოს. თავსხედით, მუხლი გავმართეთ. ერთი გაწოლა სიცოცხლის მირჩევნია, მაგრამ მე და ლიზუნოვს დაწოლა კი არა და დასვენებაც არ გვეწერა თურმე. ექიმმა მიგვიხმო, გზატყეცილზე დაბრუნება და მისი თვალთვალი დაგვავალა. არ გაუზვიადებია, თუ რაიმე საეჭვო შენიშნოთ, ჩვენსკენ გამოემშურეთო. მე და მიშა ბრძანების შესასრულებლად წავედით.

— რა კაცია, რა კაცია, ა. — მეუბნება გზაში მიშა. მე არ ვუპასუხე, ისე კი გამეხარადა, რომ ექიმზე საუბარი პირველად მან წამოიწყო.

— ექიმი რომ არა, ახლა ვიტია ზახარაშვილის საფლავთან ვეყრებოდით დახოცვლები, რა კაცია, ღმერთო, შენ აცოცხლე ეგ დიდხანს.

— ჩვეულებრივი ადამიანია, ჩემო მიშა. თუ ვიცოცხლებო, ბევრი ასეთი შემთხვევის მოწმენი გავხდებით მე და შენ. იქნებ შენც ჩაიდინო გმირობა, ომი წინაა, ჩემო ძმაო, ბრძოლა ახლა იწყება.

— ჩემი არ ვიცი და შენ რაღაც სასწაულს აუცილებლად მოახდენ, შენ გგონია არ ვგრძნობდი როგორ ემზადებოდი როგოლვერის ამოსაღებად? მიკვირს როგორ შეიკავე თავი? გამიგონია ქართველები გულღვიცხები არიანო. აწი ასმა კაცმა რომ მითხრას, ამას მაინც ვერ დავიჭერებ. შენმა სიმშვიდემ და თავშეკავებამ გადამირია.

— ეპ, მიშა, შენ იქნებ იფიქრე, შეშინდაო. ახლა ზედმეტია ტრახახი, მაგრამ მე იქ ოცქერი მაინც მოვკვდი, გესმის? ოცქერი. ათასმა აზრმა გამიარა, ყოველ წამს შემძლე იარაღი მეხმარა და ერთი ოხერი ფაშისტო მომიკლა, მაგრამ ხომ ხედავ, თავის შეკაევებამ აჯობა. სასწაულს კი, ჩემო ძმაო მდგომარეობა ჩავადენინებს. ახლა გავჩუმდეთ, მგონი გზატყვილის ვუახლოვდებით.

მართლაც გამოჩნდა ტყის პირი, გზატყვილიც. წვიმდა და ისე ბნელოდა, წინ გზის გარდა არაფერი ჩანდა. ნაძვის ქვეშ შევიფუფეთ და გავისუსეთ. მალე მანქანის ხმაური მოისმა. რაც უფრო ახლოვდებოდა ეს ხმაური, მით უფრო მემატებოდა შიში. ვაითუ ჩვენ მოგვდევენ, ვაითუ შეგვენიშნეს-მეთქი. მანქანებმა ჩაიარეს. ისინი ვიტებსკის მიმართულებით წავიდნენ. მერე და მერე ისე შეეჩვია ყური ამ ხმაურს, რომ მანქანების გამოჩენას უკვე აღარაფრად ვადგებდით. კოლონა-კოლონას მისდევდა. თითქმის ყველა მანქანა ვიტებსკისაკენ მირიბინებდა.

ასე გავიდა ორი საათი. მოგვშვიდა. მიშა აწრიალდა, ნაძვიდან ნაძვამდე დაბიჯებს და ეტყობა ფიქრობს, მაგრამ ნაფიქრალის გამხელას ვერ ბედავს. მე მოთმინებით ველი მის სიტყვას, ვიცი დიდხანს ვერ გაძლებს.

— რა იქნება სოფელში რომ ჩავედეთ, პურს ან კარტოფილს მაინც ვიშოვით. ჩვენც ცოდვანი ვართ და ისინიც. რას იტყვი?

— არ შეიძლება, ჩვენ ბრძანებას ვასრულებთ. — მივუგე მე.

— აბა, შიმშილით დავიხოცოთ?

— ადამიანი უქმელად თორმეტ დღეს სძლებს!

— ვინ გითხრა?

— მეცნიერებამ.

— მშია, შე უღმერთო!

— ერთი ჩემი იყითხე, ისე ვარ გამგელებული, შეიძლება დაპირილი ფეხი მიგაჭამო, მიფრთხილდი!

ლიზუნოვს გაეცინა.

— მართლა, როგორ გაქვს ფეხი, მიშა? ისე დადიხარ თითქოს არც კი გავკაწვროდეს.

— შიმშილია ყველაფერი დამაფიქსა. ჩუ. ჩუ. — ხმას დაუწია, ჩაცუცქდა. მეც ჩავიმუხლე. გზატყვილის მეორე მხრიდან ვილაც გამოჩნდა, ჩვენკენ მოალოაჩებს. მე რევოლვერი ამოვიღე, მოვემზადე. ის ვილაც შუა გზაზე შედგა. ხელი დააქნია. ახლა მეორე კაცი გამოჩნდა, მერე მესამე, ერთად გადმოქრეს გზა და ჩვენგან სულ რაღაც ათობდე მეტრზე შეჩერდნენ ერთ-ერთი დაიხარა, ეტყობა, კვალს ეძებს ცუდადაა საქმე. მხოლოდ სამნი თუ არიან, არა უშავს როგორმე მოუვლელი, მაგრამ ვინ იცის რამდენი ოხერი მოყვება მათ უკან?

კატის თვალები აქვს ლიზუნოვს, ნისლი და წვიმა რაა მისთვის, კუნაპეტ ღამეშიც ხედავს.

— კორპუშევ! ვალოდკა! — ისე უცებ იყვირა, გაცივებისაგან ენა კინაღამ ჩამივარდა.

— ლიზუნოვ, ეშმაკმა წაგიღოს, სად ხარ? — მოისმა პასუხად და ახლა მეც დაერწმუნდი, ჩვენები იყვნენ.

კორპუშევმა მოირბინა, ჩავგვხვია, გადარჩენა მოგვილოცა.

— სხვები სადღა არიან?

მიშამ ხელები ტყისაკენ გაიშვირა.

— ანტონ იგნატიჩ, ლეონ ფეოდოროვიჩ, აქეთ. — დაიძახა კორპუშევმა.

ანტონიო, ნუთუ მართლა სუხოლოლსკია?

— ანტონ! — ვიყვირე. სუხოლოლსკი მომიახლოვდა, ჩამეხვია.

— მართლა შენა ხარ, ანტონ. ა, შე-

ნა ხარ? — მხრებში ხელები ჩაევეღე და შევანჯღრიე.

— მე ვარ, ეს ამხანაგი ცურანია!

ცურანს ვიცნობდი, მან ერთხელ გვიანხულა „საავადმყოფოში“. მოკითხვა-მისალმებაში გზატყეცილი და ჩვენი მოვალეობა სულ დაგვაიწყა და მხოლოდ მაშინ გამოვერკვიეთ, როცა მანქანების ხმაური სულ ახლო გაისმა. ვიკადრეთ შემაღვა. მანქანების ჩავლას დაველოდეთ და ჩვენებისკენ გავწიეთ.

— მაგ ჩანთაში გასაქანასი ზომ არაფერი გაქვს? — ეუბნება ლიზუნოვი ვალოდიას და ზურგზე მოკიდებულ ჩანთას სინჯავს.

— ყველაფერი მაქვს, ოღონდ ცოტა მოითმინე.

— მშოი, ვალოდია, იქამდე ვერ მივაღწევ. — პატარა ბავშვივით თქვა მიშამ.

— ადამიანი უჭმელად თორმეტ დღეს სძლებს — ვალიზიანებ ლიზუნოვს. — თუმცა იმ მეცნიერს ვინც ეს დაადგინა ალბათ კაი-კაი ვაქეციები ჰყავდა მხედველობაში.

მაგრამ მიშა მე აღარ მისმენს. ვალოდიამ ჩანთა გასხნა და ახლა ლიზუნოვის ყურადღება იქითაა. მეც არა ვარ კარგ დღეში. კორპუსევი მიშას პურის ნატებს აწვდის, მე ანტონს გავუბი ლაპარაკი, ცალო ყური კი მათკენ მაქვს, პურის სუნი მცემს და პირში ნერწყვი მომდის. ლიზუნოვის ჭინაზე უნდა გავძლო. ვინ იცის რა მოგველის ხვალ, ზეგ, იქნებ იმ მეცნიერის გამართლება ჩვენ მოგვიხდეს. წრთობაა საჭირო.

მაგრამ ლიზუნოვი რა ლიზუნოვია თუ გამარჯვებული გამოგვიყვანა. პურის ნატები ძალით შემომაჩემა ხელში. მეც აღარ გავძლიანებოვარ და ერთი გემოზე ჩავკბიხე. გზაში ბებერი რამ მიაამბო ანტონმა. სწორედ მაშინ შევიტყვე ცურანისა და მისი ოჯახის ამბავი.

...იმავე ღამეს ყველანი მიწურში გადავეყვანეს. ექიმიც მათთან დატოვეს. მიწურში გავიციანი ახალგაზრდა ლიტენანტები — ფედია ტაჩენკო და ეენია დორონინი. ტაჩენკო მაღალი ყმაწვილია, ქალივით ღამაზი და მოხდენილი, ეენია საშუალო ტანისაა. შავკერემანია და ჯმუხი. მიწური დიდია, ორმოცდაათ — კაცს დაიტევს. ჯერჯერობით აქ მხოლოდ ოცდაორი კაცი ვართ ჩვენი ჩათვლით. აქედან სამნი — მე, ფედია და ეენია დო-

რონინი სოფლებში უნდა წავიდეთ, ამაღამვე დაუყოვნებლივ. ანსს! ცურანი მოითხოვს. ექიმს ჩემს წასვლაზე უარს არ უთქვამს. კრილობა უკვე მომუშებულა. მეც ამხანაგი ცურანი დავარწმუნე, რომ ხელს უკვე ვხმარობდი და მართლაც კრილობა თითქმის აღარ მწუხებდა.

ცურანი გვირჩევს, კი არ გვირჩევს, გვიბრძანებს. ამას იმის სიტყვა თითქმის მკაცრი, მაგრამ საოცრად ლოგიკური სიტყვა აღასტურებს. ის ზომ იატაკქვეშა ორგანიზაციის ერთერთი ხელმძღვანელია. მას აქვს ბრძანების უფლება, ვითარება მან უკეთ იცის.

სოფლებში წითელარმიელები არიან შეფარებულნი. ზოგმა ისე თბილად მოიკალათა, სახლიდან ვერ გამოაგდებ. ზოგმა ცოლად კი შეირთო. მე ასე გავიგე ცურანის სიტყვა, თორემ მთლად ანხირად არ უთქვამს, რალაც ჩასიძების მავგარი ახსენა. კინალამ გადავირიე. სწორედ მათთან სამუშაოდ მივყავართ ანხანავ ცურანს. თქვენ უფრო მოგისმენენ და გაგიგებენო. რა თქმა უნდა, სწორია, მაგრამ თუ არ გავიგებენ, ვითქულებთ. მე სოფელ ბუღაში უნდა ჩამიყვანონ და რომელიმე გლეხის ოჯახში ჩამასახლდნ. ბუღა რომ ახსენეს, ვამიხარდა. ანტონის ნაამბობიდან ვიცოდი, რომ ბუღაში ბურგომისტრად ჩვენი კაცი იყო. ამხანაგი პავლე შოროპი და თუ გამიჭირდებოდა უკეთეს მფარველს ვერც ვინატრებდი.

ანტონ სუხოლოლსკი თავის სოფელში, ვაროშინაში მიდის. ტაჩენკო და დორონინი იანოვოში. იქ ვილაც კაბიტანი ყოფილა შეხიზნული. მას უნდა დავუკავშირდეს. კარგია, ერთად მიინც იქნებიან. ანტონს რა უჭირს, მის სოფელში, მისიანებში არ უნდა დაკარგოს, მე ბურგომისტრის იმედით ვიყო?

ექიმს გულთბილად გამოვეთხოვე, მიშას მალე გამოჯანსაღება ვუსურვე, იგი გულდაწყვეტილია, ჩემთან უნდოდან წამოსვლა, დიაოინა, უკვე კარგად ვარო, სიარული კი არა, იკვავაც შემიძლიაო, დაჭრილი ფეხი მიწას დაჰკრა, მაგრამ არაფერმა არ უშველა. ბიჭებს სათითაოდ ჩამოვართვი ხელი და ვასოსთან შევჩერდი.

— მივდივარ, ვასო. აბა, შენ იცი, როგორ მოუვლი თავს, რა მალე დაღვები ფეხზე.

ვასო ხელზე ხელს მიჰკერს და თავის მხრივ ასე მარბივს:

— ფრთხილად იყავი, სოფელში გამომოხენას ერთდღე, მაინცადამაინც ყველას ნუ შეეჩრები თვალში. ვახსოვდეს, რომ შენ რული არა ხარ, არც ბელორუსი, ვაპოირჩევი.

— მადლობთ, ვასო! ვეცდები არ მოკვდებო, იცო, სიცოცხლე საინტერესო ხდება. ისეთი, მე და შენ წიგნებში რომ წაგვიკითხავს. ჩვენც მზადა ვართ. კრილობაც მიჩუმდა. შეხედე რა თავისუფლად ვამოძრავებ ხელს. — ხელი ავწიე, მართლაც არ მტკენია.

კორპუსევი მიწურში რჩება. იგი მეკავშირება. მისი მეშვეობით უნდა დამყარდეს კავშირი ჩვენს შორის. მიწური.

თბილი და მყუდრო მიწური. ერთი დამე მაინც გაგვეთია შიგ... —

ანტონმა ყურში ჩამჩურჩულა, გავიგებ ვის ოჯახში იქნები და ვეცდები ხმა მოგაწვდინო.

წავედით. გზატკეცილთან დავშორდით ერთმანეთს. მე და ცურანმა ერთად გავნაგრძეთ გზა.

ვათენებას ადარაფერი უკლდა, ბურგომისტრის სახლს რომ მივადექით. ცურანი თანქარასთან მივიდა, სამჯერ დააკაუნა და მეც მიმიხმო.

სახლში საბძლიდან შეგვიყვანეს. შორიკს ლამფა არ აუნთია. იგი ცურანმა გაიხმო და კარგა ხანს ელაპარაკა, მერე მე წარმადგინა.

მართალია მის სახეს კარგად ვერ ვხედავდი, მაგრამ ბურგომისტრი ერთი შეხედვით მომეწონა. ცოტა გამიკვირდა კიდევ, იგი ბელორუსს არაფრით არ პავდა. ჩემზე უფრო შავგვრემანი ეთქმოდა. შორიკმა ჩაიცვა და თან გამოგვყვა.

სოფელი სდუმდა. არც ერთხელ არ დაუწყებია ძაღლს და მამლის ყვილი გამიგონია. არც ერთ სახლს სიცოცხლის ნიშანწყალი არ ემჩნეოდა, თითქოს ყველაფერი ჩამკვდარიყო.

სოფლის ბოლომდე გავედით, მერე ხელმარჯვნივ შევეუხვეით. ცოტაც გავიარეთ და პირველად შორიკი შეჩერდა, ხელი განცალკევებით მდგომი სახლსაკენ გაიშვირა:

— იმ სახლში ერთი არაკეთილსაიმედო კაცი ცხოვრობს. ცოლად გერმანე-

ლი ქალი ჰყავს, პირველი მსოფლიო ომის შემდეგ ტყვედყოფილს წამოუყვანია გერმანიიდან. დღემდე არაფერმარეგვიმჩნევია, მაგრამ სიფრთხილეს თავი არ ასტკივს. თქვენ მათთან უნდა იცხოვროთ.

მე ცურანს გადავხედე. შიშისა და გაოცებისაგან თმები ყალუხე და მიდგა. ეს როგორ? არაკეთილსაიმედო კაცის ოჯახში, რომელსაც ცოლად გერმანელი ქალი ჰყავს, ღამეს რა გამათევიანებს? აქედანვე მახეში უნდა გავება? ამაზე როგორ დავთანხმდები. თუ საჭირო ვარ, რომელიმე პატიოსან კაცთან შემძახონ, თუ არადა ახლავე უკან გაებრუნდები.

ცურანიც რომ სდუმს...

რა ვქნა, რა პასუხი ვაეცე? დავეთანხმო თუ უკანვე წავიდე?

უკანვე...

მერე ამით გარეშე მივანებე მიწურს?

— ნუ ყოყმანობთ, — თქვა შორიკმა — თქვენთვის ასე სჯობია. ესენი სულ ცდილობენ თავი ერთჯელ ადამიანებად მოგვაჩვენონ. — თითქოს გერმანელების მოსვლა სხვაზე მეტად აწუხებდეთ. ჩემთან ფრთხილობენ, მაგრამ სხვებთან წუწუნებენ. ნუ გეშინიათ, ჩვენ უყურადღებოდ არ დაგტოვებთ. მათი სულისკვეთების გაგებაც დიდი საქმეა. ახლა მიდით, დაუკაუნეთ და თავშესაფარი სთხოვეთ. ორ-სამ დღეში თქვენთან ჩემი კავი მოვა, ყველაფერს მისგან შეიტყობთ.

— მე როგორღა ამოვიცნო ის კაცი? — ვკითხე ნირწამხდარმა.

მან პაროლი გამანდო. ჩემს კეთილისმსურველებს არც კი გამოვთხოვებოვარ, ისე წავედი, მაგრამ ცურანი წამომეწონა.

— მარტო არ დაგტოვებთ, შორიკი ჩვენი კაცია იგი ახლა ბურგომისტრია და არ გაგიკვირდეთ.

— ვიცი.

— საიდან?

— ანტონმა მითხრა. თქვენი ოჯახის ამბავიც ვიცი.

ცურანმა ამოიოხრა.

— ეცადეთ მათი გული მოიგოთ, ეს ყველაზე საჭირო საქმეა. ეს ქალი რაიონის ცენტრში დაძვრება, მაგრამ ღისთან რას საქმიანობს, ჯერ კიდევ ვერ ვავიგებთ. თქვენ აქაური არა ხართ, ამას ნუ დაუმაღავთ მათ. თავი ისე მოაჩ-

ვენეთ, თითქოს ყველაფერს შეგუებული იყოთ და ახლა მხოლოდ სიცოცხლეზე, საკუთარი თავის გადაარჩენაზე ფიქრობდეთ. რა ექნათ, ასე გამოვიდა. ასე მოვილაპარაკეთ და ყველაზე რთული დავალებაც მოგვეცით. დარწმუნებული ვარ ჩვენს იმედს გაამართლებთ.

რა კარგად ლაპარაკობს ეს ოჯახაშენებული. ხმაც კარგი აქვს და თითონაც შესანიშნავი კაცია, მაგრამ მე ასეთი დავალებისათვის მზადა ვარ? შემიძლია?

მათი გული მოიგეთ, მათ ზრახვებს ჩასწვდიო, ის ქალი რაიონში ვილაცასთან დაძვრებაო, ჩვენ ვერ გავიგეთო და შენ გვიშველეო... რა ადვილი სათქმელია.

არა და უკან დასახევი გზაც არა მაქვს. ეს ადამიანები იატაკქვეშა ორგანიზაციას ხელმძღვანელობენ. ერთი ბურგომისტრია, ნემსის უფწში ძვრება და გერმანელების ნდობას იმსახურებს, რომ ამით საერთო-სახალხო საქმეს მეტი არგოს. მისი სოცოცხლე ხომ ყოველ წუთს ბეწვზე ჰკიდია ან ეს ცურანი, ვინ განიცადა ამ კაცზე მეტი?

წლინახევრის გოგონა მოუკლეს, ცოლ-შვილი ღმერთმა იცის, საღ ჰყავს შეფარებული, ან მოხუცი ღედა ვის პერქვეშ ათევს ღამეს..

რა მაქვს სათქმელი?

მალე ერთად უნდა გავიდეთ ტყეში. ალბათ ერთად მოგვიწევს ბრძოლა, ნამდვილი დიდი ბრძოლა წინაა და აქედანვე მათ თვალში დავმცირდე?

— ყველაფერი გასაგებია, ამხანაგო ცურან, ვეცდები შევასრულო თქვენი დავალება. ახლა გთხოვთ დაბრუნდეთ, ჩემს თავს მე თვითონ მივხვდავ, უბრალოდ არავის ჩავეფხვნები ხელში? ნახვამდის. — ვთქვი და პირდაპირ ნაჩვენებ სახლისკენ გავწიე.

კარებზე რომ ვაკაკუნებდი, მოვიხედე, ცურანი ისევ იმ ადგილას იდგა, მერე ხელი ასწია და წავიდა.

კაკუნზე იმ წამსვე მიპასუხეს, კარიც გამიღეს.

ასე, სამოც წელს მიღწეული მოხუცი შემხვდა.

— გამარჯობა ბიძია. ^{ერკინულა} ~~შრობიდან~~ მოგვადივარ, მცევა და მშია. თუ შეიძლება ცოტა ხნით შემეფარეთ! — ეს არც თხოვნა იყო, არც მუქარა.

მობრძანდითო, მითხრა მასპინძელმა და შინ შემიშვა.

თბილ ოთახში შესვლის უმალ მოვიტენეთ. აქა მშვიდობა-მეთქი, ვთქვი და თვალი ტახტისაკენ გამექცა.

— დაჯექით, დაისვენეთ. — სკამზე მიმითითა მასპინძელმა. ნიფხვის ზორტები შეიბნია და შარვალი ჩაიცვა.

— ბოდიშს ვიხდი, ბიძია, შეგაწუხეთ, მაგრამ ერთმა კაცმა მიჩრია, ამ სახლში საიმედო ადამიანები ცხოვრობენ, ღამის გათევავზე უარს არ გეტყვიანო და მეც მოგაშურეთ. თუმცა უკვე თენდება.

— ასე გითხრა? — გამომცდელად შემომხვდა მასპინძელმა. მერე ღუმელთან მივიდა და ცოლს რაღაც ჩაუბუტუნა. ქალი იმ წამსვე ჩამოვიდა ღუმელიდან და მომესალმა. უკვე საკმაოდ მოთენდა და ახლა შემემძლო უფრო გულდაგულ შემეთვალყურებინა ჩემი მასპინძელი, მისი გერმანელი მეუღლეც.

კაცი საშუალოზე უფრო დაბალია, პირხმელი, თმა გასცენია. მაგრამ მთლად მელოტიც არ ეთქმის. წვრილი, ეშმაკური თვალები ლაპარაკის დროს ეპუტება. ცალყბად ელიმება და ერთობ-არასასიამოვნო შთაბეჭდილებას ტოვებს. ცოლი ქმართან შედარებით ძალზე ახალგაზრდად გამოიყურება. ასე, ორმოცდასამი წლის ქალი იქნება. საკმაოდ კარგადაა შენახული და არც ულა-მაზო ეთქმის.

— დაუჩქარე, ანა, კარტოფილი და რძე მაინც მოართვი სტუმარს. — უთხრა კაცმა ქალს, მაგრამ ამ თქმითაც მიეხვდი, ამ სახლში უფროსი ცოლია და არა ქმარი.

ანამ მოხარშული კარტოფილი და ტოლიით რძე მომიტანა, მაგიდასთან მიმიწვია და წინ დამიდგა. რძეს რომ მისხამდა, სავსე მკერდი ხელით დაიფარა.

მაგრამ იმ წამსვე გასწია ხელი და რაღაც ეშმაკურად ჩაიღიმა-ერია!

ოთახში ერთი საწოლი და ერთი ძველი ტახტი იდგა.

რძე დავლივ და რამდენიმე კარტოფილიც მივიტანე, მერე ჩექმა გავიხადე, ხალათი სკამზე გადავიკიდე.

— ღუმელზე ადი, იქ უფრო თბილა.

— მითხრა დისასხლისმა.

— შარვალიც გაიხადე. — წამოვევლა ქმარი.

მე შარვალიც ხალათზე გადავიკიდე. ანამ სკამი კუთხეში მიდგა და რაღაც მიაფარა. ვინმე შემოვა და თვალში ეცემაო.

ღუმელზე ავედი და დავწეკი.

მას ასე, ჭერჭერობით ყველაფერი რიგზეა. მეგონა იმავე წამს ჩამეძინებოდა, მაგრამ თვალს რული არ წაეკარა. ღუმელი ჭერ თბილი მეჩვენა, მერე ისე დამცხა, ოფლიც კი დამასხა.

ჩემი მასპინძლები გარეთ გავიდნენ. საბძლის კარების ჭრიალი მომესმა. აქაურობა გულდაგულ მქონდა მოთვალეობებული. ვიცოდი საბძელი ბინისგან მოშორებით იდგა.

ფიქრს გავყევი. ვეცადე ჩემი მასპინძლის ყოველი სიტყვა ამეწონ-დამეწონა, ჩემბუტურად დამეხურდავებინა, მათი ღიმილი, შემოხედვა, გავლა-გამოვლაც კი, მაგრამ ვერაფერი დასკვნა ვერ გამოვიტანე. ეს ქალი პირველი მსოფლიო ომის შემდეგ ჩამოუყვანია ჩემს მასპინძელს გერმანიიდან. მას შემდეგ დიდი ხანი გავიდა. ნეტავი როგორ ეჭირათ თავი გერმანელების შემოსვლისას?

ამ ქალს, რა თქმა უნდა, გაუხარდებოდა, რატომაც არა, მისიანები მოვიდნენ, ქვეყნის დამპყრობნი... ნეტავი ვისთან დადის რაიონის ცენტრში? ეჰ, რა მალე მინდა ყველაფრის გაგება?

ჩამეძინა.

თვალი რომ გავახილე, უცებ ვერც კი მოვიგონე თუ სად ვიყავი. საათს დავხედე, ხუთი სრულდებოდა. ღუმელი ცხელი იყო. მაგიდას ცოლ-ქმარი უჯდა. დი-

ასახლისს სადილი გამზადებინა და ჩემს გაღვიძებას ელოდნენ, ღუმელიდან ჩამოვედი, უცებ ჩავიცვი, უზრატო-პირ-საბანზე ხელირი დავიბანე და მასპინძლებს ბოდიში მოვუხადე.

ერმაკმა (ასე ერქვა მამაკაცს) მაგიდასთან მიმიწვია.

ოთახი ცხელი ბორშის საამო სუნს ავესო. დიდი ხანია ცხელი საჭმელი არ მექვამა და ბორშის დიდი სიამოვნებით მოვუღზინე.

ბორშის შემწვარი კარტოფილი დავაყოლე. მე თუთუნი გავახვიე და ერმაკსაც მივაწოდე.

— თუ ჩემთან დარჩენას აპირებ, ეგ ტანსაცმელი უნდა გამოიცვალო. — მითხრა მან. — ასე საშიშია, სულ ხომ არ იჯდები?

— თქვენ ისე გულთბილად მიმიღეთ მადლობის მეტი რა მეტქმის... თავად აღარ ვიცი როგორ მოვიქცე, თუ აქ უხერხულია, წავალ, სხვას შევეხიზნებო...

— რატომ სხვას? — დარჩი ჩვენთან. როგორმე გავიტანთ თავს. ჭერჭერობით ღუმელს არ გვიჭირს. — ერმაკი ჩემს პასუხს აღარ დაელოდა, ადგა, ძველი კარადის კარი გამოაღო, ხანის ხალათი და შარვალი მომიტანა. შარვალი მოკლე გვექნება, მაგრამ ჩექმაში ჩაიტნიეო, — მითხრა.

კუთხეში მივედი, შარვალ-ხალათი გამოვიცვალე. რევოლვერი ხალათქვეშ შევმალე. ერმაკს ეს არ გამოპარვია და ჩაიღიმა. თქმით არაფერი უთქვამს, ჩემს ტანსაცმელს ხელი დახვია და გარეთ გაიტანა.

მე სარკეში ჩახედვა მომიხდა და კედლებში მოვათვალე, მაგრამ სარკე ვერ დავინახე. ანა ადგა, მაგიდის უჯრიდან სარკის ნატეხი ამოიღო და მომაწოდა. ჩაეხიხედე, გამეცინა.

— შენ რუსი არ უნდა იყო. — მითხრა ანამ.

— არა, კავკასიელი ვარ.

— ჰოო.

— გაგიკვირდათ? აბა, რა იქნება, ჩე-



მი ქვეყანა აქედან ძალიან შორსაა, არ ჩანს. — ვცადე გახუმრება.

იმ დღეს მეტი არაფერი თქმულა. შელამდა თუ არა, სახლიდან გამოვედი. — შორს ნუ წახვალ, — მომძახხა ერმაკმა. მე საბჭელს გვერდი ავუქციე, ბილიკს დავადექი და ქუჩაზე გავედი. ქუჩა სოფელს შუაზე ჰყოფდა. ცოტაზე გავიარე და უკან დავბრუნდი. ერმაკის სახლის წინ, კარების ახლო პატარა სკამი იდგა, ჩამოვკეცი და სმენად ვიქეცი. ოთახიდან ცოლ-ქმრის ლაპარაკი მომესმა.

— შორსმა რომ გაიგოს? — ამბობს ქმარი.

— გაიგოს მერე.

— დაგვაბეზღებს, წითელი არმიის მეთაურს მალავენო და ხომ იცი, რა მოგველის.

— რა იცი, რომ მეთაურია?

— რევოლვერი აქვს და ისედაც სიტყვა-პასუხზე ეტყობა, ნასწავლია.

— ვისთან დაგვაბეზღებს?

— გერმანელებთან, პოლიციელებთან, რა ვიცი.

— მერე რად დაეთანხმე? თავად არ თქვა სხვას შევეხიზნებოი? წასულიყო თუ ასე გეშინოდა. მშობარა იყავი ყოველთვის, — გაცხარდა ანა — გერმანელებთან თუ დაგვაბეზღებს, მე ავერ არა ვარ...

— ხარ თუ არა, დიდ რამეს მიკეთებ. შენს გამო შიშის კანკალი მიქვს ატეხილი. გგონია ის ცურანი ტყუილებრალოდ დაეხეტება ტყე-ტყე? მარტოა? პარტიზანების რაზმს ადგენსო, ხალხს რაზმავსო. ერთ მშვენიერ დღეს მოგვადგება და მაგ შენი გერმანელობისათვის არც შე დამინდობს. ეშმაკმა წაგიღოთ ყველა. — ერმაკმა გააფურთხა და შეიგინა.

— სწორედ იმ წუთისათვის მჭირდება ეს კაცისიელი, გაიგე? თუმცა შენი ტვინი ისეა ამოგლესილი, ასეთ უბრალო რამესაც ვერ მიხვდები. ამ ბიქს თვალის ჩინივით უნდა გავუფრთხილდეთ, ეს ჩვენი ფარია.

— გავიგე, გავიგე. — ჩაილულულულა ერმაკმა.

— პოდა ჩუმად იყავი.

ფეხაკრეფით მივედი საბჭელთან და ვეცადე ვითარებაში გავრკვეულიყავი.

მაშ ასე, ერმაკის საქმე საათივით აეწყო. ამ ოჯახს გერმანელებისაგან ცოლი დაიცავს, პარტიზანებისაგან მე. ცოტა უფრო გაბედულად შემძლია მოვიქცე. ხანდახან მივანიშნებ კიდევ, რომ ვილაც-ვილაცეებს ვიცნობ, რომ ჩემი მათთან ყოფნა იციან.

დაე, ესენიც მუდამ შიშში იყვნენ. რა ჰქვიანი კაცი ყოფილა პავლე შორსმა!

კარებთან ისე მივბრაზუნდი, რომ მასპინძლებს შორიდანვე გავგოთ ჩემი მოსვლა. კარები ანამ გამიღო.

— დიდი სოფელი ყოფილა. რა ჰქვია ამ სოფელს, ბიძია ერმაკ?

— ბუდა!

— ბუდა რას ნიშნავს ვითომ?

— რა ვიცი, ალბათ რაიმეს ნიშნავს. შორს იყავი?

— ქუჩაზე გავედი და მოვბრუნდი. გერმანელები ხშირად მოდიან?

— არა, სულ ორჯერ იყვნენ. ჩვენთან არც კი შემოუხედდეთ, ხალხს ღორები და ქათმები წაართვეს და წავიდნენ.

— პირისგემო კარგი ჰქონიათ.

ერმაკს ჩაეცინა, ადგა და ერთი შეკერა თუთუნის გამოიტანა.

— დაქრა იცი?

— არ ვიცი, მაგრამ ვისწავლი.

— რა გქვია? — რატომღაც ასე დაგვიანებით მკითხა სახელი.

— საშა. — ეუბასუხე და გულში ანტონი დავლოცე, ასეთი კარგი სახელი რომ შემარჩევინა.

ერმაკმა დანა გალესა. კარგა გრძელი დანა იყო. გულდაგულ უსვამდა ქვასა-ლესზე, ხან ერთ მხარეს გადაატრიალებდა, ხან მეორეს. ყურში სულ მისი სიტყვები მიწიოდა. ვინ იცის. ახლაც რას ფიქრობს?

ერმაკმა ცალ ხელში დანა მოიმარჯვა, მეორე ხელი თუთუნის კეცას დაა-

ჭირა და დანა დაუსვა. მართლა ოსტატურად ჭირდა. ნახევარი კეცა რომ დაჭრა, დანა გამომიწოდა, ახლა შენ სინჯეო. დანა გამოვართვი, პირზე ცერი დავადე. მინდოდა ქეასალესზეც გამესვა, მაგრამ გადავიფიქრე და როგორც შემეძლო მონდომებით დავიწყე თუთუნის ჭრა. პირველ დასმაზე თითები კინალამ გადავიბასრე, ყოველ შემთხვევაში ერმაყს არ შევეუჩერებოვარ. მან თავისი ქისა აივსო, ჩემი სათუთუნეც გატენა. მე თუთუნე გააწყვე და მოვუკიდე. დამახველა. მაგარი იყო.

აქ უკეთეს ვერ იშოვი, უნდა შეეჩვიოო. — მითხრა ერმაყმა.

შორიპის გამოგზავნილ კაცს მოუთმენლად ველოდი, მაგრამ ის არც მეორე და არც მესამე დღეს არ გამოჩენილა.

მასანძლებს შეეჩვიე, საბძელს იქით ფეხს არ ვადგამდი. არც ისინი წასულან სადმე. ანა სულ შინ იყო. ერმაყი ხანდახან საბძელში ბუჭებოდა. ანა შესამჩნევ ყურადღებას იჩენდა ჩემს მიმართ, კეკლუცობდა კიდევ. ახლო რომ ჩამივლიდა, ყმაწვილი ქალივით შეარბევდა თეძოებს და ჩაიცინებდა, მაგრამ მე ყურადღებას არ ვაქცევდი, თავს ვიკატუნებდი, თითქოს ვერაფერს ვხვდებოდი.

ასე მიიწურა მეოთხე დღეც. სოფელში, ან სოფელს იქით რა ხდებოდა მე არ ვიცოდი, აქ არავინ იკითხავდა და ცურანის ან შორიპის გარეშე რა უნდა გამეგო?

სალამოს მე და ერმაყი საბძელთან ვიდგეთ. ანა ძროხას წველიდა. ეზოში, რომელიც მთლიანად არც კი იყო შემოღობილი, ვილაც ჩამოვიდა, გულმარტხი მიყო. იგი ჯერ სახლთან მივიდა, უნდოდა დაეძახნა, მაგრამ ერმაყმა დაინახა და ხელი დაუქნია.

— აქეთ გრიგორი, აქეთ!

გრიგორი მოგვიახლოვდა. საბძელშიც შეიხედა და ანას სალამო მშვიდობისა უსურვა. მოხუცი კაცი იყო, მოკლე წვერით. თავზე ყურებიანი ქუდი

ეხურა და ძველი ტყაბუქი ეცვა. პირში უშველებელი ჩიბუხი ჰქონდა. გრიგორი, წამდაუწუმ უძლავებოდა. მაგრამ ჩიბუხი აღარ ბოლაგდა.

— ეს ახალგაზრდა ვერ ვიცანი, ერმაყო. — თქვა მოხუცმა.

— სტუმარია, ჩემი ნათესავია, წუხელის მეწვია და ამაღამ უკვე მტოვებს, არ იცდის.

— რატომ მიღიხარ, ბიძია? — მკითხა გრიგორმა და მოჭუტული თვალები გახსნა. მე მხრები ავიჩიჩე.

— უნდა მიშველო, ერმაყო, ამ ერთხელ უნდა მიშველო, ხელი უნდა გამომართო. ერთი კალათა კარტოფილი მასესხე. თუ დავიბრუნე, ხომ კარგი, თუ არადა ნუ შემეაგინებ!

სიხარულისგან ისე აშიშვრდა გული, ლამის მკერდი გამოგლიჯოს და გარეთ გამოვარდეს. ესაა შორიპის პაროლი, ეს სიტყვები გამანდო მამინ ბურგომისტრმა. ხელში კალათა ეჭირებო, თქვა. ნეტა კალათი რა უყო ამ ოჯახქორმა?

— მერე კალათა ვერ წამოიღე; გრიგორ ჩემო? — უთხრა ერმაყმა.

— ვერ ვნახე ის დასაწყვავი. თუ სიკეთეს იზამ აგერ, ამ თოფრაკში ჩამიყარე, ერმაყო. — უბიდან კარგა მოზრდილი თოფრაკი ამოიღო. ერმაყს გაუწოდა. ერმაყმა თოფრაკი გაშალა.

— დიდია ეგ ოხერი, — თქვა გრიგორმა, — ეკლესიაც დიდია, მაგრამ ხატებით არაა სავსე. ცოტა ჩამიყარე, ერმაყო, ღმერთი დაგიმადლის.

ერმაყს აღარაფერი უთქვამს, 'მებრუნდა და კარტოფილის ორმოსაკენ წავიდა. გრიგორმა ჩახხველა. თუთუნე ხომ არა გაქვსო, მკითხა. მე სათუთუნე მივწოდე. გრიგორმა ჩიბუხი თუთუნით გატენა, ცოტაც ჯიბეში ჩაიყარა, არ დამზრახოო მითხრა, სახლისკენ წავიდა და მეც მანიშნა გავყოლოდი.

— ხვალ, ამ დროს მთავარ ქუჩაზე გადი, მასწავლებელი ვერა კონსტანტინეს ასული შუა სოფელში ცხოვრობს. მხოლოდ მისი სახლის წინ დგას არყის

ხე. იქ უღვაშა დაგხედება, მიგიღებს. პო, პო, რა ადრე აცივდა, თუ ასე იწუნკლა ამინდმა, იცოდე თოვლსაც მოაყრის, ისე არც უდროობაა, სექტემბერია. — ჩიბუხი მოქაჩა და ერმაკის შესახვედრად გაემართა. ერმაკს თოფრაკი ნახევრამდე ავესო. გრიგორმა ჩამოართვა, მაღლობა გადაუხადა. თოფრაკი ზურგზე მოიგდო და ჩემკენ არც კი მოუხედავს, ისე გადავიდა ეზოდან.

მეორე დღეს, სწორედ დანიშნულ დროს გავედი სახლიდან. ერმაკს არაფერი უკითხავს, ანა საბძელში იყო. ქუჩას დავადექი. ვილაც ქალი შემომხვდა, მაგრამ მას ჩემთვის ყურადღება არ მოუქცევია, ისე უბრაოდ ჩამიარა, მგონი შეეშინდა კიდეც.

მივდივარ, თვალებს აქეთ-იქეთ ვაკეცებ, მეშინია იმ არყის ხეს არ გავცდე. მართლა დიდი სოფელი ყოფილა ეს ბუღაა თუ ბუდე. ცივა, სიცივე ძვალსა და რბილში ატანს. ნეტავი მეც მომცა ისეთი ტყავუჭი, იმ მოხუცს რომ ეცვა.

აგერ არყის ხეც. მივედი, ტანზე ხელი მოვესვი. ნამდვილად არყის ხეა. თან ახლო-მახლო საერთოდ არ დგას ხე. იქვე ჰიშკარი შევადე, ისეც დავხურე, სახლის კართან მივედი და ფრთხილად დავაკაყუნე. კარები შავებში ჩაცმულმა ქალმა გამიღო. ერთმანეთს შევაჩერდით. მე უკვე აღარ ვიცი რა გკითხო, ვდგავარ და ვფიქრობ. მერე სიტყვა უღვაშა გამახსენდა, იქნებ სწორედ ეს სიტყვა უნდა ვთქვა-მეთქი, გამიელვა.

— უღვაშასთან... — წამოვიწყე, მაგრამ ქალმა აღარ დამამთავრებინა, შემოდით მითხრა და მეც მეტი რა მინდოდა? შევედი, ქალმა კარი ჩაკეტა, საგულდაგულოდ ჩარაზა და მეორე ოთახში შემიძღვა. ოთახი ძალზე პატარა იყო, ძველისძველ დივანზე კაცი იჯდა. ერთადერთი ფანჯარა საგანგებოდ შეენიღბათ. იმ კაცს იმოდენა უღვაშები ჰქონდა, რომ პირველ შეხედვისთანავე მიიქცია ჩემი ყურადღება. მივესალმე, მან ხელი გამომიწოდა

და გვერდით მომისვა. პატარა ძაგის დაზე ლამფა ბეჭუტავდა. ქალმა ოდნავ აუწვია ლამფას, ოთახი საგრძნობლად განათდა.

— გავიცნოთ ერთმანეთი, მე ალექსეი მქვია.

— მე საშა.

— ძალიან კარგი, ახლა მიაშბე საშა აქ როგორ მოხვდი? ვერა კონსტანტინეს ასულის ნუ გერიღება, მან ჩემზე მეტი იცის.

მე არც ისე უცებ დამიწყია მოყოლა, ალექსის გაელიმა.

— თუ გინდა ჭერ მე მისმინე — მითხრა.

ძალიან მაინტერესებს თუ ვისთან მქონდა საქმე, საიდან გაჩნდა ამ შაკაბიანი ქალის ოთახში იგი. ვინ იყო, რა ურთიერთობა უნდა დამემყარებინა მასთან, რა ევალეზოდა, მაგრამ პირველად მაინც მე მოვყევი ჩემი ამბები. ალექსეი დიდი ყურადღებით მისმენდა.

ალექსეი ველიკანოვი ბატალიონის მეთაური ყოფილა. ბატალიონი მთლიანად განადგურებულა, მხოლოდ რამდენიმე კაცი გადარჩენილა და აქამდე მოუღწევია. ადამ სტელმახს წინათ იცნობდა თურმე და მასთან დაუყოვნებლივ დაუმყარებია კავშირი. ახლა იატაკქვეშეთის ერთ-ერთი ორგანიზატორი და პარტიზანული რაზმის მომავალი მეთაურია.

მე საუბრის დროს არც ცურანი მიხსენებია, არც შორიცი, ველიკანოვმაც მხოლოდ ადამ სტელმახზე მკითხა. თუ იცნობო, — გამიგონია, მაგრამ არ შევხვედრივარ-მეთქი, — ვუპასუხე.

ალექსემ ნაწილობრივ მაინც გაამაგებინა იატაკქვეშა ორგანიზაციის საქმიანობა. მუშაობა გართულდაო, გაძნელდაო. პოლიციელები მომრავლდნენო, თავისუფლად დაფარვაშებენ, ეკვმიტანილებს ან ხერტენ, ან გერმანიაში გზავნიანო. ჩვენ კი ჭრჭერობით ორგანიზაციას ვუნდებით, რაზმი ჭერ კიდევ გაუბედავად მოქმედებს, ვერ აქტიურობსო.

თითქმის ყველაფერი ვთქვით. მე მის წინადადებას დავეთანხმე, სოფელში ჯდომას ტყეში ყოფნა და ბრძოლა მირჩევნია-მეთქი. ჩემი მასპინძლების ვინაობაც ვავიციანი, მათი საუბარიც ვავიხსენე. დანტერესდა და მანაც თავისებურად დამარჩია.

გუშინ იანოვოდან ტაჩენკო და დორონინი ყოფილან. მათ იქ უკვე გაუჩაღებიათ მუშაობა. ფედია ტაჩენკო დინჯი ბიჭია, რაც არ უნდა იყოს, უშიშროების ლეიტენანტია და იგი კი მოაბამდა თავს ასეთ საქმეს, მაგრამ დორონინი და იატაკქვეშელი?

მართალია ენია დორონინს მიწურში ვავეციანი, ერთი ღამეც არ ვაგვიტევია ერთად და არც ბრძოლაში ვამოგვიციდია ერთმანეთი, მაგრამ იქ მიწურში გატარებული ორი საათიც საკმაო იყო მისი დაუდგრომელი ხასიათის ამოსაცნობად. წუთითაც არ დამჯდარა, სულ ლაპარაკობდა. სულ რაღაცას მოითხოვდა, დაობდა, იქაჩებოდა. აქ რა გვინდაო, ასეთ ჭურღმულეებში შუა საუკუნეებშიც არ ამწყვდევენ ადამიანებსო. ახლაც ენიას აპრეხილი ცხვირი და მოჯღუნული სახე დამიდგა თვალწინ.

ვერა კონსტანტინეს ასული ჩაის ასადუღებლად გავიდა. ღუმელი მეორე ოთახში იყო, იქ უფრო თბილოდა. მე საათს დავხედე.

— ბიჭოს, შენ მდიდარი კაცი ყოფილხარ. — გაიცინა ალექსეიმ, — რომელი საათია?

— თერთმეტი სრულდება.

— დროა. წამოდგა იგი. მეც ავდექი, მეგონა გამოსამშვიდობებლად ხელს გამომიწვდიდა, მაგრამ ამის მაგიერ დივანს დასწვდა და მომეხმარეო, მანიშნა. საწოლი ავწიეთ, საზურგეს მივაყუდეთ. ჩავიხედე, იატაკი ამოჭრილი იყო, სარდაფში ჩასასვლელი ჩანდა. რა მოხერხებულად მოუწყვია გასაპარავი-მეთქი, ვავიფიქრე. დარწმუნებული ვიყავი ამ დივანის ქვეშ სარდაფი იყო, ან გვირაბი. რაღაც ორმოს მსგავსი მართ-

ლაც შევნიშნე, მაგრამ ის გასასვლელი არ იყო. შიგ რადიომიმღებნი იდგნენ ალექსეი ჩამრთველს მისწვდა, ჩართო. მიმღები ახრიალდა, ისეთი ხმაური ატეხა, ხელები ყურებზე შემოვიწყვე. მერე და მერე ხრიალი თანდათან მიწყდა და რუსული სიტყვაც გარკვევით ვავიგონე, მაგრამ მას რუსი არ წარმოთქვამდა, ეს აშკარა იყო. ალექსეი დივანის კიდეზე ჩამოჯდა, მეც მის გვერდით მოვთავსდი.

— ყურადღება, ყურადღება. — მკაფიოდ მოგვესმა დიქტორის ხმა. — გამარჯობათ. მე ის ვარ, ვინაც გუშინ გაიარა სმოლენსკი და ახლა მოსკოვის გარეუბნიდან გელაპარაკებით. ტანში დამბურძგლა, ველიკანოვს შიშით გადავხედე. თითქოსდა არაფერი, იჯდა, მშვიდად უსმენდა. ალბათ ასეთ საუბარს მისი ყური შეჩვეული იყო.

— უსმინეთ რა საზეიმო პარშით მიდიან საბჭოების დედაქალაქისკენ უძლეველი გერმანიის ჯარისკაცები. — განაგრძობდა დიქტორი. — ახლა მისი ხმა ორკესტრის გუგუნმა დაფარა. სამხედრო მარშის ხმაზე ჩექმების ბრაბაბრუხიც ისმოდა.

გული ამოვარდნაზეა, მთელი სხეული მიკანკალებს. ეს ველიკანოვი რომ არა, რადიომიმღებს დავამსხვრედი, იმ დიქტორს ხმას ჩავუწყვეტდი.

ხელახლა შევათვალე რე ველიკანოვი. როგორ შეეცვალა სახე, რა ფერი ადევს, როგორ დაუწყურავს თვალები, სახეც თითქოს დაგრძელებია, მაგრამ მიმღების გამორთვის მაინც არ აპირებს.

მარშის ხმა ჯერ მიწვდა, მერე მიწყდა და ისევ ალაპარაკდა დიქტორი: — დღეს მოსკოვის გარეუბანში ვართ, ხვალ შიგ კრემლში ვიქნებით. ასეთია ფიურერის ბრძანება. გერმანელი ჯარისკაცები დაუბრკოლებლად მიიწვევენ წინ. მალე დავცემა მოსკოვი, მას ხომ ათასობით ჩვენი თვითმფრინავი ბომბავს. ქალაქში პანიკაა. მთავრობა გაიქცა, სტალინმა საქართველოს შეაფარა

თავი. ცაზე აღარ ჩანან სტალინური შევარდნები.

ახლა მოისმინეთ ფიურერის მიმართვა ჭარისკაცებისადმი. იგი იმდენად ბრძნულია და გულში ჩაჰყვდომი, რომ ჩვენ ყოველი გადაცემისას ვიმეორებთ მას.

ისმინეთ. ისმინეთ. ისმინეთ!
 „ჭარისკაცო, შენი პირადი დიდებისათვის უნდა მოჰკლა ასი რუსი. შენ არ გაქვს გული და ნერვები. ომში ეს საჭირო არ არის. მოსპე შენში სიბრაველი და შეცოდება, მოკალი ყველა რუსი, რომელიც გზაზე გადაგიდგება, სულერთია მოხუცია თუ ახალგაზრდა, კაცია თუ ქალი...“

გერმანელია მსოფლიოს აბსოლუტური მუპატრონე. შენ გადაწყვეტ ინგლისს, რუსეთს, ამერიკის ბედს. შენ გერმანელი ხარ და, როგორც გერმანელს შეჰფერის, მოსპე ყოველი ცოცხალი, რაც წინ აღგიდგება. იფიქრე ყოველთვის აშაღლებაზე, ფიურერზე და გაიმარჯვებ. შენ არც ტყვია მოგეყარება, არც ხიშტი... ხვალ შენს წინაშე დაიჩოქებს მთელი“... უცებ დიქტორის ხმა ბომბის გრიალმა ჩაწყვიტა. ისეთი შთაბეჭდილება შეგექმნა, თითქოს ბომბი სწორედ იმ რადიოსადგურს დასცემოდეს. მიმღები დადუმდა, მერე ისევ გავეგონეთ ბომბების ხათქა-ხუთქი. ალექსეიმ ქვევიდან ამომხედა, ხელიც ასწია. მიმღები მთელი ათი წუთი ხრიალებდა, მერე ისევ გავეგონე რუსული სიტყვა. ველიკანოვი ჩამრთველს მისწვდა, ატრიალა, ატრიალა და როგორც იქნა გაასწორა.

გაისმა დიქტორის ხმა. ჯერ ნელა, ძალიან ნელა, გეგონებოდათ ქვესკნელიდან გელაპარაკებო, მაგრამ ხმა თანდათან გაძლიერდა და როცა თავისუფლად შევძელი ნათქვამი სიტყვის თუ წინადადების გარჩევა, უკვე დარწმუნებული ვიყავი რომ ეს ხმა ჩვენიანისა იყო.

„— ლაპარაკობს მოსკოვი. ლაპარაკობს მოსკოვი. ლაპარაკობს მოსკოვი!“
 სუნთქვა შემეკრა. უხილავმა ძალამ

ყელში ხელი წამიჭირა და მალჩობის წამოვიწიე, ორმოში გადავეცილე ხნის მანძილზე პირველად ეუსმენდი მოსკოვს. სული გავნაბე, ეცდილობდი არც ერთი სიტყვა, არც ერთი ბგერა არ გამომჩნებოდა. ისე ვიყავი მოშხამული დიქტორის მიერ, რომ ახლა ჩემი მობრუნება მხოლოდ ამ სიტყვების გავონებას შეეძლო.

„— ლაპარაკობს მოსკოვი! ლაპარაკობს მოსკოვი! ლაპარაკობს მოსკოვი! ლაპარაკობს კომინტერნის სახელობის რადიოსადგური, მოისმინეთ ცნობება საბჭოთა სამშობლოდან“. ალექსეის ხელი მოვიძიე და მოუქტირე, მგონი ვატკინე კიდევ.

დიქტორმა ჯერ მოსკოვის გმირულ დაცვაზე ილაპარაკა, იმ დღეს ათი შეტევა მოუგერიებიათ, ათასობით გერმანელი ჩაწოლილა, ასობით ტანკი და თვითმფრინავი დაუწვავთ მოსკოვთან, მერე უმაღლესი მთავარსარდლის, იოსებ ბესარიონის ძე სტალინის ბრძანებაც გადმოსცა. მიმღები ხრიალებდა, დიქტორის სიტყვებს ძლივს ვარჩევდი, მაგრამ ბრძანების ბოლო ნაწილი ისე მკაფიოდ წარმოთქვა, რომ არც ერთი სიტყვა არ გამომჰპარვია:

„ჩვენს წითელ არმიას დიდება. პარტიზანებს და პარტიზან ქალებს დიდება. სამარადისო დიდება მათ, ვინც დაეცა სამშობლოს დამოუცილებლობისა და თავისუფლებისათვის ბრძოლაში. სიკვდილი გერმანელ ოკუპანტებს. უმაღლესი მთავარსარდალი საბჭოთა კავშირის მარშალი — სტალინი“.

ისევ აბრიალდა მიმღები. ველიკანოვმა ბევრი იწვალა, მაგრამ ამაოდ. მიმღები გამოირთო, ორმო დახტრა. დივანი გაეასწორეთ და დაეჯექით.

ვერა კონსტანტინეს ასულს ჩაი შემოეტანა. შაქრის სულ პატარა ნატეხი საშად გაეყო, მაგრამ აქამდე ხელს არ გვიშლიდა. ახლა კი შეგვახსენა. ჩაი მიირთვით, გაცივდებაო. დიდი ხანია ჩაი აღარ დამელია, ისედაც ცხელ გულზე, ცხელი ჩაი ახლა ჩემთვის პირდაპირ

მისწრება იყო. თავი მიბრუნდა, ყუ-
რებში ხან გერმანელი დიქტორის დამ-
ცინავი ხითხითი მესმოდა, ხან ჩვენი
დიქტორის მშვიდი, აულელებელი ხმა.

„ჩვენს პარტიზანებს და პარტიზან ქა-
ლებს დიდებაო“. მას მოქმედებენ პარ-
ტიზანები, იბრძვიან და ამის შესახებ
იცის თვითონ სტალინმა.

ჩვენ?

ჩვენ რაღას ვაკეთებთ?

სოფლიდან სოფელში დავძვრებით,
ვემზადებით, კონსპირაციას ვიცავთ...
ეს ჩვენი ხელმძღვანელები ზედმეტად
ხომ არ ფრთხილობენ?

— რას ჩურჩულებ? — მკითხა ვე-
ლიკანოვმა.

— რა ვიცი, თქმაც მიჭირს და უთქ-
მელობაც. ასე სანამ უნდა ვისხდეთ, ამ-
ხანაგო აღუქსეი. ხომ გაიგონეთ მთა-
ვარსართლის ბრძანება. დიდება პარტი-
ზანებსო...

— და პარტიზან ქალებსო, შემისწო-
რა:

— შერე? დიდებით სოფლებში მიმა-
ლულ აღამიანებს იხსენიებენ? მე ვიამ-
ბეთ, რომ უკვე მყავდა რაზმი. ცოტაო-
დენი გამოცდილებაც მაქვს. იქნებ გე-
წყინოთ, მაგრამ მე ხვალვე გავდივარ ამ
სოფლიდან და ვიწყებ. — ავდექი, მეგო-
ნა ველიკანოვიც წამოდგებოდა, და-
მიწლიდა ან მომიწონებდა განზრახვას,
მაგრამ იგი არც კი განძრეულა. ამან
სიმართლე გითხრათ ცოტა დამაზნია კი-
დეც. ვერა კონსტანტინეს ასულს გა-
დავხვდე. მთელი ამ ხნის მანძილზე იგი
ჩვენს საუბარში არ ჩარეულა... ახლაც
არაფერი თქვა, გამიღიმა და ჩაი მოხე-
რიპა.

— ხვალ სრულ ცხრა საათზე მოხ-
ვალთ! თვითნებობა არ გაბედოთ. ახლა
წადით, ისეთი რაიმე მოიგონეთ, რომ
თქვენმა მასპინძლებმა დაგვიანება გა-
პატიონ. ნახვამდის, ამხანაგო ლეიტე-
ნანტო!

ვერა კონსტანტინეს ასულმა კარე-
ბამდე მიმაცილა. ხელი ჩამომართვა და

მითხრა: — არ გეწყინოთ, მას დიდი
საქმე აბარია, ძალიან დიდხანს უნდა
ქუჩაში გამოვედი. არაყის ხეს ხელი
მოვუტყაპუნე და პირდაპირ სახლისკენ
გავწვიე.

დიასახლისი ლუმელზე იწვა, ერმაკი
მაგიდას უჭდა და ფიჭვის ტოტისგან
კოვზს ჩოქნიდა. დაგვიანებისათვის
ბოდიში მოვიხადე, ტახტზე დავწვიქი
და ერმაკის ქურჭი წავეიხურე.

დილით ანა საღლაც წავიდა და შინ
მხოლოდ დაღამებულში დაბრუნდა. რა-
ტომღაც გახარებული და სულერთი-
ნად შეცვლილი მეჩვენა. ლოყები აწი-
თლებოდა, თითქოს გაახალგაზრდავე-
ბულიყო. ოთახში ადგილს ვერ პოუ-
ლობდა, მივხვდი, ქმართან განმარტობა
უნდოდა, რაღაც ღირსშესანიშნავი
ქონდა სათქმელი. მე გარეთ გამოვედი.
საბძელთან ვილაც ახალგაზრდა იღვა და
ხელს მიქნევდა. მივედი. ახალგაზრდამ
დაურიდებლად ამათვალ-ჩამათვალეირა
და ხელი გამომიწორდა.

— ერმაკი თუა სახლში. — იკითხა მი-
სალმების შემდეგ.

— თქვენ ვინა ხართ?

— ნათესავი.

— შერე აქ ვის ემალეებით?

— დასამალი რა მაქვს, — გაიციანა —
სიფრთხილეს დავეჩვიეთ. მითხრეს, ზი-
ძაშენთან ვილაც მეთაური ჩაასახლე-
სო, ალბათ თქვენა ხართ!

ნაძალადევედ გავიღიმე, მაგრამ ვაი
ასეთ გაღიშებას.

— მეთაურიო, ეს ვინ მოჰორა. წი-
თელარმიელი ვარ, ერთი ღამე გავათიე
და ხვალ გავუდგები ჩემს გზას. თქვენ
საიდან?

— მეც შენი ბედისა ვარ. — უცებ
გამიშინაურდა. — მეც ნაწილს ჩამოვრ-
ჩი, ორი თვეა გზაში ვარ, აქამდე ძლივს
მოვალწიე.

— ახლა რაღას აპირებ?

— რა ვიცი, გამოჩნდება საქმე. ამ-
ბობენ პარტიზანული რაზმი შექმნე-
სო, შენ არაფერი იცი ამის შესახებ?

— პირველად მესმის.



— ნამდვილად ასეა. ეს შენც კარგად იცი. მე ვერმეტან კი არა, შენთან მოვედი. კურებიშინოს პოლიცია აყვანას გიპირებს და ფრთხილად იყავი. ეს მინდოდა მეტყვა.

ვინაა ეს კაცი? მტერია თუ მოკეთე? რაღაც იცის, რაღაც კი არა, ბევრი რამ იცის, მაგრამ ასე თავებდურად, ასე ჭიქურ როგორ მოხდება? თვალეზში შევხედე, მანაც გულუბრყვილოდ გამისწორა თვალი, გამიღიშა.

რა კეთილი სახე აქვს, ნუთუ ასეთი სახის კაცსაც შეუძლია მტრობა.

— მე რას მერჩიან, არავისთვის არაფერი დამიშაებია, გაფრთხილებიანათვის კი მაღლობელი ვარ. მაინც ამაღამვე დავტოვებ აქაურობას. ჩემს გამო ერმაკი, ეს პატიოსანი კაცი რატომ უნდა გადავიკიდო შარს? რა გქვია?

— ფედია კომლოვი ვარ. ოდესმე შევხვდებით ერთმანეთს, ნახვამდის, ერმაკს ნურაფერს ეტყვი... — თქვა და ჩქარი ნაბიჯით გამშორდა.

შიში შემეპარა. ვიღაცამ იცის რომ აქ ვარ. უფრო მეტიც იცის. ეს ფედია კომლოვი არ უნდა იყოს ურიგო ბიჭი, მაგრამ რა მოხელის ამაღამ? იქნებ უკვე მითვალთვალებენ, იქნებ არცაა საჭირო ამაღამ ველიკანოვთან მისვლა.

კურებიშინოს პოლიცია აყვანას გიპირებსო. კი მაგრამ ველიკანოვი? მისი არსებობა გამოეპარათ? ხომ არ სჯობია ახლაც მივიდე და გავაფრთხილო ალექსეი? ჭერ შვიდი საათიც არ არის. ცხრა საათამდე რა გაძლებს? ვერაა კარგად ჩემი საქმე. ამ იატაკქვეშეთმა შეიძლება ისე დამლუბოს, ტყვიის გასროლაც ვერ მოვასწრო.

ჰმ! იატაკქვეშელი!

აბა, მე რა იატაკქვეშელი მნახეს. მოთმინება, ლოდინიაო საჭირო. ასე მოუშაადებლად დაწყება უფუნურობააო. იქნებ სწორიცაა, მაგრამ პარტიზანს და ისიც ჩემნაირ უსახლკაროს რა მომზადება უნდა? ტყეა ირგვლივ, ჰკარი ო-

ვი შიგ და თუ ბიჭი ხარ მერე ვეზადე საბრძოლველად.

ნეტავ როგორ არის ვასო? ან კორბუშევი სად დაიქარგა?

თავი ავწიე, სწორედ ველიკანოვის სახლთან მოვსულვარ.

რამ მომიყვანა აქ?

რაკი მოვედი, უკან აღარ გავბრუნდები, შევეალ და ყველაფერს ვუამბობ, ასე პირდაპირ შესვლაც არ ივარგებს. იქნებ მართლაც მყავს ვინმე მოჩენილი.

ნელა გავყევი ქუჩას. სოფლის ბოლომდე მივედი და ასევე ნელა წამოვედი უკანვე. ქუჩაში ადამიანის ვაჭანება არ ჩანდა. შორეულად შეტნიღბავს ფანჯრები. ნეტავი რას აკეთებს ახლა ბურგომისტრი?

არყის ხეს ჩავუარე, იქვე ჩავუხვიე, დაბალ ღობეზე გადავალაჩე და ველიკანოვის თუ ვერა კონსტანტინეს ასულის საბძელთან გავჩნდი. მივიხედ-მოვიხედე, დავაყურე არავითარი ხმა, არავითარი ჩაბი-ჩუმბი. სახლის კარებთან მივედი და დავაკაუნე. დიდხანს ხმა არავინ გამცა. ისევ დავაკაუნე, ახლა უფრო მაგრად და ცოტა გაბრაზებითაც. ცოტა ხნის შემდეგ ვერა კონსტანტინეს ასულის ხმა გავიგონე. ვინ არისო, იქითხა. მე ვუბასუხე. კარები გამიღო, შინ შემიშვა. ველიკანოვი სადღაც წასულიყო, მე დივანზე ჩამოვჯექი. დაველოდე. ვერა კონსტანტინეს ასული დამაწოლად მეთრე ოთახში გავიდა. მე ბოდიში მოვიხადე. ახლა ბოდიშების დრო არ არისო, თქვა და მიწვა. დივანის საზურგეს თავი მივადე. ჩამთვლიმა. კაქუნი რომ გავიგონე, ზუსტად ცხრა საათი იყო. კარები ვერამ გააღო. ალექსეისთან ერთად სახლში ვიღაც კაცი შემოვიდა. ალექსეი მიესალმა და ის კაცი გამაცნო. ეს გახლდათ ბოგუშევსკის რაიკომის პირველი მდივანი ადამ კონსტანტინეს ძე სტელმახი. მე სკამზე დავჯექი. სტელმახი და ველიკანოვი დივანზე ჩამოჯდნენ. ერთი სული მქონდა სანამ კომლოვის ნაამბობს მათ გავაც-

ნობდი, მაგრამ ამის საშუალება უცებ არ მომეცა.

სტელმახმა ათასი რამ მკითხა, ჩამეძია, დააზუსტა. კომლოვის ნათქვამი რომ მოვახსენე, გაიცინა და ვიცოი მითხრა. ამან მთლად გადაშრა. როგორ, კურეიშინოს პოლიცია აყვანას მიპირებს და ამით უკვე იციან? რას ნიშნავს ეს?

— შეშინდი, ვაჟაკო? — მხარზე ხელი დამკრა სტელმახმა. ეს სიტყვები საკმაოდ ხმაილა წარმოთქვა, მე უნებურად ფანჯრისკენ მივიხედე.

— ნუ გეშინია, — განაგრძო მან იმავე ტონით — ჭერჭერობით ხელს არ გახლებენ, შენგან მეტს გამოელიან.

— რას ამბობთ? რას გამოელიან?

— შენი დიასახლისი რომ გერმანელია ხომ იცი?

— ვიცი!

— დღეს შინ იყო? არსად წასულა?

— დილით გავიდა და შეღამებულში დაბრუნდა.

სტელმახმა გიცინა.

— ყველაფერი გცოდნია, ჩემო კარგო, ყველაფერი, მაგრამ მთავარი მაინც არ იცი. შენმა დიასახლისმა დღეს რაიონული ცენტრი მოიარა. გერმანელ კომენდანტს მშობლიურ ენაზე ექლურტულა და დავალებაც მიიღო. ხვალიდან შენი ყოველი სიტყვა და ნაბიჯი აღინუსხება და თვით მას ეცნობება. ვინ მოვა შენთან, ვინ დაგელაპარაკება, ვის მიაკითხავ. ერთი სიტყვით, მათი იმედი ხარ და ეცადე არ გაუმართლო.

აქ აღარ მოხვიდე. ამაღამ ალექსეიც გადავა ამ ბინიდან. განაგრძე მყუდრო ცხოვრება მათთან. გითვალთვალკებენ? შენც უთვალთვალე. ყველაფერი გულში ჩაინიშნე. ჩვენთვის ახლა პაერით ვითაა საჭირო იმის ცოდნა, თუ ვინა გვყავს სოფლებში მტერი და ორგული, ვინ როგორაა შენიღბული, ვინ მალავს ბრწყვალებს, რას ფიქრობენ, რას გვიპირებენ. მძიმე დავალება გარგუნეთ, მაგრამ ჭკვიანი ყმაწვილი ჩანხარ და უნდა შეგვისრულო. ყველაფერს უნდა შე-

ეჩვიო, ყველაფერი უნდა აიტანო. სიფიცებ აქ არ გამოგადგენს. შენც საქმეში მოთმინება მთავარია. მშობლის ის მოიგებს, ვინც ჭკვიანი და მომთმენია. თუ ძალიან გაგიჭირდეს, შორიბს, აქაურ ბურგომისტრს მიაკითხე. ჩვენც არ დაგვიწყებთ. სხვა მითითებას ნუ დაელოდები. საკუთარი ჭკუა და გონება დაძაბე და იმოქმედე. წარმატებას გისურვებ!

დიღებულად ლაპარაკობს ეს კაცი, ხმაც რბილი აქვს, ხვეწროვანი, ყოველ სიტყვას შიგ ტენიში გიჭედავს, მაგრამ ამ დავალების შესრულებას მე შევძლებ? რალა მაინცადამაინც მე მარგუნა ბედმა ეს ხედარი?

მტრის ოჯახში ეცხოვრობ, ყოველი დღე, ყოველი ღამე გაბაწვრას ეელოდები. როგორ უნდა ვუთვალთვლო ამ გერმანელ ქალს. უკან ხომ არ გავყვები? ჩემთან არც ისე გულახდილია, თუმცა კურკურით ისე მეკურკურება. ო, რა გახარებული იყო დღეს. ნეტავ რა ელაპარაკა ერმაქს?

— შეშინდი კაცო? — გაიცინა სტელმახმა.

ბიკი ხარ და ნუ შეშინდები, მაგრამ ამათთან ხომ არ გავაძვლ.

— შიში რა სახსენებელია, ამხანაგო სტელმახ, მაგრამ მე ასეთი მაჭინაციების თავი არა მაქვს და ამისი მართლა მეშინია. გამგზავნეთ ტყეში, სხვა, უფრო ძნელი რამ დამავალეთ და გეცდები თავი არ შევირცხვინო, როგორ გვეუღიშო ადამიანებს, რომლებიც ზურგს უკან დანას ღესავენ. როგორ ჩავიდო პირში მათი მოწოდებული ღუქმა? თან აქაურობას ვერ ვიცნობ, არც ერთი ჩემი ამხანაგი ახლო-მახლო არ არის, ვილაცას ხომ უნდა დაველაპარაკო, რჩევა ვკითხო.

— ანტონ სუხოდოლსკი?

— ანტონი მიწურიდან წამოსვლის შემდეგ არ მინახავს.

— ნახე, განახავს. მე მესმის შენი, შენც უნდა გავვიგო, სწორედ ამიტომ მოგანდეთ ეს საქმე, რომ ყველასათვის

უცნობი ხარ, განათლებაც არ გავლია, გეტყობა კარგ ოჯახში ხარ აღზრდილი. ჩვენ ხომ სულ მალე ტყეში უნდა გავიდეთ... — ალექსეის გადახედა, მგონი თვალის ჩაუტრა. იქ კი სოფელმა, ხალხმა უნდა შეგვიინახოს. ჩვენც მათ უნდა გავუწიოთ პატრონობა და აბა შენ თვითონ იფიქრე, რა ღირს იცოდეთ თუ ვინ გრჩება აქ. გერმანელ ქალს როგორ გავუღიმიოთ, თქვი. თუ მაინც-დამაინც მთლად მოხუცი არ არის, გაუღივებ და თვალის ჩაუტარი. ეს საქმეს არ აწყვეს.

გაეცინა.

— რას იცინი, გეტყობა უკვე გაკვა-ტული გაქვს საქმე.

— ამხანაგო სტელმახ, ბოდიშს კი ვიზღი, მაგრამ ნუთუ აქამდე არ იცით რა ხალხი გყავთ სოფლებში? რაიონში? რატომ გვეპარება ექვი ადამიანებში, რომლებიც ჭერ არ გამოგვიცდია, არაფერი დაგვივალდება, წინ არ გავძლო-ლიღვართ... იქნებ თქვენთვის, რაიონის ხელმძღვანელისათვის ძნელია იცოდეთ ყოველი კაცი, მაგრამ სად არიან სოფლის თავაკაცები?

სტელმახმა ამოიოხრა, ადგა და მხარზე ხელი დამადო. მეც წამოვდექი.

— კარგი ახალგაზრდა ხარო, — თქვა, ჩემი კითხვა კი უბასუხოდ დატოვა. ალექსეის თუთუნი მოთხოვა. მე სათუ-თუნე ამოვიღე და მივაწოდე. ეს თუ-თუნი ჩემი მასპინძლის წყალობაა-მეთქი. ძალიან კარგიო, ჩაილაპარაკა და გააბოლა. კვამლს ბოლქვა-ბოლქვა უშვებდა პირიდან. მერე ვერა კონსტანტინეს ასულს ჩაის აღუდგება თხოვა. შაჭრის ნატეხი თვითონ ამოიღო ჯიბი-დან და ოთხად გაანაწილა.

— ომმა ზოგიერთ ადამიანს გონება აურია, მშობილო. რომ არ ველოდით, ისეთი კაცი შევიდა პოლიციაში და ახლა აქეთ გვემუქრება, გვღვენის. ფაშისტები მოსკოვის მისადგომებთან არიან. ანან ხალხი დააფრთხო და გააბო-როტა, მაგრამ ასეთნი ერთეულებია, მხოლოდ ერთეულები. მალე შენი თვა-

ლით დაინახავ რა შესძლებია ბელო-რუს კაცს, ბელორუს ქალს... ლიან მინდა შენ ვადაურჩე დროს, შენს მშვენიერ სამშობლოში და-ბრუნდე გამარჯვებული და შენს ამხანაგებს, შენს ოჯახს უამბო ჩვენზე, ბელორუს მეგობრებზე. მოსაყოლი კი ბევრი გექნება, ძალიან ბევრი. კარგია საქართველო.

— ნამყოფი ხართ?

— ერთხელ ვისვენებდი შავი ზღვის პირას, დიდებული ქვეყანაა, ნამდვი-ლი სამოთხეა.

ვერა კონსტანტინეს ასულმა ჩაი შე-მოიტანა. სტელმახმა ორივე ხელი მოკიდა კიქას და მოხვრიბა.

— ხალხი დაშინებულია, ალექსეი, — ახლა ველიკანოსს მიმართა სტელმახმა, დაშინებულია. ხალხს იმედი უნდა. ვაძ-ლოლა უნდა. აი, მე დაეძრწი სოფლი-დან — სოფელში, ოჯახიდან — ოჯახში, ვაგროვებ ნამდვილ პატრიოტებს, ვაე-კაცებს, თქვენსავით შტრის ზურგში დარჩენილ მეთაურებს. ზოგიერთებს ვგზავნი ტყეში, რაზმი თანდათან იესე-ბა და მაგრდება. ამ ხეტიალში უფრო ახ-ლო ვეცნობი ადამიანებს, ერთმანეთს სულსა და გულში ჩავყურებთ. იცით, ბევრს თურმე გაქცეულიც კი ვეგო-ნე. ვილაყ გარეწარს ხმა დაუგდია, რაი-კომის მდივანმა ყველაზე ადრე მო-კურცხლაო.

ახლა თავიანთ გვერდით რომ მხედა-ვენ, უხარიათ და სრული იმედიც მავქს პირველსავე დაძახილზე გამოვლენ. მე თქვენი დახმარება სწორედ ახლა, ამ მძიმე დროს მჭირდება. გუშინწინ ტუ-რიევოდან ორი წითელარმიელი ძალით გამოუყვანიათ სახლიდან. სიკვდილის მუქარით პოლიციელებად გაუხდიათ, მაგრამ ერთ დღეს უკვე გაქცევიათ. ვის მიაკითხოს მან? ვის შეეფაროს? ას-ეთები კი ბევრნი არიან, ალექსეი, ბევრ-ნი და მათ ახლავე, ვადაუდებლოვ უნდა მიხედვა. აქ კი გადამწყვეტი სიტყვა შენ გეკუთვნის...

საათს დაეხედე, თერთმეტი სრულ-

დებოდა. თვალი ველიკანოვისკენ გაეპარა. იგი მოღუშული იჯდა და უღვაწს იწიწვინდა. ჩაებახველე, მეგონა გამოერეკეოდა, მაგრამ არც კი შერხებულა.

— რა დროა? — მკითხა სტელმახმა.

— თერთმეტს ხუთი წუთი აკლია. — ეუბასუხე ხმაჟაღლა.

ალექსეი წამოდგა, დივანს დაეპაწურა. მეც მივეშველე: უკვე ვიცოდი რა უნდა გამეკეთებინა. ორმოს სახურავი ავხადეთ. ველიკანოვმა მიმღები ჩართო, მთელი ათი წუთი იწვალა, მაგრამ იქიდან ხრიალის მეტი ვერაფერი გავიგონეთ.

შინ რომ დაებრუნდი ჩემს მასპინძლებს არ ეძინათ. მაგიდას უსხდნენ, კარტოფილის სანთელი ენთოთ და ჩუმად ზეტუნებდნენ. დაგვიანებისათვის ისევ ბოდიში მოვიხადე და ტახტს მივაშურე.

— ასე გვიან სახლიდან ნუ გახვალ, საშა, რაიმე ფათურაქს გადაეყრები. შენი თავიც შეიცოდე და ნურც ჩვენ დაგვლუბავ. ამის სათქმელად გელოდით აქამდე, — თქვა ანამ და ლუმელისკენ წამოვიდა.

— საყვედური დილითაც შეგეძლოთ გეტყვათ. — ვუთხარი უბოდიშოდ, რადგან მის ხმაში ვერც წყენა შევნიშნე და ვერც შიში.

ადვილი მისახვედრი იყო ამ ვითომდა საყვედურის მიზანი, ჩემდამი ერთგულების დამტკიცება სცადა.

— ნუ გეწყინება, — წამოეშველა ცოლს ქმარი. — ქვეყანა ჯამუშებით გაივსო. ყოველ სახლს, ყოველ კაცს თუ ქალს უთვალთვალუბენ და შენ მით უმეტეს.

წამოეწევი, ხელები თავქვეშ ამოვიწყვე და ერმაქს ისე, სხვათაშორის ვუთხარი:

— მე არავის არაფერს ვუშაგებ, ერმაქ ბიძია, სოფელში გავიარე, აბა სულ ლუმელთან ხომ არ ვიჯდები. სხვათა შორის გეტყვით, რომ ჩემისთანები ბევრნი არიან სოფლებში. ზოგ-ზოგიერთს ცოლიც კი შეურთავს, ნაპო-

ბებულან, თუ რაღაც ამგვარი რამ მოუხერხებიათ. ერთი მარტყუნთ, აბი-ლად მოწყობილან, სოფლის სიმყურდროეში ჩაძირულან, თუ დააცალეს.

— კარგადაც მოქცეულან, — უკმა ლუმელიდან ჩამომძახა ანამ.

— ქვეყანები ყოფილან. გერმანელებს მოსკოვი ორი კვირის წინათ აუღიათ და აბა რა უნდა ექნათ იმ საცოდანებს? ახლა თავის გადარჩენაა მთავარი, ჩემო საშა.

— ოთხ თვეში მოსპეს ამხელა ქვეყანა, მოდი და ნუ გასკდები გულზე. ამოიღრინა ერმაქმაც.

— ასე ზუსტი ცნობები საიდან გაქვთ?

— ყველას მოსკოვის დაცემა აყერი პირზე. დღეს ანა მეზობელ სოფელში იყო, ჩემს დასთან. იქ უფრო ადრე გაუგიათ ეს სამწუხარო ამბავი. — ერმაქმა სანთელი ჩააქრო და დაწვა.

— არ ვიცი ვინ რა უთხრა თქვენს მეუღლეს, სოფლის კორებსაც მაინც-დამაინც ნუ დაუგდებთ ყურს. არც ასია საქმე და ამას მალე თქვენ თვითონ გაიგებთ. უფრო საიმედო წყაროდან გაიგებთ. ღამე ნებისა, ბიძია ერმაქ, ღამე ნებისა, კეთილო დიასახლისო.

— ღამე ნებისა, — ჩაილაპარაკა ლუმელზე მოკალათებულმა ანამ.

— კავკასიელები გულადები არიან, პირველ ომში მიბრძოლია მათთან ერთად, უჩემოდ ლუქმას არ ჩაიდებდნენ პირში. მე კი საწოლიც ვერ დაგიომე. ავადმყოფი კაცი ვარ და მამაკტიე.

— რას ბრძანებთ, ბიძია ერმაქ, პირიქით, თქვენისთანა კეთილი, ღვთისნიერი ადამიანები რომ არ შემხვედროდნენ, ახლა ალბათ დაღუპული ვიქნებოდი. ამ ტახტზეც დიდებულად ვგრძნობ თავს.

— ღამით მაინც ნუ წახვალ შორს, თუ აუცილებელი საქმე გექნეს, მე გაგყვები, ან ანა. ასე უფრო საიმედო იქნება.

— მადლობთ, ბიძია ერმაქ. შეიძლება მართლა შეგაწუხოთ, ჯერჯერობით კი არავითარი საიდუმლო არ ვაგმანია.

— ღამე ნებისა.



— დამე ნებისა. — თავზე ქურჭი წაივებურე.

მე გამოგყვებით, ან ანაო, ასე უფრო საიმედოაო, ვიცი, ვიცი ერმაცა რა ქიაც გლრდნის. უკვე ამჟამად შაგვბინებთ, ჩვენს იქეთ ფეხი არ მოიცივლო, ყოველი შენი ნაბიჯი უნდა ვიცოდეთო ვითომ მიფრთხილდებით, არაფერი შემემთხვეს, ოჯახი არ გაგელანძლოთ. ისე კარგად კი ვუბაძუხე ამ თვალუბდაწყურულ კაცს. ალბათ ანაც ისმენდა. ჭერჭერობით არავეითარი საიდუმლო არ გამაჩნია მეთქი. „ჭერჭერობით“ ბევრს ნიშნავს, იმედის მომცემი სიტყვაა, პოდა ახლა იტეხეთ თავი ორივემ. იფიქრეთ, იანგარიშეთ, ხვალ საბჭელში შედით, იჩურჩულეთ, გეგმები დააწყვეთ. მათი შესრულება კი ჩემზე იყოს...

ხომ არ სჯობია ხვალ ან ზეგ სადმე წაიყვანო ერმაკი? მაგრამ ვისთან მივიდე? არა, ასე არ ივარგებს. იქნებ ვთხოვო თავად დამაყავშირონ ვინმესთან. დავალება უნდა შევასრულო. ხომ უნდა გავიგო ვინა ჰყავთ თანამზრახველებად. მაინც რა ცეცხლში ჩამაგდეს, ა?

ისე, საინტერესოდ კი წარიმართა ჩემი საქმე. ნამდვილი მწვერავი ვარ, ორმხრივი, ისეთი, წიგნებში რომ წამიკითხავს.

მე და მწვერავი?

მეორე დღეს საგულისხმო არაფერი მომხდარა. ერმაკს შეშის დაქრამში მოვეხმარე, ხელის წისქვილზე ხორბლის დაფქვაც ვისწავლე. მთელი სამი საათი ვატრიალებდი პატარა წისქვილის სახელურს. ამასობაში დღეც მიიწურა. მასპინძლები თვალს არ მამორებდნენ, ეგონათ სადმე წავიდოდი, მაგრამ როგორც კი დღამდა, დავწეკი და დავიძინე.

დილით ერმაკს საიდანლაც ცხენი მოეყვანა. სახლიდან რომ გამოვედი, იგი ცხენს ფორანში აბამდა. ფორანზე ხერხი და ნაჯახი იდო.

— საით გაგიწევიათ, ბიძია ერმაკ? — ვკითხე.

— შეშა ილევა, ახლავე თუ არ მოვიტანე, მერე გვიან იქნება, შამბრის მტერი მცემს.

— მეც გამოგყვებით.

— კარგს იზამ, ხერხს მაინც გამიწვე. სახელდახელოდ ვისაუბრეთ და წავედით. ტყე ახლოა, ტყემდე ორი კილომეტრიც კი არ იქნება. ერმაკს თბილი ქურჭი აცვია. ანამ ჩემთვისაც გამოძენა ძველი, აქა-იქ გაცვეთილი ტყაპუჭი, მაგრამ რას დავეძებ, დიასახლისს ამისათვის დიდი მადლობა მოვახსენე.

ფორანი შარაზე მირიხინებს, მე მიხარია, პატარა ბიჭვითა ვარ აღტაცებული. ასე მგონია ტყეში მეგობრებს შევხვდები.

ერმაკი პირველი მსოფლიო ომის ამბებს მიყვება. სიმართლე უნდა ითქვას, დალაგებულად ლაპარაკობს. თურმე წითლების მხარეზე უბრძოლია, ისე ამენდა მისი ოჯახი.

— შენ გამოცდილება დიდი გქონია, ბიძია ერმაკ, ჯანიც ხელს გიწყობს. ასე რომ თუ გაქირდა პარტიზანობასაც შეძლებ...

ჩაიციანა. ცხენს ჯოხი გადაჰკრა. ცხენმა კული აიშვირა და გაქცევა იკადრა.

— ჩემისთანა ბეხრეკის იმედზე თუა საბჭოთა ხელისუფლება, მართლა დავლუპულვართ და ესააო, — თქვა.

— ორშის ტყეებში უკვე მოქმედებენ პარტიზანები, ბიძია ერმაკ. გვარიანად სცემენ ფაშისტებს. სულ ადგილობრივი მცხოვრებნი ყოფილან. ალბათ მალე აქაც აიღებენ ხელში იარაღს...

— შენ ვინ გითხრა?

— გავიგე!

— კაი დაგემართოს, მაგრამ რევოლუციითა და დაჟანგული შაშხანით მოერევი გერმანელებს? მთელი ქვეყნიერება მათთვის მუშაობს და მე და შენ დავუდგებით წინ? მეტი არაა ჩემი მტერი.

— აღრე გატეხია გული, ბიძია ერმაკ. თუ ვიცოცხლეთ, მე და შენ მოვესწრებით, ჩვენი თვალით ვნახავთ, როგორ მოცოცხავენ აქედან შენი ნაქები

ფრიცები, თუ გავუშვით. მოსკოვი დგას, სტალინიც იქ არის. კრემლში. წითელი არმია ცოცხლობს და იბრძვის. ახლა ბევრად უკეთესად იბრძვის, ვიდრე ომის პირველ დღეებში. წითელ არმიას დახმარება უნდა. მტერს ზურგში უნდა ვურტყათ, წუთითაც არ უნდა მოვასვენოთ, შენისთანა პატიოსანმა და სამშობლოს ერთგულმა ადამიანებმა უნდა გააკეთონ ეს...

ერმაკმა ისე მაგრად გადაუქცია სახრე ცხენს, რომ ზურგი მე ამეწვა. აჩუ, შე სამგლეო, დასწყვილა. ჩემი სიტყვები კი უპასუხოდ დატოვა. ზედმეტი ხომ არ მოჭივია? ნამეტანი ხომ არ შევტოპე?

— ბიძია ერმაკ, ეს თქვენი ბურგომისტრი რა კაცია?

— შორობი?

— გვარი არ ვიცი.

— სკოლის დირექტორი იყო, უპარტო. ახლა ბურგომისტრია. ერიდე. საშიში კაცია. მაგან ბევრი კაი კაცი და ქალი გაგზავნა გერმანიაში.

— როგორ თუ გაგზავნა?

— უბრალოდ, სია შეადგინა, ბოგუშევსკის კომენდანტს მიართვა და პატიოსან ხალხს გერმანიაში უკრა თავი. სხვა ცოდვებიც საკმაოდ აქვს.

— უყურე შენ, რა არამზადა ყოფილა.

— არამზადაზე მეტია. არამზადა კი არა, მგელია, მგელი.

— აბა კაი კაცი შევა ფაშისტების სამსახურში?

— აჩუ, შე სამგლე, — ისევ გადაჰკრა ცხენს ჯოხი. ფორანი ტყეში შევიდა.

ო, რა სულბინძური ვინმე ყოფილა ეს ჩემი მასპინძელი. რა ეშმაკურად ამყვა საუბარში, რა მოხერხებულად ჰქრის და კერავს. როგორ წაწითლებია ცხვირი. წვინტილიც ჩამოსდის. რა სიამოვნებით ჩავათარებდი სიფათში. ნამდვილი მელაა. ცოლის მეშვეობით გერმანელებსკენ მიიწევს, მათ წყალობას ელოდება. ეს გარანტირებული აქვს.

აქეთ ჩემთან პირს იწმენდა, შორობს აგინებს, ლანძღავს, მე ვუღუსტყველებს და ჩემს თვალში ამაღლებს კლდეებს. ამასთან ბრძოლა მართლა ძნელია.

— დრო! დრო! — აღვირს მოქაჩა ერმაკმა. ცხენი დადგა. ჩამოვტოვით. ერმაკმა ცხენი გამოხსნა, აღვირი დაუგრძელა და ხეზე შიბა. ხერხი და ნაჯახი ჩამოიღო და გამხმარ, წაქცეულ ხესთან მივიდა. ნაჯახით ტოტები შეასხეპა და შემომხედა.

ჩემს დღეში ბირდაბირით შეშა არ მიხერხია. არა, ისე სათუთხელეზიანი დედიკოს შვილი არ გეგონოთ, შეშაც ბევრჯერ დამიჭრია და ყანაც მითოხნია. ჩემი სოფელი ვაკისუბანი ქალაქიდან სულ რაღაც შვიდიოთ კილომეტრზეა. იქ ბაბუას ნამოსახლი ძველი ეზო გვექონდა. მამაჩემი ყანას თესდა, სიმინდი მოჰყავდა. ეზო დიდი იყო. ქიშკართან, შიგ ყორეში ლეღის ხე ხარობდა. იქვე კაკლის დიდი ხე იდგა. ეზოში ჰაც იყო, სხვა ხეხილიც ხარობდა. არდადეგებზე მამას ყანის სათოხნად მივყავდით მე და ჩემი ძმა. ძმა ჩემზე უმცროსი იყო. თოხს ვერ ერეოდა. მე და მამაჩემი აქეთ-იქეთ ამოვუდგებოდით, ხან მე წავუტარავდი ხელს, ხან მამაჩემი. ჩვენ ორ-ორი სერელი გაგვექონდა, ძმას ერთი. მაინც სულ უკან-უკან გვრჩებოდა. ერთხელ გერალიაში ვთოხნიდით ყანას, ბალახი მოძალეხულიყო, აქა-იქ კალამიც ერია: ვუბლაცუნებდით თოხს, წყნარად ვლიდინებდით და წინ მივიწევდით. ერთგან კარგად ნახარებ სიმინდის ძირში გლერტა ბალახს გაედგა ფესვი. ხან ერთი მხრიდან ვურტყი თოხი, ხან მეორედან, მაგრამ ვერასვებით ვერ ამოვძირკვედიან, ბალახი, სწორედ უნდა ამოძირკვო, თორემ მეორე მესამე დღეს ისევ ამოწვევრავს, გაიხარებს. გავსავათლი. საჭირო იყო დალუნვა, ბალახის ხელით მოთხრა, მაგრამ წავიზარმაცე და ბალახს მიწა მივყარე. მამამ შენიშნა, ბალახი ხელით ამომათხრევიან და მითხრა:



— ასე თუ აყარე მიწა ბალახს სვრელის ბოლომდე, შენი გათოხნილი ყანა ხუთ-ხუთ ტარო სიმინდს გამოისხამსო.

მერე და მერე ბევრჯერ გამხსენები მამაჩემის სიტყვები.

ერმაკთან მივედი, ხელის გულებზე დავიფურთხე და ხერხის სახელურს დავწვდი. ხერხი სწორად გეჭიროსო, მსუბუქად გასწიეო, დამარიგა ერმაკმა.

ხერხს მალე შევაჩვიე ხელი და საქმეც რიგიანად წავიდა.

ერმაკი მაქებდა და მაქებებდა.

ოფლად გავიღვარე. ის ხე დავხერხეთ, ჩამოვჭექით და გავაბოლეთ.

— ერმაკ ბიძია, ახლა პარტიზანები რომ დავგადგენენ თავზე როგორ მოვიქცეთ?

— ჩვენ? მე რას მერჩიან? — თვალუბი დაწკურა მან.

— კი არ გერჩიან, მაგრამ ეთქვათ ცხენი და ფორანი წაგვართვან, ჩვენ უფრო გვეჭირდებაო, გვითხრან, თან გვიბრძანონ ტყეში დარჩით და მტერს ებრძოლეთო.

— ნაჯახით თუ ვინმეს რაიმეს დავაკლებ...

— იარაღსაც გვიშოვნიან.

— მიშოვნიან და მეც აგერ ვარ... — თითქოს რიხით თქვა, მაგრამ შიშისგან თვალები გაშტერებოდა, აქეთ-იქეთ იხედებოდა, პარტიზანები მართლა არ გამოჩნდნენო.

ადგა, მეორე ისეთივე ხმელი ხე მონახა, დასახერხად გააშადა. ისიც დავხერხეთ და ფორანზე დავაწყვეთ.

ერმაკმა ცხენი შეაბა, ფორანზე აღარ დამჯდარა, ცხენი ცოდვანო. ეს კი მომეწონა. მეც ფეხით გავყვეი.

ანას „შიი“ მოეშაღებინა. მაგიდას რომ მიფუსხედით, მითხრა, ვილაც-გოვომ გიკითხაო. ლამაზი გოგო იყოო, ასე თქვენსმეტე წლის იქნებოდაო.

— მართლა მე მაკითხა?

— კი, საშა მინდაო.

— მე აქ არავის ვიცნობ, ყოველ შემთხვევაში გოგოსთვის ჯერ თვალის კი არ მომიკრავს.

— ვოროშინიდან ვარო.

კოვზი ხელში შემაცვივდა, ვოროშინა ზომ ანტონ სუხოდოლსკის სარტყელსა...

— ვოროშინამდე რამდენი კილომეტრია?

— ახლოა, ორი-სამი კილომეტრი იქნება, წასვლას აპირებ თუ? — ჩამკითხა ანამ.

— იქნებ წავიდე.

ცოლმა ქმარს გადახედა.

— თუ ასე აუცილებელია იმ გოგოს ნახვა, მე წავალ.

— თქვენ როგორ შეგაწუხებთ, ანა ბიცოლა. ან რა მესაქმება ვილაც გოგოსთან. თუ ვჭირდები, ისევე მომაკითხავს.

— რატომ, ძალზე ლამაზი გოგო იყო.

— თვალი ჩამიკრა. ლუკმა ყელში აღარ გადავიდა. ვინ იყო? ვინ გამოგზავნა? იქნებ სასწრაფო საქმეა. წავიდე თუ დაველოდო?

დაცდა ვამჯობინე. მეგონა ის გოგო თუ არა, სხვა ვინმე მაინც მომაკითხავდა მეორე დღესვე, მაგრამ მეორე კი არა, მესამე დღეც მიიწურა და არავინ გამოჩენილა.

თითქმის მთელი დღე შინ ვიჯექი. სექტემბერი ილეოდა, წვიმდა, ხანდახან თოვლსაც ურევდა. ისეთი ბინძური ამინდები დაიჭირა, სახლიდან ცხვირის გამოყოფაც კი დაზარდებოდა ადამიანს.

გავიდა კიდევ ორი დღე, არავინ მოსულა. ასე გულზელდაკრეფილი ჯდომა და მასპინძლებთან დიპლომატიური თამაში აუტანელი გახდა.

იმ საღამოს ბევრი ვიფიქრე და გადაწყვიტე იანოვოში წაესულიყავი. საშინლად ციოდა. მაგრამ ჩემი დიასახლისის ნაწყალობევი ტყაბუქის იმედი მქონდა. იანოვოში იქნებ ფედია ტყაჩენკოსთვის ან ეენია დორონინისთვის მიმეკვლია. მთელი ღამე ამაზე ვფიქრობდი, გეგმებს ვაწყობდი, მაგრამ დილით ერთმა საგანგებო შემთხვევამ ყველაფერი ჩაფუშა.

დიასახლისი სოფელში გავიდა. მალე დაბრუნდა და ასეთი ამბავი მოიტანა:

სოფელ ნერეიშაში პოლიციელი ზედ სახლის ბოძზე დაეკიდნათ. პასუხად პოლიციას იმ სოფელში თორმეტი კაცი დაუხვრეტია. იანოვოში შვიდი, კურეიშინოში ხუთი ოჯახი დედაბუდიანად გადაუწვავთ. ახლო-მახლო სოფლებიდან მხოლოდ ბუდა დარჩა. იქნებ შორაპის ხაზრით ჩვენს სოფელს გვერდი აუარონო, თქვა ანამ, მე და ერმაკი ასე ვვარაუდობთო...

მე კი სულ სხვანაირად ვფიქრობდი. შორაპი ამ ფაქტს უყურადღებოდ ვერ დასტოვებდა, რაღაც ღონისძიებას გაატარებდა. მიკვირდა რომ აქამდე ბურგომისტრის სოფელში არც ერთი პოლიციელი არ იყო, არ შეიძლებოდა ამას ბოლოს და ბოლოს ეჭვი არ აღეძრა.

— მთელი სოფელი ფეხზე დგას, ეშინიათ, რაღაც დიდ უბედურებას მოვლიან, ადექი, გაინძერი. — უთხრა ანამ ქმარს.

ერმაკი საბძლისკენ წავიდა, ალბათ ძროხას გადაამალავს.

მე წასასვლელად გავემზადე. ვინ იცის, რა მოხდება და თავი ხიფათში რატომ უნდა ჩაივადო? ანა თვალს არ მაშორებს, მაგრამ თქმით არაფერს მეუბნება. ვერ ზვდება რას ვაპირებ. აი, უკვე გავემზადე. ჯერი ტყაპუქის ჩაცმაზე მიდგა. ვაითუ დამიშალა, ვაითუ დაენანა? ტყაპუქი ხელში ავიღე, განგებ ვატრიალებ, ისეა ბეჭებზე დაკორტნილი, ნატყვიარი გვეგონებათ, მაგრამ სულ არაობას მაინც ეს სჯობია.

ჩემი ტანსაცმელი ახლა არ გამომადგებოდა და არც მითხოვია. ეს ქალი ისე მიყურებს, ისე მჭამს თვალებით, რომ საეჭვოა ტყაპუქის ჩაცმაზე დამეთანხმოს. მაინც ვცდი, თუ უარი მითხრა, ასე შილიფად უნდა წავიდე. ტყემდე როგორმე მივალწევ, მერე ღმერთია მოწყალე.

ტყაპუქის სახელოში ხელი გავუყარე, თურმე ანაც ამ წუთს ელოდა მოვიდა, ტყაპუქი მომხადა, ტახტზე მიაგდო და ორივე ხელი ჩამკიდა.

— ნუ წახვალ, ნურაფრისა გეშინია

სანამ პირში სული მიდგას მე შენ არაფერს გაგიტირებ. ნუ დაშტოვებო, როგო, საყვარელო, ძვირფასო...

ამ ქალისგან ყველაფერს მოველოდი, ვიცოდი კიდევ, რომ ოდესმე იგი თავსვერ შეიკავებდა, მაგრამ ასე ერთბაშად რომ გადამიხსნა გული, უცებ დავიბენი და ავირიე.

— მე უნდა წავიდე, ახლავე უნდა დავტოვო აქაურობა ჩემს გამო ვინ იცის რა მოგვლით? — ამოვიღულულულე, მაგრამ იმის მაგიერ, რომ კარებისკენ წავსულიყავი, იქვე ჩამოვჯექი. ერმაკი შემოვიდა. ქმრის დანახვაზე ანას სახე დაეღმიჭა, მაგრამ მაინც შვიდიად თქვა:

— იცი, ერმაკ, საშა წასვლას აპირებდა.

— აჰ, ასეთ ამინდში სახლიდან როგორ გახვალ?

— ტყემდე როგორმე მივალწევ, — ვთქვი და წამოვდექი.

— რას ამბობ, მთელი სოფელი პოლიციელებითა და გერმანელებით აივსო, ვინ გაგიშვებს?

მუხლები მომეკვეთა, ანას გადახედე. მან თვალი გამისწორა და ისე, სხვათაშორის თქვა:

— უკვე მოვიდნენ?

— მოვიდნენ, ხალხს ეძახიან, სოფლის საბჭოს ეზოში შეგროვდითო, შინ არავინ დარჩესო. რა ვქნათ, ანა?

— იქნებ როგორმე გავალწიო? — ვთქვი ყოყმანით.

— დავხვრეტენ.

— საბჭელში დავიმალები, მე არავინ მიცნობს, იქნებ, აქ არც კი მოვიდნენ.

— ჩვენთან ერთად წამოხვალ, საშა, ნუ გეშინია, ჩემთან ნუ გეშინია, მე სიტყვის ქალი ვარ.

საგანგებოდ გამოეწყო. ცხერის მშვენიერი ქურჭი ჩაიცვა, სარკის ნატეხშიაც ჩაიხედა და სახეზე რაღაც წაისეა.

ვიცი, ქალბატონო, ვიცი, რისი იმედოცა გაქვს, მაგრამ ნუთუ გახედავ და საიდუმლოს გაამქლავნებ? წამოგყვეთ? სიცოცხლე სასწორზე შევადგო? სოფე-



ლი პოლიციელებითა და გერმანელე-
ბით ყოფილა გაქედილი. და დაგიჭერენ
დაგხვრეტენო, თქვა ერმაკმა, რა თქმა
უნდა. თუ ხელში ჩაუვუარდი, არ და-
მინდობენ, ამათთან კი შეიძლება მართ-
ლა გადავარჩე.

ეჰ, რაც არის არის.

ჩემი ცოდვა მიეცა იმათ, ვინც ამ ჯო-
ჯობნითში ჩამავდო.

საბჭოს ეზოში უკვე მოუყრიათ თავი
სოფლებებს. ბევრნი არიან. მე გულ-
დასმით შევათვალერე ხალხი, მაგრამ
ვერა კონსტანტინეს ასულის შეტი ვერა-
ვინ ვიცანი. სულ მოხუცები და ქალები
არაიან, თუმცა აქა-იქ ახალგაზრდებიც
ურევია.

საბჭოს ეზოში ტევა არ არის და მაინც
საოცარი სიჩუმეა.

ეზო გერმანელებითაა გარშემორტყ-
მული.

შორობს მოვლიან.

ბურგომისტრი სამი გერმანელისა და
ორი პოლიციელის თანხლებით მოვიდა.
ოდნავ შემალღებულ ადგილას დადგა,
ხალხს თვალი მოავლო და დაიწყო:

— ხალხო, საგანგებო შემთხვევა მოხ-
და. ჩვენს მეზობლად, სოფელ ნერეიშა-
ში ჩამოაღრჩვეს გერმანიის ერთგული
კაცი, პოლიციელი. ზედ საკუთარი სახ-
ლის ბოძზე დაჰკიდეს. ეს გაუგონარი
აკაცობაა. ბოგუშევსკის კომენდანტი
გვიბრძანებს აღმოვაჩინოთ და სანიმუ-
შოდ დავსაჯოთ მკვლელი. იანთოვში,
კურეიშინოში, თვით ნერეიშაში ბო-
როტმოქმედი არ აღმოჩნდა, არავინ
დაასახელა. ამისათვის ბევრი უდანაშა-
ულო ადამიანი დაიხვრიტა. ახლა ჯერი
თქვენზე, სოფელ ბუდის მცხოვრებ-
ლებზეა. ბატონი კომენდანტის ბრძა-
ნება უნდა შესრულდეს, დაუყოვნებ-
ლივ უნდა მოინახოს თავხედი. კარგად
დაფიქრდით, განსაჯეთ, ყველაფერი
გათვალისწინეთ და პასუხი გაგვე-
ცით. გირჩევთ, იყოთ გონიერნი და
წინდახედულნი. დაასახელეთ საეჭვონი.
ისეთნი, რომლებიც დამლაშობით სად-
ღაც დაძრწიან და ხალხს განსაცდელ-

ში აგდებენ. სოფლის განადგურებას
ერთი და ორი კაცის დასჯა წყობისა უნდა
გისმენთ.

მეგონა ხალხი ახმაურდებოდა, ან კის-
იტყოდა, ან არას, მაგრამ ყველამ გა-
მინდა ხმა, გაემინდა და დაიძაბა.

ასე გასტანა ხუთიოდე წუთს და
უცებ გერმანელთა ავტომატების ჯერმა
ხალხს თავზე გადაუარა.

იმავე წამს ყველა მიწაზე განერთხო —
რაღაც წამის მეათედში მხოლოდ მე აღ-
მოვჩნდი ფეხზე, მაგრამ გონს სწრაფად
მოვეგე და დავეცი.

— ადექით. — ბრძანა შორობმა.

ხალხი ნელა წამოდგა. ერმაკი ცახცა-
ხებს, ანა შედარებით უფრო მშვიდადაა.

პოლიციელი შორობს მიუახლოვდა,
რაღაც უთხრა. შორობმა მხრები აიჩე-
ჩა.

ორი პოლიციელი ხალხისკენ დაიძრა.
ხალხი გაიწვაგამოიწია, პოლიციელებს
გზა მისცა. პოლიციელები ხან ერთ-
ჯგუფთან ჩერდებიან, ხან მეორესთან,
თვლებში ჩასცქერიან ცოცხალმკვდარ
ადამიანებს და ჯერ ვერავინ მივხვდარ-
ვართ თუ რას აპირებენ, მაგრამ აი, ერთ-
მა მათგანმა შუა ხნის ქალარაგარეულ
კაცს ჩაავლო მკლავში ხელი და შორო-
ბის ახლოს, თავისუფალ ადგილას მიიყ-
ვანა. მერე ორივემ ერთად სამი ჩამო-
კონკილი ახალგაზრდა გამოათრიეს.
მივხვდი, წითელარმიელები იყვნენ. ის-
ევ შემობრუნდნენ ხალხში პოლიციე-
ლები, სისხლიანი თვალებით დააბოტე-
ბენ, მორიგ მსხვერპლს არჩევენ.

ჯერი ჩემზე მოდგა.

ერთ-ერთი პოლიციელი მომიახლოვ-
და. ჯერ მე შემხედა, მერე ჩემს მასპინძ-
ლებს.

ღმერთო, ეს ხომ ის არის, შებლზე
ნაიარევი აჩნია, მწითურია და ხელში
შავი ნაგანი უჭირავს. ის არის, ის. ბე-
ლო, უკუღმართო, რაღა ამის ხელში
ჩამავდე. რაღა ამის ხელით უნდა მოვ-
კმდე.

თვალი-თვალში გამიყარა. ცივად შე-

ვაჩერდი. მინდა იგრძნოს რომ არ ვკანკალე, მის წინაშე არ ვთრთი.

— გამოდი!

სიტყვა არ შემობრუნებია, არც ჩემი მასპინძლებისთვის შემიხედავს, თავი ავწიე და წავედი.

ასე, ყველაფერი დამთავრდა. დამთავრდა ჩემი მშვერლობა, ბრძოლა, იატაკქვეშელობა. ნერვიული პოლიციელის ჩამოხრჩობისთვის მე მომარტობენ ტყვიას და მორჩა. რად დავუჯერე ჩემს მასპინძლებს, გავქვეულოყავი, ახია ჩემზე, ასე უბრალოდ, ასე ცხვარივით ჩავუვარდი ხელში მტერს და გვიანდაა თითზე კბენა.

მივდივარ, ზურგზე შავი ნაგანის ლულა მაქვს მიბჯენილი. ახლა გაქცევა უაზრობაა. მე შეიქმსე კაცი ვარ. აღბათ ამჯერად ექვსი კაცის სიკვდილს აკმარებენ სოფელს. ხალხი მიცქერის, ჩუმად სლუჟუნებენ ქალები. ვის ვეტირები აქ, ვის ვეცოდები?

შორობი?

ავხედე, მგონი მიცნო, მგონი გაფითრდა კიდეც, მე ასე მინდა, თუ მომეჩვენა? რა უნდა იღონოს შორობმა? როგორ უნდა დამეხმაროს? როგორ უნდა დამიხსნას? ბურგომისტრი თავს ხომ ვერ გასწირავს, გერმანელებს ხომ ვერ დააეპყვებს?

— სდექ. — მესმის პოლიციელის ხრინწიანი ხმა.

— აქ დადექი! — მიბრძანა და იმ ორი წითელარმიელის წინ დამაყენა.

ვუძებრი ჩვენიკენ მოღერილ ავტომატებს, ხალხს და იცით, არავითარ შიშს არ ვგრძნობ. ჩემი გონება გამოფიტულია, ახლა არც ფიქრის თავი მაქვს და არც შიშის. ვდგავარ უკვე მკვდარი, დახვრეტილი. სულ ერთია მომხდებდა თუ არა ტყვია, მე აღარაფერს აღარ დავეძებ. მთავარია გასროლამდე არ დავეცე. არ მინდა ლაჩრად მომიფონონ ჩემმა მასპინძლებმა.

გერმანელები მოგვიახლოვდნენ. ხუთივე ტანშალალი, ზორბა კაცები არიან. ერთი, შუაში რომ დგას, ცმუტავს, აღ-

გოს ვერ პოულობს, ველარ ითმენს. ეს ყველას დაასწრებს, მესწრებოდნენ მისი გასროლილი ტყვიანი მარცხენა... თვალთ მიბნელებდა, ველარაფერს ვხედავ. მთავარია არ წავიქცე, არ წავიქცე.

მალე. მალე, მალე!

თვალი გახელილი მაქვს, ცას შევხედე. წვიმს, ცა არ ჩანს. სახეზე წვიმის წვეთები მეცემა. ტუჩები მოვილოკე და თვალში სინათლემ იმატა.

უცებ ჩემი დიასახლისი დავინახე. იგი ჩქარი ნაბიჯით წამოვიდა, გერმანელ ოფიცერს, რომელიც შორობის გვერდით იდგა, შორიდანვე რაღაც დაუძახა. გერმანელმა გაოცებისგან ჯერ პირი დაალო, მერე ორივე ხელი გაშალა და ანას მოეგება.

ანამ სხაპა-სხუპით მიიყარა სიტყვები. გერმანელმა გადინხარხარა და ჩვენსკენ მოიხედა. მერე ანას მხარზე ხელი მოუთათუნა და თავიც დაუქნია. ანა ჩემკენ გამოემართა, ხელი ჩამეკიდა.

— წამოდი, პოლიციელი შეცდა, ოფიცერის ბრძანებით თავისუფალი ხარ, მეუბნება ჩემი მხსნელი, მაგრამ მე? მე როგორღა მოვიქცე? მივილო ეს მოწყალემა? მივილო? ვითომ რატომაც არ უნდა მივილო? ასე უსახელოდ რატომ უნდა მოვეკვდე?

ვიღაცამ ზურგში ხელი მკრა, წადი, თავს უშველეო, მეუბნება დასახვრეტად გამზადებული.

ნაბიჯი გადავდგი, მიწა შეინძრა, ირგვლივ ყოველივე დატრიალდა. „არ დივეცე“, „არ დივეცე“, ჰუვირის ჩემის ხმით ვიღაც, გულ-ღვიძლიდან ჰუვირის.

ჩემი დიასახლისი მეძახის, მიყვირის, მესმის მისი ხმა, მაგრამ მე მიწაზე არ ვდგევარ, წისკვილის ქვასავით ვტრიალებ. ხელის შეხებამ ვგრძნობ, ეს ხელი მქაჩავს, მიყვივარ, კი არ მიყვივარ, მიმათრევს, ბაწარჩაბმულ ხბოსავით მიმათრევს, თან რაღაცას მელაპარაკება, მეფერება, მაჩქარებს.

მე ვერ ვხედავ ანას, ვერ ვხედავ გარინდულ ხალხს, პოლიციელებს, ავტო-

მატომობარჩვებულ გერმანელებს. მე მხოლოდ ამ ქალის ზურგს ვარჩევ, ჩემი დიასახლისის ზურგს, იგი მიმათრევს, შექაჩება...

ერმაკთან მივიყვანა. მან რაღაც მითხრა, მე მისი სიტყვები აღარ გამიგონია. ჩემს უკან ავტომატები აგრილდნენ, ხანგრძლივად იკაიანეს და დაჩუქდნენ. ასე მგონია, ყოველი გასროლილი ტყვია მე მხვდებოდა, მხოლოდ მე.

შინ მე და ერმაკი დაებრუნდით. გერმანელები და პოლიციელები შორიკაში წაიყვანა. გერმანელმა ოფიცერმა ანა თავის მანქანაში ჩასვა.

ტახტზე დავემხე. ასე გაუნძრევლად ვეგდე, მანამ, სანამ ერმაკმა არ დამიძახა.

ავდექი, თუთუნი შევახვიე, მოვეუკიდე და მოვექაჩე.

ერმაკი ღუმელთან ბუჭერობს. მაგიდაზე მოხარშული კარტოფილი შემოდგა კარდალათი. საბძლიდან კომბოსტოს წნილიც მოიტანა და ნახევარლიტრიანიც მოაყოლა.

არაყი ორ ჭიქაში გაანაწილა, თავისი წილი გადაკრა და კარტოფილიც მიიტანა. თავი მისკდება, გონება დაძაბულია. სხეული მოშლილი.

გადავრჩი. ცოცხალი ვარ, თითქოს კმაყოფილიც უნდა ვიყო, ამ წუთში ეს არის მთავარი და სხვა დანარჩენს ყურით არ უნდა დავუგდო, გულს არ უნდა ავუყუე, ნერვებიც უნდა დავიმორჩილო და გონებასაც სიმშვიდე მივცე.

ცოცხალი ვარ და ესაა მთავარი. მართლა ასეა? მართლა სიცოცხლეა მთავარი?

არა, სიცოცხლე არ არის მთავარი, არა!

მაშ რაღაა? რაღაა შენი სისხლისა და ხორცის, ფიქრისა და გონების მამობრავებელი?

რა არის?

სული!

დიახ, სული, სული სადღაც შენს

სხეულში რომ არის ჩამუდრული და დრომდე არ გაშვოთებს. *მარცხენა* მე ახლა სწორედ სული *მარცხენა* აიწეწა, მძიძგის, მღრღნის, მკამს.

სიცოცხლე, არ არის მთავარი, არა.

— დალიე, მოგიხდება, — მეუბნება ერმაკი.

ჭიქა ავიღე და სულმოუთქმელად გადავკარი. არაყს წნილი მიეატანე. თვითნახადმა, აყროლებულმა არაყმა წუთით გულმუცელი ჩამწევა, შემახურა და გამომამეხიზლა.

— ჭამე და ცოტა იფიქრე. — ამბობს ერმაკი. კარტოფილს თავისი ხელით მიფეკქენის, მაძალებს. თავის ტყვილმა გამიარა.

წილს დავეძალე, კარგი შემზადებულია, მემამა. ერმაკს ლოყები დაწითლიზია, თვალებსაც აპარპალებს. ვიცი, ახლა დაიწყებს ლაპარაკს. რაღაც უნდა თქვას, მის ხომ ჭერ არ გაუმხელია, რომ მისი ცოლი, მისი ანა გერმანელია.

ახლა მეტყვის, აუცილებლად მეტყვის. მოყვება შორეულ ამბავს, მაგრამ როგორც კი ენას დაასველებს, მაშინვე ცივ წყალს გადავასხამ. ვეტყვი, რომ დიდინანია ყველაფერი ვიცი, დაე, მანაც იფიქროს და იმტვრიოს თავი, მეჩერ მის ფრაუს ეპუტუნოს რამდენიც უნდა.

ისე კაცმა რომ თქვას რას ვერჩი იმ ქალს?

რას ვერჩი?

ის რომ არა, ახლა სოფლის საბჭოს ეზოში ვეგდებოდი ტყვიით დაცხრილული, სისხლსა და ტალახში ამოთხიზნილი.

რას ვერჩი ამ ქალს?

„წადი თავს უშველეო“ — მითხრა ვილაკამ, ხელიც წამკრა, მიბიძგა. აი, ის ნამდვილი ვაყკაცი იყო.

მე?

ასე მოიქცეოდა ჩვენი ექიმი, პეტრე ტიხონოვი?

ვითომ რატომ არ მოიქცეოდა ასე?

ნეტავ რას იტყვიან ალექსეი ველიკანოვი და ადამ სტელმახი ამ ამბავს რომ მოვეუყვები?

— ანას პირველი ომის დროს, გერ-

მანიაში, ტყეობაში ყოფნისას გავეცანი, წამოიწყო ერმაკვა.

— ვიცი, ერმაკ, არ გინდა?

ლუკმა ხელში შეაცივდა, გაშრა, ნამდვილად ელდა ეცა. მუდამ დაწყურული თვალები თეფშისოდენა გაუხდა.

— ვიცი, — არ ვაცალე გონზე მოსვლა — აქ რიმ მოვდიოდი, მაშინაც ვიცოდი. არ გინდა. მე შენ არ გადანაშაულებ. შენი მეუღლის მადლობელი ვარ. სიცოცხლე მან მაჩუქა და ვეცდები ეს სიკეთე არ დავეციწყო. ოღონდ ამისათვის სამაგიეროს ნუ მომთხოვთ. მე წავალ აქედან. ხვალვე დავტოვებ ამ ოჯახს და ღმერთმა ჰქნას ისევ მეგობრულად შევხვდეთ ერთმანეთს. სიმაართე თუ გინდა იცოდე, ასეთ გადაარჩენას იმ წუთებში ისევ სიკვდილი მერჩია, მაგრამ ახლა კმაყოფილი და ბედნიერიც ვარ. ხვალ კი წავალ ჩემს გზას ვეწევი.

— რატომ უნდა წახვიდე. აქ საბოლოოდ აღარ მოგელის. რაც გვაქვს ლუკის მოცემული, ვიკმართ, დავეჯოდეთ. ახა არ არის ურიგო ქალი. რა მისი ბრალაა თუ გერმანელად გაჩნდა, გეფიცები, მას ცუდი არაფერი ჩაუდენია, ვერც გაბედავს.

— გააბედვინებენ, აიძულებენ. — ეპ, ეს რა წამოვროშე, ასე არ უნდა მეტქვა, სულ ავირიე, აშკარად ვამეღვენებ თავს. ახლა მინდა მრჩეველი და მოთათბირე, მაგრამ ვის მივაკითხო? სად ვეძიო ველიკანოვი? სტელმაზი?

ანტონს მიინც გავხსენებოდი.

ნეტავი თუ მივაგნებ იმ მიწურს?

როგორ შევხვდე ანას, რა ვუთხრა. მივეგებო და მადლობა მოვასხენო?

წავალ-თქვა დავიყინე, მაგრამ სად უნდა წავიდე?

ი ლ ი ა ო ბ ა

ბიოგრაფიული კომანი

VII

კარდანახი. 1857, აპრილი.

ნიკოლოზ აფხაზის კიშკარ შარაბანი მიადეა.

— ბიძია! — იუვირა გიგომ და შესაგებებლად გაქვანა.

ილია შარაბნიდან ჩამოხტა.

— დედაა. მამიია...

გაისმა გიგოს ბოხი ხმა.

— ყუინილა, შენ გენაცუალე! — ვადმოსძახა ილიამ.

— ძია, შენი ლექსი ზეპირად ვიცი! — შარაბა გიგომ ილიამ შარაბანი უბოში შეაგრაალა.

მალე ნინოც გამოვიდა, დიდიხნის უნახავი ძამიოკ გულში ჩაიკრა.

ნიკოლოზი კი კომპანეკრული წამოიდა.

— გიმნაზია მართლა მიატოვე?

— შივატოვე.

— შერე რას ფიქრობ?

— პეტერბურგში მივდივარ.

— აფიცრობა გინდა?

— არა, არა, ჩინ-მენდლები არ გამაგონო! — უცებ აცილა ნინომ.

— შაკალე, ქალო! — შეუწყრა ნიკოლოზი.

ილიას წინაბრები სამხედრო პირები იყვნენ, ოჯახს და ნათესაობას მობეზრებელი ქიონდათ თავი მათი სხვადასხვა მხარეებში გაშვებებით, გაუთავებელ ბრძოლებში მონაწილეობით და სიცოცხლის ტრადიციული დასასრულით. ამიტომ ნათესავ-ახლობლები ილიას უფრთხილდებოდნენ. კონსტანტინეს უდროოდ დაღუპვინ შერე დებს, ნინოსა და ელისაბედს, პეტერბურგში

წასვლა და ოფიცრობა ვასაგონადაც არ უნდოდათ.

ნინომ პატარა თემურის წერილი მისწერა, „ნუ გინდა ოფიცრობა, მიატოვე დაწვევლილი პეტერბურგი და ჩამოდიო“. ეს იყო ილიამ და ახლა თავის უფროსი დის ამღერეულ სახეს რომ შეხედა, გული დაეწვა.

— არა, დაიკო, ტყუილად ჯავრობ, შე სწავლა მინდა, შეცნიერება მინდა, რას შეტყვი?

— რა უნდა ვითხრა, მაგრამ შორეთისათვის არ შეშეტები.

— თემური რომ იქ არის!

— ეგა თქვი, ბიუს მიხედვით, — თან საყვედური დაატანა, — არ დამიჯერა თემომ, ღმერთმა კარვად ამყოფოს, სიხშირები მქაშა... ფული გაუეგზაუნე, მიიღებს?

— მიიღებს. ამაზე ჯავრობ? თემური ჩინ-მენდლებით ჩამოგვივა, ჭაგუევაძეობას არ ლალატობს, — დაუმატა ილიამ, — შე კი სულ სხვა-ნაირად მიღრინავს გული.

— ღმერთმა ქნას! — ნიკოლოზმა მხარზე ხელი დაუთათუნა — საბოლოო გამოცდები ჩაკე-ბარებინა კარგი იყო, გიმნაზიის დამთავრებას მაინც სხვა უფის აქვს.

— რა ექნა, ასე გადაწყვიტა, ახლა უნივერსიტეტისათვის ვეშხადები.

მოლბა ნიკოლოზი.

— რა გიშავს, შენ პირველი ქაგუევაძე იქნები უნივერსიტეტდამთავრებულთ.

— მაშა, შემოველე ამას.

გაგზარდა ნინოს. ბიუს ბუხარი გაჩაღებინა, თეთონი* კი შერე უთახიდან „ციცკარი“ ვა-მოიტანა და ილიას უთხრა:

— ყოჩაღ რომ დაგიბეჭდაეს!

— ...გინდოდა ჩემი ლექსი გენახა - ციცკარი.

ში“ და ავისრულე, თორემ შენ რომ არ გვო-
მებოდა, არც შეგას დაეხებდინებდი.

— კარგი ერთი, როცა გემარჯვება, უნდა წე-
რო. საქართველოს მეორე ალექსანდრე სტე-
რია!

— მამა!

ნიკოლოზმა დაუმორჩა ცოლს ნათქვამი და
თან საუვედრიც დაატანა:

— ლამარაიოთ მტველს ვერ ამოვყოჩავეო,
მშა!

— ემ საათში.

ნინო რომ გავიდა, იქვე ბუხართან განაბუ-
ლი გიგო ბიძასთან მივიდა და მუხლზე დაუჭ-
და.

— მოიცა, — ძირს ჩამოსვა მამამ, — რა
დროს ეგ არის, უკვე კაცო ხარ, ლექსი გვით-
ხარი, აბა დაიწყე. დაგვიწყე?

გიგო გაიფიქრა, თავი ჩაღუნა და დაიწყო,
ერთი სიტყვაც არ შეშლია.

უცოვლო უწინარეს მე გავიღვიძებ,

ფრთას ფრთას შემოვკრავ, რა თვალს

გახილებ,

დაეკრავ, დავეშვეტენ, ღმერთსა ვადიდებ,

შვეწიერის ხმით მსმენელს ვაგვიებ.

უფლისაგან მაქვს სასმელ-საშველო,

არც ვთეს, არცა ვემო, არცა ვარ მხენელი,

გამამარხო ვარ, მაქვს მე ყოველი,

მოდი, ზაფხულო, მე შენ მოგელი.

ამ ღამეს ილიას თვალი არ მოუხუტავს. თბი-
ლსა და ჩემ ოთახში სული გტუთვობდა. ათას-
მა ფიქრმა და საზრუნავმა ერთად წამოყო ათ-
ვი. ხან ეგონა საყარგავში მიდიოდა და მშობ-
ლიური კუთხის მიტოვება ენანებოდა. ეგონა,
ყვარლის აზიდულ მთებს. ჩხრაილა დღურჯს,
დაბურულ კედვიგორას ვერასოდეს ვეღარ ნა-
ხავდა, ვეღარ ნახავდა თავისიანებს.

ვერ მოისვენა. ღამთა ანთო, ბუხარში ჩა-
ფიქრდილ ნაკვერცხალს შემა შედგეთა, მერე
შავიდას ისე მიუჭდა, რომ მოლაბლაზე ცეცხლს
ზურგი მიუფიცხა. სითბომ საამოდ დაუარა
ტანში, მისი განუწყრელი უბის წიგნაკი გადაშა-
ლა და ჩაწერა: „ყვარლის მთებს“.

მეერი ფიქრი არ დასტორებდა. სულის და
გულის ტუთვილი ამ ღამეში ჩაქსოვა, დემ-
შვიდობა მშობლიურ მხარეს, დემშვიდობა თა-
ვისიანებს, ფიქრსა და წერაში გაზაფხულის
ცივი ღამე თბილად დაილია.

ნინო გაახარა ამ ღამესა.

„სამშობლოს მთებო, თქვენი შვილი განებებთ
თავსა...“

• • •

გავიდა ერთი თვე.

მეოცე წელში გადამღგარ ილიას დილიცანსი
შორ გზაზე მიაქროლგბდა. ის სიხარული, რო-

მელიც ცხოვრებაში წინსვლაზე ზრუნვამ, ემა-
ღლესი სწავლა-განათლების მიღების წადილმა

აღუძრა, ახლა დარდად ქვეყნულ
დილიცანსში ცხელოდა, ცხენების თქარა-
თქერი, მტვერი და ბული ამ სიცხეს ხმაური-
თა და ქვეყით ავსებდა. მცხეთაში რომ შევიდ-
ნენ, კობტა აფხაზმა ამხანაგებს გადასახა:

— მოდიოთ შევისვენოთ, თან გზაც დაჯილო-
ცოთ.

— ჩვენ ლოცვა და ღვინო გვაკლია? — იკი-
თხა ილიამ.

— სვეტიცხოველის ეზო მაინც სხვა არის,
გაჩარე! — იუვირა კობტამ. შედგნენ გაქაფუ-
ლი ცხენები.

მომავალი სტუდენტები ჩამოვიდნენ დილი-
ცანსიდან, ტანისამოსი შეისწორა-შემოსწო-
რეს და დიდებული ტაძრისკენ გაემართნენ.

ილიას ფეხები დაბუეებოდა და კოჭლობით
მიჰყვებოდა ამხანაგებს, მან მუშტები დამინა
მუხლზე. დაბუეებამ ძლივს გეარა, და შე-
რე ერეკლე მეფის საფლავისკენ გაემართა.

ილიას ჭერ არ ენახა საფლავი, ჩაფიქრებული
დასტეპროდა ცივ ლოდს.

— ჩასძახე, სადაც მივდივართ, ჩასძახე, გა-
ეხარება! — შემიფხმა კობტას ხმა.

— მაკალე, კობტა!

— კი მაგრამ, საფლავს რას უყურებ,

ილიამ შეგობარს მხარზე ხელი გადაამხეა.

— ეგებ წუთისოფელი, — ხმაში ნალექლი
ჩაუღგა ილიას, — ეს საფლავში უნდა იწვეს
და კაცუნებდით...

— სიცილილს ვერაინი გაემქცევა! — სიტუ-
ვა არ დამთავრებინა კობტამ და მდლოზე სა-
ხელდახელოდ ვაშლილი სუფრისაკენ წუბძდა.

— საღ ხარ, კაცო, ქვეყნის საფიქრალს შენ
ფიქრობ? — უსაფვედურეს ილიას და მიიწ-
მოაწიეს, მეგობრებმა შუაში ჩაისვეს.

პური გატეხეს, პირველი სასმისი აიღეს,
მოწყენილობა თითქმის გაქრა. ერთმა რუსმა
მგზავრმა, რომელიც დილიცანსიდან გადმოიპა-
ტიეს, იჩქარა და თანამოსუფრეებს სთხოვა.

— ქართველები არა ხართ, მრავალგამიერ,
იზღერეთ.

— ამ სუფრაზე ცოდვაა მრავალგამიერი! —
მიეგო ილიამ.

რუსმა პასუხი ვერ ვაიგო, შექხედა ილიას,
ილიამ გუდილია და ჰუთხა:

— შენ თეთონ მღერი?

— კარტული არ იცი, მაგრამ ბანი შემიძლია,

— ჩაქართულა და მერე რუსულად განაგრძო,

— დიდი ხანია საქართველოში ვარ, ქუდიც
ქართული დავიხურე, — კმაყოფილი ღმილი
გავშალა წამოწითლებულ სახეზე, უბიდან პუ-
შერი ქუდი ამოიღო და მოტელებილ თავზე
დაიდო.

— ექსტრა! — დამიხა ვილაკამ.

— კაი კაცი ყოფილხარ, აგაშენა ღმერთმა!
 — უთხრა კობტამ, მერე სახელი და გვარი
 ჰკითხა:

— ღენის ანდრეევიჩი ვიცი, მაგრამ უბრა-
 ლოდ ღენისო დამძახებთ, როგორც გრიგოლ
 დამიტრევიჩი შეძახოდ.

— ეინ გრიგოლ დამიტრევიჩი?
 — გრიგოლ ორბელიანი, არ გაგიგონიათ?

— როგორ არა! — შესძახეს ბიჭებმა.

ღენის ანდრეევიჩი მთელუბთან ბრაოდების
 აბებებს კარგად ჰყვებოდა, თან ღენისსაც არ
 იკლებდა, მალე გამხიარულდა და თვითონ წა-
 მოიწყო მრავალთამებრი, ხაზრი ვერ გაუტყუებს,
 აყენენ...

ბიჭებმა ლაზთაიანად ვერ მოიღინეს, ათასი
 ფიჭრი იფშალათ, შორი გზა, გამოცდები, მი-
 ლების გასაჭირი, სწავლა, მისი ზარცა, — ეს
 ფიჭრი და დარდი ყველას თავისებურად გულს
 უბურღავდა.

ცოტა ხნის შემდეგ სახელდახელოდ გამლი-
 ლი სუფრა აიშალა. დილიციანსი ისევ გაუდგა
 გზას, დასვენებულმა ცხენებმა ახლა უფრო მა-
 რადად გასწიეს.

დილიციანსი ჩქარა მიდიოდა, ფაფარაურილი
 ცხენები ქვებზე ნალუბს ასე ურტყამდნენ, რომ
 ნაპერწყლეო ცვიოდა. ევენების კლარუნი
 მტერის კორიანტელში იკარგებოდა. ამ ქრო-
 ლა-სბრილაში სამშობლო მთებს ილია ნალვლი-
 ანად გასურებდა და გულში გამომშუშებულ
 სტიქიონებს იმეორებდა. „ყოველი ნაბიჯი ზე-
 მის ცხენის თქვეთთან შამორებს, ყოველი წუ-
 თი გვკარგავს და მეც მოთბლეს“.

ერთხელ კიდევ ოქროსფრად გაიფლავა სვეტი-
 ცხოვლის გუმბათმა, მერე დამარცხების
 ჩრდილი დაეფინა. გზა უფრო გაუფრთხილდა
 მდინარის შხელიც მოიხსნა.

სააკაძის ციხის თავზე მტარებდები ირვოდნენ.
 „უჩინრმა“ გაქაფულ ცხენებს სადავე მოაწია
 და ტატიო წაიყვანა, მერე ციხის წინ შეაჩე-
 რა.

ამ ციხემ ილიას მოაგონა თავისი პირველი
 მასწავლებელი ნიკოლოზ სეფაშვილი, პირიდან
 ოქრო რომ ვაღმოსდიოდა. მან შესწავლა ილი-
 ას ამ ციხის ისტორია, ვიორგი სააკაძის გზა-
 რობის აბებები და სამშობლოსადმი სიყვარული
 მან ჩაუნერგა. ვიმნახაშიც ნატრობდა ილია
 ასეთ ოქრო მასწავლებელს.

— „შე კი ვერ გამოვეშვიდობე, ეს კაცა-
 ბაა?“ — სამდურაგი უთხრა მან საყუთარ თავს
 და იქვე წერილი დაწერა, მერე ის წერილი
 კავკაზიდან გამოგზავნა.

„დროზე რომ ვერ გამოვეშვიდობე იმის-
 თვის სილა შეეყოფნის“, — ბოდში მოიხადა
 ილიამ, — „თქვენი ნაჩვენებ გზას ვადგვიარ,
 მხოლოდ ნაწაველი კაცი გამოადგება სამშობ-
 ლო-ქვეყანასო, ხომ შეუბნებოდით თქვენ, აი,
 შეც დაგიჭერეთ, მივდივარ, უშაღლეს ცოდნას
 უნდა ვეზიარო, იმედია გზას დამილოცათ“.

მაინც რა გახდა ეს გზა, არ ღაილია, არ და-
 ილია. მოქანცველი მგზავრობის შემდეგ ჰე-
 ტრებურგის ნისლში ძლივს შეტგო თავი.

კატერბურგში

I.

პეტერბურგში ილია ბეღს არ ემდურადა.
 ამალღების პროსპექტზე, ვაკრის ცოლის, კა-
 ლინინას სახლში რიგაიანად მოეწყო. კალინინა
 კეთილი დედაკაცი გამოდგა, ოთახი ძეიბი არ
 დაუფისა, ილიამ ორი თვის ქირა წინასწარ გა-
 დაუხადა.

ახლა მთავარი საზრუნავი უნივერსიტეტში
 შესვლა იყო. დარგიც შეარჩია, იურადიული
 ფაკულტეტის კამერული განყოფილება. აქ მი-
 საღებ გამოცდებზე ბევრი საგანი არ ჰქონდა
 ჩასაბარებელი. ამ დარგზე შესვლა შედარებით
 ადვილი იყო ილიასთან სტუდენტისათვის, რო-
 მელსაც ვიმნახიის სრული კურსის დამთავ-
 რების საბუთი არ გააჩნდა.

ილიამ 1857 წლის 19 ივლისს თხოვნა დაწე-
 რა უნივერსიტეტის რექტორის ემინ ლენცია

სახელზე. ილია წერდა: „მაქვს რა სურვილი სა-
 ბოლოო განათლების მისაღებად მოვისმინო
 ს...პეტერბურგის უნივერსიტეტის იურადიული
 ფაკულტეტის კამერული განყოფილების სრუ-
 ლი კურსი, უმორჩილესად ვთხოვ თქვენ აღმა-
 ტებულებას ჩამრიცხოთ თავისუფალ მოსიარ-
 ულედ სტუდენტად“.

თხოვნის შეტანა არ იყო მთავარი, ილიას გა-
 მოცდებისა ეშინოდა. მან საჭირო სახელმძღვა-
 ნელოები ჩამოითხოვა და ოთახში ჩაიკეტა, სი-
 ბეჯითემ ნაყოფი გამოიღო, გამოცდები კარგად
 ჩააბარა.

ყვარულში წერილი აფრინა, თავისიანებო გა-
 ახარა.

„მე შევისწავლი ვერობის ქვეყნების სახელ-
 მწიფოთა უფლებებს, — წერდა ილია, — რე-
 სუთის იმპერიის სახელმწიფოებრივ დაწესებუ-
 ლებათა საქმიანობას, ფინანსებისა და სახელმწი-



ფოტობრივ დანიშნულებათა კანონებს, მართლმ-საქულების კანონებს, პოლიტიკურ ეკონომიას, სტატისტიკას, ბუნებისმეტყველებას, ტექნოლო-გიას, აგრონომიას, არქიტექტურას*.

პირველ ნოემბერს ილიამ სწავლის ფული ოცდახუთი მანეთი შეიტანა, ჭეითარიც მიიღო.

— ახლა ნაღდი სტუდენტი ხარ, წამო ლექ-ციაზე! — უთხრა კობტამ, მაგრამ ილია შე-ჩერდა, ის ჭეითარი უბის წიგნაკში ჩაიღო და მეგობარს უთხრა:

- სტუდენტი ვარ, უფულო სტუდენტი!
- რამდენი ღაგრია?
- ცხრა მანეთი.
- „კუხმბიტერსკში“ გეყოფა. ჭაერი ნუ გაჭებს წამოღო!

სალექციო დარბაზში ადრე შევიდნენ, ახალ-ბედია სტუდენტებმა მალე მოიყარეს თავი, თით-ქოს სოფლის სკოლაში არიანო, მერხებთან ჩნდნენ ვაჭარები იდგნენ. ზოგ ჭვეფში რალაცხრე ცხარად დაობდნენ, ზოგში მღეროდნენ, ვიღაც მოწყვნილი და დარცხენილი სტუდენტი თავის-თვის იჭდა კუთხეში, სმას არ იღებდა. ილია მას-თან მივიდა და მორიდებით ჰკითხა:

- შეიძლება?
- დაბრძანდით!
- რა ხმაურია?! — თქვა ილიამ.
- იცინიან, სანამ ეცივებათ, ვამოცდები რომ მოაღწევს, მაშინ ენახთ ამათი ბიჭობა.
- ჭერ რა ღროს გამოცდები.

უცნობმა რაღაც ჩაილაპარაკა, მაგრამ ილიამ კარგად წარსთავა, აღარ ჩაეკითხა, უბრძე-ლობაში მამომართმევსო, და გაბრუნდა.

ილია უკვე მეხუთე ლექციას ესწრება. ნეტა-ვი რომელი პროფესორი შემოვა? ცხრილი ჭერ არ გამოუქრავთ, თორემ გვარი მაინც ეცოდ-ნება.

შარელის ჭიბიდან ვერცხლის მსხვილ ძეწ-ვენიან საათი ამოიღო.

— ვლადიმერ დანილოვიჩი არ დაიგვიანებს ისეთი კაცი! — უთხრა გვერდით მწდომმა.

— ვინ ვლადიმერ დანილოვიჩი? — ჰკითხა ილიამ.

- სპასოვიჩი.
- პროფესორი? — დანტერესდა ილია.
- პროფესორია, უნივერსიტეტში იმისი ფასე-კაცი არ დაღის.
- თქვენ საიდან იცნობთ ასე კარგად?
- ვიცნობ, ვიცნობ!

ღერეფანში ზარმა გაიქყარუნა. დაფეთდნენ სტუდენტები, ყველამ თავისი ადგილი დაიკავა, ნანატრი სინამდვილე ჩამოქარდა.

კარი გაიღო, შემოვიდა ახალგაზრდა კაცი, კა-თედრასთან არც მისული, შუა დარბაზში შე-ჩერდა, სტუდენტებს ხელით ანიშნა, დაეჭითო.

— ვაიმე, — აღმოხდა ილიას და გაწითლდა. პროფესორმა მერხებს შორის გაიარა-გამოიარა, სტუდენტებს გახედ-გამოხედა, ილიას მერ-

ხთან ნაბიჯი შეაწელა და იმ მოწყვნილი სტუ-დენტებს უთხრა:

სტუდენტი

— უჩაღად იყავი, არაფერც ლეიტენანტი არც ილია დატოვა გულდაკლული, მხარზე ხელი მოუთათუნა და კათედრისკენ წაიქა-რადა მაინცდამაინც ამ ორ სტუდენტს მიაქ-ცია ასე განსაკუთრებული ყურადღება?

ილია მიხედა, რაშიც იყო საკმე. პროფესორმა რატომ მიუაღერა მის დარცხენილ მუზო-ბელს, მაგრამ მაინც ჰკითხა:

- რატომ გავამხნევით, რატომ ვითხრათ, არა ფერიო?
- რა ვიცი, რა ვიცი! — დაიბნა სტუდენ-ტი, მერხებ, თითქოს ვამოსავალი იპოვათ, ახლა თავის მხრივ ილიას უთხრა:
- შენც ხომ მოგეფერა.

— ჩემი საქმე სხვანაირად იყო და იმიტომ.

— მაინც რა საქმე გქონდა პროფესორთან.

— აი, რა. გუშინ კუხმბიტერსკში ესადი-ლობდით ქართული სტუდენტები, ეშმაკად იუ-რიდიულ საგანზე ჩამოვარდა ბაასი. როგორც მოგახსენებთ, ახალგაზრდობის საქმე, ბაასი ცხარე და მწუხარე კამათად გადაგვექცა. კამათში ჩამოგვერია სწორედ ეს პროფესორი, რომელიც იქვე სადილობდა. იმასაც მაშინვე პირში ვეცით და არა დაღუთმეთ რა, თუმცა მეტად გარკვევი-თა და სადად განმარტა საქამათი საგანი. — რა ვიციოდი პროფესორი იყო, თორემ სმას როგორ ამოვიღებდი.

— თქვენ გონით, მენჭივით რომ მქდარი-ყავით, უფრო ასიამოვნებდით? არა, ჩემო მეგო-ბარო, სპასოვიჩს კამათი იქა შეხლა-შემოხლა უყვარს. იგი ბუნდით იურისტი, ენის ვარჯიშს დიდ უპრობლემას აქცევს.

ილიამ ფანქარი მოიმარჯვა და ლექციის ჩა-წერას შეუდგა, მაგრამ ახლადგაცნობილმა შე-ჩერდა.

- თავს ნუ შეიწუხებთ, მე ჩაწერილი მაქვს მისი ლექცია და მოგაბრუნებთ.
- რაღას მოასწარი?
- შარშანაც პირველ კურსზე ვიჭეძი.
- ჩატოვებს?!
- ნულა მკითხავთ, დიდი ისტორიაა! — შე-რიშეშნა უცნობი.

ილიამ მაინც განაგრძო წერა. სპასოვიჩი „იყო ერთ მოუსვენარ ხელენის შლაში, თითქმის ტრიოლში, ცმატურში“. ეშხიანად კითხულობდა, გრგვინავდა. ლექციის ჩაწერა ილიამ უკრ შეძ-ლო, ფანქარი ჭიბეში ჩაიღო და თვალი მიაპე-რო, ნიყო ნიკოლოძის თქმისა არ იყოს „ტანში ეშმაკ გამჭდარ კაცს“.

— როგორ შესძელი ამ კაცის ლექციის ჩა-წერა? — დანტერესდა ილია.

— სტენოგრაფია მწვალობს, ჩემი ჩაწერილი ლექცია პროფესორმა გაასწორა და ხუთიანი არ დაიშურა.

— უჩაღად, მერე რატომ ჩატოვებს?

— სხეებმა არ გამახარეს.

ილია პროფესორის თითოეულ მოძრაობას თვალს აღევნებდა, მაგრამ რაღაც გამოუცნობი შინი მის გულს თანდათან ერეოდა და მომართულ სმენას უხშობდა. „რალა ამ დანაჯრული კაცის გვერდით მოვხვდი.— ფიქრობდა იგი, — იქნებ მეც მისი ბედი მომელის. რა ვიცი, როგორ წავა ჩემი საქმე. აა, ეს რა წამომცდა. სწავლის მეშინია, იმიტომ ჩამოვდები აქ, ცხრა მთას იქნებან, ცოდნას უნდა ვეზიარო. განათლებული და შემართული უნდა დავებრუნდე ჩემს ქვეყანას.

პირველი ახალწლის ღამე ილიამ პეტერბურგში მხიარულად ვერ გაიტენა. მართალია, სტუდენტთა ზალისიან სუფრას ეჯდა, მაგრამ დანა პირს ვერ უხსნიდა. დეკემბრის მიწურულს სტუდენტებმა ჯიბე მოიქექეს და სწავლის ფული შეიტანეს. ილიას ჯიბეს კი, როგორც თეიითონ იტყოდა ხოლმე, ქაევაეაის ავადმყოფობა სჭირდა.

გუმონწინაც ასე იყო. ილია მაგიდისთან იჯდა, სანთლის მკრთალი შუიცი თეთრ ქაღალდს დასციმციმებდა. ქაღალდზე მხოლოდ ორი სიტყვა ეწერა: „ხმა სამარხიდან“. კალამი მომარჯვებულ სჭონდა, მაგრამ სინამდვილეში კაცნი ვაისმა და ილიამ კარისაკენ მიიხედა.

— შემობრძანდით!

შემოვიდა დიასახლისი, კარი ზურგს უკან მიხურა და იქვე მორიდებით გაჩერდა.

ილიას ორი თვის სახლის ქირა ვეალებოდა, დიასახლისის შემოსევა თუმცა არ ვაეხარდა, მაგრამ მუხლი მაინც გახსნა და მიიპატოცა.

— მობრძანდით!

— გმადლობთ, კნიაზო, პატარა საქმისათვის შეგაწუხებთ. — პატარა საქმეო, მწარედ ვაეცინა ილიას. — ახალი წელიწადი კარზე მოგვადგა, არ მინდა ვალი ვაეყვეს, თქვენთვისაც არ ვარკა, იმიტომ შეგახსენეთ.

— კარგი, ხეალ მოგართმევთ!

— გაიხარეთ, ძილი ნებისა! — დიასახლისი ვაეიდა.

მაგრამ იმ ღამეს ილიას ძილი არ მიეკარებია. „ხმა სამარხიდან“ წერაში პეტერბურგის ცივი ღამე ისე მალე დაიწვა და დაილია, როგორც ის სანთელი, შანდალზე რომ იღვენებოდა.

ეს იყო 27 დეკემბერი.

ორი საათის შემდეგ ახალი წელი კარს შემოადგეს. რა სიცილეს პირადება 1858 წელი?

იმედი მაინც სხვა არის! ილიამ ერთ თავის ნათესად ქალს მისწერა:

„...ჩემი ამბავი რა მოგწეროთ, ხომ იცით ქვაქვიანის სისუსტე სად არის — ჯიბეში და ისევე ჯიბეში; უბი ხანდისხან არს ლგრძობი ქარიშხალი წამოებურავს ხოლმე ჯიბით, რა რუსეთული თავებნი შადგებიან ხოლმე ყალუხედ თითქო ძა-

ლათ დაცარიელებულს ჯიბეში; მაგრამ კი სასოწარკვეთილებადში არ შევალ ხედქმს ქმეჭქმეჭეცემ და ამას ვეტყვი ხოლმე ზემს ჰაფსქ ჩუქქან შინიან, ერთხელაც იქნება, რომ ჩვენც ვაევიბრწყინდეს მზე-მეთქი, და ჩემი თავი ჩვეულებრივ სიცივით მიპასუხებს ხოლმე: პაპაშენიც მაგას ამბობდო, მაგრამ კო, შენი ჯიბე მაინც არ გათბაო. მეც თავი ვაევიჭე ხოლმე და ჩვეულებრივ სასოებით ვაეყურებ პირლია ცას, თითქო იქიდან მოველოდე გაქობულს ქრელ-ქრულ მანეთებს, მარამ თქვენც იცით, ცას რა რიგად მსულს ვერცხლი. მაშასადამე, ლოდნა ჩემი ციდან ფულისა ამაოა“.

ახლა ეს წერილი მოაგონდა და გაიღიმა, მერე „ხმა სამარხიდან“ ვაახსენდა, იქ ხომ ფულზე, მექრთამეობასა და ადამიანის სელის სიბინძურეზე წერს; დამბევეს ცოდვა სამარეშიც არ აწუხებს, და აიძულებს მვედარმა მაინც სიმართლე თქვას.

„სამართალს ფულითა ვსჭირდი, გროშისათვის კაცს ვეიღდი, თვით ძმას ორმოს ვაეუთხრიდი და ჩემს ჯიბეს ნელ-ნელ ვზრდიდი“.

ილიას სულაც არ ესმოდა სუფრის აურზაური, მეგობრებმა ბევრჯერ შესძახ-შემოსძახეს ტყილი ქართული სიმღერა, მაგრამ ის მაინც მოწყენილი იყო. ახლა კი სუფრა ეშხში შევიდა, ბიჭებს სასმელი მოეკიდათ. სიმღერას ტაში მოჰყვა. ერთი წოწოლა სტუდენტი სკამზე შედგა და ფეხები გაუსვ-ვააოუსვა.

კობტი ილიასთან მივიდა.

— ილიო, ჩვენ რა ვეუშველება, არც სიმღერა ვიციო, არც ცეკვა, მოდი, დაღვეით მაინც დაელოთ.

ილია ფეხზე წამოდგა. კობტამ სასმისები შეაგუსო, ერთი ილიას მიაწოდა, მეორე თეიითონ აიღო.

— ჩვენს ქვეყანას, ჩვენს ხალხს ვაეუთხროს.

— ვერმარჯოს, ვაეუთხროს! — შესძახა ილიამ და ქვია აიღო.

— მოიცა, ჩვენებურად დავლოთ.

მკლავი მკლავში ვაეუყარეს, კიქები პირთან მიიტანეს და ვახტანგურად გამოკალეს.

მერე კარი გაიღო და თოვლის ბაბუა შემოვიდა. ამ დროისათვის შემონახული შამპანური გახსნეს. საცობები ჰერს მიეხალა, კიქები ქაფით ვაევისო.

თოვლის ბაბუა კიქას არ დასჯერდა, ახალი წლის საღღებარელო ბოთლით შესვა, მერე საჩქებები ჩამოარჩია.

ილიამ მალე დატოვა სუფრა, ქრწაში ვაევიდა, თოვლის ბაბუას მიცემული კანფეტო პირში ეღო. ცუდ ვუნებაზე იყო, ბეწვის საყელო აიწია, ხელები ჯიბეში ჩაიწყო და დაცარიელებულ ქრწას ვაევიდა. მალე ნეეას შიადგა. ვაყინულ შინიან თითქმის თოვლი ამოეცხო, მაგრამ

ყინულის ქვეშ მანც ცოცხლად ფეთქავდა, ლამის მოსაწყენ მუღღარობას არ ეშუებოდა. მარმარილოს შოაჭირს მიურდნობილი ილია ზევიდან დასყურებდა მდინარეს, მაგრამ ფიჭვით და გულთან შორსულ პეტროვარდში კი არა, თბილისში იყო და მტკერის ჭარბანი დღედნი ესმოდა. ზამთრის სუსხიანი სიზუმე დაარღვია ილიას ოდნავმა ჩურჩულმა. იგი თავისთვის ამბობდა ვერ კიდევ გულში ახლად აკინძულ ლექსს.

ბევრი ვიტანჯე, ვიცი რომ მელის
ბევრიც სხვა ტანჯვა მომგაეღწია,
მაგრამ ეს არ არს მიზეზი ცრემლის,
რომელიც მარად თრთის ჩემ თვალშია.
ყველას გავუძლებ: სასტიკ ტანჯვასაც,
ჩემ საყვარელთა იმედი დათქმვასაც,
თვით საყვარელის ფიცისა ღალატს,
და თვით ჩემ ზედსაც, ამ უგრძნო ქალათს.
ყველას გავუძლებ, როგორც კლდე ქვისა.
ბედთანა ბრძოლა ვით შეშინებია?
ხოლო ჩემ თავის არაფრობისა
არ ძალმომს, ძმანო, ვერ რით გაძლებია!

იანვრის შუა რიცხვებში უფრო გაჭირდა ცხოვრება. უნივერსიტეტში სწავლის ფულის შეტანის ვადა მიიწერა, მაშინდამ ფულის შავიერ სიღარიბის მოწმობა გამოუგზავნა, ისეც ძლივს ვიშოვნე, თელავში ვინ არ შეგაწუხებო. ილიამ ბედი სცადა უნივერსიტეტში თხოვნა შეიტანა, სწავლის ფულისაგან გამათავისუფლეთო. თხოვნას სიღარიბის ცნობაც დაურთო, ბედმა გაუღიმა, მალე სასურველი პასუხი მიიღო და დაემთხილდა.

ერთი თვის შემდეგ ილიამ კარდანიხიდან წერილი მიიღო, ნინო ათას მოკითხვას და კოცნას უგზავნიდა. პასუხში ილიამ უფულობის ჩივილთან ერთად, საყვედურიც არ დაივიწყა. „რა არის ნინოცო, რომ იწერებთ წიგნს და ახლ მინდაურს ამბებს არა იწერთ ხოლმე. ან მოსავალზედ თქვი რამე, ან მინდაურ შექმევაზედ, ან კუტრობაზედ, მაგრამ კუტრობა წამოწყდა, კუტრობაზედ წერას მომწერო, თვითონ მე კარგად ვიცი, რა წითელი კოჭიცა ბრძანდება. ჩემ ვიბეჭდი ნეტავ ჩაგახედა, რა ამბავია, რუსეთულ თავგებს ასეთი ჭარბით გააქეო, რომ მერტი არ იქნება. ღმერთმანი, ჭრელკუბედი მანათებს წამოპკრავენ ფეხს, შენ ნუ მოუკვდე ჩემ თავს! ისეთი მოწმენდილია იქაურობა, რომ ყაბახის მოედანზედ არ იქნება ისე“.

მაგრამ ამ უფულობამ, ამ გაჭირვებამ ვერ გასტეხა ილია. ზმირად ხმელ პურს ლოდნიდა, გულს დაიმაგრებდა და ისე ლექციებზე წავილდა. იქ შიმშილი და ხელმოკლეობა ავიწყლებოდა, თავის საყვარელ პროფესორებს ყურის უგდებდა, მათ სიტყვებს გულში იღვქმავდა. სიღარიბეზე წუხილი და ჩივილი ნათესავეებისადმი მოწერილ ბარათებში რომ ვერ ჩასტიკ

მერე პოეზიას მიმართა. უძველეს გეროპოგრაფულია მისი ცნობილი ლექსი „ქართულ სტუდენტების სიმღერა“. ამ ლექსში, ენთუზიუთური ეარიანტში ვკითხულობთ:

„ღარიბნი ვართ, ჩვენს ჯიბეში
ზმირად ვროში არც კი არი.“

გამხმარ პურსა ცივ წყალშია.
უღრტენიველად ზმირად ვალბობთ,
ჩარდაშნია ცივსა ოთახს
ჩვენი გულის ორთქლით ვათბობთ.“

მაგრამ, მიუხედავად ასეთი დუბუირი მდგომარეობისა, სტუდენტი მანც მზნედ არის, სულღერად არ ეცემა, პირიქით, წინასწარ გამიზნული აქვს მომავალი ბრძოლის გზა, სწამს თავისი მიზნის სიღაიდე, მოწადინებელია, მაღალ კულტურას ეზიაროს და ქვეყანას გამოადგეს.

11

ტახტზე წამოწოლილი ილია ეახტანგ მეფის სამართლის წიგნს კითხულობდა. ეს ნინატრი წიგნი თბილისში ვერ იშოვნა, შორსულ პეტერბურგში კი აღმოჩნდა. პროფესორმა დაეიო ჩუბინაშვილმა სალომე ბატონიშვილისეული წიგნები ქართული სტუდენტების ბიბლიოთეკას გადასცა. წიგნების მიღება-ჩაბარების აქტზე, სტუდენტთა ერთად, ილიამ და აკაკიმაც მოაწერეს ხელი.

ილიამ მაშინვე წამოიღო ეახტანგ მეფის სა-მართალი და, აო, დღეს მეორედ კითხულობს ამ ძველი ქართული კანონების კრებულს.

სადამომ მოატანა, დისახლისმა ჰეწიანად გაქმენდილი და გაუთოებული მენდირა შემოიტანა და სკამის სასურვლებზე გადააქცედა:

დისახლისი ჩუმად გავიდა ოთახიდან. ილიამ მისი შემოსვლა ვერც კი გაიგო, გატაცებით კითხულობდა. მალე კოხტა აფხაზმა შემოიღო კარი და შემოსძახა:

— სოფო დაგავიწყდა?

ილიას წიგნისთვის თვალი არ მოუშორებია, ისე მიუვთ:

— უქონლობა ყველაფერს ავიწყებს, კაცს!

— ფარ-ხმალი დაკუარე?! —

— ეგრე გამოდის! — ილია წამოდგა და გადაშლილი წიგნი მაგიდაზე ჩამოიღო, — მოდი, უმუნდიროდ მივიდეთ.

— თუი მოგვეჭურება!

— შენ ევა თქვი, ახლა რა ვიღონოთ? — უთხრა კოხტამ.

— აი მენდირი, ჩაიციე და წადი! — უთხრა ილიამ.

— გულის გარეთ ნუ კი მეუბნები, სოფო შენ მოგწონს, მის სანახავად მე მგზავნი?... კარგი, წავალ! — ჩაიციინა კოხტამ, მუნდირის ხელი დასტაცა, ჩაიციე და ილიას მიძახა:



- ამა გამოძებ, წაეიდეთ!
- კი მაგრამ, მე უმუნდიროდ?
- მაშა, წამოდი!
- ეგ არ გამოვა, კობტა.
- წამოდი, კარგი რამ მოვიფიქრებ.
- მაინც რა მოიფიქრებ, ხომა უნდა მითხრა.
- წინასწარ ვერ გეტყვი, ახლა წამოდი.

ილიამ სოფიო ჩიკოცესკაია ილიყო ჩოლოყაშვილის წვეულებაში გაიღწო. უცებ, ერთი ნახვით მოეწონა ეს ღამაში ქალიშვილი. როცა ჩაის შემდეგ ბაღში გაეიდნენ, მთვარის შუქში გახვეული სოფიო მიუწვდომელი ეჩვენა.

„ღამის, ტურფავ, შენს ტრფობაში მე შთაეწერო სრულად გული!“ ენაზე მოადგა, მაგრამ ვერ გაუზილა. ის ბედნიერის საღამო იყო. ილია ვატყებოთ ლამპარაობდა. საჭარბოვლოდ ამბებში ქალიშვილი ძალიან დაინტერესა.

ბოლოს გაბედა და თავისი მოცახცაზე ზელი შეახო სოფიოს პატარა ზელს, რომელსაც ბადესათვის ნაქსოვი თეთრი ხელთათმანი ემოსა.

ოცდასამი წლის ვაყაყის ამაზე მეტი სიზარტლი არც უნდოდა. გული დაწყდა სტუმრები რომ ადრე აიშალნენ, ილია და სოფიო საერთო დარბაზში გაეიდნენ.

— ბევრი ლექსი ვითხრათ ილია გრძობარბინა? — ჰკითხა სოფიოს დიასახლისმა, ივანე ანდრონიკაშვილის ასულმა, და გამოიმძღვლად გაუღმა.

- სოფიო გაწითლდა.
- ლექსები არ უთქვამს, მაგრამ თავისი ქვეყნის ისტორია კარგად სცოდნია.
- სოფიომ თავი დაუტყრა დიასახლისის და ტანის მოქნილ რბევით წინ გაუძღვა ილიას. ქუჩაში გამოვიდნენ. სადარბაზოსთან ეტლი იდგა. შეეტლუ მაშინვე წელში გასწორდა და სკამის საფარი გადაწია.
- შეიძლება ვაგაცილოთ? — მორიდებით ჰკითხა ილიამ.
- თუ დრო გაქვთ...

ილია ეტლში ჩაჯდა, ახლოს, სულ ახლოს იგრძნო ქალიშვილის მსუბუქი, სურნელოვანი სუნთქვა. ადრედა, სიტყვა დაეკარგა, უზერხულად ჩამოწილილი სიჩუმე სოფიომ დაარღვია.

- რას ვაჩუმიდით, მითხარათ თქვენი ლექსი.
- აჰ, თქვენზე დაწერე და მაშინ სიამოვნებათ.
- ილიას უცებ სხვა ფიქრი შემოაწვია, ვიხვში ხვში ჩიყო, ნეტავ რამდენს გამომარტმევენ მეეტლეთ და გუნება წაუხდა.
- როდის დასწერთ?
- ამაღამ, შინ რომ მივაღ.
- ციცილი ხართ, კავკასიელები! — აჩქარება მოუწონა სოფიომ და ხელი ტუჩთან მიიტანა, საბნელეში ბეჭდის თვალში გაიფლავა.

- კიდევ როდის შევხვდებით? — შეაგება ილიამ.
- ასე უცებ პაემანი? ჯერ გაგაგონებოთ მანეთი.
- თუ არ შევხვდებით, როგორ გავიცნობთ? — მოუტყრა ილიამ.
- კარგა, თქვენ და კობტა აფხაზი ერთად მოდით. ასე აქოებებს. დედა კობტას იცნობს და აფასებს.
- როდის?
- ზეგ, საღამოს რვაზე, ლექსიც არ დაგავიწყდეთ.

ეტლი გაიწვია. სოფიომ მეეტლეს ასძახა. — ეს ბატონი შინ მიიყვანე, — ხოლო ილიას ხელი ჩამოართვა და უთხრა; — ჩემი ეტლია. არაფერი მისცეთ.

სოფიო სადარბაზო შესასვლელში რომ მიიმალა, მეეტლემ ილიას უგემგირად ჰკითხა: — საით, ბატონო?

— ამაღლებს პროსპექტა, 122.

ილია ეტლში არხვინად გადაწვია. ღრმად ჩაიუნთქა ნელსაცხებლის მოტკობ სურნელი, რომელიც ასე უხვად დატოვა ჩიკოცესკაიამ. შინ გვიან მივიდა, კობტას ეძინა. ილიამ ლოგინილი წამოაგდო და მოუთმენლად მიიპარა: — ბოქო, გაკვეთილი, ჩააჯოცესკაია გაეიცანი, ანგელოზი უოჭილა, ტყუილად კი არ აქებდი შენ.

- მერე?
- ზეგ დაგვაბრევა, უშენოდ კარს არ გამოლებს. დედა გაუჯარღება, წამოხვალ?
- თუ საჭიროა, რატომაც არა.

იმ ღამეს არ დაუძინიათ, უეცარმა ვატყეებამ ძილი გაუერთო ილიას. ზან შლეროდა, ზან ოხრავდა, ზან ლექსებს ამბობდა. გათენებისას მაგიდას მიუჯდა.

ნანატრი პაემანის დღეც დადგა. მაგრამ მეგობრებს ერთი მუნდირის მეტი არ ჰქონდათ და საგონებელში ჩაეარდნენ. ბოლოს კობტამ ურჩია:

- მუნდირს ილიყო ჩოლოყაშვილისას ეიშონეთი.
- ჩოლოყაშვილი იმპერატორის ამაღამი მსახურობდა და ყველაფერი თავსაყარი ჰქონდა, მაგრამ ილიას ესარბებვლა მასთან საბოლოოდ მისვლა. არც აშანაგა გაუშვა.

ქუჩაში უგუნებოდ გამოვიდნენ. კარგა გააჩერეს, შიგ ჩასხდნენ. ჩიკოცესკაიას სადარბაზოსთან მუნდირში გამოქიმული კობტა კარეტადან გადმოვიდა და ათიოდე წუთის შემდეგ გამობრუნდა. დახურულ კარეტაში მუნდირი უცებ გაიხდა, ილიას ჩააცვა და ზურგზე დაკრა ზელი.

— ღმერთია შემწე, შედი.

ილია რომ კარგებიდან წავიდა, კოსტამ მეტრულს ასძახა, წადიო. კარგება დიდიო, კოსტამ ფანჯრიდან გახედა დაბნეულად მდგარ ამხანაგს. ილია გვიან, გაუბედავად აყვავა მარმარილოს კბენს.

ლაქიამ კარი გაუღო, კართან თვითონ სოფიო შემოეგება. ილიას მოწყენილი ეჩვენა ეს ნაწარტი ქალიშვილი. უცებ ხელი გაუწოდა და გაიღიმა.

— საღამო, მამარტო, ცოტა დავიგვიანე!

— კოსტამ არ დაიცადა, სიმური საქმე მაქვსო, მეგონა, თქვენც არ მოხვიდოდით. პო, მართლა, ლექსი? — აჩქარდა სოფიო.

— ვერ დავწერე. ლექსის წერას მშვიდად ყოფნა უნდა. თქვენ სიმშვიდე წამართეთო.

ეს პასუხი მოეწონა სოფიოს, მკრთალ სახეზე ყოყოყილმა ღიმილმა გადაურბინა.

— თქვენი პასუხიც ლექსია, მხოლოდ რითმა აკლია! — უთხრა სოფიომ და მეორე ოთახში გავიდა, იქ ვიღაც იყო ილიას ზურჩული მოესმა.

სოფიო მალე გამობრუნდა, შავი ხავერდგადაკრული ალბომი გამოიტანა და მაგიდაზე დადო.

— აი, ჩემი ალბომი, ვთხოვთ ჩასწეროთ რამე! — ალბომი გადაშალა. საწერ-კალამიც მიაწოდა.

ილია მაგიდას მიუჯდა.

— მხოლოდ ქართულად, შე შეყვარს თქვენი ენა.

ამ აღიარებამ ილია უფრო გაახარა.

უცხო თემის ყარბი მოქმედლა

რად აღმივხენ სიყვარული?...
ლამის, ტრუფაჟ, შენს ტრუფობაში

შე შთაეწერო სრულად გული!

ჩაწერა ილიამ, მერე სიტყვა-სიტყვით უთარგმნა ლექსი. სოფიო გაწითლდა და თავი დახარა. შეუბღვე წაბლისფერი კედელი ჩამოეშალა. ილიამ თვალი ვერ მოსწვევია დარცხვენილ ქალიშვილს.

ილიას სიტყვა დაეკარგა.

დღემილი სოფიოსაც გადაედო.

ოთახი უზერძოვლი სიჩუმით ავისო.

მაგიდაზე გადაშლილ ალბომში ოთხსტრიქონიან ლექსს ლამის უშეძო დასცემიკვებდა. ილიამ თვალი გადაავლო ლექსს. უცებ კალამი აიღო და რაღაც მიაწერა.

— რა დაუმარტო? — მაშინვე კითხვა სოფიომ.

— კითხვის ნიშანი.

— კითხვის ნიშანი?

— დიად, რად აღმივხენ სიყვარული... შეთქი, გეკითხებო.

— პო, კარგით, კარგით.

სოფიო გავიდა წინა ოთახში, ცოტა ხნის შემდეგ შალა. ქალბარა დედაკაცს შემოუძღვია.

— თავადო, გაიყანით დედაჩემი.

ილია მაშინვე წამოდგა და დიასახლისს მიეგება. მისალმებისა და კითხვა-პასუხების შემდეგ სტუდენტის დიდახსნ არ გაჩერებულა. მალე სოფიოს ორი ამხანაგი მოუვიდა. ერთი მათგანი დაბალი და გამხდარო, პრანჭია ზანდა, რუსულად ხმას არ იღებდა, ფრანგულად ირჩებოდა, სულ თავის ფეხსაცმელსა და ვარდისფერ კაბას უყურებდა.

ილიამ მოიწყინა, წამოდგა.

— რა გეჩქარებათ?

— წიგნები, სწავლა, სტუდენტი კაცის ხეგნა!

სოფიომ ხელის ჩამორთმევის დროს ჩემად უთხრა:

— შემოიარეთ, არ დამვიწყოთ!

გახარებული ილია შინ წავიდა.

სახლში კოსტამ მაშინვე შეაგება.

— რაგონაა საქმე?!

— შევირთავ, ქორწილი და მისი კანი!

მაგრამ ნაჩქარევ აღტაცებას უცებ ფრთხილ შეეკვეცა.

დიასახლისმა უვარლიდან გამოგზავნილი კონვერტი შემოუტანა. სინქროლ გახსნა და მაშინვე შეხლა შეიერა.

— რა ამბავია? — ჰკითხა კოსტამ.

— ნახე, რაგებს მიბედავს სოლომონი! — მიუგო ილიამ და მეტში ჩემუტუნული წერილი მიაწოდა.

სოლომონს კვაკვაავად წერდა: „ილიაო, სირცხვილი არ მაქვსო, ი, რაღაც მიჭარბა ზრდო-ლებია მანდ. სტუდენტებს თურმე მეტის ჩამოვდებმა უნდათ, მათი ჩამოსაგდება მეფე გერ არ დაბადებულა. შენ არ გაბრბოვდე და ფეხის ხმას არ აყვე. მალე დაამთავრე, გელოდები. ხომ იცი რა ფული მიჭდება შენი შენახვა. ეს შენ უნდა დააფასო“...

ილიამ ვერ მოითმინა, შეგობარს წერილი გამოსტაცა და ღუმელში შეაგდო. უყურებდა, როგორ მოეკრუნინა ქალაღი ნაკვერცხლებზე, მერე უცებლი ამრიალდა და შავი ფერფლი აღმა იტაცა.

— ასე უკელოდ დავიწვია, თუ სოლომონს ეს წერილი ძვირად არ დავუსვა.

— რას იზამ, უნდა მოითმინო.

— შე და მოთმინე? მამ, მჩუარი ვყოფილვარ. შენ მაინც კარგად მიცნობ, ასეთ რჩევას როგორ მაძლევ?!

— მამ რას იზამ?

— ყველაფერს, ყველაფერს. რომ მოვდიოდო. მომშხამა ჭკუნის სწავლებით, გაგზუმდი, ვიფიქრე, უფროსი კაცია-მეტი და მოვითმინე, მაგრამ არა. ვერ მოვითმინე, წამოსვლისას მაშინდა დავუბარე. როგორმე ფული მოაქუნე და ეს ბრბოვე სოლომონი ჩამომართე-მეტი.

— გოგოს რას ეუბნებია?!

— ფულმა, ანგარიშმა გოგო კი არა, თავა

შემაძულა. არ მინდა, არაფერი არ მინდა, მომასვენოს სოლომონმა. ეეს, შენ რა იცი, რა მამია სხვისი დამადლებული ღუქმა.

მეორედ დღეს, ფოსტალიონმა კარზე მიაკაკუნა.

— ფული, ფული! — მიხარა ილიას.

ხმაურზე დიასახლისიე მოვიდა, სწორედ კარუდროს მიღო ფული, ორი თვეა ილიას სახლის ქირა არ გადაუხდია.

— აი, აქ მოაწერე ხელი! — უთხრა ფოსტალიონმა და სალოცო თითი ქვითარზე დადო. ილიამ ქვითარი გამოართვა, გახედ-გამოხედა. მუბლი შეიკრა. „ხედავ, სოლომონს, იმ შწარე წერილისთვის ფული დაუდევნებია“, ვიფიქრა ილიამ და ხელმოწერული ქვითარი ისევ ფოსტალიონს გაუწოდა.

— არ მინდა, არ ვეღებულობ ამ მოწყალუბას.

— რატომ?! — ერთხმად იკითხეს დიასახლისმა და ფოსტალიონმა.

— ვე მე ვიცი, უკან წაიღე! — ილიამ ვიბე მოიქცეა და ორიოდ გრონო, იქ რომ უბრწყინავდა, ისიც ფოსტალიონს ჩაუდო ხელში.

— მამ წამიწერე, რომ შიღებზე უარს აცხადებ.

— საიშოვნებით!

— ფოსტალიონი რომ წავიდა, გამწარალ დიასახლისს ილიამ შინაურულად მკლავზე ხელი წაუთათუნა.

— ნუ მოიწყინებთ, თქვენს ვალს ორ-სამ დღეში მოგართმევთ!

— აქ სად იშოვნით ფულს?

— ვიშოვნი, ფულს ყოველთვის ვიშოვნი.

— დიერთმა ხელი მოგვიპართოს, მაგრამ იმ ფულს, უკან რომ დააბრუნებთ, სუნე სდიოდა?

— მამა, ცუდი სუნისა იყო! — გაიღიმა ილიამ.

საუბრის შემდეგ წერილი დაწერა. სოლომონის ფულს მწარე წერილი დაადევნა, თავისი ბოღმა და კოლეა იმ წერილში ძლივს ჩატია.

გულიდან ლოდი რომ მოიხსნა, მერე დიდ მაგიდაზე გაშლილ ქაღალდებს მიაშურა, ილია „გლახის ნაამბობს“ წერდა. სამწუხაროდ, იმ პირველმა ვარიანტმა ჩვენამდე ვერ მოაღწია.

ელენე ანდრონიკაშვილმა დაბადების დღეს თბილისიდან საჩუქრად ვერცხლის ქალური ქამარ-ხანჯალი მიიღო. ოფიცრების ცოლებსა და ქალიშვილებს ყველას თვალში მოთვლიდა ეს საჩუქარი, ზოგმა მოხდენილ წელზე შემოიბრტყა და სარკეში გასინჯა მისი პეწიანობა. სხვებს არც სუფთი ჩაიფოვსკოია ჩამოართა. ქამარ-ხანჯალშემობრტყეული დიდხანს ტრიალებდა სარკის წინ.

— გაბატავს, სოფოკან, გაბატავს! — ქართულად ჩასურთულა ელენემ.

სოფიოს გვიანა, დიასახლისი თავის ნიჭთსათხვლად, ქამარი მოიხსნა და გაუწოდა. ილია მის ყოველ მოძრაობას ყურადღებით ნებდა, სოფიო რომ მასთან მხვიდნენ, მამიწე ქეთისა:

— მოგეწონა?

— ძალიან.

— გექნება. მიეწერ ჩვენებს და გამოგიგზავნიან.

მეორე დღეს ილია აღრე ადგა, კარდანახში გასაგზავნი ბარათი დაწერა. ამ ბარათში პოეტმა თავისი ნათესაეები მიიკითხ-მოიკითხა და ბოლოს „სულზედ უტკებეს დას — ნინოს“ სათხოვარი გაუშვლენა. „ერთი რამა მაქვს შენთვის სათხოვარი, თუ გიყვარდე, თუ ჩემი მცირედი სიყვარული გაქვს, ამისრულე. ერთმა ქალმა ქალური ვერცხლის ქამარი მითხოვა ხანჯლოთა და დაეპირღო, შენი ქირიზე, ნინუცი, ნუ გამამტყუნებ იმ ქალთან. მერე უნდა იყოდე, რა ქალია იმათ ოჯახში. როგორც შეილი ისე ვარ მიღებული, ასეთი დედ-მამა ჰყავს, რომ თავი შემაყვარებს. თუ შეიძლება, შენი სულის ქირიზე ნინო, საადგომოდე გამოგიგზავნე: ვიცი რომ გიყვარავარ, თუმცა ცოტა ხელის მოჭრთა გიყვარს, მაგრამ ჩემი სიყვარული გაგამდინებს“.

ამ წერილმა მოგონებები და ფიქრები აუშალა, ცუდ გუნებაზე დადგა. წერილი კონვერტში ჩადო და წივნი აიღო. ფიქრების გასაფანტავად წივნი უებარი წამალი იყო. დიდხანს იკითხა. უკვე სადილობამ მოაღწია, შიშვინილი არ უგრძნია, მაგრამ გულმა მინც მეგობრისაყენ გუწვირა.

პეტრე ნაკაშიძე, იქვე ახლოს, ილიას მეზობლად ცხოვრობდა, სახაფხულოდ თბილისში წასვლა ვედარ შეძლო და პავლოვსკში დარჩა.

— პეტრეს, გამარჯობა! — შესძახა ილიამ ღია ფანჯარაში.

პეტრეს მაგადაზე „ციცკრის“ ნომერი გაეშალა, ფურცლავდა გაყიითლებულ გაზეთს, რადიკას ეძებდა. იქვე კუთხეში სამოვარი შიშვინებდა.

პეტრეს გაეხარდა მეგობრის მისვლა და გაეხუმრა:

— ასე აღრე რომ მოგიყვანა, სამოვრის შიშვინი ხომ არ გაიგონე?

— მამა.

ილია ოთახში შევიდა, საყულო შეიხსნა და სკამზე ჩამოყდა.

— ამ გაზეთების კითხვას კიდევ ვერ შორნი?

— ზოგი ნომერი არ მქონდა და გუშინ მივიღე. მიყვარს ქართული გაზეთი. ხანდახან გადაეფურცლავ და გულს მომეშვება ხოლმე... შენ პედი დაეყვა, ილია, პირველმა ღუქმა პირველი ქება მოგიტანა. ივანე კერესელოძის წერილი ხელახლა გადავიკითხე და მეამა.

— მაგლობის პეტრი რა შეთქმის, მაგრამ, ჩემო პეტრე, „ჩვენი ცისკარი ჭოჯოხეთის კარია და არა ცისა“.

— რა შწარე უნა გაქვს.

— არ შეთანხმები თუ?

პეტრე ჩაფიქრდა, პასხე შეუდგინა.

— გეთანხმები, მაგრამ „ცისკარი“ გასაწირავი არ არის, ის მაინც დიდ საქმეს აკეთებს.

— დიდი საქმე... — დაიწყო ილიამ, მაგრამ შეგობარმა შეაჩერა.

— რა გაქვს საყმათო, მოდი, ჩაი დაულოთ. ყუთიანი ნამცხვარიც მაქვს.

ილიას ცხელი ჩაი არ უყვარდა. როგორც ყოველთვის, ახლაც ფინჯანზე დაასხა მოყავისფრო, გუბგუბა ჩაი, თანაც ნამცხვარი შეატანა. ერთი ჰკიჭა რომ გამოკალა, შეგობართან ბოღში მიიხადა და წამოდგა.

— იფა, სად მიღიხარ?

— შინ უნდა წავიდე. „დედა და შვილი“ მიტირის.

პეტრე გუშინ იყო ილიასთან, წაიკითხა პოემის დასაწყისი, მოეწონა დედის მონოლოგი და დაიშახსოვრა. მას საოცარი შეხსიერება ჰქონდა. იცოდა შეგობარს ამებდა და ის ადგილი ხმაიანდა წარმოთქვა:

მე ვწუხვარ მასზედ, რომ ჩვენს მამულს ამ უცდავ დღესა

შხოლოდ ერთი შეაკედება ჩემგან შობილა... ასიც რომ შეაედეს, ასევე მხედრად მამულს მივციმლა.

ილიამ გადაწყვიტა ეს პირველი პოემა მიეცუნა პეტრე ნაკაშიძისათვის.

და, შინ რომ მოვიდა, უკვე მოფიქრებული „მიძღვნა“ ცალკე ქალაღზე დასწერა და და პოემას წაუშლევარა.

სინთემში, ფიქრსა და წუხილში ილიამ დაინახა როგორ შემოვიდა სოფიო ჩიკოცკაია, რაღაც ამაყი და მიუჯარებელი ეჩვენა. ერთიც არ ვაუღლო. დანჯარასთან გორგოზად დადგა, ილია მისკენ რომ წავიდა, მაშინვე უკულოდ გაქრა.

ილიამ თავისი ფიქრი, სურვილი და ეჭვი პატარა ლექსში გამოამყვანა.

„სატრფოვ! ხშირად ლალი ფიქრი
გამიტაცებს მსუბუქ ფრთითა,
ეთომც მე შენ მოგხვედვივარ
სიგეს ეშხით სიამითა.

„დასტები, გიყო! — შეუბნები,—

აბა ჩემი წრფელი გული!

ბაგე ბაგეს ჩაეყოთოთ

და ჩაეართათ სულთან სული!“

თუმც ეს, ტურფაჟ, სიზმარია,

მითაც სტებება გული კრული...

თუ არ სიზმრით, მაშ რთი დასტებს
უიმედო სიყვარული!..“

ილიამ ლექსს თარიღი მიაწერა „21 ივლისი, 1860 წ., პავლოვსკი“. **სარკინიგარო**
კვირას სოფიოს მოსამსახურებელს [ქაქუცა] მკრუტანა.

ილიამ ამ მოულოდნელ ბარათს თვალი გადაავლო და გაუცვირდა: „პაემანი სასწრაფოდ, დღეს ექვს საათზე. რამ აანჭარა?“ გაივლო გულში და იკითხა:

— სტუმრები ხომ არა ჰყავს?

— არა. რა გადაეცე?

— შევხვდები.

მოსამსახურე წავიდა. ილია ფიქრმა წაიღო.

გ. 0. ლენინი მიუთითებდა, რომ სოციალისტური მშენებლობის განხორციელება, ამ მშენებლობაში ბურჟუაზიული ინტელიგენციის გამოყენება მართოდენ ძალადობით შეუძლებელი იყო, რომ ძალმომრეობასთან ერთად პროლეტარიატს თავისი მორალური წონით, დისციპლინით და ორგანიზებულობით უნდა დაემორჩილებინა და ჩიება თავის მუშაობაში ყველა ბურჟუაზიული სპეციალისტი; ისეთი ვითარება უნდა შეექმნა, რომ ბურჟუაზიულ ინტელიგენტს არ ეფიქრა დაბრუნებოდა ძველ საზოგადოებას და ეწეშავა იმ კომუნისტების გვერდით, რომლებიც მასებს ხელმძღვანელობდნენ და რომელთაც მასები ენდობოდნენ. „ისინი უნდა მოვაქციოთ ამხანაგური თანამშრომლობის ატმოსფეროში, მათ ვარშემო უნდა იყვნენ შემთაა კომისრები, კომუნისტური უჯრედები, ისეთ ჰაერობებში უნდა ჩივაყუნოთ ისინი, რომ ევრ წაიციდნენ ჩვენგან, მაგრამ მათ უნდა მიეცეთ საშუალება იმუშაონ უკეთეს პირობებში, ვიდრე კაპიტალიზმის დროს, რადგან ბურჟუაზიის მიერ აღზრდილი ეს ფენა სხვაგვარად არ იმუშაავებს. არ შეიძლება მთელი ფენა იძულებით ამუშაო, — ეს ჩვენ კარგად გამოგვადეოთ. შეიძლება აიძულო ისინი აქტიური მონაწილეობა არ მიიღონ კონტრარევოლუციოში, შეიძლება დააწინო ისინი, რომ მათ ეშინოდეთ ხელი გაუწოდონ თეთრკვარდიულ შოწოდებას. ამ მხრივ ბოლშევიკები ენერგიულად მოქმედებენ. ამის გავითება შეიძლება და ამხ ჩვენ საკამბისად ვაყეთებთ. ეს ჩვენ ყველამ ეასწავლო. მაგრამ შეუძლებელია მთელი ფენა აიძულო ასეთი წესით იმუშაოს²“.

გ. 0. ლენინი ასწავლიდა პროლეტარიატს, რომ მას უნდა სცოდნოდა ვინ დათორგუნა და ვისთან დაედო შეთანხმება. მას სასაცილოდ მიანნდა ის აზრი, რომ პროლეტარიატს ხელი აეღო იმ შემთხვევების, კაპიტალისტთა და სხვათა დათორგუნებაზე, რომლებიც რუსეთს უცხოელ ინჰერალისტებზე ჰყიდდნენ, მაგრამ ასევე უაზროდ მიანნდა წერობურჟუაზიული დემოკრატიის მიმართ მართოდენ

დათორგუნისა და ტერორის ტაქტიკის გამოყენება, როდესაც მოვლენათა უმჯობესობა აიძულა ისინი პროლეტარიატისკენ უბრუნებინათ პირი. პროლეტარიატი ხშირად ევრ იმენდა უნარს გამოეყენებინა ინტელიგენციის ეს შემობრუნება თავისი ინტერესებისათვის, რაც დაძლეული უნდა ყოფილიყო და ყველა საბჭოთა მოღვაწეს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ანოცანად უნდა დეცახა საბჭოთა ხელისუფლებას მიტმასნებელი ბურჟუაზიული ინტელიგენციის ნაწილი შეეცავლა მისკენ შემობრუნებულ ინტელიგენციით, რომელიც ევრ კიდევ გეშინ მტრულად იყო განწყობილი მისდამი და დღეს კი ნეიტრალურ პოზიციებზე იდგა. „უნდა შეგვეძლოს მივიშროთ, საერთო ორგანიზაციაში ჩივაბათ, საერთო პროლეტარულ დისციპლინას დავემორჩილოთ მშრომელთა ყველაზე ნაკლებად პროლეტარული, ყველაზე მეტად წერილობურჟუაზიული ფენები, რომლებიც ჩვენსკენ იბრუნებენ პირს. აქ მოწენტის ლოზუნგია არა ბრძოლა მათთან, არამედ მათი მოშრობა, მათზე ზემოქმედების მოხდენის უნარი, მერყევთა დაარწმუნება, ნეიტრალურობა გამოყენება, იმათი აღზრდა, — მასობრივი პროლეტარული გავლენის ვითარების აღზრდა, — ვინც თავიდან მოიშორა „დამფუძნებლური“ ან „პარტიულ-დემოკრატიული“ ილუზიები ან სულ ახლახან დაიწყო ამ ილუზიებისაგან თავის დაღწევა“¹.

გ. 0. ლენინი მიმართავდა ინტელიგენციას, რომ თუ მათ მართლაც სურდათ საბჭოთა ხელისუფლებასთან კეთილშეზობლური ურთიერთობის დამყარება, გასაჩილყვნენ და შეესრულებინათ ესა თუ ის დავალება, შეეწყვიტათ საბოტაჟი და მონაწილეობა მუდლოთ სოციალიზმის მშენებლობაში. იგი ასწავლიდა პროლეტარებს, რომ სოციალიზმის აშენება შეიძლებოდა მხოლოდ კაპიტალისტური ევლტრისა ელემენტებისაგან, რომ ერთადერთი ევლტრული ელემენტი ინტელიგენცია იყო, რომელიც აუცილებლად იყო საჭირო სოციალისტური გადატრებისათვის და საბჭოთა ხელისუფლებისაკენ მის შემობრუნებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. „თუ ჩვენ გვიხდებოდა მის წინააღმდეგ უღმობლად ბრძოლა, ამას ჩვენ კომუნისში კი არ გვავადლებულება, არამედ მოვლენათა ის მსველეობა, რონელ-მაე ყველა „დემოკრატი“ და ყველა ის, ვინც შეეცარებულა იყო ბურჟუაზიულ დემოკრატიანზე, ჩვენ ჩამოგვაშორა. ახლა შეიქმნა შესაძლებლობა გამოეყენოთ ეს ინტელიგენცია სოციალიზმისათვის, ის ინტელიგენცია, რომელიც სოციალისტური არ არის, რომელიც არასოდეს არ იქნება კომუნისტური, მაგრამ

1 გ. 0. ლენინი, ტ. 29, გვ. 65-66.

2 იქვე. გვ. 199.

რომელსაც ახლა მოვლენათა და თანაფარდობათა ობიექტური მსვლელობა ნეიტრალურად, მეზობლურად განაწყობს ზვენიდამი¹.

ვ. ი. ლენინი თავის ნაშრომში — „სახპოთა ხელისუფლების მორიგი ამოცანები“ — ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ საბჭოთა ხელისუფლების მხარეზე ბურჟუაზიული ინტელიგენციის შემოუბრუნებლად, კოდნის, ტექნიკის, გამოცდილების სხვადასხვა დარგის სპეციალისტთა ხელმძღვანელობის გაუწევლად შეუძლებელი იყო სახალხო მეურნეობის გაძლიერება და მეცნიერებისა და კულტურის შეზღოვანი ვაჭრეობა. ამ სპეციალისტების გამოყენება კი სახელმწიფოს შეეძლო ორმაგი წესით: ან ძველებურად, ბურჟუაზიულად, ვ. ი. დიდი ხელფასით, ან ახლებურად, პროლეტარულად, ვ. ი. ქვემოდან საყოველთაო-სახალხო აღრიცხვისა და კონტროლის იმ ვითარების შექმნით, რომელიც აუცილებლად და თავისთავად დაიმორჩილებდა და მოიზიდავდა სპეციალისტებს, რაკი ერთბაშად შეუძლებელი იყო სახალხო მეურნეობაში სოციალისტური ურთიერთობის დამყარება და საყოველთაო-სახალხო აღრიცხვის და კონტროლის ვითარების შექმნა, კომუნისტური პარტია იძულებული გახდა სპეციალისტების მოზიჯვის საქმეში გამოეყენებინა ბურჟუაზიული მეთოდი.

1918 წლის 29 აპრილს ვ. ი. ლენინის ნაშრომის „სახპოთა ხელისუფლების მორიგი ამოცანები“ თვისებები განხილულ იქნა სრულად რუსეთის ცაკის სტომაზე. ამ სტომაზე ვ. ი. ლენინმა დიდი ყურადღება დაუთმო „მემარცხენე კომუნისტების“ კრიტიკას, რომელთა ჩვეულებრივი ბუზბუზობა და რომლებიც უარყოფდნენ სოციალიზმის მშენებლობაში ბურჟუაზიული ინტელიგენციის გამოყენების აუცილებლობას; პარტიის ამ ტაქტიკას სოციალიზმის პრინციპებიდან გადახვევას უწოდებდნენ და უყარ, კაპიტალიზმისაგან დაბრუნებლად აცხადებდნენ. ისინი მოითხოვდნენ ბურჟუაზიის საბოლოო მოსპობას, სოციალიზმის დაუყოვნებლივ განხორციელებას და უარყოფდნენ კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გარდამავალი პერიოდის აუცილებლობას.

ვ. ი. ლენინი უმტკიცებდა მათ, რომ სოციალისტური რევოლუციის ინტერესები მოითხოვდა წარმოებისა და მოხმარების საქმეში აღრიცხვისა და კონტროლის მოწყობას, რკინისგებურ დისციპლინას და წესრიგს ყოველგვარ საქმეში, რომ პროლეტარიატს უნდა ესწავლა კაპიტალიზმისაგან, ბურჟუაზიულ სპეციალისტებისაგან უზარმაზარი საწარმოების მართვის პრაქტიკული საქმე. საჭირო იყო „...ბურჟუაზიისა და მისი ტექნიკოსების, მისი

ბურჟუაზიული სპეციალისტების ჩვენს სამსახურში წამოყვანა მათი ცოდნის, მჭიდრო კავშირება და შრომა კი ჩვენ გენსტრუქტურის ქმნის სოდ შეუძლებელია ნამდვილად ავიღოთ ის კულტურა, რომელიც შექმნილია ძველი საზოგადოებრივი ურთიერთობით და დარჩენილია როგორც სოციალიზმის მატერიალური ბაზა².”

აღნიშნულ სტომაზე სიტყვა წარმოთქვია აგრეთვე ბუზბუზობა, რომელიც ცდილობდა ბრალდება წაეყენებინა ვ. ი. ლენინისათვის ბურჟუაზიული მეცნიერების, ტექნიკისა და კულტურის წინაშე ჭედილე მოხარა და წინააღმდეგობა გაეწია ბურჟუაზიული სპეციალისტების დიდი ანაზღაურებით უზრუნველყოფისათვის.

საპასუხო სიტყვაში ვ. ი. ლენინი ამბობდა: „...სპეციალისტები ჩვენ არა გვყავს, აი რაშია საქმის დედარსა, აი რატომია საჭირო მოვიზიდოთ 1000 კაცს, თავიანთი დარგების პირველხარისხოვანი სპეციალისტები, რომელნიც აფასებენ თავიანთ საქმეს, რომელთაც უწყალო მსხვილი წარმოება, რადგან მათ იცოდა, რომ აქ ტექნიკის ახალგაზრდა და როდესაც აქ ამბობენ, სოციალიზმი შეიძლება მივიღოთ ბურჟუაზიისაგან უსწავლად, მე ვიცი, რომ ეს ცენტრალური აფიციის მცხოვრების ფსიქოლოგია. ჩვენ ვერ წარმოვიდგენია სხვა სოციალიზმი, ვარდა იმ სოციალიზმისა, რომელიც დამყარებულია მსხვილი კაპიტალისტური კულტურით მოპოვებული ყველა გაკვეთილის საფუძველზე, სოციალიზმი უფოსტოდ, უბელაგრაფოდ, უმაქანოდ — სრულიად ცარიელი ფრაზა“³.

როდესაც ძველი ინტელიგენციის წარმომადგენელი დარწმუნდებიან, რომ მუშათა კლასი კულტურასაც აფასებს და ხელსაც უწყობს ხალხის ფართო მასებში მის გავრცელებას, ისინი შესცვლიან თავიანთ დამოკიდებულებას პროლეტარიატისადმი და იწყებენ მისკენ შემობრუნებას. „როცა ექვიმ ზედავს, რომ ეპიდემიებთან ბრძოლაში პროლეტარიატი აღვიძებს მშრომელთა თვითმომკმედებას, ის ჩვენ უკვე სულ სხვაგვარად გვეყარობა. ჩვენ გვყავს ამ ბურჟუაზიული ექვიმების, ინჟინრების, აგრონომების, კომპერატორების დიდი ჯენს, დაროცა ისინი პრაქტიკულად დანაშაუენ, რომ პროლეტარიატი ამ საქმეში აბამს სულ უფრო და უფრო ფართო მასებს, ისინი დააღუფლნი იქნებიან მოჩაღურად, და არა მარტო პოლიტიკურად ნოკვეთილი ბურჟუაზიისაგან. მაშინ ჩვენი ამოცანა უფრო ბოლი გახდება, ნაშინ ისინი თავისთავად ჩაეშვებიან ზვენს აპარატში, მისი ნაწილი გახდება“⁴.

1 ვ. ი. ლენინი, ტ. 27, გვ. 359.

2 ვ. ი. ლენინი, ტ. 27, გვ. 370.

3 ვ. ი. ლენინი, ტ. 29, გვ. 200.

მაგარა, ვერც ძველი ინტელიგენციის გამოყენების წინააღმდეგ „შემარცხენე კომუნისტების“ გამოლაშქრებამ და ვერც საბჭოთა ხელისუფლებისადმი ბურჟუაზიული ინტელიგენციის მცირე ნაწილის ფრთხილმა, უნდობელმა და ნერვულმა დამოკიდებულებამ ვერ გადაახვედინა ჩვენს პარტიას სწორად აღებული ვესიდან. პარტიამ შესძლო ძველი სპეციალისტები თავის მხარეზე შემოებრუნებინა, ისინი სოციალიზმის მშენებლობაში ჩაება. ხედავდა რა კომუნისტური პარტიისა და ხალხის თავგანწირულ შრომას სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების საქმეში, სოციალიზმის მშენებლობის საქმეში და გრძობდა რა მისლამი მზრუნველ და ყურადღებიან დამოკიდებულებას, ძველი ინტელიგენციის საუკეთესო და უმეტესი ნაწილი დააწმენდა რა, რომ საბჭოთა ხელისუფლებას უნარი შესწევს ქვეყანა მიიყვანოს კულტურულ აყვავებად და ყველაფერს აყეთებს იმისათვის, რათა განამტკიცოს მისი ძლიერება, პირი იზრუნა მშრომლებისაკენ და გულმოდგინედ ჩაება სოციალისტურ მშენებლობაში.

ჯერ კიდევ დიდი ოქტომბრის სოციალისტურ რევოლუციამდე ვ. ი. ლენინი აღნიშნავდა, რომ პროლეტარიატი იღებდა რა ხელში ძალაუფლებას, დაამყარებდა რა თავის დიქტატურას, მისი ერთ-ერთი ძირითადი ამოცანა იქნებოდა თავისი საკუთარი, მუშურ-გლეხური ინტელიგენციის კადრების მოზადება.

1918 წელს, განათლების საკითხზე მოწვეულ ყრილობაზე, ვ. ი. ლენინი ამბობდა: „შრომელნი მისსწრაფიან ცოდნისაკენ, რადგან იგი აუცილებლად სჭირდებათ მათ გასამარჯვებლად. შრომელი მასების ცხრა მეათედი მიხვდა, რომ ცოდნა იარაღს წარმოადგენს მათ ბრძოლაში განთავისუფლებისათვის, რომ მათი წარუმატებლობა აიხსნება განათლების ნაკლებობით და რომ ახლა თვითონ მათზეა დამოკიდებული მართლაც ყველასათვის მისაწოდომი გახადონ განათლება“.¹

ნაშრომში — „როგორ მოვაწყოთ შეიბრება?“ — ვ. ი. ლენინი წერდა: „არა, მუშები ერთი წუთითაც არ დაიფრეხებენ, რომ მათ ესაპირებოთ ცოდნის ძალა. ის არაჩვეულებრივი თავგამოდება, რომელსაც მუშები იხევენ განათლების საქმეში და იხევენ სწორედ ამ ეამად, ამტკიცებს, რომ ამ მხრივ პროლეტარიატის წრეში არ ცდებიან და არ შეიძლება შეცდნენ“.¹

ინტელიგენციის მოზადებისა და აღზრდის პროცესი მეტად ძნელ და ხანგრძლივ პერიოდს მოიცავდა. დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავისაღმის მიძღვნილ სკკ ცენტრალური კომიტეტის თეზისებში აღნიშნულია, რომ „...კვალიფიციური კადრებისა და სახსრების მწვავე ნაკლებობის ძნელ პირობებში სახელმწიფო ქმნიდა სახალხო განათლების ახალ სისტემას, რომელმაც უზრუნველყო მოსახლეობის საყოველთაო წიგნიერება, მეცნიერებისა და კულტურის სწრაფი აღმავლობა, მოზარდი თაობის აღზრდა სოციალიზმის სულისკვეთებით, ხალხის სამსახურში ჩადგენენ ძველი ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლები, იქმნებოდა სოციალიზმის საქმის ერთგული ახალი მუშურ-გლეხური ინტელიგენცია“.²

საზოგადოების სოციალისტურ გარდაქმნაში მოპოვებული წარმატებების შედეგად სსრ კავშირში ჩამოყალიბდა ახალი, სოციალისტური, მუშურ-გლეხური ინტელიგენცია, რომლის ხვედრითი წონა დღითიდღე აზრდება, რომელიც თავის ცოდნას, ძალასა და ენერჯიას ახმარს მეცნიერების, ტექნიკის, კულტურის განვითარებას და თავის სანუკვარ მიზანს ხედავს ხალხის სამსახურში.

¹ ვ. ი. ლენინი, ტ. 26, გვ. 475.

² „დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წელი“ სკკ ცენტრალური კომიტეტის თეზისები. თბილისი, 1967, გვ. 19.

¹ ვ. ი. ლენინი, ტ. 26, გვ. 89.

ბუნების ღაცვის ლენინური ღონისძიებები

კომუნისმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნა მნიშვნელოვნად დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად რაციონალურად და ეფექტურად არის გამოყენებული ბუნებრივი რესურსები, როგორი უზრაველობა ექვევება ბუნებრივ სიმდიდრეთა აღდგენას, მის გადღიდებას და საკანონმდებლო წესით დაცვას.

მეცნიერებამ კარგა ხანია გადალახა ბუნების ძალებისადმი ადამიანის დამორჩილების მითი, დავმო ბუნების (სამყაროს) მეტაფიზიკური ვაგება და მკაცრად შეებრძოლა ბუნების სტიქიურ მოვლენათა დამანგრეველ ძალებს. საბჭოთა მეცნიერებამ ხელი შეუწყო და ყოველმხრივ დაეხმარა ადამიანს ზემოქმედება მოახდინოს ბუნებაზე და საზოგადოების ინტერესებისათვის გონიერულად გამოიყენოს ბუნებრივი რესურსები. ინდუსტრიაშიც და მიწათმოქმედებაშიც ადამიანს შეეძლო მხოლოდ გამოიყენოს ბუნების ძალებს მოქმედება, თუკი შეიგნო მათი მოქმედება, და გაიადვილოს ეს გამოყენება მანქანების, იარაღებისა და სხვათა საშუალებით.¹ კომუნისმში ათარაღებს ადამიანს ყველაზე სრულყოფილი და მძლავრი ტექნიკით, უდიდეს სიმდილეზე აყავს ადამიანთა ბატონობა ბუნებაზე, შესაძლებლობას გვაძლევს სულ უფრო მეტად და სრულად ემართავდეთ ბუნების სტიქიურ ძალებს.²

კარხმის დროს ბუნების რესურსთა დაცვის ერთიანი კანონმდებლობა არ ყოფილა, გამოდიოდა ცალ-ცალკე კანონები კერძო საყუთრებაში არსებული ადგილმამულის, ტყისა და წყლის დაცვის შესახებ. შეიძლება დავასახელოთ 1703 წელს პეტრე პირველის კანონი

ტყის მასივის დაცვის შესახებ. 1900-იან წლებში ბუნების სამართლებრივი დაცვის აუცილებლობა ფართო საზოგადოებრივ საზრუნავ საგნად იქცა. ბუნების დაცვის საქმის სათავეში ჩაუდგა მაშინდელი რუსეთის მეცნიერებათა აკადემია.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისთანავე ბუნების დაცვის პრობლემა საყოველთაო-სახალხო საქმედ იქცა. საბჭოთა მთავრობამ საკანონმდებლო წესით ბუნების რესურსთა გამოყენება-დაცვის რეგლამენტაცია იმთავითვე განსაზღვრა. ვ. ი. ლენინი ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვების პირველი დღიდანვე განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა ბუნების რესურსთა სწორად გამოყენებასა და სახელმწიფო ნაკრძალთა მოვლა-პატრონობას. 1920 წელს 14 მაისს ვ. ი. ლენინის მიერ ხელმოწერილ დეკრეტში ნაკრძალთა ჩამოყალიბების შესახებ შესანიშნავად არის ნათქვამი: „ნაკრძალი ეროვნული დოვლათია, რომლის დანიშნულებაა მხოლოდ ქვეყნის სამეცნიერო-ტექნიკური ამოცანების გადაჭრა და მისი ბუნებრივი რესურსების ექსპლოატაცია დაუშვებელია“. ბუნების დაცვის აუცილებლობაზე ლენინი აღნიშნავდა: „...მისათვის, რომ დაცული იქნეს ჩვენი ნედლეულის წყარო, ჩვენ უნდა მივიღოთ მეცნიერულ-ტექნიკური წესების შესრულებას და დაცვას“³.

შემთხვევით არ მომხდარა, რომ ვერ კიდევ 1918 წელს განათლების სახალხო კომისარიატთან შეიქმნა ბუნების დაცვის კომიტეტი, რომელსაც დაქვემდებარა ბუნების ყველა სიმდიდრის (რესურსთა) დაცვისა და რაციონალურად გამოყენებისათვის საზედამხედველო ფუნქცია.

¹ ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 5, გვ. 128.

² სკვპ პროგრამა 1961 წ., გვ. 70.

³ ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 32, გვ. 286.

აქ საყურადღებოა ის, რომ სახალხო კომისიართა საბჭომ ბუნებას დამცველი გონივრულად (მართებულად) გამოუქმენა და ეს კეთილშობილური საქმე მიანდო განათლების სახალხო კომისიარიატს, რომელიც არ დანიტრირსდებოდა: ბუნებრივი სიმდიდრის ექსპლოატაციით, ე. ა. მის საიუტრნო კომპეტენციისში ეს არ შედიოდა.

1918 წლის 27 მაისს ე. ი. ლენინის ხელმოწერით მიღებულ იქნა საბუთიური დეკრეტი „ტყის შესახებ“, ხოლო იმავე წლის 2 დეკემბერს საკომსაბჭოსთან შეიქმნა მთავარი საბუთი კომიტეტი“. ჟარ კიდევ მანინ საბუთო მიწის ფონდი გამოეყო ერთიან სახელმწიფო მიწის ფონდს და ცალკე, დამოუკიდებელ კატეგორიად იქცა. ყოველგვარი კერძო მესაქუთრული წესით ტყისა და მისი რესურსების გამოყენება დეკრეტით სასტკაად აყრალდა.

50 წლის წინათ, 1919 წელს ე. ი. ლენინმა ხელი მოაწერა დეკრეტს ასტრახანის ნაყრბალის დაარსების შესახებ. ეს ნაყრბალი, რომელიც გადაჭიმულია ვოლგის დაბლობში, ცნობილია მთელს კავშირში თევზის დიდი მარაგით, 260 საბის ფრინველი და ორი ათასზე მეტი გარეული ღორი ბინადრობს აგრეთვე ამ ნაყრბალში.

ე. ი. ლენინის პირადი ინიციატივით და მისევე ხელმოწერით 1921 წლის 16 სექტემბერს გამოცემულ იქნა პირველი დეკრეტი ბუნების დაცვის ორგანიზაციის მოწყობის შესახებ, სადაც განსაუთრებულია ყურადღება ფლორისა და ფუნის დაცვის საკითხებს დაეთმო.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ საქართველოში უმნიშვნელოვანესი ღონისძიებები გატარდა. განხორციელდა მიწის წიალის, ტყის, წყლისა და მრეწველობის ნაციონალიზაცია. რამაც მოამზადა სოციალისტური საზოგადოების მშენებლობის ყველა პირობა.

საქართველოს რევკომების მიერ 1921 წლის 6 აპრილს მიღებული № 17 დეკრეტით მიწა წიალითურთ, მადნეულობა, ტყე, წყალი, რომლებსაც სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა ჰქონდა, გადადიოდა მხოლოდ და მხოლოდ სახელმწიფოს განსაკუთრებულ და უშუალო საკუთრებაში. იმავე წლის 19 თებერვალს გამოცემული ბრძანება ეხებოდა ტყით სარგებლობის მოწესრიგებას, ტყის დაცვას, ხოლო 1922 წელს 23 თებერვალს გამოიცა დეკრეტი „თევზის ჰერის შესახებ“. საქართველოს სსრ პირველი კონსტიტუციით და მოქმედო კონსტიტუციის მე-14 მუხლის „ო“ პარაგრაფის თანახმად საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა თავისი სახელმწიფო მართველობის ორგანოების მეშვეობით აწესრიგებს მიწით, მისი წიალით, ტყით, წყლით სარგებლობის წესებსა და პირობებს.

საქართველოს ბუნების სამყარო და მისი ტე-

რიტორია ყოველთვის უღამაზესი და მომზინლავი იყო. ბუნებრივი თვითმყოფად რეგრესის სების მარაგითა და ხარისხის მხედველიმ რეგრესს პუბლიკა მთავალფეროვანი და მდიდარია. იგი უშრეტია მიწისქვეშა და ზედაპირული წყლებით, განსაკუთრებით კი მინერალური წყლებით, იშვიათი ბარისა და მაღალი მთის ტყეებით, ალპური ზონით, ტექნიკური კულტურებით, ფუნისა და ფლორის ენდემური სახეებით, კლიმატით და ბუნების საუნწყეთა სხვა სამკაულებით, რომლებსაც კარგი მოვლა-პატრონობა და სამართლებრივი დაცვა სჭირდება.

ადამიანის ხანგრძლივმა სამყურნო საქმიანობამ, მოსახლეობის მკვეთრმა ზრდამ და სტოქიურმა მოვლენებმა შეცვალა საქართველოს ბუნების პირვანდელი სახე. შემცირდა ადრინდელი შესანიშნავი ლანდშაფტების რიცხვი. გაღარბდა ბუნება ფლორისა და ფუნის წარმომადგენლებით. თანაც ზოგიერთი ძვირფასი სახეობა ბრაკონიერია მოქმედების შედეგად გადაშენდა კიდევ. საბუთისტიების გამოანგარიშებით ირკვევა, რომ ზოგიერთი ადამიანის ცული მოქმედების შედეგად დღესათვის ცხოველთა სამეფოდან მთლიანად გაქრა 110 სახეობა, აქედან ერთი მესამედი — მე-19 საუკუნეში, დანარჩენი კი — უკანასკნელი 50 წლის განმავლობაში. ალბათ ტყისადმი ადამიანის უდიერი დამოკიდებულების შედეგია, რომ ზოლო ხანებში ალანის, იორისა და ენგურის მდინარეთა რეგიმში მნიშვნელოვანად შეიძლება და მაქსიმალურად გაიზარდა მათი წყლის დონის ცვალებადობის ამპლიტუდა. დასახლებული მდინარეების აუზში ტყეების გაჩეხვას და მათი წყლის რეგიმის მოშლას ღვარცოფული მოვლენებით მოჰყვება და საქმე შეიძლება ძალზე ცუდი შედეგით დასრულდეს.

ზოლო ხანებში ჰენს რესპუბლიკაში დიდ ზიანს გვაყენებს მეწყერი. 1968 წელს წყალიდობისაგან მნიშვნელოვანად დაზიანდა ასპინძის, ახალციხისა და ბორჯომის რაიონები. მეწყერული მოვლენა რთული გეოლოგიური პრაქციისა, მას დიდი მეთვალურეობა სჭირდება. პირველადი მეწყერისაწინააღმდეგო ღონისძიებების მითითება და საბუთითო ზონების გამოყოფა დავალებული აქვს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ გეოლოგიის სამმართველოს კომპლექსური პიდროლოგიური და საინჟინერო-გეოლოგიური სადგურს. არსებული კანონის თანახმად, თუ დასახლებულმა სადგურმა არ დაასვენა, აყრბალულია მეწყერულ ზონებში რაიმე მშენებლობა, არხების გაყვანა, სახნავ-სათესი ფართობების დამუშავება და სხვ.

სწორედ ამ მიზანს ემსახურება სსრ კავშირში და საქართველოს სსრ-ში არსებული სახელმწიფო ნაყრბალები, რომელთა შემწეობით

ბდება ბუნების სიმდიდრის დაცვა-შენარჩუნება, მისი შემდგომი გამარჯვება, და ამდენად მას, უპირატესად დიდი სამეცნიერო და კულტურული მნიშვნელობა აქვს.

სახელმწიფო ნაყრბალებად ითვლება განსაკუთრებული სამეურნეო, ან კულტურული ღირებულების მქონე მიწის ნაკვეთები, წყლის სივრცეები, ტყის ფართობი, აგრეთვე იშვიათ (ძვირფასი) ცხოველთა და მცენარეთა სამყარო, რომელთა ბუნებრივი სიმდიდრე გამოიყენება სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების ჩასატარებლად და სახალხო მეურნეობის პრაქტიკული საქმიანობისათვის, ე. ი. ნაყრბალი ისეთ ადგილმდებარეობას ეწოდება, სადაც ურთოდენილია ქვეყნის (ან კუთხის) დამახასიათებელი ბუნების უცვლა ობიექტი — ფლორა, ფაუნა, წყალი, ნიადაგი, ბუნების ანუ ბუნებაში არსებული ცოცხალი და მკვდარი მგლები, აგრეთვე სახელმწიფო ნაყრბალთა ტყეები, რომლებიც იცავენ ნიადაგს გვალისაგან, ეროზიისაგან და უზრუნველყოფენ მდინარეების (ტბების) რეჟიმს.

სახელმწიფო ნაყრბალთა მოწყობა და ტერიტორიული გამოქვნი ბდება სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ან მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების დადგენილებით. ნაყრბალთა ტერიტორია, მასზე არსებული ბუნების მთელი ობიექტები შეადგენს ერთიან სახელმწიფო ფონდს, ხოლო ნაყრბალთა უფლებრივი რეჟიმი, როგორც სახელმწიფო საკუთრების ობიექტისა, შესაბამისი კანონმდებლობით რეგულირდება. თვითმული ნაყრბალის მფლობელობის, გამოყენებისა და განკარგულების რეგლამენტაცია სამართლებრივი ნორმებით დგინდება.

კაპიტალისტური ქვეყნებისაგან განსხვავებით, სადაც ნაყრბალთა უმრავლესობა წარმოადგენს ტერიტორიისათვის განუყოფელ ობიექტებს, საბჭოთა კავშირის ნაყრბალებში მიმდინარეობს მეტად ნაყოფიერი მუშაობა, მეცნიერული დაკვირვებები და ბუნებაში არსებულ რესურსთა გონივრული გამოყენება.

საბჭოთა ხელისუფლებამ მემკვიდრეობით მიიღო მღვანელები, შეუსრულელი და დაუმუშავებელი ბუნებრივი სამყარო, ძალზე განანაკლებული ტყის ფონდი, პრიმიტიულად მოწყობილი საბადოები. მეფის მთავრობა ქმედითი ღონისძიებებს არ ატარებდა ბუნებრივ სიმდიდრეთა დაცვა-დაცვა. მსხვილ მემამულეთა სულისკვეთება კერძო საკუთრების დაცვისაგან ისწრაფოდა და საერთო ინტერესებს განუ რჩებოდა.

ბუნების დაცვა სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის დიდი საქმეა. ჩვენი ხალხის ბუნებისადმი ისეყარული განუზომელია, დამოკიდებულება კეთილშობილური. ბუნების სილამაზისადმი ხარის მობლას მიეწერება ის მამარდველი ტრადიციული დღეები, რომელიც შეშობლებუ-

ლია ჩვენთან: „ტყის დღე“ — „შაბათობა“ და „ეზრდუვაილებს დღე“ უკვე მისხდულსაღელსასწავლო დღეებში „ხეცხეცხეცხეც“ განწყობილი ხალხი, განსაკუთრებით კი ახალგაზრდობა მზრუნველობას არ აკლებენ „ბუნების მწკნარე საფარს“, უმატებენ ახალ-ახალ ნარგავებს.

ნაყრბალთა მეურნეობის მოწყობა-განვითარებას ჩვენს ქვეყანაში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა და ეს კეთილშობილური საქმე ფართო მასშტაბით ვითარდება. 1958 წლის 1 იანვრისათვის საბჭოთა კავშირში 80-ზე მეტი სახელმწიფო ნაყრბალია, რომლის ფართობი 2 მილიონ ჰექტარს აღარბებს. აქედან 28 ნაყრბალი სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს ბუნების დაცვის, ნაყრბალებისა და სამონადირეო მეურნეობის მთავარ სამმართველოს გამგებლობაშია, 11 ნაყრბალი სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების მეცნიერებათა აკადემიების გამგებლობაში, დანარჩენი ნაყრბალები კი მოკავშირე რესპუბლიკათა სათანადო ორგანოების საუწყებოა.

სსრ კავშირში მრავალსახეობის, სხვადასხვა დანიშნულების მქონე სახელმწიფო ნაყრბალებსა და სამონადირეო (ნადირთა) მეურნეობებს ვხვდებით.

სახელმწიფო სამონადირეო, სატყეო-სამონადირეო და ნაყრბალთა სამონადირეო მეურნეობები სახელმწიფოებრივ საცდელ-საჩვენებელი და კომპლექსური წარმოებულ მეურნეობებია, დამყარებული მცენარეო-კვლევის საფუძვლებზე. ასეთ სპეციალიზებულ მეურნეობებს, როგორც წესი, სამონადირეო მასივებს შემოთფარავლენ იმ სახელმწიფო სატყეო ან კომეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების მომიჯნავე მიწის ფართობიდან, რომელთა ტერიტორიაზე აღმოჩნდება სამონადირეო სავარგულების ადგილები.

სამონადირეო მეურნეობა სახელმწიფო ნაყრბალის დაქვემდებარებული კომპლექსური სახეა და არა პირიქით. სახელმწიფო ნაყრბალის მიზანდასახულობაში მართლ ნადირთა არ სეღლის. თუმცა ნადირ-ფრინველის არსებობა ნაყრბალი ტერიტორიის მომიჯნის (შემოფარავლის) გარეშე შეუძლებელია. ნადირ-ფრინველი სახელმწიფო ნაყრბალთა მუდმივი მობინადრეა. ერთს მეორესთან თანაფარდობითი კავშირი აქვს. სახელმწიფო ნაყრბალი ნადირ-ფრინველთა გამრავლების რეზერვატია, საიდანაც გამოდიან სანადირო ცხოველები, რომლებიც შემდეგში ერეკულებიან სანადირო სავარგულებში. შემთხვევით არ არის, როცა საქართველოს სსრ რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოსთან ერთობლივად სპეცმნილია ნაყრბალთა და სამონადირეო მეურნეობის სამმართველო, რომლის კომპეტენციას შედის, როგორც სახელმ-

წიფი ნაქაძალა, ასევე სამონადირეო მეურნეობის მართვა-გამეგეობა.

როგორც სამონადირეო აღკვეთილებში, ისე ბაწირალ სანადირო მეურნეობებში დაცულ უნდა იქნეს კანონით გათვალისწინებული წესი და პირობები. სახელმწიფო სამონადირეო მეურნეობის უპირველესი ამოცანაა: სწორად და რაციონალურად, საზოგადოების მატერიალური კეთილდღეობის გადიდების მიზნით გამოიყენოს სამონადირეო სავარგულები, რაც მდგომარეობის სასარგებლო ნადირ-ფრინველის მოშენების, ვამრავლების, დაცვისა და აღწარმოების მოწინავე მეთოდურა მეთოდების გამოყენებაში.

პირველ, სამონადირეო მეურნეობის წარმოება და თვით ნადირობა ამავე დროს შთაბრძნისა და ბუნების მეცნიერების იმ უტყუარ მეთოდს წარმოადგენს, რომელიც საბოლოოდ მკაფიო გამოხატულებას პოულობს ბუნებისადმი მოვლა-პატრონობისა და მისი უფლებრივი დაცვის საქმეში. ნადირობა, პირველ რიგში, ბუნების დაცვას, მისი სიმდიდრის გამოყენებას უნდა უწყობდეს ზელს და არა მის განადგურებას. სამონადირეო ბუნების მცველი და ქომავალი.

წვენი რესპუბლიკის ზოგიერთ რაიონში არ იყვენ ნადირ-ფრინველთა მოშენების (მომრავლების) ყველა პირობას, რის გამოც მცირდება ტყის ფართობები და, მასთან ერთად, ნადირ-ფრინველის რაოდენობა. ჟერ კიდევ დიდია ბრაკონიერობის შემთხვევები. მარტო 1968 წელს გამოვლინებულ იქნა 1083 ბრაკონიერი. საქართველოში სატყეო მეურნეობებზე მიწერილი სანადირო სავარგულები რამდენიმე ათას ჰექტარზე მერ ტერიტორიას მოიცავს, რაც თავის მხრივ საუკეთესო გავრცეატა სანადირო ცხოველ-ფრინველთა რესპუბლიკისათვის. ოღონდ ამას ხელს შეწყობა და სამართლებრივი დაცვა სჭირდება.

ინტერესს მოკლებული არ იქნება ჟერ დეახასიათოთ საქართველოს სსრ სახელმწიფო ნაქრძალები, მათი ადგილმდებარეობის მოკლე აღნიშვნით და სამეურნეო-საწარმოო დანიშნულებით, და შემდეგ გადვიდეთ ნაქრძალობა უფლებრივი მდგომარეობის განსაზღვრაზე და მათი სკანონმდებლო წესით დაცვის საკითხებზე.

ამჟამად საქართველოს სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკაში 14 ნაქრძალობა, რომლებსაც უკავიათ 86 ათასი ჰექტარი მიწის ფართობი. შევხვით ზოგიერთ მათგანს.

ლაგოლების სახელმწიფო კომპლექსური ნაქრძალობა

ნაქრძალობის დაარსების ისტორია 1911-12 წლებიდან იწყება. საბჭოთა ხელისუფლების

დამყარების შემდეგ საქართველოს სსრ სახელმწიფოს 1922 წლის დადგენილებით ნაქრძალობა შესაძინეად გაფართოვდა, ხოლო 1935 წლის ნოემბრის რეორგანიზებულ იქნა და იგი სრულ კომპლექსურ ნაქრძალობა გამოცხადდა.

1951 წელს საქართველოში ზოგი ნაქრძალობა გაუქმდა და მათი მაშინდელ სატყეო მეურნეობის რესპუბლიკურ სამინისტროს გადაეცა, როგორც განსაკუთრებულა მნიშვნელობის ტყეები. დარჩა მხოლოდ ერთადერთი — ლაგოლების კომპლექსური სახელმწიფო ნაქრძალობის სატყეო მასივით, რომელიც უშუალოდ ექვემდებარება სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულ ნაქრძალობის მთავარ სამმართველოს.

ლაგოლების სახელმწიფო ნაქრძალობა ერთი უწყველსთავანია საქართველოს სსრ ნაქრძალობის. მას 13000 ჰექტარი ფართობი უკავია. ნაქრძალობის ტერიტორია შემოიფარგლება კავკასიონის სამხრეთ-აღმოსავლეთის ფერდობებში, ალაზნის დაბლობიდან დაღესტნის საზღვრამდე. ბუნების ნაქრძალობის ფერდობები და ზეგნები ალბური მდელოების ზღაპრული „ხალჩიებით“ დაუფარავს. რელიეფური და ნახაღ არის გავლებული ცამდის ატორცინალი მწვანე მთების უცნაური ხაზები. თანაც ჰერის ლავარდული გამჟვრავლება ნაქრძალობის მიდამოს აქლეს ჟადოსნურ სინატიფეს.

ლაგოლების სახელმწიფო ნაქრძალობა ლანდშაფტურად იმდენად რთული კომპლექსური შერწყმაა, რომ ერთდულ ფართობზე ასეთი მოზაიკა საქართველოს არცერთ კუთხეში არ გვხვდება. იგი საქართველოს მცენარეული სამყაროს თითქმის ყველა ზონას მოიცავს, ამიტომ ცხოველთა სამყაროც შედარებით სრულყოფილად არის წარმოდგენილი და ზონების მიხედვით განლაგებული.

ნაქრძალობა თავმოყრილია საქართველოში გავრცელებულ მცენარეთა სახეობების თითქმის ორი მესამედი, მთის ტყეებისა და საბოყრებისათვის დამახასიათებელი ფუნა. ტყეები აქ წარმოდგენილია მხოლოდ ფართოფოთლიანი ჟიშებით. ყველაზე გავრცელებული ტყის ჟიში კავკასიური რცხილაა. ნაქრძალობის ტყეებს დიდი მნიშვნელობა აქვს წულისა და ნიდავის დაცვისათვის.

ნაქრძალობა ძველთაგანვე გაითქვა სახელი ფუნის წარმომადგენლების სიმრავლით; კავკასიური ჟიხვი, არწვი, კეთილშობილი ირემი, ეკრობის შველი, გარეული ლორი, კერნა, მერა დათვი, მგელი, მელა, ტყის კატა, ფოცხვერი, მარჯი და ა. შ. ნაქრძალობა აღრიცხულია 37 სახის სხვადასხვა ძველმწიფეობა ცხოველი და 90-დ სახის ფრინველი. განსაკუთრებით, შეინიშნება როტოსა და გარეული ინდურის ანუ შერთბის დიდი რაოდენობა.

ნაქრძალობა ბუნების იშვიათი და მდადარი

1 ვან. „კომუნისტი“ 1969 წ. 10 ივლისი. 8. „მნათობი“, № 3.

ძველია, მისი მიზანია არსებული ბუნების რესურსთა დაცვა სამეურნეო ჩასაითის ზეგავლენისაგან და მასზე სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების წარმოება. ნაყრძალი ამასთანავე საბუნებისმეტყველო¹ დარგის კვლევის ბუნებრივ ლაბორატორიაა, რომლის სრულყოფილად შესწავლაში გარკვეული წვლილი შეაქვთ როგორც ჩვენს რესპუბლიკას, ისე მოკავშირე რესპუბლიკებს საკვლევ-სამეცნიერო დაწესებულებებიდან მოვლინებულ მეცნიერ მეშაეებს. ნაყრძალს აქვს თავიანი მუზეუმი, სადაც თავმოყრილია ფლორისა და ფაუნის თიფქმის ყველა ექსპონატი. ნაყრძალს მეტად დიდი სამეცნიერო, ესთეტიკური და სამეურნეო მნიშვნელობა აქვს.

ვაშლოვანის სახელმწიფო კომპლექსური ნაყრძალი

ნაყრძალი მდებარეობს შირაქის ზეგანზე, წითელწყაროს რაიონში, რომელიც ნათელი ტყის მასივით ხაზითდება. ნაყრძალი დაარსებულია 1935 წელს. მისი ფართობი მაშინ 5952 ჰექტარს უდრიდა. 1969 წელს ვაშლოვანის სახელმწიფო ნაყრძალს გადაეცა (შეუერთდა) ახმეტის რაიონის ბაქარის და ბაბანურის სახელმწიფო ნაყრძალები 402 ჰექტარი მიწის ფართობით და ამჟამად ნაყრძალს 10000 ჰექტარი უკავია.

ვაშლოვანის სახელმწიფო ნაყრძალი თავისი მკვნიარეული საფარით ერთ-ერთი უნიკალური ნაყრძალთაგანია მთელს მსოფლიოში. ნაყრძალი ცნობილია რელიქტი ჭიშებიტ, რომელიც ძირითადად კვეთს ხისა და ლეიბნისაგან შედგება. აქ მოხიზნადრე საკმლის ზე, რომელიც მექანიკური თვისებებით მეტად ძვირფასია, კარგად იტანს გვალვასა და შლაზე ნიადაგს.

ნაყრძალის მეცნიერმა მეშაეებმა გულმოდგინედ შესწავლეს მკვნიარეულობის სეზონური დინამიკა და მათი როლი სანადირო-სარეწეო ცხოველთა კვებაში, რის გამოც ამჟამად მომარაგდა ფაუნა: გარეული ღორი, შველა, კურდღელი, კაჯახი და სხვა ნადირ-ფრინველთა სახეები. ნაყრძალის ტერიტორიაზე აღრიცხულია ქვეწარმავალთა 11 სახეობა.

შესამჩნევად იხატა ისეთმა რელიქტებმა და ენდემურმა ჭიშებმა (უბოხვარი — 400 ჰექტარზე, ძელქვა — 2 ჰექტარზე), რომლებსაც დიდი მნიშვნელობა ენიჭება ბოიტენიურის ლინისიებების კომპლექსის გატარების საქმეში. იგი ბუნების იშვიათი და უძვირფასესი ძველია. პანკისის ხეობაში მცხოვრები ჭისტები და ფშვლები უბოხვარს წმინდან ზეს უწოდებდნენ და მშენებლობისათვის საშენ მასალად არ ხმარობდნენ. აღმათ ამნაყ შეუწყო ზელი უბოხვარის ტყის გადარჩენას.

ამრიგად, ვაშლოვანის სახელმწიფო კომპლექსური ნაყრძალი საქართველს მრავალფეროვანი ბუნების შესანიშნავი მუზეუმი უწყობს მისიზანია აღრე გავრცელებული და ამჟამად უკიდურესად შემცირებული ნათელი ტყის ნიმუშების დაცვა-შემონახვა, ფლორისა და ფაუნის დამახასიათებელ წარმომადგენელთა ნოვლა-პატრონობა.

სახელმწიფო ნაყრძალს, როგორც ეს არაერთხელ აღენიშნეთ, სათუთი მოვლა და მკაცრი დაცვა სჭირდება, საწვეხარობა. ვაშლოვანის სახელმწიფო ნაყრძალის ირგვლივ მდებარე ლანდშაფტის სახეობანი ზოგჯერ უვუერტი გამოყენებით ერთგვარად იცვლება. განსაკუთრებით ალაზნისა და იორის ნაპირებზე არსებულ ფაუნის სახეობათა მარაგისა და ნიადაგ-დამცველ ტყის ზოლის ოდენობა უსიტემო გამოყენების შედეგად შესამჩნევად მკორდება. ამის ნაცვლად, რომ დასახელებულ მიდამოებში გარეულ ფრინველზე ნადირობა და ნარგავის ჭრა საერთოდ აკრძალოს, პირქიით, ზოგჯერ მათ უდიერად ეპყრობიან.

ბორჯომის სახელმწიფო კომპლექსური ნაყრძალი

რველტყიაამდე ბორჯომის მნიშვნელოვანი ტერიტორია და ის ადგარი და მიდამო, რომელიც ახლანდელ ნაყრძალს უკავია, კარგაზანს რქუეთის მთების მიხეილ რომანიოვის კერძო მფლობელობაში იმყოფებოდა. ეს ადგილები მეფის გვარეულობის დასვენება-გართობისა და სანადირო მურერნეობის მოსაწყობად გამოიყენებოდა.

საქართველოში საბჭოთა ზელისფლების დამყარებისთანავე გაუქმდა კერძო საკუთრება ბორჯომის ბუნებას ამ „მწვანე საფარზე“, საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს 1929 წ. 17 იელისის დადგენილებით ჩამოყალიბდა ბორჯომის სახელმწიფო ნაყრძალი, რომლის ფართობი მაშინ 13600 ჰექტარს აღწევდა. 1960 წლადან ნაყრძალს ირგვლივ მისაზღვრე სატყეო მურერნეობიდან მნიშვნელოვანი ტერიტორია დაემატა და ამჟამად მას 18082 ჰექტარი უკავია.

ნაყრძალი მდებარეობს ბორჯომის რაიონში, მდ. შტყრის მარცხნივ, სადაც ყველაზე მეტად გავრცელებულია ფიჭვის კორომები, რომლებიც რკით დაფარული ფართობის 40,7 პროცენტს შეადგენს. ნაძვისა — 27,8 პროცენტს, წიფლისა — 16,8 პროცენტს და მეხნარების ფართობი — 10,3 პროცენტს.1

ნაყრძალში დიდი სამეცნიერო და სამეურ-

1 იხ. ე. მამისაშვილი, საქართველოს ნაყრძალები, 1967 წ. გვ. 44.

ნეო ხასიათის ღონისძიებები ტარდება, ქართული მეცნიერები აწარმოებდნენ ბუნების წელთაღრიცხვას და ფეოლოგიურ ხასიათის დაკვირვებებს ტყის ცალკეულ ჯიშებზე. ბორჯომის ნაყრბალთა ტყის მასივს დიდი მნიშვნელობა აქვს როგორც ნიადაგდაცვითი, წყალშენებითი და საერთოტო მნიშვნელობის თვალსაზრისით, რომელიც გარკვეულ გავლენას ახდენს რაიონის კლიმატის რეგულირებაზე, ასევე წყლებისა და მინერალური წყაროების დებიტისათვის.

ნაყრბალში ბინადრობენ როგორც უხერხემლო, ასევე ხერხემლიანი ცხოველები. მათ შორის აღსანიშნავია კაკეასის კეთილშობილი ირემი, ევროპული შველი, კაკეასის არჩვი, შურა დათვი, მგელი, მელა, ფოცხვერი, ციკვი და სხვ. ნაყრბალს განსაკუთრებით შეგუებული ადრე აკლიმატიზირებული აღმოსავლეთ კავკასიური ჭიხვი და ირემლადი.¹

ბორჯომის სახელმწიფო ნაყრბალის ტერიტორია მდიდარია მატერიალური კულტურის ძეგლებით. სოფელ ქვაბისხევის მიდამოებში შემონახულია 8-10 საუკუნეებში აშენებული ციხეები, მონასტრები და მრავალი კოშკები. ამ ძეგლების დაცვა და მის შესწავლას დიდი მნიშვნელობა აქვს ქართული ერის გმირული წარსულის გაცნობისათვის.

საგურამოს სახელმწიფო კომპლექსური ნაყრბალი

საგურამოს ხავერდოვანი მთა-ველი თავისთავად კომპლექსური სანაყრბალო ობიექტია. იგი გამოირჩევა ბუნებრივი მცაროკლიმატის ორიგინალობითა და მერქნიანი მცენარეულობის მრავალფეროვნებით. მართალია, მდიდარმა ფლორამ და თავისებურებებმა ამ მრავალი გამოჩენილი მკვლევარის ყურადღება მიიპყრო, მაგრამ ნაყრბალის ფაუნა ჩვენი საუკუნის 60-იან წლებში მანც შეუსწავლელი რჩებოდა. მხოლოდ 1959 წლიდან იწყება ამ მდიდარი ფაუნის საფუძვლადი შესწავლა.

ნაყრბალს დაარსდა 1948 წელს. მისი ფართობი 5083 ჰექტარს აღწევს. მთელი ტერიტორია დაფარულია ფოთლოვანი ტყით, ბალახეული საფარი კი წარმოდგენილია ველების ასოციაციებით, რომლებიც საუცხოოდ არეგულირებს თბილისის კლიმატს.

ნაყრბალს ტყის მასივებში ყველაზე ვაბატონებულ ჯიშებს მიეკუთვნება: წიფლა, მუხა, რცხილა, ნეკერჩხალი, პანტა და სხვ. საგურამოს სახელმწიფო ნაყრბალი, სადაც თავმოყრილია უნიკალური მცენარეები და ნადირ-ფრინველი. მეტად საინტერესო ობიექტს წარმოადგენს

ფლორისა და ფაუნის თვალსაზრისით. ამგვაროს ნაყრბალს დიდი წყალშენებითი მნიშვნელობა აქვს. ცხოველებიდან ნაყრბალში საერთოდ არ არის შველი, ირემი, მცირე ოდენობით გვხვდება დათვი, მელა, ტყის კატა, ტურა და სხვა მტაცებელი ცხოველები. სანადირო ფრინველთა შორის აღსანიშნავია: ქართული ხობობი, ჩხივი, კაკევი და კოდალა.

ფლორისა და ფაუნის გარდა საგურამოს სახელმწიფო ნაყრბალი ინტერიული და კულტურის ძეგლებითაც ცნობილია (მაგ., ზედაზნის მთაზე ციხე-სიმაგრე, ველისი და სხვ.)

კინტრიშის სახელმწიფო ნაყრბალი

ნაყრბალი მდებარეობს აჭარის ასსრ ქობულეთის რაიონში. იგი 1960 წელს დაარსდა. მისი ტერიტორია 7000 ჰექტარს შეადგენს და ოთხივე მხარე ღია აქვს. სიმაღლე ზღვის დონიდან 500-დან 2000 მეტრამდე აღწევს.

კინტრიშის სახელმწიფო ნაყრბალი მცენარეთა ნამდვილი კომპლექსური ნაყრბალია, სადაც მცენარეთა 1600-მდე სახეობაა გავრცელებული. ეს მასინ, როცა მთელ საქართველოში 4200-მდე სახეობასა და სახის მცენარეს ითვლიან.

ნაყრბალი განთქმულია ძვირფასი ფლორითა და ფაუნით. აქ მოიპოვება ეგზოტიკური მცენარეებიც: არაუკარია, ქონის ხე, კობის მუხა და სხვა მარადმწვანე ბუჩქნარები. ნაყრბალში პონტოს მუხისა და ნეკერჩხლებს გარდა კარგად ხარობს მდღევადეის არყები და უთხოვრები. ეს ჯიშები უმთავრესად ალპურ ზონაში გვხვდება. აქ განსაკუთრებით იცავენ ამ ძვირფას ენდემურ მცენარეებს, როგორც ბუნების იშვიათ ძეგლებს. ამ მცენარეებს დიდი წყალშენებითი და ნიადაგდაცვითი მნიშვნელობა აქვს.

კინტრიშის სახელმწიფო ნაყრბალში გავრცელებულია დასავლეთ საქართველოს ტყეებისათვის დამახასიათებელი ჭებუწიფოვარი ცხოველები: შველი, არჩვი, დათვი, მელა, მახვი, ტყის კატა, ციკვი და სხვ. ნაყრბალში მოიპოვება როყო, შურთხი, ტყის ქათამი და სხვა სახის ფრინველი. ხოლო მის ტერიტორიაზე, არსებულ მდინარეებში ბევრია კალმახი. აქ დასულა აქვთ ცხოველთა და ფრინველთა ფიტულები.

აჭაზეთის სახელმწიფო ნაყრბალი

თვალწარმატე და მომხიბლავია ზეკარისა და წაბლნარას გრანდიოზული ხეობები, ცამდე აწედილი ასწლოვანი ხეები, მთის ლაღი და ბობოქარი მღინარეები, ჩანჩქერები, რასაც უფრო

¹ იჭვე.

ელეგანტურს ხდის ამ ეთხის ფუნქსიონალური მშენებლობა. ხეობაში არ არის ისეთი ადგილი, რომელსაც თავისი სახელი არ ერქვას. ყოველი სახელწოდება კი რაღაც მოვლენასთან არის დაკავშირებული და თავის ისტორია აქვს.

ამ ამ მდებარეობით ხასიათდება აქამეთის სახელმწიფო ნაქრძალი. იგი მდებარეობს ქუთაისიდან 15 კილომეტრის დაშორებით — მთავრისკის რაიონში. დაარსებულია 1945 წელს. მისი ფართობი 4848 ჰექტარს უდრის.

ნაქრძალის მიზანია ტყის ძვირფასი ჯიშის — იმერეთის მუხის, იმეთათი მსიღვისა და რელიქტური ჯიშის კავასთური ძელვის დაცვა-შენახვა. ალბერ ზონაში 32 ჰექტარზე დაითესა მან. ჯურთული კაკალი, რომელიც ამჟამად ნარჩუნდება აღორძინებით ხასიათდება.

აქამეთის სახელმწიფო ნაქრძალი საქართველოს მრავალფეროვანი ბუნების უნიკალური ძეგლია. იმერეთის მუხა მარტო დასავლეთ საქართველოშია შემონახული, მისი ყველაზე დიდი მასივი აქამეთშია შემორჩენილი. აქამეთისა და ვარციხის ფრაგმენტები სახელგანთქმულია მთელს რესპუბლიკაში.

ხანისწყალში, საყრალაში, წაბლარასწყალსა და კორისწყალში, აგრეთვე ნაქრძალში არსებულ ნაყადღებში უხეად შიშობევა თევზის ძვირფასი ჯიშები. ხანისის კახალის ნაგებობას არ გააჩნია თევზის ასაქცევი გზა, რაც მნიშვნელოვნად უშლის ხელს მის გამრავლებას.

ნაქრძალში შესამჩნევად მომრავლა ვარჯული სასარგებლო ცხოველი: ირემი, არჩვი, შველი, კვერნა და სხვ.

ნაქრძალს დიდი სამეცნიერო და ესთეტიკური მნიშვნელობა აქვს.

სათაფლიის სახელმწიფო ნაქრძალი

უკანასკნელ ხანებში საბჭოთა კავშირში ფართო მასშტაბით დაიწყო განვითარება სპელეოლოგია — მღვიმეთა შემსწავლელმა მეცნიერებამ. საქართველოს სსრ-ში ცალკე დარგად გამოყოფილი სპელეოლოგია — ბელოგურ გამოქვაბულთა შემსწავლელი მეცნიერება, რომელიც სწავლობს მღვიმის შემცველ მიღობებს, დაწყებული ლობის ქედიდან — მდინარე ფსოვმდგისივ ირკვევა, რომ საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე არსებულ მღვიმეთა შესახებ პირველი ცნობები 1268 წელს კი არ ეკუთვნის (გ. მაქსიმოვიჩის წერილის მიხედვით). არამედ XI საუკუნის მეორე ნახევარს, კერძოდ, გამოჩენილ ქართველ მოღვაწეს ეფრემ მციერეს.¹

სათაფლიის ნაქრძალი მდებარეობს წყალტუ-

ბოს რაიონში მთა სათაფლიაზე და ცნობილია დიდი მნიშვნელოვანი ძეგლად. მისი მნიშვნელოვანი აღიარება ჰპოვა. ნაქრძალში მდებარეობს თაფლის ბუნებრივი მდებარეობითა და სიღამაზით განთქმულია კარსტული გამოქვაბულით (მღვიმეებით), რომლის სიგრძე 600 მეტრია, სიგანე — 5-20 მეტრი, ზოლო სიმაღლე 5-15 მეტრამდე.

გამოქვაბული შესანიშნავია თავისი ბუნებრივი დარბაზებით, სტალაქტიტებითა და სტალაგმიტებით, ე. ი. სათაფლიის სტალაქტოვანი გამოქვაბულის დარბაზების, ყელევის, სვეტებისა და აგრეთვე გასასვლელის სიღამაზითა და მანახველი საუცხოო არქიტექტურულ შთაბეჭდილებას ახდენს. მღვიმეს წლის ყოველ დროს საშობოთა და უცხოელ ტურისტთა დიდძალი მნახველი ჰყავს.

ნაქრძალი ჩამოყალიბდა 1935 წელს. მისი ტერიტორიის ფართობი 341 ჰექტარზე მეტია. ნაქრძალი კომპლექსური ხასიათისაა და შეიცავს გეოლოგიური, პალეონტოლოგიური, სპელეოლოგიური და ბოტანიკური ხასიათის ძეგლებს. ნაქრძალის რელიეფი შთაგორიანია, ფართობის დიდი ნაწილი დაფარულია მრავალი მეტრისანი ჯიშის კოლხეთის ტიპის შერეული ტყით.

ნაქრძალი, ისტორიული მნიშვნელობის ბუნების სხვა ძეგლთან ერთად, ამ რაიონის ფლორისა და ფუნქსიონალური ექსპლუატაცია. წინათ ნაქრძალის ტერიტორიაზე არსებული ტყის მასივი არ იყო დაცული და, უსიძვემო ტყის შედეგად, ვადამუნების პირას იყო მისული. სათანადო ზომების მიღების შემდეგ მდგომარეობა გამოსწორებულია.

მეცნიერებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე ნაქრძალში არსებული ჩამქრალი ვულკანის კრატერს, რომელიც ბაზალტის ლავისა და ლოდებიდან 300 მეტრის დაშორებით მდებარეობს. ნაქრძალის დიდმნიშვნელოვანი და ღირსშესანიშნავი ძეგლია დინოზავრთა იშვიათი ნაკვალევი, რომელსაც დიდი მეცნიერული მნიშვნელობა აქვს. ნაქრძალში ტარდება ფლორისა და ფუნქსიონალური ინვენტარიზაცია, ფეოლოგიური დაკვირვებები და სხვა ბიოტექნიკური ღონისძიებები.

კოლხეთის სახელმწიფო ნაქრძალი

ვრანდიოზული მუშაობა განხორციელდა და ამჟამად ტარდება კოლხეთის დაბლობების დაქობებულ ადგილების ამოშრობისათვის. ათეული ათასობით ჰექტარ კოლხეთის ამოშრობილ მიწაზე გაშენდა ძვირფასი სუბტროპიკული და ტექნიკური კულტურები.

კოლხეთის ათვისებასთან და სახელმწიფო მნიშვნელობის სამელიორაციო მუშაობის ჩატარებასთან დაკავშირებით, არსებითად შეიც-

¹ თ. კიკნაძე, მღვიმეები, იბ. ჟურ. „საქართველო ბუნება“, № 4, 1969 წ., გვ. 12.

ვალა ბუნებრივი პირობები. აქ 561 ჰექტარი დაჰოხებული ტყე დატოვებულია ნაყრძალად, როგორც მუხუღში.

ნაყრძალი დაარსებულია 1946 წელს. იგი შავი ზღვის სანაპიროზე, ქ. ფოთის მიდამოებში მდებარეობს და კოლხეთის ერთ-ერთა დაბლობის მონაკვეთი უკავია, რომლის ტერიტორიაა 561 ჰექტარ მიწის ფართობს აღწევს.

კოლხეთის სახელმწიფო ნაყრძალის ძირითადი მიზანია კოლხეთის დაბლობებისათვის ტიპური ფლორისა და ფუნის ბუნებრივი პირობებით, მთლიანი კომპლექსის შემონახვა და ყოველწლივ დაცვა ბოსაც დიდი სამეცნიეროსაველენი და ისტორიული მნიშვნელობა აქვს.

ნაყრძალი სატყვევოდ განთქმულია კოლხური ხობობით. ეს ჯიში პირველად ხმელთაშუა ზღვის რაიონში გაერცელდა. აქედან კი სხვადასხვა არხებით ჯერ ევროპაში, ხოლო შემდეგ ამერიკაშიც შეაღწა.

ბიჭვინთის ფიჭვის ნაყრძალი

ეს ნაყრძალი არც თუ ისე დიდია, მისი ფართობი 347,7 ჰექტარს უდრის. იგი მდებარეობს აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკის ვაგრის რაიონში, შავი ზღვის სანაპიროდან 7 კილომეტრის დაშორებით. ნაყრძალის 267,1 ჰექტარი ტყის მასივით არის დაფარული, ხოლო 45,5 ჰექტარი პლავს უკავია. ეს ნაყრძალი, რომელიც 1926 წელს ჩამოყალიბდა, ბუნების ერთ-ერთ ძვირფას ძეგლს წარმოადგენს.

ბიჭვინთის ნაყრძალი მსოფლიო მნიშვნელობის უნიკალური ადგილაა, სადაც ფიჭვის რელიქტიური სახეობა ვაყის პირობებში საუცხოო შედეგებს იძლევა, თანაც თავისი ფლორის ხასიათით მკვეთრად განსხვავდება კავკასიის მცენარეულობის სხვა დაჯგუფებისაგან.

ნაყრძალი ფლორისტულია. მასში მცენარეულობა წარმოდგენილია ზღვის სანაპირო 3 საფეხურით: 1). მსამოფილური ბალახეული და ბუჩქოვანი მცენარეები; 2). ფიჭვის ტყე, რომელსაც დიდი ადგილი უკავია და 3). შერეული ფართოფოთლოვანი ტყე¹.

ნაყრძალში არსებული ტყის მასივი ყირიმ-კავკასიის ფლორის უკანასკნელ ნარჩენად ითვლება. გარდა იმისა, რომ მოცემული ნაყრძალი ბუნების იშვიათი ძეგლია, მას დიდი სამეცნიერო, ესთეტიკური და კერძოტოლოგიური მნიშვნელობაც აქვს.

აქ ვხვდებით ტყის მკვლაველ ფრინველს. ამ მხრივ საყურადღებოა კოლხეთის ხობობი, გარეულ ცხოველებიდან დამახასიათებელია კერძოტოლო, ციყვი და სხვ.

¹ ქ. შამისაშვილი, „საქართველოს ნაყრძალები“, 1967 წ. გვ. 27.

ბიჭვინთის ნაყრძალს გამოეყო და ცალკეა აღდგენილი მისუტრას ნაყრძალზე¹ გუდალუტის რაიონში. როგორც ბიჭვინთის, ისევე მისუტრას ნაყრძალთა მიზანია ბუნების ამ უძვირფასეს კუთხეში მცენარეულობის დაცვა-შენარჩუნება, გამოკვლევა-შეასწავლა და გამრავლება. ეს ნაყრძალები ნიადაგდაცვითი მნიშვნელობითაც საყურადღებოა.

ამჟამად ნაყრძალებში, ფლორისა და ფაუნის მომრავლების მიზნით, მიმდინარეობს ფუნოლოგიური დაკვირვებები, ბუნების წესდარჩენა და სხვა ბიოტექნიკური ღონისძიებები.

რიწის სახელმწიფო ნაყრძალი

რიწის სახელმწიფო ნაყრძალი კომპლექსური ნაყრძალთა ჯგუფს მიეკუთვნება. იგი მდებარეობს გუდალუტის რაიონის ტერიტორიაზე და კერძოტოლო ვაგრიდან დაშორებულია 60 კილომეტრით. ნაყრძალი მოთავსებულია მთავარი კავკასიონის ქედის სამხრეთის განშტოებით და ტბა „რიწის“ ირგვლივ შემოიფარგლება. იგი ხასიათდება მკაფიო მთებით, ამოტლილი ნაძვეებით და მზის უნიკალური ტყის მასივით.

რიწის ნაყრძალი, რომელიც 1957 წლიდან ჩამოყალიბდა, მიზნად ისახავს შავი ზღვის სანაპირო ლანდშაფტების კომპლექსთა დაცვასა და გაუმჯობესებას. ნაყრძალი საბუნებისმეტყველო ბარაკების სამეცნიერო-კვლევის საუკეთესო დაწესებულება ლაბორატორიაა. ფლორისა და ფუნის მომრავლების მიზნით ნაყრძალს დიდი მნიშვნელობა აქვს ნიადაგისა და წყლის რეჟიმის დაცვაში.

ნაყრძალის ტერიტორიაზე მრავალი ცივი მდინარეები და ნაყადულებია, ხოლო ტბა „რიწა“ თავისი სიღამაშით მსახველზე დიდ შთაბეჭდილებას ტოვებს. რიწის ტბის ვარჯა მუყურულ მოკლენასთან არის დაკავშირებული. აქ მთის უზარმაზარი ნაწილის დამყურვის შედეგად დაეუბდა მდინარე ლაშაშიც, რითაც დროთა მსვლელობაში უზარმაზარი წყალსაცავი გაჩნდა. ტბა ზღვის დონიდან 1350 მეტრზე მდებარეობს და სახელგანთქმულია კალმახით. ნაყრძალის ალბერ და სუბალბერ ზონაში ბინადრობენ კავკასიური შერობი და როტო. მცირე ოდენობით ირემი, შველი, არჩვი, გარეული ღორი, მარვი და კერძოტოლო.

ფიჭვილი სახელმწიფო კომპლექსური ნაყრძალი იურიდიული პირის უფლებამოსილებით სარგებლობს. იმყოფება საკავშირო ან მოკავშირე რესპუბლიკის ბიუჯეტზე. აქვს უფლება-ურთიერთობის განმსაზღვრავი დებულება და ამ საფუძველზე შედგენილი შინაგანწესი, თავისი ბეჭედი, რომელზეც გამოსახულია მოკავშირე რესპუბლიკის სახელმწიფო გერბი

და აღნიშნულა ნაყრძალის სახელწოდება. სა-
ნაყრძალო მეურნეობა მონაწილეობს სამოქალაქო
ბრუნებაში, გვემაზომიერად აბორცე-
ვლებს დაქირებულ მიწებსა და ამოცანებს.

სახელმწიფო ნაყრძალი თავისთავად ჩვენი
ქვეყნის ბუნების რესურსთა განსაკუთრებული
რეზერვატია, ბუნებრივი ლანდშაფტების, რო-
გორც „ეტალონის“ შენახვა-დაცვის არსნალი
და სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის უდი-
დესი ვანძი. მაგრამ ნაყრძალთა მოვლა-პატ-
რონობა და მათი საკანონმდებლო წესით დაცვა
მთავარი და უმძრველესი ამოცანაა.

ბუნების რომელიმე რესურსის (ობიექტის)
გადამარბებულმა სარგებლობამ შესაძლოა სა-
ბოლოოდ საქართველოს ბუნების თანაწრო-
ბის დარღვევამდე მიგვიყვანოს. ჩვენი რესპუბ-
ლიკის ტყეების მოსპობას თან მოჰყვება ბუნე-
ბის მანვე მოღლეების — ნიაღვრების, ქარიშხ-
ლების, მძიმე სიციხეების და მკაცრი ყინვების
სიხშირე. სამწუხაროდ, ბუნებაში წონასწორო-
ბის კანონის დარღვევას გვიან ვივებთ, — ვი-
გებთ მაშინ, როცა ტრავიკულ შედეგს ვხედავთ.

მოქმედი კანონმდებლობა ნაყრძალების თუ
სამონადირეო სავარგულების შესახებ, არა
მარტო მათს ჩამოყალიბების წესებსა და პი-
რობებს ითვალისწინებს, ანდა მარტო სანაყრძა-
ლო მეურნეობათა ურთიერთობის სამართლებ-
რივ რეგულირებას (რეგლამენტაციას) ახდენა,
ამავე დროს იგი პასუხისმგებლობის სანქციებ-
საც ითვალისწინებს.

როგორც ცნობილია, სახელმწიფო ნაყრძალთა
დაცვის კანონმდებლობით ზიანის მიყენებულთა
და წესების დამრღვევ პირთა მიმართ (დარღვე-
ვის ზაიათის მიხედვით) გამოყენება აღმინის-
ტრაციული სამოქალაქო (ქონებრივი) და სისხ-
ლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა.

აღმინისტრაციული სამართლებრივი პასუ-
ხისმგებლობა, როგორც აბაქონებრივი (პრო-
ფილაქტიკური) პასუხისმგებლობა დგება მაშინ,
როდესაც პიროვნების ქმედობა ნაყრძალთა მი-
მართ შემთხვევითია, ანგარება არ უღვეს
საფუძვლად და ეს მოქმედება არ შეიცავს და-
ნაშეთის ნიშნებს. როცა მოქალაქე არ იცავს
ნაყრძალთა რეგულირებისათვის დადგენილ წე-
სებს, არღვევს (არა უხეშად) კანონით გათვალ-
ისწინებულ ნორმებს ან გულგრილად ეკიდება
თავის მოვალეობას და ასეთ უანგარო დარღვე-
ვის შედეგად ზიანი (ზარალი) ძალზე მცირეა,
მისთვის ეს პირველი შემთხვევაა — პასუხს
აღმინისტრაციული სამართლებრივი წესით
ავებს.

სამოქალაქო (მატერიალური) პასუხისმგებ-
ლობა შეიძლება დადგეს მაშინ, როცა ნაყრ-
ძალთა დაცვისათვის დადგენილი წესის დამრღ-
ვევმა პირმა ზიანი მიადუნა სახელმწიფოს, ე. ი.
პირის (მოქალაქის) კანონსაწინააღმდეგო მოქმე-
დებით ან უმოქმედობით (გულგრილი დამო-

კიდებულებით) ზარალი განხატადა ნაყრძალმა.
მიყენებული ზარალის ანაზღაურება ნაშენეს
დაზიანებული ობიექტის (ფაუნის, ჩრ. ფლორის)
პირვანდელ მდგომარეობაში აღდგენას, თუ ეს
შეუძლებელია, მაშინ მიყენებული ზარალის
ანაზღაურებას — ფულადი კომპენსაციით.

სხვათაშორის რაც საზღვარგარეთულ სახელ-
მწიფოების მიწათმოწყობის დეპარტამენტის
მოხელეს უფლება აქვს ერთპიროვნულად გა-
მოიყენოს სანქციები, მათ წინააღმდეგ, ვი-
სი დაუდევრობითაც ადგილი ექნება ნია-
დავის ერთხელ მოვლენებს. ნორვეგია-
ში არსებობს ისეთი კანონი, რომლის მი-
ხედვით უოველი უნებართვოდ მოჭრილი ან
მოტეხილი ხის ნაცვლად დამანაგვემ სამი ხე
უნდა ახაროს. ინგლისში ცნება „ბრაკონიერი“
ასოცირდება „უაზღად“, „განგსტერად“ და
ისევე ისეება, როგორც ეს უკანასკნელში.

საქართველოს სსრ მოქმედი კანონმდებლო-
ბის თანახმად ნაყრძალთათვის მიყენებული
ზიანი მთლიანად უნდა ანაზღაუროს ზარალის
მიყენებულმა. ზიანის მიყენებული თავისუფლ-
დება ანაზღაურებისაგან, თუ დამტკიცებს, რომ
ზიანის მიყენებაში მას ბრალი ან მიუძღვის.¹
ნაყრძალისათვის მიყენებული ზარალი გავსო-
ველთ იყო მისზე დამოუკიდებელი მიზეზით,
სტიქიური შემთხვევის გამო ან მართლზომიერ
მოქმედების შედეგად. ადგილი ჰქონდა
დაუღვეველ ძალას და სხვისი ბრალით იყო
გამოწვეული. სასამართლო ამ შემთხვევაში უფ-
ლებამორილია დააკისროს ზარალის ანაზღაურე-
ბა მესამე პირს, რომლის ინტერესებისათვისაც
ზარალის მიყენებული მოქმედება, ან გაათა-
ვისუფლის ანაზღაურებისაგან როგორც მესამე
პირი, ისე ზიანის მიყენებელი.²

ბრაკონიერი... დასჯა ან დაჯარიმება აღმი-
ნისტრაციული კომისიების მიერ მიზან-
შეუწონლად მიგვიჩნია. ისინი სწორად საქ-
მის ვითარებას არ იცნობენ, საკითხს ზერე-
ლედ იხილავენ, საქმისაღმი ლმობიერებას იჩე-
ნენ. ბევრ შემთხვევაში კმაყოფილდებათ მინი-
მალური სასჯელის დადებით ანდა გაფრთხილ-
ბაგაკიცხვით, ასეთ საქმეების განხილვა უნდა
ხელდაიდეს საამბაგო ან სახალხო საამართ-
ლოების ქვემდებარეობით.

მართალია, საბჭოთა კანონმდებლობის ქე-
მარტი ჰუმანიზმი და დემოკრატიულობა ყვე-
ლაზე სრულყოფილად იმით გამოიხატება, რომ
ბუნების დაცვის კანონმდებლობის დარღვევის
ბევრი შემთხვევა და სახელმწიფო ნაყრძალთა
ფონდისაღმი ზიანის მიყენება უმეტეს შემთხ-
ვევაში აღმინისტრაციული და სამოქალაქო სა-

¹ იხ. საქართველოს სსრ სამოქალაქო სა-
მართლოს კოდექსის 457 მუხ.

² იხ. საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართ-
ლის კოდექსის 426 მუხ.



მართლის პასუხისმგებლობით წარიმართება, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ხელი ავიღოთ სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობაზე.

ამ 15-20 წლის სტატისტიკური მონაცემების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ჩვენი რესპუბლიკის სინამდვილეში ბუნების რესურსთა გამოყენების წესების უხეშად დარღვევისათვის სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა იშვიათად გამოიყენება და იგი უფრო მეტად ზოგად პრევენციის ხასიათს ატარებს, ვიდრე კერძოს.

კანონზომიერად უნდა ჩათვალოს, როცა მოქმედი კანონმდებლობით იკრძალება უკანონო ნადირობა, კულტურის ძეგლების დაზიანება, თევზისა და მოპოვებით საჩუქრების უკანონო წარმოება, თევზის მარაგის დაცვის წესების დარღვევა (მათ უფრო ფეოქებადი ან მოჭრამლევი ნივთიერების გამოყენებით) და სახელმწიფო ნაკრძალებში ტყის უკანონო გარეხვა ან დაზიანება. ყოველივე ეს კვალიფიკირებულია, როგორც დანაშაული. დამნაშავეებს კი დაედებათ სხვადასხვა სასჯელი, მთელი მოპოვებულისა და საჭერი (საჭრელი) იარაღის კონფისკაციით.

საკვიპრო და რესპუბლიკურ პრესაში, კონფერენციებზე და თათბირებზე გამოთქმულია აზრი, რომ ბრაკონიერების მიმართ ამჟამად მოქმედი კანონმდებლობა ერთგვარად ღმობიერია. ჩვენ ამ მოსაზრებას ვიზიარებთ, როცა საწყობიდან მცირე თუ დიდი ოდენობის პროდუქციის მოპარვისათვის ან საეპკო დარღვევი წონა-ზომაში მოტყუებისათვის დამნაშავე პირი სისხლის სამართლის წესით ისჯება, რატომ ბუნებისადმი უდღერი დამოყიდებულებით ქვეყნისათვის ზარალის მიყენებულმა პასუხი არ უნდა აგოს სისხლის სამართლის წესით? ადამიანი ხომ ბუნების შვილია, ტყემ და მდინარემ მისცა მის სიცოცხლე, ჯანმრთელობა, ყოველგვარი სიეთე. და აი ბუნების ნაბოძებ ამ საუწყეს ზოგიერთი ადამიანი თვითონვე ანადგურებს.

ნაკრძალთა დაცვის კანონმდებლობის მედმივე დვეიზია: ბუნებრივ რესურსთა კანონზომიერად (გონივრულად) გამოყენების რეგლამენტაცია, მისი აღწარმოებისათვის ხელის შეწყობა, დროული გამოვლინება (შიღება) და უღმობელი ბრძოლა ყველა მათ მიმართ, რომლებიც ეთნოზღაურებელ ზარალს აყენებენ ბუნებას, ხელაღებით სპობენ ჩვენი ბუნების მშვენებას— ძვირფას ფაუნასა და ფლორას, ადამიანის ამ უსაზღვრო სპორტულ, ესთეტიკურ და ემო-

ციერ სიამოვნებათა ტუბობის გამომხატველ ლაზათს. დაე, შეაცრად დაისაჯოს იგი, ვინც მკერადი სიამოვნებისათვის ანადგურებენ ჩვენი ბუნების მშვენებას, ფლორასა და ფაუნას. ნუ მოვერიდებით მათ გაწილებას.

არ შეიძლება ადამიანმა ბუნების სიკეთით იარაგებლოს, მიიღოს მისგან ყოველივე, რაკ მას სჭირდება და ამივე დროს არ იზრუნოს ბუნების რესურსთა აღწარმოებაზე, გამდიდრებაზე და მოვლა-პატრონობაზე. ნიადაგმა რომ ჩვენ ვაკვებოს, ისიც უნდა ვაკვებოთ. ნიკო ნიკოლაძე თავის წიგნში — „მამულს სიყვარული და მსახურება“ — წერდა: „თუ ნამდვილად ვიყვარობ ჩვენი მამული, ჩვენ ის უნდა გავაძლიეროთ, როგორც მატერიალურის მხრით — სამართლიანად ეკონომიურის განწყობილების დაფუძნებით, ისე ზნეობით — მისი ვონებისა და ცოდნის გაუმჯობესებით“.

სახელმწიფო ნაკრძალთა შეურწმობის დაცვა და მისი სამართლებრივი რეგულირება დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმეა. მას საყოველთაო-სახალხო მნიშვნელობა აქვს.

ბუნების დაცვის სამართლებრივი რეგულირება კაცობრიობის კეთილდღეობის საქმეს ემსახურება და იგი საერთაშორისო მნიშვნელობის მქონე ღონისძიებაა. ოუნესკოსთან არსებული ბუნების დაცვისა და ბუნების რესურსთა გამოყენების საერთაშორისო კავშირი აქტიურ მზრუნველობას იჩენს ამ კეთილშობილური საქმისადმი.

გავრთიანებული ერების ორგანიზაცია და ეკონომიურ ურთიერთობათა საბჭო მიზნად ისახავენ ყველა ქვეყნის ბუნების რესურსთა რაციონალურად, კომპლექსურად და თანაზომიერ გამოყენებას. ბულგარეთის, უნგრეთის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, მონღოლეთის, პოლონეთის, ჩეხოსლოვაკიისა და საბჭოთა კავშირის რესპუბლიკათა ერთობლივი აზრია, ეკონომიურ ურთიერთობათა საბჭოსთან შეიქმნას ბუნების რესურსთა კომპლექსურად გამოყენების საყოორდინაციო კომპეტენტური ორგანო, რომელიც სოციალისტურ ქვეყნების ბუნების რესურსთა კანონზომიერ რეგულირებას მოახდენს.

1932 წლის თებერვალსა თუ მარტში გიორგი ნატროშვილს შეეხვედა „ზარია ვოსტოკას“ წინ, მეორე კერსის სტუდენტი ვიყავი, საკმაოდ მძიმე მდგომარეობა მქონდა, უფრო სწავლას ვეტანებოდი, ვიდრე წერაობას ბეჭდვას. როგორც ახალგაზრდა კრიტიკოსს, ცოტა მიყენებდა. ამიტომ ვამოკვირდა, როცა იმდროინდელ ჟურნალ „საბჭოთა ხელოვნების“ მდიანმა — გიორგი ნატროშვილმა წერილი შემომიყვება — „ოქტომბრის რევოლუცია და ქართული მწერლობა“, სიხარულთან ერთად, მეგობრული სიტყვით და ადამიანური კმაყოფილება ეცხრებოდა. შევატყვე: მას ორი რამ ამოქმედებდა — მატრიალიზურად ხელი შეეწყო ჩემთვის და გამოვეჩინე კიდევ. მესამე დღეს წერილი მიუეტბანე — სუფთად გადაწერილი. აიწყო, კორექტურა წაეკითხე, დაიბეჭდა კიდევ და... 1932 წლის აპრილის დადგენილების შემდეგ ჟურნალი აღარ გამოსულა. აღარც ერთი შემჩრა, აღარც მეორე. მაგრამ სამუდამოდ დარჩა ჩემს არსებებაში სიხარულის გრძნობა, რომელიც კეთილმა მეგობარმა განმაცდევინა, და სასიამოვნო ხსოვნა დიდ ჟურნალში პირველი საკუთარი მოხრდილი წერილის ბილიცა.

მას შემდეგ დიდად დრომ განვლო. ჩვენს თავზე არაერთმა ქარიშხალმა გადაიარა. არაერთი ტალღა მოასკდა ჩვენს გულ-მეგრეს. არაერთი ლიტერატურული შემართება გადავიტანეთ. მაგრამ ყველა ტალღას და ქარიშხალს ვავეტყულოთ. დარჩნით ერთგული იმ მარადიული პრინციპისა, რომლითაც არსებობს ადამიანი.

რა არის ეს პრინციპი? ცხოვრებისადმი დაუღალავი სამსახური მისი განვითარების ყველა სტადიაზე და ბრძოლა, შეუბოვარი ბრძოლა ადამიანის აღზრდასა და ღირსების დასაცავად მისივე ბედნიერებისათვის.

მაგრამ ყველაფერს თავისი საზღვარი აქვს. დრო მიდის. თან მოაქვს ჩვენი ფიზიკური ძალები და არ ვიცით, ხვალ ვის რა დაემართება. ერთი რამ კი სრულიად უტყველოა: რაც არ უნდა დაემართოს ქართულ საბჭოთა ლიტერატურას, გიორგი ნატროშვილი ყოველთვის იქნება მისი სახელოვან მოღვაწეთა რიგებში, ყოველთვის ვაგვილივან თავისი ბრწყინვალე შემოქმედებითა და უაღრესად კეთილი ადამიანური სულით.

„ის კაცი არის...“ როგორც დიდი შექსპირი იტყვოდა!

პეტრე იბერიელის ბიოგრაფიის საკითხები

ეს გამოკვლევა ეხება ძველი ქართული მწერლობის ერთერთი მნიშვნელოვანი ძეგლის, პეტრე ქართველის (იბერიელის) „ცხოვრების“ მკარისეული თარგმანის საკითხებს. რამდენადაც ეს საკითხები უკავშირდება ბიზანტიოლოგიის სფეროს, მათ შესახებ ჩვენ ვრცლად მოგვიხდებოდა საუბარი. ამ პრობლემის წრეში მეტი სინათლის შეტანას თავისთავად აქვს დიდი მნიშვნელობა ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიის თვალსაზრისითაც, უმთავრესად კი — პეტრე იბერიელის ბიოგრაფიის ერთერთი წყაროს კარგად შესწავლის მხრივ.

უწინარეს ყოვლისა საჭიროა მოკლედ მოიხაზოს ზოგადი ქრონოლოგიური ქარვა პეტრე იბერიელის ცხოვრებისა, რომ შეითხველისათვის უფრო სთელი გახდეს ჩვენი მსჯელობის ხასიათი და წყაროებისაღმე დამოკიდებულების შეთოღაც.

V საუკუნის სახელგანთქმული მოღვაწის, მიიქაის (ქ. ლაზის ახლოს, პალესტინაში) მთავრებისკომპოსის პეტრე იბერიელის ბიოგრაფია კარგად არის ცნობილი. იგი იყო ქართველი უფლისწული (დაიბ. 411 თე 412 წ.), ქართლის მეფის ბუზმარის (იგივე მერზმარი, ბუზმარისი) ძე მურვანის (იგივე მარუანი ან ბერძნულ-სპირიული წყაროების მიხედვით — მურვანოსი, ნაბარნუგი ან ნაბარნუგოსი). თორმეტი წლის მურვანი დიდი ამალით გაუგზავნა მძევლად მამისმა ბიზანტიის კეისარ თეოდოსი II-ის (408-450) ამ უკანასკნელის დაყენებული მოთხოვნით, რათა სპარსეთ-ბიზანტიის ომში (დაიწყო 420 წ.) იბერიის ხელისუფალნი ირანს არ მიმხრობოდნენ. აქ, კონსტანტინეპოლში, მურვანოსი განსაყვთრებული პატივითა და სივარდლით გარემოცული იზრდებოდა. აქვე ზედმიწევნით შეისწავლა ბერძნული ენა და ფილოსოფია. თეოდოსი II და დედოფალი ევდოკია მურვანოსს „შვილივით ზრდიდნა“. დათავადაებული მურვანოსი იმპერატორის კავალერის

უფროსად ინიშნება, ერთი მისი ბიოგრაფის ცნობით — შემდეგ სენატორადაც. მაგრამ ამ სამეფო პატივს იგი მაღლ თმობს. როგორც ჩანს, ახალგაზრდა უფლისწულში აღრე გაუღვიძიარელივიერ ვრწმობას, ასევეთმობისაღმი მიღრკეილებას, მით უფრო, რომ კეისრის სასახლის წრე, რომელშიც ახალგაზრდა მურვანოსი იზრდებოდა, მორწმუნეებისა და მწირობისაღმი მიღრკეილი პირებისაგან შედგებოდა (ესაა ხანა ეკლესიის სრული ბატონობისა ბიზანტიის სატახტოში, მისი ვაჟუნა ვრცელდებოდა იმპერატორის სამეფო კარზედაც). ზოგერთი ბიზანტინისტის აზრით, ამ წრეში უნდა დაახლოვებოდა იგი თავის აღმზრდელსა და სულიერ მოძღვარს, მითრიდატე ლაზს (ბიზანტიაში არაერთი ლაზური წარმოშობის პირი იმყოფებოდა საიმპერატორო კარზე)². ამ მითრიდატესთან ერთად

1 „უბათვი პეტრე კონსტანტინოპოლის სსახლესშიც შეატრ ასევეს იყავს, მხოლოდ ერთხელ კამს სამ ან ოთხ, ზოგჯერ კი შეიღ დღეში“ (Ed. Schwartz, Johannes Rufus, ein monophysitischer Schriiftsteller. «Sitzungsberichte der Heidelberger Akademie der Wissenschaften», phil. — hist. Kl. Bd 3, 16 abh, 1912, c. 27. მიტანილია ციტატა იოანე რეფტისის „პეტრეს ცხოვრების“ სირიული თარგმანისა. იგი მოიპოვება მთავრსეულ „პეტრე ქართველის ცხოვრებაში“).

2 ს. ყაუხჩიშვილის აზრით, „როგორც ჩანს მის (პეტრეს. ა. გ.) აღმზრდელად გამოეწერიათ ლაზიკიდან (ე. ი. დასავლეთ საქართვედან) ენზე მითრიდატე“. ეს მითრიდატე ლაზი, ჩვენი მეცნიერის შეხედულებით, უკველად დაკავშირებული უნდა ყოფილიყო დასავლ. საქართველოში იმ დროს განთქმულ ფილოსოფიერ-რეტორიულ სკოლასთან, ფანისის მახლობლად. (ბიზანტიური ლიტერატურის ისტორია“, 1963, გვ. 106). ს. ყაუხჩიშვილის შეხედულება საუფელაანი ჩანს შეატრტის შრომის მიხედვითაც.



მერეანოსი სატახტო ქალაქიდან გაიპარა დაახლ. 420 წ. რამდენიმე სპარსელი მოწამის რელიგიური და წმინდა ძეგლის (ჯვრის) ნაწილით („წმინდა ნაწილებით“) ქ. იერუსალიმში. ამ ისინი ბერად აღიკვეცენ არქიმანდრიტ გერონტის ხელდასმით — მერეანს ეწოდა პეტრე, ხოლო მიიბრუნებენ ლახს — იოანე. 445 წელს პეტრე და იოანე თავს შეაფარებენ ქ. მაიუმის მონასტერს, სადაც მღვდლად იყრთბნენ, ხოლო 452 წელს, როცა ქალაქდონთა კრების (451 წ.) შემდეგ არეულობა დაიწყო და იერუსალიმიდან გაიქცა მონოფიზიტების მღვდელი პატრიარქი იევვალა, პეტრე მისი სურვილის წინააღმდეგ ამ ქალაქის მთავარეპისკოპოსად აყრთბა იევვალის შემვიდრემ იერუსალიმის ახალმა პატრიარქმა მონოფიზიტმა თეოდოს ეგვიპტელმა. ევსთ თავს შემდეგ პეტრე სტოეებს მაიუმს და თავის მეგობართან იოანესთან ერთად გაემგზავრა ალექსანდრიაში (ეგვიპტეში), სადაც მან და ეპისკ. ევსებომ ტიმოთე ელვარი ამ ქალაქის პატრიარქად აყრთბეს. კეისარ ლეონის მეფობისას (457-474) პეტრე პალესტინაში ბრუნდება და იოანესთან ერთად აკეტურს ცხოვრებას ეწევა თავის მიერ დაარსებულ მონასტერში მაიუმსა და ლახს შორის, ხელმძღვანელობს სამონასტრო მშენებლობას, მოეხადებინა იორდანიაში და ა. შ. იოანე ევენქის გარდაცვალების (464 თვ 465 წ. ახლოს, 4 ოქტომბერს)!, შემდეგ პეტრეს უმოგზაურნია ფინაიაშიც, გარდაიცვალა პეტრე 491 წ. 1 დეკემბერს, 79 თვ 80 წლისა, ზენონის კეისრობისას (474-492). დაკრძალეს მისი ნათლის და სინკელის იოანეს გვერდით (ე. პონიგმანი, 29).

თავის რელიგიური მრწამსით პეტრე „სომხური“ მონოფიზიტი (ქრისტეს ერთბუნოვანების აღმარებელი) იყო. როგორც სამართლმანდად ფიქრობს ე. პონიგმანი. ამას მოწმობს ის გარემოებაც, რომ მას ირჩევენ მაიუმის მთავარ ეპისკოპოსად ქალაქდონის კრების (451 წ.) შემდეგაც. ე. ი. დიოფიზიტების გამარჯვების ხანაში, ხოლო კეისარი ზენონი მას კონსტანტინეპოლშიც კი იწვევს მონოფიზიტებისა და დიოფიზიტების შემრიგებელ „ჰენოტიკონზე“ ზღაპო-

საწერად (ე. პონიგმანი), მაგრამ პეტრე იქ არ ჩასულა.¹

ერეკენული

პეტრე იბერელი ქრესტოფორე იგი მთელ ქრისტიანულ აღმოსავლეთში იყო ნამდვილი ეპიზონური და „ნათელმხილელი“. რომელსაც მისი ბიოგრაფების გადმოცემით თეოი მაქსოვარი „გამოცხადებმა“ ერთხელ პეტრე ლახის მონოფიზიტთა ცენტრალური ფიგურაა, ეს ჩანს, უმთავრესად იქიდან, რომ კოლოსალური ავტორიტეტით სარგებლობდა მათ შორის, ეთარცა წმინდანი და სასწაულომოქმედი. ამასთან მას, მიუხედავად მონოფიზიტობისა, ყოველთვის იცავდა მეფური ჩამომავლობა და ბიზანტიის სასახლის მფარველი ზელი თეოი მონოფიზიტების რეპრესიების ხანაში. მართლაც-და ყველაფერიდან ჩანს, რომ პეტრე არ იყო ორდინარული პირიგნება, პირიქით, იგი გვევლანება „საკვირველ“ და „საბეღვანოქმედ“ ადამიანად. „მეორე პავლეად“, რომლის შესახებ თხრობისას ბიოგრაფები არა ერთგზის იმეორებენ შეფასების უმაღლეს ეპითეტებს.



პეტრე იბერელის მოქსევენარი და ნახევრად მოხეტიალე ცხოვრება დაეკვირვებულა ბიზანტიაში ორი რელიგიური პარტიის — მონოფიზიტებისა და დიოფიზიტების ბრძოლის პერიპეტეებთან.

ჯერ კიდევ კონსტანტინოპოლის განთქმული პატრიარქი ნესტორი თეოდოსი II-ის გამეფებამდე ქდაგებდა ქრისტეს ორბუნებოქმანებას, მისი მოძღვრების (ნესტორიანობა) მიხედვით ქრისტე იყო მარტოოდენ ადამიანი და შემდეგ გახდა იგი ლმერთი, ნეს-

¹ Э. Хонигман. Петр Иаер в сочинении Пс.-Дионисия Ареопагита. (თსუ-ს შრომები, 1955, 59, გვ. 33, 34 და 36. ქვემოთ ვეველან მოსულად — ე. პონიგმანი). ე. შვარტცი წერს, რომ 4 ოქტომბერი „იყო მონასხსენებელი დღე მისი (პეტრეს, ა. გ.) ძველი ნეკრობისა, ევენქე ოპანესი, რომელიც მასთან ერთად კონსტანტინოპოლიდან იყო გამოქცეულ“ (Johannes Rufus, გვ. 20, შენიშვნა 2). ამ ფაქტის პირველად აღნიშვნა ვფიქრობთ, ედ-შვარტცს ეკუთვნის.

¹ „ზენონის შემრიგებელი „ჰენოტიკონი“ ემთხვევა ფსევდო-არქოპიკოსტულ წიგნებში მოცემულ ქრისტოლოგიას“ — წერს შ. ნუცებიძე (ქართ. ფილ. ისტ., I, გვ. 147). პეტრემ რომ უარი ოქვა იერუსალიმში გამგზავრებაზე ამ „ჰენოტიკონზე“ ზელისმოსაწერად, ეს იმას არ ნიშნავს, თითქოს იგი „ჰენოტიკონს“ არ თანაუგრძობდა. „როგორც ცნობილია, ის გაერბოდა ზედმეტ განდიდებას და დიდ საზოგადოებრივსაბელმოწიფო საქმეებში მონაწილეობას“ (იქვე 147). ეს მოსაზრება თავდაპირველად ე. პონიგმანმა გამოთქვა, მაგრამ მთლად გასაზიარებელია კი იგი? „ჰენოტიკონს თან დაჰყვა ის ნაყოი, რომ ქალაქდონებს გარკვევით არ შეარწინებდა“ (ე. შვარტცი, გვ. 14). მონოფიზიტ პეტრესთვის ეს კი მიუღებელი იქნებოდა.

² იგი (პეტრე, ა. გ.) მაინც მეფის მთამომავლობის უფლისწულად დარჩა, თქით ანატოლიანოქი“ — წერს ედ. შვარტცი (Johannes Rufus, გვ. 5).

ტორი უარყოფდა მარიაშ „ღეთისმშობლობას“ (Theotokos). რომის პაპის დაპირებით პეტროს არქიმედიოპოლიტი ალექსანდრიელმა შეზღუდა ნესტორის უფლებები ბიზანტიის სატაბტოში, ხოლო ნესტორიანობა ოფიციალურად იქმნა დაგმობილი. რამდენიმე წლის შემდეგ, როცა ეპტიქიმ კირილე ალექსანდრიელის მოძღვრება უკიდურესობამდე განავითარა და ქრისტეში მართოდ ღვთაებრივი ერთუნებოვანობა იქმნა აღიარებული (ესაა მონოფიზიტობა), კონსტანტინოპოლში თითქოს საბოლოოდ იქმნა დაკანონებული ალექსანდრიის ეკლესიის პრიორიტეტი (მონოფიზიტობას ეწერებოდა მხარს უჭერდა ალექსანდრიის ახალი პატრიარქი დიოსკორე). უფრო გვიან (ალექსანდრიელი ორიენტაციის ტრიუმფმა საეკლესიო დოგმატიკის საკითხში) და კეისრის ოლქობა შედეგად მონოფიზიტების ახალი კენსარი მარკიანე (456-457) და რომის პაპი ლეონ დიდი. ქალკედონის საეკლესიო კრებაზე (451) ლეონ დიდის ფორმულის შესაბამისად აღიარებულ იქმნა ქრისტეს პირიუნიტობაში ორბუნებოვანობა (ესაა დიოფიზიტობა). იმავე დროს ეს იყო კეისრის ხელისუფლების გამარჯვება ეკლესიაზე. პოლიტიკური სექულარიზაციის ნამდვილი ტრიუმფი და იმავე დროს ალექსანდრიელი მიმართულებას სრული მარცხი საეკლესიო დოგმატიკის საკითხებში. იმპერატორი ამიერიდან თვითონაა უმაღლესი იერარქი იმპერიაში, იგი წინაშეს სანდო პირს კონსტანტინეპოლის პატრიარქად.

სწორედ ამ ისტორიულ მოვლენებს მოჰყვა მონოფიზიტების მასობრივი ლტოლვა ბიზანტიის სატაბტოდან. მაგრამ რეპრესიები პეტრეს არ შეეხებია, ამის მიზეზი იყო პირადად მისი პირიუნიტობისადმი გამაყურთრებული პატივისცემა სასახლას მხრად და თვით პეტრეს მხრით თავდაპირილობა უმადურეს რელიგიურ ბრძოლებში, რომელიც ქალკედონის კრებას წინა პერიოდში მიმდინარეობდა, თანაც დიოფიზიტების გამარჯვების შემდეგ მონოფიზიტების მოღვაწეობისა და ძლიერების კრებად დარჩენი ეპ-

ეპიტე, პალესტინა და სირია. სადაც პეტრე და იოანე მოღვაწეობდნენ. პეტრე ეპიტეპოსტოლის ცხოვრების დიდი ნაწილი სწავლავდა მონოფიზიტურ მერიდიანებს ხედავს.

* * *

ახლა პეტრე იბერიელზე ქართული წყაროების შესახებ.

ჩვენამდე მოღწეულია პეტრე იბერიელის შესახებ ქართული ნათარგმნ-გადმოცემული თხზულება, რომლის სრული სათაურია:

„ცხოვრება და მოქალაქეობა წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩვენისა პეტრე ქართველისა, რომელი იყო მე ქართველთა მეთვისა (ახ. „ძველი ქართული პავთოგრაფიული ძეგლები“, წ. II (XI-XV სს.), ი. აბულაძის რედ. თბ., 1967, გვ. 213-263).

ეს „ცხოვრება“, თითქოს ასურულად დაწერილი პეტრეს მოწოდის „ნაქარია ქართველის“ მიერ V ს-ში, ქართულად უთარგმნია ხეცეს მაკარი მეცხსე XIII თუ XIV ს-ში, ხოლო მისი „შეხვედრები“ ნუსხა უფრო გვიან დაუღვაგებია, განუტრია და გადაუცემებია ვინმე პავლე დეკანოზს. მასვე დაუტრიავეს „ცხოვრებისათვის“ ანდრძი.

„ცხოვრების“ ტექსტი ორი რედაქციითაა ჩვენამდე მოღწეული: ვრცელია და შემოკლებული. ორივე რედაქცია XVIII ს-ის ხელნაწერის მიხედვით 1896 წელს გამოცა პროფ. ნ. შარმა (ამ გამოცემის შესახებ დაწერილებით ქვემოთ). მოკლე რედაქციას რაიმე ისტორიულ-ლიტერატურული ღირებულება არ აქვს.

სანამ ნ. შარის გამოცემასა და მას შემდგომ განხორციელებულ პუბლიკაციებს შევხებოდეთ, საქარო გავცნოთ თვითონ „ცხოვრების“ შესახებ პირველ ცნობებს, რომელიც სპეციალურად დღემდე არ ყოფილა მიმოხილული.

მაკარი მესხის ხელნაწერის ახლი 1838 წელს რუსეთის საეკლესიო აკადემიას გადაუგზავნა პლატონ იოსელიანი. 1849 წელს მან საგანგებოდ აღნიშნა ეს ფაქტი თავის წიგნში *Жизнеописание святых, прославляемых православною грузинскою церковью* (Тиф., 1850; პირველად დაიბეჭდა *Закавказский Вестник*-ში, 1849 წლის №№-ში). პ. იოსელიანი წერდა:

«Из жизнеописания его, существующаго в Грузин, видно что он назывался Мурваном и на 12 году жизни был отправлен заложником к Греческому Императору Феодосию младшему. Из Константинополя прибыл в Палестину, вступил в монашество под именем Петра и потом от Иерусалимского Патриарха поставлен Епископом города Манума. Здесь он и скончался чудотвор-

¹ «Der Terminus Theotokos wird ohne jede Präzision gebraucht-kurz, gerade, «barröke Formulierungen» sind ihnen besonders lieb» (Hans-Georg Beck, *Kirche und Theologische Literatur im Bisantinischen Reich*. München, MCMLIX, 301.

² პეტრე იბერიელზე არსებობს მდიდარი ლიტერატურა, როგორც უცხოურ ენებზე, ისე ქართულად. უცხოური ლიტერატურიდან ძირითადი შრომები დასაბულებული აქვთ: ედ. შვარტცის (1858-1940), ერნესტ პონიგმანის, ს. ყაუხჩიშვილის და დ. მ. ლანგის.

нем. Жизнь и чудеса его описаны учеником его и очевидцем каким-то Захарием из Грузии на Сирском языке. С сирского же языка жизнеописание его переведено на Грузинский язык какому-то Священником Макарием. Копия с этой истории доставлена и в Академии наук (1839(?) года).

Об этом Петре пишется в истории Барония (Annae. Eccl. Tom VI. pag. 149. sub anno 452), заимствовавшего все сведения о Петре из истории Евagriя (lib. III. cap. V. VIII), который повествует, что Петр Майумский Епископ родом из Грузии (Petrus Majumae Episcopus ex Hiberia ortus) был избран на кафедру города Манума Евтихианами во время смут, происходивших в Сирии и Палестине после Халкидонского Собора («Жизнеоп.», 14, სქოლიო)¹.

5. მარის გამოცემიდან (იხ. წინასიტყვაობა) ჩანს, რომ პ. იოსელიანის ასლა ამ უკანასკნელის რომელიღაც მოწაფის მიერ ყოფილა შესრულებული და ისიც შეედრებებით. იგი ხელთ ჰქონია მარის ბროსეს, რომელიც მაყარის «ცხოვრებაზე», როგორც პ. იოსელიანის მიერ მიწოდებულ ასლზე («copie»), საგანგებოდ ლაპარაკობს თავის H. de la G.-ში (1849, I, 139, სქოლიო). პ. იოსელიანთან ერთად მარის ბროსეც მაყარის მიერ თარგმნილ «ცხოვრებას» «ზაქარია ქართველის» («...Zacharia Georgien...» იქვე, 139) თხზულებად სთვლის. ორივენი ფიქრობენ, რომ ამ ზაქარიას სირიულ ენაზე დაუწერია პეტრეს ბიოგრაფია, ხოლო «ენიმე მაყარი ხუცესს» იგი «სირიულადან ქართულად უთარგმნია» (პ. იოსელიანი ამ წინაშეგებს აცეთებს 1710 წელს ვახტანგ VI-ის სტამბაში ნუსხახუცურად დაბეჭდილ «ამანთან» («Часослов») დაკავშირებით. სხვათა შორის — ამ წიგნში პეტრეს მოსახსენებულ თარიღად დადებულია 2 დეკემბერი: ამბაკიმის («ამბაკიმის») მოხსენებას მოსდევს სიტყვები: «[მ]ისვე დ'ნა წინა მამისა ჩ'ნისა პ'ე მამოსა ქალაქისა ებსკოპოსისა. ესე იყო ძე ქართველთა მეფისა»).

ეახუ შტი იცნობდა მაყარი მღვდელის ვერსიას, მაგრამ მაყარის ან «ზაქარია ქართველის» სახელს იგი არ ახსენებს:

¹ პეტრეს ცხოვრება შეტანილი ყოფილა აგრეთვე ქართველ მარტილთა ცხოვრების ცრებულში, რომელიც შიომღვიმის მონასტერში ყოფილა დატული. (დაწერ. იხ. П. Иоселиани. Описание Шно-Мгвизмской пустыни. 1845, стр. 42. შდრ. დ. ბაქრაძე. ისტორია საქართველოს ტფ., 1889, გვ. 153).

«გამეფდა ძე მისი ვარზა-ბაქარი, სრულამან შეირთო ცოლად რვეის ტის ტარდას ტის ასული და ანგელოსისა, ხარბი თქმეძე და უწოდეს მურვანოს (რომელი იწოდა პეტრე და იქმნა წმინდა და მამამს ებსკოპოსი, რომლისა ცხოვრებას მოგვითხრობს შეტაქარასი მისი)» (იხ. ეახუ შტი. საქართველოს ისტორია. განმარტებული და შეესებებული ასლად შეგნისლის არხეოლოგიურისა და ისტორიულის ცნობებით. დ. ზ. ბაქრაძის მიერ. ტფ., 1885, გვ. 79).

სამაგიეროდ დ. ბაქრაძე ვახუშტის ამ ცნობას, დამატებულს მაყარის ვერსიაზე («მეტაქარასე»), უკეთებს შენიშვნას:

«მურვანოსის ანუ წმინდა პეტრეს ვინაობას და მოღვაწეობას მოგვითხრობენ როგორც ჩვენი წყაროები, აგრეთვე უცხოტომთა მეტაქარანი. ამ უკანასკნელთაგანნი არიან ევაგრა და ზაქარია შიტელენელი (ისტორი. ა. გ.), რომლის ცნობანი მასზე ჩაუბრუნეს გასულ საუკუნეში ლათინურ ენაზე ასსემანს აღმოსავლეთის ეკლესიის მამათ-ცხოვრებაში. გარდა ამისა ხელში გვაქვს სირიის პატრიარხის მიხეილის ცნობანი პეტრეზე; დაწვარლებით მოღვაწეობა აღწერია სირიულ ენაზე თვით იმის მოწაფეს ზაქარია ქართველს და ქართულად უთარგმნია მღვდელს მაყარის. ეს ცნობანიც ქართლის ცხოვრებაშიაც შემდეგ შეიტანიათ. «არა სხვისგან თბრთობილსა. ვინა სხვისგან სვენილსა მოქმენ ვარ აღწერად — ამბობს ზაქარია, — არამედ რომელსა თვით შიდიელ ექიმენ. რამეთუ სიყრმიდგან შეუდგე წმინდასა მას ვითარცა ერთგული, სადაცა იგი არს...» (იქვე, 80). შემდეგ დ. ბაქრაძეს კიდევ მოჰყავს მაყარის ვერსიიდან ამონაწერები, რომლებიც პეტრეს ბიოგრაფიის სხვა მომენტების აღწერას შეიცავენ).

მასადასე, დ. ბაქრაძისთვის მაყარის «თარგმანი» ცნობილი იყო. მისი შეხედულებითაც პეტრეს ცხოვრება სირიულ ენაზე თვით «მის მოწაფეს ზაქარია ქართველს აღწერია და ქართულად უთარგმნია მაყარი მღვდელს». ჩვენი სახელოვანი ისტორიკოსისათვის ცნობილი არიან პეტრეს სხვა ბიოგრაფიებიც: ზაქარია შიტელენელი (ზაქარია რიტორი, ა. გ.), ევაგრი, შიქელ ასური და სხვ.

ზაქარიას ქართველობაში პირველად იქცა შეიტანა ნიკო მარშია. ჩვენ მისი გამოცემის წინასიტყვაობას და თვით ტექსტს აქ დაწერილებით შევხვებით.

6. მარის გამოცემაში ქართული ტექსტისა და მისი რუსული თარგმანის სათაფარი ასეთია:

ცხოვრება
პეტრე ივერისა

მოღაწეუების-წელის და მიღმელ ეპის-
კოპოსის მე-V საუკუნესი.

ქართული დედანი გამოსცა.

რუსულად სთარგმნა და წინასიტყვაობა და-
ურთო

ნიკო მარაშანი.

Житие

Петра Ивера

Царевича-подвижника и свископа
Майумского V века

Грузинский подлинник

Издан, перевел и предисловием снабдил

Н. Марр

(იხ. Православный Палестинский Сбор-
ник. Том XVI, выпуск второй. С.-Петербург.
1896).

თავის დროისათვის ეს გამოცემა შესრულე-
ბულია საინფორმაციო. ნ. მარაშანის ბევრი დაკვირვება
დღესაც ინარჩუნებს თავის მეცნიერულ მნიშე-
ვნელობასა და ღირებულებას. არა ერთი მკვლევარი,
რომელმაც პეტრე ივერელის ქართული
„ცხოვრების“ საკითხებს ეხებინა, იმეორებენ მის
შეხედულებებს (ზოგჯერ ნ. მარაშანის დაუსაბუთებელ
თეზებს კომოტებებს ეუთავაზობენ (სადგომადი-
რომელსაც ნ. მარაშანი იწინააღმდეგებდა, ამ უკანასკნელს
უკვე აღარ ახასიათებთ). მით უფრო აქტიუ-
რებლია ნ. მარაშანის ძირითად მოსაზრებებთან მიმო-
ხილვა.

„შესავალში“ ნ. მარაშანი ვაძმოსცემს პეტრეს
პოეტრიკის სხვადასხვა წყაროების (ეპიტაფი-
კად სიხოველისა და პეტრეანელის) მიხედვით (ზა-
ქარია რიტორი, ევგრო, „ანონიმის“ ასურული
ტექსტი პეტრეს „ცხოვრებისა...“). საშეცდომო
ლიტერატურაში ნ. მარაშანი პირველად მიუთითო
მონოფიზიტ ზაქარია რიტორის იმ ცნობაზე, რო-
მელიც ვაძმოსცემს პეტრეს გაქაჩრებას იმის
გამო, რომ მას ერთხელ მიხი სახელით წარწე-
რილი იმხულება უნაბავს რომელიღაც მომას-
ტერში, დაუწვევლია ავტორი და სხვ. (მითითე-
ბულია გამოცემა: Anecdota Syriaca, ed. Land,
III, стр. 130-131).

გამოცემებელი ვაძმოსცემს პეტრეს მდგომე-
რობას ქალკედონის კრების შემდეგ, ავრთვე
რომ პეტრე ვაძმოს ტომოთ ვლდრთან ერთად
დასიღარ (ეს არ „გაუქვევებიათ“, როგორც პეტ-
რეს „ცხოვრების“ ასურული ტექსტის ვაძმოსცე-
მელ Raabe-ს აქვს აღნიშნული. მითითებულია:
R. Raabe, Petrus der Iberer Leipzig, 1895.
Einleitung, стр. 4 და სხვ.). ამასთან ნ. მარაშ-
ანი დასძენს: «Но был ли он сам ярым против-
ником Халкедонского собора, этого еще не
известно» (IV).

აქვე აღნიშნავია მარაშანის შემდეგ ორი შე-
ნიშვნა:

არაქრესული
საქარაგო

1) Однако вне
Житие Петра Ивера, (იველ-
რებადს მიერ გამოცემული სიხოველი ტექს-
ტი), служившие Евагрию источником,
было составлено монофизитом. Но са-
мом Житие не дошло до нас на грече-
ском языке» (IV). (ქვემოთ ჩვენ ვხედავთ,
რომ ნ. მარაშანის ვარაუდი რაბაბეს ასურულ
ტექსტის ავტორის, მაშინ — „ანონიმად“
მინიშნელის, მონოფიზიტობაზე — საფუძე-
ლანი აღმოჩნდა).

2) «На западе имя Петра Ивера, по-
видимому, не было известно. Только в
Грузинских летописях
(იველ. კ. ე-ბა. ა. გ.) повторяется два-
жды (груз. текст, ч. I, стр. 103 и 105),
(იველ. ბროსეს გამოცემა, ა. გ.) что
«Григорий Диалог, патриарх римский,
написал в своей книге похвальное сло-
во блаженному Петру». Броссе замечает
(ч. I, стр. 139, прим. 1), что он не
мог найти этого похвального слова, на-
писанного «Григорием Теологом». Но
тут, пожалуй, недоразумение, и прежде
всего со стороны тех, которые шле-
ли Житие Петра в Грузинские летописи.
Дело в том, что Григорий Великий действительно пи-
шет в своей книге Dialogorum (Migne,
Patr., s. Lat., t. 77, стр. 381—382) не-
сколько сочувственных слов о святом
монахе Петре Ивере, подвизавшемся в
Евазе, и со слов одного иллирийского
монаха упоминает о видении, в кото-
ром Петр видел ад. Но этот Петр Ивер,
предполагается, происходил из Иве-
рии — Испании, а не Грузии, и у нас
нет особых оснований, чтобы настаи-
вать на ошибочности этого предложе-
ния» (IV—V).

შენიშვნაში (1) ნ. მარაშანის:

«Диалоги Григория, быть может,
следует подразумевать под Книгой
диалогов, значащеюся в числе пе-
реводов с греческого Евфимия Свято-
горна (А. Цагарели, Сведения, вып.
1, стр. 58, № 50). отождествление Петра
Испаниа с Петром Грузином может ис-
ходить от грузинского переводчика Д
и а л о г о в» (V).

ნ. მარაშანის ეს დაკვირვებანიც ვაძმოსცემთ. ჩვენ
აქ პეტრე ხნით ვაძმოსცემთ და ამ საკითხს სე-
კულარულ შევებებით, რადგან მას მარაშ-
ანის აქვს მნიშვნელობა.

ლეონტი მროველის ტექსტის იმ ადგილს, რომელიც ქართლის მეფის ვარაზ-ბაქარის (მეტრეს მამის, რომლის ნამდვილი სახელი ბუნშიპრა იყო) ცხოვრებას ეხება. ვახტანგისეულ „ქართლის ცხოვრებაში“ მოიხსენიება ორი ჩანართი, აქედან მეორე ჩანართის დამოლოება ასეთია:

„ხოლო ამის ნეტარისა (მეტრეს, ა. გ.) ფრიადი ქება აღეწერა გრიგოლ დილოღსა, წმიდასა პატრიარქსა ჰრომოსასა, წიგნსა თესსა. ხოლო ჩვენ პირველსავე სიტყვასა შოგიდეთ“ (იხ. ქ. ე. ხ-ბ ა, ს ი მ თ ა ნ ყ ა ე ხ-ნ ი შ ე დ ი ს რ ე დ. 1, გვ. 135).

არც ერთს ჩანართში ზაქარიას სახელი არა ჩანს. როგორ განიხილო მეორე ჩანართის ბოლოს გრიგოლ დილოღის სახელი? ნ. შარმა სრული სიზუსტით მიუთითა წყაროზე: ესაა ექვთიმე მთაწმინდელის მიერ ბერძნულიდან თარგმნილი „დილოგები“ გრიგოლ დიდისა. ამ ფაქტსაც ზოგი იგონებდა, მისი დადგენა კი ნ. შარმა დამსახურებდა.

„გრიგოლ დილოღის“ არის რომის საბუღალთსმისელო პაპი გრიგოლ დიდი (540-604). იგი ცნობილია აგრეთვე შემდეგი ზედწოდებებით: გრიგოლ პირველი და გრიგოლ დილოღის (რუსულად Григорий Двоеслов ან Григорий Веседовник). უკანასკნელი ზედწოდებით იგი იმითგანა ცნობილია, რომ მას ეკუთვნის განთქმული „დილოგები“. რომელსაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა სამცხე-საეფრესიებში. ეს წიგნი („დილოღონი“) ქართულად უთარგმნია ექვთიმე მთაწმინდელს (955-1028). კ. კეკელიძის თავის შრომაში „უცხო ავტორები ქართულ ლიტერატურაში“ გრიგოლ დიდის შრომები საკანკანოდ აქვს მოხსენებული (აქ. ლ. ისტ., 12, 588):

„38. გრიგოლ, პაპი რომისა (გარდ. 604 წ.)

(Gregorius, Papa Romae)

„1. „დილოღონი“. A 67, 167, 238, 800, 1103, თარგმანი ექვთიმე მთაწმინდელისა. Migne. PL. tom. 77“

მეორე ადგილს: „გრიგოლ, პროპა: პაპი — ფესე ღმერთ-შემოსილი და ნეტარი მამა ჩუენი გრიგოლ, რომელსა ეწოდა დილოღონი“ A 121, 167, 1008 73 ა, კ. კეკელიძე, Kiemen, გვ. 125-132 (იქვე, 683).

გრიგოლის „დილოღონი“ ექვთიმეს უთარგმნია 1011 წელს (იქვე, 179-180).

გრიგოლ პირველი კათოლიკური ეკლესიის ერთერთი ბერძენი იყო: მის სახელთანაა დაკავშირებული დასავლეთის ეკლესიაში თავისებური ვალოზის შემოღება (ე. წ. „გრიგორიანული ვალოზი“). თავდამირველად მისი მსიოწმარული მოღვაწეობის სარბიელი იყო ბრტანეთი. იგი

გენიალურ ნეტარი ავგუსტინეს (ავგუსტუს ავგუსტინე, 354-430) ვალოღით თაყიყობისა და მოწიანა მოწიანს“ ეძახდა (სე. იქვე, გვ. 1 დილოღის შესავალი). გრიგოლის მოხსენებულ დღედ დასაუღეთის ეკლესიას დაღებულა აქვს 12 მარტი.

გრიგოლ დიდის კალამს ეკუთვნის, გარდა „დილოგების“ 2 წიგნისა, „ეპისტოლეები“ და სამონაზონო წესდებათა წიგნი, განთქმული Regula pastoralis. ამ წიგნის გარდა რუსულად თარგმნილია აგრეთვე მისი **Вседы на Евангелия**, иже по святых Отца нашего Григория Двоеслова, в двух книгах, переделанная с латинского языка на русский Архимандритом Климентом. СПб, 1869. (ამ უკანასკნელს ჩვენ სპეციალურად ვეხებოთ ვრცელ გამოკვლევაში „წიგნის მხატვრული მოღვაწეობის რუსთაველი და დანტისანი“).

გრიგოლ დიდის „ეპისტოლეთა“ წიგნიც გამოცემულია ლათინურად, ამ ეპისტოლეთა შორის მოიპოვება სწორედ ის „პასუხი“, რომელსაც პაპმა მოსწერა კირონ ქართლის ეპისკოპოსს. როცა ამ უკანასკნელს მისთვის მიუშარათეს „ერთერთი დოგმატურ მასიათის შეკითხვაზე“ (ე. კვ. 12, 310). ამ ფაქტზე პირველად მიუთითა პ. იოსელიანმა. იგი აღნიშნავს:

«В посланиях Св. Папы Римского Григория сохранилось одно писанное в 603 к Кириону Каталикусу Грузинскому. Epist. lib. II, 67». (Платон Иоселиани. Краткая история грузинской церкви. СПб, 1843, Изд. второе, стр. 57. სქოლიო).

გრიგოლ დიდის ეპისტოლე-პასუხის ქართული თარგმანი დაბეჭდა მიქელ თამარაშვილმა (იხ. მისი: ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის. ტფ., 1902, გვ. 24-26; ლათინური ტექსტი იქვე, გვ. 575-577. ეპისტოლეს ბოლოს მითითებულია: «(Epistolarum liber. 9, p. 132, Epistola 61)».

მ. თამარაშვილი გრიგოლ დიდის უთარგმნილი ეპისტოლეს 596 წლით ათარიღებს („ისტორ. კათოლ.“ გვ. 26).

კ. კეკელიძე რამდენჯერმე იმონებს თამარაშვილის წიგნის ამ ადგილებს (აქ. ლ. ისტ., 1941, 12, გვ. 56, 114: «Epistolarum liber IX, p. 132, Epist. 61») და სხვ. მ. თამარაშვილისა და პ. იოსელიანის მითითებანი ერთმანეთისაგან განსხვავდებიან წიგნის ტომისა და გვერდის ჩვენებათა მხრივ).

რომის პაპის ეპისტოლე განეკუთვნება სომეხ-ქართველთა საეკლესიო ცილობის ხანას. გრიგოლ პირველის პასუხიდან ჩანს, რომ კირონს „მისთვის მიუშარათეს სხვადასხვა მწვალებლის,

კერძოდ ნესტორიანთა, საციობის გამო" (ვექ., იქვე, 432)¹.

თი ეს გრიგოლ დიდი დასახელებული პეტრე იბერიელის ქების დამწერად ქ. ც.-ის მეორე ჩანართის ბოლოს, როგორც მარნა აღნიშნა, მარნა ბროსის ამ გრიგოლის ვინაობა ვერ ახსნა, მისი „Gregoire le Theologien" (H. d. la G., 1849, I, p. 139, სქოლიო, შტრ. ნ. მარი, *Жизни...* IV) არის „დილოგების" ავტორი გრიგოლ დიდი, რომელსაც მართლაც უყვს მოხსენებულ პეტრე იბერიელი, მაგრამ ნ. მარის მართებული შენიშვნით, იგულისხმება ესპანელი პეტრე იბერიელი, და არა პეტრე ქართველი. ნ. მარსავე მიუთითა ამ შეცდომის წყაროზე ექვთიმე ათონელის მიერ თარგმნილი „დილოგონზე", ოღონდ უცნობი იყო — სახელდობრ რომელი ადგილი ექვთიმეს თარგმანისა დაედო საფუძვლად ქ. ცხ.-ის ჩანართის და პეტრე ქართველის ცხოვრების ერთ-ერთი სვინაქსარული რედაქციის ცნობას რომის პაპის მიერ პეტრეს ქებით მოხსენიების თაობაზე. ამ კითხვას ქ. ცეცელი ძემ გასცა პასუხი, რადგან ეს ფაქტი უკვე აღნიშნულია სპეციალურ ლიტერატურაში, ჩვენც მას დავიმოწმებთ.

ჩვენამდე მოღწეულია პეტრე ქართველის ცხოვრების სვინაქსარული რედაქციები. რომელთა წყაროები ქართული სვინაქსარების გამოცემულს ზუსტად აქვს ნაჩვენებო. ეს წყაროა „ქ. ცხ." ჩანართები. ეს ჩანს თუნდაც იქიდან, რომ მეორე სვინაქსარული ცხოვრების ტექსტი პეტრე იბერიელისა („ამასვე დღესა წმიდისა მამისა ჩუენისა პეტრე ქართველისა"), რომელიც სულ 6 მცირე აბზაცს შეიცავს, თავდება ასე:

„რამეთუ იყო დიდი და წმიდა წინაშე ღმერთისა და მოღუაწე, რომელ არავინ იყო შემძლებელ კეთილის-მოქმედებისა ქებად მისსა, გარნა გრიგოლ დიოლოლი, რომელიც

მელსა აღუწერია ქება მისი წინააღმდეგ თვისსა".¹

ეს პასუხი — ქ. ცხ.-ის მთელი ჩანართი განმეორება.

ამიტომ გამოცემული მართალია, როცა აღნიშნავს, რომ სვინაქსარული რედაქციის ეს ცნობა (რომ გრიგოლ დიოლოლოსმა დასწერა პეტრეს „ქება") „ქ. ცხ.-ის ნუსხებიდან მომდინარეობს და „მასში ვახტანგ VI მიერ შექმნილი მეცნიერ კაცთა კომისიის მიერ უნდა იყოს შეტანილი, როგორც სხვა მრავალი ჩანამატები" და რომ

„ეს შეცდომა ექვთიმე მთაწმიდილიდან მომდინარეობს, რომელმაც გრიგოლ რომთა პაპის ეს თხზულება — „დილოგონი" თარგმნა. ამ თხზულებაში მოხსენებული პეტრე იბერიელი, ან ესპანელი, მას ქართველად უქცევია: „მონაზონი ვინმე იყო სახელით პეტრე ნათესაური ქართველი... და იგი მოგვიბრუნდა ცხოვრებისაჲს თვისისა უმანყოფ, ვითარმედ: ვიყავ ჩაა ქუეყანასა ქართლისასა" (ქ. ცეცელიძე I, 180, 1951)

აქედან ეს ცნობა როგორც ვნახეთ, „ქართლის ცხოვრების" ჩანამატშიც შესულია და ეს პეტრე იბერიელი-ესპანელი პეტრე ქართველთან გაუთვრებიათ. პეტრეს სვინაქსარული ცხოვრების II რედაქციასაც უსარგებელია ამ ცნობით და გრიგოლის მიერ პეტრე იბერიელის (ქართველის) ქების აღწერა მასაც სარწმუნო ფაქტად მიიჩნევია" (ვექ. 196).

ე. ჰონიგშანიც საკანგებოდ აღრთხილებს შეთხვევს, რომ ქართველ პეტრედ არ შეიძლება მიჩნეულ იქნას

«Так же и монах Petrus ex regione Iberiae (Грузия? Испания?), который согласно папы Григория Великого, якобы возвратился из пренеподней. (Gregorius M., Dialogi, IV, 36, в PL, т. 77, кол. 381В, 384 А; издание Umberto Moricca (Рим, 1924), стр. 285 (ე. ჰონიგშანი, 28, სქოლიო 3).

ამის შემდეგ დავებრუნდეთ ნ. მარის სხვა მოსაზრებებს „პეტრე ივერის ცხოვრების" შესახებ ნ. მარის თარგმნილ რედაქციებში. პეტრე ივერის „ცხოვრების" მარნაის მის მიერ მოღებულ ტექსტის თავებად დაყოფის შესაბამისად. „წინასიტყვაობაში" მოცემულია ცნობები, რომელთაც შემდგომი მეცნიერანი ხშირად იმეორებენ. ასე, ნ. მარსა აღნიშნა (ცრიუგერის დეკრეტონი) რომ ევგარი დამოკიდებულია პეტრეს ბიოგრაფ ზაქარია მიტილენელის ავტორს. რომ სირიულ წყაროებს მიეყრდნობა მიქელ ასტრის „ისტორია"-ც (VIII). აღსანიშნავია, რომ ნ. მარს

¹ იქვე, გვ. 384. (სერიაში: ძველ ქარ. ავტორგრაფიული ძეგლები. წიგნი IV, თბ. 1968).

¹ ეს საციობები კარგადაა გაშუქებული ნ. ალექსიძის ნაშრომში „ეპისტოლე ეთა წიგნი" (თბ., 1968). კიროს ქართული (ქართლელი), რომელიც ძველ წყაროებში ცნობილია აგრეთვე კიროს სკეტრელის სახელით, რადგან იგი წავახეთის ამავე სახელწოდების სოფლიდან ყოფილა, ფართო მასშტაბის მოღვაწედ გვევლინება. მისი ლიტ. მემკვიდრეობა შემორჩენილია სიბჭურად. აღნიშნული ნაშრომის მეორე ნაწილი, რომელიც კიროს ქართლის კათალიკოსის აღმკვეთკასთან და კიროს ფაზისელთან შინა იღვწიფიკაცის ეხება — არაერთი დავიარეებითაა შლიდარი.
² „სვინაქსარული რედაქციები" (XI-XVII სს.). ენციკლოპედიაში შეიქმნის რედ. გვ. 194.



რისათვის მაშინ უცნობი ყოფილა სომხური წყაროები პეტრე იზერიელზე (გვ. X), მაგ. იოანე რუფუსის „პლეტოტოგოიებიის“ სომხური თარგმანი XIV საუკუნისა (ლ. მელიქიეთ-შევი). მისი აზრით ძველად არც ქართველებს სცოდნიათ პეტრეს ენობის შესახებ რაიმე (ჩვენი მატარებელი კრებულის პირველი რედაქციები პეტრეზე არავითარ ცნობებს არ შეიცავს (გვ. XII), ხოლო ვახტანგის კოპისიის მიერ გამოცემულ ჭ. ცხ-ში დაცული ჩანაწერები თითქოს მომდინარეობენ (?) სვინაქსარებიდან (გვ. XII). ნ. მარს არც დაეწინაა რომ მივითვინა — ვახტანგის ბრძანებით თბილისში 1716 წელს დაბეჭდილ „ეპიმე“ იხსენიება „წმინდა პეტრე მიამის ეპისკოპოსი“-ო და მივითვინებ წყაროზე, ბ. იოსელიანის წიგნზე Жизнь и ошисание... 1850 (XIII). ამ ცნობას იმეორებს ე. პონიშვანი (გვ. 68).

საერთოდ მთელს წინასიტყვაობას ახასიათებს წყაროებისადმი დიდი უფრადლება, ხოლო მათი დასახელებისას — იშვიათი სიზუსტე. ამ მხრივ დამახასიათებელია ნ. მარის სიტყვები:

«Грузиноведлы почти все более или менее касались предмета настоящей работы, так особенно П. Иоселиан (op. c., стр. 13—14), Броссе (op. c., стр. 7—8, 136—139), проф. Чагаевы (op. c., стр. 33—36)», (XIV);

ნ. მარს იქვე უმატებს — „რამდენადღე ჩემთვის ცნობილია“ ისინი არ შეშვებიათ „ცხოვრების“ ორი რედაქციის არსებობასო. (XIV). ეს მართალია, ნ. მარის გამოცემის შემდეგ ვახდა ცნობილი „ცხოვრების“ ორი რედაქციის — **ვრცელისა და შემოკლებულის** — არსებობა.

მარის განქარგვლებამა ყოფილა „ცხოვრების“ XVI ს. ხელნაწერები (XIV). თვითონ ძველს ნ. მარს ათარიღებს — ენობრივ-ლექსიკური და სხვა მონაცემების საფუძველზე — XIII-XIV ს-ით (გვ. XXI).

მაშასადამე, „ცხოვრებას“ ჩვენამდე მოღწევია ორი რედაქციით: ვრცელით და შემოკლებულით. შემოკლებული რედაქცია, რომელიც ვრცელისაგან მომდინარეობს, უფრო ახალა და ნ. მარის მართებული შენიშვნით, „როგორც ხელნაწერი, არავითარ ინტერესს არ წარმოადგენს“ (XV). ვრცელის შესახებ კი ნ. მარს ამბობს:

«Другой список (1) пространной редакциии — полон, но, к сожалению обработан левшим протоиереем Павлом, из записки которого... мы привели все существенное... (XV). (მაზგასმა ჩვენია, ა. გ.)

ნ. მარს მოყავს შემოკლებული რუსული თარგმანი ამ „კონზე ხუტეს ჰავლეს“ ანდერძისა, რომლის ქართული დედანი მის გამოცემაში დართული აქვს „ცხოვრებას“. ჩვენ ის აქ მოკლავს სრულად (გვ. 53-54):

„ანდერძი მმართველისა“

წმინდანო ლუთისანო დაქმნილნი ლეგატო-შემოსილო, თუკია არა ჰქონს... ვახტანგ ქრისტეს მცენებათა (sic) და ლოცუა ჰყავთ ჩემთვისა პაველ ხუტისა და დეკანოზისა. დალადავ წერა არა ვიცოდი, არამედ გულს მოღვინება ფრიად მაქუნდა. ლუთისა სახელითა ვიტყვი და მანვე მხოლოდმან ღმერთმან უწყის, თუ რა კირი მინახავს ამის წმიდისა და ოქროვანისა და მნათობისა ჩქმნისა ცხოვრებისა წერასა, და ნუ შემიწუხდებით, ვაჟამიერადლება შესავალითა და სასწაულთა მიწევებითა და ბოლოს კეთილად დასრულებითა, რამეთუ მე დიდად ეღუწნურ ვარ და ვიყავ, მაგრა რომლისა დედნისაგან ეწერდი, არ ვიცი, თუ რა ვიღავის დაეწერა აშლით და წინაუკრო და არცა შესავალი რა იყო და არცა დასასრული. წიგნი საეკლასიოდ საკითხავი არა აშლილო ქამს და წინაუკრო. ყოველსავე ზედს შემინდვეით ლუთისათვის და ლოცუასა წმიდასა თქმნისა მომიტყნეთ. და ვინ პირველ წარჩივთოს გულსქმია ყოფით ცხოვრება წმიდისა პეტრესი და ესეცა მან ცნას, რომელ არა ფრიად ეღუწნურებით ვიტყვი. უფალმან ღმერთმან შეოხებითა ყოვლადწმიდისა დედნისა ლუთისმოსილისათა და წმიდისა ნეტარისა პეტრესითა შეგვიწყალენ. ამინ“. (მაზგასმა ჩვენია, ა. გ.)

ამ ანდერძის გამო ნ. მარს საჯანგებოდ შენიშნავს, რომ „ჩვენივეს უფრო მნიშვნელოვანი იქნებოდა რომ „ცხოვრებას“ პირველადი, თუნდაც უწინაიროდ და ადგარად გადამსცემებულს, სახით მოღწეოთ“ და დასძენს:

«Но мы не можем не быть благодарными протоиерею Павлу за его совершенно ясные указания того, что он исправил, что внесено в Житие впервые им; это — вступление, заключение и шной порядок в повествовании чудес. Вступление... и заключение... выделяются без труда, порядок же эпизодов не имеет столь существенного значения в вопросе о первоначальном составе» (XV—XVI).

ნ. მარს აქვე მართალია, ჩვენ კვემოთ დავინახავთ, რომ „ცხოვრების“ ქართული ტექსტის ბოლოს „ზაქარია ქართველის“ ვაჩენა — ეს პაველს ნახვლავია, ხოლო ეპიზოდების თანმიმდევრობის საკითხი ირკვევა ქართული „ცხოვრების“ რააბე ტექსტთან მიმართებაში, რააბე ავტოტვე კვემოთ ვებზეთი საჯანგებოდ (თანმიმდევრობა, რასაკვირველია, შეუძლებელია დაცული იყოს გადაკეთებულ ქართულ თარგმანში).

ნ. მარს აღნიშნული აქვს, რომ მას ხელთ ჰქონდა არა ავტოგრაფი პაველ დეკანოზისა, არამედ ვეინდელი ვადანაწერი, რომელიც 1833

წელს რუსეთის აკადემიისთვის გადუშალება თბილისში პ. იოსელიანის მოწაფეს, რომელიც ძველ ქართულს, ეტყობა, ყარვად ვერ ფლობდა და ამიტომ იგი შეცდომებით ატყუებუბო; და რომ, სამწუხაროდ, პ. იოსელიანს ხელნაწერი არ გადაუთვალავრებია, სამაგვიროდ მისწვენლოვანია თითო პ. იოსელიანის მინაწერი შევქვე ფერცლის ბოლოს — იგი ვადწერილიაო «с весьма древнего подлинника» (გვ. XVI).

შემდეგ ნ. მარო ეხება «ცხოვრების» სინაქსარულ რედაქციებს, აგრეთვე თვითონ «ცხოვრების» სირიულიდან მთარგმნელ მაკარს (მესხს) და ამბობს, რომ სადღა როდის თარგმანა მაკარის იგი — ცნობილი არაა (XX). არც შეეხება ზაქარიას, ცხოვრების ავტორს (?), მისკანაც ჩვენ გვაქვს ჩანაწერი, ჩვენს მიერ უკვე თარგმნილი — წერს ნ. მარო (XXI). ჩვენ აქ მოგვყავს ყველა ადგილი («ცხოვრების» უკანასკნელი მეცნიერული გამოცემის მიხედვით), რომლებიც ფსევდო-ზაქარიას ფსევდო-აღსარებებს შეიცავენ. აი ისინიც:

შესაელოდან:

1) „რამეთუ არა სხუათაგან თბრობილსა ვინა სხუსაგან სინელისა მოქცენ ვარ აღწერად, არამედ რომელისა თუთ თუალითა მხოფედელ ვიქმენ, იგი აღწერირო, რამეთუ სიერამითან შეუდგე მე წმიდასა მას ვითარცა შვილი ერთგული, სადაცა იგი არს და სადაცა წარვალს“ (ძველი ქართული აგიოგრაფიული ძეგლები. წიგნი II. (XI-XV სს.). ილია აბულაძის ხელმძღვანელობითა და რედაქციით. თბ., 1967, გვ. 214-215; შდრ. ქრესტ., I, 257).

„ცხოვრების“ მიხედვით ეს ზაქარია დაიწვინით უსეამს ხანს, რომ იგი პეტრესთან იყო კონსტანტინოპოლში, მოწმეა მისი განსწავლისა:

„ხოლო თუ ვინმე იყოთვიდეს, თუ ვითარ მებრძულსა ბერძულ ნეტარა პეტრე, მე ვაწყო, რამეთუ ჩუენსა მას ყოფნასა კონსტანტინეპოლის ეზომ ადვილად დასწავლა მან ენა ბერძული და სწავლა, ვიდრე-და ეცვრდა ფრიად შეფესა (იგულისხმობს II. ა. გ.) და ყოველი ფილოსოფოსთა პალატისათა სიმსხულე გონებისა მისისა.“

და ეგრეთ, რაჟამს წარედით იერუსალიმში, კვალად ისწავა მუნ ენა და სწავლა აღურებრივი“. (ძვ. ქართ. აგიოგრ. ძეგლები, II, 224. შდრ. ქრესტ., I, 259).

ხოლო სი ტყუაობი დან («ცხოვრების» ბოლოს ზაქარია თავის ქართულბანუდვაც გვიმბობს შემდეგა):

„ხოლო მე, გლახკმან ზაქარია, მოწოდე მისი ქართლითაგანე, უქუენა შეუდგე წმიდასა მას ვიდრე მიცვალებულმდე მისა, ამისთვისა აღწერიე ცხოვრება მისი და სახწავლნი თუალითა ჩემითა ხილულნი და ყუ-

რითა სწენლნი, და რამეთუ თუთ იგი ნეტარი და წმიდა არს და ვუფრცხელსწმენ, ვითარცა მამა სახიერტ მტაღლქრქს მსაგე-ბელისათვს ჩუენისა, არამედ გუოწყეპუის ჩუენებთა და გამოცხადებთა ღმრთისა მიერ.“

ხოლო სასწავლითავს თუთ თუალი ჩემნი იუენეს მოწამე უბაუაედ და უწერს ქრისტემან, რომელ მრავლისაგან მტორედნი აღმწერიან და ვითარცა ზღუსაგან ვრცელისა და დიდად ვანფენილისა ნაწუეთონი ენი ოდენნი გამოიხუმან, რაათა არა სიმრავლისათვს სასწავლითასა ურწმუნოდ აღუწნდეს ვისმე მტრისა მიერ მომწინასა.

ხოლო ჩემდა ოდენ ნუ იყოფენ ტყუილი და ურწმუნობა საღმრთოსა შინა წერილთა და ცხოვრებასა შინა წმიდათასა, ვითარცა იგი პირველედ ვიქუ“ (იქვე, 262-263. შდრ. „ქრესტ.“, გვ. 272).

„ცხოვრების“ ძირითადი ტექსტი თავადვე მთარგმნელს (მაკარს) შემდეგი სიტყვებით:

„ესე ცხოვრება წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა პეტრე ქართველისაგან ამას ერთბედულსა და სანატრელსა ზაქარიას, მოწაფესა მის წმიდისა პეტრესსა, აღურებრიოთა ენითა აღწერა, ვინამთგან ფრიად მტყუნიერ ყოფილა მათსა ენასა და კუალად რამეთუ პალესტინეს აღურნი მრავალ არიან და დიდად და უფროასად ქალაქსა მათომისასა, სადა-იგი წმიდაი პეტრე მდდელთ-მოძღურობდა.“

ხოლო მე გლახკმან მაკარო ხუცესმან მესმან ვარდამოვთარგმნე ქართულად აღურთა ენისაგან, რამეთუ მესა მეცნიერ ვიყუე მათსა ენასა თქუენითა მადლითა, და ლოცუა ყუთი ჩემ ყოდელისათვს, წმინდანი ღმრთისანო, რომელთაცა აღმოიკითხოთ და ისმინოთ. ამენ“. (ძვ. ქართ. აგიოგრ. ძეგლები, II, გვ. 263; შდრ. ქრესტ., I, 256 და ყოთა ყველაგან ჩუენია. ა. გ.).

პულე დეკანოზის ანდერძი მხოლოდ ნ. მარის გამოცემაშია დაბეჭდილი.

„ზაქარია ქართველის“ მიერ პირველი პირით თბრობა თავისთავზე, ერთი შეხედვით მას რველერ პირიენებად აქვეეს, ისეთად მიიხსენეს მას ნ. მაროც, თუმცა, როგორც დაეინახათ, ბოლოს მის მსჯელობაში სეკსისიცი იტრება ნ. მარო იმედ დროს პირველი მეცნიერია, რომელმაც უნდობლობა გამოუცხადა პავლეს მიერ ნატარებულ მანიპულაციებს მაკარის ტექსტზე და თვით „ზაქარია ქართველის“ რეაღმობს!

ნ. მარის „წინასიტყვაობის“ ყველაზე სუსტ მხარეს წარმოადგენს, სამწუხაროდ, R. Raabe-ის მიერ გამოცემული „პეტრეს ცხოვრების“ სირი-

ელი ტექსტი (პეტრეულად თარგმნილისა და მანინ ანონიმის თხზულებად შინეულს) შედარება მაკარის „თარგმანთან“ (XXI-XXVII). ამასთან არ მართლდება ზოგიერთი მისი დასკვნებიც, სადა იგი წერსუბას იჩენს, რაც ვასაკეიძის ახაა 1896 წლისათვის, როცა ანონიმის ნამდვილი ვინაობა ჭერ კიდევ არ იყო ცნობილი.

ჩაბუხს მიხედვით, მის მიერ გამოცემული სირიული ტექსტის ავტორი ჭერ კიდევ ვეაგრეს ღროს (536-593) უცნობი უყოფლა. აშკარა იყო მხოლოდ რომ ასურელი „ცხოვრება“ დაწერილია პეტრეს მოწაფის მიერ ქ. შაიუში V ს-ის დასასრულს ან VI ს. დასაწყისს. (გვ. XXII). ტექსტისა და ვერმ. თარგმანის მიხედვით ნ. მარის შენიშვნავს: ანონიმო ჭერ ამბობს რომ „ეინც ამს წერს... მას მოესმენია თვითონ წმინდანისაგან“ (ესაა პირველი პირით ნათქვამი). ნ. მარის აზრით, ანონიმო შეშედე, ჩანს, აფროზილებს შეითხველს — ჩასაც აწი ვიტყვი. ვიტყვი არს როგორც მე, თვითმხილველი. არამედ ნამდვილი თვითმხილველის პირით; ამჟამად, როცა ცნობილია ანონიმის ნამდვილი ვინაობა (იგი პეტრეს მოწაფე და მათემის საეპისკოპოსო ტახტზე მისი შემცველად იმან რუფუსია, ა. გ.) ნ. მარის მტკიცებანი ასურული ცხოვრების ავტორის ვინაობაზე — საფუძველს მოკლებულია. უფრო შინაგულგანა შეცნობის დაკარგვებანი თვითონ სირიულ და ქართულ ტექსტებზე.

«...сирийский текст Анонима, разумеется, не может быть подлинником грузинского перевода, но это, конечно, не исключает возможности, чтобы у них было много общего. И, действительно, минуя объем, сходство на первый взгляд такое разительное, что в пору принять грузинский текст за извлечение из сирийского Жития Анонима. Указывать на сходства излишне (?); напротив, мы отметим разногласия, и то те, которые делают невероятною (?) зависимость нашего грузинского перевода от изданного P. Raabe сирийского текста» (გვ. XXIII).

ნ. მარი აქ არაა თანამედვერული. „ცხოვრების“ პირველ გამოცემეულს ყველაზე უკეთ მოცხებნებოდა, რომ განსხვავებათა დადგენას, შე-

იძლება ითქვას, გადამწვეტი მიწვენილობა აქვს დაწველო პრობლემის გარკვევის ფაქტსაზრისით. განსხვავებანი მოსალოდნელი უყოფი პავლე ზუციუსის ანდერძის მიხედვით უყოფი, რომ „ცხოვრება“ სწორად მის მიერაა „გაგარცელებული“, მასვე ჩაუმატებია ადგილები მაკარის თარგმანში, შეუცვლია ადგილთა თანმიმდევრობა, დაურთავს შესავალი და ბოლოსიტყვაობა, სადაც ფსევდო-ზაქარია თავის ქართველობაზე გვიამბობს, მიუშატებია სასწავლებლი და ა. შ. ეს ფაქტი თავისთავად განსხვავებების არსებობის მაწვენილია და რაც მთავარია—ქართულ „ცხოვრებაში“ პეტრე გველინება ქალკედონისტად, რაც შეუძლებელია მონოფიზიტ პეტრეს მოწაფის „ფსევდო-ზაქარია“ (ისიც ხომ მონოფიზიტი უნდა უყოფიყო) ასურულად დაწერილ ორიგინალში უყოფიყო. ამასთან — ტექსტის თანმიმდევრობა ხომ პავლეს მიერაა „მოწესრიგებული“ (მას ფურცლებამილი ტექსტი ჩაეარდნია ხელთ)?

რა თქმა უნდა, ნ. მარის ყველაფერი ეს გათვალისწინებული აქვს (გვ. XXIV), მაგრამ იგი ცდილობს — თავის მტკიცებებს პირველს სტადაზე მაინც — ტექსტის ყალბი ადგილების ავთენტრობა: დამოკიცოს. ასე, ქალკედონიანობისადმი პეტრეს დამოკიდებულების ასახვა მაკარის ტექსტში (რომელიც პავლეს მიერაა „რედაქტირებული“), ნ. მარის მიერ ასეა დახასიათებული:

«Одно видение [Петра], касается противников Халкедонского собора, и оно в грузинском переводе получает странное назначение уяснить Петру правоту халкедонитов». (გვ. XXIV. ხაზგასმა ჩვენი. ა. გ.) ნ. მარის ამ „უცნაურ“ ფაქტს არ უნდა გაეკვირვებინა.

ბ. მარის ასეცნის:

«Словом, отсутствие в грузинском Житие Петра фактов, изображающих его деятельным участником в движении из-за Халкедонского собора, могут объяснять тем, что в сирийском тексте, оригинале грузинского (?), эта сторона деятельности Петра была разработана в духе неприязненного православию» (გვ. XXIV).

¹ R. Raabe. Petrus der Iberer. Leipzig, 1895. ესაა „ანონიმის“ ბერძნული (დაკარგული) ტექსტის სირიული ტექსტის გამოცემა ვერმანელ თარგმანითურთ, ანონიმის ვინაობა ვასაკეიძის 1912 წელს უდ. შუარტციმა (მის შრომას ვასახელებთ ამ გამოკვლევის პირველი გვერდის პირველსავე შენიშვნაში). ჩაბუხს წინეთი სარგებლობა კი ჩვენ გაგვიადვილა ავალს მონ უაფხინი შვილიშა, რისთვისაც გულითად მადლობას მოვასხენებ.

ვ. ი. მიხედვად იმისა, რომ, ნ. მარის მტკიცებების თანახმად, „ანონიმის“ თხზულების ასურული თარგმანი იმდენად ახლოსაა ქართულ „თარგმანთან“, რომ ეს უკანასკნელი შეიძლება „ზოგჯერ ანონიმის სირიული ცხოვრებიდან გამოკრებულ ტექსტად მივიჩნიოთ“, ხოლო მეორეს მხრივ — განსხვავებები მიუთითებენ იმაზე, რომ უყოფლა მეორე ტექსტი, „ქართული სირიული ორიგინალი“ (7). სადაც პეტრე ანტიქალკედონისტად იყო გამოყვანილი და თხზულებ-

მა („ორიგინალი“) საერთოდ „დამუშავებული ეოლდა“ «В духе, неприязненным православию». ჩასაყირველია ეს უნდა გაეკეთებია „ზაქარია ქართველს“, მონოფიზიტ პეტრეს უერთგულეს მოწაფეს ასურულად. მაიუმში და იმ წრეში, რომელიც მონოფიზიტებისგან შედგებოდა და სადაც ასეთი რამ მონოფიზიტ-ადემტისაგან დასაშვები კი არა, აუცილებელიც იყო. მაგრამ „არაერთი ასურული ორიგინალი „ზაქარია ქართველისა“ არ არსებობდა, რადგან მისი ავტორი არ არსებობდა.

ერთი სიტყვით: პეტრეს მონოფიზიტ მოწაფისაგან ქალედეონისტობის თუნდაც ოდნავი გამართლება — გამორიცხულია. ამასთან, ქვემოთ დაეინახეთ, რომ ქართული „ცხოვრების“ სირიული ორიგინალი — „ანონიმის“ თხზულებაა მხოლოდ, ხოლო ამ ანონიმის ნამდვილი ავტორიც ცნობილია: იგია არა ფიციტორი „ზაქარია ქართველი“, არამედ... იოანე რუფინი, კეშმარიტი მონოფიზიტი (ეღ. შვარტიც).

ნ. მარის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ იგი ბოლოსდაბოლოს თვითონვე ანგრევს თავის ჰიპოთეზას:

«С другой стороны можно объяснить тенденциозностью грузинского православного переводчика и то обстоятельство, что рукоположение Петра и Иоанна во священники совершается верусалимским патриархом Анастасием... чему между прочим противоречат хронологические данные... тогда как у монофизита Анонима (стр. 50—51) это событие в жизни святого излагается совершенно иначе» (XXIV — XXV; დაყოფა ყველგან ჩვენია, ა. გ.).

ამ კი ყველაფერი თავის ადგილზეა. ამასთან — ნ. მარის კარგად გეოსნის შვარციის თუ პაულუს მუშაობის მეთოდს, გასაგებია ისიც, თუ რატომ უნდას გვერდს ქართველი „მთარგმნელი“ „ანონიმის“ სირიულ ტექსტში გადმოკეწულ თეოლოგიურ ადგილებს: XIII თუ XIV-XV ს-ის ქართველი საეკლესიო მოღვაწეები (შვარცი და პაულუს) ანტიმონოფიზიტური“ (მონოფიზიტური) იდეების პროპაგანდისტები ვერ იქნებოდნენ მათ თავისებურად „გაწმინდეს“ ტექსტს თავისებურად შეავსეს იგი, ამიტომ ნ. მარის არ უნდა გაეკვირვებოდა ის, რომ

«H в оставшейся части грузинский и сиринский тексты далеко не вполне покрывают друг друга» (XVI, ხაზგასმა ჩვენია, ა. გ.)

თუ რატომ არ ემთხვევიან მოლიანად სირიული და ქართული ტექსტები — ეს თავისთავად გასაგებია!

ამის შემდეგ ნ. მარის ჩამოთვლის ორი ტექსტის (სირიულისა და ქართულის) შეუთანხმებლობის მაგალითებს, რომლებიც საყვედროთ მო-

სალოდნელია, რადგან შვარციის „მთარგმანი“ არ შეიძლება ეოლიუი „ანონიმის“ სირიული ტექსტის ადეკვატური არც რელიგიურ ასპექტში, არც ცალკეული ენოლოგიის თანმიმდევრობის ანოლოგიური დამოხვევის თვალსაზრისით. ამ მოვლენას იქვს თავისი ახსნა, რაზედაც ქვემოთ ვიტყვით. დამაწყრებელი არაა იმ აზრის დასაბუთება (ტექსტისადმი ლინგვისტური მიდგომით), თითქოს

«наданный Рихардом Раабе текст опять-таки не есть тот подлинник, который предлежал грузинскому переводчику Микару» (XXXI).

ნ. მარის ყველა ამ საბუთებთან შედარებით უმარატესობას ანიჭებს ერთ არგუმენტს, სახელდობრ: ქართული „ცხოვრების“ ავტორი „ზაქარია ქართველი“ წმინდა ესაიას გამო წერს, რომ მას საგანგებოდ აღუწერია ავრთვედ ამ ესაიას (ასურის) ცხოვრება, ხოლო ანონიმის ტექსტში (რახებს გამოცემაში), სადაც ავრთვედ ბეგრია თქმული ამ ესაიას შესახებ, ავტორს („ანონიმს“) სიტყვაც არ აქვს თქმული იმაზე, რომ მას დაწერილი ჰქონია ესაიას „ცხოვრება“. პირიქით, ასეთი საქმისთვის იგი თითქოს მოწოდებული არც იყო („შორის იდეა ამისგან“) (გვ. XXXI).

ნ. მარის ამ უნინუნის საფუძველზე წოვიერთმა ქართველმა მკვლევარმა ის დასკვნა გამოიტანა, თითქოს „ზაქარია ქართველს“ ორი თხზულება ჰქონია დაწერილი ასირიულ ენაზე — „პეტრეს ცხოვრება“ და „ესაია ასურის ცხოვრება“.

რა გვეთქმის ყოველზე ამის გამო?
1. რახებს გამოცემული ტექსტის ავტორის ნამდვილი ენაობა, როგორც უკვე ვიცით, გამორაკია ეღ. შვარციად 1912 წელს — იგი იოანე რუფინის და მას კიდევ ჰქონია დაწერილი თხზულება („ალფირფორიები“), რომელმაც ჩვენამდე მოაღწია. ასე რომ მწერლობისგან იგი „შორის არ იდეა“!

2. „პეტრეს ცხოვრება“ და „ესაია ასურის ცხოვრება“ დაწერილი ჰქონდა არა ფხედლო-ზაქარია ქართველს, არამედ პეტრე იბერელის მოწაფე ზაქარია რატორს (ორივე ბერძენულად არსებობდა მათი სირიული თარგმანები, მეორეს ჩვენამდეც მოუღწევია). წინააღმდეგ შემთხვევაში კარგი სურათი გვექნებოდა: მაიუმში ორ ზაქარიას უწერია მასწავლებლისა და მისი ერთგული თანამოღვაწის ესაიას ბოგრაფიები — ერთს ბერძნულად, მეორეს კი — სირიულად. ოღონდ — ზაქარია რატორის ბერძნული თხზულებების სირიულ თარგმანთა არსებობა დადასტურებულია. „ზაქარია ქართველისა“ კი (ასურული) — არა!

3. მარის უკანასკნელი და „გადაწყვეტი“ არგუმენტაცია არამარტორი აღმოჩნდა. ამას მოსდევს მკვლევრის შემდეგი მტკიცება (რომელსაც სხვე-

ბი იმეორებენ, აგრეთვე სწორად ნ. მარის დაუსახელებლად, გარდა ივ. ჯავახიშვილისა):

«Из всего предпосланного явствует, что сирийский текст Жития Петра, принадлежащий Анониму, не есть подлинник изданного нами грузинского текста, и, следовательно, на сирийском языке существовало и, быть может, где-либо и ныне имеется другое Житие Петра, составленное современным святого и автором Жития Исаяи, носившем имя Захария» (XXXI—XXXII. ხაზვასმა ჩვენია. ა. გ.)

ეს მოსაზრება არა თუ დამაჯერებელი არაა, არამედ — პეტრე იბერიელზე თანამედროვე მეცნიერული ცნობების ფონზე — აშკარად მდარია და განვლილ ეტაპად უნდა ჩაითვალოს. ეს რომ ასეა, ჩანს შემდეგი მაგალითიდან.

ნ. მარი ამაოდ ეძებს „ზაქარია ქართველის“ „სირიული თხზულების“ დედანს (ორიგინალს). ამ მხრივ დამახასიათებელია შემდეგი არგუმენტი ნ. მარისა (რომელზედაც ზოგადად ზემოთ უკვე ვთქვით):

«...в сирийском тексте Жития Севера Антиохийского (рп. Берлинской королевской библиотеки, № 321 der Sachau'shen Sammlung, JI., 127a, по Raabe, Einl., стр. 7) автор Захария дает следующее чрезвычайное интересное указание:

«Я описал добродетели богоносных людей — Петра Ивера и великого подвижника Исаяи, египтянина, так как оба эти мужа, живя в Палестине, стяжали великую славу среди злех христиан».

Повидному, в этом Захария, написавшем между прочим Жития Петра и Исаяи, мы имеем автора сирийского текста, переведенного священником Макаром на грузинский язык, так как и он носил имя Захария, и он был автором Жития Петра и Исаяи. Против этой видимости стоит то, что по сирийским источникам (Raabe Einl., стр. 8), Захария не был учеником Петра, всюду сопровождавшим его, и был из приморского местечка Газы, т. е. Майумы» (XXXII — XXXIII).

სამწუხაროდ, ნ. მარი აქ მხოლოდ შეეცდომებას უშვებს. ეს იქიდან ჩანს, რომ „სხვედრე ანტიოქელის ცხოვრების“ ნამდვილი ავტორი ბერძენი ზაქარია მიტილენელი (რიტორი), ავტორი აგრეთვე პეტრესა და ისაიას „ცხოვრებათა“ (ეს დავას არ იწვევს) — არ შეიძლება ყოფილიყო მაკარიან მიერ თარგმნილი ტექსტის სირიული ორიგინალის ავტორი. მაკარიის ძირითადად უთა-

რგმნია „ანონიმის“ (ე. ი. რუფუსის) პეტრეს „ცხოვრების“ ბერძნულიდან სირიულ ენაზე თარგმნილი ტექსტი ამრიგად — მაკარიის ტექსტის „ზაქარია ქართველი“ — ფიქტიური ორიგინალია ზაქარია რიტორისა. ეს ბერძენი ბიოგრაფი პეტრესი მიტილენის ეპისკოპოსად მასწავლებლის სიკელიოს შემდეგ იქმნა არჩეული. რაც შეეხება ცდას (რაც ნ. მარის ზოგად კონცეფციასთან შეუთანხმებელია) რააბეს მიერ გამოცემული „ანონიმური“ ტექსტის ავტორად „ზაქარია ქართველი“ ვცნობ (ორ ტექსტს შორის „განსხვავებათა“ სერიის აღნიშვნის შემდეგაც!!!) — ამგვარად ასეთი მოსაზრება მხოლოდ გაუგებრობად უნდა ჩაითვალოს: როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, რააბეს სირიული ტექსტის ავტორი 1912 წლიდან უკვე ცნობილია — იგი პეტრეს მოწაფეს იოანე რუფუსის კალამს ეკუთვნის. ამრიგად ნ. მარის „პოვიდნომო“-ს საფუძველი არ აქვს.

ასეთი ფაქტების ვითარებისწინების შემდეგ მნიშვნელობა ეკარგება რააბეს ტექსტის ონომასტიკონის ანალიზს (XXV) და უფრო წერტილშიან არგუმენტებს.

მაგრამ, მიუხედავად ასეთი პიპოტურტი მსჯელობებისა, ვარაუდებისა და მახვილი ლინგვისტური ანალიზისა, ნ. მარი მინც გრძნობს, რომ მაკარიის „ცხოვრებაში“ პავლეს მინიპულაციების შედეგად ყველაფერი წესრიგში ვერაა, და რომ „ზაქარია ქართველიც“ შეიძლება ამ პავლეს გამოჩაგონი იყოს. ნ. მარი არ იქნებოდა დიდი ფილოლოგოსი, რომ ეს მას არ შეემჩნია. მართლაც და, იგი წერს:

«Мы даем все эти объяснения лишь как возможности, так как в наших руках нет грузинского перевода Жития в первоначальном виде, и возможно, что некоторые подробности об авторе Захария впервые внесены позднейшим исправителем — прот. Павлом, или еще раньше автор искомого сирийского подлинника был обращен в грузина самим переводчиком» (XXXIII. ხაზვასმა ჩვენია. ა. გ.).

ნ. მარი აქ ისევ თავისი ღრმა მეცნიერული ინტუიციის სიმაღლეზე დგას! ერთია ოღონდ — შედგენილია „возможно“ და ვაუშარტლებელია მაკარიისადმი ბრალდება — შეიძლება პავლემ ეს არა, მან (მაკარიმ) „აქცია (ზაქარია) ქართველიც“. ფიქტიური ზაქარია თავის ქართველობაზე პეკება სწორედ იმ შესავალსა და პოლიოსტიკვაობაში, რომლებიც პავლე ზუცესმა შეთანა „ცხოვრებაში“ და რასაც იგი (პავლე) თვითონვე აღნიშნავს ანდერში. ამიტომ — ჩვენ ხელთ რომ გვექონდეს მაკარიის თარგმანის დედანი, იქ არავითარი „ზაქარია ქართველის“ ხსენება არ იქნებოდა. ამაში აბსოლუტურად დარწმუნებულნი უნდა ვიყოთ. ფალსიფიკაციაში დამანაშავი პავლე და არა მაკარი!

ნ. მარის ყველაფერს ამას ჩინებულად გრძნობს და ამიტომ მისი მსჯელობის ფინალი შესაფერისად ელერს:

«Конечно, пока нет возможности привести убедительные доводы в подтверждение того, что Захария, автор сирийского Жития, был грузин, как это явствует из грузинского перевода, и вообще вопрос этот пока преждевременен» (XXXIV — XXXV).

სამწუხაროდ და საედალოდ ნ. მარის ამ გაფრთხილებას არავინ (ვარც კ. კეკელიძისა) ათხოვს უფრო მეტიც — მისი თავდაპირველი პიპოთეზა „ქართულ ზაქარიაზე“ ახალი ზღაპრებით განაგრევს. მხოლოდ კ. კეკელიძე შეიხსნა ნ. მარის შეიკრ, სექსტიკურ თვალსაზრისს (ეპიპოთ — „მითაზლოდაო“, იმიტომ, რომ პავლეს დანაშაული მან მხოლოდ მაყარის გადაბარალა).

როგორ დავსაყაროთ „ზაქარია ქართული“ — საკითხი კ. კეკელიძესთან? იგი წერს:

„პეტრეს ცხოვრება შეხუთე საუკუნის გასულს თუ შეექნეს დამდევს აუწერია, თუ ქართულ ვერსიას დავუჯერებთ, მის მოწაფეს და თანამშლებელს ზაქარიას, ქართველს, ასურულ ენაზე (ცხოვრება, გვ. 2-3), ხოლო ქართულად უთარგმნია — გადმოუკეთებია ვიღაც მღვდელს მ ა კ ა რ ი ს. ამის შესახებ ც ხ ვ რ ე ბ ა შ ი ნ ა თ ე ქ ა მ ი ა: „ესე ცხოვრება წმიდისა და ნეტარისა მამისა ზენონისა პეტრე ქართველისა ანს კერძოებულსა ზაქარიას, მოწაფეს მის წმიდისა პეტრესისა, ასურებრითა აღუწერია, ვინაჲდან ფრიად შეცნიერ უოფილა მათსა ენასა და კუალად რამეთუ პალესტინეს ასურნი მრავალნი არიან და დიდ და უფროსად ქალქსა მათსა, სადაცა იგი წმიდა პეტრე მღვდელმოძღვრობდა. ხოლო მე, გლახკმან მაყარ ხუცესმან, გადმოვთარგმნე ქართულად ასურთა ენისაგან, რამეთუ ფრიად შეცნიერ ვიყავ მეცა მათსა ენასა“ (ქართ. ლტ. ისტ. 12, 1941, გვ. 310. ხაზგასმად ზენონა. ა. გ.).

იქვე გვერდზე № 1 შენიშვნაში თქმულია:

„1. ნამდვილად კ. ზაქარია რიტორის, იხიას და სვეტროს ანტიოქიის ცხოვრებისა და ცნობილი „საეკლესიო ისტორიის“ ავტორის, დაუწერია ბერძნულად პეტრე მათემელის ცხოვრება: ეს ბერძნული „ცხოვრება“ არ შენაშუა, დარჩენილა მხოლოდ ფრაგმენტები ასურული თარგმანისა, იმ თარგმანისა, რომელიც სასურველად უდევს ქართულ ვერსიას“ (კ. კეკელიძე, იქვე, გვ. 173-178. ავტორი მიუთითებს თავის წერილზე: „ქართული კულტურის ორი დღესასწაული“ — „მნათობი“, 1920, № 7, გვ. 148)“ (ქ. ლ. ისტ. I, 310).

კ. კეკელიძის ეს შეხედულება მხოლოდ ნაწილობრივ არის გასაზიარებელი „მარტირიკის“ კლასიკოს ზაქარია რიტორის ბერძნულად დაწერილი „პეტრეს ცხოვრების“ (დაკარგულია) ასურული თარგმანის (ავრთველ დაკარგულია) არ არსებულ ფრაგმენტები კი არ უდევს საფუძვლად, არამედ (როგორც ეს ქვემოთ უნებდა იქნება ვარკვეული) ძირითადად რაიანს მიერ დაბეჭდილი ტექსტი, პეტრეს მოწაფის იოანე რუფუსის ბერძნული „პეტრეს ცხოვრების“ (ორიგინალი დაკარგულია) სირიული თარგმანი, დიდხანს ანონიმის ნაწარმოებად მიჩნეული. ზაქარია რიტორის ნაწარმოების ასურული თარგმანის მხოლოდ რამდენიმე სტრიქონია შემორჩენილი (ე. პონიგმანი), და არა „ფრაგმენტები“, რომლებიც ბუნებაში არ არსებობენ. მეორეს მხრით, კ. კეკელიძე მართალია, როცა მაყარისეული „ცხოვრების“ ტექსტში (და არა პავლეს ჩანარებში) მოხსენებულ ზაქარიაში ვარაუდობს ზაქარია რიტორის, ისიასა და სვეტროს ანტიოქიელის „ცხოვრებათა“ ავტორის, რომელთა ასურული თარგმანების არსებობა მაყარის სეკულნიკს იქიდან ზნს, რომ ქართულ „ცხოვრებაში“ ზაქარია ანონიმს — „ესიას ცხოვრებას“ აღმოუწერიაო. ეს ხიტყვები პერიფრაზია ზაქარია რიტორის იმ ხიტყვებისა, რომელიც ნ. მარს მოპყავს (იხ. ზემოთ), თუმცა ნ. მარს აქედან სულსხვა, მდებარი დასკვნა, გამოქონდა.

კ. კეკელიძეს თავის მსჯელობის დროს ლოგიკურად უნდა დაესკვნა, რომ „ზაქარია ქართული“ — ზაქარია მიტილენელის (რიტორის) ფიციკური ორეულია. 1941 წელს მას ასეთი ლოგიკური დასკვნა არ ვაუკეთებია (რომ „ზაქარია ქართული“ გამოგონილი პირია). ნიკო მარის სექსტიკოსმა კი შეეძლო მისი დაკვირება უფრო გაეღრმავებინა. მაგრამ 1951 წელს თავის „ქ. ლტ. ისტორიის“ შესაშვ გამოცემაში კ. კეკელიძემ განმეორებით დაბეჭდა ზემოთ მოტანილი შენიშვნა და აშკარად კი ლოგიკურად დაამთავრა იგი შემდეგი ფრაზით: „ზაქარია რიტორი მაყარის ზაქარია ქართველად უქცეოა“ (გვ. 316. ზუსტად იგივეა განმეორებული „ქ. ლტ. ისტორიის“ შესაშვ, 1960 წლის გამოცემაში, გვ. 334).¹ მიუხედავად სიმართლესთან მიახლოებისა, ეს ფრაზაც მოითხოვს კორექტურს: 1. ზაქარია რიტორი „ზაქარია ქართველად უქცეოა“ არა მაყარის, არამედ პავლეს. 2. დიდი მეცნიერის კატეგორიული განცხადება არაა სათანადოდ დასაბუთებული.

ახლა თუ იხე, თანდათან ირკვევა, რომ მაყარისეულ „ცხოვრებაში“ „ზაქარია ქართული“ ლამაზობს როგორც არა მარტო „პეტრეს ცხოვრების“ ავტორი, არამედ როგორც „ესიას-

¹ ეს ფრაზა არ ისმის კ. კეკელიძის წერილში დიონისე არეოპაგელი და პეტრე იბერიელი“ („გეტრიულები“... 1960, ტ. VI, გვ. 237).

ცხოვრების" აღმწერიც. ასეთ ავტორად კი მეცნიერებამ იცის მხოლოდ ერთი პირი — ბერძენი ზაქარია რიკორა.

კ. კეკელიძის აზრით, პავლეს იმპრომ გავრცელებიან „ცხოვრება“, რომ „დედანი, რომელიდანაც იგი წერდა აშლილი იყო და უთავბოლო უყოფილა, საეკლესიოად საკითხავი წიგნი კი „არა აშლილი ქაშო“ (12, 310). და განაგრძობს: „...პავლეს უნდა ეკუთვნოდეს წიგნი და ბოლოსიტყვაობა (თ. 1 და 70). პავლეს რედაქციიდან ვიღაცას გადმოუცუტებია მოკლე სინიქსარული რედაქცია და ამ უკანასკნელიდან, ვაჭრანგ შექმვეს, როდესაც ის ჭერ კიდევ ბატონიშვილი იყო, მასსადაამე, 1711 წლამდე, შეუტრანია ქართლის ცხოვრებაში“ (I, გვ. 310. შტრ. M. Brosset, H. de la G., I, გვ. 138, სქოლიო).

გამოთქმა „პავლეს უნდა ეკუთვნოდეს“ — ზედმეტია, რადგან „ცხოვრების“ წინასიტყვაობისა და ბოლოსიტყვაობის შესახებ ცნობა მათი ავტორისგან პავლესგან მომდინარეობს და ამას თვითონ კ. კეკელიძეც აღნიშნავს.

მაკარის მღვდელის „ცხოვრებაში“ არ შეიძლება ეწოდოს თარგმანი დღევანდელი გავებით. მაკარის და მისი რედაქტორის მიხედვეთ კონტამინაციის წესს: აერთებენ ქრონოლოგიურად ერთმანეთისაგან დაშორებულ ანბებს, ალაგ-ალაგ ახდენენ ანბათა დოკუმენტაციას, რაც არ შეიძლება V ს-ის ასურულ ძეგლზე უყოფილყო. ნაწილობრივ ეს შენიშნა ჭერ კიდევ ნიკო მარში. იმპრომ კ. კეკელიძე სრულიად მართალი იყო, როცა სწერდა ამ ძეგლის დათარიღებასთან დაკავშირებით:

„ცხოვრებაში მოხსენებულია ნიკიტა საღვთო ფილოსოფოსი (ქ. დ. 890), თხუთსეულობა ამიოვლანი და ქადაგებანი ანდრია მოციქულისანი“ (გვ. 3), რომელიც ქართულად მეათე საუკუნის ვასულს ითარგმნა ეგვიპტეში ათონელის მიერ; აქვე ვხვდებთ ცნობა ნინოს ქადაგების შესახებ (გვ. 3), რომელიც IX-X სს. იყოლებს ფეხს ჩვენი; მის შემდეგ, ნათქვამია აქ, „არა მიღრეკილ არს ქვეყანა იგი ქართლისა წმიდისა და მართლისა სარწმუნოებისაგან და არცა მივდრეკეთ უკუნისამდე მადლითავე წმიდისა სამებისა“ (გვ. 3-4). ეს ადგილი გვაგონებს რუს-ურბნისის კრების (1103 წ.) ძეგლის წერის სიტყვებს: „არცა ვანგვით შენ, სიქადლო ჩუენო მართლმადიდებლობაო, რომელსა არცა ვანმეყველ ქმნილ ვართ, ვინაჲთგან შემეცნებასა შენსა ქმნილ ვართ“. ამ ადგილებს მიხედვით, რომელთაც, რასაკვირველია, ზაქარია ვერ მივაკუთვნებთ, შეევიძლება ვთქვათ, რომ ცხოვრება იმდენად ნათარგმნი არაა, ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით, რამდენად გადმოკეთებულა; გადმოკეთებულია ის რუს-ურბნისის

კრების შემდეგ. ენის მიხედვით, ნ. მარის მას XI III-X IV სს. აკუთვნებს ვეჭვით [XIV] თემცა მებოსტანე, რომელიც [XIV] შორის მოჰყავს თავის აზრის დასამტკიცებლად, გაცილებით ადრე ვხვდებთ სხვადასხვა ძეგლებში. ის უნდა გადაკეთებული იყოს, როდესაც ქართული შევიწროების გამო პალესტინელ მართლებში ერთგვარი მოძრაობა დაწყებულია“ (12, 310-311).

ამრიგად ირკვევა, რომ მაკარის-პავლეს კომპილაციის შერწყმულია სხვადასხვა დროის მოვლენები, რაც მათს შრომას, როგორც „ზაქარია ქართველს“ თხუთსეულის სირიულ-ორიგინალიდან (რომელიც ბუნებაში არ არსებობდა) მომდინარე ძეგლს — ფიქციად აქცევს.

ჭერ ერთი დეტალის გამო, რომელიც „ცხოვრების“ პირველ პასაჟს ეხება: მაკარის მესხის „თარგმანის“ მიხედვით პეტრე იყო ძე „დიდი მეფის ვარაზ-ბაგურისა“, ხოლო, როგორც კ. კეკელიძე სამართლიანად შენიშნავდა, „პეტრე იყო ძე ბუნზარითო-სისა და დიდი ბაქურის ქალის ბაქურდუტისა“ (I, 309. ეს ფაქტი კორნელი კეკელიძის აღნიშნავს ჭერ კიდევ 1929 წ. „მნათობში“ (პე 7, გვ. 148) (12, 310. შტრ. მისი „იბერიის ქრისტიანიზაციის საწყისებთან“ — იტირებები“, 111, გვ. 18-22). მაკარის აქართველს თარგმანს და შეედომებს უშვებს. სირიულ ტექსტში (რამეს გამოკეცა) ეს შეედომები არაა.

მაკარის მიერ „თარგმნილი“ „პეტრე ქართველის ცხოვრების“ შესახებ თავისი შეხედულებანი გამოთქვა აკადემიკოსმა ივანე ჯავახიშვილმა. მაკარის შრომისადმი იგი ნდობითაა განწყობილი. აი მისი დასკვნითი სიტყვები:

„საერთოდ შეიძლება ითქვას, რომ პეტრე ქართველის ცხოვრება, სასწაულომოქმედების შესახებ ცნობათა გარეშე, თავისი შინაარსითა და დარსებით V საუკუნისავე ქართველი ავოგრაფის იაკობ ხუცესის ნაწარმოებს არ ჩამოუვარდებია. ხოლო, რადგან იქ თავში აღმოს. საქართველოს პოლიტიკურ-ეკლტურული და სარწმუნოებრივი სურათთა გადაშლილი ასი წლის განმავლობაში, იმპრომ ასურულად დაცული ძეგლის შინაარსს იაკობ ხუცესის ნაწარმოებზე თუ მტერი არა, ნაცლები მნიშვნელობა არა აქვს“ („ქართული ერის ისტორია“, წიგნი პირველი. მეოთხე გამოცემა. თბილისი, 1951, გვ. 220. დაყოფა ავტორისა. ა. გ.).

მაკარის შრომა არაა რომელიმე ასურულ ძეგლის სრული განმეორება, იგი კომპილაციაა, ხოლო კომპილაცია საერთოდ ვერასოდეს ვერ შეედრება ორიგინალურ ძეგლს, მით უფრო ისეთ შედევრს, როგორც „შეშინიის მარტოლობა“.

შერამე: ივ. ჯავახიშვილისათვის „ზაქარია ქარ-

ფელის", ამ ფიქციური პირის, ისტორიული არსებობა იქვს არ იწვევს. ჩვენი სახელოვანი მეცნიერი ერთი სიტყვითაც არ ეკამათება ნიკო შარას, რომელიც პირველმა შეიტანა იქვე „ზაქარია ქართველის“ ნაშრომლობაში (ოსლანშიანია, რომ ნ. შარას გამოცემის კორექტორა ვაქს-წორებია „სტუდენტ ბ. ა. ჯავახიშვილს“. იხ. ЖИТНЕ... გვ. XXXIX). დიდი იფანე ენდო პავლე ხუცესის ბოლოსიტყვაობას, სადაც „გლახაკი ზაქარია“ თავის მოკლე ავტობიოგრაფიას ჰყვება და, სამწუხაროდ, ეს ფალსიფიკაცია სასიქაღულო ქართველი ისტორიკოსის ერთიკეული დამოკიდებულებების საგანი არ გამხდარა. მეტიც: იგი, ჯავახიშვილსაც მიჩნია, რომ „ზაქარია ქართველს“ ისაია ეგვიპტელის ცხოვრებაც ჰქონია ასურულად დაწერილი (იქვე, 215). ასევე — მაკარის ანდერაში თქმული — „ესე ცხობება წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩვენისა პეტრე ქართველისა ამის კურთხეულსა და სანატრელსა ზაქარიას, მოწაფება მის წმიდისა პეტრესა ასურებრთა [ენითა] აღწერა“ — იგი, ჯავახიშვილს მიჩნია არა ზაქარია რიტორის (რომელმაც მართლაც აღწერა პეტრეს „ცხობება“ და რომლის ასურული დედანის არსებობა მაკარის ცოდნია, ან — და ეს ჩვენითვის ოდნავადაც საეჭვო არაა — შეიძლება მაკარიმ რააბეს ასურული ტექსტის ავტორად სენო ზაქარია რიტორი) დეაწლის დასასათებად, არამედ „ზაქარია ქართველის“ „ასურულად“ დაწერილი თხზულების არსებობის ფაქტის აღნიშვნად. ოღონდ: არავითარი ცნობა „ზაქარია ქართველის“ ასურულ ენაზე ასეთი „ცხობების“ არსებობის შესახებ არ არსებობს და არც შეიძლება არსებობდეს (თვითონ თხზულებაზე ხომ ლაპარაკიც ხელშეუძლია). მაინც როგორ მოხდა, რომ „ზაქარია ქართველის“ ორი თხზულება ასურულ ენაზე — „პეტრეს ცხობება“ და „ისაიას ცხობება“ — უგზო-უკულოდ დაიკარგა, ხოლო ზაქარია რიტორის მიერ ასეთი ნაწარმოებების დაწერა კი ფაქტია? (ბირველი თხზულების რამდენიმე სტრიქონი დარჩენილა, ხოლო მეორეს ჩვენამდეც მოუღწევია ასურულ თარგმანში).

როგორ უცქერის ავად, იგი, ჯავახიშვილი არ, რააბეს მიერ გამოქვეყნებულ ასურულ ტექსტს?!

...პროფ. ნ. შარას გამოარკვია, რომ რააბეს მიერ გამოქვეყნებული პეტრე ქართველის ცხობება ის ზაქარია ქართველის მიერ ასურულად დაწერილი ცხობება არ არის, რომელიც მაკარის ხუცესს ქართულად თარგმნია. გამოცემული ასურული ტექსტიც (იგივე, რააბეს ტექსტი ა. გ.) გადაკეთებულ-გადაამუშავებული ჩანს. თუ ქართული ტექსტის ავტორი მეთხველს ბევრჯან ავტორთანებს, რომ ის მომთხრობელი იმავე დროს ნაამბობის თანადამხდურია და ჩვენობით ლაპარაკობს, ასურულ გამოცე-

მულ ტექსტში ეს მხოლოდ ბოლოში გეტყობა, სხვაგან კი მომთხრობელი არსდა ჩანს (დამოწმებულია ნ. შარას მიერ, რომ ხოლო პროფ. ნ. შარას საპარტილიანად აღნიშნული აქვს, რომ რააბეს მიერ გამოცემულ პეტრე ქართველის ასურული ცხობების ტექსტშიც დაცულია ქართველთა საკეთარი სახელები ნაბარნევის, ბუზ-მარიოს, ბაქურიოს, ფარსმანიოს, ბაქურდუბტა, დეკტია, ოსდეკტია, რომლებშიც ბერძნულ „ოს“ და „ა“ დაბოლოების ჩამოკლებების შემდგომ რჩება ნაბარნევი, ბუზ-მარი, ბაქური, ფარსმანი, ბაქურდუბტი, დუნ-ტი, ოსდეკტი, ე. ი. ყველა საკეთარი სახელებს სახელობითი ბრუნვის ქართული „ა“ დაბოლოება ახლავს და შენარჩუნებული აქვს. ეტყობა ავტორს (იმ დროს — „ანონიმალ“ მიჩნეული. ა. გ.) ქართული საკეთარი სახელები კარგად სცოდნია. ერთი სიტყვით შემოშოყვანილ და კიდევ ბევრ სხვა მოსაზრებათა მიხედვით პროფ. ნ. შარას საპარტილიანად დასცენილი აქვს, რომ გამოცემულ ასურულ გადაკეთებულ ცხობებას (რააბეს ტექსტს. ა. გ.) და პეტრე ქართველის ცხობების მთარგმნელს მაკარს ხუცესს უფრო საფიქრებელია, რომ ამ ძეგლის ერთნაირი, სახელდობრ ზაქარია ქართველის მიერ აღწერილი, ასურული დედანი ჰქონდათ (დამოწმებულია ნ. შარას ა. გ.). ეს ვარაუდობა მკვლევარს საშუალებას აძლევს პეტრე ქართველის შეკეთებულ ქართული თარგმანისა და გადაკეთებული (?) ასურული დედანის (რააბეს ტექსტის, ა. გ.) შედარებით შესწავლით ამ ძეგლის შინაარსის არსებითი ისტორიული ნაწილი აღადგინოს“ (217).

იგი, ჯავახიშვილი, როგორც ვხედავთ, იქვით არ უცქერის თვითონ „ზაქარია ქართველის“ რეალობის საკითხს. მეტიც: მას დასაშვებად მიჩნია, რომ არსებობდა მაკარისეული „ცხობების“ ორიგინალი, ასურული ტექსტი, რომელიც არ ემთხვევა რააბეს ასურულ ტექსტს, რასაც ქართული ვერსია ამტკიცებს (ნ. შარას მიხედვით ნახელობდა ბევრ ჩასმე საკითხის მათ შორის. იხ. ზემოთ) და რომ რააბეს ტექსტს ავტორსა და მაკარის ერთნაირი ასურული დედანი, სახელდობრ „ზაქარია ქართველის“ დედანი, „უნდა ჰქონდათ“ ხელთ. ოღონდ — ეს დედანი არ ჩანს (რადგან... არ არსებობდა და ამიტომ არასოდეს არ გამოჩნდება!).

ჩვენ ვიცით, რომ პაველ დეკანოზს ხელთ ჰქონია ფურცლები დაშლილი ხელნაწილი — მაკარის „თარგმანი“; ამასთან ისიც ვიცით, რომ პაველ ხუცესს იგი განუთარგმნებია სასწრაფობით, შესაძლებელია და ბოლოსიტყვაობით, თანაც — ეპიოფიტების თანმიმდევრობა მასში დარღვეულია. ამიტომ მაკარისეული „ცხობების“ მიხედვით ასურულია „თარგმანის“ (დაქტო-

რად — არ არსებულს) სტრუქტურაზე მსჯელობა შეუძლებელია. თანაც ქართული თარგმანის კომპილაციური ხასიათი ამის საშუალებას არ იძლევა. აქედან ის დასკვნაც უნდა გამოვიტანოთ, რომ რააბეს ასურული ტექსტის ავტორს (ე. ა. იოანე რუფუსს) არ შეიძლება ზღუდო მქონდა „ზაქარია ქართველის“ ასურული დედანი (რომელიც, როგორც ქვემოთ უფრო დეტალურად დებით — არც არსებობდა).

როცა ივ. ჯავახიშვილი ა. ერის ისტორიას“ სწერდა (1928 წ.), რააბეს მიერ გამოცემული ასურული ტექსტის ავტორის ვინაობა უკვე ცნობილი იყო (1912 წელს), მაგრამ ჩვენს დიდ მეცნიერს ზღუდ არ წაეარდნია ედ. შვ. არტ. ერის შრომა, სადაც ეს საკითხი იყო გადაჭრილი. წინააღმდეგ შემთხვევაში დიდი ქართველი ისტორიკოსის ანალიტიკური ნიჭი „ქართველ ზაქარიას“ საკითხს თავის დროზე უველიანე უკეთ გადაეჭრებოდა.

შემდეგ: რადგან ამჟამად ვიცით, რომ რააბეს ტექსტის ავტორი, იოანე რუფუსი, პეტრეს უშუალო მოწაფე იყო, ვანა მოვლიდნენ, რომ მას კარგად ცხოვრობდა — მასწავლებლის ნაამბობის ხაფუძველზე — ქართველ პირთა სახელები? (რუფუსის „პეტრეს ცხოვება“ ბერძენულად იყო დაწერილი, იგი დაქარგულა; რააბემ ამ „ცხოვრების“ სირიული თარგმანი გამოცა, როგორც ანონიმოს თხზულება, 1898 წელს). ამჟამად რააბეს გერმანული თარგმანიდან ქართულად შესრულებული თარგმანის (რომელიც პაროქ. ს. ყუბხიშვილს ეკუთვნის) ფილოლოგიური შედარება მაკარის თარგმანთან ცხადყოფს (ნახე ბოლოში), რომ მაკარის უმოკრესად უსარგებლანია რუფუსის „პეტრეს ცხოვრების“ სირიული თარგმანით (რააბეს გამოცემა), რომელიც, ჩანს, მან მიიჩნია „ეხთა ასეკტის ცხოვრებას“ (რომლის ასურულ თარგმანს იგი იცნობდა) ავტორის ზაქარია რიტორის ნაწარმოებად. მაკარის შრომა კი შემდეგ თავისებურად გადაეკეთა პავლემ, რომელმაც ზაქარია რიტორი — „ზაქარია ქართველი“ აქცია. ასეთი ფაქტორი ვითარება. რაიმე დატყვევა ამაში — გამორიცხვია.

ქართულ ტექსტზე პავლეს ავბედითმა „მეზობამ“ ბევრი მკვლევარი შეიყვანა შეცდომაში (საბოლოოდ მაინც არ მოტყუებდნენ ნ. მარ. კ. კეკელიძე და ვ. პონიშვანი. ს. ყუბხიშვილი კი ამ საკითხს საგანგებოდ არ შეხებია).

რუფუსი პარტო „ბოლოში“ კი არ ლაპარაკობს „ჩვენებით“, არამედ თხოობის სხვა და სხვა ადგენასაც. ნ. მარს ეს არ გაუთვალისწინებია, ამიტომ მისი ამ არგუმენტის მოშვლებიანაც აქამდე რეალური საფუძველი არ აქვს. მაკარისეულ „ცხოვრებაში“ ქართული რეალიების არსებობა კი სწორედ იმას მოწმობს, რომ „მთარგმნელს“ ამშხარავს შეუქვია ქართული

ტექსტი. ამ რეალიების შესახებ ივ. ჯავახიშვილი წერს:

„მის ავტორს (ვარაუდობს ჯავახიშვილი) თვალს. ა. გ.) ქართული ცხოვრების დიდი ცოდნა ეტყობა, ქართველთა მამინდელი პოლიტიკური მდგომარეობაცა და იდეალური საუცხოვოდ აქვს დასურათებელი“ (გვ. 219).

ასეთს რეალიებზე ივ. ჯავახიშვილი თავის შრომაში რამდენჯერმე მიუთითებს.

უნდა აღენიშნოთ, რომ ზოგი ქართული ისტორიული რეალია, რომელიც არ არსებულ „ზაქარია ქართველის“ თხრობაშია მისწვლილი, მაკარისეულ „ცხოვრებაში“ მომდინარეობს უშუალოდ იოანე რუფუსიდან, პეტრეს უახლოეს მოწაფედან (მაგ. ცნობა საქართველოში „მამამოწმეობის წესის“ შესახებ, რომელიც რეალურ მოწაფეს თავის მასწავლებლებსგან მოუსმენია. თანაც: რუფუსთან ამ წესის შესახებ უფრო ვრცელადია ნათქვამი).

რომ იოანე რუფუსს არ შეეძლო ნაგარადღევი (ნამდვილად კი — არ არსებულ) „ზაქარია ქართველის“ ასურული „ორიგინალით“ ესარგებნა, ამას ქვემოთ უფრო დამაჯერებლად ცხადყოფთ. აქ კი მხოლოდ აღვნიშნავთ ერთს დამახასიათებელ დეტალს.

V ს-ში ქართული ეროვნული შეგნების შესახებ საუბრისას ივ. ჯავახიშვილი იმწმებს „ზაქარია ქართველს“:

„ეს ზაქარია ქართველის სიტყვებსაც ემჩნევა. მისგან აღწერილი პეტრე ქართველის ასურულ ცხოვრებაში ქართლის სამეფო „განთქმულ იბერთა ქვეყნად“ იწოდება.“

შენიშვნაში (2) კი მითითებულა: „R. Raabe, Petrus der Iberer. მსურ. ტექ. 46 — გვ. 46“ (ქ. ერის ისტ. 14, გვ. 272).

ესე გამოდის, თითქოს რააბეს მიერ გამოცემული „ანონიმის“ ასურულ ტექსტში „ზაქარია ქართველის“ თხზულების ანარეკლი იყოს. ნამდვილად კი აქ მოკანალი ფრაზა სასურთივ იოანე რუფუსს („ანონიმს“) ეკუთვნის და ს. ყუბხიშვილს მიერ რააბეს გერმანული თარგმანიდან თარგმნილი ასე გამოითურება:

„ცხოვრებული პეტრეს სამშობლო იყო ცნობილი ქვეყანა იბერთა...“ (დაყოფა ტექსტშია იხ. „გეოგრაფია“, 2, გვ. 248).

ამრიგად — იოანე რუფუსს არ შეეძლო „ზაქარია ქართველის“ არ არსებულ თხზულებიდან აეღო აღნიშნული ადგილი.

შეცდომები ძალიან დიდ მეცნიერებსაც მოსდით, მაგრამ არა შეგნებულად, არამედ უნებლიედ. მაგ. ნ. მარს იმასაც კი ფიქრობდა, რომ პეტრე იბერიელი იბერიულ მეტრულ უკეთილიყო, მაგრამ არც ერთ სერიოზულ მკვლევარს ეს პიპოთება არ გაუზიარებია.

მაკარის შესახებ „ცხოვრების“ „ასურული დედ-

ნის ავტორის* „ზაქარია ქართველის“ შესახებ თავისი აზრი გამოსთქვა ფსევდო-დიონისე არეომაველის ფერემ მცირისხელი თარგმანების გამოცემულმა. ჩვენს მიერ „ცხოვრებდან“ ზემოთ ციტირებული ადგილების მოტანის შემდეგ საქართველოდან კონსტანტინოპოლში მტრუანის (შემდეგ — პეტრე იბერიელის) ამალით გამოგზავრებისთან დაკავშირებით იგი წერს:

„პეტრეს ბიოგრაფიულ ცნობებზე მსჯელობისას არეომაგიტიკის მკვლევარები (წ. ნუკობიტე, ე. ჰონიგმანი, ს. ყუბხიშვილი) სამართლიანად აღნიშნავენ, რომ მტრუანს ქართლის სამეფოდან თან გააყოლეს მითრიდატე ლაზი, რომ მას იმპერატორის სასახლიდან გაქცევისას თან ახლავს იგივე პარი. მაგრამ საკითხთა წრე შეიძლება გადავფართოვებინა, თუ კვლევისათვის მოვიზივლელებით იმ მონაცემებს, რომლებსაც ვაქვეყნიან თუნდაც პეტრეს შესახებ ქართული წყაროები“¹.

გამომცემელი უმთავრესად იმომებს „ქ ცხ.“-ის ცნობილ ადგილს (რომ ქართლის მეფემ თავისი ძე გაგზავნა „ქალქად კონსტანტინეპოლად სხუთა თანა სეფეწულთა, მრავლითა პატავითა და დიდებითა“) და დასძენს რომ „ამაღის შემადგენლობაში, ცხადია (?) იქნებოდა, მითრიდატე ლაზი, როგორც უფლისწულის მსწრელებელი, და აგრეთვე სხვა პირებიც, რომელთა შორის იმეოფება (?) ზაქარია ქართველი. ამას ჩვენი გვაუწყებს თვითონ ზაქარია თავის (?) პეტრე იბერიელის ცხოვრებაში“² (შემდეგ მოტანილია ქ. ცხ.-ის „ჩანათიდან“ ციტატები, რომლებსაც მკითხველი ზემოთ ვაგეცნო).

ი., რაც ცხადია პ-ლი მკვლევარისათვის, სრულიადაც არ არის ცხადი ჩვენთვის. 1. რატომ არ შეიძლება პეტრეს კონსტანტინოპოლში ვაგეცნო მითრიდატე, იგივე იოანე ევსეჟი, ბიზანტიის სასახლე ხომ სავსე იყო მორჩეულ ქალებითა და „ევენქებით“? 2. „ზაქარია ქართველი“ მოხსენებული არაა, როგორც პეტრეს მოწაფე, არც ერთ ქართულ წყაროში და პეტრე იბერიელის რამდენიმე უცხოურ ბიოგრაფიაში. 3. მაკარის „თარგმანის“ ღრმა ანალიზი იქნეს არ სტოკესს, რომ „ზაქარია ქართველი“ — არ არსებობდა და მასთანავე, ქართლიდან ვერ გამოგზავნიდა უფ-

ლისწულს. 4. ჰონიგმანი არ ამბობს, რომ ქართველ უფლისწულს საქართველოდან გააყვამითრიდატე ლაზი. იგი უკლებსაქართველოდან კონსტანტინოპოლში უნდა ვაგეცნო მათ. ამასთან: რეფესი აღნიშნავს, რომ მტრუანისმა ქრისტიანობისადმი ერთგულება დანახა კონსტანტინოპოლის სამეფო კარის „ყველა ქალებსა და ეკლესიას“, „განსაკუთრებით კი იმ საქურისებში, რომელთაც ეკუთვლიათ ეწოდებოდა“ („უფორგია“, 2, გვ. 256). მითრიდატეც ხომ ამ წრიდან არ იყო?!

უნდა ვაგეცნოთ მითრიდატე იყის მხოლოდ ზაქარია რატორის შრომები (მართალია, მისი „პეტრეს ცხოვრება“ დაკარგულია, მაგრამ ამ თხზულების რამდენიმე სტრიქონი მაინც ვაღარჩენილა, დანარჩენები კი ცნობილია სირიულ თარგმანებში), „ზაქარია ქართველი“ ვითომც უფულოდ „სირიულ ენაზე დაწერილი იოანე ნაწარმოები“ („პეტრეს ცხოვრება“ და „ესაია ახორის ცხოვრება“) კი იგი გაქარადა, რომ მათ შესახებ სირიულ წრეებს ან სხვა გზით მომდინარე წყაროებს არავითარი ცნობა არ შემოუნახავთ (გარდა მაკარის ცნობისა მის მიერ „თარგმნილ“ „ცხოვრებაში“). პეტრე იბერიელს იმდენად დიდა პიროვნება იყო, რომ მის შესახებ ვითომც „ზაქარია ქართველის“ მიერ სირიულად დაწერილი შრომა („ესაია ასეტზე“ დაწერილ შრომასთან ერთად) უფო-უყვლოდ არ დაიკარგებოდა. გარდა ამისა ქართულად ნათარგმნი „პეტრეს ცხოვრება“ არსებობდა კომპლექსი, ძირითადად იგი ხომ იოანე რუფუსის „ცხოვრების“ მასალებს იმეორებს, „გაქართულდებულია“ და ა. შ.

დასასრულ: თარგმნილ ბიოგრაფიულ თხზულებებში ხშირად შექმნილი იხუთი ადგილები, რომელთაც ლიტერატურული მისტიფიკაციის ხასითა ქქონდა (მეტწილად პერსონაჟთა ბიოგრაფიების ცალკე დეტალების რადიკალური შეცვლით, მათში ლოკალური ელემენტების შეტანით და ა. შ.). თვით ბიზანტიური (და არა მარტო ბიზანტიური) ბიოგრაფია აღსავსეა ახუთი მავალითებით. სპეციალურ ლიტერატურას ვაგეცნობილ პარისათვის ეს კარგად ცნობილია და აქ საჭიროდ არ ვთვლით მავალითების მოტანას.

• • •

¹ პეტრე იბერიელი (ფსევდო-დიონისე არეომაველი). შრომები. ფერემ მცირის თარგმანი. გამოცემა გამოკლევა და ლექსიკონი დაერთო სამოსი ენქქაშვილმა. თბ., 1961, გვ. 0190).

² იქვე. შრომაში საერთოდ არა ერთხელაა მითითებული „ზაქარია ქართველი“, როგორც რეალურ პირზე (მღრ. გვ. გვ. 0188, 0189, 0193, 0194 და 0195). აქვე დაქმნით: კონსტანტინოპოლის პატრიარქი გერმანე III წარმოშობით ლაზი იყო (კ. კეკელიძე, მარტვირის ქართველი. იხ. „ლიტ. ძიებანი“, III, 272).

პეტრე იბერიელისა და მისი „ცხოვრების“ ქართულ ვერსიაზე უფრო ადრე გამოთქმული ყველა მკლარი შეხედულება შეაფხმა და ახალი, გამოგონილი ამბებით შეავსო ერთერთმა მკლევარმა 1939 წელს. იგი წერდა:

„პეტრე იბერიელის ბიოგრაფია დაუწერია მის მოწაფეს ზაქარია ქართველს — მე-5 საუკუნის დასასრულში“ („მკ.", 1939, № 2, 161), შემდეგ მკვლევარი იმეორებს იმ შეთხზულ ცნობებს, რომელიც პეტრე ხუცესის შეურახია პეტრეს „ცხოვრებაში“

(თითქოს „ზაქარია ქართველი“ მასწავლებელს გაეყოლია ქართლიდან და მასთან უფილა სიყვარულამდე ა. გ.), და რომ „ბიოგრაფია პეტრე იბერიელისა ზაქარია ქართველს გამოქვეყნებია ასურულ ენაზე (პალესტინაში ამ დროს ასურული ენა ფართო გავრცელებით სარგებლობდა), და აგრეთვე, სიანს (?) ქართულს ენაზედაც, თავის თანამემამულეთათვის“ (იქვე, დამოწმებულია ივ. ჯავახიშვილი, ქ. ე. ისტ. 1928). ამას მოსდევს უფრო გაბედული შეხედულება:

„ზაქარია ქართველის შემდეგ პეტრე იბერიელს ბიოგრაფია სხვებსაც აღუწერიათ, და შემდეგდროინდელს რედაქციებს საუფუძვლად დასდებია ზაქარია ქართველის ნაშრომი. ასე, ჩვენ დრომდე მოღწეულია ასურულ ენაზე პეტრე იბერიელის ცხოვრების ტექსტზე მე-6 საუკუნისა, რომელიც, როგორც ირკვევა (?) ძირითადად დამყარებულია ზაქარია ქართველის თხზულებაზე (?). ზაქარია ქართველის შიერ დაწერილი ბიოგრაფიით უსარგებლია აგრეთვე (?) მე-6 საუკუნის ბერძენ მწერალს ზაქარია რიტორს, რომელიც ვრცლად (?) მოგვიხიბრობს პეტრე იბერიელის ცხოვრების შესახებ.

რაც შეეხება პეტრე იბერიელის ბიოგრაფიის პარაფრაზულ ძველ ქართულ დედანს, იგი ჩვენ დრომდე არ გადარჩენილა. როგორც სამართლიანად აღნიშნავს აკაკი ივ. ჯავახიშვილი, პეტრე იბერიელის ცხოვრება, საფიქრებელია, მოუსხიათ იმის გამო, რომ პეტრე მონოფიზიტური იდეოლოგიის ლიდერად ითვლებოდა, ხოლო ზაქარია ქართველი, მე-6-7 საუკუნეთა საზღვარზე, როგორც აღნიშნულა გვიონდა, ანტიმონოფიზიტურმა იდეოლოგიამ სახალხო გამარჯვა და ამის შემდეგ მონოფიზიტმა მწვალებელურ (ერეტულ) მოძღვრებამ იყო მიჩნეული“ (იქვე).

ტყუილია. ივ. ჯავახიშვილს არც უფიქრია, თითქოს „ზაქარია ქართველს“ ქართულადც ჰქონდა დაწერილი პეტრეს ბიოგრაფია და ასურულადც გამოქვეყნებია იგი. ივ. ჯავახიშვილი წერს:

„...მათში ასურთა სიმრავლის წყალობით ზაქარიას ასურული ენა ისე კარგად შეუსწავლია, რომ პეტრე ქართველის ცხოვრება ადგილობრივ მცხოვრებ ქრისტიანთა დედაინაზე, ასურულად დაუწერია“ (ქ. ე. ისტ. 14, გვ. 216).

ჩვენი დიდი მეცნიერის ვარაუდი „ზაქარიას ქართველობისა“ ვაპაგებია იმ დროს, როცა „ქ. ერის ისტორია“ I ტომი დაიწერა (1928 წ.), მაგრამ ივ. ჯავახიშვილს ფიქრად არ მოსვლია თითქოს ამ „ზაქარია ქართველს“ ქართულადც

დაუწერია პეტრეს „ცხოვრება“ და ასურულადც გამოქვეყნებია იგი. შეკლევარმა ეს მტკიცებულება ივ. ჯავახიშვილს შეაწერა, რედაქციონი შეიშლილი მხოლოდ ფიქრობდა (ძარის გველენით) — მაყარისეული „ცხოვრებისა“ და რაბანეს ასურული ტექსტები „ზაქარია ქართველის“ დაყარველი ასურული ცხოვრებლიან უნდა მომდინარეობდნენო. მაგრამ ეს ვარაუდი ივ. ჯავახიშვილს მისთვის ჩვეული სიტრთბილით აქვს გამოთქმული — „საფიქრებელიაო“ (ქ. ე. ისტ. 14, გვ. 217). „ზაქარია ქართველის“ შიერ პეტრეს „ცხოვრების“ ქართულად დაწერის სრულიად უსაფრთხ მითითება მას არ წამოუყენებია. ეს დიდა იგავს სტილი არაა.

შეკლევარი უზუსტად არ უთითებს აგრეთვე იმ „ასურულ ტექსტს“, რომელიც თურმე „ზაქარია ქართველის“ თხზულებაზე უფილა „დამყარებული“. იგი რატომ უნდა, გულიხსმობს R. Raban-ის შიერ 1895 წელს გამოცემულ „პეტრეს ცხოვრების“ სირიულ ტექსტს, რომელიც დიდახანს ანონიმის ნაწარმოებად ითვლებოდა. შიერმე არ არსებობს ზაქარია რიტორის არც ერთი თხზულება, ჩვენამდე მოღწეული, რომელიც „ვრცლად“ მოგვითხრობდეს პეტრე იბერიელის ცხოვრებაზე. კიდევ: ზაქარია რიტორს არ შეეძლო ესარგებლა „ზაქარია ქართველის“ თხზულებით, რომელიც ბუნებაში არ არსებობდა და თვითონ „ზაქარია ქართველიც“ — ფიქციაა. მისი ვინაობა შეთხზა XIV თუ XV ს-ის მოღვაწემ პავლე ზუცესმა. „ზაქარია ქართველს“ (ფიქციურ პირს) პეტრეს „ცხოვრება“ არ დაუწერია, არც ქართულად, არც ასურულად. ფიქციური არსებანი თხზულებებს არ სწერენ!

წინა მიმოხილვიდან ნათელი უნდა იყოს შეკლევარის მიმი შეცდომები. შემდეგ ჩვენი მსჯელობა კი ამ ფაქტს უფრო ცხადს გახდის.

იგივე შეკლევარი უფრო და უფრო აფართოებს „ზაქარია ქართველის“ მოღვაწეობის დასაშტაბს:

„დასასრულ დაგვრჩენია აღვნიშნოთ, რომ მე-6 საუკუნის ამ ავტორის ზაქარია ქართველის სალიტერატურო მოღვაწეობა არ განისაზღვრებოდა მარტო პეტრე იბერიელის ბიოგრაფიის შედგენით. ასე, ზაქარია ქართველს, ვარდა პეტრე იბერიელის ბიოგრაფიისა აღუწერია პეტრეს თანამოღვაწის ისაია ასურის ცხოვრება“ („მნათობი“, 1939, № 2, გვ. 169).

ე. ი. ზაქარია რიტორის ბერძნული თხზულების „ისაია ასურის ცხოვრების“ (რომლის სირიული თარგმანი მოღწეულია) ანალოგიური შინაარსის ცხოვრება უფრო ადრე „ზაქარია ქართველსაც“ დაუწერია და, უნდა ეფიქტროთ, რომ ამ შემთხვევაშიც ზაქარია რიტორი, ბერძენ მწერალი, ჩვენი ფიქციური თანამემამულის სირიულ ტექსტს „დაემყარებოდა“, ოღონდ... ეს სირიული ტექსტი „ზაქარია ქართველისა“ არ

არსებობს და არც შეიძლება არსებულყოფილ ამ ფილოლოგიურ ცოდნაა წყარო — პაულე ხეცესია!

სამწიფხარაა, რომ ჩვენ ხშირად ვეცდებით ამ აზრის გახსენებებს!

აღსანიშნავია, რომ ბევრი რამ მაკარისეული „ცხოვრების“ შესახებ თანდათან ნათელი გახდა. ტექსტი გამოიცა ორჯერ¹, ხოლო პეტრე ქართველის „ცხოვრების“ სინაქსარული რედაქციების გამოცემა ზოგიერთ დეტალს უფრო აზუსტებს, თუმცა ამ უკანასკნელი სერაის („სინაქსარული რედაქციები (XI-XVIII სს.)“ ვაშლიშვილს ალა-ალავ ძველი თვალსაზრისისათვის მთლად ვერ დაუღწევია თავი:

„ცხოვრები V საუკუნის ქართველი მოღვაწის — პეტრე იბერელის შესახებ შედარებით ვეცდებით ქართულ წყაროებს შემოუნახავს. მისი ცხოვრება მოღვაწეობის ეპიზოდების შემცველი ძირითადი წყარო ვრცელი ცხოვრების ქართული ნუსხაა რომლის აღმოცენებას XIII საუკუნეში დებენ. საქმე ისაა, რომ მის შესახებ გაცილებით ძველი თხზულება შემონახულია აქურდულ ენაზე, საიდანაც მომდინარეობს ქართული წყაროებიც. პეტრე ქართველის ნუსხა მისი მოწაფის ზაქარაის („ზაქარაია ქართველის“ ა. გ.) მიერ სირიულ ენაზე შექმნილი (V-VI სს.) ძველის ქართულ თარგმანად და ნაწილობრივ გადმორთვებულ არის გამოცხადებული“ (ზაქარაია ჩვენ. ა. გ.).

ზოგი რამ მკვლევარის მსჯელობაში მკაფიოდ არაა გამოთქმული, ერთ-ერთი არსებითი მომენტიც არ აქვს გათვალისწინებული კარგი გამოცემის ავტორს. ასე, მეორე შენიშვნა ითვალისწინებს ნ. შარის გამოცემას („ცხოვრება პეტრე იბერისა... 1896), მესამე კი რ. რააბეს წიგნს (Petrus der Iberer... 1895), მაგრამ „სინაქსარების“ გამოცემული არ აღნიშნავს, რომ ეს უკანასკნელი (რააბეს ასურული ტექსტი) იოანე რუფუსის „ცხოვრების“ ბერძნული ორიგინალის სირიული თარგმანია, რომელიც ედ. შვარცტის გამოკვლევამდე (1912) ანონიმის თხზულებად ითვლებოდა. და თუ მაკარისეულს კომპილაციის ძირითადი ფუნა იოანე რუფუსის სირიულ თარგმანიდან მომდინარეობს (ამ უკანასკნელის გადმოკეთება-შეცვლა), მაშინ „ზაქარაია ქართველის“ მიერ სირიულ ენაზე „შექმნა“ (ვითომც V-VI ს-ში) „პეტრეს ცხოვრება“ — თავისთავად გამორიცხებულია. და როგორც ქვე-

მოთ, სათანადო პარალელების ხაზგაშედილ/ავინახავთ, ეს ასეა.

წინასწარ კი ამაში ე. ვაშლიშვილს დავუძევებოდა ნ. შარის დაქვემდებარებული, კ. კეკელიძის აზრი და, ბოლოს, სიმონ ყაუხჩიშვილის მიერ შესრულებული ქართული თარგმანი რუფუსის შრომისა (ე. ა. რააბეს ტექსტისა), რომელიც 1965 წელს დაიბეჭდა („გეორგიკა“, ტომი მეორე, თბ., 1965).

დადგინდა ისიც, რომ პაულე დეკანოზი უფრო აღზინდელი ხანის მოღვაწეა, ვიდრე აქამდე ეგონათ (ნ. შარი და სხვ.). ამასთან დაკავშირებით დამაჯერებლად ისმის იმავე „სინაქსარული რედაქციების“ გამოცემის სიტყვები:

„აქად. ნიკო შარმა მიაკვლია მაკარი შესხის პეტრე იბერის ცხოვრების ისეთ ნუსხას, სადაც მეორე პირი ნაჩვენებია და ამ ძველში მითარგუნენი (?) დამატებები შეუტანია. დამატებებია შესავალი, გამართვის მიზნით წყობა ადგილ-ადგილ შეუცვლია და დაურთავს ანდერძ-ბოლოზიტყვაობა, საიდანაც ჩვენ ვგებულობთ მისი რედაქტორული საქმიანობის შესახებ. ნიკო შარს ეს შესწორებანი, შეტანილი პაულე დეკანოზის მიერ, XVII (?) საუკუნისადაა მიანია, რასაც იმეორებს ს. ყუბანეიშვილი. სინამდვილეში პაულე დეკანოზს ეს შესწორებანი და დამატებანი არ შეიძლება XIV-XV ს-ზე გვიან შეეტანა, რადგან XIV-XV სს. ხელნაწერში ჩვენ გვაქვს მაკარის რედაქციის ისეთი ცხოვრების ნუსხა, რომელშიაც პაულე დეკანოზის მიერ მოთავსებული ადგილები ზუსტად ისევეა, როგორც ნიკო შარის მიერ გამოქვეყნებულ პაულე დეკანოზის ანდერძის შემცველ ტექსტში, თუმცა ამ ანდერძის გარეშე აღდგნა, თუ მაკარის მიერ თარგმნილი ცხოვრების რედაქციაში პაულემ, მართლაც შეიტანა ასეთი შესწორებები, მაშინ ჩვენთვის უცნაოა უფრო მაკარის გადმოკეთებული პეტრე იბერელის ცხოვრების რედაქცია. ჩვენამდე მოღწეული ამ ცხოვრების უძველესი ნუსხა პაულეს შენასწორებ ნუსხად უნდა მივიღოთ, რაც არ შეიძლება გადასცილდეს XV ს. ფარგლებს“ (გვ. 188. ზაქარაია ჩვენისა. ა. გ.).

ასეა თუ ისე — პაულეს შესწორებანი და გარეცხვანი მაკარის „თარგმანისა“ — ფაქტია, ხოლო თვითონ პაულე ხუცესის „ასაქის“ დადგენად დამაჯერებელი ჩანს.

მიუხედავად ამისა, არ შეიძლება ზუსტად დადგინდეს — რა მოცულობისაა პაულეს უველი შესწორება, რომელიც მას შეუტანია ტექსტში, ხელნაწერის სახელდობრ რომელი სავარაუდებელი ხარვეზები შეავსო მან და ა. შ. მოკლედ ჩვენ ვერ გავითვალისწინებთ პაულეს გამოკლება-მიმართების, აგრეთვე გამოგონებათა და ფან-

¹ ს. ყუბანეიშვილის მიერ (ძვ. ქართ. ლიტ-ის ქრესტომათია, ტ. I, 1946), აგრეთვე „ძვ. ქართული აგიოგრაფიული ძეგლები“, II, 1967, ილ. აბულაძის რედ.

² იმავე სერაის ტ. IV, 1968. ენრიკო ვაბიძაშვილის რედაქციით.

ტანიითა სრულ მასშტაბს (სანამ სირიული ტექსტი არაა მთლიანად თარგმნილი).

• • •

ახლა პეტრეს შესახებ არსებულ სხვა თეორიასა შესახებ.

ჯერ პეტრე იბერიელის ცხოვრების უცხოური წყაროების გამო (შოვეხბდება ზოგჯერათი ცნობის განწმენობა).

პეტრეს ბიოგრაფთა შორის ცენტრალური ადგილი უჭირავს ორ პირს: ზაქარია რიტორს და იოანე რუფუსს.

პეტრეს მოწაფე, ბერძენი ზაქარია რიტორი, რომელიც შემდეგ მიტილენის ეპისკოპოსი იყო, დაიბადა მაიუმში, სადაც პეტრე მოღვაწეობდა.

ს. ყაუხჩიშვილის სიტყვებით: „482-489 წ. წ. მახლობლად ის სწავლობდა ალექსანდრიაში“. ქ. მაიუმში „პეტრე იბერიელის წრემ მასზე დიდი გავლენა მოახდინა“. „536 წელს ის, როგორც მიტილენის ეპისკოპოსი, მონაწილეობას ღებულობს კონსტანტინოპოლის სინოდში. ამის შემდეგ ცნობები ზაქარიის შესახებ აღარ არის. 553 წლის სინოდში მიტილენის წარმომადგენლად უკვე მიტროპოლიტი პალადია.

ზაქარიას შრომებია:

1. De mundi officio contra philosophos disputatio: Migne PG 85, 1011-1144. (იველ. შინის სერია „პატროლოგია გრეკა“. ა. გ.).

2. პეტრე იბერიელის ცხოვრება. დაკარგულია. ეს არ არის Raabe-ს მიერ გამოცემული „ცხოვრების“ იდენტური.

3. შამა ესაია ასკეტის ცხოვრება.

4. სვევერეს ცხოვრება (Spanuth-ის გამოცემა), შედგენილია 512-518 წლებში, კონსტანტინოპოლში.

5. მანიქველთა წინააღმდეგ (Pitra, Analecta sacra 5, [1888], 67-70).

6. საეკლესიო ისტორია“ (სიმონ ყაუხჩიშვილი, გეოგრაფიკა ტომი მესამე, ტფ., 1936, გვ. 1).

მაშასადამე, ზაქარია რიტორის „პეტრეს ცხოვრება“, რომელიც ბერძნულად იყო დაწერილი, დაკარგულია. ასევე დაკარგულია მისი სირიული თარგმანიც. შენახულია „ცხოვრების“ მხოლოდ ბოლო სტრიქონები.¹

¹ აი ეს სტრიქონებიც, რომელიც პონივანს მოჰყავს ლათინურად (გვ. 62). „...და აგრეთვე ფუქი დიდებისაგან (მატიმყოყარეობისაგან), რომლისგანაც ჩვეულებრივ იბადებიან ბიწიერების ენებანი. და მიიღეს (დასდეს) დროებითი ღუმულის ეს აღთქმა, რათა მისი შეოხებით განიწმინდონ და „სიდიადე სიტყვისა და მღვმარებისა“, როგორც იტყვის გრაგოლი, შეიმეცნონ“ (თარგმანი ბ. ბრეგვაძისა). გრაგოლი — გრაგოლ

რაც შეეხება ზაქარია რიტორის „საეკლესიო ისტორიას“, ცნობილია რომ „ზაქარიას „ისტორია“-ც დაწერილი იყო ზემოთხსენებულად და მისი შრომა—ბერძნულად დაწინადაკარგული — დაეცლია ასურული თარგმანისა, თუ ვანერცობის სახით, რომელიც შენახულა Historia miscella-ს სახელით ცნობილ კომპილაციაში“. „ეს კომპილაცია შედგენილია 554-555 წლებში“ (გეოგრაფიკა, 1936, III, გვ. 2).

„ეგრეთვეთი ძირითადი საკითხი, რომელსაც ეხება ზაქარიას „ისტორიის“ ქვემოთ მოყვანილი ადგილები, — განაგრძობს პროფ. ს. ყაუხჩიშვილი, ეს — პეტრე ქართველის მოღვაწეობაა. ამ საკითხზე ჩვენამდე მოღწეულია ორი ძველი: პეტრეს ასურული (R. Raabe, Petrus der Iberer Lpz. 1895) და ქართული (ნ. მარტი, ცხოვრება პეტრე ივერისა. СПб 1896) „ცხოვრება“. ქვემოთ მოყვანილი მასალები ზაქარიას „ისტორიას“ დაარწმუნებს მეთხვევლს, რომ ამ სამივე თხზულების წყარო ერთი და იგივე უნდა იყოს“ (იქვე, 2. ხანვასია ჩვენი ა. გ.). როგორც ვხედავთ — ს. ყაუხჩიშვილი 1936 წელს ფრთხილად სწერდა — „ერთიდაიგივე უნდა იყოს“-ო.

„გეოგრაფიკის“ ამ ტომში მოტანილია ქართული თარგმანები ზაქარიას ბერძნული „ისტორიის“ ექსცერპტების ასურული (სირიული) თარგმანის თუ გავრცობილი ფრანგულენოვან გერმანული და ინგლისური თარგმანების მიხედვით (იხ. გვ. 3-12).

1936 წელს, როცა პროფ. ს. ყაუხჩიშვილმა გამოისცა „გეოგრაფიკის“ III ტომი, ჩვენში უცნობი იყო ის ფაქტი, რომ Raabe-ს მიერ დაბეჭდილი ასურული ტექსტი (პეტრეს ბიოგრაფია) დიდხანს ანონიმის თხზულებად მიჩნეულა, პეტრეს მოწაფისა და მასწავლებლის გარდაცვალების (491 წ. 1 დეკ.) შემდეგ მაიუმის საეპისკოპოსო ტახტზე მისი შემკვიდრის იოანე რუფუსის (იგივე იოანე მაიუმელის) ბერძნულად დაწერილი „პეტრეს ცხოვრების“ ხირიული თარგმანია. მასშასადამე, მეთხვევლმა ახლა იცის, რომ

1. ზაქარია რიტორის ნაწარმოები „პეტრეს ცხოვრება“ ბერძნულად იყო დაწერილი. იგი დაკარგულია (დაკარგულია მისი სირიული თარგმანიც), ამიტომ არაა სწორი პროფ. შ. ნუცუბიძის სიტყვები:

«Мы не знаем, что собой представляла утраченная биография Петра Иверя, состав-

ნაზიანულიც (გარ. 389/390 წ.) რომლის ფრაზა ბერძნულად მოყავს ე. პონივანს (იქვე, შენიშვნაში). დაეუბატებთ, რომ ვადარჩენილი სტრიქონები ზაქარია რიტორის „პეტრეს ცხოვრებში“ გამოირიცხავს ამ დაკარგული ნაწარმოების ძიებას ანონიმის თხზულებაში.

ლენია на сирийском (?) языке Захарием Ритором» («Тайна Псевдо-Дионисия Ареопагита», Тиф., 1942, стр. 2. იგივე ფრაზა სრულიად უცვლელადაა განმეორებული ავტორის შრომებში «Петр Ивер и античное философское наследие», Тб., 1963, стр. 107 და «ქართ. ფილ. ისტორია», I, გვ. 142).

შედგომია: ბერძენ ზაქარია რიტორს უშეალოდ „სირიულ ენაზე“ არავითარი ბიოგრაფია პეტრე იბერიელისა არ დაუწერია (არც სხვა შრომა). არსებულა მხოლოდ მისი ბერძნული ორიგინალის სირიული თარგმანი, რომლის მხოლოდ რამდენიმე სტრიქონა მოღწეულია (იხ. ზემოთ.). ეს ცნობა ეკუთვნის ე. პონიგმანს, რომლის შრომის რუსული თარგმანი, შ. ნეტუბიძის, წინასიტყვაობითა და შენიშვნებით დაბეჭდა.¹

2. ზაქარია რიტორს აგრეთვე დაუწერია პეტრე იბერიელის უახლოესი მეგობრის „ესაია ასკეტის [ასურის, ეფესოპლის] ცხოვრება“ ბერძნულად. ს. ყაუხჩიშვილი წერს, რომ

„Land-მა გამოაქვეყნა Historia miscellae-ს დამატების სახით აგრეთვე მეორე თხზულება ზაქარიასი „მამა ესაია ასკეტის ცხოვრება“. Ahrens-Krüger-ის თარგმანშიც ეს დამატების სახით არის პოლონი, გვ. გვ. 263-274, დართლი“ („გეორგია“, III, 10, შენიშვნა).

ეს ადგილები „ესაია ასკეტის ცხოვრებისა“, რომელიც ს. ყაუხჩიშვილის მიერ დასახელებულ კომპლაციაშია შესული და რომლის ტექსტი გერმანულ თარგმანითურც Land-მა გამოაქვეყნა, ქართულად თარგმნილია ს. ყაუხჩიშვილის მიერ გერმანულიდან და დაბეჭდილია იმავე „გეორგიის“ მე-III ტომში. დასაწყისში უცნობი კომპლატორი წერს:

„ეს ისტორიაც („ესაიას ცხოვრება“) ზაქარია სქოლასტიკოსმა დასწერა, რომელმაც საეკლესიო ... ისტორია შეთხზა“ („გეორგ.“ III, 10).

შენიშვნაში (№ 3) ს. ყაუხჩიშვილი წერს:

„როგორც თავის დროზე ნ. მარმე (I, C, XXXIV) შენიშნა, საეკლესიოა, რომ პეტრეს ქართული „ცხოვრების“ ავტორსაც ესაიას ცხოვრება ჰქონია ცალკე დაწერილი: „ამის ნეტარისა მამისა ესაიას ცხოვრება და მოქალაქობა და დიდნი მოღვაწეობანი და სასწაულნი აღკვირებანი სხუაგან მადლითა ღმრთისათა (ნ. მარია, I, c. 39)“ („გეორგია“, III, გვ. 10). შდრ. „ქრესტომათია“, I,

გვ. 268: „ამის ნეტარისა მამისა ესაიას ცხოვრება და მოქალაქობა და დიდნი მოღვაწეობანი და სასწაულნი აღკვირებანი სხუაგან მადლითა ღმრთისათა“.

აქ გაზიარებულია ნ. მარის შეხედულება.¹

ყოველ შემთხვევაში, პროფ. ნ. მარს და პროფ. ზ. ყაუხჩიშვილს ფიქრად არ მისვლიათ კატეგორიულად აღენიშნათ — ზაქარია რიტორის მიერ ბერძნულად დაწერილი „პეტრეს ცხოვრება“ ან „ესაია ასკეტის ცხოვრება“ ზაქარია ქართულის (ფიციკლის) თხზულებებზეა „დამუარბებული“. ნ. მარს და ს. ყაუხჩიშვილი ვარაუდობდნენ ქართული „ცხოვრების“ ჩვენების (აღწერა) პეტრესა და ესაიას „ცხოვრებანი“ ასურულ ენაზეო ზოგი მკვლევარი კი ძალიან შორს მიდის: აცხადებს („როგორც არკვევა!“) რომ „ზაქარია ქართულის თხზულებაზეა დამუარბული“, არა მარტო პეტრეს ცხოვრების ასურული ტექსტი „ანონიმისა“ (იგულისხმება Raabbe-ს მიერ გამოცემული ასურული ტექსტი რუფუნისა, ა. გ.), არამედ „ზაქარია ქართულის“ ასურულ თხზულებებზე „დამუარბება“ ზაქარია რიტორსაც თავისი ბერძნული „ცხოვრება პეტრესი“ და „ესაია ასკეტის ცხოვრებაც“. ეს ზაქარია რიტორი, აგრეთვე თურმე „ეგრცლად“ მოგვიხრობს პეტრე იბერიელის ცხოვრების შეხახმე! ეს როგორა — უკვლავი ჩვენს ზაქარიას (ფიციკის) „დამუარბობდნენ“

ნამდვილად კი ნაწილობრივ ნ. მარის თავდაპირველად ვარაუდს („ზაქარია ქართულის“ არსებობის დაშვება) „გაერცლებულია“ ახალს „ფაქტებით“.

მაინც საკითხავია: საიდან დაასკვნეს ჩვენში, თითქოს მე-5 საუკუნის ასურული ტექსტი (რამაზს გამოცემა) „ზაქარია ქართულის“ დღემდე უცნობ (და ხინამდღეღემო არ არსებულ) ტექსტზეა „დამუარბული“, ან რომელ ნაწარმოებში მოგვიხრობს „ეგრცლად“ ზაქარია რიტორი პეტრეს ცხოვრებას? (აქი მისი ბერძნულად დაწერილი და შემდეგ ასურულადაც თარგმნილი „ცხოვრება“ დაკარგულია, ე. ი. ჩვენ არ ვიცით მისი შინაარსი და მოცულობა), ხოლო

¹ სიმ. ყაუხჩიშვილი „ბიზანტიური ლიტერატურის ისტორიაში“ (1963, გვ. 111) პეტრეს 5 ძირითად ბიოგრაფიას შორის მეოთხე „ცხოვრებად“ მიიჩნევს „ქართულად დაწერილ „ცხოვრებას“ პეტრე იბერიელისა“, რომლის ავტორი თავის თავს უწოდებს „გლახაი ზაქარია“, მოწაფე მისი“. თუ ვინაა რეალურად ეს ზაქარია — ჩვენი ბიზანტინისტი ამას კატეგორიულად არ აღნიშნავს. ვფიქრობთ კი — შეუძლებელია მას სწეროდეს „გლახაი ზაქარიას“ ქართულობა. ჩვენთვის ეს ! აქოთხი საბოლოოდ გადაწყვიტა სწორედ აქად. ს. ყაუხჩიშვილის მიერ რუფუნის „პეტრეს ცხოვრების“ ქართულად თარგმნა.

¹ აღსანიშნავია, რომ პონიგმანის მიერ მოტანილი ადგილი რუფუნისა — მეორეთ მოსკვის ხილვა იორან ევნექის მიერ — უღდათაა გადმოცემული რუსულად: ანგელოსთა საბელწოდებანი თვითნებურადაა გადმოღებული, შესაბამისი ეტიმოლოგებში გათვალისწინებული არაა.

იმავე ზაქარია რიტორის „საეკლესიო ინტორიის“ სირიული თარგმანიდან აგრეთვე მოკლე ექსცერპტებია მოღწეული, მისივე სვეტროსისა და ისაიას „ცხოვრებანი“ კი პეტრეზე ფრაგმენტებს ცნობებს შეიცავენ!

„როგორც ირაკლია“ აქ საკმეხ ვერასვლით ვერ უშველას, ჩვენი წინა ექსპურსიდან უკვე ცხადი უნდა იყოს, რომ მკვლევარის მსჯელობა მთლიანად გაუგებრობაზეა აღმოცენებული.

ქერ რ. რააბეს „ანონისის“ (ტ. ი. იონე რუფუსის) თხზულების შესახებ.

უკვე არავინხელ აღნიშნული გვეყონდა, რომ R. Raabe-ს მიერ 1895 წელს გამოცემული ტექსტი „პეტრეს ცხოვრებისა“ (სირიულ ტექსტში ავტორი დასახელებული არაა) წარმოადგენს პეტრე იბერიელის მოწაფის იონე რუფუსის მიერ ბერძნულად დაწერილ, მაგრამ დაკარგული ტექსტის სირიულ თარგმანს. ავტორის ვინაობა რააბემ არ იტოვდა. ს. ყაუხჩიშვილი იონე რუფუსთან დაკავშირებით უკვე 1905 წელს დაბეჭდილ „გეორგია“-ს მეორე ტომში (გვ. 245-246). წერს:

„იონე რუფუსის „პეტრე იბერის ცხოვრება“ დაწერილია VI საუკუნის დასაწყისში. როგორც ითქვა, იგი დაწერილი იყო ბერძნულად, ხოლო ჩვენამდე მოღწეულია მისი სირიული თარგმანი. ამ თხზულების სირიული ტექსტი გამოსცა და გერმანული თარგმანი დაურთო რიხარდ რააბემ“ (გვ. 245. შემდეგ მოტანილია რააბეს 1895 წლის გამოცემის სრული სათაური. ა. გ.).

ცოცხა ქვემოთ:

„პეტრე იბერის ამ „ცხოვრების“ ავტორი დიდი ხნის განმავლობაში უცნობი იყო. დღეს მეცნიერებაში უკვე გარკვეულია რომ მისი ავტორია იონე რუფუსი. ეს გაარკვია ედ. შვარცმა, რომელმაც დაადგინა, რომ იონე რუფუსმა „პეტრე იბერის ცხოვრება“ ბერძნულ ენაზე დაწერა 518 და არა 500 წელს, როგორც რააბე ფიქრობდა“ (გვ. 246).

შენიშვნაში (№ 2) ს. ყაუხჩიშვილი მიუთითებს:

„2. Ed. Schwartz, Johannes Rufus, 1912. შ. ნუცუბიძე, ქართული ფილოსოფიის ისტორია, 1956 ტ. I, გვ. 462“. („გეორგია“, 246).

ედ. შვარცის შრომის გვერდებს არ უთითებს შ. ნუცუბიძე ზემოთ დასახელებული წიგნის („ქ. ფილ. ისტ.“) სათანადო ადგილს (შდრ. „ამ სირიული ძეგლის შესახებ უკანასკნელ დროს ვაჩქავა“ (7) რომ მისი ავტორი იონე რუფუსი ყოფილა, რომელმაც იგი ბერძნულ ენაზე დაწერა 518 წ. და არა 500 წელს, როგორც შეცდომით წერს რააბე თავის გამოცემაში. ეს გაარკვია Ed. Schwartz, Johannes Rufus, 1912“. ხანჯასმა ჩვენია, ა. გ.).

ქერ ერთი: უბერძულთა თქმა „უკანასკნელ დროს ვაჩქავა“, თუ ეს საკითხი ქერ კადვე 1912 წელს ყოფილა გარკვეული, მერმე მანც საიდან გახდა ცნობილი, რომ Ed. Schwartz-ის შრომაში ყოფილა დადგენილი Raabe-ს მიერ გამოქვეყნებული სირიული ტექსტის ავტორის ვინაობა?

ეს საკითხი ქართულ ფილოლოგიაში პირველად დისკვა მას შემდეგ, რაც 1952 წელს ტ. ი. შვარცის შრომის დაბეჭდიდან 40 წლის შემდეგ ბელადელმა აკადემიკოსმა ერნესტ ჰონიგმანმა ბრიუსელში ფრანგულად გამოაქვეყნა დიდი მნიშვნელობის ნაშრომი „პეტრე იბერი და ფსევდო-დიონისე არეოპაგელის თხზულებანი“ და რომლის რუსული თარგმანი შ. ნუცუბიძის წინასიტყვაობით და შენიშვნებით, აგრეთვე ს. ყაუხჩიშვილის რედაქტორობითა და დამატებითა კომენტარებით, დაიბეჭდა თბილ. უნივერსიტეტის „შრომებში“ 1955 წელს (ტ. 59, გვ. 19-69. წინასიტყვ. გვ. 1-18, შენიშვნები, გვ. 70-78) სათაურათ: «Э. Хонигман: Петр Ивер и сочинения Псевдо-Дионисия Ареопагита».

მოგვეყავს სათანადო ადგილი ჰონიგმანის შრომიდან, რომელიც „პეტრე იბერის ბიოგრაფიის წყაროებს“ ეხება. პირველ რიგში იგი სწორედ იონე რუფუსის შრომას ასახელებს („შრომები“, 64):

«Житие Петра на сирийском языке, перевод с греческого, которое опубликовано! (შენიშვნაში მიითითებულია რ. რააბეს გამოცემა. ა. გ.) и обыкновенно цитируется как аноним, но автором которого, совершенно определенно является Антиохиец Иоани Руфус или Иоани Бет Руфин? (მოტანილია ბერძნული დაწერილობა მისი სახელისა, სათანადო კომენტარებით. ა. გ.), преемник Петра в качестве монофизитского епископа в Майуме, как это окончательно доказано Эдуардом Шварием. Это случилось, несомненно, после 518 г., т. е. тридцать лет спустя после смерти Петра, что Иоани Руфус написал его биографию. Но, поскольку будущий биограф Петра Ивера, в течение последнего десятилетия его жизни почти никогда не покидал своего учителя и обожаемого предшественника, он был хорошо подготовлен для выполнения своей задачи».

შენიშვნაში (3) ე. ჰონიგმანი მიუთითებს შვარცის შრომაზე.

«Издатель Раабе, не заметив, что автор говорит о многих переменах событий в его жизни, плохо перевел соответствующие пассажи [მიითითებულია რააბეს], ერთერთ კრიტიკოსზე, რომელმაც

уже заметил справедливо: «Я бы попробовал задать себе вопрос, не есть ли, случайно, наш Иоани Руфус, автор доселе неизвестный, Жития Петра Иверра. Это не больше как гипотеза...» О деталях, подтверждающих это мнение, Ср. P. Maas: BZ, 22 (1913), стр. 248» (იქვე).

ედ. შვარტცის წიგნი, როგორც ჩანს, სამწუხაროდ ხელთ არ სჭერია აკად. შ. ნუცუბიძეს, იგი მხოლოდ ჰონიგმანის მიხედვით (ამ კონტექსტში დაუსახელებლად) მსჯელობს მასზე. ეს ჩანს კიდევ მეორე მაგალითად.

ე. ჰონიგმანი აღნიშნავს, რომ «ედ. შვარტცი, რომელმაც შეისწავლა გულდასმით, როგორც არავინ მინამდვილად, პეტრეს ცხოვრება, ვადაპრებით უარყოფს მთელს შის „სიდიადეს“ (გვ. 52) და მოყავს ციტატა ედ. შვარტცის წიგნიდან, რომელიც რუსულ თარგმანში ასეა წარმოდგენილი: «Этот грузин не был какой-либо выдающейся личностью и аскетическое движение среди высокообразованных и духовно возвышенных выучеников Бейрута исходило не от него, а кристаллизовалось вокруг него, как данного центра»¹.

შენიშვნაში (№ 1) კი მითითებულია:

„I. Ed. Schwartz. Johannes Rufus, стр. 25“ (ჰონიგმანი, 52).

ე. შვარტცის ეს ნეგატიური სიტყვები პეტრე იბერიელის მიმართ (თანაც იგი ერთად ერთი ციტატაა ედ. შვარტციდან), რომელსაც ე. ჰონიგმანი ბრწყინვალედ აჭარბებებს, შ. ნუცუბიძესაც მოჰყავს თავისი წიგნის შენიშვნაში:

«Eduard Schwartz, исследователь биографии Петра Иверра, составленной Иоанином Руфусом, так отзывался о Петре Иверре: «Этот грузин не был какой-либо выдающейся личностью, и аскетическое движение среди высокообразованных... выучеников Бейрута исходило не от него, а кристаллизовалось вокруг него, как вокруг данного центра.» [Johannes Rufus, стр. 25» (იხ. მისი *Петр Ивер* и антич. филос. наследие, 1963, стр. 216)¹.

¹ აღსანიშნავია, რომ გერმანულ ტექსტში ედ. შვარტცის სიტყვა «ეს» („этот“) არ მოეპოვება (იხ. Johannes Rufus, 25). საერთოდ ფრანგულიდან რუსულად თარგმნილი გერმანული ციტატა სხვა დეტალებშიაც შორდება დედანს. გარდა ამისა, ედ. შვარტცის შრომა იწყება ასეთი სიტყვებით: «დიდი მონაფთხიტი წმინდანის, იბერიელი უფლისწულის, ასკეტისა და ეპისკოპოსის ცხოვრებაში...» (შვარტცი, გვ. 1). ამიტომ მთელი ციტატის კონტექსტში გათვალისწინება აუცილებელია.

ისე გამოდის, თითქმის განსვ. შეტყუარს ეს ციტატა (აგრეთვე ერთადერთი), უშუალოდ თვითონ წაეკითხოს ედ. შვარტცის წიგნი, ნამდვილად კი იგი ჰონიგმანის წიგნის რუსულ თარგმანის სათანადო (ზემოთ მოტანილ) ადგილს ამოკრებს, ხოლო უშუალო წყაროს (ჰონიგმანის შრომას) არ უჩვენებს. ანალოგიურ მაგალითებს ქვებდებით ჩვენი ავტორის დასახელებული წიგნის 211-213 გვერდზე ჰონიგმანისეული საბუთების ჩამოთვლისას, რააბეს მიერ გამოქვეყნებული რუფუსის სირიული თარგმანის შეტყუარების აღნიშვნის დროს (შდრ. ჰონიგმანი, გვ. 51-52).

ედ. შვარტცის სხვა ციტატა, გარდა ე. ჰონიგმანის მიერ იმავე ედ. შვარტცის წიგნიდან მოტანილისა (რომელიც ჰონიგმანს წინწალებში აქვს ჩამხული) მის შრომებში არსად არ გვხვდება. ეტეობა — ედ. შვარტცის წიგნს იგი იცნობს მხოლოდ ე. ჰონიგმანის გამოკვლევის მიხედვით. ამიტომ ჰონიგმანის შრომაზე (ამ კონტექსტში) მითითება სავალდებულო უნდა ყოფილიყო. მაგრამ ეს — სხვათაშორის.

ე. ჰონიგმანს მეორე ძირითად წყაროდ პეტრე იბერიელს არსებულ უცხოურ ლიტერატურაიდან დასახელებული აქვს იმავე *იოანე რუფუსის „პლეგოფორიები“*, რომელიც ავტორის დაუწყებია ბერძნულად 512 წლის! შემდეგ და იგი სირიულ ენაზე შენახულა (ჰონიგმანი, 66. «გეოგრაფია», II, 290). ეს სირიული ტექსტი ფრანგულად თარგმნა F. Nau-მ (ჰონიგმანი, 66, შენიშვნა), ხოლო ფრანგულიდან ქართულად პროფ. ს. ყაუხჩიშვილმა («გეოგრაფია», II, 291-297).

მესამე წყაროდ ე. ჰონიგმანი ასახელებს *ზაქარია სქოლასტიკოსის „პეტრეს ცხოვრებას“*. ბერძნულად დაწერილს, რომელიც დაკარგულია. (როგორც ითქვამს, იგი აგრეთვე სირიულ ენაზე ყოფილა თარგმნილი. ამ ზაქარიას «ცხოვრების» მხოლოდ ბოლო სტრიქონები დარჩენილა (იხ. ჰონიგმანი, 67 შდრ. გვ. 62. ეს სტრიქონები, ბ. ბრეგვანის თარგმანში, ზემოთ მოციტანეთ).

მეოთხე წყაროდ დასახელებულია ქართული «ცხოვრება» პეტრესი (შაქარის «თარგმანი». ა. გ.). ამ «ცხოვრების» შესახებ ჰონიგმანის აზრს ქვემოთ გაეაცნობთ მკითხველს.

მეხუთე ადგილზეა დასახელებული ზაქარიას *სქოლასტიკოსის* «საეკლესიო ისტორია», რომლის შემოკლებული სირიული თარგმანი შესულია ანონიმის კომპილაციამ. იგი სთარგმნა ს. კუბხიშვილმა გერმანული თარგმანის

¹ ყველაფერი ეს გაარკვია 1912 წელს ედ. შვარტცმა, იგი წერს, რომ «პეტრეს ბიოგრაფიის სხვა არავინ შეიძლება იყოს, თუ არა იოანეს რუფუსი, რომელსაც მეტსახელად ლაზარე ერქვა» (E. Schwartz, Johannes Rufus, გვ. 9).

ნიდან ქართულად („გეორგია“, 1936, III, გვ. 3-12. იხ. ზემოთ).

პონიგმანი აღნიშნავს, რომ პეტრე იბერს რამდენჯერმე ეხება ზაქარია „სვეეროსის ცხოვრებაში“ (პონ., 68), ავრთხვე: იოანე ბეთ აღტროის თაობა „სვეეროსის ცხოვრებაში“ უძღვნის პეტრეს რამდენიმე გვერდს, მაგრამ ის ახალს არაფერს შეიკავს ((პონ., იქვე) იოანე რუფუსის თავის თხრობაში თეოდოსი იერუსალიმელის სიკვდილის შესახებ შემთხვევით ახსენებს პეტრეს იორის (იქვე). „ესაიას ცხოვრებაში“ ზაქარია სქოლასტიკოსი არა ერთხელს ეხება პეტრე იბერს (იქვე. ეს ადგილები სთარგმნა ნ. ყაუხჩი-შვილმა იხ. ზემოთ). და ბოლოს, მეათე წყაროდ პონიგმანი ასახელებს წმინდა იაკობ სპარსელის „წამების“ კატრუა წარმოშობის ტექსტს, რომელსაც დაუცავს ცნობა, თუ როგორ გადაესვენებოდათ წმინდა იაკობის ნეშტი პეტრეს ორ მოწაფეს იმ დროს, როცა პეტრე გაქცეულა ალექსანდრიაში და აქედან ოქსირონში. ამ ტექსტის არაბულ ვერსიაში (1952 წლისათვის ის გამოუცემელი იყო. იხ. პონიგმანი) პეტრე ედუსეად არის მინიჭებული, ხოლო იერუსალიმი — ედესად (პონ., 68-69).

ე. პონიგმანის ექსკურსი პეტრეს ბიოგრაფიის წყაროებისა ამით თავდება (უფრო ვეინდელი ავტორების, მაგ. ევარის, შრომებში გაფანტულ ცნობებს, რომლებიც ძირითადად პეტრეს ყველაზე ადრინდელ ბიოგრაფთა ცნობების განმეორებებს წარმოადგენს, პონიგმანი არ ეხება).

როგორც დავინახეთ, პეტრე იბერის ბიოგრაფთა შორის ცენტრალური ფიგურებია — იოანე რუფუსი და ზაქარია რიტორი. ხოლო — ზაქარია სქოლასტიკოსის „პეტრეს ცხოვრება“ (დაკარგული), „საეკლესიო ისტორიის“ ფრაგმენტების სირიული თარგმანები, სვეეროსისა და ესაიას ასეუტის „ცხოვრებანი“ და იოანე რუფუსის ორი შრომა „პეტრეს ცხოვრება“ და „პლეროფორიები“ — შაიმუშის დიდი მოვარებისკომპოსის ბიოგრაფიის ძირითადი წყაროებია ამჟამად (ბერძენ ზაქარია დაკარგული თხზულების გამოკლებით).

რაც შეეხება ვარაუდს — თითქმის ბერძენ ზაქარია და „ანონიმის“ (იოანე რუფუსის) თხზულებათა სირიული თარგმანები და ქართული

„პეტრეს ცხოვრება“ შეიძლება საერთო წყაროდან მომდინარეობდენ, — არ მართლდება. საქმე იმაშია, რომ ასეთი საერთო წყარო არ არსებობს და არც არსებობდა. ბერძენი ზაქარია და იოანე რუფუსი არ არიან ერთმანეთისაგან ლიტერატურულად დავალებული, ხოლო „პეტრეს ცხოვრების“ ქართული კომპილაციის შემთხვევით პირები (მაკარი და პავლე) ორივეს თხზულებებზე არიან დამოკიდებული. ქართული „ცხოვრების“ ვითომცა სირიული დედნის (არ არსებულს) „ავტორი“ „ზაქარია ქართველი“ ხინამდელიღემ ზაქარია რიტორის ფიქციური ორგენი ფსევდონიმის ფავლასზრისთ, ხოლო ლიტერატურულად — უმთავრესად იოანე რუფუსისა.

ერნესტ პონიგმანი ასე ახასიათებს „პეტრეს ცხოვრების“ ქართულ ვერსიას, რომელიც პეტრე იბერიელის ბიოგრაფიის მეოთხე წყაროდ აქვს დასახელებული (პონიგმანის ანალიზი ზუსტია): «Грузинское Житие довольно поздней эпохи (პონიგმანი იმეორებს ნ. მარის გამოცემას, ა. გ.), согласно сведению его редактора, священника Макара — перевод сочинения Захария — сученика Петра Грузина», написанного на сирийском языке. Форма изменения имен, как, например Мурвана вместо Набарнугия, Атомокона вместо Betman'a, Зенона — вместо Сапá не может ввести в заблуждение того факта, что дело касается Жития, составленного Иоанном Руфусом. К сожалению, текст этого Жития настолько испорчен известным священником Павлом, который не только прибавил введение и заключение, но также изменял текст таким манером, что он уже не представляет исторической ценности. Петр там становится халкедонским святым, Большая часть собственных имен изменены, и например, Ювенал переделан в Анатолия, Финикия — в «чужую» или в «неизвестную» страну, монофизитство V века — в «восток Севера и якобитов». Ни одна из рукописей, опубликованных Марром не относится по времени раньше XVIII в. Составители Грузинской Хроники уже знали биографию Петра. Одна из рукописей содержит «воззвание в честь царственного принца Вахтанга (перед его вступлением на трон в 1711 г.) и его семья за нахождение и публикацию отрывков Жития святого»

¹ „დღესდღეობით გამოჩვეულია, რომ ყველაზე დიდი მოღვაწე პეტრე იბერიელის მოწაფეთაგან იყო იოანე რუფუსი. ჩვენს ხელთ არის მისი ორი თხზულება შაიმუშ, რომელთაგან ერთი, 150 დაბეჭდილი დღევანდელი სტამბური გვერდის შემცველია და ეწოდება „პეტრე იბერის ცხოვრება და მოღვაწეობა“ (იგულ. რააბეს ასურული ტექსტი. ა. გ.). მეორე თხზულება ამავე ავტორისა არის „პლეროფორიები“, საკმაოდ სქელტანიანი წიგნი, რომლის ორი შესამედი მიმდევრია აქვს პეტრე იბერიელის ცხოვრ-

ბასა და მოღვაწეობას“ (სიმონ ყაუხჩი-შვილი, არეოპაიტული წიგნების გარშემო (პეტრე იბერიელი და დიონისე არეოპაგელი). „მნათობი“, 1963, № 10, გვ. 155-156).

(მითითებულია ბ. ა. ზ. კონ., 67-68).

ე. მონეგმანის დაკვირვებანი და შენიშვნები აბსოლუტურად ზუსტია, ამასთან იგი სახვებით მართებულად მიუთითებს, რომ მაკარისა და პავლეს კომპილაცია ძირითადად დამოკიდებულია იოანე რუფუსის „პეტრე იბერიელის ცხოვრების“ სირიულ თარგმანზე. სწორია მისი აზრი იმის შესახებაც, რომ „ცხოვრების“ ქართული ტექსტი პავლეს მიერა შეტყუვნილი. ე. კეკელიძე კი იმეორებს ნ. მარის შეხედულებას, როცა წერს:

„მაკარის შრომა არ არის გადმოკეთებული თარგმანი იმ ასურული ცხოვრებისა, რომელიც გაშოსია R. Raabe-მ“ („ქართ. კ. ისტ.“, 19-1, 12, 311. შტრ. 1950 წ. გამოცემის გვ 316 და 1960 წ. გამოცემის გვ. 336).

ეს ნ. მარის თვდაპირველი ვარაუდის განმეორებაა. მაკარისა და პავლეს კომპილაცია მხოლოდ ამდენად არაა რააბებს სირიული ტექსტის (რუფუსის „პეტრეს ცხოვრების“) „თარგმანად-მოკეთება“, რამდენადაც ის „გავრცობილი“ და „გადაკეთებულია“ განსაკუთრებით პავლეს მიერ. მასში მოხვედრილა ზეპირა რიტორის რამდენიმე ცნობაც, „ცხოვრების“ ავტორად გამოცხადებულია ფიქციური „ზეპარია ქართველი“, შეტანილია ქართული რეალიები, რუფუსის ონომასტიკონი („მეგ. გეოგრაფიული სახელები) ქართულადაა წარმოდგენილი (რუფუსის „ქალაქი“ — მსებრად, „მდინარე“ — მტკვრად, რამდენადაც სირიულ ტექსტში ქართველი მეფას ქალაქად მოსვლის წინ მდინარესთან დაყოვნების ეპიზოდიც ვადმოცემული და ა. შ.). მაგრამ

რუფუსი:

„დიდი ბაქურიონი, რომელიც იბერთა მეფეებთან პირველი ქრისტიანი (მეფე) იყო, და მისი შვილად დღესდღეობა ღვთისმშობლის ისეთ სიმაღლეზე ავიდნენ, ისეთ სათნოებამდე და ისეთ კაცევამდე ქრისტეს მიერ უფლისა, რომ ისინი, თუცა მეფური მოღვმისანი იყვნენ, თანაოთი მეფობის განმავლობაში მონაზონის ასკეტურ ცხოვრებას მისდევდნენ“ („გეოგრაფია“, 11, გვ. 249-250). სიმონ ყაუხჩიშვილის თარგმანი. ქვემოთ მარტო გვერდების ნომერაჲცია ნახევრები; პასაჲებში განსაკუთრებით თანხვედრილი ადგილებია ნახვასმული).

რუფუსი:

„ხოლო ნურავინ გამოიჩენს სულმოკლეობას... და ზედმეტად ნუ ჩათვლის ამ სახელების ჩამოთვლას... ამიტომ ჩვენც, უცნინესებმა, სამართლიანად მივიჩნიეთ იმათი სხოვნა, რომლებიც იმან მოსავლარა დღესასწაულის ღირსად ჩათვალა და რომელთაგანაც ასეთი ყვაფილი წარმოიშვა“ (249).

[ამის შემდეგ რუფუსი ზუსტად ჩამოთვლის

უადრესად მნიშვნელოვანი პასაჲები რუფუსის თხზულებიან (ხოგან გავრცელებულად ზეპირად შემოკლებული). უძველესად კი კატარქოსის ხელის სირიული დედნიდან, ე. ი. რუფუსის თხზულებიდან, არის გადმოსული ქართულში. ეს გამოჩნდება იმ პარალელურ ადგილებიდან, რომელთაც აქ მოვიტანთ (სამწუხაროდ რუფუსის სირიული დედნისა და ქართული „ცხოვრების“ სრული შედარება ამ შეთოდით დღემდე არავის უცდია. ეს საქმე უნდა შესასრულონ იმათ, ვინც სირიულს კარგად ფლობენ. მაშინ ზოგი დეტალ უფრო დაწუსტდება. საერთოდ საჭიროა სირიული ტექსტის სრულად თარგმან).

ახლა მოვეყვაც ძირითადი პასაჲები, რადგან ყველას აქ მოტანა ძალიან გაზრდიდა ჩვენს შრომას. ამასთან აღვნიშნავთ, რომ პასაჲთა მიმდინარეობა ამ ორ ძეგლს შორის განსხვავებულია და, როგორც არა ერთხელ აღვნიშნეთ, აიხსნება იმით, რომ ქართული ტექსტის რედაქტორსა და შემავსებელს პავლე ზუციეს ხელთქონია ფერცლებ-ასული ხელნაწერი, ამიტომ მას ვერსიაში დედნის პირვანდელი ფენის თანმიმდევრობის ნამდვილი სახე დაკარგულია. საერთოდ პავლეს თვითნებური რეკონსტრუქცია მოუხდენია ტექსტისა. წინასწარ კი მიიწვეუნდა აღინიშნოს, რომ სიმონ ყაუხჩიშვილის თარგმანი სრული გარანტია იმისა, რომ ორი ტექსტის იდენტურობა (ძირითად ნაწილებში) დამტკიცდეს. (საერთოდ, ს. ყაუხჩიშვილმა პეტრე იბერიელის ბიოგრაფიის შესწავლის საქმეში გააყვთა უფრო მეტი, ვიდრე სხვა მკვლევარებმა, ერთად აღებულმა).

მაკარი — პავლე:

[პეტრეს მამის დახასიათება. ბუზმარიონი ქართულ მარტიანეთა თანახმად ბაქურადა მოხსენებული]

„იყო მეფე ქართველთა ზედადიდი ვარაზბაკურ (მეოთხე მეფე იყო ესე მირიან მეფობითგან). ესე უკეთ მეფე ვარაზ-ბაქურ იყო მართლმადიდებელი და დიდად ღმრთის-შესაბერი მამის-მამეულად და მებრეალე სათნოებისა ზედა უფლისა ჩვენისა იესუ ქრისტესისა“ („ქ. ქართ. აგიოგრ. ძეგლები“, 1967, 11, გვ. 215; ქვემოთ მარტო გვერდები იქნება მითითებული).

მაკარი — პავლე:

[გამოშვებულია პეტრეს წინაპრების ჩამოთვლა, რომელიც რუფუსთანაა, მაგრამ დარჩენილია ახალგაზრდა პეტრეს შედარება „ყვავილთან“, რომელიც რუფუსიდან მომდინარეობს]:

„არამედ ეკა მოსწრადე იქმნა სარბიელი სიტყვსა ჩვენისა და უსწრობს მოთხრობად სათნოებისა უუაჯილოვნებათა მისთასა პირველად-

პეტრეს წინაპრებს, რომელნიც გამოჩნდნენ პალესტინის ქართულ წარწერებში, უმოკრესად თითო პეტრეს მიერ აგებულ ტაძარში. იხ. გიორგი წერეთელი. უძველესი ქართული წარწერები პალესტინიდან. თბ., 1960, გვ. 23-24. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ რუფუსის ცნობა, თითქოს იბერიის მეფეთაგან „დიდი ბაქურიოსი“ იყო პირველი ქრისტიანი მეფე—შეცდომაა. თავის დროზე ეს შეცდომა გასწორებული აქვს კ. კვეციანს (იხ. მისი „იბერიის ქრისტიანიზაციის საწყისებთან“. „ეტრუღები“, III, გვ. 18-22).

რუფუსი:

„როდესაც მისი მამა (პეტრესი. ა. გ.) ბოზმაროსი აგარაკიდან... ბრუნდებოდა, რომ ქალაქში მოსულიყო, მიადგა ერთ მდინარეს, ვხაზე რომ ჩაშობოდა; იგი ამ დროს ძლიერა ნაკადით მოედინებოდა და გადახვლას... აბრკოლებდა. და როდესაც იგი იძულებული იყო თავის ნაპირზე დაეყენებულყო და დედადგი, დანახა მან ერთი კაცი, რომელმაც მას ასეთი სიტყვებით მიმართა: „ბოზმაროსო, ამა ამ მდინარეზე შენ გადახვალ. მამ, ადგე და გადადი; შინ წადი და შეეცაე შენ ცოლსა; ის დაროსუდდება და გიშობს ძეს, რომელიც თავიანთივემული აქნება ღმერთის წინაშე და ადამიანთა წინაშე“ (256).

რუფუსი:

„მის შემდეგ რაც ის ასეთი ღვთაებრივი წყალობის შემწევობით ჩაიხანა დაიბადა, და აღიზარდა, იგი თორმეტი წლის ასაკში გააგზავნა მძევლად ღვთისმშობელს და ქრისტიან თეოდოსი მცირესთან, რომელიც მეფესთან. ამან რამდენჯერმე გაგზავნა შიკრიკები (იბერიასში) და ბოზმაროსსა, მისმა მამამ, იბერთა ქვეყნის მაშინდელმა მმართველმა, გაგზავნა იგი, ელილიდან ის ქრისტიან რომელიცა შეგობრობას უფრო მადლა აფასებდა, ვიდრე უღეთო სპარსელების დაბმარებას. იგი გაგზავნა დიდის ზემოთ და დიდის პატივით. და როდესაც ის მოვიდა ცხოვრებულ თეოდოსისთან, მან იგი სიუვარულით მიიღო და აღზარდა და შეიყვარა, როგორც საკუთარი შვილი“ (256).

მოკუნებისა და აღორძინებისა და აღზრდისა. ნათესაობისა მისისა“ [214. პეტრეს] მძევლად გაგზავნილი, როგორც რუფუსთან].

მაკარი — პავლე:

„ერთსა უკუე ემასა მოვიდა იგი [ქართლის მეფე] ქუეყანითან თუსთა ქალაქად თხად სამეფოდ მცხეთად, და დაუღამა კიდესა მდინარისა მის დიდისასა, რომელსა ეწოდების მტკუარი, და ინება მეფემან მუნ განსვენებად მწუხრსა მას. და ვითარცა ილოცა, მიწვა განსვენებად, რამეთუ თნიერ ღოცვისა არა დაიძინას, ხოლო ვითარცა მოერუდა, წარმოუდგა მას ანგელოზი უფლისაა ბრწყინიად და დადებული, მოხილა სამოსლითა სპეტაკითა ელვარედ და ბრწყინიდა პირი მისი ვითარცა მზის-თული.“

ხოლო მეფემან ვითარცა იხილა ანგელოზი იგი, იქმნა შეშინებულ ფრიალ, მტკუა მას ანგელოზმან უფლისამან: „ნუ გეშინი, მეფე! მე ვარ ანგელოზი უფლისა და მოვიყვინე შენდა უფლისა ღმრთისა მიერ, რამეთუ შეისმნეს ღოცვანი შენი. და ამა მიუდგეს ცოლი შენა და გაშვეს შენ ძე, რომელი იყოს დიდ და სრულ წინაშე ღმრთისა და კაცთა, და მრავალი ერნი ღმრთისა მთაქცინეს“.

და ვითარცა განიღვა მეფემან, იყო სული მისი მხიარულ და აბიღებდა ღმერთსა.

და შემდგომად დღითა ჩაყოდნომე მოუდგა ცოლი მეფისა მის და უშვა მას ძე, და რაყოდნისაშე ეამისა შემდგომად ნათელსცეს ყრმისა მას სახელსა ზედა წმიდისა სამებისასა და უწოდეს სახელი მურვანოს“. (216-217).

მაკარი — პავლე:

„და ვითარ იქმნა ყრმად იგი სამის წლის, მისცეს სამწიქნობარედ, და დაისწავლა მან ყოველივე სწავლა. და გულის კმის-ყოფით აღმოიკითხავნ წმიდათა წერილთა და იწერთონ მათ დღე და ღამე, და აღორძინდებოდა და წარემატებოდა შიშითა ღმრთისაათა“.

[პეტრესთან და სპარსელთა შორის ბრძოლის დამსახურების იმპერატორი ქართლის მეფეს სთხოვეს მძევლად ძეს] „ხოლო მეფემან თვედოსი უმეტესისა სიმტყუისათვის მოსთხოვა მძევალიცა მეფისა ქართველთასა“.

...და წარგზავნა ძე თვის მურვანოს ათორმეტისა წლისაა დიდითა დღეებითა ქალაქად სამეფოდ კოსტანტინეპოლედ მეფისა ბერძენთა[სა თვედოსისა. ხოლო მეფემან თვედოსი



შეიწყნარა იგი დღითა პატივითა, და ეპყრა მა-
ლატას შინა, ვითარცა შევილი თუხი დღითა და-
ღებითა" (217-218).

რუფუსი:

შაკარი — პავლე:

„[პეტრეს ეწაღა] ეტარებინა ქრისტეს სახელი და ეღიდებინა და ექადაგა ადამიანთა წინაშე, სიკაბუჯიდან დაწვებული ვიდრე სულის უკანაყენელ ამოსვლამდე, მართლმადიდებელი სარწმუნოება; ამივე დროს დარჩენილყო მოციქულთა მოწაფედ და ჰეშმარიტ მიმბაძველად, მუდამეჲ ყოფილიყო ქრისტეს ჳერის მტვირთველი და აღსაესე სელწმიდით. თავისი ძალის მეოხებით მან ბევრი შესძინა ქრისტეს და სახარების მორჩილებას; იგი თვითონ იყო ნიშნუი ყოველი კეთილისა და ვაჟაკური ცხოვრებისა თანახმად მოციქულის მოწოდებისა“.

„IV. ხოლო ყრმამან ვითარცა იხილა მეფე და დედოფალი და ყოველი პალატი, რამეთუ იყენეს დიდსა შინა ღმრთის-მსახურებასა მარხვითა და ლოცვითა და გლახათა მოწყალებითა, უფროახად განაზრავინა მან სათნოებანი თჳსნი: მარხვად ჳრიადი, მღვიძარებად უზომოა ლოცვა და უცებრომელი, გლახათ-მოწყალებად, სამეფოდ, სიუფარული, სახიერებად, მოთმინებად. და ყოველნი ნყოფნი სულისანი შეიკტნა, რომელ არიან სათნოებანი სიტყვაებერ წმიდისა მოციქულისა“ (გვ. 219).

[გვ. 234. რაბე შეთითებს: „1. ტიმოთე 4, 12“ (კეორგია, იქვე). მოვიტანთ პავლე მოციქულის სიტყვებს ამ მოტიანი პარალელური ტექსტების ერთნაირ დაბოლოებათა შინაარსის უკეთ გაგების მიზნით:

„ნუშეა ვინ სიკაბუჯესა შენსა შეტრაცუოფს; არამედ სახე ექმნენ მორწმუნეთა მათ სიტყვით; სღვითა, სიუფარულითა, სელათა, სარწმუნოებითა, სიწმიდითა“ (1 ტიმ. 4, 12)].

რუფუსიც იქვე ჩამოთვლის პეტრეს იშვიათ ქრისტეანულ თვისებებს).

შაკარი — პავლე:

რუფუსი:

„ის მკვდარი იყო სხორციელად, მაგრამ ყოველ დროისათვის ცხოველი იყო და ცეცხლებერი იყო სულით. ის იყო ღარიბი, მაგრამ ბევრს მდიდრად ხდიდა, რამდენადაც სულებსა და სხეულებსაც კეებავდა უველას თავისი შესაფერი საკვებით. ის იყო ის, რომელსაც არაფერი აქვს, და მიუხედავად ამისა, ყველაფერი ჰქონდა, არა მხოლოდ ის ჰქონდა, რაც მიწაზეა, არამედ ის განსუფლობად ჰქონდა, რაც ზეცაშია“ (255).

„ემოსა [პეტრეს] ფლასი ფიცხელი და შქისე ქვეშე კერძო სამეფუთათა შესამოსელთა. და იმარხავენ იგი ორ-ორით, სამსამით და უფრო[ა]სლა შედიდულოთ, ვითარცა დანიელ და სამნი ყრმანი. და ამით დასცემა იგი კორცთა სამქურვალესა და განაძლიერებდა ცეცხლსა მას სულისაჲსა, რომლის[ა] მოტენად მოვიდა ქრისტე ქვეყანად“ (219).

შაკარი — პავლე:

რუფუსი:

[რუფუსის ამ პასაჲს თითქმის სრულად იმეორებს შაკარის ვერსია]:

„...მან გამოამტლავნა სახარებისებური უკუველობა, სიმშვიდე და მომთმუნობა უკვე ასეთ (პატარა) ასაკში და თავისი უკმაყოფილება ლოცვით შეცვალა. იგი იწყოდა რწმენისა და სულეფერი ცეცხლისაგან და ამ წმინდანებისადმი ლოცვით მიმართვის შემდეგ, როდესაც ღამისთვის საღამო დადგა, უველა პრაქი, [ქართული „ცხოვრების“ კანდელო. ა. გ.], ნაცვლად ჳეთისა, წულით აავსო და იხე მოკუიდა და გამოდგა. და ეს პრაქები მთელი დღესასწაულის განმავლობაში, ჳივდი დღის მანძილზე, ენოო განუწყვეტლივ, ღამით და დღისით.“

[პეტრე მოითხოვს ჳეთს „კანდელოთა აღსანთებად წინაშე ნაწილთა მით წმიდათა მოწამეთასა“ სულის მოფენის დღესასწაულთან დაკავშირებით, მაგრამ ჳეთი არ მიაქვთ მასთან]:

„ხოლო იგი განრისხნა და პრქუა მას „რაჲ არს ესე, რამეთუ ამას დღესასწაულსა ყოველნი ქრისტეანენი იხარებენ, ხოლო ნუენ მონაზონთა წესი ეკუყრიო?“ და არა მორათუნს მას ჳეთი, არამედ განიზრახვიდეს სიკუდილსა მისსა, რაჲთამცა განთავისუფლდეს მისგან, და ნებასამცა თჳსსა ჳედა იქცეოდეს. ხოლო ნეტარი მურვანონ არა განრისხნა, არამედ აღდგა დაწუნარებულად და მოიღო წყალი ნაცვ[ა]ლად ჳეთისა და აღაუცნა კანდელნი წულითა და აღიპყრა კედლი და ითხოვა მადლი ჳეგარდმო ღმრთისაგან და

ეს რომ მეფემ და ყველა მისიანებმა და სე-

ნატში გაიგეს, ყველაში განცვიფრება გამოიწვია ისე, რომ ბევრს მოთხოვნილება დაეხადა მიეზაათ მისი ქვეყისათვის და მისა ასკეტური ცხოვრებისათვის. და მასთან შეგროვდა აუარებელი რაოდენობა ისეთებისა, რომელნიც მას ეღარებოდენ ასკეტობაში და აღზნებაში. და, აი, ერთხელ, როდესაც ის მათ შორის იდგა და მათ ესაუბრებოდა ისეთ რამეებზე, რაც მათ ხსნას ემსახურებოდა, უცხად დაინახა მათ შორის ჩვენი უფალი ნაზარეტელის (მონაზონის) სამოსელი. და ის დაჯარდა, ეთაყვანა და მის ფეხებს ხელეში მოხვია; იგი არავის დაუნახავს, როდესაც მან ტირილით და ცრემლებით წამოიძახა: „ჩემო უფალო და ჩემო ღმერთო!“ ხოლო მას ეგონა, რომ სხვებიც ხელადღენ მას, არამედ მარტო ის ხელადგა, ასე რომ ყველანი, ვინც იქ იყვნენ, დიდს განცვიფრებაში, შიშსა და კანკალში იყვნენ, მის შემდეგ რაც იმათ იცნეს ის ღვთაებრივი სახე, რომელიც მან დაინახა, და კიდევ უფრო გამარაგლეს თავიანთი ღვთაებრივი აღზნება და თვითნთი სიყვარული. ამიტომ ბევრმა მოთაწმა უარყო ეს ქვეყანა და ჩაიცვა მონაზონის სამოსელი“. (258-259).

რუფისი:

„...როგორც მე არავითხელ მსმენია, ვინაიდან ცხოვრებულს უამბნია თავისი მეგობრებისათვის, რომელიც აგრეთვე ბედნიერება ხვდით ასეთი ამბებიც სცოდნოდით (მოა-საკვრველებაც!). — თუ როგორ უძლოდნენ მათ წინ ღრუბელი ან ცეცხლოვანი... სვეტი სიბნელეში. ისინი ხოტბას ასხამდნენ და გალობდნენ ერთგვარი კეთილზმოდებით... შესაფერისი და ტბილი მელოდით შეთხზულ ღვთაებრივ სიმღეს, რომლის სიტყვებაც მე გადმოგვივით. ეს სიტყვები შემდეგაა:

„...იგი ქრისტე და იხილე შუქი შუქისაგან, და მოუღწეველი დაღებულება; და მათ, რომელნიც მას ეძიებენ, ის დააქილდოვებს“ (261).

[შაკარის „ცხოვრებაში“ ვრცელადაა მოცემული იმ ჰიმნის სიტყვები, რომელიც რუფისი აქვს ჩაწერილი. თუთონ რუფისი ამ ფაქტს (ჰიმნის სიტყვების მოტანას) სიგანებოდ აღნიშნავს. ა. გ.].

რუფისი:

„ხოლო როდესაც ისინი წმინდა ქალაქის იერუსალიმის მახლობლად იყვნენ, რომელიც მათ უყვარდათ, და პირისპირ შედგარე, ზუთი სტალიონით დასორებულ მაღლობიდან დაინახეს, როგორც მზის ამოსვლის ბრწყინვალეობა, მაღალი სახურავი წმინდა და სათაყვანებელი ეკლესიებისა, მაცხოვრებელი და სათაყვანებელი ჭვარის ეკლესიისა, წმინდა ადგომის ეკლესიისა და სხვათა...“

წმიდათა მოწამეთაგან, რამათა აღწერენ კანდელნი იგი, და ემა საკრველი, რამეთუ მესა შინა აღწერეს და ენთებოდეს შედ დღე და შედ ღამე თანერ ზეთისა დიდად ბრწყინვალედ

და მიიწია პაშაბი ესე მეფისა თვედროსა. და მოვიდა მეფე და ყოველი მთავარი მისნი ხილვად სასწაულისა მის, და იხილეს რამ, ვითარ იგი ენთებოდეს ბრწყინვალედ თვნიერ ზეთისა კანდელნი იგი, და განკრდეს და აღიდებდეს ღმერთსა, და პნატრიდეს მონასა მისსა მურტავისს, და ამბორს — უყოფდა მეფე პირსა მისსა წმიდასა, შიერ ქამითაგან უმეტეს შეიყუარა იგი მეფემან და ყოველთა მთავართა.

VI. დღესა უკუ ერთსა დგა წმიდა იგი და ილოცვიდა შტურვალედ ღმრთისა შივართ. და ვითარ ილოცვიდა ცრემლითა შტურვალითა, იხილა ქრისტე უფალი წინაშე მისსა მდგომარე. და მეცხრულად თაყუანის-სცა უფალსა და შეუვრდა ფერქთა მათ საუფლოთა. და დააღობდა ცრემლითა შიერ თხუთა კუარცხლებსა წმიდათა ფერქთა მისთასა და ეყიდებოდა და იტუოთა: „უფალო, უფალო ნუ დამიტყუებ მე“. ხოლო რომელი. იგი დგეს მის თანა, არას ხედვიდეს, არამედ გულისკმა ყვეს, ვითარმედ გამოცხადებდა რამე იხილა“ (221-222).

შაკარი — პავლე:

[კონსტანტინოპოლს სტოვებენ პეტრე და მისი მასწავლებელი იოანე ლაზი]:

„VIII. არამედ პირველსავე სიტყუასა მოვიდეთ. რამეთუ იყვნეს რამ განზრახვასა მას, რამათა წარვიდნენ ერთსა უკუე ღამესა პოეს ქამი მარჯულ და აღიხუნეს ნაწილი იგი წმიდათანი რომელთა — იგი მსახურებდეს. და საფასე, რამ ზომი უკმა და გამოედეს ქალაქით კოსტანტინოპოლით. და იხილეს წინაშე მათსა, რამეთუ სუეტი ნათლისაა უძლოდა მათ ღამესა მას უცნსა. და კმა ისმოდა ნათლისა მისგან სუეტისა, რომელი იტყოდა: „ეძიებდით ნათელსა, რომელი გამოვიდა მამისაგან ნათლისა და რომელი ეძიებდეს მას ნათელსა, სასუიდელო სრულებით მიიღოს“. და ვითარცა იხილეს სუეტი იგი ნათლისაა წმიდათა მათ და ესმა კმა იგი ნათლისა[მ] მისგან, მზარტელ იქმნეს და აღიდებდეს წმიდასა სამებასა“. (224-225).

შაკარი — პავლე:

[პეტრე და იოანე იერუსალემში არიან]:
 „და ვითარცა მივახუნეს და იხილეს წმიდა იგი ქალაქი, დაღვეს და ტიროდეს მუევარ ეამ შტურვალედ, და შიერე შევიდეს და მოალოცნეს წმინდანი იგი ადგილითა და ეკლესიანი, და წმიდა ადგომიან და გოლგოთიან და დიდებულნი ბეთლემი, და ზეთის ხილთა მთა წმიდა და გესამინია, რომელმან შეიწყნარა გუამი იგი ღმრთივ-შეწყნარებელი... და სხუანი ყოველნი

ლესიისა, შემდეგ აგრეთვე მის პირდაპირ მთაზე მდებარე სათაყვანებელი ამაღლების ეკლესიისა...
...ანთებული სიყვარულის სიჭარბის გამო არ შეწყვიტეს იმ მაღლობზე ლოცვა და მუხლიანობით ცოცხა, ხშირად ტრეხებით და თვალებით იმ წმინდა ნადავას მოხვევა, ხანამ წმინდა კედლების შიგ არ აღმოჩნდნენ, თვით სათაყვანებელი ჭვარის (მე ვვულისხმობ წმინდა გოლგოთას) და წმინდა აღდგომის ეკლესიის საფუძველს არ მოხვიეს ხელი: ისინი ერთსა და იმავე დროს ზარბუნდნენ და ტიროდნენ..." (264).

რუფუსი:

"...ისინიც ოქროს უფოთ ატარებდნენ მათ სათაყვანო ნეშტებს. მაგრამ ვარდა ამისა მათ თან ჰქონდათ მხოლოდ კიდევ იოანეს სახარების პატარა წიგნი, რომელშიაც ჩატანებული იყო წმინდა და სათაყვანებელი განმკურნებელი ჭვარის ხის-ტარის ერთი ნაწილი, რომლის შემწეობით ისინი დაცულნი იყვნენ და რომლის მეშვეობითაც ჩვენსა უფალმა მრავალი სასწაული და არა ნაკლები ძლეულებანი არქენა: მათი გამხსნევებისა და ნუგეშისცემისათვის მან ჩაუღვა ნაზი ძალა.

ჭვარის იმ ნაწილს მგზავრობის დროს განუწვევებელი მთელი კვირის განმავლობაში ზეთი სდიოდა, ისიც იმდენი, რომ ისინი თავიანთი ხელით იღებდნენ ამ ზეთს და იცხებდნენ სახეზე და სხეულზე..." (262).

რუფუსი:

"[ღმერთმა] იმთავითვე გაუშვადა რამათ კეთილშესტუმრე მეგობარი ქალი, მე ვვულისხმობ ნეტარ მელანიას, იმ რომელ ქალს, რომელიც თავის მუდღელსთან, პინანუსთან და თავის დედასთან, ალბინასთან ერთად [ცხოვრობდა იქ]" (265. დაყოფა ტექსტში, ა. ვ.).

"როდესაც მან (მელანია?) წმინდა უმარვილების, პეტრეს და იოანეს იერუსალიმში მისვლა შეიტყო (მანინ მათ ჭერ კიდევ მათი ქვეუნიც ენათა მიხედვით... ერთვით ნაბარნეიოსის და მითარდატე) და გამოკითხა, თუ ვინ იყვნენ ისინი და საიდან მოსულაყენენ, დიდის სიხარულით შეიხიზნა ისინი, რამეთუ მას კარგად ახსოვდა, რომ, როდესაც ის ოდესღაც კონსტანტინეს ქალაქში ჩავიდა, იქ ნახა ნეტარი პეტრე, როცა მას, როგორც ახალგაზრდა უმარვილს, მეფურად ზრდიდნენ" (266).

რუფუსი:

"ერთერთმა წარჩინებული სამღვდელო პირი იყო მათი მეზობელი, რომელმაც სწორედ იქვე აირჩია ადგილი და შენობა აავსო. მაგრამ როდ-

წმინდანი ადგილი ცრემლითა მტურვლითა მოილოცეს" (226-227).

ერკენესული
ნიკელიონისა

მაკარი — პავლე:

"ხოლო ვითარცა წარვლეთ ზღუა და განვედით კმელად, აღიხუნეს წმიდათა მათ ნაწილი იგი წმიდათა. მოწამეთანი და ნაწილი ძელისაცხოვრებისა და ვიწვეთ სღუად, და რაჟამს დაშურთან, შოლიან ევლოგია და სცხიან კორცთათხთა, და სიმაშურად იგი ყოველი განმშორას. რამეთუ ნაწილსა მას ძელისა პატიოსნისა აღმოვიცნებოდა მიპრონი ყოვლად საყრველი, რომელი-იგი იხილიან რამ წმიდათა მათ, ადიდებდიან ღმერთსა საყრველებათასა". (გვ. 225-226).

(მაკარი-პავლეს რედაქციაში რუფუსის „ზეთი“, რომელსაც სახეზე და სხეულზე („ხორცთათვისთა“) იცხებდნენ პეტრე და იოანე, გადმოღებულა „მიპრონად“. პაპაეების დამთხვევა შესტია).

მაკარი — პავლე:

[პეტრე და იოანე ლაზი იერუსალემის მახლობლად არიან]

"IX. ხოლო იყო ვინმე მეფე პროპით მოსული, სახელით პინინოს და სახელი მუდღელისა მისისა მალენიოს. ამით აღაშენნეს ორნი მონასტერნი, ერთი სამამოა და ერთი სადელოა და მონაზონ ექმნეს თხთა მათ მონასტერთა.

ხოლო მეფე პინინოს ზურგიითა თხთათა ცრებდა შეშასა თხსსა მას მონასტერსა, რამათა სახე სიმდაბლისა ექმნეს ძმათა გონებითა მალალოთა, და ეგრე მალენიოს დედოფალი თხთათა ქელთსაქმრითა მოიჭრედა საზრდელსა, რამეთუ ეკუნა სიტყუად იგი მოციქულისა. ვითარმედ: „ექმი იგი ნუცა ჰამს და ქელნი ჩემნი მსახურებდეს მე“.

ამან მალენიოს დედოფალმან იცნა მურვანოს და იოვანე, და მოურაჲ და მოღუაწე ექმნა მათ, რამეთუ იხილენეს იგინი კონსტანტინე მოლეს, და წარგზავნნა მონასტერსა პინინოს მუფისასა" (227-228).

მაკარი — პავლე:

"და როდენთამე დღეთა შემდგომად კუალად მოიქცეს იერუსალიმადგე და კუალად აღაშენეს ქალაქს[ი] შინა სახლი სასტუმროა. და იწყეს

საც, როგორც ეს ჩვეულებრივ მოსდით მეზობლებს, საზღვრის გამო დავა ატყუდათ, თერთონ ცხოვრებული პეტრე წყნარად იყო თავის საყანში. იოანე საჭურისი კი, რომელიც ვარეთ შევებთან იმყოფებოდა, მას წყნარად და თავშემაბლად არწმუნებდა, როგორც ეს მას ჩვეულებად ჰქონდა: თავშემაბლობაში იმ მოაეს ჰგავდა. მან კი, რომელიც უსამართლოდ იტყუოდა, თითქმის მის წინააღმდეგ იმას მძიმე უსამართლობა ჩაედინოს, ვინაიდან ის საერთოდ მის წინააღმდეგ ლაპარაკობდა, რაც ძალი და ღონე ჰქონდა გართვა ღოუაში ცხოვრებულ (იოანეს), როგორც კი [ა] ფას მსახურის მიმზამველმა. თუმცა იოანე სილაგარტყული იყო და მწარე ტყვიის გრძობდა, მან სრულად არაფერი უნასუნა იმას, დასტოვა მუშები და ის გაყოფებულო, და შევიდა მამა პეტრესთან და ტირილით აწვესა თავისი ღოუა, რომელიც ხელით ეჭირა. რამეთუ იმ გარტყვამ ტყვილი გამოიწვია...
 მეორე დღეს დილით ის უსირცხვილო მკვდარი ნახეს" (377-378).

რუფუსი:

„გამუდმებით დაეხტებოდა პირველი შორბედის იოანეს უდაბნოში, რომელიც (იოანე) იყო ასეთი სახარებრივი მტკიცის დამფუძნებელი და მასწავლებელი; მე ვგულისხმობ იმას, რომელიც იორდანისკენ მიიჩქაროდა... და იქ ატარებდა თავის ცხოვრებას...“ (270).

რუფუსი:

„როდესაც ერთხელ ცხოვრებულ იოანე საჭურისს სახეზე ერთი მხრივ იარა, სირსეული, გაუჩნდა და მთელი სახე დაუჭამა, ორთავენი საგონებელში ჩავარდნენ და, რადგან ამის გამო ისინი დიდ ტყვილს განიცდიდნენ, ხოლო ცხოვრებულ იოანეს რცხვენოდა ხალხში გამოჩენაც კი“... (გვ. 274).

[როგორც რუფუსთან, მაკარის თხრობაშიაც პეტრე მოიყვანს იოანეს უფლის საფლავთან.]

რუფუსი:

„და, აი, ცხოვრებულმა პეტრემაც აირჩია ასაშენებლად ერთი ადგილი სიონის ეკლესიის წემოთ... და იქ აავო მონასტერი, რომელსაც დღესაც იზაბრის მონასტერი ჰქვია“ (277).

ჩვენ აღარ განვივარძობთ პარალელური პასაჟების ამოწერას, ისედაც აბსოლუტურად ნათელია მაკარის მიერ გადმოკეთებულ „ცხოვრების“ თითქმის უველა ძირითადი ეპიზოდის დამოკიდებულება იოანე რუფუსის „პეტრეს ცხოვრე-

შენებად ეკლესიისა. და სხვადა ვინმე ერთსაცა მთავარი აშენებდა მახლობლად მათსა ეკლესიასა ასა თვისა და ერთოდა მოწაფებს ნეტარისა პეტრესსა საზღვრისათვის.

და დღესა ერთსა წარმოვიდოდა იოვანე მუშათა თანა ეკლესიისათა. და აღუშეთოდა მთავარი იგი იოვანეს, და უბეთქნა დაწუხა მისსა და განასხნა მუშაკნი ეკლესიისანი. ხოლო იოვანე არაა მოუგო, არამედ შევიდა წმიდისა პეტრესა და აუწუხა საქმე ესე. ხოლო წმიდამან პეტრე არასწევდა მას, არამედ ესრეთ თქვა: „საკვრეული, უკეთუ კაცი იგი ამას ღამესა არა მოკედეს...“

და ვითარ განთენა, მოსარჩლე იგი მათი მომკლდარ იყო“. (235-236).

მაკარი-პავლე

„ამის შემდგომად გამოვიდეს მიერ წმიდამ პეტრე, იოვანე, ნეტარნი მამანი, და წარვიდეს იორდანისა პირსა ადგილსა უდაბნოსა“ (231).

მაკარი-პავლე:

„...თამსა ერთსა გამო-ჩამმე-აქდა პირსა იოვანესსა და დაესხა ურცილი და სქამდა პირსა მისსა. და მიუღებდა ნათელსა თუალთა მისთასა. და ჰრცხუენოდა მისხლად კაცთა თანა დიფარვიდა პირსა მისსა“ (232).

მაკარი-პავლე:

„და მიერითგან განძლიერდა ძალითა და შეწევნითა უფლისამათა, და სრულყო შენებად ეკლესიისადა მონასტრისადა... და ჰქვან მონასტრისა მას „მართმეულთა მონასტერი“ (237).

ბის“ ასრულდ თარგმანზე. მკითხველი შედარებით როგორ აქართულებენ რუფუსის პასაჟებს მაკარი მესხი და განსაკუთრებით პავლე დეკანოზი (რომ მაკარის „თარგმანი“ საფუძვლიანად და გადაკეთებული პავლეს მიერ, ამას თერთონ

პაველ არც მალავს, — ეს მისი ერთად ერთი და ფრიალ მოსაწონი ღირსებაა, რითაც ზოგი დაჭაღდოებული არაა). დაშვება მიმოთვინისა, თითქოს ფიქციურ „ზაქარია ქართველის“ არ არსებულ ასურულ ტექსტზეა „დამუარებული“ იოანე რუფუსის ტექსტის წემო მოტანილი პანაჟები (ტექსტისა, რომელიც ბერძნული ორიგინალიდან სირიულზეა თარგმნილი) და რომ „ზაქარია ქართველს“ ქართულადაც ქონია დაწერილი „პეტრეს ცხოვრება“ — შევდგომა.

რუფუსის „ცხოვრების“ ქართულად გადმოცემულ ტექსტს უნდა ვაგმაროთ პაველ ხუცესის მანუალაციები, ზაქარია რიტორის ახრდელი — „ზაქარია ქართველი“ — აქ არაფერ შეუშაა. ეს უკანასკნელი პაველ ხუცესის გამოწვევითაა პარია!

ეგებ კიდევ რაიმე დამატებითი საბუთია საჭირო? მაშინ აი ისიც.

იოანე რუფუსი ვაჟოგვეცემს პეტრეს ნათლის იოანეს ხილვას მეორეთ მოსელაზე, თუ როგორ გამოეცადა მას ანგელოსებით ვარემოცული მაცხოვარი. ანგელოსთა დასის სვლა რუფუსის მიერ ასეა გადმოცემული, რომ მან წაბაბი მისცა შ. ნუტებიძეს და ე. პონიკმანს მასში ფხვედო-დიონისე არეპაგელის (V ს.) მიერ შექმნილი ანგელოსთა დასის სამი ტრიადას ანარტელი დაენახო. ფხვედო-დიონისეს თავისი მოძღვრება ზეციური ძალების ანუ დასთა სამ ტრიადად (9 ღინად) წარმოადგენისა მოცემული აქვს წიგნში „ზეციური იერარქიის შესახებ“ („De caelestis hierarchia“), რომელიც ეფერძმ მცირემ (XI ს.) სთარგმნა სათაურით „ზეცათა მღვდლო-მოაგრობისათვის“. დიონისეს ამ შრომას (მის სხვა შრომებთან ერთად) გავლენა მოუხდენია რუსთველზე. ფხვედო-დიონისე არეპაგელის დასახელებული წიგნის მიხედვითაა მთლიანად აგებული დანტის „Divina commedia“-ს მესამე ნაწილის—„სამთხველს“ ანგელოსთა გუნდების ტრიადა, რაზედაც ჩვენ ვრცლად გწერთ სპეციალურ გამოკვლევას.

იოანე რუფუსის მიერ ჩაწერილ იოანე ღაზის მიერ ზეპირად მონათხრობს მაცხოვრის ხილვანზე (მეორეთ მოსელაზე) შემოკლებით აშორებს მაკარი-პაველს „ცხოვრებას“. აი პარალელური პანაჟები:

იოანე რუფუსი:

„ერთდელ ამ ცხოვრებულმა იოანემ ჩვენზეა ნახა და მოელო სამი დღე ამ მოჩვენებაში გაატარა, ისე რომ არავისთან არ ულაპარაკნია. მაგრამ მან იბოლა ჩვენი უფლისა სანთელი და სთელო მეორედ მოსელა: ერთბაშად ვაიხსნა ეს და მოსამა საუვირთობი, დედამიწის შერყევა, ცვალება, ესე იგი ელემენტების შეცვლა, ყველაფერი სავსე იყო შუქითა და შიშით დამსხვრევის წინაშე, და (საგვ ეყო) რყევით და არეგდარებით, წინ მიდიოდნენ ანგელოზები და

ზეციური რაზმების პირველი წყენება, ანგელოზები, მთავარანგელოზები, მქედები... მძლავრობანი... დიდებულნი... შევბანი წმინდა მოციქულებისა, წინასწარმეტყველთა, მოწაფეთა, მართალთა, ქერობითა, სერაფიმთა და ყველა მათ შემდეგ სათაყვანებელ და გამეტრნებელ ნიშნად უფლისა ქვარისა და თვით უფალზე. მაცხოვარი და მესია, რომელიც მოდიოდა დიდებულ მამასთან ერთად გამოუთქმელი ძლიერებით, (დაინახა) მოწაფებულნი საუდრები და დეთებრივი და საზარელი სამსჯავრო, რომლებიც დიდი ხნის წინათ წინასწარ გვაუწყეს ჩვენ ბევრჯერ წმინდა წინასწარმეტყველებმა და მსაჭულებმა და თვით მაცხოვარმა“ („გეორგია“, 1965. ტ. II, გვ. 275-276).

ეს პასეი მაკარის ტექსტში ასეა გადმოცემული (ქართულ „ცხოვრებაშიც“ იოანეც „სამ დღე... ხედვლა“ ჩვენებას):

მაკარი:

„მერმე კულად ჩვენებასა იბილიდა ნეტარი იოანე სამ დღე და სამ ღამე სენასა შინა თუხსა და ხედვლა, რამეთუ საუდარნი დაიდგნეს სასწავლისანი და ძელი ქვარისა გამოუნდა ღრუბელთა თანა ცისათა, და მანინდა მსაჭული დაჭადა. და იყო მსაჭულისა მის ვარემოსს სიმრავლე ურიცხვ ანგელოზთა და მთავარანგელოზთა, სერობინთა და ქერობინთა, და იხლნა კულად წმინდა მოციქულნი საუდართა ზედა მსხდომანნი და წინასწარმეტყველნი და ყოველნი წმინდანნი და მართალნი მართლმსაჭულისა ქრისტეს ღრმთისა მღვთმარტინი“. („ძე. ქართ. პაგ. ძეგლები“, II, გვ. 233-234. შტრ. „ქრესტ“. II, 262).

საერთო დამთხვევა აშკარაა. ვადახევები უპიველია, გამოწვეულია იმით, რომ მაკარის (?) შევარება იგი. ეს საბუთი გადამწყვეტია — რუფუსის ბრწინვაზე პასეი თარგმანში ალაგ-ალაგ შემოკლებულია, დარღვეულია ანგელოსთა ტრიადული სვლა და სხვ. რაც შეუძლებელია მომხდარიყო პირიქით შემთხვევაში (რუფუსი რომ იყოს დავალებული „ზაქარია ქართველისგან“).

ე. პონიგმანი თავის შრომის იმ ადგილას, რომელიც ეხება რუფუსის მიერ მოთხრობილ იოანეს ჩვენებას მეორეთ მოსელაზე, შენიშნაში წერს (ნ. მარის გამოცემაზე დაყრდნობით): „То же видение рассказано в грузинской версии «Жития Петра», гл. 25 (пер., стр. 93). Эта версия, кажется, основана целиком на сирийском «Житии Петра», или, возможно, на его греческом оригинале» (33).

1 სახელთა ბერძნული დაწერალობანი გამოცემული გვაქვს ა. გ.

რუფისის ბერძნული ორიგინალი არ ჩანს, ხოლო მკარის „ცხოვრება“ თარგმნილია ასურულადან (ამას თვითონ მკარის საგანგებოდ აღნიშნავს). ქართულ ვერსიაში დაცული ჩვენების პასუხის შესაბამე მსჯელობა მხოლოდ რუფისის თხზულების სიახლოვე თარგმანთან შეჭერებით შეიძლება. პონიგვანის დამატებითი რეპლიცა არაფრით არაა გამართლებული და საკვირველია როგორ ვაინდა იგი მის გამოკვლევაში, მით უფრო, რომ პონიგვანი კარგად იცნობს ნ. მარსა წიგნს!

მეგრამ მკარის „გადმოკეთების“ ხასიათი ამით არ ამოიწურება. ჭერ კიდევ ნ. მარსა შენიშნა, რომ ქართული „ცხოვრებას“ მთარგმნელი პეტრეს რელიგიური მრწამსის „რეკონსტრუქციასაც“ ახდენს თავისი ეპოქის შესაბამისად: მონოფიზიტი პეტრე ქართულ „ცხოვრებაში“ ქალკედონისტადაა გამოყვანილი!

ჩვენ ზემოთ უკვე აღნიშნული გვეჩვენა, რომ პეტრე იბერიელმა კონსტანტინოპოლი დასტოვა ჭერ კიდევ ქალკედონური პარტიის გამარჯვებამდე სატახტოში. დიოფიზიტების ტრიუმფის ხანაა მარკიანესა და ლეონის მეფობის წლები (452-470) და მეოთხე მომდევნო პერიოდი ე. წ. მართლმადიდებლობისა. მკარის „თარგმნილ“ „ცხოვრებაში“ ქალკედონისტები ერთადერთ პერსონაჟს ქრისტიანებად აჩიან გამოყვანილი, შეჭებულა იმპერატორი მარკიანე. აი სათანადო პასუხები:

„XVI. მით დღეთა შინა დაესრულა მეფობაა თვედოსი მცირისა და დაიპყრა მეფობაა მარკიანე და შეტარა კრებაა მეოთხე კალკედონს ექუსას ოცდაათა მამათა და დაამტკიცეს ორი ბუნებაა ქრისტისი. სვეერიაონის-იაკობნი—შეწყუენებულნი — არა შეიწყნარებდეს ქრისტეს ორთა ბუნებათა და არცა განკორციელებნას მისსა წმიდისა ღმრთის-შობებლისაგან.

შაშინ ნეტარმან კრილე აღექსანდრიელმან და უოველთავე მამათა შეაწუნენეს იაკობნი და უოველნი მწვალებულნი, რომელთა არა პრწამს ორთა ბუნებაა ქრისტისი და კცებამა მისი წმიდისა ღმრთის შობლისაგან.

ხოლო მეფემან მარკიანე წარმოავლინა კაცი სამეფოთა პალესტინედ, რაათა განასხნეს მწვალებულნი ქუეყანით მათით“. ჭე. აგ. ძეგლები“, II, გვ. 243-244. ივ. ლ. დიოფიზიტი იუვენალი, იერუსალიმელი პატ-

რიარქი, რომელიც პალესტინის მონოფიზიტებმა შემდეგ გააქვეყნეს *ჟიტი პეტრე* დან. ა. გ.).

ამას მოსდევს თხრობა იმის შესახებ თუ როგორ გარდაიცვალა მარკიანე ექვსი წლის შემდეგ, ხოლო „მოვეს ფაი მწვალებელთა“ (ე. ი. მონოფიზიტებმა, ა. გ.), კუალად აღევნენს ალტყდეს, ეთარცა ცეხლნი, და დაიპყრენს რომელნიმე კერძონი ქუეყანისანი და შეტრბეს და განიზრახეს, რაათა მოკლან წმიდა პეტრე ქართველი მღვდელთ მოძღუარა“ (გვ. 244) და პეტრეც მიმართავს „მწვალებელთაგან“ ვასაქცევად „ზაქარიას [ქართველს] (იქვე).

ამრიგად, პეტრე ქართულ „ცხოვრებაში“ გამოყვანილია ქალკედონისტად, „მწვალებელნი“ (ე. ი. მონოფიზიტები?) მას, როგორც ქალკედონისტს, მოკვლიათც ეშუქრებინ. პეტრე კი მონოფიზიტი იყო!!!

ეს აშკარა აღოგონში, რათქმა უნდა, ისტორიული სიკრუდა და გამოწვეულია მონოფიზიტ ზაქარია რიტორისა და იოანე რუფისის თხზულებათა ქართული კომპილაციის. რედაქტორის პაუღეს ფალსიფიკაციით, ქართულ დიოფიზიტურ ეკლესიასთან პეტრე იბერიელის ცხოვრებისა და მისი რელიგიური ცდომის შეთანხმების მიზნით. სხვაგვარი აზრსა — გამორიცხულია. დაბლოებით ასე ფიქრობდა ნ. მარიც. ამიტომ მართალია ე. პონიგვანიც როცა წერს ქართული ვერსიის ამ კონტექსტის მისამართით:

«К сожалению, текст этого Жития настолько испорчен известным священником Павлом, который не только прибавил введение и заключение, но также изменил текст таким манером, что он уже не представляет исторической ценности. Петр там становится халкедонским святым». (67).

როგორც ვხედავთ დეკანოზმა პავლემ არა მარტო ზაქარია რიტორი აქცია „ზაქარია ქართველად“, არამედ მონოფიზიტი პეტრე იბერიელი — დიოფიზიტად! პავლეს მანიპულაციები „ცხოვრების“ ტექსტზე (შეიძლება „პატრიოტული“ მოსაზრებით გამოწვეული) — ყალბი მქნელობაში გადადის!

რასაკვირველია, ქალკედონისტების წინააღმდეგ მებრძოდ მონოფიზიტ იოანე რუფისის „ცხოვრებაში“ მისი მასწავლებელი მონოფიზიტი პეტრე იბერიელი ქალკედონისტად არაა დახასიათებული. (ეს კუროზი იქნებოდა). იგი უმთავრესად ჩვენი პავლეს მანიპულაციებია, ზაქარია რიტორისა და რუფისის ტექსტებიდან შესრულებული ქართული თარგმანის დედანზე

1 430 წელს, ე. ი. 21 წლით ადრე ქალკედონის კრებამდე (451 წ.), კონსტანტინოპოლში მონოფიზიტობის ბატონობის ხანაში სატახტოდან პეტრეს გაქცევის კი „მონოფიზიტებისა და დიოფიზიტების“ ბრძოლით ხსნის ზოვიერთი. ეს კი შეცდომაა: 430 წელს დიოფიზიტებს „კონსტანტინოპოლში დიდი გავლენა არ ჰქონდათ.

ჩატარებულ. ე. პონიგმანის გულისწყრომა გასაგებია!

1 ამ საკითხთან დაკავშირებით უნდა იღვინინოთ შემდეგი: 1956 წელს გამოვიდა დ. მ. ლანგის მიერ შედგენილი ანთოლოგია „ქართულ წმინდანთა ცხოვრებათა და ლეგენდათა“ თარგმანებისა ინგლისურად (Lives and Legends of the Georgian Saints. Selected and translated from the original texts by David Marchall Lang. London 1956). კრებულში მოთავსებულია პეტრეს ქართული „ცხოვრების“ თარგმანიც დ. ლანგის შოკლე შესავლით (გვ. 57-80). დ. მ. ლანგმა პეტრეს თვის მთელს მონოფიზიტთა მეთოდზე (გვ. 57: „champion“), ხოლო რაც შეეხება ერნესტ პონიგმანის ცნობილ თეორიას, რომელიც მიზნად ისახავს პეტრესა და ფსევდო-დიონისე ანთოპოგელოს იდენტიფიკაციას, იგი წერს რომ ამ თეორიამ გამოიწვია მნიშვნელოვანი დაჯა (დისკუსია) ბოლო წლებში, მაგრამ საყოველთაო აღიარება მას არ მოუპოვებია. «This theory has aroused considerable discussion in recent years, but has not found general acceptance». გვ. 58. შ. ნუცუბიძე გამოეყამათა დ. ლანგს ამ ორი დებულების გამო (იხ. «დ. მ. ლანგის შენიშვნებისათვის». „პეტრე იბერის ცხოვრების“ ინგლისურად გამოცემის გამო. „დროშა“, 1962, № 2, გვ. 4-5, შტრ. მისი „კრიტიკული ნარკვევები“, 1966, გვ. 86-90). იგი იცავს თავის თეორიას პეტრესა და ფსევდო-დიონისეს იგივეობაზე და უარყოფს პეტრეს მონოფიზიტობას (მით უფრო მის „ფალსუგობას“ მონოფიზიტთა შორის) იმ მონაზრებით, რომ „მთავარი საბუთი, რომელსაც ნ. მარია არ იცნობდა, იყო მომდგრება „თეოზონის“ შესახებ, რომელიც ეწინააღმდეგება მონოფიზიტობას“ (ეურნ. გვ. 4). მაგრამ ჭერ უნდა აბსოლუტური სიზუსტით დამტკიცდეს, რომ თხზულება, რომელშიაც ეს მომდგრება განვითარებულია, ნამდვილად პეტრეს დაწერილია. პეტრე ცენტრალური ფიგურაა მიქიმის მონოფიზიტთა შორის, მისი განთქმული ბიოგრაფიაში, მათ შორის იოანეს რეფესი, ტიპიური მონოფიზიტი მწერლები არიან. „ცნობილია, რომ მონოფიზიტთა ერთ ბერძენთაგანად და სხვლ-ვანთქმულ მოღვაწედ სწორედ პეტრე იბერიელი იყო“ — სწერდა ივ. ქავთიშვილი (სქ. ე. ისტ., 14, 312). ყოველ შემთხვევაში — „ზომიერი“ მონოფიზიტობა პეტრესა — საეპკო არაა (დაწვ. იხ. ზემოთ).

პეტრე იბერის მონოფიზიტობას უარყოფს შ. ნუცუბიძე სხვა თავის შრომებშიც (იხ. მკვ. ქართ. ფილ. ისტ. I, 143: „როგორც ზაქარია რიტორმა ფსევდო-დიონისე მონოფიზიტად დასახა, თუმცა, როგორც ვიცი ანთოპოგისტული წიგნები საამისოდ პირდაპირ საბაბს არ იძლეოდნენ, ისე ბიოგრაფმა იოანე მათეუმმა ანუ

ამის შემდეგ მტკიცება, თითქოს რეფესის „ცხოვრება“ („მე-6 საუკუნის ანტიკურ ქვალი“) და ზაქარია რიტორის „პეტრეს ცხოვრებამ“ (დუკარგული) „დამუარებულა“ „ზაქარია ქართვლის“ (?) მიერ ახერხულად შედგენილ (?) „ცხოვრებაზე“ — ძალზე უზრუნველად გამოიყურება, მტკი რომ არა ვთქვათ.

პეტრე იბერიელის მოწაფე და მასწავლებლის მეშვეობით საეპისკოპოსო ტახტზე მიიღწეოდა იოანე რეფესი, რასაკვირველია ტიპიური, მებრძოლი მონოფიზიტი იყო და მისი პეტრეს ცხოვრება“ და „პლუროფორიები“ მხოლოდ კუქშია რიტ მონოფიზიტ შეეძლო დაეწერა. ისინი ბერძნულად დასწერა ავტორმა, ზვენამდე მათი სირთული თარგმანებია მოღწეული (ალანოშენავია, რომ რეფესის „პლუროფორიებს“ აგრეთვე მოუღწეოდა სომხურ ენაზე სამ ვერსიად, რომლის ის აღგილება, რომლებიც პეტრე იბერიელს ეხება, სომხურიდან ქართულად თარგმანა და დაბეჭდა, სომხური ტექსტის პარალელურად, პროფ. ლეონ მელიქეთ-ბეგმა).¹

„პლუროფორიების“. წყაროთა შესახებ მთარგმნელი, სხვათაშორის, წერს: „პლუროფორის“ წყაროები ყოველთვის სიტყვიერია, სავრთოდ, იოანე რეფესმა, მათემის ეპისკოპოსმა, შეადგინა იგი ბერძნულად, 512 წლის შემდგომ ხანებში, რამდენიმე საუკუნთარ მოთხრობებთან ერთად, რომლებიც მას მოესმა პეტრე იბერიელისაგან, აგრეთვე ბერძენთაგან და მხანველთაგან, მიქიმის ლავრაში ღაზის მახლობლად, რომლის ეპისკოპოსად თვით იყო. ეს არის ამათვემეები ახალი სახისა, რომელთაც მიზნად აქვს არა წეროთა, არამედ ბრძოლა ქალედიონის კრებისა და მის დამცველთა წინააღმდეგ.“²

რეფესმა პეტრე იბერი მონოფიზიტად გახადა. (ერთადერთი საბუთი — ფსევდო-დიონისეს ტრაქტატი „საღმრთო სახელთათვის“ აღამიანის „გაღმერთებაზე“ („თეოზონს“) ლაპარაკი, რაც მონოფიზიტს არ შეეძლო დაეწერა!). ამ საკითხზე — სხვა დროს, რადგან ამ სფეროში სრული არე-ღარევა სუფევს დღემდე.

1 დ. პელაქსო-ბეგი, სომხურ ეპისტოლეთა წიგნის“ ახალი ვარიანტი და პეტრე იბერიელის მოწაფე იოანე მათეუმელი (საქ. მუხ. მოამბე, XI, 41-80, განსაკ. 63-79).

2 იქვე, 62 შენიშვნაში მითითებულია: Patrologia orientalis, t. VIII, vol. 1).

ავტორის თავისი შრომა წაუეთხავს მოხსენებად პირველად 1934 წ. თბილისში, მეორედ კი — 1940 წელს ერევანში. ამ დროს ლ. მელიქსეთ-ბეგისათვისაც უცნობი ყოფილა, რომ იოანე მათეუმელის კალამს ეკუთვნის პეტრეს ცხოვრება, ამონიშის თხზულებად გამოცემული

ამ ფაქტს მეორე მნიშვნელობაც აქვს: რუფუნის თხზულებანი, სირიულ თარგმანებში შენახული, თერამე პოპულარობით სარგებლობდნენ საშუალო საუკუნეების საქართველოში და სომხეთში. მაკარის „ცხოვრების“ თარგმანა-გადმოკეთება ვარაუდით XIII-XIV საუკუნეებს ეკუთვნის, „პლეროფორიების“ სომხური თარგმანის ერთი ვერსიაც, საქ. მუზეუმში დაცული, დათარიღებულია 1316 წლით. ეს — ერთი და იგივე ეპოქაა.

ერთი სიტყვით, იოანე რუფუსი, იგივე იოანე შიუშელი, ფიქციური „ზაქარია ქართველის“ არ არსებულ თხზულებას ვერ „დამეყარებოდა“.

რა თქმა უნდა, ამჟამად ძნელია ზუსტად ვამოლოფა პაველ ხუცესის ყველა ნახელავისა მაკარის თავდაპირველი ტექსტიდან (მანიპულიატორები თავისი საქმის ოსტატები არიან), მაგრამ უნდა ვთავაზდეთ რომ ეს პაველ თავისებურად დალაგებდა და შეავსებდა ხელნაწერის ორიგინალის დამილულ ფურცლებს, ხოლო ზაქარია რიტორს გააქართველებდა და მოათხრობინებდა: „მე ვლახაყი ზაქარია, მოწაფე მისი (პეტრუსი. ა. გ.), ქართლითგანვე შეუღებვ უკანა წმინდას მის ვიდრე მიყვალვამდე მისა“-ო.

მაკარი მესხმა, უძველესი იცოდა, რომ ზაქარია [რიტორი] პეტრეს მოწაფე და ბიოგრაფი იყო, ხოლო „ანონიმის“ ვრცელი, ასურულ ენაზე შემონახული „ცხოვრება პეტრესი“ (იოანე რუფუსის თხზულება) მის ნაწარმოებდ მიიჩნია. მწიგნობარ მაკარისა და პაველ აგრეთვე არ შეიძლება არ სცოდნოდნათ, რომ ქართველ უფლისწულს ქართლიდან დიდი ამაღა გააყოლეს. ამიტომ კერძოდ პაველ ხუცესმა ზაქარია რიტორი აგრეთვე ვითომცდა ქართლიდან უფლისწულთან ერთად გამგზავნებულ ზაქარია ქართველად მონათლა. ზვენ ვფიქრობთ (და ეს ოღნავადაც საკვირო არაა) რომ ამ ფიქციურია „ზაქარია ქართველის“ გაჩენა მაკარის ტექსტში სწორედ პაველს ნახელავია. ნ. შარის იჭვი და კ. კეკელიძის

რ. რაბეს მიერ. ელ. შვარტცის შრომას (1912) არც ის იცნობს.

ერთივე უნდა აღვნიშნათ:

ლ. მელიქსეთ-ბეგის შრომაში — „საქართველოს ისტორიის წერილობითი წყაროების პუბლიკაციები. კატალოგი I. თბ., 1949“ — მე-60, წყაროდ დასახელებულია მაკარის „ცხოვრება“ ასე: „წმ. ზაქარია ქართველი, მაკარი მღვდელი და პაველ დეკანოზი“ (გვ. 59). ამიერიდან პირველი პირი უნდა მოიშალოს. — იგი, როგორც ფიქცია, შევადარა. მევედარია მასთან დაკავშირებული ფილოლოგიური ფიქციებიც. რჩებიან მხოლოდ — „მთარგმნელ-გადმომკეთებელი“ მაკარი მესხი და ტექსტის „გამფუჭებელი“ (პონიგმანის გამოთქმა), მასში სხვადასხვა იდეოლების შემტანი და გამოძველებულ-გამაყრველებელი — პაველ ხუცესი.

მეორე კატეგორიული განცხადება (თუმცა არა პირდაპირი მისამართით) მართალი აღმოჩნდა. საპირო იყო მხოლოდ მათი დასაბუთებუ.

პეტრეს „ცხოვრების“ ქართულ რედაქციას ამაყარად ეტყობა ზაქარია რიტორის „საუკუნის ისტორიის“ ექსცერპტების, ან პირდაპირ მაშინ (XIII ს.) სრულად არსებული (?) სირიული თარგმანის ვაგუნა (მაგ. ცნობა ისაია ეგვიპტელის შესახებ). ზაქარია [სქოლასტიკოსის] ქართველად ჩათვლა პაველს სწორედ ამ ვარაუდებამ გაუადვილა ხოლო რადგან „პეტრეს ცხოვრების“ სირიულ თარგმანში ავტორი (იოანე რუფუსი) დასახელებული არ იყო, ამიტომ მთარგმნელმა მაკარამ „ანონიმის“ თხზულება იმავე ზაქარიათ მიანერა: პაველმეც ამ ზაქარიათ ქართველობა შეთხზა „ბოლოში“. ეს რომ ძეგა, უმთავრესად იქედან ჩანს, რომ მაკარის რედაქციაში ზაქარია ამბობს — ეხაია ასურის ცხოვრებაც აღმწერაო. ეს კი ბერძენ ზაქარიათ თხზულებაც მიუთითებს („კოშპალიკიაში“ ნათქვამი: „ეს ისტორია „ისაიას ცხოვრება“. ა. გ.) ზაქარია სქოლასტიკოსმა დაწერა, რომელმაც საუკუნის ისტორია შეთხზა“. (იხ. „გეორგია“, III, გვ. 10). ამ ზაქარიათ „ისაიას ცხოვრების“ ასურული თარგმანი არსებობს, იგი მცირე ცნობებს შეიცავს პეტრე იბერიელზე (სთარგმნა ს. ყაბჯინ-შვილმა). არ არსებულ „ზაქარია ქართველს“ კი მიზი დაწერა მგონი არ შეეძლო!

მაშასადამე, პაველ ხუცესი ზაქარია სქოლასტიკოსის „ესაია ასევეის“ თხზულებაც „ზაქარია ქართველის“ თხზულებად გამოუცხადებია. არავითარი საეჭვო არაა რომ მაკარი მესხის თარგმანის დედანში ზაქარიათ ქართველობა არც იყო აღნიშნული. საეჭვო არ უნდა იყოს იხივ, რომ ზაქარიათ გაქართველება პაველს ნახაქმა, რადგან, როგორც არავითმოდ აღვნიშნეთ, იგი ჩნდება სწორედ იმ შესავალსა და „ბოლოში“, რომელიც პაველ ხუცესი შეუტანია (მიხივე განცხადებით) მაკარის ხელნაწერში. ლოგიკის მიხედვით სხვაგვარი მსჯელობისა და ანალიზის საფუძველი არ არსებობს. ლოგიკა კი, მგონი, მეცნიერების ყველა დარგისათვის სავალდებულოა.

თუ ყოველივე ამას არ ვიწმინტებთ, მაშინ მაკარი მესხთან და პეტრე იბერიელის ბიოგრაფებთან დაკავშირებით ასეთი სურათი გადამიწლება ჩვენს თვალწინ:

პეტრეს პუოლია რამდენიმე მოწაფე, მათ შორის რამდენიმე ზაქარია:

1. ბერძენე ზაქარია რიტორი ანუ სქოლასტიკოსი, შემდეგში შიტილენის ეპისკოპოსი, მასწავლებლის ბიოგრაფი, რომელსაც დაუწერია „პეტრეს ცხოვრება“ და პეტრეს მეგობრის „ესაია ასევეის ცხოვრება“. პირველის რამდენიმე სტრიქონს მოუღწევია ჩვენამდე, მეორის სირიული თარგმანი არსებობს.

2. „ზაქარია ქართველი“, რომელიც თერამე



ქართლიდან გაეყოლია მას, „სიყვდილაზე“ მას-წავლელთან ყოფილა და აგრეთვე დაუწერია „პეტრეს ცხოვრება“ (ზოგის აზრით — ქართულად და ასურულადაც) და „საია ასურის ცხოვრება“. ოღონდ... არც ერთი ამთავანს ზვე-ნამდე არ მოუღწევია და სირიულ წყაროებს მათს შესახებ არავითარი ცნობა არ შემოუნ-ახავთ (რომ თითქოს „ზაქარია ქართველის“ ქართულად დაწერილი ცხოვრება „6-7 ს-ში“ მოსპეს — ეს დაუჭირებელია: არ არსებულის მოსაზრება არ ხდება!).

ერთი სიტყვით, ისე გამოდის, თითქოს მიუძე-ში პეტრესთან მყოფი ორი ზაქარია ლიტერა-ტურული საქმიანობის დუმღირებას ეწევიან: ორდენი ერთდამავე პირთა ბიოგრაფიებს ად-გენენ — ზაქარია რიტორი ანუ სქოლასტიკოსი ბერძენულად, „ზაქარია ქართველი“ კი — სირი-ულად. პირველის თხზულებანი შეზღვევ სირიუ-ლად ითარგმნება, ხოლო მეორის სირიული ორი-გინალური თხზულებანი უგზო-უკვლოდ ქრე-ბიან!

ეგებ მთლად ასე არ უნდა იყოს საქმე. და აი ითხზება „თეორია“:

„შე-6 საუკუნის დამდეგს“ თურმე ზაქარია რიტორი „ემუარება“ „ზაქარია ქართველის“ ხი-რიულ ტექსტს, როცა თავის „პეტრეს ცხოვრე-ბას“ წერს ბერძნულად. მაგრამ თუ „ზაქარია ქართველის“ სირიული ტექსტი — პროტოტიპი ბერძნულისა — არსებობდა, მაშინ ზაქარია რი-ტორის „ცხოვრებას“ რატომ ვაღაარგმნიდენ ბერძნულად სირიულზე?, „ანონიმი“ (იონე რულფსი) თურმე აგრეთვე „ემუარება“ „ზაქარია ქართველის“ სირიულ ტექსტს (არ არსებულს), ბერძნულად წერს „პეტრეს ცხოვრებას“ და შემდეგ სირიულად სთარგმნიან მის თხზულებას („ზაქარია ქართველის“ ვითომც სირიულ თხზუ-ლებასზე „დამუარებულს“) !!

მაინც რატომ სწავრადნენ „ზაქარია ქართ-ლელს“ ასე უმოწყალოდ — მის სირიულ ტექსტს „ემუარებოდნენ“ და ბერძნულად წერ-დნენ (ბერძენი ზაქარია და იონე რულფსი) და ამით თხზულებებს კი შემდეგ სირიულად სთარ-გმნიდნენ, მიუხედავად იმისა, რომ „ზაქარია ქართველის“ ვითომც სირიული, ორიგინალური თხზულებანი, პროტოტიპები ზაქარია ბერძენისა და რულფსის თხზულებებისა, ზელო ჰქონდათ უშუალოდ სირიულ ენაზე?!

„ზაქარია ქართველი“ — პავლე ზუცესის მი-ერ შექმნილი პირია. მაკარის „ცხოვრება“ ზაქა-რია რიტორის თხზულებათა ექსცერპტებისა და უმთავრესად რულფსის თხზულებიდან გამოსრე-ბული ადგილების კომპინირებაა, შეცხვებული პავლე ზუცესის პასუხებით. მაკარი-პავლეს შრო-მა — კომპილაციაა. (პავლე ზუცესის მიერ შე-ტანილ ადგილებში კი — ფალსიფიკაცია).

ყოველივე ზემოთ თქმული რომ შევაჯამოთ,

ჩვენს თვალწინ სრულიად რეალური სურათი გა-დაიშლება.

შეკითხვები

1. მაკარი მეგსს ხელთ ჰქონდა „ემუარება“ იონე რულფსის „პეტრეს ცხოვრების“ სირი-ული თარგმანი (ე. წ. „ანონიმი“). მან არ იყო-და და არც შეიძლება სეოდნოდა სირიული ტექსტისა და მისი ბერძნული ორიგინალის (და-კარგულის) ნამდვილი ავტორის სახელი (სირიუ-ლად თარგმნილ ვარიანტში ავტორი მოხსენებუ-ლი არაა), მაგრამ მან იცოდა, რომ ზაქარიას სა-ხელით არსებობდა „პეტრეს ცხოვრება“ „და „საია ასურის ცხოვრება“.

2. მაკარისათვის ცნობილი ყოფილა, რომ ეს ზაქარია პეტრეს მიმდევარი იყო.

3. მაკარის თარგმანის ზღწაწერის დამლაგე ბელმა, შემავებელმა და განმარცხებმა პავლემ სირიულ ტექსტიდან ქართულში გადმოსული და მოხსენებული ზაქარია მონათლა ქართველად და „ცხოვრებაში“ შეიტანა ცნობა იბერიულ უფლის-წულთან ერთად მისი გამგზავრების შესახებ ქართლიდან კონსტანტინოპოლში (ქართლითგან უკანა შევედღე წმიდასა მას!) და რომ ეს „ზა-ქარია ქართველი“ თითქოს პეტრესთან ერთად იყო „ეოდრე მიცვალებადმდე მისა“.

4. თავის ფალსიფიკაციაში მკითხველის დარ-წმუნების მიზნით პავლე ზუცესი თავის პერსო-ნაეს დაყენებით ათქმევენებს: „ჩემდა ნუ იყო-ფინ ტყუვილი და ურწმუნოებაო!“

ასე დაიბადა ორი ზაქარია — პეტრეს ბიოგრა-ფები. პავლე ზუცესმა ზაქარია ბერძენი „ზაქა-რია ქართველად აქცია“.

5. ქართულ „ცხოვრებაში“ ფიციური „ზაქა-რია ქართველი“ ჰყვება იონე რულფსის „პეტ-რეს ცხოვრების“ პასუხებს, რაც თავისთავად გამორიცხავს „ზაქარია ქართველის“ არსებობას (რომ იონე რულფსი „ზაქარია ქართველზეა“ „დამუარებული“ — ამირიდან ამის მტკიცება სახაცილო და უხერხული რამ იქნება: ზომ უნდა არსებობდეს „ზაქარია ქართველის“ სირიული

1 აქ აღანიშნავია შემდეგი ვარაუბობა.
 შ. ნუცუბიძე ე. ჰონიგანის შრომის რუსული თარგმანის კომენტარებში (თსუ-ს შრომები, 1955, ტ. 59, გვ. 74-75) აღნიშნავს, რომ მაკარის თარგმანში შენახულა — პეტრეს უშუალო მო-წაფის „ზაქარია ქართველის“ მიერ სირიულად დაწერილი „პეტრეს ცხოვრების“ კვლი და „გვიანდელი კლერიკალური დამახინჯებანი“ — «последнее (прошедшее через очистителей Макара и Павла), конечно представляет собой полное искажение идейной стороны памятника» (74). მაგრამ ყველაფერი ძველის ამოღლა მაინც მაკარისა და პავლეს ვერ მოუ-ხერხებიათ: «...исказители не сумели, как это бывает в таких случаях, искоренить все старое, первоначальное», — წერს შ. ნუცუბი-

ტექსტი, რომ შექცევა შესაძლებელი ვახდეს? ასეთი ტექსტი კი საერთოდ არ არსებობდა!

ჭე. მაგრამ რას წარმოადგენდა ეს «старое», და «первоначальное»? ასეთი ყოფილა ცნობა, მაგალითად ქართული სკოლის არსებობის შესახებ სირიაში პეტრეს მეთაურობით. მაგრამ იყო კი ეს ცნობა „ზაქარია ქართველის“ არ არსებულ „სირიულ ტექსტში“? როგორ შევამოწმოთ ყოველივე ეს?

ყურადღების ღირსია მეორე ფაქტიც.
1951 წელს დ. შ. ლანგმა გამოაქვეყნა ნარკვევი. Pater the Iberian and his Biographies, (Journal of Ecclesiastical History, 1951, vol. II), რომელშიც (იხ. გვ. 157-168) ავტორი ნ. მარის მიერ გამოცემული „პეტრე ივერის ცხოვრებაზე“ დავიარვების საფუძველზე ფიქრობს, რომ ქართული ტექსტი, „ზაქარია ქართველის“ თხზულების სირიულიდან თარგმანი, სახეცელიწების მოუხედავად ძირითადად გადმოსცემს ზაქარია სქოლასტიკოსის შრომას, რომელიც დაკარგულად ითვლებოდაო (შ. ნუცა, შენ. გვ. 75-შდრ. ქ. ფილ. ისტ. I, 142, 464, 471). ზაქარია რიტორის პეტრეს ცხოვრების“ ბერძნული ორიგინალი და მისი სირიული თარგმანი — ამჟამადაც უცნობია, მაკარის თარგმანის შედარება მასთან შეუძლებელია. დ. ლანგის შეხედულება — პიბოთეზა, ამასთან — კიდევ რომ დავუშვათ, რომ მაკარის ზაქარია რიტორის თუ სქოლასტიკოსის „შრომა“ ერთარგმანია, მაშინ „ზაქარია ქართველი“ რა შუაშია? მაგრამ ყოველივე ამგვარი პიბოთეზა ქარწყლდება ამ პარალელუბის შემდეგ, რომელიც ზემოთ მოვიტანეთ (რუფუსისა და მაკარი-პაულეს რედაქციათა შედარების სახით). აქვე აღვნიშნავ პანს-გეორგ ბუკის არს დ. ლანგის შრომაზე: „D. M. Lang. Pater the Iberian and his Biographies, Journal of Eccl. History 2 (1951) 158-168, glaubt in der georg. Vita des Petrus (éd. N. Marr, Pravosl. Palestinskii Sbornik, 16, Petersburg, 1896) noch die Vita des Zacharias zu erkennen; doch scheint die Wahrscheinlichkeit dafür gering zu sein.“ (Hans-Georg Beck, Kirche... 385, შენ. 3).

მაშასადამე საბოლოოდ ირკვევა, რომ „ზაქარია ქართველი“ — პაულე ხუცეყრაძეანტაზის ნაყოფია, ნიკო მარის დახვეწილ გამოქვეყნებაზე. მაგრამ ზოგიერთი მკვლევარი არა თუ სდუმს ამ ფაქტზე, პირიქით — უფრო ავრცელებს ფიქციური ზაქარიას მოლუაწეობის მასშტაბს (მისი „თხზულებებიდან“ გამოყავთ ზაქარია რიტორისა და „ანონიმის“ (ე. ი. იოანე რუფუსის) თხზულებანი!).

ყველაფერი ეს არც თუ ისე გასაკვირია. ზენ შეგვეძლო მსოფლიო ლიტერატურის ისტორიიდან მოგვეყვანა უთავდავო მაგალითი ანალოგიური მისტიფიკაციისა, ქართული ლიტერატურა და ფილოლოგია ამ მხრივ გამონაკლისი რაოდენია. მეტიც: იმასთან შედარებით, რაც დასავლეთ ევროპის ლიტერატურაში ხდებოდა, პაულე ხუცეხის მაგალითი ნამდვილი წვეთია ზღვაში. ავტრ, თითქოს გუშინწინ ლესაჯი, სტენდალი და შერივე სხვადასხვა მისტიფიკაციებით ერთობოდნენ და სხვებსაც ერთობდნენ.

მაგრამ შორს წუ წავალთ.
თუ ისეთი გიგანტი ძველი ქართული მწერლობისა, როგორიც ექვთიმე მთაწმიდელი იყო, გახაგები შედგომის გამო, ვრიგოლ დიდის „დოგმატიკის“ პერსონაჟ პეტრე იბერიელ-ესპანელს „ქართველთა წათხავად“, მონაზონ პეტრე იბერიელად რაცხდა, ხოლო თავის მხრივ დასძენდა, თითქოს ეს პეტრე თვითონ „უთხრობდა ცხოვრებისათვის თუხისა უმანყოფ, ვითარმედ! ვიჟა რა ქუფიანასა ქართლისასა!“ — „რა გასაკვირია თუ „ვიწმე პაულე“, მაკარისეულ „ცხოვრების“ ტექსტზე თვითნებური მანიპულაციების, მომხდენი (ნ. მარით — „გვიანდელი შემსწორებელი“, ე. პონიგმანიო კი — „გამფუქვბელი“) უფრო დიდ გულმოდგინებას გამოიჩინდა ბერძენ ზაქარიას ვაქართველებაში და ტექსტის „დადგენისას“, უვიცობათ ან, სრულიად შეგნებული მოსახრებით?

აქ ესეაშ წერტილს. პაულე ხუცეხის მიერ გამოგონილი „ზაქარია ქართველი“ — ქართული ფილოლოგიის ეს კიდე — ამიერიდან მკვდარია, არსებობენ და მუდამ იარსებებენ მხოლოდ ამ პაულეს, XV ს-ის მოლგაწის, Alter Ego-ები!



პრ. ბარამიძე, ე. მახარაძე, ს. საიხვილი

იქალაქიტი პასუხი

ჩვენი კოლექტიური პასუხი „ვეფხისტყაოსნის ავტორის ვინაობისათვის“ (პ. რატიანის წერილის გამო) თავის დროზე დაიბეჭდა ჟურნალ „მნათობში“ („მნათობი“, 1968, VIII, გვ. 164-178). ჩვენ შევეცადეთ თანმიმდევრულად გავეხილა და გავგებებთ ბიზნა ქვიშაზე აგებული პ. რატიანის უველა დებულება. ჩვენ მოველოდით, რომ პ. რატიანი გამოიჩენდა მეცნიერულ გამბედაობას და შეიცნობდა თავის შეცდომებს ან, უკიდურეს შემთხვევაში, ღმრის ამჟამინებდა არც ერთი და არც მეორე არ მოხდა. 1969 წლის პირველ ნახევარში გამოქვეყნდა პ. რატიანის წიგნი ძველი სათურით „ვეფხისტყაოსნის ავტორის ვინაობისათვის“ (გამომცემლობა „მერანი“). რა თქმა უნდა, წიგნის გამოცემას ახრი მაშინ ექნებოდა, თუ ავტორი დასაბუთებულ პასუხს გასცემდა დაბეჭდილ რეცენზიას, ან ახალ საბუთებსა თუ ახალ მასალებს წარმოადგენდა თავისი „კონცეფციის“ გასამაგრებლად. მოლოდინი ამ შემთხვევაშიც გაცრუვდა. პ. რატიანმა უცვლელად, ან, უფრო ზუსტად, თითქმის სრულად უცვლელად გაიმეორა მნათობში გამოქვეყნებული ტექსტი, ოღონდ წიგნს დაურთო ახალი განყოფილება, რომელსაც ქვედა „ისტორიულ-ლიტერატურული საბუთები რუსთველზე“ (გვ. 169-220), სადაც შეტანილია ამონაწერები სხვადასხვა წყაროებიდან. ეს ის ამონაწერებია (თუ ცნობები), რომლებიც ავტორს უყვე მოხმობილი და გამოყენებული ჰქონდა თავის საერთალო წერილებში და აბსოლუტურად ახალს არაფერს შეიცავს. ბუნებრივად დაისმება კითხვა, რა საპირობებამ განაპირობა პ. რატიანის ნარკვევის სასწრაფო ხელმოწერა პუბლიკაცია? ნუთუ ბეჭდვის მხრივ ჩვენ ისეთი ვითარება გვაქვს, რომ მსგავსი „ფუფუნება“ დასაშვებია და შესაწინარებელი? ამ კითხვის პასუხი, რასაკე-

რველია, გამოცემლობასაც მოეთხოვება. ავტორის დაინტერესება და ენერჯია საბუთად არ გამოდგება.

ასეა თუ ისე, როგორც ვთქვით, პ. რატიანის ნარკვევი გამოქვეყნდა ცალკე წიგნად, სადაც თითქმის უცვლელად და სიტყვა-სიტყვით განმეორებულია ძველი ტექსტი. გამოთქმას „თითქმის“ ჩვენ შეგნებულად ვხმარობთ და იმ რატომ. პ. რატიანს მაინც მხედველობაში მიუღია ჩვენი რეცენზია, თუმცა ამის მაღაცს. რიგ შემთხვევაში მას ჩუმად და მორაცხვად შეუსწორებია, თუ შეუქცებია თავისი ნარკვევის ტექსტი ჩვენი პირდაპირი შენიშვნების საფუძველზე, მაგრამ ამის თაობაზე არაფერს ამბობს.

მოვიტანოთ ორ მაგალითს:

1. თავის საერთალო სტატიში პ. რატიანი აცხადებდა: „საინტერესოა აღინიშნოს, რომ „ქართლის ცხოვრებაში“, — ფეოდალური ეპოქის ამ უდიდეს ძეგლში, — „ხელი“, „ხელობა“ და „სახელო“ იხმარება თითქმის მარტო თანამდებობა-საქმიანობის მნიშვნელობით, ხოლო გვიცის მნიშვნელობით არც ერთხელ არ გვხვდება“ („მნათობი“, 1968, № 2, გვ. 161. კურსივი აქაც და ქვემოთაც ჩვენია. — ავტ.).

ამის შემდეგ პ. რატიანი განაგრძობდა: „ის ფაქტი, რომ „ქართლის ცხოვრებაში“ „ხელი“ და „ხელობა“ არ გვხვდება გვიცის მნიშვნელობით, საგსებით ბუნებრივია, რადგან „ქართლის ცხოვრება“ ოფიციალური ისტორიაა, სახელმძღვანელო წიგნია და ვასაგებია, რომ მასში გიყვებზე და სიფიქზე ლაპარაკი არაა“ (იქვე).

პ. რატიანის ამ მონათხრობის თაობაზე ჩვენ შევნიშნავდით, რომ „საერთოდ უცნაური მსყე-

ლობა: რატომ არ შეიძლება საისტორიო თხზულებაში საუბარი იყოთ გიგებზე და სიგიგებზე, თუ საქმის ეთარება ამას მოითხოვს“, თანაც ხანგახანებით ვერთხვდით: „პ. რატინის ეს კატეგორიული განცხადება სიმპარტლეს არ შეეფერება“ და მივეთითებდით თამარის ისტორიკოსის თხზულებაზე, სადაც საუბარია „გიგებზე“ და „სიგიგებზე“ და დამოწმებულია შესაფერისი სიტყვები „ხელი“, „ხელქმნილი“, „გახელებული“ („მნათობი“, 1968, № 8, გვ. 176). აღნიშნულის გამო ვასკენდით:

„ჩვენ გავგეჟირება იმ ვარემოებამ, რომ აღორძინების პერიოდის ქართული მწერლობა მველევარ პ. რატინს ქრესტომათიული კრებულის გვეცნია, მაგრამ უფრო საყვირელი ისაა, რომ შუა საუკუნეების სპეციალისტ ისტორიკოსს, როგორც ირეველა, გულდასმით მიაჩნდეს არაჰონია ვადეითხელი ქართლის ცხოვრების წიგნი. სამწუხაროა, დიდად სამწუხარო. მაშინ რაღას იჩემებს რუსთველოლოგიის ერთი უდიდესი პრობლემის ახლებურად და „ყოველ ეკვს ვარემო“ გაღაწევების პატივს?! (იქვე).

ესეუბა, პ. რატინს ძლიერ ემწეება ჩვენი შენიშვნა. როგორც ვთქვით, მას ჩემად და მორცხვად შეუეთებია ტექსტი წიგნად გამოცემული ნარკვევის რედაქციაში.

რომ შთელი ციტატები აღარ ვაიმიეროთ. დავიმოწმებთ მხოლოდ შედეგად ტექსტებს:

იყო: „არც ერთხელ არ ვგვხვდებო“. არის: „ძალიან იშვიათად გვხვდებო“.

იყო: „არ ვხვდებო“. არის: „იშვიათად იხმარებო“.

იყო: „ღაბარავი არაა“. არის: „ღაბარავი ნაკლებაა“.

მოითხველსათვის აშკარაა, რომ პ. რატინს მართლაც არაჰონია წყაითხელი ქართლის ცხოვრება. ხოლო ჩვენი შენიშვნების შემდეგ თავის ნარკვევში შეაპარა პრინციპულად განსხვავებული შინაარსის ტექსტი. რა ჰქვია ასეთ საქციელს, განსაჯოს მოთხველმა!

ეს ციტატა თავის ვითომცდა „საპასუხო“ წერილში, რომელიც გერნალ-ციკლარში“ დაიბეჭდა („ციკარი, 1969, № 11, გვ. 123-138; № 12, გვ. 107-127), „წინასწარი შენიშვნების“ განყოფილებაში პ. რატინს თავი ისე მოაქვს თითქმის ვეღაფერი თავიდანვე ისე იყო, როგორც ეს მის წიგნშია, ხოლო რეცენზიის ავტორებს უთქონებს, ეთიომც საკითხის არსს კი არ ეჩებენ, არამედ ქართლის ცხოვრებაში ხმარებული სიტყვების რაოდენობის თვალს შედგომიან. თანაც შენტიორული კილოთი ბრძანებს: „სიტყვების გულმოდგინედ თვლა არ არის საყმარისი ისტორიულ მოვლენათა არისს ვასაგებლად“ (ციკარი, 1969, № 11, გვ. 126). ამას ჰქვია სიტყვის ბანზე აგდება, საწყურბაროდ, ჩვენ კვლავ უნდა დავადასტუროთ,

რომ ისტორიკოსს პროფაცი რატინს ქართლის ცხოვრების ტექსტი გულმოდგინედ არ წყურბითხავს, თავისი შედეგობის განსწორებას ჩემად გვაპარებს, საკითხის არისს ცრუნას იჩემებს და შეითხველს თავს აბრალებს, რეცენზენტებში შეურაცხყოფა მომთხვენს, უეციობას მწმამებენო.

პ. რატინი ჩივის: რეცენზენტები „არა ერთხელ და თანაც სრულიად სერიოზულად გვდებენ ბრალს ისეთი მარტივი საკითხების უცოდინარობაში, რომელთა ცოდნა ყოველ სტუდენტს მოთხოვება“ (ციკარი, 1969, № 11, გვ. 126). ასეთი რამ პროფესორ რატინისათვის ჩვენ არ გვიკადრებია. მაგრამ რადგან დაიჩინა, გამოტეხილად ვეტყვიოთ: საისტორიო წყაროთა ასეთი უცოდინარობა (და ამ უცოდინარობის გულბრყვილოდ მიჩქმალვა) მველევარ-მეცნიერს მართლაც არ მიეტევაბა.

პ. რატინი ვრცლად და დაწერილებით იხილავს „როსტომიანის“ ქართული რედაქციის დიდი ნაწილის გამლექსიის, XV-XVI საუკუნეთა მიწისს მოღვაწის სერაპიონ საბაშვილის ცნობებს რუსთაველის შესახებ. იგი ცდილობს დაამტკიცოს, რომ სერაპიონ საბაშვილი ბერ-მონაზვნებით იყო ვარემოცული და რუსთველის მსგავსად იგიც სასულიერო პირი, ბერი (ბერ-მონაზონი) იყოო და საგანგებოდ განმარტავს: „რაც შთავარია, თვით სერაპიონიც თანამდებობით ბერი, ან უფრო ზუსტად — ხევის ბერი ყოფილა, რაც სერაპიონის პირდაპირი განცხადებიდან ჩანს“-ო (მნათობი, 1968, № 2 გვ. 171).

სერაპიონი, როგორც თვითონ ამბობს, ნამდვილად იყო ხევის ბერი („მრველთა თავი, ბერის ბერი, ხელმწიფეთა თანა ზრდილი“, როსტომიანი, II, 3133). მაგრამ ხევის ბერი სხვაა და ბერი, ბერ-მონაზონი სხვა. ჩვენ შევნიშნავდით: „ისტორიკოსს არ ეკადრება ასეთი „საბუთიანობით“ ხელმძღვანელობა: ბერი (ბერ-მონაზონი) სხვაა და ხევის-ბერი სხვა, ავტორის სეველი „დაზუსტება“ საქმის ვერ უშველის“ (მნათობი, 1968, № 8, გვ. 171).

ამ ჩვენი შენიშვნების შემდეგ პ. რატინი ამდგარა და ეს „დაზუსტება“ მთლიანად მოუხსნია, ე. ი. წიგნის ტექსტიდან ამოუკვეთია ზემოთ ვახსული სიტყვები „ან უფრო ზუსტად“ და მსგავსი მნიშვნულების გზით განსხვავებული შინაარსის ფრაზა მიუღია. არ თქმა უნდა, ეს შესწორებად ჩემად არის ვაკეთებულ და ამის თაობაზე არსად არაფერია თქმული. საგულბნხმოა, რომ ხევისბერის მნიშვნელობის რატიანისულ მცდარ ვაგებამ ზეგანგებოდ ჩერდება თავის წერილში ისტორიკოს ნოდარ შოშიაშვილი, იგი უხსნის მველევარს ხევისბერის ნამდვილ მნიშვნელობას — ხევის უფროსი, ხევის ვამგებელი და არა ბერ-მონაზონი და ურთავს: — ამის არცოდნა ისტორიკოს მველევარს არ მიეტევაბა“-ო (ვეფხისტყა-

ოსნის ავტორის ვინაობაზე ახალი თვალსაზრისის შესახებ, მნათობი, 1969, № 11, გვ. 168).

საუელისხმოა მეორე გარემოება. როგორც ვთქვით, ისტორიკოს მკვლევართვის მიუბრუნებელი შედეგის მიმხილველი „დაზუსტება“ პ. რატიანის ჩვენი რეცენზიის შემდეგ ჩემად ამოიღო და ახლა აქეთ გვადევნა, გვედევნა და მოწმედ პროფ. კ. კველიძეს ასახელებს. პროფ. პ. რატიანი იუწყება: „ავტორები სრულიად უსაფუძვლოდ გვეწამებენ, თითქოს არ გვესმოდეს, რა განსხვავებაა ბერსა და ხევის ბერს შორის, მაგრამ ნუთუ გონების დიდი გამოჭრიახობაა სპვირო იმის მისახვედრად, რომ ლექსში შეიძლება ხევის ბერიც უბრალოდ ბერად მოვიხსენიოთ? აჲა. კ. კველიძე, რომელსაც ამ საკითხის უკონდინარობას ვერაფერ დასწამებს, შეენიერულ გამოკვლევებშიც კი ხევის ბერს სერაპიონს, უბრალოდ, ბერის სახელით იხსენიებს (სერაპიონი ყოფილა ხელვანი მხატვარი, ენატბილი მეღვსე, ხევის ბერი და გრემის თავი, ესე იგი, გრემის ხევის თავი ან ბერი, შეფუებთან გაზრდილი“, ქართ. ლტ. ისტ., 11, გვ. 280) (იხ. პ. რატიანი, ისევ ვეფხისტყაოსნის ავტორის ვინაობაზე, „ესკარი“, 1969, № 11, გვ. 137, შენ 1).

დამოწმებელი ტექსტის გამო პ. რატიანს უნდა განვუმარტოთ, რომ, წერ ერთი, არ შეიძლება ლექსში ხევის ბერი უბრალოდ ბერად მოვიხსენიოთ, რადგანაც ბერი და ხევისბერი სხვადასხვა შინაარსის მქონე ცნებებია. მეორედ, ტუპილად ჰკონია პ. რატიანს თითქოს, აჲა. კ. კველიძემ ხევისბერი სერაპიონს უბრალოდ, ბერის სახელით იხსენიებს. ისტორიკოს-მკვლევარ პ. რატიანს, საშუაზაროდ, ვერ გაუგია მის მიერ ციტირებული კ. კველიძის ტექსტის შინაარსი. კ. კველიძე ამბობს: „ხევის ბერი და გრემის თავი, ესე იგი, გრემის ხევის თავი ან ბერი“. აქედან სრულიად აშკარაა, რომ კ. კველიძის გაგებით, გრემის ხევის თავი იგივეა, რაც გრემის ხევის ბერი. ეს სრული კუშვარტებაა. პ. რატიანს ვერ გაუგია, რომ აღებულ კონტექსტში სოციალური მნიშვნელობით თავი (ხევის თავი) იგივეა, რაც ბერი (ხევის ბერი). აქ ბერი ნიშნავს უფროსს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, კ. კველიძის გაგებით, ხევის თავი იგივეა, რაც ხევის უფროსი (ხევის ბერი). აჲ, ეს უბრალო, მაგრამ დიდად მნიშვნელოვანი გარემოება ვერ გაუგია პროფ. პ. რატიანს. მაგრამ თუ პროფ. რატიანს არ ესმის კ. კველიძის სიტყვების შინაარსი, რაა ვასაკვირი, რომ მას არ ესმოდეს XV-XVI საუკუნეთა პოეტის ლექსის აზრი!

კიდევ ერთი შენიშვნა იმავე ხევისბერი სერაპიონ საბაშვილის შესახებ. როგორც ცნობილია, რუსეთელთან განაასებების შესავალში საბაშვილი შენიშნავს: „აქა მეღვსე აჲა. კ. კველიძე

რა ექნა ამ მარტვილებს ვადამიქე?“ თავის ნარკვევაში პ. რატიანი, ამტკიცებდა, რომ საბაშვილის მიერ მოხმობილი სიტყვა მარტვილი ნიშნავს სარწმუნოებისათვის წამებულს, თავადღებულს, რომ პოეტ საბაშვილის აკვირებთან წამებულუბა, ანუ ბერი-მონაზონები, რადგანაც თვითონაც ბერი-მონაზონი ყოფილაო. ჩვენს სარეცენზიო წერილში შევნიშნეთ, რომ საბაშვილში ტექსტის მარტვილი წამებულს კი არ ნიშნავს, არამედ ახალგაზრდას, ყმაწვილს და რომ ეს ტექსტი სწორად აქვს ნათარგმნი პროფ. ექვთიმე თაყაიშვილს („Здесь стихотворец заботился, что мне делать с этими детьми?“). თანაც ისიც დაეძინეთ, რომ მარტვილის ეს მნიშვნელობა დამოწმებული აქვს სელხან-საბაორბელიანს („მარტვილი ლათინთა ენაა, მოწამეს უწოდენ, ხოლო მესხნი ყრბის უწოდენ“) და ლექსიკოგრაფ ნ. ყუბინაშვილს („მარტვირი მოწამე, ტანჯული მარტვილი მესხურად ყმაწვილი, პოეში“). აღნიშნულის კვლობაზე ჩვენ ვასკენიდით: პ. რატიანს ვერ გაუგია როსტომის ჩანართი ტექსტის მარტვილი შინაარსი, ბავშვები (ყმაწვილები) უცეცხვა მოწამე-მარტვილებად (თუ ბერი-მონაზონებად), რომლებიც ვითომ აკვირებენ პოეტს. ამიტომაც თვით პოეტიც ბერი-მონაზონად გამოცხადდა. ერთი სიტყვით, ვეფხისტყაოსნის ავტორის ვინაობის საბასხისმგებლო საკითხი წყდება ტექსტის მცდარი ვაგების წიადაგზე (მნათობი, 1968, № 8, გვ. 171).

ჩვენ შენიშვნებს გაუწაყენებია პროფესორი რატიანი და ე. წ. საბასუხო წერილში უბრუნდება მარტვილის მნიშვნელობის საკითხს. იგი, რა თქმა უნდა, ვერ უარყოფს მარტვილის ორგვარი მნიშვნელობას: 1. მოწამე და 2. ყრბი, ყმაწვილი, ბავშვი. აქედან, მისი მოსაზრებით, პირველი მნიშვნელობა (მოწამე) ზოგად სალიტერატურო ქართულის კუთვნილებაა, მეორე კი კუთხური, მესხური კილოს გამოხატულება. რადგან საბაშვილი არც მესხი იყო და სიტყვა მარტვილის არც დიალექტურ შინაარსს, მის ენაზე მარტვილი მხოლოდ დამხლოდ მარტვილს, მოწამეს ნიშნავსო. „მაჲ, რა საბუთი გვაქვს, — პათეტურად კითხულობს პ. რატიანი — სიტყვა მარტვილის საერთო ქართულ გაგებას ზურგზე შევაქციოთ დამისი შინაარსი მესხური კილოს მიხედვით განმარტოთ?“ კითხვას იქვე გადაჭრითი წესით უპასუხებს „ცხადია, არავითარი“ (ესკარი, 1969, № 11, გვ. 136). ამის შემდეგ მკვლევარი კვლავ კითხვითვე განაგრძობს მსჯელობას: „საბაშვილი მოიყვანეს ავტორებმა ამ ლექსში ბავშვები? ვერ ვიტყვით, რადგან ეს მათ საიდუმლოებას შეადგენს და, ერთი შეხედვით, ძალიან უცნაური ამბავიცაა, მაგრამ არის ერთი გარემოება, რომელიც, ჩვენი აზრით, ნაწილობრივ მაინც, შექვს ჰქვინს, აჲ-

ტორების ამ საკვირველ საქციელს“ (იქვე).

თურმე ნუ იტყვიო, ატორები (რეცენზენტები) უოფლიან მოქუეული აკად. ნ. შარის რთ-შეღლდაც ყაღბი თეროიის ვაღღუნის ქვეშ. პირ-დაპირ ვასიოცარია, რა შუაშია ამ შეშთხვევაში ნ. შარი (იხ. ცისკარი, 1969 წ. № 11, გვ. 135-136). თურმე ამით აისხნება ის უცნაური ფაქტი, „რომ მესხური კილოს ადგილობ-რები მნიშვნელობის კუთხურ სიტყვას ისინი სალიტერატურო ქართულის წინაშე უპირატესო-ას აინიკევენ“. დასასრულ მკვლევარი რა-ტიანი ნიღბს იხდის, იქნებს მუშტებს, იმუქ-რება, გვაშინებს: აქო და „ატორებს უნდა მოეხსენებოდეთ, რამ ნ. შარის ყაღბი თერაფ-ბის პატრონის ღრო დიდი ხანია წაიდა“-ო (იქვე, გვ. 136).

პ. რატიანის უსტარს რომ კიბთულობთ, უნე-ზლიეთ ვაგონდებათ რუსთველის „რა უთქვამს, რა მოეწამაჲ“, რა წიგნი მოუწერია?“ ყოვე-ლივეს შეთიხნილი ახდა-უბდა რატიანის სკორღება სიტყვის პანზე ასაგღებად და მეც-ნიერისათვის შეუფერებელი ინსინუაციისა და ცლისწამებისათვის (ე. თაყაიშვილიც პაბრი-დული ენის მოტრფილუ იყო?). საქმის ვითა-რება კი ასეთია, რომ საერთო ქართული სა-ლიტერატურო ენის შექმნაში მეტ-ნაკლებად მონაწილეობდა საქართველოს ყველა კუთხე-ბუნებრივადაც ეს საერთო სალიტერატურო ქართული ენა მძლავრად ირის გამსჭვალული ცოცხალი ხალხური მეტყველების თვისებებით. რასაკვირველია, საერთო ქართულ სალიტერა-ტურო ენაში შერწყმულია მესხური კილოს ელემენტებიც. სერაპიონ საბაშვილისათვის რომ შარტიელი საერთო ქართულის კვალობაზე უმაწვილს (ბავშვს) ნიშნავს, ამის კიდევ სხვა უცილობელ ფაქტებს მოვიყვანო.

როსტომიანის უპოპულარეო ეპიზოდია როსტომისა და ზურაბის საბედისწერო ბრბო-ლის ამბავი. ზურაბი იყო როსტომის შვილი თურანელი დედისაგან, თუმინისაგან. ზურაბმა ბავშვობაში საარაგო ფალაენობა გამოიჩინა. დედისაგან ვაგო შამის ვინაობა. „ჩერ რძის სული პირსა“ უღდიოდა, როცა დაპაიჩა ერასში წაყლა შამის საქებნელად. თურანთა მეფემ აფრასიობმა ვაიხარა, ორი ფალაენი აახლა ზუ-რაბს, იქნებ უმაწვილმა როსტომი მოჰკლას და საშინო მეტოქე მოვიშოროთ. ზურაბის თანამე-ზარებულ მინეილ პარებს აფრასიობმა აუხსნა (როსტომიანი, I, 2658):

როსტომს დაუწყებს ძებნასა ზურამ მზისაგბრ სახელი,
აგების მოჰკლას შარტიელმან
ბერი, საწუთრო-ნახელი.

1 არნ. ჩიქობავა, დიალექტოზემების საკითხი-სათვის ეფფისტიკოსიანში („ენამის მოამბე“, III, 1938, გვ. 209-227).

დამოწმებული ტექსტიდან სრულიად ამა-რია, რომ შარტიელი ნიშნავს ყრვას, უმაწვილს, ბავშვს (ასეც განმარტავს ამ სიტყვას როსტო-მიანის) მეცნიერი გამომკველია უსიტყვი (იხ. ლაქე). ამასთან სიტყვა შარტიელი (რო-გორც ყრმა, უმაწვილი, ბავშვი) უპირისპირ-დება სიტყვა ბერს (ხანდაზმულს, ხნი-ერს, მოხუცს). ზურაბი ბავშვია, ვერ „რძის სული“ უღის პირზე, შამამისი როსტომი კი ბე-რია, ხანდაზმული, გამოცდილი („საწუთრო-ნახელი“). სურათი ნათელია, შარტი მოვიყვ-ნით კიდევ ერთი მაგალითი „როსტომიანის“ მეორე ნაწილიდან. ესაა აგრეთვე პოპულარუ-ლი ეპიზოდი, რომელსაც ბეყანისა და მანიე-ვის ამბავი („ბეყანიანი“) ეწოდება. აქ მოთხ-რობილია, რომ ერანის განთქმულ მეფე ქაიხოს-როს მოახსენეს, ქვეყანას სიდიდით სიბოლოს მსგავსი და „ხმლის სიგარე“ კბილების მქონე გარეული ღორები შემოესია და აიხრებნენო. ქაიხოსრომ მოუწოდა ფალაენებს ვაშტრებუ-ლიყვნენ სახიფათო ადგილას და დიდი საწუქ-რებიც აღუთქვა იმათ „ბაქოლად ვინ წავა ხმლიანი“. ყველა დღედა, ზე ადგა და სახიფა-თო დავალების შესრულებაზე თანშობა განაც-ხადა ახალგაზრდა ფალაენმა, ვივის ძემ ბეყან-მა შამა შეუწხდა (როსტომიანი, 4182):

ვიესა და დაუშმძა, მით რომ ბეყან
შარტიელია,
ძლიერსა და დაუცელსა ბერთან არა
შეუძლია.

შეითხველი კარვად ზედავს, რომ დამოწმებუ-ლი ტექსტის მიხედვითაც ერთმანეთს უპირისპირდება. ორი ცნება: შარ-ტიელი (უმაწვილი, ახალგაზრდა) და ბერი (მო-ხუცი, ხნიერი, ხანდაზმული, გამოცდილი). რომ არაფერი დარჩეს საეჭვო, ბარემ იმასაც ვიტყ-ვიო, რომ როსტომიანი სპარსულიდან ნათარგ-მნი ძეგლია, ხოლო სპარსულ დედანში შარტი-ელის შესატყვისია ჟაგან, რაც ნიშნავს ახალგაზრდას, უმაწვილს.

ამრიგად, ყველაფერი ნათელზე ნათელია. შარტიანი პ. რატიანს რომ ჰკითხოთ, ის ილბთ კვლავ დაიყენებს როსტომიანის შარტიელი მო-წამება და ბერ-მონაზონის ნიშნავსო. ბერ-მონა-ზონნი ყოფილან საბაშვილიც, ზურაბიც, ბეყა-ნიც... აი, საუკეთესო ნიმუში იმისა, თუ სადამ-დის მიიყვანს მკვლევარს ამა თუ იმ სიტყვისა თუ გამოთქმის უცოდინარობა და აკვირებული აზრის გამოდევნება.

ჩვენ ვრცლად შეუბრდით პოეტ საბაშვილ-ზე, სამოხელეო ტერმინ ზევისებრზე და სიტყვა

- 1. იხ. შანანავს სპარსული ტექსტი, ტომი V, (მოსკოვი, 1967), 90გ-90გ.
- 2. როსტომიანში სხვაგანაც გვხვდება სიტყვა შარტიელი უმაწვილის, ახალგაზრდის, ბავშვის მნიშვნელობით (როსტომიანი, I, 1846, 1877).

მარტელის მნიშვნელობაზე, რომ გვეჩვენებინა პროფესორ პროკოფი რატიანის „ქასუხის“ სტილი და მეცნიერული დონე. ასევე მითიბულ-მოკიბული, უწიგნური, უპასუხისმგებლო და მეთოდოლოგიური უპრინციპობით გამსჭვალულია მისი „ქასუხის“ დანარჩენი პუნქტებიც. ჩვენ მათ არ გამოვეყლებით (უპრეტენზიოდ დავუკირდებოდა თქმულის გამოკრება), შევებებით მხოლოდ პ. რატიანის „ქასუხის“ ორიოდ „ახალ“ ასპექტს.

რუსთველის ეპისკოპოსობის დამატკეპლად პ. რატიანის ერთი უპირითადესი არგუმენტი მის მიერ მოვონილი „ახალი თვალსაზრისის“ თეიმურაზ ბაგრატიონის რუსთველოლოგიურ ნააზრევთან მისადაგება. ამ მხრივ ისტორიკოსმა მველევარმა წარმოვეიდგინა მთელი „კონცეფცია“. როგორც ვიცით, პ. რატიანის მოსაზრებათა თანახმად, ვეფხისტყაოსნის ავტორის ვინაობის თაობაზე ქართულ ლიტერატურაში თითქო „ამჟამად ორი პერიოდი შეიმჩნევა: თეიმურაზ ბაგრატიონამდე და მის შემდეგ. პირველი პერიოდი იწყება დაახლოებით XV საუკუნის ბოლოდან და გრძელდება XIX საუკუნის 30-40-იან წლებამდე; ხოლო მეორე პერიოდი — 30-40-იან წლებიდან — დღემდე“ (იქვე, გვ. 167). პერიოდების გამოყოფი მზღვარი პ. რატიანს უფრო დაკონკრეტებულიც აქვს, ესაა 1843 წელი, როდესაც დასრულდა თეიმურაზის ნაშრომი „განმარტება პოემა ვეფხისტყაოსანისა“, სადაც ჩამოყალიბებულია თეიმურაზის თვალსაზრისი (იქვე, გვ. 168). დავისმოძოთ ეს თარიღი. თეიმურაზამდე საკითხი ვეფხისტყაოსნის ავტორის ვინაობაზე ვითომ ყველასათვის ნათელი ყოფილა, ყველამ იცოდაო, რომ ზედწოდება რუსთველი უპეველად ნიშნავდა სასულიერო პირს, სახელდობრ რუსთავის ეპისკოპოსს, თუ მთავარეპისკოპოსს, ეს დავას არ იწვევდაო. თერმე მდგომარეობა „ძირფესვიანად შეცვლილა“ თეიმურაზ ბაგრატიონის წყალობით (იქვე, 167). თეიმურაზს ვითომ შეგნებულად გადაეცემა ბრუსთველის ბიოგრაფია და იგი შეუბუცებია „თავისი საკუთარი საზოგადოებრივ-პოლიტიკური მიზნებისათვის“ (გვ. 168). რუსთველის ბიოგრაფიის გადაცემა თეიმურაზს უკანახაო „ბაგრატიონთა ოჯახის განდიდების სურვილმა“ (იქვე). ამისათვის სწავლულ ბატონიშვილს რუსთველი გამოუცხადებია ბაგრატიონთა გვარის წარმომადგენლად, ერისკაცად, პერათის მთავრად და რუსთაველად. თეიმურაზის მეოხებით დაკარგულა ვეფხისტყაოსნის ავტორის სახელწოდების სწორი ფორმა რუსთველი და მის სინაელოდ გაჩენილა „საერო ელფერის დაწერილობა“ რუსთაველი (იქვე, გვ. 168-169, 176). „ღროა უპეველდოთ თეიმურაზ ბაგრატიონისა და მის მიმდევართა ან ზემოთხსენებული ყალბი კონ-

ცეფცია და გაკათვისუფლოთ რუსთველოლოგია მისი უარყოფითი გავლენისგანმუხრახლადებს პ. რატიანი.

კოლექტიურ წერილი ჩვენ აღწინაშეთ, რომ ერისკაცად რუსთველი თეიმურაზზე ადრე გამოაცხადეს იოვანე ბატონიშვილმა და ახტონ კათალიკოსმა, მთვე აქვთ გამოყენებულ ფორმა რუსთველი. რუსთველის ბაგრატიონობა თეიმურაზს აზრადაც არ მოსვლია. ასეთი რამ თვითნებრად მიაწერა მას პ. რატიანმა. ჩვენი შენიშვნებით რომ ნიადაგი გამოეცალა „ახალ თვალსაზრისს“, ახლა მესი ავტორი მეწინარისათვის შეუფერებელი წესით ცდილობს ფონს გაცელას. დავიწყოთ იოვანე ბატონიშვილთ. წინათ იოვანე ბატონიშვილი იყო მისი საყრდენი, საბასუხო წერილთ კი ირკვევა, რომ იგი ოდობური გამხდარა. თავის ნარკვევში პ. რატიანი ამბობდა, რომ იოვანე ბატონიშვილის ერთ ნაშრომშია, რომელიც ეჭვითვე თავი შეილის აზრით, 1820-1827 წლებში უნდა იყოს შეთხზული, „ზუსტად ისეთივე გავებაა გადმოცემული, რაც აღორაქნების ხანაში საყოველთაოდ მიღებული იყო“-ო. ბოლოს მველევარი ასკენდა: „XIX საუკუნის ოციან წლებშიც რუსთველზე იგივე შეხედულება პქონით, რაც წინა პერიოდისათვის იყო დამახასიათებელი. მაგრამ სულ მალე... მდგომარეობა შეიცვალა“. ნაველისმეფია თეიმურაზ ბაგრატიონის „კონცეფციის“ ჩამოყალიბების ღრო (იქვე, გვ. 177). საქმე ისაა, რომ დაუსახელებელი „ერთ ნაშრომად“ მინიწელი „მცირე უწყება ქართველთა მწერალთათვის“, რომელიც ე. თავიშვილმა გამოაქვეყნა 1909 წელს. მაშინ ე. თავიშვილმა არ იცოდა (ეს არც ახლა იცის პ. რატიანი). რომ „მცირე უწყება“ იყო იოვანე ბატონიშვილის „კალმასობის“ ერთი ნაწილი და რომ გამოქვეყნებული ტექსტი საყარისად შეცვლილა დედანთან შედარებით. დედანში, ავტორათულ ხელნაწერში (ამჟამად ბექლერად არის უყვე გამოცემული) დამოწმებულია ვითომ თეიმურაზის მიერ შემოღებული ფორმა რუსთაველი, ამასთან დიდებული პოტი პირდაპირ (და არა ვითომ, როგორც შენიშნავს პ. რატიანი) აღიარებულა ერისკაცად. ამან გზა აურიო მველევარ ისტორიკოსს. მან ერთადერთი გამოსავალი იპოვა, როგორც ეჭვით გაწირა ადრე მოკავშირედ მინიწელი

1. ეტყობა, ჩვენი წერილის შემდეგ პ. რატიანი სახელდახელოდ გადაუკითხავს საკნის ლიტერატურა. მაგრამ საკითხის არსს მაინც ვერ ჩასწვლიომა. მას ახლაც პკონია, თითქოს „მცირე უწყება“ და „კალმასობა“ ანუ „ხუმარსწავლა“ ერთიდაიგივე თხზულებაა (იხ. ცისკარი, 1969, № 11, გვ. 125). ნამდვილად კი ე. წ. „მცირე უწყება“ მრავალტომიანი „კალმასობის“ (ხუმარსწავლის) ერთი მცირედი ნაწილია მხოლოდ.

სწავლული ბატონიშვილი და გზიდან ჩამოიშორა, იგი აღორძინების ზანის მწერალი არ არისო, არსებითად ანტონის ცნობებს იმეორებს, თუ რაიმე განსხვავებული უთქვამს, ისიც უმცროსი მძის თეიმურაზის შთავრების შედეგად უთქვამსო (ცისკარი, № 12, გვ. 112, შენ. 2).

უნდა მოვიგონოთ, რომ პ. რატიანის შეხედულებით, თეიმურაზის „კონცეფცია“ შემუშავდა XIX საუკუნის 30-40-იან წლებში, ხოლო საბოლოოდ ჩამოყალიბებული სახე მიიღო მან 1843 წელს. ამ დროს კი იოვანე ბატონიშვილი დიდი ხნის გარდაცვლილი იყო (იგი გარდაიცვალა 1830 წელს). აი, რა ზერხს მიმართავს ისტორიკოსი პ. რატიანი, რომ როგორმე თავი დაიძვრინოს გამოუვალი ჩიხიდან უიმედო ცდა!

კიდევ უფრო უნარგავსო ზერხებით ცდილობს პ. რატიანი ანტონ კათალიკოსისაგანაც თავის დაღწევას. თურმე ნუ იტყვით, ქართული ენის უუბრო მკვლევარს აჯალღიკოს აკაიე შანიძეს სწორად არ ესმის ანტონის ტექსტის შინაარსი. შანიძისეული „განმარტება, ჩვენე აზრით, მიუღებელია“-ო, წერს პ. რატიანი, რომელსაც ხელს არ აძლევს ეს განმარტება, მეტიც, ეს განმარტება მირს უთხრის „ახალ თვალსაზრისს“.

პ. რატიანი, რომელსაც კ. კეკელიძის ციტატის შინაარსიც ვერ გაუგია, ანტონ კათალიკოსის როტოლი ტექსტის უეთომელო ინტერპრეტაციის პატივს ინიშებს და ნებას აძლევს თავის თავს ამის გამო აკაიე შანიძეს ეკამათოს. მეტი რომ ახა ვთქვათ რა, დიდი გაბედულება!

ჩვენ ხომ, რასაკვირველია, ვერ ვივებით ანტონის ცნობის აზრს და მას ვამხინჯებთ (იქვე, გვ. 114). სადავო აღარაა, რომ სასულიერო მწერლობის მიმოხილვის შემდეგ ანტონ კათალიკოსი თავისი „წყობილიტიყვაობის“ მერვე ნაწილის მერვე კარში ახასიათებს საერო მწერლებს. მისეული კონსტრუქციული სქემის შესაბამისად, ანტონი საერო მწერლებს დახასიათებდა იწყევი მეფე-პოეტებით (თეიმურაზ I, არჩილი, ვახტანგ VI, თეიმურაზ II). მომდევნო პირველი ადგილი დათმობილი აქვს რუსეველს („თვის შოთა რუსთაველისა“). „წყობილიტიყვაობის“ კონსტრუქციიდან სრულიად ნათლად ჩანს, რომ შოთა რუსთაველს ანტონი თვლის საერო პოეტად და ერისკაცად. ამ მოსაზრებას ექვიმეტრანლად იდასტურებს და ამტკიცებს „წყობილიტიყვაობის“ დასაბულებული კარის პირველივე, 795-ე სტროფი, რომელიც თუმცა თეიმურაზისადაც მიადვინილი ნაწევების კეთენილებაა, მაგრამ არსებითად წარმოადგენს მთელი კარის ნამდვილ შესავალს. ამ იყოთება: არცაღა მათი ჰსენენებმ დავიდუმო,

რომელნი სიბრძნის ქვე-მდებარენი

ერისკაცთანი, საქებულთა წერილთა რომელთა შორის თეიმურაზ არს მეფე შეენიერ-მეთქეო, მალა პოიტიკოსო.

მიუხედავად სტილის მალაფარდოვნობისა, ანტონი აქ სრულიად გარკვევით და ნათლად ამბობს, რომ ვერც იმით ხსენებას ავუელი დუმილით (გვარდს). საქებულთა წერილთა მთქმელ სიბრძნის ქვემდებარე ერისკაცებს, რომელთა შორის არის მშენიერ-მთხზველი და მალაპოიტიკოსი თეიმურაზ მეფე.

ამრიგად, თეიმურაზს და იმავე კარში მოხსენიებულ სხვა პირებს, შათ შორის შოთა რუსთაველს, ანტონი სრულიად გარკვევით უწოდებს ერისკაცს. ანტონ კათალიკოსმა თეიმურაზ მაგრატიონზე ერთი საუკუნით ადრე უწოდებულს ერისკაცო, ერთი საუკუნით ადრე იხმარა მან ფორმა რუსთაველი. ყველაფერი ის, რაც პ. რატიანმა მიაწერა თეიმურაზ მაგრატიონს, მის მიერაა ნებისმიერად შეთხზული და გამოგონილი. აი, რა საფუძველს ეყარება თვითდაჯერებული ისტორიკოსის ახალი თვალსაზრისი¹ ვეფხისტყაოსნის ავტორის ვინაობაზე.

პ. რატიანის უსაფუძვლო მოსაზრებით, აღორძინების პერიოდის (XV-XVIII საუკუნეების) გამოუცვლელი ყველა მწერალსა თუ მოღვაწეს რუსთველი მიიჩნია სასულიერო პირად, რუსთავის ეპისკოპოსად. საპასუხო წერილში ჩვენ ყურადღება მივაქცევთ რუსთველის იკონოგრაფიის საკითხს და შევნიშნეთ, რომ აღორძინების პერიოდიდან ჩვენ მოგვემოვება ორი პორტრეტი (ზახასულე და მამუკასეული ხელნაწერებით შემონახული). ორივე ეს პორტრეტი რუსთველს წარმოგვიდგენს ერისკაცად. პ. რატიანი ვერ უარყოფს, რომ მამუკასეული პორტრეტი რუსთველს გვიხატავს ერისკაცად, მაგრამ ამას არავითარი ღირებულება არ აქვს, რადგანაც მხატვარი „საკეთარ ფანტაზიის დაყრდნობა“ და მას „ხელთ არ ჰქონია არავითარი შასალა“-ო (ცისკარი, 1969, № 12, გვ. 120). მამუკა მდივანი თავაქარაშვილი იყო ცნობილი მწიგნობარი, პოეტი, კალიგრაფი და. შესაძლებელია, მხატვარი, რომელსაც გადაუწერია ვეფხისტყაოსნის უძველესი თარგმანი ხელნაწერი 1646 წლისა. მასვე, იქვე, ოდიშში, ქველმოქმედი შთაგრის ლევან დადიანის კარზე (ეს ის ლევან დადიანია, რომლის სახსრებითაც შეაკეთეს იერუსალიმის ყვრის მონასტერი 1643 წელს) გადაუწესავეს ფირდოუსის შანშამეს ქართული ვერსიის ტექსტი და ვაღუქმავს ამ ტექსტის ერთი ეპიზოდი („ზაქაინი“). მამუკას მიერ გადაწერილი შანშამეს ქართული ვერსიის ტექსტსაც ამკობს ორი სინტაქსო მონაატურა. ლევანის კარზე გადაუწერია მამუკას შანშამეს ვაგრძელების ქართული ვერსიის ტექსტიც. მასთან ერთად მოღვაწეობდა და მწერლობდა პოეტი

¹ „კალმისობა“ დიწერლია 1813-1827 წლებში.

ბარბი ვანანაე. ერთი სიტყვით, XVII საუკუნის ორმოციან წლებში ლევან დადიანის სამთავროს კარა მნიშვნელოვან კულტურულ კერას წარმოადგენდა, სადაც გაჩაღებული იყო ლტერატურული საქმიანობა, იქ უნდა ყოფილიყო ძველი ქართული ხელნაწერები (მახ, სიონდა გალაჩვირა ვეფხისტყაოსნისა და შაჰინაშის ქართული ვერსიის ტექსტები?). იქ, ოდიშის კულტურულ წრეში რუსთველს თვლიდნენ (ამას ვერც პ. რატინი უარყოფს!) და ხატავდნენ კიდევ ერისკაცად. მაშასადამე, მტკიცე ყოფილა რუსთველის ერისკაცობის ტრადიცია.

უფრო მეტ მნიშვნელობას აძლევს პ. რატინი ზაზახელი ხელნაწერის პორტრეტს. ამ შემთხვევაშიც იგი იძულებულია აღიაროს, რომ რუსთველი გამოსახულია ერისკაცად. ოღონდ ზაზახელი ხელნაწერის პორტრეტი დახატულია „სპარსულ ყაიდზე“, რადგანაც მხატვარი „ირანის ფერწერის ძლიერ გავლენას განიცდიდა“ (იქვე, გვ. 122). ამასთან ერთად, თუმცა შოთას ვარკვენობა, ჩაცმულობა, ფერხმორთობა ირანის ფერწერის ტრადიციითა ვადგენითა აღბეჭდილა, სამაგიეროდ, წინააღმდეგ ხელოვნებაში მოღვაწეობდა მონასტრების, „შოთა რუსთველის პორტრეტის ფონი წარმოადგენს არა სავრო დანიშნულების სასახლეს, არამედ ჩვეულებრივ მონასტრის“ (იქვე, გვ. 123-124). ამ გარემოებას პ. რატინი თვლის „გადამწყვეტი ი მნიშვნელობის საბუთად, რომელიც ერთხელ კიდევ ექვიმოტრანალდ ამტკიცებს ვეფხისტყაოსნის ავტორის ნამდვილ ვინაობას და საბოლოოდ ასაშარებს ჩვენი ავტორების უნადაგი თვალსაზრისს“ (იქვე, გვ. 124, კურსივი რატინისაა. — ავტ.).

მოყვანილი მსჯელობიდან და მდლდგარდოვანი ომპიანი განცხადებებიდან (საბოლოოდ ასაშარებს“) შთავარი ისაა, რომ პ. რატინი — უფერივით — იძულებულია აღიაროს, რომ ზაზახელი ხელნაწერის პორტრეტი რუსთველს წარმოგვისაბავს ერისკაცად. ერთი წუთით დაუშვავთ, რომ მართალია პ. რატინი და დიდებული ქართველი პოეტი გამოსახულია ქრისტიანული მონასტრის ფონზე. მაშინ ხომ მით უფრო იყო მოსალოდნელი მხატვარს იგი სწორედ ეპისკოპოსად წარმოეჩინა, თუ კი მას ნამდვილად ეპისკოპოსად თვლიდა? ეპისკოპოსად მიჩნეული პირი თუ მხატვარმა სპარსულ ტანსაცმელში გამოწყობილ პოეტად წარმოგვისაბა (და ისიც მონასტრის ფონზე), მას დაუშვარივბია, დაუშვადბლებია მღვდელთმთავარი, მიწასთან ვაუსწორებია მისი მღალა ღირსება. მხატვარი პორტრეტი ბატავდა თუ კარავტუჩას?!

ამრიგად, ზაზახელი და მამოუკასელი ხელნაწერების ორივე პორტრეტი რუსთველს გვისურავთებს ერისკაცად და, მაშასადამე, ერთ-

ხელ კიდევ ბათილდება. დებულეობა. თითქმის აღორძინებული კრიტიკის არც ერთი მწერკრული და მხატვარი რუსთველს არ თვლიდა ერისკაცად (მნათობი, 1968, № 2, გვ. 170).

ჩვენ აღიარებთ ვამბობთ რუსთველის იერუსალიმური პორტრეტის თაობაზე, რადგანაც თვითონ პ. რატინის თვალსაზრისის თანახმად რუსთველს იქ ამოებს სამეფო (ე. ი. სავრისკაცო) პორფირ-ბისონი, რომლის ტარებას იკლებია მიიღეს რუსთველმა ეპისკოპოსებმა XVIII საუკუნეში (მნათობი, 1968, № 4, გვ. 156-157; მნათობი, № 5, გვ. 115). XVIII საუკუნეზე რა მოგახსენოთ, ხოლო XII-XIII საუკუნეებისათვის კი საუბრით ვამორიცხვლა მღვდელთმთავრების მხრივ სამეფო პორფირ-ბისონით მოკმშელობა!.

ვინც გაეცნობა პ. რატინის ნარკვევს და მის „პასუხს“, ადვილად შეაჩნევს, რომ ჩვენი მველევარი ისე ირყება, როგორც ძაბვობად ცნობილი იგავ-არაკის ერთი „გმირი“. რამდენადაც პ. რატინს ნაცლებია აქვს საბუთი, იმდენად მეტ ზერელობას იჩენს, ვაკუიროს, ხმავრობს, რომ დაფაროს თავისი სუსტი არგუმენტაცია. პირ, გასიჩქეთ, რა უსაშველო ბღღვირს ადენს ქრესტომათიისა და საბიებლების გამოთავის ღრობზე ჩვენ გაევირება გამოუთქვიოთ იმის გამო, რომ აღორძინების პერიოდის მწერლობა პ. რატინს ქრესტომათიით შეუსწავლია, რამაც განაპირობა მისი რიგი მძიმე შეცდომა პ. რატინი ახლა მეთხველს არწმუნებს, თითქმის ჩვენ „მოუტეველად შეცდომადა“ უფთოლოთ მას „ქრესტომათიის გამოყენების თვით ფაქტს“. „თუმცა თვითონაც კარგად იციან, რომ, ალბათ, მთელ ქვეყნიერებაზე არ მოიბოვება მეცნიერი. რომელსაც ასე თუ იმ ქრესტომათიით არ ესარგებლოს“-ო (ციცკარი, 1969, № 11, გვ. 125). დამშვიდდით, ბატონო ისტორიკოსო! ქრესტომათია ჭეშმარიტად კარგი რამაა, იმით ყველგან სარგებლობენ, მით შორის, რასაკერაველია. მეცნიერებშიც, საქმე ეს კი არაა. საქმე ისაა რომ როდენაც მეცნიერი საგანგებოდ იკვლევამიებს რამე სერიოზულ საკითხს, იგი არ უნდა დაკმაყოფილდეს ქრესტომათიით (ქრესტომათია ხომ გამოკრებილ მასალებს შეიცავს?), იგი უნდა გაეცნოს სრულ ბეჭდურ პუბლიკაციებს, საჭირო შემთხვევაში თვითონ დედან-ხელნაწერებსაც უნდა შთავითხოს. აი, ამანე, ამ ელემენტარულ წესზე შეუთვთებლით ჩვენ პროფესორ რატინს. ის კი, როგორც ხედავთ, პასუხის ნაცვლად მტვერს გვაუარს თვალში. ასევე ირყება ჩვენი სწავლული მველევარი საბიებლების საკითხშიც. პ. რატინი ეთითმ გვიმტკიცებდა, რომ ტბეთიდან მი-

1. ნ. შოშიაშვილი, ვეფხისტყაოსნის ავტორის ვინაობაზე ახალი თვალსაზრისის შესახებ (მნათობი, 1969, № 11, გვ. 172-173).



დებულები ორი ტერმინი ტბეული და მტბეუარი — სრულიად სხვადასხვა მნიშვნელობის ცნებებია, ტბელი აღნიშნავს მხოლოდ საერო პირს, ხოლო მტბეუარი — სასულიეროს. ჩვენ არ შევიწყნარეთ ეს მოსაზრება. მკვლევარს მოეხსენებოდა, რომ საკმარისია გადაფურცლოთ კვეცილის ლიტერატურის ისტორიის პირველ-ტომის საძიებელი, რომ იქ იპოვოთ საწინააღმდეგო ფაქტები. საძიებლების მიხედვით ჩახედეთ წიგნში (მთელი წიგნის გადაკითხვა რომ არ მოგიხდეთ) და ნახათ: ტბეთის მოღვაწე სასულიერო პირი ზოგჯერ იწოდება ტბელად, ზოგჯერ კი მტბეუარად. ცნობილი არიან, ერთი მხრივ, ანტონ ტბელი, დავით ტბელი, პავლე ტბელი და სხვა. მეორე მხრივ, — იოანე მტბეუარი, სტეფანე მტბეუარი. ეს მონაცემები აბაიოლებს პ. რატიანის ერთ უმთავრეს დებულებას. თავისი პირები რომ დაფაროს, პ. რატიანი კორინთელს აუწერს, და ქედმაღლურად ვეკითხება, გვასწავლის: „საძიებელი რა ისეთი საბუთია, რომ შეცნობილი გამოთის დროს მას დავეყრდნობო? განა ავტორებმა არ იციან, რომ საძიებელი უბრალო ტექნიკური ცნობარია, რომელსაც უფრო ხშირად ავტორები კი არა, კორექტორები ადგენენ?“ (ციცკარი, № 11, გვ. 128). ეს გულბრუნვითი ფანდი ვერ უშველის ცრუ-არგუმენტებით აღმურთელ ჩვენ მკვლევარს. ეს „უბრალო ტექნიკური ცნობარიც“, როგორც საძიებელია და რომელსაც თურმე „უფრო ხშირად კორექტორები ადგენენ“, მთლიანად არღვევს და სწორედ რომ ავამტყვრებს პ. რატიანის დებულებებს.

პ. რატიანი გულმოდგინედ არც ქართლის ცხოვრებას კითხლობს. არც სხვა პირველ წყაროებს, არც სამეცნიერო ლიტერატურას. ერთ საგულისხმო ფაქტს დავიმოწმებთ. პ. რატიანი იფანებს იმ დისკუსიას, რომელიც ერთ დროს გაიწვია ჩვენ პრესაში რუსთველის იერუსალიმში შესასრულებელი ყოფნისა და იქ გარდაცვალების თაობაზე. ამასინცებს აღ ბარამიძის მაშინდელ მოსაზრებას (საქმე ეხება 1960 წელს გამოქვეყნებულ წერილს) და დასძენს, რომ შემდეგდროინდელ ნაშრომებში, კერძოდ ჟვანთაძის მონასტრისადმი მიძღვნილ სპეციალურ ნაშრომში („შოთა რუსთველი და ქართველთა ჯვარის მონასტერი იერუსალიმში“, საიუბილეო კრებული, „შოთა რუსთველი“, თბილისი, 1966) „აღ. ბარამიძე ერთ სიტყვასაც აღარ ამბობს ჟვანთაძის მონასტრის შემტკიანის გიორგი პანკაძის ხატიანი ცნობაზე, ისევე, როგორც არც იმას იხსენებს პრაოდ. აღ. ვაგარლისა და მთელი რიგი სხვა ავტორების მოსაზრებებს რუსთველის იერუსალიმში ყოფნაზე“ (მნათობი, 1968, № 5, გვ. 130). ნამდვილად კი დასაბუთებულ ნაშრომში 30-ე და 31-ე გვერდებზე იკითხება (მოგვყავს ტექსტი მთლიანად):

„აღსანიშნავია შემდეგი გარემოება: 1905

წელს იერუსალიმში გამოქვეყნდა ბერძნულ ენაზე კრებული „ახალი სიონი“ (ტომი მეორე). ამ ტომში მოთავსებულია ბერძნული ისტორიკოსის ვიოტის „ვიოტის იერუსალიმის ნარკვევი ჯვარის მონასტერზე“. ეს ისტორიკოსი მოგვიხსრობს, რომ ჯვარის მონასტრის შესაკეთებლად თამარ მეფის დაავლებით 1192 წელს იერუსალიმს ეწვიათ გამოჩენილი პოეტი შოთა რუსთველი (С. Лосев, О могиле Шота Руставели, «Вечерний Тбилиси», 17.VI.60 წ.; И. Стовбун, О Крестном монастыре в Иерусалиме, портрете и могиле Шота Руставели, «Вечерний Тбилиси», 9.VI.65 წ.).

ამ ცნობის ემყარება რ. ქანანის მონათხრობიც, თამარ მეფემ იერუსალიმში გაავაზნა სახელგანთქმული პოეტი რუსთველი და გაატანა ჯვარისა ძღვენი წმიდა-ჯვარის ეკლესიის გასამშვენებლად“ (რ. ქანანი, ქართველები იერუსალიმში. თარგმანი ფრანგულიდან, სტამბოლი, 1921, გვ. 40). დამოწმებული ცნობა უადრესად მნიშვნელოვანია. ძნელია იმის დაშვება, რომ ბერძენმა ისტორიკოსმა ვანზაბა მოიგონა ან საგანგებოდ შეთხზა ეს ფაქტი. სამწუხაროდ, ავტორი არაფერს ამბობს იმის შესახებ, თუ რას ემყარება ცნობა შოთა რუსთველის იერუსალიმში ყოფნის თაობაზე. ეს ცნობა ამოკითხულია ძველი მონასტრის მატრიანდან, თუ მისი წყაროა მონასტერში შემონახული გადმოცემა. ჯერ-ჯერობით ჩვენ არ ვიცნობთ პირველწყაროს, რომ მის ავტორთანაა მივუვლიყვით. ამიტომაც დღეი სიფრთხილე გვებარებებს, კატეგორიული ხასიათის დასკვნის გამოტანას უნდა მოვერიდოთ“.

როგორც მკითხველი ხედავს, ერთი სიტყვა კი არა, ძალიან ბევრიც ყოფილა თქმული დასმული საკითხის თაობაზე. მაშ, რა ქვია პ. რატიანის ასეთ საქციელს? ორში ერთი: ან პ. რატიანი გულდასმით არ კითხულობს სამეცნიერო ლიტერატურას, მათ შორის ისეთსაც, რომელსაც იმომწებს, ან და მკვლევარს შეგნებულ შეცდომებში შემაყავს მკითხველი. არ გვერინია, ან ერთი ევადრებოდეს პროფესიონალ მკვლევარს, ან მეორე, დასკვნის გამოტანა მკითხველისათვის მიგვიინდვია.

პ. რატიანის „პასუხში“ დღეი ადგილი აქვს დამოძიბილი ჩვენი „მიტყვევებელი მეთოდოლოგიური შეცდომების“ მიხედვას. ეს „შეცდომები“ იმით ყოფილა გამოწვეული, რომ თურმე ჩვენ ეიშყოფებით ნიკო შარბის ძლიერი გავლენის ქვეშ (ციცკარი, 1969, № 12, გვ. 124-127). ამიტომაც ავტორები (ე. ი. ჩვენ. — ეტ.) — წერს პ. რატიანი — „დაბეჯითებით უსვამენ ხაზს ძველი სიანაქარებისა და აღაპუბის განსაკუთრებულ მნიშვნელობას“ (იქვე, გვ. 126).

აფერეში, ბარაქადა, ბარაქადა შუა საუკუნეების ისტორიკოსო! რა ადვილად ემოქნებით და უგებთ ანდერის საისტორიო პირველწყაროებს! რაც მართალია, მართალია, ჩვენ მართლაც დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ სვინაქსარებსა და საალაპო წიგნებს (და არა აღაბებს, როგორც მოგვაწერს პ. რატიანი), ვითარცა საისტორიო და სალიტერატურო პირველხარისხოვან წყაროებს (თუმცა უოველთვის კრიტიკულად უნსჯელობთ მათ).

ჩვენ აღაჩაფერს ვამბობთ იმაზე, თუ როგორ უდიერად ეპყრობა პ. რატიანი ქართული კულტურის გამოჩენილ მკვლევარს, ავადმყოფს ნიკო მარს, მიუხედავად დიდი და შიშველ შეცდომებისა, რომლებიც აქვს მარს როგორც საკუთრივ ენათმეცნიერულ, ისე საზოგადოდ ფილოლოგიურ თუ სხვა დარგის ნაშრომებში, მაინც უდაოა და დიდად ფასეული მისი ღვაწლი ქართული კულტურის მეცნიერულად შესწავლის საქმეში. ჩვენი დიდი მეცნიერის ავადმყოფს ივანე ჯავახიშვილის სიტყვებით რომ ვთქვათ (იქნებ პ. რატიანი არც ივანე ჯავახიშვილის ავტორიტეტს სცნობს?), „თავისი სამაგალითო ენერჯიით, დაუღალავი შრომის უნაქიზით, პროფ. ნ. მარმა ქართული და სომხური ფილოლოგიის დონე ერთბაშად იმ სიმაღლემდე აიყვანა, რომელზედაც დასავლეთ

ევროპის თანამედროვე ფილოლოგიაა“. ამას წერდა ივანე ჯავახიშვილი 1937 წელს გამოქვეყნებულ წიგნში „წიგნები და კავასიტური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა, გვ. 10. კურსივი ავტორისაა). სხვათა შორის, იმავე წიგნში ივანე ჯავახიშვილი ეტება ნ. მარის 1910 წელს გამოცემულ ერთ რუსთველოლოგიურ მონოგრაფიას და შენიშნავს, რომ იგი არის „მშვენიერი გამოკლევა“, რომელიც რუსთველის „სულსკვეთებისა და მსოფლმხედველობის საუკეთესო გამომკლევანებად უნდა იქნეს მიჩნეული (იქვე, გვ. 10). ვეფხისტყაოსნისადმი მიძღვნილ სპეციალურ ნაშრომშიც ივ. ჯავახიშვილი ამბობს: „ვეფხისტყაოსნის ვენიოსი ავტორის მსოფლმხედველობისა, მიზნისა და პოეტური მრწამსის შესახებ პირველი მშვენიერად დაწერილი მონოგრაფია ავად. ნ. მარის კალამს ეკუთვნის. მისმა ამ გამოკლევაში ვეფხისტყაოსნის შესწავლის ახალი ხანა შექმნა“ (შოთა რუსთაველის 750 წლისთავის ზეიმის გამო, კრ. ქართული ენისა და მწერლობის ისტორიის საკითხები, 1956, გვ. 10).

ამით ვამთავრებთ იძულებითს პასუხს და საზოგადოდ ყოველგვარ კამათს პ. რატიანთან, სამწუხაროდ მიგვანია, რომ მკვლევარმა არ მოისურვა საჭიროდ განხილულიყოს მისი ნაშრომი სპეციალისტთა წრეში. წერილობითი „დისკუსია“ ეს სათავეშივე მცდარ, უნადავო პრობლემის გარშემო ძალზე გაჭიანტდა.



სვანეთის მოჭირახულა

„თავისუფალი სვანის“ — ბესარიონ შიოს-ძე ნიგარაძის შემოქმედება მრავალმხრივია. მისმა მოღვაწეობამ საქართველოს სიძველეთა შესწავლის საქმეში როგორც მეცნიერთა, ასევე ფართო საზოგადოების ინტერესი გამოიწვია და მალევე შეფასება დაიმსახურა. არანაკლები ყურადღების ღირსია ბ. ნიგარაძის პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობა.

ბესარიონ შიოს-ძე ნიგარაძე დაიბადა 1852 წელს, ზემო სვანეთის მალაღმთიან სოფელ უშგულში. 1868 წლიდან 1874 წლამდე სწავლობდა ქუთაისში, შემდეგ თბილისის სასულიერო სემინარიაში. მიღებული ნიშნების უწყისებობის ჩანს, რომ ბ. ნიგარაძე განსაკუთრებით მალე შეფასებას იმსახურებდა ისტორიაში, ფილოსოფიაში და ფსიქოლოგიაში. 1878 წელს ბ. ნიგარაძე მუშაობას იწყებს სვანეთის საზოგადოების საქმის-მწარმოებლად, 1883—1892 წლებში კი მუშაობს მასწავლებლად ქუთაისის სათავადაზნაურო სასწავლებელში. თბილისშია და ქუთაისში ყოფნის დროს ბ. ნიგარაძე გეოგრაფიკულ და დოკუმენტურ მუშაობებში ისეთ გამოჩენილ მოღვაწეებს, როგორებიც იყვნენ თ. ყოზღანიანი, ნ. ხიზანიშვილი, ა. ყიფშიძე, ნ. ლომოური, ს. მგალობლიშვილი, ი. მურერნაგია და სხვ.

1873 წელს თბილისის სასულიერო სემინარიის მოსწავლე ბ. ნიგარაძე თავის პირველ ნაბეჭდვს აქვეყნებს ვახუთ „ღვრებანში“. ამის შემდეგ იგი „სისტემატურად თანამშრომლობს „კურიაში“, „სრობაში“, „კლდეში“ (ქუთაისი), „მწვეთში“, „მოამბეში“, „კოლხიდაში“ და სხვ. ბ. ნიგარაძემ თავისი ნიჭით, განათლებითა და შრომისმოყვარეობით მისწავლეს საქართველოს პროგრესულ საზოგადოების ფართო უფრადღება დაიმსახურა, იგი ილია ჭავჭავაძის, ნ. ნიკოლაძის, აკ. წერეთლის, რაფიელ ერისთავისა და სხვა გამოჩენილ ქართველ მოღვაწეთა სამამულაშვილო საქმის უღლის გამწვევი და თანამოაზრე გახდა.

საერთო ქართული საქმისადმი ერთგულედა ავადღებულედა ბ. ნიგარაძეს დაეთმო ქალაქური ცხოვრება და მოღვაწეობა დაეწყო სვანეთში, სადაც უკლებლად უფრო საჭირო იყო განათლებული ადამიანი, ცნობილი ქართველი პედაგოგი ვ. ძიძიგური, რომელიც 1913-1914

წლებში მასწავლებლად მუშაობდა ზემო სვანეთში და ახლო იყო ბ. ნიგარაძესთან, ვახუთ „სახალხო საქმის“ მიერ გამოქვეყნებულ ნეკროლოგში წერდა: „ბესარიონ ნიგარაძეს თამამად შეეძლო დედაქალაქში ეცხოვრა, კარაი-რა შეექმნა და ფუფუნებაში ყოფილიყო, მაგრამ მან ეს არ ქნა, მან დაუჭერა ილია ჭავჭავაძეს, — ბესარიონ თუ საქართველო ოდნავ მაინც გიყვარს, სვანეთში უნდა წახვიდე და იქიდან ამოვიდდე უღელში“.

1892 წლიდან მთელი სიცოცხლის მანძილზე ბ. ნიგარაძე უმწიველოდ ემსახურებოდა მშობლიურ კუთხეში ქართული ეროვნული კულტურის ზრდა-განვითარების საქმეს.

ბ. ნიგარაძეს უდიდესი წვლილი მიუძღვის სვანეთის სკოლებში ქართული ენის დამკვიდრების საქმეში. იგი, როგორც წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების აქტიური წევრი, დადიოდა სოფლებში ამ საკითხთან დაკავშირებით და ენერგიული შრომით სასურველ შედეგსაც აღწევდა, ამით აღტაცებული „ივერია“ რედაქციას წერდა ზოლზე: „ქართული ენა შესანიშნავის სასწრაფით იყავდეს გზას სვანეთისაკენ“.

ბ. ნიგარაძემ სასტიკად გააყრიტია 1864 წელს გამოცემული „ლუნე ანბან“ (სვანური ანბანი), რომლითაც რუსიფიკატორებს სურდათ სვანეთის სამრევლო სკოლებში დამკვიდრებინათ ლათინურსკელების რუსულ ენაზე სწავლება, რაც, ბესარიონის სიტყვით, ზიანს შეტს არას მოტანდა ხალხს. ბ. ნიგარაძე წერდა და აქვეყნებდა სწავლა-ღმრთის საკითხებზე შეტად სასურველდებო წერბოებს, იბრძოდა მანვე გაღმონამოების წინააღმდეგ, იღწვოდა საქართველოს ამ კუთხეში ხალხის გათითონობერებშია და კულტურის ამაღლებასაცოფის. მღვდლის სანდორას ამოფარებულთ, იგი იყო არა მარტო თვალსაზრის პედაგოგი, არამედ ქართველ პროგრესულ საზოგადო მოღვაწეთა ერთ-ერთი თვალსაზრისი წარმომადგენელი მამინდელ სვანეთში.

მეგობრ ქართველი ერის წინაშე დამსახურება მიუძღვის ბ. ნიგარაძეს, პირველ რიგში, მაინც როგორც მკვლევარს.

სვანეთის ისტორია, ეთნოგრაფია, არქეოლოგია, ფოლკლორი, გეოგრაფია, ენა, სვანეთში

დაცული ზღნაწერები, განათლების მდგომარეობა სენათში, ეკონომიკა, აი, მისი წერილების მრავალფეროვანი თემატიკა.

ქართული საზოგადოებრიობა დიდ გულისუფროთ აღევნებდა თვალს ბ. ნიყარაძის მუშაობას, იმდროინდელი საქართველოს ძირითადად სამეცნიერო დაწესებულებაში „საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებამ“ ბ. ნიყარაძე აირჩია საზოგადოების წევრად.

ცნობილია, აგრეთვე, თუ რა მაღალ შეფასებას აძლევდნენ ბ. ნიყარაძის მუშაობას იე. ჭავჭავაძე, ნ. შარა, დ. კარიბაშვილი, მ. ილინა და სხვა მკვლევარები. როგორც ეს შენსწინდელია სპეციალურ ლიტერატურაში, ბ. ნიყარაძე, ზოგი თანამედროვე ეთნოგრაფივით, შორეული ვადმონაშთების უარყოფის გზას კი არ ღადავდა. ეთნომკვდა იმიტომ, რომ საბაბი არ მიეცა „რამე ჩამორჩენილობაზე ლაპარაკისთვის“, მან ზუსტად აღწერა ფაქტი, მოიყვანა შესაბარებელი მასალა და თავისი ისტორიული ადგილი მიუჩინა მას.

1962-64 წწ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გამოსცა ბ. ნიყარაძის „ისტორიულ-ეთნოგრაფიული წერილები“ ორ წიგნად. მას დართული აქვს შედარებით სრული ბიოგრაფია და წერილები (რ. ხარაძე, ივ. სურგულაძე, ელ. რობაქიძე). ჩვენი საზოგადოება ამ გამოცემებს დიდი სიხარულით შეხვდა. მათ ფართოდ და დაღმბითად გამოეხმართა ქართული პრესა, დაიწერა მრავალი გულთბილი წერილი და რეცენზია.

ბ. ნიყარაძის წიგნების განხილვას მივძღვნა ჩვენი რესპუბლიკის რიგ სამეცნიერო დაწესებულებებში სპეციალური სხდომები. შესწავლილი იქნა ბ. ნიყარაძის, როგორც მკვლევარისა და პედაგოგის ბიოგრაფია. მაგალითად, ისტორიის ეთნოგრაფიის, არქეოლოგიისა და ფოლკლორის საქართველოს სამეცნიერო საზოგადოების ტუთისის განყოფილების წევრთა სხდომაზე წაკითხული იქნა მოხსენება თემაზე: „სენათის ისტორიის და ეთნოგრაფიის მკვლევარის ბესარიონ ნიყარაძის („თავისუფალი სენათის“) ცხოვრება და მოღვაწეობა“. ამავე წელს თბილისის მსაწმელბელთა სახლში ბ. ნიყარაძის პედაგოგიური მოღვაწეობის შესახებ მოხსენება გააცთა თბილისის ა. ს. პუშკინის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის პროფესორმა ტ. ხუნდაძემ, სადაც მომხსენებელმა „თავისუფალი სენათი“ ოცხეულის, ხუნდაძის და სხვა გამოჩენილ პედაგოგების გვერდით დააყენა. ინსტიტუტის მუღმეფე კუსპოზიციამ ბ. ნიყარაძის სურათიც არის მოთავსებული.

დიდა ბ. ნიყარაძის ღვაწლი ქართულ-სენათრ ენათა ურთიერთობის გამოკვლევის საკითხში, რომელსაც იგი იღაა კავკავიის დავალებით ატუაეებდა. მასვე დიდი შრომა გაუწევია სეა-

ნერ-ქართულ-რუსულ ლექსიკონის შედგენაში. მის შემთხვევით როდი უწუღდა კავკავიის უაუხინიშვილი „სენათრ ფილოლოგიის მუღმედებელი“.

ბ. ნიყარაძის ნარკვევები არა მარტო ქართუელების, არამედ ჩრდილოეთ კავკავიელი ხალხების ისტორიის მთელი რიგი ძირითადი საკითხების შესწავლისათვის წარმოადგენს სიმძელე წყაროს. მათ ასეთ დიდ მნიშვნელობაზე ჯერ კიდევ მათი ავტორის სიცოცხლეში აღნიშნავდა ვახუთი „იერიანი“ — „ხვენ შევიტყუეთ, რომ „თავისუფალი სენათის“ წერილები, რომელიც იბეჭდებოდა ჩვენ გაზეთებში სხვა-და-სხვა დროს, ამაჟამდ გერმანულს ენაზედ ითარგმნებო“. მეორე ცნობა ეტება ბ. ნიყარაძის შრომების რუსულად ითარგმნის და რაფ. ერისთავის მიერ მათ გამოქვეყნებას.

პირველი სენათი მკვლევარი ბ. ნიყარაძე ღირსეულად იმსახურებს აღ. კავარელის მაღალ შეფასებას: „თქვენი შრომები თქვენი საშრობლო ენისა და მხარისა გამოკვლევაზედ ღირსნი არიან ყოველიეე ქებისა და პატივისა“.

ძნელია საზგამა ყველა იმ ძირითადი დეტალისა, რომელიც განსაუთრებთი შესაჩნწევა ამა დიდი მოამაგის მოღვაწეობაში.

ბ. ნიყარაძე ბეერი ზელოვნების უნიკალური ძეგლი გადაარჩინა დაღუპეას და შემოუნახა შთამომავლობას. „უველაფერს, რომ თავი დაეინებოთ, მარტო აღიშის სახარების და იერუსალიმის კონონარის შენახვა ქართული მწერლობისათვის მაღლეს უფლება ყოველთვის პირინათლად ეიყო ქართველობასთან“... წერდა იგი 1909 წ. ექვთიმე თაყაიშვილს.

ბ. ნიყარაძე გარდაიცვალა 1919 წელს. დასაფლავებულია მშობლიური სოფლის უშუქლის წმ. მარიამის ეკლესიის ეზოში, უანჯარო და თაემდაბალი მოღვაწეობის უბრალოება ეტყობა მის საფლავსაც. მაგრამ მისი ღვაწლი საშრობლოს წინაშე იმდენად დიდაა, რომ საჭიროა შთამომავლობამ, მით უფრო მისმა თანამემეტლეებმა შესაფერისად დააფასონ იგი, მეტი უფრადლებით მოექციენ მის სახელს, მის შრომებს, მის საფლავს.

საწეცნიერო საზოგადოებაში დბადა აზრი ბ. ნიყარაძის გარდაცეალების 50 წელთან დაკავშირებთი და მის სახელის უფდასაყოფად შესანიშნავი მკვლევარისა და პედაგოგის სახელად დარქეას უშუქლის საშუალო სკოლას, რამდენადაც ბ. ნიყარაძის მოღვაწეობის გარკვეული პერიოდი დაკავშირებულია ამ სოფელთან.

წერილს ამ თაბაზე, რომელიც გაეგზავნა მუსტიის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბუქოს აღმასკომს, ხელს აწერენ აკადემიკოსები: ავ. შანიძე, სიმ. ყაუხჩიშვილ, კ. ვანსახურდია და პრაფ. აღ. რობაქიძე.

ამჟელა მეტისის რაიონის ხელმძღვანელობა პასუხისმგებლობით მოეიღებდა ამ მოთხოვნას.

საიღუპლო ღმრთისაფხველებისათვის

წვენი წინაპრები პლატონეოსები და ნეოპლატონეოსები იყვნენ, პლატონისა და პლატონის თავყანის-მცემელთა თავყანისმცემელნი: დიონისე არეოპაგელი (პეტრე იბერიელი)¹, ვფრემ მცირე, მეფე დავით აღმაშენებელი, იოანე პეტრიწი, მეფე თამარი, რუსთაველი...

...მწვერვალსაყა მასყა ფილოსოფოსთა დღისაჲსა, პლატონს თანა გამოითანაებს (თან იყოლებს — ბ. ზ.) ვითარ მიპრონსა ღვთისმეტყველებისაჲსა, ჩვენი ესე ღმრთისმეტყველი, — წერს იოანე პეტრიწი პროკლეზე და მას თავს საკუთარ ორფუოსად რაცხს („ჩემი ორფუოსი“ — ასე იხსენიებს პეტრიწი პროკლეს).

ჰარაულ აზროვნებაში ხდება უზვეული რამ: ორი დაპირისპირებული და მტრულად განწყობილი მსოფლმხედველობის — ქრისტიანობისა და ნეოპლატონიზმის შერწყმა. ხდება არა მხოლოდ პეტრე იბერიელის (დიონისე არეოპაგელის), თავისთავად უკვე ქრისტიანულ-ნეოპლატონური ტრაქტატების არსებობით და მათი თარგმანებით (ვფრემ მცირის თარგმანებით), არამედ ქრისტიანობის ამკარა მტრის — პროკლეს ქრისტიანული კომენტარებითაც, რომელიც XI საუკუნის ჰართველ ფილოსოფოსს იოანე პეტრიწს ეკუთვნის. პეტრიწს, უზომოდ შეფარებულს პროკლეზე, ქრისტიანობის აღიარებულ მოძულეზე, ხელს არ უშლის ეს სიძულელი და ქრისტიანობისა და ნეოპლატონიზმის შერწყმის დიონისე არეოპაგელისეულ გზას მისდევს.

...ასე სრულდება ვროპელი ნეოპლატონიზმი საქართველოში მისი ქრისტიანული მოქცეობით.

ქართველებმა ოდესღაც უდიდესი ტვირთი იტვირთეს: როცა მერწული ფილოსოფია დასასრულს მიადგა, გელათის აუადმია გამოაცხადეს ახალ „ათინად“.

¹ ნეკუბიძე — პონიფიანის დიდი დამსახურებაა მსოფლიო კულტურის ისტორიის წინაშე ამ იღუმალი ფსევდონიმის ამოხსნა.

და შეიძლება ითქვას, რომ საყადრისიყ შექმლეს, ოღონდ, თავიანთი ზუნებისა და ეპოქალური წილსეფდრის შესაბამისად, პოეზიაში ახარეს ფილოსოფიური სიზრძე და რუსთაველი შეეს. თვითონ პეტრიწი კი გულნაკული დარჩა თავისი ნაღაწით: სიყვარული და შეწყენა რომ მჭონებოდაო თანამემულე-თაგან — წერს იგი ერთგან, — „უნამსყა ენისადა გა-მეწყო და ზედგამსყა ფილოსოფოსთა განყდისაჲ ნე-არისტოტელურა, და ღმრთისმეტყველებამ ნიუთისაგან მიუბებელი წარმომყენა“¹-ო.

ამასობაში ფილოსოფიის ცენტრებმა საერთოდ გა-დიინაცვლეს საბერძნეთიდან ვეროპაში, ხოლო ის დი-დი პლატონური გატაცება, რომელიც საქართველოში დამყრო, იმით დასრულდა, რომ მონოლოები შემო-გვესიონენ, ჩვენი ეკლესიის გუმბათზე მტერი ტახტს იღებდა და საქართველოში დიდბანა ფილოსოფიის-თვის აღარავის ვება. არეოპაგელის ფილოსოფი-ურმა შემყიდრებამ კი ისევე ვეროპაში პოეზა გამ-გრძელელებლი.

ზოგერთი შევლევარბ აზრით, დიონისე არეოპა-გელს მოუწადინებია ეკვიპტური რელიგიურ-ფილო-სოფიური მოძღვრების რენეანსი. წადილე უნდა გან-სორციელებულაყო აალორბინებულში ოდესღაც ერთი-ან მთულად არსებულ, ამყარად გათიშულ მოვლენა-თა — ფილოსოფია და რელიგიად გათიშულ და და-პირისპირებულ მოვლენათა (ქრისტიანობა და ნეო-პლატონიზმი) შერწყმის ნიადაგზე...

დიონისე არეოპაგელის (პეტრე იბერიელის) ნა-აზრევს დაუკავშირდენ ისეთი დიდი სახელები, რო-კრივი არის იოანე სკოტ ერიუვენა, წმ. ალბერტ დი-დი, ნიკოლა კუზანელი, თომა აკვინელი, მარსილიო ფაშინი, მარსტერ ჯაკარტი და სხვ.

აღსანიშნავია რომ თომა აკვინელი წმინდა აკუენ-ტინზე მალა აყენება დიონისე არეოპაგელს.

არეოპაგელტიკის საბით წვენს წინაშე ვრანდიოზუ-ლი მსოფლმხედველობრივი სისტემა, რომელიც, ისე-

ვე, როგორც საერთოდ მთელი ნეოპლატონიზმი, ჯერ კიდევ დიდ კვლევას მოელის.

არუმაჯიტიკული მოძღვრება რთული რელიგიურ-ფილოსოფიური სისტემაა, რომლის მწიგნობრი დაღმარება-გადმოცემაც საკმაოდ დიდ დაწინაურებასა და სულეირ ხელწიფებას საჭიროებს.

არუმაჯიტიკის კვლევაში საკუთარი დეაქლის შეტანა, ქართულ მკვლევართა დიდი ეროვნული და საერთო საქმეა.

თუ პეტრე იბერიელის მსოფლიო დამსახურებისათვის საქმარინია აღინიშნოს მისი აღიარებული გავლენა და კვლი დანტე აღივირის პოეტური მსოფლმხედვეს, მისი დამსახურებისათვის ჩვენი ქვეყნის წინაშე რუსთაველზე მისი აღიარებული გავლენა კმარა. ვადაუღებელია არუმაჯიტიკის კვლევის საქმიროება რუსთაველის მსოფლმხედველობის საბოლოო ამოკითხვისათვის.

ორიგინალის შესწავლის მიზნით ვყავდეთ გვეთარგმნა პეტრე იბერიელის (არუმაჯიტიკის) ერთერთი ძირითადი ტრაქტატი, „სიადუმლი ღმრთისმეტყველებისათვის“, ანუ „მისტერიი თეოლოგია“, რომელიც ედება პირველმიზეზის, ანუ სამფაროს საწყისის საოდუმლო განსაზღვრებას. იგი განიმარტება, როგორც

თვით გონით რეალიზაცე მდღმა მყოფი არარაობრივი რეალიზა შესყვიონსა, და ესოდენ მდღმა წადებული საშუალო არუმაჯიტიკული პირველმიზეზისა, მინწეულია წედომადად. ტრაქტატი სინტერესოა როგორც არუმაჯიტიკის წყაროების, ასევე თანამედროვე ფილოსოფიულ „არუფონისა“ (არარას), „ყოფნისა“ და „არსებობის“ ცნებათა ფილოსოფიური ეტიმოლოგიისათვისაც.

განსაკუთრებით არის აღინაშნავი დიონისე არუმაჯიტიკის ზვიადი სტილი, მისი ხატოვნება, საოცარი პოეტურობა და ამადლებულობა, მეტრისმეტად თვალში სადემი ნეოპლატონური ცნებათმეტყველება. შეიძლება ითქვას, რომ არუმაჯიტიკის სტილი ჩამოკავებს ქართული ზეპურთმის ჩაწეულობას და ქართული ტაძრების დიდებუბოვნებას. აღინაშნავენ მისი ენის ერთგვარ არაბურნულ იერსაც, თუმცა საოცარია არაბურმის ესოდენი ბერძნული ზვიადობა და ხატოვნება.

ტრაქტატის დედნისათვის ესარგებლობდით მინის (Migne) ანთოლოგიური გამოცემით (პატროლოგია გრეცა). გარდა ეფრემ მცირეხული ქართული თარგმანისა ზელთ გვექონდა ტრაქტატის ლათინური, ფრანგული, და რუსული თარგმანები.

ლიენზა ზუმბაძე

თ ა ვ ი

რბ არის ლვთაბერივი წმადიად

§ 1 სამებაო ზეარსისაო, და ზედმრთისაო, და ლესიკეთისაო, განმგებელი და მფარველო ღვთაებარივი სობრძნისა ქრისტეანთა, წარგემრთუ ჩვენი, ზემეტენობლისა, ზენათელისა და უბედღლესისა მწვერეალისკენ საიდუმლო მეტყველებათა, სადაც მარტივი და სრული და უცვალებელი იდუმალბანი ღვთისმეტყველებისა, შებერულან საიდუმლო ხელთდასხმელის გარინდებათა ზენათელი წყვედიდით, ებნელეს-ში თვალისმტრელი ბრწყინელებით დამბრძევებელად ამქებენ და ყოვლად შეუხებადობასა და უხილვადობასი, ზემშეენიერებათა ეღვარებით ზეადვებენ უხედელოთ გონებათა. ზოლო შენი, საყვარლო ჩემო ტიპით, საიდუმლო ხილვათადმი ანთებელი ღტოლით შეგარძებანიცა და ქმედებანიც გონისეული დარტყევი ყოველი ვრძნობისა და გონით წედომადი, ყოველი არარსებელი და არსებელი და რაოდენ შესალო არს, შეუენობლად ამადღდი ზემთა ყოველთა არსთა და ცოდნათადმი შესაერთებლად რამეთუ მხოლოდ განმარტებელი და თავისუფალი ყოფით, საკეთარი თავისა და ყოველთაგან წმინდა განდევლობით, ყოველთა დავგობობა და უბრალეობით ძალიმს ღვთაებრივი უცენის ზეარსული ნათებისადმი მიხლება.

§ 2 წინდახედვით იფავ, ესე ყოველი, რათამე ვზოთ, ვინმე იდუმალთან უხიარებელუნათლებელმა არ ისმინოს. ასეთებად ვთვლი, რომელთაც, ერთიანად დაჯერებულთ, არსებუ-

ლთა მადლა არარაჲ ყოფნა ზეარსულად არ ევტლებათ. არამედ ფიქრობენ, რომ თავიანთი ცოდნით იციან იგი, რომელმან დაღვა უკუენი საიდუმლოდ თვისა. თუ ასეთებზე მადლა არიან ღვთაებრივი ზელთდასხმანი, რაღა იქმის უფრო, უნათლოთათვის, რომელნიც ყოველთ ზესაფუძველ მიზეზად სახვეენ რაღაც უმდარეკთავანს, და არას ამბობენ მისი აღმატებაზე თაი ანთ წარმოსახულ უწმინდურ და მრავალნაირ ფორმათაგან. ჯერ არს დაღვენა და დადებითად განსაზღვრა, მისდამი, რაოდროც ყოველთ მიზეზისადმი, ყოველთა არსებულთა დებულებათა, განსაზღვრა ყოველთა მათ შორის უფფლესის, როგორც ყოველთა ზეარსებულის. ნუ იფიქრებ, რომ დადებითი განსაზღვრებანი წინააღმდეგობაში არიან, უარყოფით განსაზღვრებებთან. არამედ, რომ ყოველთ მიზეზი ბებრიად უბრველესია და ზემთა, როგორც ყოველთა უარყოფითთა, ასევე დადებითთა განსაზღვრებათა.

§ 3 ჰოდა ამისათვის ამბობს ღვთაებრივი ბართლომე, რომ თეოლოგია უგრეცლესიც არის და უმცირესიც. იხევე როგორც საბარება, ფართოც არის და დიდიც, და ამასთან მთაყვე. მე ეფიქრობ, რომ ის, რაც ზებუნებრივად მიიწვდომება, ყოველთა კეთილი მიზეზი, სიტყვა-მრავალიც არის და სიტყვა მცირეც, და ამას-

1 ამ ზესაფუძველ მიზეზის.
2 ამ ზესაფუძველ მიზეზისადმი.



თან უსიტყვოდ, გვაგონება, არც სიტყვა აქვს, არც გონება, რადგან ყოველთაგან ზეარსულად ზედგებარება იგი, და მხოლოდ ნათთვის არის დაუფარავად და კუშმარტიად გამოჩინილი, რომელნიც მადლდებიან ყოველგვარ უწმინდურებასა და სიწმინდესზე, რომელთაშიაერი აღსკვნიერ ყოველთა უწმინდესთა და უმწვერვალესთა მწვერვალადაცა ზე აღიძრებებიან და რომელნიც ჩამოიტყუებენ ყოველთა ღვთაებრივთა ნათელთა და ხმათა, და ცისიერთა სიტყვათა, და იძირებებიან წყვილიადში, რომელშიაც კუშმარტიად არს იგი, როგორც წერილი წერენ, რომელი ყოველთ მადლდებარად არს.

და უბრალოდ როდი იყო, ღვთაებრივსა მოსეს, ბირველად თვითონ რომ ებრძანა განწყვედა და შეხედვებ განწყვედილთაგან განრიდებდა და ყოველგვარი განწყვეტილი შემდეგ ესმა მას ხმანი მრავალხმიან საუფროსთაგანნი, იხილა მრავალნი სინათლენი, წმიდანი მარაგანდენი და ფერმარავალნი სხიველვარებანი.

შემდეგ ხალხისაგან განიხილა და რჩეულ ქურუმთა ვახთ ღვთაებრივთა აღსავალთაგან უწმინდესზე აღდებოდა. მაგრამ ყოველთავე ამით ღმერთს ვერ მისწვდა, ვერ იხილა თვითონ იგი (რამეთუ უხილავ არს), იხილა მხოლოდ ადგილი, სადა იგი იდგა! ეს კი, შე მგონი, ნიშნავს იმას, რომ სახილველთაგან და სახაროთაგან უღვთაებრივნი და უმწვერვალენი, რომელთაც სიტყვები არიან, რადგან ისინი მიგვიკვლევენ ყოველივე ზედამატებულსავე და ყოველგვარ აზრზე მეტად აღსატურებენ აქ უფნის მისას, უფლისებულ უწმიდეს ადვილთაგან ყოველგვარ გონით საწვდომზე უფმადლესი სადმეუფენისას.

ოღეს თავისუფლებსა იგი (გონება) თავის სახილველთაგან და მხილველთაგან, მაშინ აღწევს გამოუცნობლობის კუშმარტიად იდუმალ წყვილიადში, რომელშიაც აზრობს იგი ყოველგვარ ცნობად აღქმას და სრულ შეუხებლობას და უხილვადობასა სადგურდება, ერთიანდ მყოფი ყოველი მიღმა, არავისთვის, არც თავისთავისათვის, არც სხვისთვის, არამედ, რომ იყოს ყოველგვარი ცნობის შეუცნობელ უმოქმედობაში და უბრაბესი მწვედომელობით მწვედომში, შეიცნოს ვაგნების ზემიერით ის, რაც არავისთვის არ არის საცნობი.

თავი II

როგორ უნდა უფროთ ყოველთა მიჯნება და ზურთაყოველს და როგორ მიჯნება კლვანად ბალოვანი

თ. ამ ზენათელ წყვილიადთან შეერთებას ელოცულობთ მიოცვალნი, უმხედველობითა და უნერტებით ხილვასა და ცნობას მისას, რომელი ხილვასა და ცნობასა ზემო ღვას, თავად ამ

უხილავობითა და უცნობლობით. იგი არს სამადვილი ხილვა და შეხედება და მხოლოდ ზეარსებულადვე შესხმა-გარონა და უსიტყვოდ არსებულთა შემოძარცვითა და გამოცლებით, ვითარცა მქანდაკნი საგვლეები ქანდაკებისა, კვთისას აკლებენ და აძარცვვენ საკვეთს ყველდფერს, რამც ხილვისათვის დაბრკოლებად აღლავს წმიდა და იდუმალ შეფარებულ ქანდაკს, და მხოლოდ ამ შემოძარცვითა და გამოცლებით ხდება სინონის შიგ ჩათვრულ მშვენიერებას.

როგორცა ვეფირობ, ვალობა უნდა ამ განოკლებათ! სამიხისპიროდ მატებთა და ზედდამერწვითა: დაწყებული უბრაველესი საწყისებთან საშუალთა გავლით და უკანასკნელთავე, ვადგებდით და ვამატებდით ამ სამატებელს, ზოლო იქ კი, უკანასკნელთაგან უსაწყისესი საწყისისკენ ზედამავალი, ვეცლით და ვაკლებთ ყოველგვარს, რათა გამიშვლებულად ეცნოთ ის შეუცნობლობა, რომელიც ყოველთაგან ფარულად, ყოველთა ცნობადთა შიგან ჩაბურულა, და იმ ზეარსებულ წყვილიად კუშმარით, რომელი ყოველთა არსებულთა შორის, ყოველთავე ნათელთაგან დაფარულად ძვეს.

თავი III

რანი არიან ღმრთის დაღვებით განსაზღვრებანი და რანი უარყოფითნი

ღმრთისმეტყველებით ნარკვევებში ღმრთის დაღვებით განსაზღვრებათა უღვთაებრივობას ეუფლებოდით: თუ როგორ იწოდება ღვთაებრივი და მშვენიერი ბუნება მხოლოდითად და როგორ სამეხიდად, რას ეუწოდებთ მამობას და რას ძეობას, რისი ცხადყოფა სერს სელის ღმრთისმეტყველებით ასანა-განსაზღვრებას. როგორ აღმოცენდნენ ახრთიერი მებრძვი და განუყოფელი საკეთიდან ველისსილარმისიერი ეკეთილესობის ნათელი და როგორ დაარჩენენ ეს ნათელი მასში ყოფნისა (ე. ი. სიკეთეში ყოფნისა, დ. ზ.), თავისთავში ყოფნისა (ე. ი. სიკეთისა და უკეთილესობის, დ. ზ.) და ურთიერთში ყოფნის (სიკეთისა და უკეთილესობის, დ. ზ.) თანამარადობად ადგილზეყოფნაში, მარადიული კელავამოცენებით უაღმოუცენელენი. ღმრთისმეტყველებით ნარკვევებში ივალობება თუ ზემოაყოფი იესო როგორ ეზიარა აღამაინური ბუნების კუშმარტიებათ და სხვა ამგვარი, წმიდა წიგნებში თქმული. დ. თ. ა. ბ. რ. ი. ე. სახელები იქი აზრითყვდომად სახელთაგან ღმრთისა ივალობება, როგორ იწოდება ღმერთი კეთილად, როგორ მყოფად, როგორ სიცოცხლედ და სიბრძნედ, და ძალად, და სხვა ამგვარად; ზოლო ს ი მ ბ ლ რ თ ე ო ლ ო კ ა შ ი მ მოცემულია, რომელი გრძნობადთაგანნი გამოხატებულ ღვთაებრივს, რანი არიან ღვთაებრივი ფორმები, ღვთაებრივი სა-

- 1 ამ მოკლებათა და შემოძარცვით.
- 2 უწმინდურადესი საწყისისკენ.

1 დაბადება, გამოსვლათ.

ხეები, ნაწილნი და ორგანონი, რანი არიან ღვთაებრივი სივრცენი, რანი სამკაულნი, რანი ლტოლენი, რანი რისხენი და მწუხარებანი, რანი მთვრალბანი და ნამთვრალბანი, რანი ფიცი და რანი ლოცვა-წყევანი, რანი ძილი და რანი მღვიძარბანი და რაოდენნიც არიან სხენი, სამბოლონი ღვთის გამოხატვის წმიდად-გამოქრწილი სახეებისა.

ვფიქრობ შიშიხვდი, რისთვის არიან უფრო სიტყვაშირავალი ეს უცანასკნელი განსაზღვრებანი! პირველთაგანმ შედარებით. განაწესნი ღმრთის შეტყველებითნი და ახსნანი ღვთაებრივ სახელთა, მუნა უოფილიყენ, რაც შეიძლება სიტყვაშიციერი, ეიდრე სიმბოლური თეოლოგია, რადგან რაც უფრო მიეიწვეთ სიმალისკენ, ნით უფრო იზინდებიან სიტყუანი ვინით სავანთა ზილვათაგან, ზუსტად ისევე, როგორც ახლა, ზეგრანდნი წყვდიადს მიმწყდარი ვაუღლებით არა მოკლე სიტყუაობას, არამედ სრულ უსიტყუაობასა და გონითეწვდომობას. იქ კი (სიმბოლურ თეოლოგიაში, დ. ზ.) „მალა“-დან დაბლა დაშვებული სიტყვა ჩემი, იმისდამიხედვით, თუ რამდენად ჩამოდიოდა ძირს, იმდენადღე სიმრავლითაც ივრცობოდა. ახლა კი „დაბლა“-თაგანმ ზემოამდგარისაკენ აღმავალი აღწართის ავლის შესაბამისად იცეცება, და მთელი აღმართის შემდეგ, უკვე სრულიად გაირინდებული, ერთიანად ჩაიფლობა გამოუთქმელში.

რისთვის იწყება, მეტევი შენ, ჩვენშიერი მატებანი ღვთაებრივი დაღებითი განსაზღვრებებისა სრულიად უპირველესიდან, ხოლო ჩვენშიერი კლებანი — ღვთაებრივი უარყოფითი განსაზღვრებებისა უშინაღესთაგან.

იმისათვის, რომ ყოველთა დაღებითთა განსაზღვრებათა ზემომყოფის დაღებითად საზღვრისას, საჭირო იყო მატება სავარაუდო დაღებითი განსაზღვრებებისა, მასთან (ე. ი. ამ უშინაღესთან) ყველაზე ახლომყოფი განსაზღვრებიდან, ხოლო ყოველთა უარყოფითთა განსაზღვრებათა ზემომყოფის უარყოფისას, საჭირო იყო კლება მასთან ყველაზე უფრო შორითყოფ განსაზღვრებათაგან.

განა უფრო სიტყობლე და მშვენიერება არ არის უხეშოესი, ვიდრე პაერი და ქვეა? უფრო ნამთვრალბუნა განა, და უფრო მშფოთეარებას, ვიდრე გამოუთქმელობს და შეუცნობლობს.

თ ა ე ი IV

**იზისათვის რომ არს ერთი
გრანოზაბლთაგანი არ არის თავისი
უპირაბანსობით რაიმე გრანოზაბლი
მიზაზი**

ჰოდა, ვამბობთ, რომ ყოველთა მიზეზი, ყოველთა ზეშთა მოარსებე, არც არარსებულია,

- 1 სიმბოლური თეოლოგიის განსაზღვრებები.
- 2 საიდუმლო ღმრთისმეტყველების განსაზღვრებებთან.
- 3 უშინაღეს ელემენტთაგან.

არც უსიტყობლო, არც უსიტყუა, არც უგუხო, არც სხეულია, არც ტანი აქვს, არც სხეულია, არც თვისება ან და ოდენობა, და სიმძიმე, არც მძვინვარებაშია, არც იხილვების, არცა შეხებით ძალეშს შეგარძნება არც თვით შეიგარძნების, არც ის არის, რაც საგრძნობია, არც უფსოსა აქვს და მშფოთეარება ნივთიერთთა ვენბათაგან დაძრული, არც უძალოა, საფუძველი შეგარძნებითი შოელენებისთვის, არცა ნათელის უმარობაშია, არცა იცვლების, არცა იბრწუნების, არცა იყოფის, არცა ნაქუღღების, არცა იღვრების, არცა რაინეს სხვას განიცდის, ანდა აქვს არც გრძნობათაგანი.

თ ა ვ ი V

**იზისათვის, რომ არს ერთი გონითთაგანი
თავისი უპირაბანსობით არ არის რაიმე
გონითის მიზაზი**

ჰოდა კვლავ მალა-მალა აღმავალი, ვამბობთ რომ, არ არის იგი არც სული, არც გონი, არც ოცნებისა და ფიქრის მქონებული, არც სიტყუისა და გონების. არც სიტყუა, და გონება. არც გამოითქმის, არც იაზრების, არც რიცხვია, არც წესრიგი, არც სიდიდე, არც სიმეორე, არც თანასწორობა, არც უთანასწორობა, არც მსგავსება, ან არანსგავსება, არცა დგას, არც მოძრაობს, არც ვარინდებაში იძირება, არც ძალა აქვს, არც ძალა ავითონ, არც ნათელი, არც ცოცხლობს, არც სიცოცხლეა, არც არსია, არც მარადისობა, ან დროისობა. არც გონითოდ არის მისავარი, არც ცოდნა, არც ჭეშმარიტება, არც მეფობა, არც სიბრძნე, არც ერთობა, და არც ერთობა, არც ღვთაებრივობა და ყვეოლობა, არც სული, რამდენადაც იგი ეიცით, არც ძეობა, და არც მამობა, არცა რაიმე სხვა ისეთი, რააც ჩვენთვის, ან ცოცხალთაგან ვინმე სხვისთვის არის ცნობილი, არც რაიმე არარსებულთაგანია, არც რაიმე არსებულთაგანი, არც არსებულნი შეიღობენ, თუ როგორ არსებობს იგი, არც თვითონ იგი შეიცნობს არსებულთ, როგორც ისინი არსებობენ. არც სიტყვა არსებობს მისი, არც სახელი, არც ცოდნა; არც ბნელია, არც ნათელია. არც ცთუნებაა, არც ჭეშმარიტება, არც მისი დაღებითი განსაზღვრება არსებობს, სრული, არც უარყოფითი; თუმცა არც მისივე დაღებით თუ უარყოფითი განსაზღვრებით ვამატებთ მას ამით რაიმეს, ან ვაკლებთ, რადგან ყოველგვარ დაღებით განსაზღვრებაზე მალა დგას ყოველთა სრული და ერთადერთი მიზეზი, და ყოველგვარ უარყოფით განსაზღვრებათა მალა, უპირატესი იგი, და საერთოდ ყოველთა განსებულთა და ყოველთა სრულთაზე უფრო ზემიღიერი.

ნაშრომი ქართულ-სპარსულ ლიტერატურულ ურთიერთობათა საკითხებზე

ძველმა სპარსელებმა (ირანელებმა) მსოფლიო ლირებულების მქონე დიდი მხატვრული მწერლობა შექმნეს. განსაკუთრებით ფასეულია სპარსული პოეზია. ამ პოეზიას აშვეენებს ისეთი დიდებული სახელები, როგორცაა: რუდაქი, ფარდოუსი, ონსორი, ომარ ხაიამი, ნიზამი (ნიზამი იყო აზერბაიჯანელი, მაგრამ წერდა სპარსულ ენაზე), ხოსრო დგლევი, ჭალალ-ედდინ-რუმი, საადი, პაფეზი, ჭამი... სპარსულ ლიტერატურა დიდ ზემოქმედებას ახდენდა აღმოსავლეთის ხალხთა სულიერ კულტურაზე. ამავე დროს იგი უხვად სარგებლობდა სხვა ხალხების (ინდოელების, არაბების, ბერძენების, სირიელების, ქართველების, სომხების) კულტურული მონაშთებთანაც.

ფრად ნაყოფიერი იყო სპარსულ-ქართული და ქართულ-სპარსული ლიტერატურული ურთიერთობანი. აკადემიკოს ივანე ჯავახიშვილის სიტყვებით რომ ვთქვათ: „თუ პოლიტიკურს ცხოვრებაში საქართველო სხვადასხვა მამადიანთა სამთავროებს და სპარსეთს ებრძოდა, პოეზია და კულტურა ქართველ-სპარსთა სულიერს ერთობასა ქმნიდა და მტრობის მაგიერ სიყვარულს სთესდა: ქართველბოისათვის სპარსულ-მამადიანური კულტურა უფრო რამე არა უყოფილა და თავისი პოლიტიკური მტრების მწერლობას, შეცინებუასა და ხელოვნებას ისინი დიდ პატივს სცემდნენ“.

ქართულ ენაზე შემონახულია ქართულ-სპარსული ლიტერატურული ურთიერთობის შესანიშნავი ძეგლები — შანაშაჟის ქართული ევრსიები (როსტომიანი) ვისრამიანი, ჭილილა და დამანა, ლეილაქენიანი, იოსებზლიხანიანი, ბარაშტერიანი, ბახთიარ-ნაშე და სხვანი. განსაკუთრებით ძლიერი და ნამდვილად ორმხრივი იყო სპარსულ-ქართული ლიტერატურული თანამშრომლობა ელსიკურ ეპოქაში. დაკუმულობის ხანაში კი ამ ურთიერთობას უფრო ცალმხრივი ზეგავლენის ხასიათი ეძლეოდა, სპარსულ

ლი ენა და მწერლობა მაშინ უცხოეთის ექსპანსიას უწყობდა ხელს. ქართული თვითმყოფი, მშობლიური ფესვებით განმტკიცებული მწერლობა ყოველთვის წარმატებით ემსახურებოდა ქართველობის ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას, ქართველობის ერთიანობისა და ეროვნული თვითშეგნების გაღვივების საქმეს.

ქართულ-სპარსული ლიტერატურული ურთიერთობანი ქართული ფილოლოგიური მეცნიერების ყურადღებას არასოდეს უყოფილა მოკლებული. ამ ურთიერთობათა საკვანძო საკითხებს წარსულში წარმატებით იკვლევდნენ აკად. შარი, პროფესორები იუსტინე აბულაძე, ვიორჯი შარი, ე. დონდუა, ვლ. ფუთურაძე. ახლამთ საქმეს აგრძელებენ და აფართოებენ საბჭოთა დროის მეცნიერები დავით კობიძის მეთაურობით (შავალი თოდუა, ალ. გვახარია, ჯ. ფაღავეა, თ. კეშელაეა, თ. გორგენიშვილი, შაია მამაცაშვილი, ვახუშტი კობერიშვილი და სხვ.). სპარსულ-ქართულ ლიტერატურულ ურთიერთობათა პრობლემატკა იმთავითვე ჩვენ ყურადღებას იქცევდა და მას მიუვებლენით რიგი სპეციალური ნაშრომი.

უნდა ითქვას, რომ ბოლო დრომდე სპარსულ-ქართულ ლიტერატურულ ურთიერთობათა პრობლემის დამუშავება ცალმხრივი მიმართულებით წარმოებდა, იკვლევ-იძიებდნენ უმეტესწილად სპარსულის ქართულზე ზემოქმედებას. თუმცა არც იმის დავიწყება შეიძლება, რომ ვ. მარაშა და ვლ. ფუთურაძემ ქართულის სპარსულზე პირიქით ზემოქმედების საყურადღებო ცალკეული ფაქტები გამოავლინეს და შეისწავლეს.

ქართულ-სპარსულ და სპარსულ-ქართულ ლიტერატურულ ურთიერთობათა მეცნიერული კვლევების, შესანიშნავ ნიმუშს გვათავაზობს დ. კობიძე. იგი ავტორის შრომათა მეორე ტომია. პირველ ტომს წარმოადგენს „შანაშაჟის ქართული ევრსიების სპარსული წყაროები“ (თბილისი, 1959). სარეცენზიო ტომი თუმცა კრებულია, ერთ თემაზე, ერთ პრობლემაზე დაწერილი სხვადასხვა ნაშრომისა. ნაშრო-

მთა ერთი ნაწილი სხვადასხვა დროს გამოქვეყნდა ჩვენ სამეცნიერო და სალიტერატურო პრესაში, ერთი ნაწილი კი პირველად იბეჭდებოდა. ოღონდ შეუიარაღი პუბლიკაციის მასალებიც ხშირად ვადასინჯულია, შევსებულია შესწორებული.

ქართულ-სპარსულ ლიტერატურულ ურთიერთობათა რთულ პრობლემას დ. კობიძე იყვლება საქმის სამაგალითო ცოდნით, დიდა დაკვირვებითა და სიღრმით, ნიჭიერად, ვეპოვნებით, ფაქტად. ფაქტობრივი ვითარების გამო, რასაკვირველია, ძირითადად მასაც სპარსულიდან მომდინარე ქართული ძეგლების შესწავლა უხდებოდა. მაგრამ იგი გამოიწვილეთ იყვლება-მხარეებს ნათარგმნი მხატვრული ძეგლების ისეთ მსარგებელს, რაც მათ ზოგჯერ ორიგინალის მნიშვნელობასაც კი ანიჭებს. მკვლევარი ნათლად ვითვალისწინებს, თუ რით გამოირჩევა ესა თუ ის ნათარგმნი ძეგლი თავისი დედნისაგან, ქართული ეროვნული გენიის რა დიდი აღებუტყვებს მას. იტორი დამარწმუნებლად გვირკვეს ამ დიდ მნიშვნელობას, რაც ქართულ თარგმანებს ენიჭება სპარსული დედნების მეცნიერულ-კრიტიკული ტექსტის დასადგენად. რაღა თქმა უნდა, მკვლევარი იმაშიც უხადდ ვერაწმუნებს, თუ რა განძია სპარსული დედანი ქართული თარგმანის ტექსტის აზრის ამოსაცნობად და კრიტიკული ტექსტის გასამართლად.

სარეცენზიო წიგნის ცენტრალური ნაწილია „ეისრამიანის საკითხები“ (გვ. 7-92). რომელიც თავის მხრივ რამდენიმე ქვე-თავისაგან შედგება. უწინარეს ყოვლისა დ. კობიძე დაწვრილებით იხილავს ქართული ტექსტის მიმართებას სპარსული დედნისადმი. პართალია, ამ მხრივ ცოტა რთული ვაკეთებელი, მაგრამ ახალი ნაშრომი ბევრ შესანიშნავ დაკვირვებას შეიცავს. ფრთხილად, ფილოლოგიური სიმამხვილით ასწორებს მკვლევარი როგორც ქართულ, ისე სპარსულ ტექსტებს. ქართული ვისრამიანის ენობრივ-ლექსიკური მონაცემების ზუსტი ანალიზით დ. კობიძე ასაბუთებს, რომ ქართული რვადაკვირის ტექსტი წინ უსწრებს ვეფხისტალიასანს (გვ. 63-64, 66, 86). როგორც ცნობილია, აზრთა სხვადასხვაობა სუფევს ვისრამიანის თარგმანის რაობის კვალითფიკაციის თაობაზე. ზოგი მკვლევარი მას თელის ზუსტ, სიტყვა-სიტყვით თარგმანად, ზოგიც საკმაოდ თავისუფალ თარგმანს უწოდებს. დ. კობიძე ამ მხრივ დიდ ზომიერებას იჩენს: იგი იმ მოსაზრებას აეთარებს, რომ ვისრამიანი საერთოდ სპარსული დედნის ზედმიწევნით თარგმანია, რომ ქართველი მთარგმნელი „არ შორდება სათარგმნი ძეგლის საერთო განწყობილებას, მისი პოეტური მეტყველების პრეს“ (გვ. 23). ოღონდ მკვლევარის დამარწმუნებელი საბუთიანობის თანახმად, ქართული მთარგმნელი, როგორც ჩანს, ყოველმხრივ ცდილობდა მისი თარგმანი ქართული

ზნე-ჩვეულებების, კულტურისა და მორალურ-ველობისათვის მიესადაგებინა“ (გვ. 62). დ. კობიძე საგანგებოდ უჩვენებს ვისრამიანის (და არა მარტო ვისრამიანის) სპარსულ-ქართული ტექსტების შემოირსპირების თვალსაზრისით შემსწავლელთ, რომ დიდი წინდახედულობა და სიფრთხილეა საჭირო, რომ „არ უნდა გავვიტყოს სპარსულმა და არ უნდა დავიფიქროთ ქართული“ (გვ. 22). საუბრისას შვავრდება!

როგორც აღვნიშნეთ, თავისი ნაშრომის პირველი ტომი დ. კობიძემ მიძღვდა ფირდოუსის შანამესა და მის ქართულ ვერსიებს. ამ სერიის ორი ნარკვევი შესულია სარეცენზიო წიგნში — „ფილოლოგიური დაკვირვებანი“ (გვ. 221-234) და „შენიშვნები შანამეს გამეტყულებულთა ნაწარმოებების ქართული ვერსიების შესახებ“ (გვ. 239-245). ეს ნარკვევები აფართოვებს ჩვენ წარმოდგენას შანამესა და მისი ციკლის ქართული ვერსიების თაობაზე. სხვათა შორის, თავის ნარკვევში დ. კობიძე მართებულად ამბობს, რომ შეთელის აბდულმეცილაში ფირდოუსის შანამეს პერსონაჟი შორის დასახლებულია უფროსი, თემცა იგი არაა შანამეს პერსონაჟი, მას არ იცნობს საკუთრად ფირდოუსის უზარმაზარი პოემა. დ. კობიძე შენიშნავს, რომ ყვოლა მკვლევარი, ვინც კი ამ საკითხს შეხებია, უფროს თელის შანამეს გმირადო (გვ. 225). ეტყობა, მკვლევარს შემთხვევითი გამოჩენია ერთი ნაშრომი, სადაც საკითხი სწორედ ისეა გაშუქებული, როგორც ის დ. კობიძეს ესმის (იხ. ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, II, 1940, გვ. 81). დ. კობიძე უაღრესობამდე კეთილსინდისიერა წყაროების მიმოთხილვის მხრივ, მაგრამ ამ შემთხვევაში გამოირჩენია იგივე წყარო, როდესაც სიტყვის აწევის ბარზუნ-ნამესა და ხოსრო თურმანიძეს (შდრ. სარეცენზიო წიგნის გვ. 226 და დამოწმებული ნარკვევების გვ. 75-78).

სარეცენზიო წიგნში შესულია სამი წერილი ქილილა და დამანას ვარშეშო. ყველა ისინი დაწერილია დ. კობიძისათვის დამახასიათებელი საფუძვლანობით. ცალკე მინდა აღვნიშნო ის ვარშეშემა, რომ, როგორც დ. კობიძე არკვევს, ეახტანგ VI-ს ქართულად ვადმოუღია და შემდეგ სულხან-საბა ორბელიანს გაუღვესავს ქაშეგის ქილილა და დამანას ქართული ვერსიების სპარსული დედნის ავტორის) ერთი წინებული ლექსი, რომელიც სპარსულ აწინდელ გამოცემებში არ ჩანს. მკვლევარი ვეიმტკიცებს, რომ იგი უნდა ყოფილყო ეახტანგისეული თარგმანის დედანში, რომ ქართულმა შემოგვიანა ეს უცნობი ლექსი, რომელიც უნდა დაუბრუნდეს ქილილა და დამანას სპარსულ რვადაკვირსო (გვ. 287).

საქმის ჩინებული ცოდნითა და პროფესიული

გულსმბიერებით არის აღმუშავებული სარეცენ-
ზო წიგნის მთელი რიგი სხვა ნაშრომებიც,
რომლებიც სპარსულ-ქართული ლიტერატურულ
ურთიერთობის სხვადასხვა საკუთრივ
პრინციპულ საკითხს ეხება „პარამეტრიანის გა-
რწმობა“, „ქამი და ქართული ლიტერატურის
ისტორიის ზოგიერთი საკითხი“, „თეიმურაზის
ლიტერატურული წყაროების ძიების გზაზე“,
„ოსმალეთის იმპერიის ქართული ევრასიის შე-
სახება“, „ბახთიარი-ნაშე“ და სხვა). ამთ მიმო-
ხილვებზე ჩვენ არ ვწერდებით. გაუზიარებლად
უნდა ითქვას, რომ დღევანდელი კომიტი პირველია
ჩვენ მეცნიერთა შორის, რომელიც სპეციალურ-
რად იყენებს სპარსულ პროსოდისა და პოე-
ტიკას, რომ მიღებული შედეგები გამოიყენოს
ქართული ლექსის საკითხების გასაშუქებლად.
სპარსული მასალების დახმარებით იგი არცაა,
ან ზოგ შემთხვევაში ახსენებს, ქართული იმ
ლექსების კვების, ფორმებისა და სახეების რა-
ობას, როგორცაა დუბეითი, მუხამბა-
ზი, მუსტაზადი, თეჟნისი, შაჟამა
და სხვა. აღნიშნული საკითხებისადმი მიძღვნი-
ლი ნარკვევი „ქართული და სპარსული პოეტი-
კის ისტორიიდან“ (გვ. 246-277) დიდ სარგებ-
ლობას მოუტანს ქართული ლექსით დაინტერე-
სებულ ყველა პირს. (ქართული ლექსის შეკლე-
ვარად ერთგან (გვ. 247) კორექტურული შეც-
დომის შედეგად სერგო გორგაძის ნაცვლად გა-
მოცხადებულია ვასო გორგაძე).

საყურადღებო ისაა, რომ საერთოდ აღმო-
საველრი და, კერძოდ, სპარსული პრო-
სოდის ცოდნა შესაძლებლობას აძლევს
დ. კომიძეს არა მარტო სწორად გააშუქოს ძვე-
ლი ქართული ლექსის რიგი სხვადასხვა ფორმი-
სა და სახის წარმოშობის ბუნდოვანი საკითხი,
არამედ გარკვეული სატყუა თქვას ახალი ქარ-
თული ლექსის საკითხებშიც. ამ მხრივ ფრიად
საინტერესოა მისი ორი ნარკვევი: 1. ჩარხებ-
მბრუნავი ლექსი გ. ტაბიძის პოეზიაში (გვ.
278-280) და 2. გალაკტიონ ტაბიძე და აღმოსა-
ველური ლექსთმწიფის საკითხები (გვ. 351-361).
მკვლევარი ნათლად გვიჩვენებს, რომ გალაკ-
ტიონ ტაბიძე კარგი მცოდნე იყო ძველი ქარ-
თული პოეზიისა და „საყოთარი ლექსების ნა-
ირსახეობებისათვის ზოგჯერ ძველად არსებულ
ფორმებსაც ეხსენება“ (გვ. 358). ოღონდ, ახს-
ნებს თავის მოსაზრებას. დ. კომიძე, „გალაკ-
ტიონის, რომელიც ქართული პოეზიის ტადი-
ციკლს აგრძელებს, წინაა არსებული სილამისო
ფორმები უცვლელად კი არ ვაღმოაქვს, არამედ
შემოქმედებითად, მათ შერ რიტმულობასა და
მუსიკულობას მატებს და, ამგვარად ისინი თა-
ნამედროვე პოეტური ტექნიკას სიმალღზე აპ-
ყავს“ (გვ. 361). ამის ილუსტრაციას წარმოად-
გენს, მგალობად, არჩილის მიერ შემოიღებული
ჩარხებმბრუნავი ლექსის ფორმის კონკრეტუ-

ლი გამოყენება გ. ტაბიძისაგან, ესაა პისი „თ,
რა მზის სიშარია“. ამ ტექსტზე უნდა ვთქვა-
თხვა პირდაპირ წაკითხვის შემდეგ შემდეგ
სავანებო ყურადღების ღირსია დ. კომიძის
ნარკვევი „ქართული ვარსკვლავები სპარსულ
პოეზიის ცაზე“ (გვ. 215-220). ავტორი სამარ-
თლიანად იმობის, რომ სპარსული მდიდარი პო-
ეზია „მხოლოდ და მხოლოდ ირანელების მიერ
კი არ არის შექმნილი, არამედ მასში საქმაო
წელილი მიუძღვის აგრეთვე სხვა ეროვნების,
კერძოდ, ქართული ხალხის წარმომადგენლებ-
საც“ (გვ. 215). ამ დებულებას დასაბუთების
ედა მოყვებულა დასახელებულ ნარკვევში. ამ
მოყვლად განხილულია თანამედროვე სპარსული
პოეზიის ორი დიდი წარმომადგენლის ბეჰარისა
და ნიშას შემოქმედებითი მოღვაწეობა. ორივე
სახელმწიფეული პოეტი წარმოშობით ქართვე-
ლი ყოფილა. რაც მთავარია, მკვლევარის სიტ-
ყვით, მათ „სპარსულ პოეზიაში ქართული ხა-
სიათისა და ბუნების ნაკადი შეიტანეს“ (გვ. 220).
დასანილი მხოლოდ ისაა, რომ, დ. კომიძე ძალი-
ან მოყვლად ჩერდება ამ პოეტებზე და არ გვიხს-
ნის, თუ სახელდობრ როგორ აისახა მათ შემო-
ქმედებაში ქართულის ეს ბუნება და ხასიათი.
უფრო მეტი უნდა ეთქვა მკვლევარს XII საუ-
კუნის ერაყულ-ქართული პოეზიის გამოჩენილ
წარმომადგენლის აჰმედ შალა ჯეზირის შესახე-
ბაც, რომელიც თითქო ჩამოსულა საქართვე-
ლოში და პირადად გაუცენია შოთა რუსთავე-
ლი (გვ. 220).

ქართული ძეგლების თარგმნა სპარსულ ენაზე
ახლა იწყება. ჭეჭერობით ძალიან მცირე რამ
არის ამ მხრივ გაკეთებული. ნარკვევში „ქარ-
თული შერების სპარსული თარგმანები“
(გვ. 313-319) განალიზებულა შორიგზა ფათე-
მის თარგმანის ორი ნიმუში. ესენია „ვეფხის-
ტყაოსნის“ რამდენიმე თავი და ევა-ფშეველას
„შელის ნუკრის ნაპირობი.“
სპარსული პოეტი ფათემი ცხოვრობს თბილი-
სში, იცის ქართული, კარგად მოზადებული და
საქმარისად გააფული, ნიჭიერი მთარგმნელია.
დ. კომიძეს ძლიერ მოსწონს „შელის ნუკრის
ნაპირობის“ ფათემისეული თარგმანი; შენი-
შნავს, რომ მთარგმნელი საეხებით დაუფლება
ტექსტს, მან „სპარსულად წარმატებით გად-
მოსცა მოთხრობის ვანუყობილება, მისი სული
და გული“-ო (გვ. 318). ამის ვერ ვიტყვით ვეზ-
ხისტყაოსანზე. დ. კომიძე ფიქრობს, რომ ფათემი
აქართველუა ვეფხისტყაოსნის თარგმანის ნაწ-
ყვრების გამოქვეყნებით, მას ვერ გადაულა-
ხავს რუსთაველის პოემის თარგმნასთან დაკავ-
შირებულია სიმნელები. თარგმანის გამოქვეყ-
ნებული ნაწყვრების შესწავლა გეარწმუნებსო,

ამბობს დ. კობიძე, რომ „დინჯი და დაკვირვებული მეშობის შედეგად (მას) უპყველად უამთესი თარგმანის მიცემა შეეძლო-ო (გვ. 316). ასეთია, მოკლედ, დ. კობიძის სარეცენზიო ნა-

შრომის შინაარსი. ეს ნაშრომი ქართული ფოლოკორული მეცნიერების ფრიად მნიშვნელოვანი შენაძენია.

ალ. ხარაშიძე

«გერმანული ზღაპრები»

გერმანული ზღაპრები არაერთხელ გამოთვალა ქართულ ენაზე, მაგრამ „ნაყადლის“ მიერ ახლახან გამოცემულ „მსოფლიოს ხალხთა ზღაპრების“ სერიაში მშები გრიმების ზღაპრები ყველაზე სრულია. თუმცა აქვე უნდა შევნიშნოთ, ზღაპრების წიგნი, რაგინდ აკადემიური გამოცემაც არ უნდა ზორციელდებოდეს, ილუსტრაციებია გარეშე ძნელი წარმოსადგენია. მშები გრიმების ქართულად შესანიშნავად თარგმნილ 78 ზღაპარს კი არც ერთი ილუსტრაცია არ ამშენებს.

მშები გრიმების ზღაპრებს თავის დროზე სასიკადადლო მწერლის ნიკო ლორთქიფანიძის სახით დიდი გულშემატკივარი გამოუჩნდა საქართველოში, და თუ დღეს მშები გრიმების ზღაპრებს ზვეწი კარგად იცნობენ, ეს პირველ რიგში ნიკო ლორთქიფანიძის დამსახურებაა (მისაბანი მავალითია).

სარეცენზიო კრებულში გამოქვეყნებული ზღაპრების თითქმის ნახევარი (35 ზღაპარი) ნ. ლორთქიფანიძის მიერაა თარგმნილი. დანარჩენი ნაწარმოებების თარგმანები საქმოდ გამოცდილ ავტორთა კოლექტივს ეკუთვნის: ესენია: ნ. კალანდარიშვილი, მ. გომართელი, ჯ. კარინაძე და დ. წერეთლიანი.

კრებულის წაკითხვას ნათელი ხდება, რომ მშები გრიმების ზღაპრების ქართულ თარგმანში საკმაოდ და საჭოკმანი არაფერია, ყველა ზღაპარი ნამდვილი ქართული ზღაპრებით იკითხება. ძალდაუტანებლად და ლაღად. ქართული ზღაპრების ენას, რაც თავის დროზე კარგად გამოიყენა ნ. ლორთქიფანიძემ, კეთილსმყოფელი გავლენა მოუხდენია დანარჩენ მთარგმნელებზე.

უკუდავი ორიგინალური თხზულებების გვერდით ნ. ლორთქიფანიძის მეშვეობით მნიშვნელოვან ადგილს იჭერს თარგმნილი ნაწარმოებები. მწერალი განსაკუთრებით ბევრს თარგმნიდა მოხარდი თაობისათვის. მისი თარგმანი „მოგზაურობა და ხიფათი“, რომელიც მთარგმნელის მიერ შედგენილ კრებულს წარმოადგენს, ყოველთვის დარჩება ქართული საბავშვო საფორტაკო ლიტერატურის დამამშენებლად.

მშები გრიმები, „გერმანული ზღაპრები“, ნაკადული, 1969.

განსაკუთრებით მნიშვნელოვან წვლილს საბავშვო ლიტერატურისათვის წარმოადგენს ნ. ლორთქიფანიძის მიერ ქართულად თარგმნილი მშები გრიმების ზღაპრები.

ზღაპარი ბავშვებისათვის უშესანიშნავეს ლიტერატურულ მასალას წარმოადგენს. ამიტომ ლიტერატურაში ხშირი მოვლენაა, როცა რომელიმე დიდი შემოქმედი ცდილობს ხალხური ზღაპრების ლიტერატურულად დაშუშაებას. მათ შორის: ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ადგილს იჭერენ მშები გრიმები, რომელთა ზღაპრების მალაშხატურულად და დიდი გემოვნებით შესრულებული თარგმანია თავია დროზე ქართველ შკითხველს ნ. ლორთქიფანიძემ შიწოდა.

ნ. ლორთქიფანიძის თარგმანისათვის დამახასიათებელია შესანიშნავი ქართული ენა და დახვეწილი პოეტური სტილი. ამ შხრივ დიდი როლი ითამაშა ამ გარემოებამ, რომ თვით ნ. ლორთქიფანიძეს აქვს არაერთი შესანიშნავი ზღაპარი შექმნილი ქართული თუ უცხოური ხალხური ზღაპრების საფუძველზე. მშები გრიმების ზღაპრების ქართული თარგმანის ენა ხასიათდება უადრესად დიდი ხალხურობითა და თხრობის თავისუფალი მანერით. გერმანული ზღაპრების მასაწიის ხშირ შემთხვევაში ძალზე ახლოს დგას ქართული ხალხური ზღაპრების ტრადიციულ დაწვეებასთან: „იყო და არა იყო რა“, მავალითად: „იყო ერთი გადაურეხებული ბეზერი“, „იყო ოდესღაც ერთი კაცი, რომელმაც მრავალი ზელობა იცოდა“. ამ კიდევ: „იყო ერთი ლამაზი, მაგრამ მეტიმეტად ზარბოცი და ქუშყიანი გოგო“, ამ პატარა დეტალებიც კარგად იგრძნობა თარგმანის სიახლოვე ქართულ ხალხურ მეტყველებასთან.

ძალზე მნიშვნელოვანია ის ფაქტიც, რომ ნ. ლორთქიფანიძემ ახერხებს ყველა პერსონაჟს მოუძებნოს თავისი შესაფერი მეტყველება. მშები გრიმების ზღაპრების გმირები ქართულ თარგმანში ერთმანეთისაგან განსხვავდებიან არა მხოლოდ მოქმედებითა და თხრობით შექმნილი ვითარებით, არამედ მრავალფეროვანი დიალოგებითაც, რომლებიც ქართული ორიგინალური მეტყველებისათვის დამახასიათებლად და გადმოცემულნი.

გრიმების ზღაპრების ქართული თარგმანი ძალზე ახლოს დგას ორიგინალთან. მთარგმნელი

ცდილობს ყოველ შესაძლებელ შემთხვევაში ზუსტად გადმოიღოს დედანისათვის დამახასიათებელი ნიჟანსები და ქარაგმული თქმები. ასეთ თარგმანს სრულიადე არ მიეყვებათ ბრმა სიზუსტემდე. მთარგმნელი, უპირველეს ყოვლისა, გვევლინება როგორც მხატვარი და შემოქმედი. ხშირად იგი არ ერიდება წინადადებათა შეკვეცას ან გაფართოებას, ოღონდ ეს არ ხდება არასოდეს ზღაპრის აზრობრივი დამახინჯების ხარჯზე. მაგალითად: ზღაპარში, „სამი ზარშაი“ (Die Drei Faulen), ვრცელი წინადადება: Als die Zeit kam, daß er sterben wollte, rief er sie vor sein Bett und sprach — (როდესაც მისი სიკვდილის დრო დადგა, მან საწოლის წინ მოხმობი ისინი და უთხრა) ნ. ლორთქიფანიძეს მოკლედ და მოხდენილი ქართული გამოთქმით გადმოაქვს: „სიკვდილის წინ ხელმწიფემ ახმო თავისი შვილები და უთხრა“ (გვ. 286). ასეთი შემთხვევები გამოიწილესი რაოდენა.

მთარგმნელი ხშირად ხმარობს ორიგინალურ ქართულ გამოთქმებს, რომლებიც უფრო სხარტად და ნათლად ვადმოგვცემს დედნის აზრს. მაგალითად „გადაყრუებული ბებერი“, „ეს ამბავი სულაც არ მიქდება კუთაში“, „აგერ რომ ხეა, მისი მოჭრა მინდა და შეხედე ერთი როგორ ხატინ-ხატინით წამოვაქიო“, ეს და ყველა ამის შვავისი ნიჟანსები დიდ ღირსებას მატებენ ნ. ლორთქიფანიძის მიერ თარგმნილ ძეგლები გრიმების ზღაპრებს.

ძეგლები, გრიმების ზღაპრების ნ. ლორთქიფანიძისეული თარგმანი, როგორც უკვე ვთქვით, არა ერთხელ გამოსულა. მაგრამ აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ თარგმანი დროთა მანძილზე, როგორც მთარგმნელის, ასევე გულმოდგინე რედაქტორების მიერ სწორდებოდა და იხვეწებოდა. ასე დაემართა 1955 წ. „საბლიტგამის“ მიერ ძეგლები გრიმების ნ. ლორთქიფანიძისეულ თარგმანს, რომლის რედაქტორი ქ. ქუჩუაშვილი იყო. ახლანდელი გამოცემა ძირითადად 1955 წ. გამოცემას ემყარება, რომელშიც გასწორებულია ზოგიერთ ნებისთ თუ უნებლიე ლაფსუსები, რომლებიც ძველ გამოცემაში გვხვდება. რა თქმა უნდა, ეს არ ეხება ძირითადი ტექსტის ბრწყინვალედ შესრულებულ თარგმანს. მაგალითად ძველ ტექსტში ეხვდებათ ასეთ წინადადება: „როცა იგი მიდიოდა და ერთ ფეხს მეორეს წინ დგამდა, თვალში მოხვდა ცხენოსანი“. ეს უხერხული გამოთქმა ახალი გამოცემის რედაქტორს ასე გაუსწორებია: „ჰამაი მინისაყენ რომ მილაყუნობდა, დინახა, ერთი ცხენოსანი მკვირცხლ

ცხენს ლაღად და მხიარულად მიეყვებოდა“ (გვ. 223). ზღაპარში „ჰანსის ბედნიერება“ ნ. ლორთქიფანიძის მღუსთაველის ნიმუშის მიხედვით თარგმნილი:

„ვლესავ მაყრატლებს ჩარხის ტრიალით ქაჩს მიეყვები ჩემის ნაბლით. თავის დროზე ლექსი ასე შეუსწორებიათ: „ვლესავ მაყრატელს ჩარხის ტრიალით, სულ არ მაწუხებს დარღი ტრიალი“ (გვ. 227) გარდა იმისა, რომ ლექსი გამართულ სალექსო ფორმაში ზის, იგი უფრო ახლო დგას დედნთან. გერმანული სტრიქონი „Den Mantel nach dem wind hängen“ — ილიმატური გამოთქმა და მიუთითებს ისეთ ადამიანზე, რომელიც ყველაფრისაღმე გულრიღადაა განწყობილი, ანდა წინადადება: „საწყალი შველი ბლავილ-ბლავილით მიჩაყენდა მელასთან“, რომელიც ასეა გასწორებული: „საწყალი შველა უქმილით მიჩაყენდა მელასთან“ და სხვ.

ას, რაც ნ. ლორთქიფანიძის თარგმანში ითქვა, შეიძლება მეტ-ნაკლები სიფრთხილით მივსადაგოს დანარჩენ მთარგმნელებს. ეს რომ ასეა, ჩამდენიმე ადგილის ამოწერა დაგვარწმუნებს. „შველ დროს, როცა ადამიანს სურვილი უფრო აღვილად უსრულდებოდა, ცხოვრობდა ერთი შეფე. შეფეს ლამაზი ასულები ჰყავდა, მაგრამ სულ ნაბოლარა ისეთი ლამაზი იყო, შუეს ეუბნებოდა, შენ ჩადი და მე ამოვილო“ (გვ. 22) ან კიდევ: „დედოფალმა ბარათი წაიკითხა და ყველაფერი ისე გააკეთა, როგორც შიგ ეწერა. გადაიხადა დიდი ქორწილი, მეფის ასული ქვდებედთან ყმწიელს მიათხოვა“ (გვ. 98). „ერთ ნავახს ტუნწი პატრონი ჰყავდა, — არც არას აკმევდა და არც არას ასმევდა. ითმინა ნაგახმა, ითმინა, ბოლოს ვეღარ მოითმინა, ადგა და გაექცა პატრონი“ (გვ. 180).

ასეთი და ამგვარი ქართულითაა თარგმნილი მთელი წიგნი. ამ თითქოს უწყველო არაფერია, მაგრამ კოლექტიურ თარგმანს, რომ სტილითა სხვადასხვაობა არ ეტყობა, ეს უკვე გამომცემელთა სიუფითუხე მიუთითებს. ამიტომაც ძეგლები გრიმების ზღაპრების ქართულად თარგმნილი კრებული, თამამად შეიძლება დავდროთ ქართული ზღაპრების გვერდით.

ძეგლები გრიმების ზღაპრების გამოსვლით გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ოცი წლისთავთან დაკავშირებით კიდევ ერთი ფურცელი გადაიშალა ორი ერის კულტურული ცხოვრებას ისტორიაში.

დიალექტიკის ისტორიის მეცნიერული გაგებისათვის

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მარქსამდელ ფილოსოფიაში დიალექტიკის პრობლემების ისტორიის ანალიზისადმი მიძღვნილი შრომების რიცხვი წევნს ფილოსოფიურ-ლიტერატურაში არ არის მრავალრიცხოვანი. დიალექტიკის ისტორია სისტემატური სახით არ ყოფილა გამოკვლეული. ამ ხარვეზს ნაწილობრივ ავსებს ფილოსოფიურ მეცნიერებათა დოქტორის მ. ჯელიძის გამოკვლევა «ძველი ბერძნების გულუბრყვილო დიალექტიკიდან მარქსისტული დიალექტიკის ჩამოყალიბებამდე».

ავტორის მიზნად დაუსაბავს გამოკვლევა მარქსამდელ ფილოსოფიაში დიალექტიკური კონცეფციების განვითარების ძირითადი ეტაპები, ეჩვენებინა დიალექტიკის თეორიის განვითარების კანონზომიერება. ავტორის მართებული შენიშვნებით: «დიალექტიკური კონცეფციების განვითარება... თვით ავლენს დიალექტიკურ ბუნებას (გვ. 5), რადგან «დიალექტიკური აზროვნების წესი ისტორიულად მოთხოვდა აზრის განვითარების გარკვეული ციკლის შესრულებას ყოველი ისტორიული საფეხტრის მიხედვით, რაც გამოიხატება უარყოფის უზოგადეს კანონზომიერებაში» (იქვე გვ. 6). საყურადღებოა, რომ მ. ჯელიძე ცდილობს წამოაყენოს გარკვეული თვალაზრისი ამ ასპექტში, რომელიც მას დიალექტიკური კონცეფციების განვითარების დიალექტიკური ბუნების ისტორიულ მოკვლად მოიხსნია. მ. ჯელიძის აზრით დიალექტიკური თეორიების განვითარებას ისტორიაში უარყოფის ფორმა აქვს, სადაც თვისად გამოდის გულუბრყვილო ობიექტური დიალექტიკა, ანტითეზისად რაციონალისტური სუბიექტური დიალექტიკა, ხოლო სინთეზი განსორცილებულია მეცნიერული, მარქსისტული მატერიალისტური დიალექტიკის სახით. (იქვე გვ. 6, 168-169) ნაშრომი შესრულებულია სწორედ ავტორის მიერ აკებული მოკვლის შესაბამისად: ყოველ შემთხვევაში იგი ცდილობს დიალექტიკის ისტორია ამ სქემაში მოათავსოს.

შრომის შესავალში, რომელსაც თეორიული ხასიათი აქვს, ავტორი იძლევა დიალექტიკის ისტორიული ფორმების დახასიათებას და გარჩევს დიალექტიკის თეორიის ზოგადერთ ზოგად მეთოდოლოგიურ საკითხებს. იგი უპირველესად ყოვლია გარჩევს ობიექტური და სუბიექტური დიალექტიკის ცნებას. ობიექტური დიალექტიკას განსაზღვრავს როგორც ობიექტური სინამდვილის განვითარების რეალურ წინააღმდეგობათა გამოკვლენისა და მათი დაძლევის

გზების შესახებ მოძღვრებას, ხოლო სუბიექტური დიალექტიკას, როგორც აზროვნების ლოგიკური მოძრაობის, აზრში წინააღმდეგობის ამოწმებით და მისი წინააღმდეგობის მოხსნა-შენახვის გზით ცნებიდან ცნებაზე გადასვლის შესახებ მოძღვრებას (იქვე გვ. 8) სუბიექტური დიალექტიკა ავტორის აზრით ისტორიულად ჩამოყალიბდა როგორც დადებითი და უარყოფითი დიალექტიკა (იქვე გვ. 11) რადგან იმისი აზრით «დიალექტიკის როგორც აზროვნების მეთოდის პოზიტიური და ნეგატიური გავება ემყარება ერთ საფეხტელს — აზროვნებაში წინააღმდეგობის ფაქტს» (იქვე გვ. 12) დადებითი დიალექტიკა, მ. ჯელიძის აზრით, წინააღმდეგობას მიჩნევს დადებითი მნიშვნელობის მქონედ, ხოლო უარყოფითი დიალექტიკა ნეგატიური მნიშვნელობის მქონედ; უარყოფითი დიალექტიკაში წინააღმდეგობა გავებულია როგორც აზროვნების გამოუვალი ლოგიკური გაორება. ჯემარტების გზიდან აცდენა, ამიტომ იგი განვითარდა, როგორც მონეწეებითი დასაბუთების. ჯემარტების მოჩვენებითი მიღწევის მეთოდი (გვ. 12-13). შესავალში ავტორი გააჩნევს აგრეთვე დიალექტიკისა და მეტაფიზიკური ცნებას, განვითარების ორ კონცეფციას: აზროვნების დიალექტიკურ მეტაფიზიკურ წესს და მეთოდოლოგიური მონეწვის პრობლემას: დიალექტიკისა და მონეწვის ურთიერთობას საკითხს. ნაშრომის პირველ ნაწილში მ. ჯელიძე განიხილავს ძველი ბერძნების გულუბრყვილო დიალექტიკას, სადაც არსებითი დადი ბერძენი დიალექტიკოსის პერაკლეტეს და ელეატური სკოლის დიალექტიკური მოსაზრებებს ანალიზი. მეორე ნაწილში იგი დახასიათებს იდეალისტური დიალექტიკის გვერდის ძველ ბერძნულ ფილოსოფიაში. იგი ნათლად აჩვენებს პლატონის დიალექტიკური მოსაზრებებს შეზღუდულობას იდეალისტური მოსაზრებების გამო, სადაც პირველად მოხდა ლოგიკურისა და რეალურის გაიგვების ყალბ საფეხტელზე დიალექტიკურის სტრუქტურის ანალიზი.

შრომის მესამე ნაწილში ავტორი მიიღებს დიალექტიკის პრობლემას ნეოპლატონიკოსებთან, რომელიც ახლებურად აყენებს, მისი აზრით, ერთისა და სიმარტალის დამოკიდებულების პრობლემას (იქვე გვ. 74) და საეგებოთ მარტებულად ამახვილებს ყურადღებას განვითარების ტრიადული ხასიათის შესახებ ნეოპლატონიკურ კონცეფციაზე, რომელსაც დიალექტიკის ისტორიაში გარკვეული დადებითი როლი შეასრულა. ნაშრომის მეოთხე ნაწილში იგი მოკლედ ეხება აღორძინების პერიოდის დიდი მოაზროვნეების ნ. კუზანელისა და ჯ. ბრუნოს შეხედულებებს, რომლებსაც განსა-

მ. ჯელიძე «ძველი ბერძნების გულუბრყვილო დიალექტიკიდან მარქსისტული დიალექტიკის ჩამოყალიბებამდე», «ხაბტოთა საქართველო», 1989.

ეუროპული უფრადლება მიაქცევს დაპირისპირებულთა ერთიანობის პრინციპს და ამით დიალექტიკის თეორიას განვითარების ძლიერი პერსპექტივები დაუსახეს. ახალ დროის ფილოსოფიის დიალექტიკური კონცეფციების დახასიათებისას მ. ჰელიმე მიუთითებს რ. დეკარტის ეჭვის მეთოდის დიალექტიკურ მნიშვნელობაზე, აღნიშნავს ბ. სპინოზას თვითმიზეზის ცნებას ფუნდამენტალურ მნიშვნელობას და დიალექტიკის თეორიის შემდგომი განვითარებისათვის და ახასიათებს ვ. ე. ლაიბნიცის მონაღოლოგიის დიალექტიკურ მომენტებს, შრომაში შედარებით ვრცელად არი. განხილული დიალექტიკის თეორიის განვითარების პრობლემა გერმანულ იდეალიზმში: ავტორი არჩევს ი. კანტის, ა. ფიშტეს, ფ. შელერის, ჰეგელის მოსაზრებებს დიალექტიკის შესახებ. სამართლიანად ფიქრობს, რომ მარქსამდელ ფილოსოფიაში დასახელებულმა მოაზროვნეებმა შექმნეს უმადლესი საფუძვრი დიალექტიკის თეორიის განვითარებაში, თუმცა იდეალისტური მსოფლმხედველობრივ საფუძვლის გამო რეალური დიალექტიკურის ბუნება დამახინჯებული სახით წარმოადგინეს.

მ. ჰელიმის წიგნის შინაარსის მოკლე, სქემატური გადმოცემაც ნათლად ხდის მის უღრესად სერიოზულ(აქედითერ ხასიათს და პრობლემათა აქტუალობას. ავტორი სათანადო ფაქტობრივი მახალის კვალიფიკაციური ანალიზის საფუძველზე განიხილავს დიალექტიკის თეორიის ურთულეს საყვანძო საკითხებს, აჩვენებს დიალექტიკურ კონცეფციას განვითარების ისტორიულ კანონზომიერებას.

მეტერიალისტური დიალექტიკის თეორიული პრობლემები და დიალექტიკის ისტორიული განვითარების კანონზომიერება ჭერ-ჭერობით არ არის სრულყოფილად გამოკვლეული. ამიტომ, ცხადია, სარეცენზიო შრომაში მრავალი საკითხი პოლემიკურ ხასიათს ატარებს.

ჩვენი აზრით, უადრესად სადავოა ავტორის მიერ წარმოდგენილი სქემა დიალექტიკური კონცეფციების დიალექტიკური განვითარების შესახებ. ავტორი საეხებით სწორია როცა ფიქრობს, რომ დიალექტიკური კონცეფციების განვითარება დიალექტიკური ბუნებისაა. ამ ფენომენს სერიოზული გამოკვლევა სჭირდება და იგი, ცხადია, ერთმანედ, ერთი ხელსაშლისათვის არ ვადაწყდება, მაგრამ ჩვენ დაუსაბუთებელი გეგმავნება ავტორის მტკიცება, რომ დიალექტიკური აზროვნების წესის ისტორიული განვითარება უარყოფის უზოგადეს კანონზომიერებაში გამოიხატება (იქვე გვ. 6). დიალექტიკური აზროვნების წესის განვითარება რატომ მიმდინარეობს მხოლოდ უარყოფის კანონზომიერების განმორცელებლად მიითხზება?

ამ კონცეფციით ხომ არ გამოდის, რომ განვითარების მიზანობა უარყოფის უარყოფის და არა დაპირისპირებულთა ერთიანობა და ბრძო-

ლა. მაშინ როდესაც ვ. ი. ლენინის აზრით დიალექტიკა შეიძლება განვსაზღვროთ, როგორც მომღვრება დაპირისპირებულთა ერთიანობის შესახებ, ხოლო უარყოფის უარყოფა დიალექტიკის მხოლოდ ერთ-ერთი ელემენტია, როგორც დაპირისპირებულთა ერთიანობის მაგალითი (ვ. ი. ლენინი, თხ. ტ. 38, გვ. 222). ამ ეთარებას რომ თავი დავანებოთ, დიალექტიკის ისტორია ვერ გამართლდეს ავტორის მტკიცებას ველურბრყვილო ობიექტური დიალექტიკის თეზისად, რაციონალიზატორია სუბიექტური დიალექტიკის ანტითეზისად და მეცნიერული, მატერიალისტური დიალექტიკის სინთეზად წარმოდგენის შესახებ (იქვე გვ. 9, 169). უმართებულა ჰეგელის დიალექტიკის პერაქლოტის დიალექტიკის ანტითეზისად მიიჩნევა დიალექტიკის ისტორიის თეზისაზრისით, რადგან ერთთანაც და მეორესთანაც დიალექტიკის ძირითადი კანონი დაპირისპირებულთა ერთიანობის კანონია; ერთიც და მეორეც დადებითი დიალექტიკის მომხრეა; რა უფრო ჰეგელის ისტორიულიად სავსებით მართებულ განცხადებას მის „ლოგიკის მეცნიერებაში“ პერაქლოტის დიალექტიკის უველა დებულების შეტანის შესახებ? ელვებების უარყოფითი დიალექტიკა რატომ არის ჰეგელის მიერ დიალექტიკურის გაგების უარყოფით-დიალექტიკურის მომენტის ანტითეზისი? ავტორის მიერ წარმოდგენილი კონცეფციის სიმწლე. იმაში უნდა იყოს, რომ მის მიერ დიალექტიკის თეორიის ბუნების დახასიათებისას დაპირისპირებულთა ერთმანეთთან ფილოსოფიური მსოფლმხედველობები, ეს სავსებით სწორია, დიალექტიკურის იდეალისტური და მატერიალისტური კონცეფციები ურთიერთგამომრიცხველი, შეუძრავებელი თვალსაზრისებითა, მაგრამ სწორედ ამიტომ არ გვექნება მიმართება თეზისი-ანტი-თეზისი-სინთეზი, რადგან მატერიალისტური კონცეფცია არასოდეს არ შეიძლება იყოს იდეალისტური კონცეფციის სინთეზი, თუ ავტორის მხედველობაში ექნება არა მსოფლმხედველობრივი მიმართება, არამედ დიალექტიკურის, როგორც რეალური-ობიექტური ფენომენის დესკრიპცია; დიალექტიკურის ბუნების, სტრუქტურის, ელემენტების და ა. შ. დახასიათება. მაშინაც მის მიერ ჩამოყალიბებულ მოდელი ვერ გამართლდეს თავის დანიშნულებას, რადგან სხვა ისტორიულ პარალელებს თავი რომ დავანებოთ ფილოსოფიის ისტორიაში პერაქლოტის ჰეგელის და მარქსის დიალექტიკა ობიექტური დადებითი დიალექტიკის თეორიაა. ვ. მარქსისა და ჰეგელის მსოფლმხედველობრივი პოზიციების დაპირისპირებულობა, როგორც სავოლდთაოდ ცნობილია, არ გამოირცხვას აღნიშნულ ისტორიულ ფაქტურ ვითარებას.

ჩვენი აზრით ავტორი ცდება უარყოფითი დიალექტიკის ბუნების დახასიათებისას როცა თვლის, რომ უარყოფითი დიალექტიკა აზროვნე-

ბაში წინააღმდეგობის არსებობის ფაქტით განისაზღვრება (გვ. 12) ჰირდაიარ უნდა აღვნიშნოთ, რომ უარყოფითი დიალექტიკური კონცეფცია დიალექტიკურს ფენომენსააღი მიუთითებს, რომ არ არის განსაზღვრული, არამედ იგი დიალექტიკურის ბუნების ვაგების თავისებური თვალსაზრისითა. უარყოფითი დიალექტიკა წარმოადგენს დიაბრისპირებულთა აუცილებლობის აღიარებას მისი ერთიანობამდე ამაღლების უარყოფის საფუძველზე, მაშინ, როდესაც დადებითი დიალექტიკა წარმოადგენს დიაბრისპირებულთა აუცილებლობის აღიარებრიდან დიაბრისპირებულთა ერთიანობის ვაგებამდე ამაღლებას. ეს განსხვავებანი ფუნდამენტალურია და მას როგორც მარქსამდელი, ასევე თანამედროვე ბურჟუაზიული ფილოსოფიის ისტორია ასაბუთებს. აქედან გამომდინარე უმართებულთა ავტორის მიერ უარყოფით-დიალექტიკულის მოწვევებით დიალექტიკად წარმოსახვა. უარყოფით-დიალექტიკური რეალური დადებითი დიალექტიკურის აუცილებელი დაქვემდებარებული მომენტია, ამიტომ საყვებით განსაზღვრული ობიექტურ-რეალური ფენომენია და არა მოწვევებითი. ავტორისეულ მტკიცებას არც დიალექტიკის ისტორია ასაბუთებს, მართალია ი. კანტთან დიალექტიკა გონების ილუზიაა მაგრამ, იგი იმავე კანტის აზრით გონების ობიექტურ-აუცილებელი განსაზღვრულობაა და არა შემთხვევითი და მოწვევებით. სწორედ ამიტომაც კანტის მოსაზრება უარყოფით-დიალექტიკური და ამიტომაც პოზიტიური მნიშვნელობის მქონე დიალექტიკის ისტორიაში, ამ აზრით არც ელვატური უარყოფითი დიალექტიკა მოწვევებითი ვითარების აღმუშავებული. რაც შეეხება ავტორის მითითებას სოფისტებზე (იქვე გვ. 13), ეს მოსაზრებაც ამ შემთხვევაში არგუმენტად ვერ გამოდგება, რადგან სოფისტური სკოლის პოზიტიურა მნიშვნელობა დიალექტიკის ისტორიაში განისაზღვრება არა დასაბუთების მცდარი, სოფისტური ხერხების განვითარებით, არამედ ქმნადობის პრინციპის წინ წამოწვევით დიალექტიკის ისტორიაში, რომელსაც მათ მართალია ვაზიადებული მნიშვნელობა მიანიჭეს.

მ. ჰელიძის ნაშრომი, შესაძლოა, გარკვეულ ტენიკური მიხეზების გამოც, გარკვეულ სქემატურ ხასიათს ატარებს. ეს არსებითად იმითაა განსაზღვრული, რომ ავტორი მრავალ პრობლემას ეხება. დიალექტიკის ისტორია დიალექტიკურის ბუნებისა და სტრუქტურის ვა-

გების ისტორია უნდა იყოს. ამათ არქები-თად დიაბრისპირებულთა ერთიანობისა და ბრძოლის კანონი გამოხატულება, დიალექტიკის ბირთვი (ე. ი. ლენინი) და, ჩვენი აზრით, ავტორებმა პრობლემების ეს მხარე ყოფილიყო წინა პლანზე წამოწვეული. მაშინ, აღბათ, აღნიშნული სქემატურობის დაძლეველ შესაძლებელი იქნებოდა.

შრომში, სამწუხაროდ, გაპარულია ფაქტობრივი ხასიათის ლაფსუსებიც. მაგალითობა" (იქვე გვ. 6), ჰეგელი, ცხადია, ლოგიკურის ვარშე არსებულის უარყოფითი ფაქტურად გადაუწყვეტელი დატოვა სუბიექტური და ობიექტური დიალექტიკას მიმართების საკითხი" (იქვე გვ. 6) ჰეგელი, ცხადია, ლოგიკურის ვარშე არსებულს კი არ უარყოფდა, არამედ ლოგიკურის ვარშე არსებულის დიალექტიკურობას. ჰეგელმა, აგრეთვე, ცხადია თავისებურად გადაწყვიტა სუბიექტური და ობიექტური დიალექტიკის მიმართების საკითხიც; სხვა საქმეა, რომ საკითხის ჰეგელისეული გადაწყვეტა ჩვენი თვალსაზრისით მიუღებელია. უბრალოდ, კორექტურული შეცდომის შედგე უნდა იყოს დებულება „პოზიტიური დიალექტიკის მნიშვნელობა თავის მხრივ, სახეს იცვლის პლატონის შემდეგ სოფისტების მიერ გაყალბებული დიალექტიკის ზეგავლენით“ (იქვე გვ. 14), აღბათ ამ უნდა თქმულიყო: სოფისტების შემდეგ პლატონის მიერ გაყალბებული დიალექტიკის ზეგავლენით... ამ სახით კი ეს დებულება სადავო ხასიათს მიიღებდა.

ჩვენი შენიშვნები არსებითად ეხება დიალექტიკის თეორიის სადავო და ქერაც დაუმუშავებელ საკითხებს, ზოგიერთ საკითხებზე ავტორის პოზიცია შეიძლება არ ვაინიაროთ, თუმცა ასეთი თვალსაზრისი გამოთქმულია ჩვენი ლიტერატურაში. ავტორი არცერთ დებულებას არ აყენებს დეკლარაციულად. ცდილობს გარკვეული არგუმენტებით განამტკიცოს თავისი პოზიცია.

ქართულ ენაზე დიალექტიკის ისტორიის შესახებ დიდი ხანია არ გამოქვეყნებულა არც ერთი მონოგრაფიული გამოკლევა. მ. ჰელიძის ნაშრომი — ძველი ბერძნების გულუბრყვილო დიალექტიკიდან მარქსისტული დიალექტიკის ჩამოყალიბებამდე“ დახმარებას ვაუწყებს დიალექტიკის ისტორიით დაანტიკურსებულ სტრუქტურულ ახალგაზრდობას და მკითხველთა ფართო მასას.

შურთაზ ვაკარია



№ 80 1953.

85/258/58

ИНДЕКС
7-6128

საქართველოს
საბჭოთავო კავშირი

«М Н А Т О Б И»

**ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ
И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ**

ИЗДАТЕЛЬСТВО ЦК КП ГРУЗИИ